ხასო
ხანგოთავილი

ეროვნული ეკონომიკა

დოკუმენტური მოთხრობები

ხასო ხანგოშვილი

მონადირის მოგონებები

დოკუმენტური მოთხრობები

თბილისი
2016

ვუძღვნი ტრაგიკულად დაღუპულ
მ ო ნ ა დ ი რ ე ე ბ ს

„ჩამოუქადა ვაჟკაცმა
ხირიმი სპილოს ძვლიანი,
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა,
ჭიდეზე გაიღეს თქრიანი.
ჩაბანოს ჭაღას გავარდა,
მოყმე ფეხწრიალფიანი.
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
დაეჩრნეს ჯიხვის რქანია,
ერთ გვერდზე თოფი სიათა,
მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დაეწერეს წერილი:
„ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია.“

ხალხური

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი:
ტარიელ ხარხელაური

© ხ. ხანგოშვილი, 2016

წინათქმის მაგიერ

კაცობრიობის განვითარების სხავადასხვა ეპოქაში, დასაბამიდან დღემდე, ნადირობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ცნობილია, რომ პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებაში საარსებო წყაროს მოპოვებაში წამყვანი ადგილი სწორედ მონადირეობას ეჭირა. ამ დარგის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს მცენარეების, მცენარეთა ფესვებისა და ნაყოფის შეგროვებაც. სწორედ ნადირობისა და მცენარეთა შეგროვების პროცესი განაპირობებდა კიდეც ადრეული ეპოქის ადამიანთა საზოგადოებრივ ყოფას.

საჭმლისათვის გამოსადეგ მცენარეთა შეგროვება და მისი საკვებად გამოყენება-დამზადება გახდა ქალის ძირითადი მოვალეობა. ამ საქმეში ქალები დაწინაურდნენ, მათ ინტუიცია და მოხერხებულობა უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცების საქმიანობაზე და წამყვანი ადგილი დაიჭირეს კიდეც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რადგან ქალს დაეკისრა ოჯახის (ნათესაური ჯგუფის) გამოკვება, მეთაურის როლიც მან იკისრა, დაიწყო ე.წ. მატრიარქატის ეპოქა. ცხადია, მამაკაცები, რომელთა ძირითადი საქმიანობა ნადირობა იყო, უქმად როდი ისხდნენ. მაგრამ პირველყოფილი საზოგადოების დროს დედამიწაზე სხვანაირი, დღევანდელთან შედარებით უზარმაზარი ცხოველები ცხოვრობდნენ და მათი მონადირება ხისა და ქვის პრიმიტიული იარაღით უაღრესად რთული იყო. დედამიწის ფლორა და ფაუნა ძირითადად იყო განსხვავებული დღევანდელობისაგან და მონადირეთა ჯგუფური ნადირობა ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა.

მშვილდ-ისრის გამოგონებამ, სპილენძისა და რკინის იარაღის დამზადებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ნადირობა. ახლა მამაკაცი-მონადირე გახდა ოჯახის დამპურებელი და, შესაბამისად, გაიზარდა კიდეც მისი როლი ნათესაურ ჯგუფებსა და საზოგადოებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ე.წ. პატრიარქატის ეპოქა დამყარდა, რომლის დროსაც წამყვანი, წინამძღოლი გახდა მამაკაცი მონადირე, როგორც ოჯახში მთავარი შემომტანი. ცხადია, ქალის საქმიანობა იგივე დარჩა – მცენარეთა შეგროვება, ბავშვების

მოვლა და ა.შ., მაგრამ ოჯახის კეთილდღეობა უკვე მასზე არ იყო დამოკიდებული.

კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ შეიცვალა შრომითი საქმიანობაც. რკინის სამუშაო იარაღის შექმნამ საშუალება მისცა ადამიანს გადასულიყო უფრო მყარ, მუდმივ საქმიანობაზე, კერძოდ მიწათმოქმედებაზე. ამჯერად ოჯახის, ნათესაური ჯგუფის თუ ტომის კეთილდღეობა არ არის დამოკიდებული წარმატებულ ნადირობაზე, იღბალზე და შემთხვევითობაზე. ადამიანი ამუშავებს მიწას, მოჰყავს წლიდან წლამდე სამყოფი მოსავალი და დაცულია შიმშილობისაგან.

მაგრამ მიწათმოქმედებაზე გადასვლა ერთდროულად როდი მოხდა მთელ დედამიწაზე. იქ, სადაც არსებობდა ნოყიერი მიწები და ზომიერი კლიმატი, სწრაფი ტემპით მოხდა მიწათმოქმედების განვითარება, სამუშაო იარაღების გაუმჯობესება, ტექნიკის განვითარება და შესაბამისად ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება, მაგრამ დედამიწაზე არსებობდა კონტინენტები და რეგიონები, სადაც ადამიანების ძირითადი საარსებო საშუალებად კვლავ ნადირობა რჩებოდა. ამერიკაში – ინდიელების, აფრიკაში – შავკანიანების და აზიის ბევრ ქვეყანაში ხალხის ძირითადი შემოსავალი კვლავ ნადირობა რჩებოდა და ზოგიერთ მივარდნილ და მივიწყებულ ადგილებში დღესაც იგივე მდგომარეობაა.

ცივილიზებულ სამყაროში ნადირობა გადაიქცა სპორტის ერთ-ერთ სახეობად, გართობის საგნად, რამაც გამოიწვია ნადირის უმიზნო და უაზრო ჟლეტა. XIX-XX საუკუნეებში ნადირობა ბიზნესის საგნადაც კი იქცა. მაგალითად, აფრიკაში და ინდოეთში დაიწყო სპილოების მასობრივი ჟლეტა ძვლის მოპოვების მიზნით, რომელიც ძვირად ფასობდა ევროპაში. ასევე რქის მოპოვების მიზნით იჟლიტებოდნენ მარტორქები, ტყავის მოპოვების მიზნით ნიანგები, ლომები, ვეფხვები, ბიზონები, ძვირფასი ბეწვის მქონე ცხოველები – მელიები, კურდღლები და სხვ. რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში დასახელებული სახეობის ნადირი თითქმის გადაშენებამდე მივიდა, მრავალი სახეობა გადაშენდა კიდეც. XX საუკუნეში, ელექტრობის აღმოჩენამდე დიდი მოთხოვნილება გაჩნდა ვეშაპის ქონზე, რისგანაც ამზადებდნენ სანთლებს. მთელი

ევროპა და აშშ განათებული იყო ვეშაპის ქონით და დაიწყო მასიური ნადირობა ზღვის ამ გიგანტ მობინადრეზე. წყნარი და ინდოეთის ოკეანეებს სერავდნენ ვეშაპებზე სანადიროდ აღჭურვილი შხუნები, თითოეულ გემზე მონადირეთა სპეციალიზებული ბრიგადა იმყოფებოდა და ხდებოდა ვეშაპების მასიური განადგურება.

მდიდრები თუ ფუფუნებით განებივრებული თავგადასავლების მაძიებლები მიაწყდნენ აფრიკას, ამერიკას, აზიას და დაიწყო ნადირის ჟლეტა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოეპოვებინათ ეგზემპლარები, რათა გამოეფინათ სასახლეთა დარბაზებში და ეტრაბახათ რეკორდული მაჩვენებლებით. პროფესიონალი ადგილობრივი მონადირეები აწყობდნენ საფარებს, მიჰყავდათ მდიდარი მოყვარული მონადირეები ნადირით სავსე ქვეყნის სიღრმეებში (აფრიკა, ინდოეთი, ამერიკა და სხვ.) და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენაში.

სარეკორდო რქებიანი ეგზემპლარების მოპოვების ამბიციებით შეპყრობილმა მდიდარმა მონადირე სპორტსმენებმა შეუბრალებელი და გამანადგურებელი მასობრივი ჟლეტა მოაწყეს ნადირით მდიდარ ქვეყნებში. აფრიკელი მონადირე ჯონ ჰანტერი ხატოვნად აგვიწერს ამ ბოროტება: „ამერიკელები საკონდიტრო დუქანში შეშვებული ბავშვებივით იქცეოდნენ. ისინი ისროდნენ მანამ, სანამ თოფები არ გახურდა და ხელები არ დაეწვათ. დღე და ღამე არ ჰყოფნიდათ იმისათვის, რომ მხეცების რქებითა და ტყავით გაუმაძღარი მადა დაეკმაყოფილებინათ.“ სპილოებზე, ლომებზე, ვეფხვებზე, გარეულ მტაცებლებზე ნადირობა უსაფრთხო როდი იყო, ბევრი გამოცდილი მონადირე, რომ არაფერი ვთქვათ მოყვარულებზე, დაღუპულა ნადირობის დროს. მაგალითად, აფრიკაში, კენიაში ქ. ნაირობის სასაფლაოზე ბევრი ქვა არსებობდა წარწერით: ესა და ეს მონადირე მოკლა ლომმა, სპილომ, მარტორქამ, დათვმა და ა.შ.

უდავოდ, არსებობდნენ და არსებობენ დღესაც კატეგორია მონადირეებისა, რომლებსაც უყვართ ცხოველები და შესაძლებლობების ფარგლებში იცავენ კიდეც. ნადირობა მათთვის არის არა მხოლოდ ხორცის, ეგზემპლარების მოპოვება, არამედ შინაგანი

მოწოდება, ორგანიზმის გაკაჟების საშუალება, სროლაში დახელოვნების გზა და რაც მთავარია, ბუნების სილამაზით ტკბობა, ნადირის ზნე-ჩვეულების მიმართ ინტერესი და შესწავლა. ცხადია, არც ხორცის მოპოვებაა უგულვებელყოფილი, მაგრამ ზომიერად, საჭიროების გათვალისწინებით.

როგორც ითქვა, ნადირობა, მონადირეობა უძველესი პროფესია არის და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ადრეულ ეპოქებში არსებულ ნადირობასა და დღევანდელი ნადირობის შინაარსსა და პრინციპებში უდავოდ არსებობს განსხვავება. მთავარი განსხვავება ისაა, რომ დღეს ნადირობა, როგორც ითქვა, არ წარმოადგენს მთავარ და გადამწყვეტ საარსებო წყაროს. თუმცა, დღესაც არსებობენ ზოგიერთი ჯუნგლებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ტომები, მაგ. პიგმეები, ბუშმენები, რომელთაც ნადირობითა და მცენარეთა შეგროვებით გააქვთ თავი.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ნადირობა სრულიად განსხვავებულია თავისი მეთოდებით, მიზნითა და სანადირო საშუალებებით. დღეს მონადირე შეიარაღებულია უნიკალური თოფებით, ოპტიკურ სამიზნეებიანი იარაღით შესაძლებელია შორ მანძილზე ზუსტი სროლა, მძლავრი ხედვის დურბინდით ნადირის დანახვა და ჯოგში სასურველი ეგზემპლარის მონახვა და სხვ. მაგრამ არის ერთი დაბრკოლებაც, რაც მონადირისაგან მოითხოვს დიდი ენერგიის დახარჯვას: ნადირი კატასტროფულად შემცირდა, ტყეები გაკაფულია, თავის შეფარებას მოკლებული ცხოველები მიუვალ ადგილებს ეტანებიან და მათი მონახვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. თანაც არსებობს თავისუფალი ნადირობის შემზღუდავი კანონები, ბიუროკრატიული ცენზურა და სხვ.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ დღეს მოქმედებენ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები, რომლებიც ფხიზლად მეთვალყურეობენ, რათა დაცული იქნეს ცხოველთა ინტერესები. ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს, რომ ცხოველთა დაცვაზე მეტი ფული იხარჯება, ვიდრე ადამიანთა ყოფის გაუმჯობესებაზე. მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს, ევროპაში კი შინაური ძაღლები ისეთ ფუფუნებაში ცხოვრობენ, პირდაპირ შეშურდება კაცს მათი ბედი. თემას გადავუხვიეთ,

თუმცა არცთუ მთლად. მკაცრი ზამთრის პირობებში გარეულ ნადირზეც ზრუნავს სახელმწიფო, საკვები (თივა, კომბინირებული საკვები და სხვ.) მიაქვთ ტყეებში და ნადირს უყრიან. თუ დაავადებული ნადირი შეხვდებათ, დასაძინებელ ტყვიას ესვრიან და დაძინებულს მკურნალობენ. მეტიც, ანტიბიოტიკურ ვაქცინასაც უკეთებენ, რათა დაავადებისგან დააზღვიონ. მიუხედავად ამისა, მონადირეთა რიცხვი კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება. არსებობს სპეციალური ტელეგადაცემები ცხოველთა დაცვის შესახებ, სადაც მინახავს მეთევზეები, რომლებიც ანკესებით იჭერენ თევზებს და მერე წყალში უშვებენ. ასეთი ნადირობა ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნადავლი არ არის დღეს მონადირისათვის თვითმიზანი, არამედ ნადირობის პროცესი, უფრო ხშირად, არის გატაცება.

ნადირობის დროს მონადირე, უპირველეს ყოვლისა იკაჟებს სხეულს, ეჩვევა სიძნელეების გადალახვას, ითვისებს სწრაფი და ზუსტი სროლის ჩვევას, იძენს სწრაფი რეაგირების, დაკვირვების უნარს, მგრძნობელობას, ამხანაგის ერთგულებას, გაჭირვებაში თანადგომას და სხვა ისეთ თვისებებს, რომლებიც ვაჟკაცობის აუცილებელი საწინდარია. მონადირე ღირსეული, გამბედავი, კეთილშობილი, რაინდული ბუნების მატარებელი ადამიანია და, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, საჭიროების დროს შესაშური მეომარი დგება, რადგან ნადირობა მასში აყალიბებს მებრძოლის თვისებებს.

თუ გადავხედავთ ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ სწორედ მონადირეები იყვნენ საომარი კონფლიქტების დროს არმიის ავანგარდში, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მზვერავისათვის დამახასიათებელი თვისებებით. მართლაც, ნადირობის დროს ხდება ნადირის დევნა, ხოლო მის კვალზე მიყოლა არის წარმატების საწინდარი. მონადირე კვალმაძიებელია, აკვირდება გარემოს, ყურადღებას აქცევს უმნიშვნელო დეტალებსაც კი და სწავლობს ყველა წვრილმანს. სწორედ მზვერავისათვის აუცილებელი თვისებები გააჩნია მონადირეს და იყენებს კიდეც ამ ცოდნას ახალ გარემოში.

მონადირე ტომების, მაგალითად, ამერიკელი ინდიელების ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი მეომრული ღირსება განპირობებული იყო სწორედ ნადირობის დროს შეძენილი

თვისებებით. ინდიელი ახალგაზრდები იზრდებოდნენ ისეთ გარემოში, სადაც ნადირობა და მეომრობა განუყოფელი იყო მათ ცხოვრებისგან. აფრიკის ერთ-ერთი მეომარი ტომი, მასაის ტომი განთქმული იყო მამაცობით და გამძლეობით. ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მათ ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ რკინის წრთობის ხელოვნებისთვის, ისინი შუბისა და ისრების ბუნიკებს აკეთებდნენ თვითნაბადი რკინის ნაჭრებისგან. მართალია, ეს ბუნიკები რბილი იყო, მაგრამ ისეთი ხელოვნებით ისროდნენ, რომ სპილოს, გარეული კამეჩისა და მარტორქის სქელ ტყავს ხვრეტდნენ. მასაის ტომის მამაკაცები ალყას შემოარტყამდნენ ლომების პრაიდს, უშიშრად ესხმოდნენ თავს და არასოდეს აქცევდნენ ზურგს თავდამსხმელ ლომს. ლომისგან გაფატრულს ერთი კვნესაც არ აღმოხდებოდა ხოლმე. სწორედ ნადირობაში იწრთობოდნენ განუმეორებელ მეომრებად მასაის ტომის მონადირეები.

ვინც გაცნობია ჩემს მწირ შემოქმედებით მოღვაწეობას, ალბათ, შენიშნავდა, რომ ვწერდი მხოლოდ იმ საჭირბოროტო თემებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ჩემს ხალხს, პანკისელ ქისტებს, ჩვენს საქართველოს და სრულიად კავკასიას. ჩემი მიზანი იყო, დამენახვებინა საზოგადოებისათვის, თუ საიდან მოვედით, სად ვდგავართ და საით მივიწევთ. ამის ცოდნა და იმის გათვალისწინება, თუ რა საფრთხე გვემუქრება და როგორ დავიცვათ ჩვენი მცირერიცხოვანი ეთნოსის უსაფრთხოება, იყო ჩემი მიზანი და ამ ყველაფერს ემსახურებოდა ჩემი მოღვაწეობა. თუ რამდენად შევძელი ეს, სხვა საკითხია. ამას ვამბობ იმისთვის, რათა მკითხველმა იცოდეს, თუ რატომ არის ძირეულად განსხვავებული ნადირობის თემაზე დაწერილი წინამდებარე წიგნი.

თავი არასდროს ჩამითვლია პროფესიონალ მონადირედ, უბრალოდ, მოყვარული მონადირე ვიყავი, მაგრამ ძალიან მიტაცებდა მთა და მთაში ხეტიალი, ძალიან მიყვარდა და დღესაც მიყვარს ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა, მასზე დაკვირვება. და რაც ყველაზე მთავარია, მიყვარდა ნადირობა, ბავშვობიდან მიყვარდა იარაღი, თოფიანი კაცი იყო ჩემთვის იდეალი და კუდში დავდევდი უფროს მონადირეებს და დიდი მადლობელიც ვარ მათი, რადგან არ მიშლიდნენ მათ ახლომახლო ტრიალს.

თურმე სიბერეში უფრო გახსოვს ადრინდელი, ბავშვობის, სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის დროინდელი ამბები და თავგადასავლები. ყოველთვის მახსოვდა ჩემი მონადირული თავგადასავლები, მაგრამ როცა დავვინვალიდდი და სამუდამოდ მოვწყდი მთას, მოგონებები მძაფრად მომაწვა. როცა ძლიერი ტრავმის შემდეგ მთელი წელი ვიწექი პირაღმა, როცა აუტანელი ტკივილები მუდმივად მქონდა, ვცდილობდი, მოგონებებით გავთიშოდი გაუსაძლის ყოფას, ხშირად მახსენდებოდა სწორედ ნადირობასთან დაკავშირებული ჩემი ცხოვრების ეპიზოდები და მაშინ მივხვდი, თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა ჩემს ცხოვრებაში ბუნებას, მთას, ნადირობას.

როცა უძილო, ტკივილებისგან გამწარებული იგონებ განვლილ ცხოვრებას, როცა ახდენ შეფასებას, ძლიერ სინანულს განიცდი დაშვებული შეცდომების გამო, ებღაუჭები იმ საოცარ მოგონებებს, სიამოვნებას რომ განიჭებს. ასეთი მოგონებები ჩემთვის ჩემი მონადირული ეპიზოდები აღმოჩნდა და ერთხელაც, დამებადა სურვილი მომეთხრო ისინი მკითხველთათვის, მაგრამ ყოველთვის მიპყრობდა აზრი: ეს ხომ ჩემი პირადი ცხოვრებაა, შეიძლება საკმაოდ ბანალურიც, ვის რაში აინტერესებს, ან ვის რაში გამოდგება-მეთქი. მერე და მერე, გრძნობების დიდი ჭიდილის შემდეგ გადავწყვიტე აღმეწერა ჩემი მწირი, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი მოგონებები. ვიფიქრე, ამას ჩემთვის გავაკეთებ, ამ ერთხელ მივცემ თავს უფლებას, ვწერო ჩემი სიამოვნებისათვის.

როცა წერა დავიწყე, ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ პატარა წიგნით მონადირე მკითხველმა შეიძლება, რაღაც მისთვის საინტერესო ნახოს კიდეც. მართლაც, თუ ნაწარმოებს რაიმე სარგებელი არ მოაქვს, ეს ცუდი, არაფრისმთქმელი ნაჯღაბნი იქნება. შესაძლებელია, ეს უბრალოდ თავის გასამართლებელი ნაფიქრალიც იყოს, მკითხველი თავად ჩაწვდება ჩემს გრძნობებში და სწორად განსჯის.

ნადირობის დროს ჩემი პარტნიორები უმთავრესად ქისტები იყვნენ, ჩემი უახლოესი მეგობრები და ჩვენი საუბარი იუმორით იყო ხოლმე გაჟღენთილი. ძალიან ძნელია ქისტური იუმორის, რომელიც განსაკუთრებული სისხარტით გამოირჩევა, ქართულ ენაზე

გადმოცემა. საერთოდაც, მშობლიური ყოფა-ცხოვრების, მენტალიტეტის, ზნე-მორალისა და სხვა ღირებულებების გადმოცემა არა მშობლიურ ენაზე ძალზე ჭირს. ისიც ხომ ნათელია, რომ ყველაზე საუკეთესო ნათარგმნიც კი ვერ შეცვლის ორიგინალს, ამიტომაც არის, რომ მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არც კი ვცდილვარ შემექმნა მხატვრული ნაწარმოები ქისტების ცხოვრებაზე. წინამდებარე მოგონებებშიც ზოგიერთი გამოთქმა თუ წინადადება ქისტური სიტყვებით გადმოვეცი, რათა ქისტი ეროვნების მკითხველისათვის გასაგები და ახლობელი ყოფილიყო. ცხადია, ეს ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის უცოდინარი მკითხველისათვის ცოტა უხერხული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ფრჩხილებში მოცემულია თარგმანი. ვიმედოვნებ, რომ ქართველი მკითხველი შეიწყნარებს ავტორის ასეთი წერის მანერას, რამეთუ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად გამორიცხულია ურაპატრიოტიზმი.

მონადირეებო! უპირველეს ყოვლისა, იყავით ჰუმანურნი, გაითვალისწინეთ რომ ნადირ-ფრინველიც ღმერთის შექმნილია და მოერიდეთ მათ უმიზნო და მასობრივ ხოცვას.

იარაღის სიყვარული

იარაღის სიყვარული ბავშვობიდანვე დამყვა. ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ხისგან ვაკეთებდი დამბაჩებს, რომელთაც შეეძლო ზიანის მიყენება გარშემო მყოფთათვის. ხისგან გამოვჩორკნიდით ხოლმე დამბაჩას, შემდეგ ხის ლულაზე ვამაგრებდით თოფის გასროლილ მასრას, რომელსაც ფუძის ახლოს, გვერდზე პატარა ნაჩვრეტს ვუკეთებდით, სადაც ვათავსებდით ასანთის ღეროს ისე, რომ მისი თავი ხურავდა ამ ნაჩვრეტს. დამბაჩის დატენვა შემდეგნაირად ხდებოდა: პირველ რიგში თოფის წამალი ჩაიყრებოდა მასრაში იმ დოზით, რომ მასრაზე გაკეთებულ ნაჩვრეტს ასცილებოდა, წამალი ქაღალდის საცობით (თექის საცობი არც გვენახა) დაიცობოდა, შემდეგ ტყვიის საფანტს ან ჩუგუნის ნამსხვრევებს მოვათავსებდით, ზემოდან კვლავ ქაღალდის საცობი კეთდებოდა და დამბაჩაც მზად იყო სასროლად. გასროლაც არ შეიცავდა სირთულეს: ნაჩვრეტთან მიმაგრებულ ასანთის ღერს ჩამოჰკრავდი ასანთს, ცეცხლი ნაჩვრეტით თოფის წამალს გადაეცემოდა და დამბაჩაც იგრიალებდა.

ცხადია, ტყვია ან საფანტი შორს არ მიჰქონდა დამბაჩას, რამდენიმე მეტრზე შეეძლო ეფექტი მოეხდინა. მაგრამ ეს იარაღი არ იყო სანდო, ხშირად მასრა სკდებოდა, ან უკუცემის დროს სწყდებოდა ხეს და საშიშროებას წარმოადგენდა, პირადად ხელები მქონდა ხოლმე დაუმწვარი დენთით აჭრელებუ-

ლი. მიუხედავად ამისა, ათასნაირ ხერხს მივმართავდით ხოლმე ბავშვები დამბაჩის თუ მსგავსად შეკოწიწებული თოფის გასამართად. იმ პერიოდში (მე-20 ს. 50-იანი წლები) სოფელში ჯერ კიდევ იშოვებოდა მწყობრიდან გამოსული კაჟიანი თოფებისა და დამბაჩების ლულები, რომელთა გამოყენებით ვცდილობდით შეგვექმნა იარაღი.

ჩემი იარაღით დაინტერესება შენიშნული ჰქონდათ არა მარტო მშობლებსა და და-ძმებს, არამედ მეზობლებსაც, ბევრი მიშლიდა, უმთავრესად ქალები, მაგრამ მამაკაცები მხოლოდ შენიშვნით, სიფრთხილის დაცვისკენ მოწოდებით კმაყოფილდებოდნენ. უფროსი ძმა ალექსი იარაღის მოყვარული იყო და არ მიშლიდა იარაღობანას, პირიქით, მეხმარებოდა კიდეც.

მე-4 კლასში ვსწავლობდი, როცა ალექსი ციხიდან გათავისუფლდა. ბიძაშვილისთვის ქალის მოტაცებაში მონაწილეობდა და ოთხი წელი მიუსაჯეს. ერთხელაც, როცა აივანზე ვიჯექი და დამბაჩის ასაწყობად ვჯახირობდი, გვერდზე ჩამიარა, მერე შეჩერდა, ჩაიმუხლა, გამომართვა ხის დამბაჩა და შეათვალიერა. მერე დაკვირვებით შემომხედა. უფროს ძმას ვაღმერთებდი და შიშით შევცქეროდი, მეშინოდა, არ ამიკრძალოს შემოქმედებითი საქმიანობა-მეთქი. მან კი მშვიდად მითხრა:

– აბა, ერთი წამომყევი, რაღაც მეგულება შენთვის.

მაშინვე წამოვხტი და გავყევი. ორსართულიანი სახლი გვქონდა მაშინ, იმერლების მიერ 1936 წელს აშენებული, დაბლა ქვითკირის სართული იყო, მაღლა კი ცაცხვის ფიცრული ოდები, გარშემო აივნებით. აღმოსავლეთის აივანი აგურით იყო ამოშენებული და პატარა ოთახი იყო მოწყობილი, ჩრდილო კედელთან ბუხარი იყო მიშენებული. ამ ოთახს არ ვხმარობდით.

ალექსი შევიდა ამ ოთახში, პირდაპირ ბუხრისკენ გაემართა, ხელი შეჰყო საკვამურში, კარგა ხანს აფათურა და შემდეგ კმაყოფილი სახით შემომხედა. მან ბუხრიდან ჩვრებში შეფუთული, მჭვარტლით დაფარული რაღაც საგანი გამოიტანა.

ინტერესით შევყურებდი, ცახცახმა ამიტანა, ვგრძნობდი, რომ რაღაც საოცრება უნდა მომხდარიყო. არ ვიცოდი, რა იდო

ამ ჩვრებში, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა ყოფილიყო. ამას მახვედრებდა ალექსის იდუმალებით მოცული სახე, რომელზედაც ღიმილი და რაღაც მოგონებები იხატებოდა.

ალექსანდრემ გადაფერთხა მჭვარტლი, ფრთხილად შემოაცალა ჩვრები, მერე სუფთად შენახული მატერია და გამოჩნდა დოლიანი რევოლვერი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იდო ბუხარში, მაგრამ არ დაჟანგულიყო და შავი ფერი არ დაეკარგა.

საოცრად ლამაზი იარაღი იყო, იმ სისტემის იარაღი შემდეგშიც კი, როცა თითქმის ყველა სახის (იმ დროს პანკისში არსებული) იარაღთან მქონია საქმე, არ შემხვედრია. დიდი ზომის არ იყო, დაახლოებით დოლურიანი ნაგანის სისტემის რევოლვერს ჰგავდა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც იყო: ნაგანს გლუვი ლულა აქვს, მას კი კუთხვილი ლულა ამშვენებდა. დოლურიც ნაგანისგან განსხვავებით ექვსვაზნიანი იყო, თანაც საკმაოდ მსხვილი კალიბრის, რუსული შაშხანის ვაზნა თავსდებოდა, ოღონდ მასრა შევიწროების ადგილას უნდა გადაჭრილიყო და ფუძესთან, სადაც ყველაზე ფართოა, ცოტათი გადაქლიბვა იყო საჭირო. დოლურიც ლამაზი იყო, ტარი ჩუქურთმებით დამშვენებული ხით იყო მოპირკეთებული.

ერთი სიტყვით, მზეთუნახავი იყო. პირდაღებული ვუყურებდი ამ საოცრებას. ალექსიმ დოლური გადახსნა, ექვსივე ვაზნა გასროლილი იყო, მასრები შიგ დოლურში ჩაჭედილიყო, ვერაფრით შეძლო ამოღება, მომაწოდა და მითხრა:

– აი, შენ, ნამდვილი იარაღი, დღეიდან შენია, მაგრამ ფრთხილად ატარე, გარეთ არ გაიტანო და მეორედ არ ამომაყოფინო ციხეში თავი. და კიდევ – არასოდეს დაუმიზნო იარაღი გარშემომყოფთ არც დატენილი და არც დაუტენავი. ეს არის პირველი წესი იარაღთან მოპყრობისა, ეს კარგად დაიხსომე.

ბედნიერებისგან ხმა ვერ ამოვიღე, გამოვართვი რევოლვერი და თვალცრემლიანი დავყურებდი, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ლამაზი იარაღი ჩემი იყო, ვათვალიერებდი და უსასრულოდ შემეძლო მისი ცქერა. ადრეც, როცა წამოვიზარდე მაშინაც და

ახლაც კარგ მეიარაღედ ვთვლი თავს, ახლაც სიყვარულით ვიხსენებ ჩემს პირველ ნამდვილ იარაღს. კარგად არც მახსოვს, რომელი სისტემისა და რომელი ქვეყნის გამოშვება იყო. ალბათ, უფრო კოლტის ან სმიტ-ვენსონის ტიპისა, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი. ცხადია, ძველი გამოშვების იარაღი იყო, მაგრამ ნახევრად ავტომატური, თითს გამოსწევდი, დოლური ტრიალებდა და დამცემი ჩახმახი მომდევნო ვაზნას ეცემოდა. კოლტის სისტემის ძველი გამოშვების რევოლვერის ჩახმახის ფეხზე შეყენება და დოლურის ტრიალი ცერის საშუალებით ხდებოდა. ჩემი ექვსვაზნიანი რევოლვერი კი გაუმჯობესებული იყო, თანაც დატენის დროს დოლური ბუდიდან გვერდზე კი არ ინაცვლებდა, დოლურის გვერდიდან დამცველი იხსნებოდა, ატრიალებდი დოლურას და ისე ტენიდი.

ერთი სიტყვით, დიდებული იარაღი იყო. ხმარების წესები ძმამ ამიხსნა, აგრეთვე ამიხსნა, თუ როგორ უნდა დამეტენა ვაზნები. უცბად ისევ წავიდა ბუხრისკენ, ისევ აფათურა კარგა ხანს ხელი საკვამურში, კვლავ მომცრო ფუთა გამოიღო და გახსნა. მასში ხის პატარა კოლოფი იყო, საიდანაც ჩემი რევოლვერის ყალიბის გადაჭრილი მასრები, მთლიანი ვაზნები და მრგვალი ტყვიები ამოიღო. თან ამიხსნა, როგორ დამემზადებინა ვაზნები და მარტო დამტოვა ჩემს სიმდიდრესთან ერთად.

ის დღე იყო და დამთავრდა კიდეც ჩემი ბავშვური თამაშობები ხის იარაღებთან, თუმცა მშვილდ-ისარი და „რაგატკა“ კიდევ კარგა ხანს დარჩა ჩემს არსენალში. ახლა უკვე მოზრდილ მეზობელ ბიჭებთან მქონდა მეგობრობა. რევოლვერის წყალობით მათ თავიანთ წრეში მიმიღეს.

მეორე ფაქტორი, რომელმაც ასაკით უფროს მონადირეებთან დამაკავშირა, იყო ორლულიანი, 16-კალიბრიანი სანადირო თოფი, რომელიც ალექსის აჩუქა ზემო მაჩხაანელმა ციხის მეგობარმა რამან ტოკლიკიშვილმა. ის ჩემს ძმასთან ერთად იმ სამეულში შედიოდა, რომელთაც მოახდინეს ხირსის პატიმართა ბანაკში ორგანიზებული სისხლიანი ამბოხი ქურდების წინააღმდეგ, რასაც რამდენიმე ქურდის სიცოცხლე შეეწირა.

თოფი ღილაკიანი („კნოპკიანი“) დამცველის მქონე იყო და დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. თოფის გამხსნელ-დამკეტი სახელურის უკან მოთავსებული იყო ღილაკი, რომლის ცერა თითით წინ წაწევის შემდეგ დამცველი იხსნებოდა და სროლისთვის მზად იყო. ხშირ შემთხვევაში, უყურადღებობით, ღილაკის გადაადგილება შეუმჩნეველი რჩებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფრინველს ეპარები, მოხსნი დამცველს, მაგრამ ამ დროს თუ ფრინველი სხვა ტოტზე გადაფრინდა, აზარტში შესულ მონადირეს ავიწყდება დამცველის უკან გადმოწევა, კვლავ ეპარება და ამ დროს გაუფრთხილებლობით შეიძლება თოფი გავარდეს. ჩახმახიანი ორლულიანი თოფი უფრო საიმედოა, ჩახმახს მოზიდავ ცერით, ფეხზე დააყენებ და ნათლად ჩანს თოფის საბრძოლო მდგომარეობა.

ამიტომ იყო, რომ ამ თოფს მარტოს არ მატანდნენ, მაგრამ მე ყოველთვის ვახერხებდი მისით სარგებლობას. ბოლოს და ბოლოს, ნება დამრთეს, თავისუფლად მეტარებინა. იმ პერიოდში (გასული საუკუნის 50-იანი წლები) მზა ვაზნები (ქარხნული) იშვიათობა იყო, რეგიონებში მათ არც ხმარობდნენ, თითბრის მასრები, ამფეთქებლები („ფისტონი“), თოფის წამალი და საფანტი იყიდებოდა და თავად ვამზადებდით ვაზნებს. ცხადია, თოფის წამლის საზომი, თექის საცობები და ვაზნის დამზადებისათვის საჭირო ხელსაწყოები არ გაგვაჩნდა, მათი შეძენისათვის ფულიც არ გვქონდა, მაგრამ ბიჭები ვარაუდით, თვალზომით ვტენიდით მასრებს და ვნადირობდით ფრინველებზე.

ხშირად, როცა ტყვიის საფანტი არ გვქონდა, ჩუგუნის გადაგდებულ ქვაბებს ვპოულობდით, ქვით ვამსხვრევდით წვრილ ნაწილაკებად და საფანტის მაგივრად ვიყენებდით. სხვათა შორის, ჩუგუნის „საფანტი“ ძალიან ეფექტური იყო, განსაკუთრებით ბეღურების გუნდს რომ ვესროდით ხოლმე. მაგრამ თოფს აფუჭებდა, ლულას ხაზავდა, რომელიც ხშირი წმენდის მიუხედავად იჟანგებოდა. მაშინ თოფის ლულები მოკალული არ იყო.

ტყვიას ასე თუ ისე ვშოულობდით, ვადნობდით, წითელ მიწაში გაკეთებულ ყალიბებში ვასხამდით და საჭირო ფორმის

მსხვილ თუ წვრილ საფანტს, საჭირო ყალიბის მსხვილ ტყვიას („ჟაკანს“) ვამზადებდით.

აღნიშნულ პერიოდში, ქისტებში, ნიშანში სროლა ძალიან პოპულარული იყო. ახალგაზრდობა იკრიბებოდა და ვისაც ჰქონდა, საკუთარი თოფიდან ისროდა. დიდი გნიასი და ხმაური იდგა, მაგრამ, როცა რომელიმე თოფს დაუმიზნებდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე. როგორც კი თოფი გავარდებოდა, ყველა სანიშნისკენ გარბოდა, ატყდებოდა ერთი აურზაური, მოწონების შეძახილები ან დამცინავი ხორხოცი. ბოლოს მსროლელიც მივარდებოდა და თუ ააცდენდა, დაღვრემილი განზე გადგებოდა.

ყოველთვის მაოცებდა, რატომ განიცდიდნენ ასე მძიმედ ქისტები სროლაში მარცხს. მათთვის ნამდვილად დიდი ტრავმა იყო ნიშანში სროლის დროს დამარცხება, ეს სათაკილოდ მიაჩნდათ და ვარჯიშში უამრავ ტყვია-წამალს ხარჯავდნენ, რათა მარჯვე სროლაში დახელოვნებულიყვნენ. ანდაზად იყო ქცეული, რომ ერთმა ჯოყოლოელმა კაცმა საკუთარ ეზოში მდგომი მუხა წააქცია ნიშანში გამუდმებული სროლის შედეგადო. მე ვფიქრობ, რომ ეს სიმართლეა, რადგან გრძელი რუსული შაშხანა განსაზღვრულ მანძილზე მორჩილ წიფელს ხვრეტს. მართლაც, ძალიან უსიამო გრძნობას განიცდი, როცა მიზანს ააცდენ. რამდენიმე მარცხს ხომ პირდაპირ წონასწორობიდან გამოჰყავს კაცი, მწარე სინანულის გრძნობა დიდხანს გასდევს მონადირეს.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ შეჯიბრში მეც ვიღებდი მონაწილეობას. სოფლის განაპირას, ალაზნის მხარეს, ჩვენი სახლიდან ჩრდილოეთით 200-მდე მეტრის დაშორებით იდგა მამაჩემის აშენებული ახალთახალი წისქვილი. წისქვილი გაფორმებული იყო შუა ხალაწნის კოლმეურნეობის სახელზე, მაგრამ მამაჩემის საკუთრება იყო, მეწისქვილე ჰყავდა დაყენებული და და ამუშავებდა. შემდეგ უჩივლეს და ჩამოართვეს. იდგა ასე მიტოვებული ეს წისქვილი და კარგი სამიზნე იყო მსროლელთათვის. ფიცრებზე ცარცით ან ნახშირით წრეს შემოვხაზავდით და ვესროდით. თითქმის მთლიანად იყო დაცხრილული აღმოსავ-

ლეთის ფიცრული კედელი, ხელის დადების ადგილიც კი არ იყო ნატყვიარის გარეშე, ექვსსანტიმეტრიანი ფიცრები სხვადასხვა ყალიბის ტყვიით იყო დაჩვრეტილი.

მართალია, ასეთი სახის სროლებში კარგად გავიწაფე, მაგრამ ერთი ნაკლიც გამომყვა, რაც დიდი მინუსია მონადირისთვის. ვერაფრით შევძელი შემდეგში მოძრავ მიზანში სროლის ტექნიკის ათვისება. ისე შევეჩვიე უძრავ მიზანში სროლას, რომ ძალიან გამიჭირდა ამ სფეროდან გამოსვლა. როცა წამოვიზარდე, დავდიოდი მწყერზე, ქედნებზე სანადიროდ, რამდენი ვაზნა დამიწვავს, მაგრამ ვერ მივაღწიე სასურველ შედეგს. მთაში ნადირობის დროს ხშირად უწევს მონადირეს სწრაფად რეაგირება, თითქმის დაუმიზნებლად, ინტუიციით სროლა გაფრენილი ნადირისათვის. აქ წამებზეა დამოკიდებული წარმატება, სწრაფ რეაქციას მოითხოვს და გაქცეულ, ნახტომებით მფრინავ არჩვს უნდა მიაყოლო ტყვია.

ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული იარაღზე – თოფს კარგად უნდა იცნობდეს მონადირე, უნდა იცოდეს, რომელ ნადირზე რა სახის თოფით უნდა ინადირო. საკუთარი თოფი მონადირეს უნდა ჰქონდეს შემოწმებული, ნიშანში სროლით უნდა დაადგინოს, საით იწევს ტყვია და ამის მიხედვით უნდა გაასწოროს სამიზნე. ძველი გამოშვების შაშხანებსა და უხაზო საფანტიან („ცენტრალკა“) თოფებს ვერ გაასწორებ, მაგრამ გეცოდინება, სროლის დროს საით უნდა დაუმიზნო ნადირს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილმდებარეობას. მაგალითად, ჩემს პრაქტიკაში ბარში ვერტიკალურად მაღლა (ხის კენწეროზე) სროლის დროს ტყვია ზუსტად მიდის, ვიდრე ჰორიზონტალურად. ვფიქრობ, ეს გამოწვეული უნდა იყოს ტყვიის ტრაექტორიაზე. როცა ჰორიზონტალურად მიქრის ტყვია, გაივლის რკალისებურ ტრაექტორიას და თუ თოფზე არ არის დამონტაჟებული მარეგულირებელი სამიზნე, ძნელია ზუსტი სროლა. როცა ვერტიკალურად მიქრის ტყვია, ტრაექტორიის მრუდე მცირეა, მერე რაც უფრო მაღლა მიდის, ჰაერი გაიშვიათებულია და წინააღმდეგობაც ნაკლებია.

ეს განსაკუთრებით შეინიშნება მთაში, როცა 2000 მეტრზე (ზღვის დონიდან) იმყოფება მონადირე. ასეთ სიმაღლეზე ჰაერი გაიშვიათებულია, ტყვიისადმი წინააღმდეგობა ნაკლებია და სროლაც ზუსტია, მაგრამ აქაც არ იცი, რა ადგილიდან მოგიწევს სროლა, რა კუთხით ისვრი, ხევში ხარ, კლდეებში თუ გაშლილ მინდორზე. ერთი სიტყვით, ყველაფერი დამოკიდებულია მონადირის პროფესიონალიზმზე, იარაღის გამართულობაზე.

როგორც აღვნიშნე, იარაღი ბავშვობიდან მიტაცებდა. ჩემი ოცნება იყო, მქონოდა შაშხანა („ვინტოვკა“) და პისტოლეტი „ტეტე“ (TT). ეს ორი იარაღი მიმაჩნდა იარაღების ეტალონად და დღესაც ასე ვფიქრობ. მონადირისთვის ყველაზე კარგი მუსიკა თოფის ჭახანია და ყველაზე სასიამოვნო სუნი დენთის „სურნელია“. ხოლო „ვინტოვკისა“ და „ტეტეს“ გაგრძელებულ გრიალს არც ერთი იარაღის ხმა არ შეედრება.

სკოლაში სამხედრო გაკვეთილები გვიტარდებოდა. სამხედროს გვასწავლიდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე წინუბნელი ვალოდია ნანიევი, რომელსაც მოსწავლეები „პიტის“ ვეძახდით, ცხადია, ზურგს უკან. თოფის ყალიბების ახსნისას ხშირად ხმარობდა რუსულ სიტყვა „პიატის“ ფორმა „პიტი“-ს და აქედან დაარქვეს „პიტი“. თავისი საქმე კარგად იცოდა, ბუნებითაც კარგი კაცი იყო და გულმოდგინედ ვსწავლობდით მის გაკვეთილებს, განსაკუთრებით მე და ჩემი სულიერი მეგობარი ნადირობაში დაუდა მარგოშვილი.

კლასში საუკეთესოები ვიყავით „ვინტოვკისა“ და „პეპეშას“ (ППШ) სისტემის მრგვალკოლოფიანი ავტომატის დაშლა-აწყობაში. მასწავლებელ ვალოდიას გაკვეთილები ჩვენთვის დიდი სიამოვნება იყო, განსაკუთრებით ის გაკვეთილები, რომელთა დროსაც სამხედრო კაბინეტებიდან გამოგვქონდა იარაღი და კლასში ვსწავლობდით შაშხანის ნაწილებს, მათ დანიშნულებას, დაშლას, აწყობას, გაწმენდასა და შენახვის წესებს.

როცა მე-10 კლასში გადავედით, თანდათან მომწიფდა იდეა სკოლიდან იარაღის მოპარვისა. ეს იდეა ჩემს გახურებულ თავში დაიბადა და გავანდე ჩემს მეგობარს. დაუდა და მე თითქმის მთელი დღეები ერთად ვიყავით, ზაფხულ-ზამთარ ერთად ვნა-

დირობდით ფრინველებზე, ტყვია-წამალს ერთად ვამზადებდით და იარაღზეც ერთად ვჩხირკედელაობდით. კიდევ ერთი რამ გვაკავშირებდა – ძალიან გვიყვარდა წიგნები, მხატვრული ლიტერატურის კითხვას ვიყავით გადაყოლილები.

დაუდა სიფრთხილით შეხვდა ჩემს იდეას, მაგრამ ისეთი თავდაჯერებული ვიყავი წარმატებაში, რომ შევძელი მოყოყმანე მეგობრის დაყოლიება და დეტალურად გავაცანი ჩემი გეგმა. იარაღის სათავსო მდებარეობდა სკოლის დერეფნის სამხრეთ ბოლოში, აღმოსავლეთის მხარეს. ეტყობა, ადრე აქ კარი გადიოდა ეზოში, შემდეგ ამოაშენეს ალიზის აგურით და მოპირდაპირე კედელს მოაშენეს ორი საკლასო ოთახი. იარაღის საცავის კარები დერეფანში გამოდიოდა, საცავს ოთახი არც ეთქმოდა, ვიწრო საკანივით იყო. კარებს გააღებდი და პირდაპირ ალიზით ამოშენებულ კედელთან იდგა შაშხანის მისაყუდებელი ხის კარკასი და ჩამწკრივებული იყო შაშხანები, ორი კარაბინი და ორიც „პეპეშას“ სისტემის ავტომატი. გვერდით კუთხეში ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, სამოსწავლო ვაზნები, აირწინაღები და სხვა სამხედრო აღჭურვილობა ელაგა. ჩემი გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: დღისით, გაკვეთილების შემდეგ, საკლასო ოთახის (რომელიც მიშენებული იყო იარაღის საცავის მხარეს) ერთ ფანჯარას დაუკეტავად დავტოვებდით, უბრალოდ მიხურული იქნებოდა და გარედან მიწოლით შიგნით გაიღებოდა, ღამე, ასე 12 საათის შემდეგ გადავძვრებოდით ფანჯრიდან, გადავწევდით დაფას, რომელიც ალიზით ამოშენებულ კედელთან იდგა და ნაჯახით დავშლიდით ალიზის აგურებს. მთავარი იყო ერთი აგურის გამოღება, დანარჩენს, ორს თუ სამს, ადვილად გამოვიღებდით. შემდეგ ხელის შეყოფა და შაშხანების გამოღება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ჩამოშლილ აგურის ნაშალს ტომარაში მოვათავსებდით, ჩვრით იატაკს მოვასუფთავებდით, დაფას თავის ადგილზე დავაბრუნებდით და ფანჯრიდან გადმოვიპარებოდით.

ყარაული საშიშროებას არ წარმოადგენდა, რადგან მას სამასწავლებლოში ეძინა. იარაღის საცავის გატეხვის ამბავსაც გვიან გაიგებდნენ, მეორე ორშაბათს, ვინაიდან კვირაში ერთი

გაკვეთილი გვქონდა. ასე რომ ჩვენ არხეინად შეგვეძლო შაშხანების დამალვა და ლოდინი, როგორ ჩაივლიდა ძიება.

კარგი გეგმა იყო, ჩვენზე, მოსწავლეებზე, აბა, ვინ იფიქრებდა, ასეთი დონის ქურდობა შეუძლიათო.

ყველაფერი გათვლილი გვქონდა. შაშხანებს ლულაზე, ვაზნის ბუდეზე სხვადასხვა ყალიბის ბურღით ერთი ნაჩვრეტი იყო გაკეთებული. ამ ნაჩვრეტში ბაბიტის გამდნარ ტყვიას ჩავასხამდით, ვაზნა წინასწარ ექნებოდა პირში მიცემული, რომ გამდნარ ტყვიას დაბლა არ ჩაეღწია. რადგან გაბურღული იყო, ტყვია გვერდით ხაზებშიც შეაღწევდა და მკვიდრად შეავსებდა ხვრელს. შემდეგ სალტეს შემოვაჭდობდით და თოფი მზადყოფნაში იქნებოდა სამოქმედოდ.

ზოგიერთ ჩახმახს ვაზნის ფისტონზე დასაცემი ნემსა გადაჭრილი ჰქონდა, მაგრამ არა ყველას. ზოგი შაშხანა ახალი იყო, ზოგიერთი საკმაოდ გაცვეთილი. ამიტომ შევარჩიეთ ორი ახალი შაშხანა, ჩახმახები სრული ნემსათი ავაწყეთ და წინასწარ დავაწყეთ სადგომზე იმ ადგილას, სადაც ვაპირებდით ხვრელის გაკეთებას, ეს ჩვენთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, როგორც წარჩინებულ მოსწავლეებს, მასწავლებელი გვავალებდა იარაღის გამოტანასა და დაწყობას.

ერთი სიტყვით, კარგად შემუშავებული გეგმა იყო და მის წარმატებით შესრულებაში ეჭვი არ მეპარებოდა.

ღამე დათქმული იყო, ყველაფერი მომზადებული. სადღაც შუაღამისას წამოვდექი ლოგინიდან, ძველმანები ჩავიცვი, ტომარაში ჩავდე ნაჯახი და სატეხი და მივადექი დაუდას სახლს. დათქმულ ნიშანზე ჩემი მეგობარი ზლაზვნით გამოვიდა და როგორც კი შევხედე, გულმა რეჩხი მიყო.

– წავედით, დაუდ, დროა, საქმეს შევუდგეთ.

– დიდი ბოდიში, მაგრამ გადავიფიქრე, ვერ წამოვალ.

– როგორ თუ ვერ წამოხვალ, რას ამბობ, რამ შეგაშინა? – მღელვარებას ვერ ვფარავდი.

– შიში რა შუაშია, ყველაფერი ავწონ-დავწონე, სარისკო საქმეა, გასკდება და დავიღუპები.

– როგორ თუ დაიღუპები? მეც შენთან არა ვარ? საქმეში ხომ ერთად ვართ, თუ ჩავარდა საქმე, ორივე ვაგებთ პასუხს.

ვცდილობ, დავარწმუნო, მაგრამ ძლიერ ვარ შეშფოთებული, ვიცი, ჯიუტი ხასიათი აქვს, თუ ერთი გადათქვა, ძნელია მისი დაყოლიება.

– შენი საქმე სულ სხვაა, – ორჭოფულად ამბობს, ვერ ვხვდები, საით უმიზნებს, მე ვგრძნობ, რომ ამდენი ხნის ნალოლიავები ოცნება მემსხვრევა, საათივით აწყობილი გეგმა მეშლება. ვცდილობ, დავარწმუნო, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ვეუბნები, თუ ჩავარდა გეგმა, ყველაფერს ჩემს თავზე ავიღებ და ა. შ.

– შენ ჯერ პატარა ხარ, ხასოა (ორიოდე წლით იყო ჩემზე უფროსი), შენ ჯერ არ ყოფილხარ მილიციაში დაკითხვაზე და არც კამერაში მჯდარხარ. ჩემს ოჯახს აქვს ამის გამოცდილება. შენც იცი, აბრაგების შენახვის გამო რამდენჯერ ააწიოკეს ჩვენი ოჯახი, ოჯახის წევრები დაჭერილები იყვნენ, ეჭვს მაშინვე ჩემზე მიიტანენ, შავ სიაში ვართ ყველანი შეტანილები, კაცი, ქალი, ბავშვი. შენ რა გიჭირს, ძმები გყავს, ახმეტაში ხელისუფლებას იცნობენ, მაგარი ბიძა გყავს, გამოგიყვანენ.

შემდეგ, როცა ყველაფერი ავწონ-დავწონე, მივხვდი, რომ მართალი იყო. მაგრამ იმ ღამეს არაფრის დაჯერება არ მინდოდა, ვფიქრობდი, რომ მიღალატა და ძლიერ დამწუხრებული დავბრუნდი სახლში. გეგმა ჩაიშალა, სხვას უკვე ვეღარ გავანდობდი. უფროსებისგან გაგონილი მქონდა – თუ სამმა იცის, ქვეყანამ იცის – და ხელი ავიღე ამ საქმეზე.

გავიდა წლები და სანადიროდ მიმავალს შემხვდა კაცი, რომელსაც სამოსწავლო „ვინტოვკა“ ჰქონდა, ნაჩვრეტი კი შედუღებული, მაგრამ ამაზე შემდეგ...

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ განვიცადე ასეთი საგულდაგულოდ და, ჩემი აზრით, უნაკლო გეგმის განუხორციელებლობა, დაუდთან მეგობრობა არ შემიწყვეტია. მით უმეტეს, როცა მეორე თუ მესამე დღეს დაუდმა დამაჯერებლად ამიხსნა, რომ იარაღის გატაცების საიდუმლო ადრე თუ გვიან გამჟღავნდებოდა.

– მომისმინე, ამხანაგო („ლადუაღალ ნაყუასთ“), თოფებს მე და შენ მიწაში ხომ ვერ ჩავმარხავდით, ოქრო ხომ არ არის. სანადიროდ ხომ ოდესმე გავიტანდით და ბევრი თუ არა, ცოტა მაინც მიხვდებოდა, რომ სამოსწავლო თოფები იყო, ხალხში გავრცელდებოდა ხმა მოპარული თოფების შესახებ და მილიციონრების ყურამდეც მივიდოდა, დამიჯერე, სწორად მოვიქეცით, რომ არ გავტეხეთ პიტის კაბინეტი.

მე ვერ დავეთანხმე, ჯერ კიდევ ცხელ გულზე ბოღმა მაწვებოდა, მაგრამ წლების გასვლის შემდეგ, როცა სიყმაწვილემ ჩაიარა და დინჯი აზროვნების დრო დადგა, მივხვდი, რომ დაუდა მართალი იყო და ჩემზე ჭკვიანიც. დღევანდელი გადასახედიდან მადლობასაც ვწირავ უფალს, რომ სწორედ ასე დამთავრდა ეს ჩვენი ყმაწვილური ავანტიურა, თორემ მთელი ცხოვრება რაღაც ხინჯად გამყვებოდა.

მაგრამ იარაღი ძალიან მიყვარდა და ეს არცთუ სასიქადულო გატაცება მთელი ცხოვრების მანძილზე გამომყვა. იშვიათად ყოფილა პერიოდი, როცა იარაღი არ მქონდა, ხან საკუთარი მქონდა, ხან ძმების თუ ნათესავების იარაღს დავატარებდი, უმთავრესად პატარა, ჯიბის იარაღს, პისტოლეტს ან ნაგანს. ცუდი ჩვევაა, ძალიან ცუდი, რაღაც აზარტულ გატაცებას ჰგავს, თითქოს ხელს შეზრდიაო, ისე გიდევს მუდამ ხელი იარაღზე. მით უმეტეს, თუ სმა-ქეიფიც გიყვარს, სიმთვრალეში კაცი დიდ გულზეა, თუ იარაღიც წელზე არტყია, თავი ყარამან ყანთელი ჰგონია და ფათერაკიც ახლოსაა. იარაღს სიფრთხილე უყვარს, რომ იტყვიან, წელიწადში ერთხელ ეშმაკიც ტენის მას და ერთხელაც თითსაც გამოჰკრავს სასხლეტს.

ერთი ცუდი ჩვეულება დამჩემდა: ქორწილებში და დღეობებში სროლა მიყვარდა, ქორწილში უიარაღოდ როგორ წავიდოდი – ხალხმრავალ ადგილებში იარაღის ტრიალი სახიფათოა, ყოველთვის მსაყვედრობდნენ უფროსები ამ მავნე ჩვევის გამო, მაგრამ სიცილით ვამბობდი ხოლმე:

– იარაღთან ვარ შეზრდილი, კარგად მაქვს ათვისებული ხმარების წესები.

მაგრამ ასეთი ტრაბახი და თავდაჯერებულობა სიკეთეს არ მოიტანს და რამდენიმე შეცდომა დავუშვი. ღმერთმა შემიწყალა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ მივხვდი, რომ კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანდა. საბოლოოდ შევეშვი იარაღის წარამარა ტარებასა და ტრიალს.

ძმისწულის ქორწილი იყო. მაყრიონი წავედით პატარძლის მოსაყვანად. პატარძალიც ჩვენი სოფლელი იყო, ა. გუმაშვილის ოჯახში კარგი სუფრა იყო გაშლილი და ქეიფი გაჩაღდა. უფროს ძმისწულს ვუთხარი:

– წადი, ჩემი მანქანის „ბარდაჩოკში“ პისტოლეტი („ტეტე“) დევს, წამოიღე და როცა ვიცეკვებ, ისროლე და მერე ისევ თავის ადგილას მოათავსე. მართლაც, ცეკვის დროს გაისმა „ტეტეს“ გაბმული, სასიამოვნო მჭახე ხმა და გონებაში გავიაზრე, რომ გავარდა ორჯერ თუ სამჯერ.

როცა პატარძალი გარეთ გამოვიყვანეთ, „ტეტე“ დავცხე. ჩახმახი უკან წამოვიდა და გაჩერდა. ეს პოზიცია მაშინ დგება, როცა სავაზნე დაიცლება და სავაზნის ენა, რომელიც ვაზნას მაღლა წევს, ჩახმახს აჩერებს. როცა მანქანაში დავჯექი, საჭის ქვეშ ჩავწიე ხელები, ფეხები განზე გავწიე ყოველ შემთხვევისათვის, მარცხენა ხელის გული ვკარი გამოწეულ ჩახმახს, შევაცურე ბუდეში და დავაცემინე. იგრიალა „ტეტემ“. ქალიშვილებმა, რომლებიც უკვე მოთავსდნენ მანქანაში, წამოიკივლეს, – მანქანაში მაინც ნუ ისვრიო. სახტად დავრჩი, შევცბუნდი, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე, ნაძალადევად გავიცინე და ყასიდად დავაყოლე:

– ეშხიც სწორედ მანქანაში სროლაში მდგომარეობს. დავძარი მანქანა და გვერდით მდგომ ხალხში ერთმა ქალმა დაიძახა:

– ბავშვს პისტოლეტი ესროლე და მიდიხარ?

გაოცებულმა შევხედე და დავინახე მის გვერდით მდგომი 10-12 წლის ქერა ბიჭი, რომელსაც მუცელზე ხელები მიეჭირა და ტიროდა. მაშინვე გვერდზე მივაყენე მანქანა და გადმოვხტი. ერთდროულად მივიჭერით ბიჭთან მე და ქირურგი შერიფა, ჩემი მეგობარი, რომელიც გვერდით მეჯდა, წავავლეთ ხე-

ლი ბავშვს და შევცვივდით ჩემი დეიდაშვილის ახიადას ეზოში. შუშაბანდის კარი ღია იყო, შევედით და იქვე საწოლზე შერიფამ წამოაწვინა, უფრო სწორად, მიაგდო ბიჭი და წამოუწია პერანგი. ბიჭს წითელი ზოლი გასდევდა მთელი მუცლის გაყოლებით, ჰორიზონტალურად. მეგობარმა უხმოდ შემომხედა, თავი გააქნია, ბავშვი წამოაყენა, დაამშვიდა, არაფერი გჭირსო და გარეთ გავიდა.

ნირწამხდარი ვიყავი, ვგრძნობდი, რომ დიდ უბედურებას გადავურჩი, ბიჭს ვუთხარი, ახლავე დავბრუნდები და მანქანისკენ წავყევი მეგობარს. პატარძლის სახლში მიყვანის შემდეგ სწრაფად მოვბრუნდი, ბავშვის მშობელი ვნახე, ავუხსენი, რაც მოხდა და ბავშვთან ერთად ავედით ძმის სახლში, სადაც დიდი ზარ-ზეიმი იყო. მაგრამ ჩემთვის უკვე დამთავრდა ქორწილი, არ იყო სიხარული, ყველაფერი ჩამიმწარდა.

როცა „ტეტეს“ ჩახმახი ბუდეში არ შეცურდა და უკუცემის მომენტში გაჩერდა, მე ვიფიქრე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვაზნებისგან სავაზნე კოლოფი დაიცალა, მაგრამ თურმე ბოლო ვაზნა ლულის სავაზნე ბუდეში გაიჭედა და მან შეაჩერა საკეტი. როცა მე მარცხენა ხელის გული ვკარი ჩახმახზე, დარტყმის შედეგად გაჭედილი ვაზნა ლულაში შეცურდა და „ტეტე“ საბრძოლო მდგომარეობაში დადგა. მე რომ დამეხედა იარაღისთვის, შევნიშნავდი ხარვეზს და ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

საოცარი ის იყო, თუ როგორ გაიარა ტყვიამ ხალხში, მე ხომ იარაღი დაბლა, „ჟიგულის“ ძარის ნავში, მანქანის იატაკის ვერტიკალურად მივმართე. შემდეგ, ფხიზელი გონებით ავწონ-დავწონე, მანქანის ძარის იატაკი დავათვალიერე და ყველაფერი ნათელი გახდა: „ტეტე“ ძლიერი პისტოლეტია, ტყვიას გამჭოლი გამტარიანობა ახასიათებს. ტყვიამ გახვრიტა ძარის იატაკი (შემდეგ დათვალიერებისას აღმოვაჩინე, რომ ძარის გამაძლიერებელ ოთხკუთხა, ე წ. „რამის“ წიბოს მოხვედროდა და გაეჭრა კიდეც. სავარაუდოა, რომ მაშინ შეიცვალა ტრაექტორია), მოხვდა დაბლა გზას, შესაძლებელია ქვიან ადგილას, მიმართულება შეიცვალა, გამოვიდა მანქანის ქვემოდან და ასხლეტილი

მაღლა წამოვიდა და უკვე ძალადაკარგული ხალხისკენ წავიდა. საოცარია, როცა ბიჭის მუცელს შეეხო, დაუწვა კანი, მაშასადამე, ჯერ კიდევ სწრაფად მოძრაობდა და იმდენ ხალხში დაიკარგა, სხვას არავის შეეხო. მართლაც, ალაჰის დიდი წყალობა იყო, რომ ასე ბედნიერად დასრულდა ყველაფერი.

ჭკუის სასწავლებელი მაგალითი იყო, მაგრამ სათანადო დასკვნები ვერ გავაკეთე, სანამ მეორედ არ შევეჯახე ფათერაკს. ღამე ძროხა სახლში არ მოვიდა, ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვნახეთ, თანაც დაღამდა და დილისთვის გადავდე ძებნა. ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, კვლავ წავედი ძროხის საძებნელად და ყოველშემთხვევისათვის, „ტეტეც“ გავიყოლე. მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა მივაგენი, მერე ნახირის მოძებნაც დამჭირდა და მხოლოდ შუადღისას დავბრუნდი შინ.

არ გაუვლია დიდ დროს. სადილობას ვაპირებდი, რომ სამნი მომადგნენ: ჩემი ძმა ომარი, ბიძაშვილი ვისერგი და მეგობარი გოგია. დავსხედით, პური ვჭამეთ და არაყიც დავაყოლეთ. სმის გაგრძელებაზე უარი თქვეს, ქორწილში უნდა წავიდეთ ჯოყოლოში, გრძელი მოსე გვეპატიჟება, მისმა ვაჟიშვილმა ჰამიდამ ჩეჩნეთიდან პატარძალი ჩამოიყვანა და იქ იხდიან ქორწილსაო.

ავედით ჯოყოლოში. ჰამიდა მამასავით მაღალია, პატარძალიც სიმაღლეში არ ჩამოუვარდებოდა, ერთი სიტყვით, შესაფერისი წყვილი იყო. ნეფე-დედოფლის ცეკვის დროს რამდენჯერმე ვისროლე, დამცემი დავუშვი და უკან გადმოწევა დამავიწყდა, იარაღი დამცველის გარეშე მდგომარეობაში წელში გავირჭე.

ცოტა ხნის შემდეგ ტუალეტში გავედი. სამზარეულო უკან, ხეხილის ბაღში მოეწყოთ და ხალხი ტუალეტის გვერდით მიდიმოდიოდა. სიგარეტს მოვუკიდე, რათა დრო მეხელთა და ისე შევსულიყავი ტუალეტში. ტუალეტი ხისა იყო, იატაკიც ხისა ჰქონდა, უეცრად იარაღი დაცურდა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. დაცემისთანავე გავარდა კიდეც. როგორც კი დავწვდი და ავიღე, შევნიშნე, რომ გასროლილი მასრა გამოეგდო, ახალი პირში ჰქონდა მიცემული და „ტეტე“ საბრძოლო

მზადყოფნაში იყო. გასუსული ველოდი, ატყდებოდა თუ არა კივილ-წივილი, ხალხი ხომ ბუზივით ირეოდა ბაღში. გონება სწრაფად მუშაობდა, სწრაფად გამიელვა, რომ თუ უბედურება მოხდა, თავს ვერ ვუშველიდი, რადგან ძმა სუფრაზე იჯდა და ხომ ვერ მივატოვებდი. თუ როგორ მოვახერხებდი მის გაყვანას, არ ვიცოდი, მაგრამ ის კი ვიცოდი მტკიცედ, რომ ვერ მივატოვებდი.

გარეთ უჩვეულო არაფერი მოხდა, მხოლოდ ერთმა ქალმა წაილაპარაკა, კაცმა არ იცის, სად ისვრიანო. ცივი ოფლი მოვიწმინდე, სუფრასთან დავბრუნდი და გოგიას ვუთხარი, ვერა ვარ კარგად, შინ ჩამიყვანე და მერე ამობრუნდი მეთქი. გოგიამ ჩამიყვანა და დავიძინე. დილით კი დავიფიცე, რომ ქორწილში იარაღით აღარ წავიდოდი.

ორჯერ ღალატს არ ვაპატიებდი ჩემს „ტეტეს“, გავყიდე და კარაბინი შევიძინე. გავიდა წლები, მაგრამ „ტეტე“, მისი სროლის ხმა ისევ მომენატრა და კვლავ შევიძინე, მაგრამ უკვე სიფრთხილით ვეკიდებოდი.

ბევრი შემთხვევა მახსოვს, როცა იარაღთან გაუფრთხილებელ მოპყრობას სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა შეეწირა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ომალოელი ახმად (ამა) წუწაშვილის ტრაგიკული სიკვდილი. ახმადი ბრგე აღნაგობის, ვაჟკაცური შესახედაობის, ზრდილი, ქისტურ ადათ-წესებზე აღზრდილი, მეგობრების მოყვარული, სტუმართმოყვარე ახალგაზრდა იყო. ახალი წლის ღამეს ნაქეიფარი სახლში დაბრუნდა, თანასოფლელი თანამეინახე ამხანაგიც ახლდა, გაშლილ სუფრას მიუსხდნენ და ქეიფი განაგრძეს.

სუფრაზე იარაღზე ჩამოვარდა საუბარი, მასპინძელი გავიდა მეორე ოთახში, გამოიტანა შავად მოელვარე „ტეტე“ და თანამეინახეს გადასცა: ნახე, როგორი იარაღიაო. ამხანაგიც ათვალიერებდა პისტოლეტს, საკეტი გააჩხაკუნა და უცბად გავარდა იარაღი.

გაუფრთხილებელმა მოპყრობამ იარაღისადმი შეიწირა ახალგაზრდა კაცი, რომელიც სოფლისთვის, თავის ხალხის-

თვის გამოსადეგი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, რომ იტყვიან, კაი ყმა იყო, ისეთი, რომელზეც ძველებმა თქვეს:

„კარგ ყმასა შურობს სოფელი,
იტყვიან: „კარგი რად არი!“
საქმე რომ გაუჭირდებათ,
ყველა იბარებს: „სად არი?!“

იმავე სოფელში იარაღის გაუფრთხილებლად გამოყენებამ ტრაგედია გამოიწვია. მოსიყვარულე ბიძა-ძმისწული სუფრაზე ისხდნენ, უფროს-უმცროსის კვალობაზე ერთმანეთის პატივისცემაში იყვნენ, რომ ძმისწულმა წელიდან „ტეტე“ დააძრო და თავი მოიწონა ბიძის წინაშე. პისტოლეტის თვალიერებასა და სინჯვაში ძმისწულს გაუვარდა იარაღი და ბიძა სიცოცხლეს გამოასალმა.

მართალია, ორივე შემთხვევაში სისხლის ძიება არ დაწყებულა, ქისტები შემთხვევით მომხდარ მკვლელობას პატიობენ და ამ ტრაგიკულ მკვლელობებს არ მოჰყოლია შურისძიება, მაგრამ ორი ახალგაზრდა კაცი გამოაკლდა სოფელს, უდროოდ ჩავიდა საფლავში.

დაჭრა, დასახიჩრება თან სდევს იარაღის გაუფრთხილებლად ხმარებას, ამიტომ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ იარაღი ცთუნებაა, რომ სატანა, ღვთისგან განდგომილი, ჩასაფრებულია, რათა ადამიანს შეცდომა დააშვებინოს.

იარაღი ისე მიყვარდა, რომ მისი გულისთვის კომპარტიაშიც კი შევედი. მამაჩემს საბჭოთა წყობილება ეჯავრებოდა. ჯერ იყო, წისქვილი ჩამოართვეს, მერე ვაჭრობაშიც ზღუდავდნენ, ხელოსნობაშიც ხელს უშლიდნენ, ერთი სიტყვით, ვერ ეწყობოდა დიდ პარტიას, დიდი ბელადიც ეჯავრებოდა და როგორც მამის ნაბოლარა შვილი, მეც ვიზიარებდი მის შეხედულებებს, მაგრამ კომპარტიაში მაინც შევედი, რისი მიზეზიც სწორედ იარაღი გახდა.

საბჭოთა წყობილების დროს იარაღზე მკაცრი კონტროლი იყო, უნებართვო იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში ციხეს უს-

ჯიდნენ. მართალია, ქისტები იარაღის გარეშე ვერ ძლებდნენ, ხეობაში ყველა სახეობის იარაღი იყო, მაგრამ რეპრესიებიც მკაცრი იყო. ამიტომ იარაღის შენახვა პრობლემა იყო. რას არ ვიგონებდი იარაღის დასამალად, მაგრამ ყოველთვის შიშში ვიყავი, აი, ახლა მომადგებიან-მეთქი. დიდი ფიქრის შემდეგ გამოსავალიც მოვნახე; რაიკომის ბიუროს ნებართვის გარეშე ძალოვნებს პარტიის წევრის გაჩხრეკის უფლება არ ჰქონდათ. პარტიის წევრს იმუნიტეტი იცავდა, თუ, რა თქმა უნდა, დანაშაულს არ ჩაიდენდა.

სწორედ ამიტომ შევედი სკკპ-ს რიგებში და, სხვათა შორის, მაშინვე დავტოვე კომპარტია, როგორც კი საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო. ჯერ გავაუქმე სკოლის პარტიული ორგანიზაცია (უკვე მდივანი ვიყავი) და მერე ჩემი ორგანიზაციის პარტიის წევრებთან ერთად დავტოვე კომპარტიის რიგები.

პანკისში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ძირითადად უცხოური იარაღი (თურქული, გერმანული, ავსტრიული) ჰქონდა ხალხს. გაბატონებული მდგომარეობა იარაღში მაინც რუსულ შაშხანას ეკავა – რუსული წარმოების დოლურიან რევოლვერს („ნაგანს“) და „ტეტეს“. „ტეტე“ იშვიათობას წარმოადგენდა, ყველაზე საიმედოდ ითვლებოდა „ნაგანი“; „ნაგანი“ – 7 ვაზნიანი რევოლვერი, მართლაც, იმედიანი იარაღი იყო. ჯერ ერთი, ვაზნის სიყალბის (არ აფეთქდა წამალი) შემთხვევაში მაშინვე გადადის ახალ ვაზნაზე. თვითმტენი პისტოლეტის გაყალბებული ვაზნა საკეტის (ჩახმახის) მოძრაობით უნდა გამოაგდო და ახალი ვაზნა უნდა მისცე ლულაში. ეს კი საკმაო დროს გართმევს, რაც შეიძლება ბრძოლის დროს სიცოცხლის ფასად დაჯდეს; მეორეც, რევოლვერში ვაზნა არ იჭედება, რაც არცთუ იშვიათად ხდება ნახევრადავტომატურ პისტოლეტებში; მესამეც, „ნაგანი“ სროლის ადგილზე გასროლილ მასრებს არ ტოვებს, პისტოლეტი კი გვერდზე ისვრის ცარიელ მასრებს. ამდენად, პატარა იარაღებში დოლურიანი რევოლვერი ქისტებში სანდო იარაღად ითვლებოდა და საკმაოდ გავრცელებულიც იყო.

ერთი პრობლემა სჭირდა უცხოური წარმოების იარაღს – ვაზნების უკმარისობა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ საზღვარგარეთიდან არც იარაღი შემოდიოდა და არც საბრძოლო მასალა. არსებული მარაგი გამოილია და იარაღიც არაფრის მაქნისი აღმოჩნდა. თუ იშოვიდი, მაგალითად „ვალტერის“, „ბრაუნინგის“, „პარაბელუმის“ ან დოლურიანი „კოლტის“ ან „სმიტ-ვენსონის“ ვაზნებს, ძვირი იყო და ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის მიუწვდომელი. მახსოვს, პატარა ჯიბის იარაღისათვის 5 ნომრიან ვაზნაში ქ. ბათუმში მე და პეტომ, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, თითო ვაზნაში 5 მან. გადავიხადეთ და 5 ცალი ვიყიდეთ. 25 მან. სტუდენტებისათვის დიდი ფული იყო, სტიპენდია 28 მან. გვქონდა.

გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, ადამიანი უცილობლად მიაგნებს ხერხს, რომელიც პრობლემას გადაჭრის. „ვალტერსა“ და „პარაბელუმში“ საბჭოთა წარმოების „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის ვაზნების გამოყენება ვცადეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. ამ ტიპის იარაღს ერთნაირი ყალიბი ჰქონდა, უცხოური წარმოების იარაღს მასრა ოდნავ გრძელი და ტყვია წინ აქვს წამახვილებული. „მაკაროვის“ ტყვია მრგვალია და ოდნავ მოკლე. ჩვენ ის გავქლიბეთ, მივეცით სათანადო ფორმა და გამოვცადეთ. გასროლა ნორმალურად მოხდა, მაგრამ საკეტის უკუცემა არ მოხდა, ჩახმახმა ვერ გადმოაგდო გასროლილი მასრა ე. ი. ვაზნაში არსებული თოფის წამლის დოზა ნაკლები არის, ან ხარისხით ჩამოუვარდებოდა საბჭოური გერმანულს. ეს პრობლემაც შემდეგნაირად გადავწყვიტეთ: „მაკაროვის“ ვაზნას ტყვია მოვხსენით, სხვა ვაზნიდან ამოვიღეთ წამალი და დავუმატეთ საცდელ ვაზნას. შედეგი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა; ვალტერი აკაკანდა და მონადირის ენით რომ ვთქვა, მასრებს „სემიჩკასავით“ (მზესუმზირა) ყრიდა.

მეორე ვარიანტსაც მივაგენით – ვიფიქრეთ პისტოლეტის ლულის შეცვლა. აქ უკვე საჭირო იყო ზეინკალი, თანაც მაღალკვალიფიციური და სანდო. არც ეს იყო პრობლემა, „ეძიებდე და ჰპოვებდეო“ – მართალი დოგმაა. ვალტერის ტი-

პის პისტოლეტი ჰქონდა ჩემს ბიძაშვილს, გამოვართვი და ვუთ-ხარი, „გეკოზე“ გადავიყვან-მეთქი. „გეკოს“, მცირე ყალიბიანი შაშხანის ვაზნები იშოვებოდა, 2 მანეთად 50 ცალიან კოლოფს შეიძენდი.

შილდელი ძმაკაცი მყავდა, დათო მჭედლიშვილი, თბილისში მილიციის მაღალჩინოსანს დაატარებდა, ქვეყნის ხალხს იცნობ-და. მან მითხრა, რომ პისტოლეტს „გეკოს“ ვაზნებზე გადაიყ-ვანდა, ოღონდ „გეკოს“ ლულა უნდა გვეშოვნა. ზეინკალს ის „გეკოს“ ლულას აძლევდა, რომელიც ჩვენთვის საჭირო ლულას მოჭრიდა, დანარჩენს საფასურში თავად დაიტოვებდა.

შევთანხმდით. „გეკოს“ ლულა პეტომ იშოვა და ჩავუტანე თბილისში. რამდენიმე ხნის შემდეგ დათომ მომიტანა იარაღი და მითხრა, რომ მხოლოდ ერთ ტყვიას ისვრის, თვითტენა არ ხორციელდებაო. არაფერია-მეთქი, დავამშვიდე, ამის გამოცდი-ლება მაქვს, თავად მივხედავ ამას-მეთქი. მაგრამ ეს პრობლე-მა გადაუჭრელი აღმოჩნდა: ვაზნაში წამლის ჩამატებამ არ უშველა, ამ იარაღის მოქმედების პრინციპი უჩვეულო აღმო-ჩნდა, დამცემი მექანიზმი და ჩახმახის მოქმედების მექანიზმი ერთ ზამბარაზე იყო დამოკიდებული. ზამბარას შევასუსტებდი, რომ უკუცემის მომენტი შემესუსტებინა და ნახევრადავტომა-ტურზე გადამეყვანა იარაღი, მაგრამ მაშინ დამცემი ნემსას მე-ქანიზმი სუსტდებოდა და ვაზნა არ ფეთქდებოდა. რა არ ვცა-დეთ, სად არ ვატარეთ, მაგრამ უშედეგოდ, იარაღი ერთჯერად ისროდა, ხელით უნდა გადმომეწია ჩახმახი, ტყვია გადმომეგ-დო და ახალი ტყვია ჩახმახის გაშვების შემდეგ თავად შეჰქონ-და ლულაში სავაზნე კოლოფიდან. დამცემ მექანიზმთანაც პრობლემა შემექმნა: გეკოს ნემსა ვაზნის კიდეში ხვდება და ასე ფეთქდება „ფისტონი“; დანარჩენ ყველა იარაღში, რაც კი მინახავს, ნემსა ეცემა „ფისტონის“ შუაში.

ერთი სიტყვით, იარაღში, ცეცხლსასროლიანსა და ცივში, დავხელოვნდი და დიდ დროს იარაღთან ვატარებდი. სკოლის მოსწავლეობის პერიოდში მე და დაუდა ერთად ვჯახირობდით ხოლმე. სხვათა შორის, დაუდას ჰქონდა ერთი არაორდინალუ-

რი იარაღი, ერთსასროლიანი, მსხვილი კალმის (მაშინ „ვეჩნის“ ეძახდნენ) მაგვარი. შუა ადგილას იხსნებოდა ხრახნის საშუალებით. ქვემოთა ნაწილი ლულას წარმოადგენდა, ზემო ნაწილში დამცემი მექანიზმი იყო მოწყობილი. ლულაში „გეკოს“ ვაზნა იდებოდა, მერე მექანიზმიან დეტალს მიახრახნიდი და იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში დგებოდა. სასხლეტი, სამიზნე და სხვა იარაღისთვის დამახასიათებელი დეტალები არ ჰქონდა, უბრალოდ, გადმოსწევდი ამ „კალმის“ სახურავს, დაუშვებდით და იარაღიც ისროდა. თითქოს ბავშვურ თამაშს ემსგავსებოდა, მაგრამ საშიში იყო ახლო მანძილზე. ერთი სიტყვით, ეშმაკის ნახელავი იყო.

შეიძლება, მკითხველისათვის საინტერესო არც იყოს იარაღზე ასეთი დაწვრილებითი საუბარი, მაგრამ მონადირე, დარწმუნებული ვარ, თავადაც შეხვედრია ასეთ პრობლემებს და მისთვის, ჩემი აზრით, უინტერესო არ უნდა იყოს. დღეს იარაღის მაღაზიაში შეხვალ და მსოფლიოში საუკეთესო იარაღს შეიძენ, ვაზნებსაც უამრავს იყიდი. ადრე, საბჭოური წყობილების დროს, ასეთი რამ სიზმრადაც არ მოეჩვენებოდა კაცს.

თოფების მხრივაც იგივე პრობლემების წინაშე იდგა იარაღის მოყვარული თუ მონადირე. როგორც აღვნიშნე, ადრინდელი შემორჩენილი თოფების (გერმანული, ავსტრიული, თურქული, ირანული) ვაზნები არ იშოვებოდა, რუსული წარმოების შაშხანებიც, უმრავლესობა, მოძველებული იყო, კუთხვილის ხაზები წაშლილი და ტყვია ბრუნვის პროცესში ვერ გადაჰყავდა, შორს არ მიჰქონდა და მიზანსაც ვერ ახვედრებდა.

დაიწყო გადაკეთების პროცედურები. საჭირო იყო ახალი ლულის შოვნა, შემდეგ კარგი ზეინკალის მოძებნა, რომელიც ახალ ლულას ჩახრახნიდა ძველი თოფის გადაჭრილი ლულის ადგილას. ახალი ლულის შოვნაც არ წარმოადგენდა გადაუჭრელ პრობლემას. „დეგტერიევის“ ტყვიამფრქვევს თან ახლდა ორი ცალი სათადარიგო ლულა, რომლებიც ინახებოდა საქართველოში და სსრკ-ს ყველა რესპუბლიკაში, სადაც კი იდგა საბჭოთა ჯარის ნაწილები. შემხვედრია თოფები, რომელთაც

ჰქონდათ დამონტაჟებული სომხეთიდან ჩამოტანილი ტყვიამფრქვევის ლულები.

ტყვიამფრქვევის ლულა მასიურია, გარედან ჭდეებით დახურული, ზეინკალი მას ამუშავებს, ათხელებს და „ვინტოვკის“ ლულის დონეზე დაჰყავს. შემდეგ დამწვარ ვინტოვკას სავაზნე ბუდის ბოლოში ლულას გადაუჭრის, შიგნით ამოჭრის ბურღით ე. წ. „რეზბას“, ჩახრახნის ახალ ლულას და სამიზნეს უყენებს. სამიზნეს თავად მონადირეც ასწორებს ნიშანში სროლით. ასეთი თოფები მთაში სანადიროდ გამოიყენება შორ მანძილზე სასროლად.

ერთხელ მთაში შევხვდი მონადირეს, რომელსაც ერთლულიან თექვსმეტ კალიბრიან ფილთა თოფში ჩაწნეხილი ჰქონდა „ვინტოვკის“ ლულა. ისეთი „ბერდენკაც“ მინახავს, რომელსაც ვინტოვკის სავაზნე კოლოფი ეყენა და ერთსასროლიანი ხუთსასროლიანად გადაეკეთებინა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან იარაღთან დაკავშირებით ძირეული ცვლილებები მოხდა. პანკისის ხეობას მოაწყდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, შემდეგ მხედრიონელები და იარაღის ყიდვა დაიწყეს. ყიდულობდნენ ყველანაირ თოფებსა და პისტოლეტებს, ხანჯლებსაც კი, ფასსაც სოლიდურად იხდიდნენ. მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდი იყო, როცა ფული გაუფასურდა, მეურნეობა, სახელმწიფო სტრუქტურები მოიშალა, ხალხი სამუშაოს გარეშე დარჩა და უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, ამიტომ იარაღის გაყიდვა დაიწყეს და მოკლე ხანში ხეობა იარაღისგან დაიცალა.

როცა მხედრიონმა პარპაში დაიწყო, ხეობა იარაღის გარეშე იყო და საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, არ შეეძლო თავის დაცვა.

მაგრამ ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომის წინ და ომის პერიოდში პანკისში დიდძალმა იარაღმა მოიყარა თავი. ამჯერად უკვე თანამედროვე იარაღი შემოვიდა, ხოლო ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის დროს ხეობა იარაღით აივსო.

დღეს იარაღზე სახელმწიფოს კონტროლი განმტკიცდა. ძალოვნებმა იციან, ვის აქვს დარეგისტრირებული იარაღი ტარებისა თუ შენახვის ნებართვით, უკანონოდ იარაღის შეძენა ან

შენახვა-ტარება მკაცრად ისჯება. სამონადირეო თოფების ტარების ნებართვით შეძენა ხდება, მაგრამ აქაც ნადირობის ნებისმიერ სეზონზე ლიცენზიები გაიცემა. ერთი სიტყვით, ნადირობაც კანონის ჩარჩოში მოექცა, რაც მისასალმებელია, რამეთუ ბრაკონიერობა შეიზღუდა, შეწყდა ნადირის უაზრო და უმოწყალო ჟლეტა.

ზევით ვისაუბრე იარაღთან ფრთხილი მოპყრობის საჭიროებაზე. განსაკუთრებით მონადირე უნდა იყოს ფრთხილად, საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოს არც თავისი თავი, არც პარტნიორი მონადირე და, რა თქმა უნდა, გარეშე ადამიანებს უნდა გაუფრთხილდეს. ბევრი შემთხვევა მოხდა, როცა ახალგაზრდა მონადირე ემხსვერპლა ამხანაგის იარაღისადმი გაუფრთხილებლობას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საჭიდაო არენაზე გამოჩნდა ახმეტელი ახალგაზრდა ზაზა ქინქლაძე. ჭიდაობის მოყვარულებს, მათ შორის ამ სიტყვების ავტორსაც, ეს ახალგაზრდა დაახსომდა თავისი ვაჟკაცური, რაინდული ჭიდაობით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა შემტევი ხასიათის ჭიდაობის სტილით, ჭიდაობის დაწყებიდან დამთავრებამდე წამით არ შეასუსტებდა ხოლმე შეტევას, თანაც ჭიდაობდა სწრაფად, ცოცხლად. ერთი სიტყვით, გამორჩეული მოჭიდავე იყო.

ნადირობა უყვარდა, ხშირად დადიოდა სანადიროდ და პანკისის ტყეებშიც ნადირობდა. ერთხელაც, პანკისს მეგობრებთან ერთად სანადიროდ ეწვია, ძიბახევის თუ ტოლოშის (ზუსტად არ მახსოვს) ტყეში ნადირობდნენ. ზამთარი იყო, დიდი თოვლი იდო. ერთ-ერთი წინაღობის, წაქცეულ წიფელზე გადასვლის დროს (ასე ყვებოდნენ ამხანაგები) თოფი გაუვარდა და საზარდულში მოხვდა ტყვია-კარტეჩი. შემდეგ ხმა გავრცელდა, ამხანაგს გაუვარდაო. ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა, თავისი თუ ამხანაგის გაუფრთხილებლობით მოხდა უბედურება და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა დაიღუპა. თანაც უცბად კი არ მოკვდა, მგონი, გზაში დაიღუპა, ისეთ ძლიერ ტკივილებს განიცდიდა, თურმე ამხანაგებს ეხვეწებოდა, მესროლეთ და გამათავეთო.

ომალოში თელაველი მონადირეები მეგობრებს ესტუმრნენ და მუწუს ხევის სათავეში სანადიროდ ავიდნენ. სანადირო მონაკვეთები მონიშნეს და ცალ-ცალკე შეუდგნენ ტყიან ფერდობებს. საუბედუროდ, დილით ადრიანად ამ ადგილებში ავიდა ომალოელი აიუფ გორნაკაშვილი, მაღლა ფერდობიდან ხევდახევ დაბლა უნდა ჩამოეცურებინა წაბლის ხის მორი. ის ხევში დახრილი ჯახირობდა მორთან, როცა ავტომატიდან ესროლა რამდენჯერმე თელაველმა მონადირემ, რომელმაც ხევში, ბუჩქებში შენიშნა „დათვი“, შეცდომა იმანაც განაპირობა, რომ აიუფს ბეწვიანი შავი ქურქი ეცვა იმ დღეს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს მონადირეს, როცა ისვრი, ასი პროცენტით უნდა ხედავდე, რომ ნადირი გყავს მიზანში ამოღებული.

ომალოელმა ქისტმა მასპინძლებმა სტუმარი გააპარეს და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრეს გორნაკაშვილებს მკვლელის შესახებ. ისინი სწორად მოიქცნენ, დაიცვეს სტუმარ-მასპინძლის ადათი, ამიტომ მათ რაიმე სახის პასუხისმგებლობა არც დაეკისრათ. რადგან ტრაგედია შემთხვევით, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე მოხდა. უხუცესთა ჩარევის შედეგად სისხლიანი კონფლიქტი მშვიდობიანად მოწესრიგდა, მაგრამ მონადირის გაუფრთხილებელმა სროლამ კაცის სიცოცხლე შეიწირა, ეს კი გამოუსწორებელი შეცდომაა, რომელიც ოჯახისთვის მოუშუშებელი ჭრილობაა და დამნაშავესაც მთელი სიცოცხლე გაჰყვება ამ დანაშაულის სიმძიმე.

ელდარ კუშტანაშვილი გამოცდილი, პროფესიონალი მონადირე იყო. სანდო, საუკეთესო პარტნიორად ითვლებოდა მონადირეებში, თანაც ძალზე გაბედული იყო დათვზე ნადირობის დროს. ლეგენდად დადიოდა, თუ როგორ გამოიყვანა სოროდან დათვის ორი ბელი და მერე თავად ძუ დათვიც, თანაც ეს გააკეთა არა შებოლებით, სოროში გვირაბის (შემხვედრი ხვრელის) გაყვანით, არამედ თავად თავით წინ შეძვრა და ისე გამოიყვანა. დაუჯერებელია, მაგრამ ეს სინამდვილეში მოხდა, რასაც თავად ამ ამბის მომსწრეები ყვებოდნენ.

როცა იგი სახლში, თავის ეზოში, იარაღის (AK-ის სისტემის ავტომატს) წმენდდა და მგონი, სიზუსტეს, სამიზნეს ასწორებდა, იარაღი გაუვარდა და მხარში დაიჭრა. წარმოუდგენელია, როგორ მოიხვედრა ბეჭში ტყვია (როგორ უნდა სჭეროდა იარაღი ხელში), მაგრამ ასე მოხდა, ეს შემთხვევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხალხური სიბრძნე უტყუარია: იარაღს ერთხელ ეშმაკი ტენის.

იარაღთან თამაშმა შეიწირა კარგი მონადირე, ოჯახის ბურჯი, საუკეთესო ამხანაგი, სოფლისა და თავისი ხალხის მოყვარული ახალგაზრდა კაცი.

მონადირეებო! გაუფრთხილდით თქვენსა და თქვენ გარშემო მყოფთა სიცოცხლეს, ძალზე ფრთხილად და ფხიზლად იყავით იარაღთან.

„ღმერთო, ნუ მაჰკლავ ვაჟკაცსა,
ნუ დაუბნელებ მზესაო!
ნუ დაუობლებ ცოლ-შვილსა,
ნუ გაულაღებ მტერსაო!“

ხალხური



ფუჭხაობა

პანკისის ხეობა წყლებით მდიდარი რეგიონია. საქართველო კავკასიაში გამოირჩევა წყალუხვი და პატარა მდინარეებით, კავკასიონის ქედიდან გადმოჩქეფარე პატარა მდინარეები ბარისკენ მოედინება, გზადაგზა იერთებს ქედების განშტოებიდან დაშვებულ ძარღვებივით დასერილ ნაკადულებს, ბარში იქცევა დიდ მდინარეებად და შავ და კასპიის ზღვებში ჩაედინება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ წყალუხვ რეგიონებს შორის პანკისის ხეობა პირველ ადგილზეა დიდი და მცირე ზომის მდინარეებით, ხევებითა და ფშებით.

დავიწყოთ იმით, რომ მდინარე ალაზანი, რომელიც სათავეს ბორბალოს მთიდან იღებს, მთელ ხეობას გასდევს. ბორბალოს მთა მდებარეობს კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე. მის ძირში სათავეს იღებს კახეთის ალაზანი, რომელიც ჩამოივლის წიფლოვანის ხევის ვიწრო კალაპოტს აღმოსავლეთისკენ, ხადორთან უხვევს სამხრეთისკენ, ჩაივლის მთელ ხეობას, ბახტრიონთან კვლავ აღმოსავლეთისკენ იზამს პირს და მიემართება აზერბაიჯანისკენ. გზადაგზა იერთებს კავკასიონის ქედიდან ჩამომდინარე წყლებს და უკვე წყალუხვი უერთდება მტკვარს, მერე კი იორთან ერთად ჩადის კასპიის ზღვაში.

ალაზანი სათავიდან მოედინება აღმოსავლეთით ვიწრო ხეობაში, რომელსაც ქმნის ჩდილოეთით სპეროზას მთა და სამხრეთით რკინის მთა და მისი განშტოება. სპეროზას მთის ძირ-

ში ალაზანს ჩრდილოეთით უერთდება მახვალის წყალი, რომელიც სათავეს იღებს დიდი და პატარა დიდგვერდში, სპეროზას აღმოსავლეთ ძირთან ერთმანეთს უერთდება და სწრაფად მიექანება სამხრეთისაკენ ვიწრო კლდიან კალაპოტში და ალაზანს სოფელ ხადორთან უერთდება. აქვე ალაზანს უერთდება ხადორის წყალი. იგი სათავეს იღებს მთა საქისტოს ძირში და დაჰყვება ქოჩადალა-ხადორის ვიწრო ხეობას, რომელსაც ქმნის რკინის მთის განშტოებული ქედები, ჩრდილოეთით ლამაზურ-სუბუქის და სამხრეთით საქისტოს მთიდან დაშვებული ტბათანა-ტოლეშოს ქედი.

შემდეგ მდინარე ალაზანს მარცხნიდან უერთდება ჩხათანა-ხორაჯოს წყალი, რომელიც სათავეს იღებს ხორეჯა-ჩხათანისა და ჭიქაურ-ნაქერალას წყაროებიდან. გზადაგზა, მარჯვნივ იერთებს მთა ჭიქაურის ხორხის წყალს, მთა ხორეჯის წყალს და მარცხნივ, ფარსმანის წყალს. მერე კი ალაზანს უერთდება.

ორიოდე კილომეტრის ქვემოთ ალაზანს უერთდება ბაწარის წყალი, რომელიც სათავეს იღებს საქისტოს სამხრეთის განშტოება ზუროს გორიდან, მოემართება ჩრდილოეთით ტბათა-წინაგორასა და სამხრეთით ურან-ძიბახევის ქედებს შორის. წინა გორის დასასრულთან მარცხნიდან უერთდება ტოლეშოს წყალი, რომელიც სათავეს იღებს ტბათანის ძირში, ჩამოივლის წინაგორას, ტოლეშოს ტყიან ქედებს შორის ვიწრო ხეობაში და უერთდება ბაწარას, ორივე ერთად მდინარე ალაზანს. ამ შესართავს უწოდებენ „ბაწარის კარს“ და წარმოადგენს პანკისის ხეობის სათავეს. აქედან ნაქერალასა და ურანის ქედებს შორის მიედინება ალაზანი პანკისის ხეობაში, რომელიც კახეთისკენ თანდათან ფართოვდება, ბახტრიონიდან გადის გაშლილ ვაკეზე და მდორედ ჩაივლის შიდა კახეთის გაშლილ ველზე.

მდინარე ალაზანი სათავეს იღებს ზღვის დონიდან 3000 მეტრის სიმაღლის მთა ბორბალოდან და პანკისის ხეობაში მიედინება 16 კმ-ის სიგრძის ხეობაში. ხეობა სათავეში, „ბაწარის კართან“ დაახლოებით 150 მ. სიგანისაა, ხოლო ბოლოში – 3 კმ

იქნება. პანკისის ხეობის სიმაღლე ზღვის დონიდან 800-700 მ. ფარგლებშია.

პანკისის ხეობა მდიდარი იყო ფლორითა და ფაუნით. ჯერ კიდევ ვახუშტი წერდა, რომ „ხეობა პანკისისა არის ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი, თევზნი – კალმხანი, ტყე-ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი მრავალნი გარნა ღორი უმრავლეს“.

ეს იყო ძველად, სანამ ცივილიზაციის, ტექნიკის უახლესი მიღწევებით არ გაანადგურეს უღრანი ტყეები. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი წერდა, რომ პანკისში არსებული ისეთი ხელუხლებელი ტყის მასივი საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიპოვებაო. დღეს ეს უნიკალური ტყე თითქმის მთლიანადაა განადგურებული, ათასწლოვანი წიფლის ტყე მხოლოდ მიუდგომელ მთათა ფერდობებზეა შემორჩენილი. მხოლოდ ბაწარის ნაკრძალია გადარჩენილი, სადაც ხარობს მსოფლიოში უნიკალური წითელი ხის ჯიში „უთხოვარი“. თვით ქართული სახელწოდება „უთხოვარი“ (ე. ი. ისეთი ძვირფასია, მისი თხოვნაც კი არ შეიძლება) მეტყველებს ამ ჯიშის ხის უნიკალურობაზე. ბაწარის ნაკრძალში წმინდა უთხოვარს უჭირავს 223 ჰექტარი.

პანკისის ხეობაში დღეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ბაწარის ნაკრძალშია შემორჩენილი მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ჯიშის ნადირი: დათვი, შველი, არჩვი, მგელი, ტურა, იშვიათად ფოცხვერი, კვერნა, მელა, ციყვი, გარეული ღორი და სხვ. მდინარე ბაწარაში ბუდობს კალმახი.

სოფ. ძიბახევს ჩამოუდის ძიბახევის წყალი, რომელიც ასევე მარჯვნიდან უერთდება ალაზანს. ეს მდინარე პატარაა, თუ გვალვიანი ზაფხულია, თითქმის შრება კიდეც, მაგრამ წვიმიან პერიოდში ადიდებაც იცის.

ძიბახევის წყლის შესართავიდან სამხრეთით, რაღაც ერთ კილომეტრში ალაზანს მარცხნივ, სოფელ ომალოს თავში უერთდება მუწუს ხევის წყალი, რომელიც სათავეს იღებს ნაქერალას მთიდან. მუწუს ხევი წვიმიან პერიოდში საკმაოდ

წყალუხვია, ზაფხულობით პატარავდება, მაგრამ იმდენად დიდია, რომ წისქვილს აბრუნებს.

ცქვიტაძის ხევი პატარაა, ალაზანს „უერთდება“ მარჯვნიდან. ეს წყალი შედგება პატარა წყაროებისგან, სოფ. ბირკიანს შუა წელში მოადგება დასავლეთიდან, მაგრამ „იკარგება“ ძველი ციხე-კოშკების ნანგრევებთან ქვა-ღორღში გვალვიან ზაფხულში.

ჭობიოს ხევის წყალი თითქმის ცქვიტაძის ხევის წყლის მსგავსია, რომელიც დასავლეთიდან მოედინება ურანის ქედის აღმოსავლეთის განშტოებებში, დააწყდება სოფელ ჯოყოლოს შუა წელში და უერთდება წისქვილის წყალს.

კაკლიანის ხევის წყალი უფრო მოზრდილია ცქვიტაძისა და ჭობიოს წყლებზე. ის სათავეს იღებს სოფ. კაკლიანის (დედისფერულის) თავში, ურანის ქედის ძირში, მოედინება ბალთაგორასა და დაბალ გორას შორის, მერე უერთდება სოფელ დუისის თავში წისქვილის წყალს. მაგრამ ეს წყალიც გვალვის დროს იკარგება ქვა-ღორღში.

დიდი და პატარა ურთანაულის ფშები, რომლებიც ომალოს ბოლოში და დუმასტურის თავში აღმოსავლეთიდან ნაქერალის ქედის ძირიდან იღებენ სათავეს, უმნიშვნელო წყლებია და წვიმის სეზონში მოედინება, დანარჩენ დროს, განსაკუთრებით გვალვის დროს, დამშრალ კალაპოტს წარმოადგენს.

დუმასტურის წყალი, რომელიც სოფელ დუმასტურის აღმოსავლეთით, ზედ სოფელს მობჯენილ ნაქერალის ქედის განშტოება-გორის ძირში გამოდიოდა ერთ ჩაღრმავებულ კირქვიან ადგილას, მდინარე ალაზანს უერთდებოდა მარცხნიდან. ეს საკმაოდ დიდი წყალი იყო, ატრიალებდა ორდოლაბიან წისქვილს და სოფლის ერთადერთ სასმელ წყალს წარმოადგენდა. ამ გორის ძირში, წყაროს სათავეში შემორჩენილია ციხესიმაგრეთა კომპლექსის ნანგრევები, რომელიც დაფარულია იფნისა და ცაცხვების უზარმაზარი ხეებით. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, დუმასტურის წყალი მოაქციეს ბეტონის ჩარჩოში, ზედ სათავო ნაგებობა აღმართეს და რკინის მილებით

მდინარე ალაზნის ქვეშ გაიყვანეს სოფელ დუისის თავში და გაუშვეს ახმეტისკენ. გზადაგზა ამ წყლით დაქსელეს დუისი, ყვარელწყალი, კუწახტა, საკობიანო და მატანი. დღეს დუმასტურის წყალი, როგორც მდინარე, აღარ არსებობს.

დუმასტურიდან სამხრეთით ალაზანს მარცხნივ უერთდება პატარა დუმასტურის, ქვემო ხალაწნების, წინუბნისა და ქორეთის ფშები, ხოლო მარჯვნივ ბაბურას, ყვარელწყლის, საკობიანოსა და ბაყილოვნის ფშები.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილ მდინარეებსა და ფშებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხეობის მაცხოვრებლებისათვის. ამ წყლებს იყენებენ სასმელად (რომლებიც სასმელად ვარგისია) და სარწყავად, ადრე და დღესაც იყენებენ წისქვილების საბრუნებლად. სოფელ ბირკიანის პირდაპირ, ალაზნიდან გამოყოფილია ტოტი, რომელიც დასავლეთით კვეთს სოფელს და ჯოყოლოს, დუისისა და კუწახტას ჩაუვლის დასავლეთით, ხოლო ყვარელწყალსა და საკობიანოს – აღმოსავლეთით. ეს, როგორც ადგილმდებარეობაზე დაკვირვება მიგვანიშნებს, მდინარე ალაზნის ძველი ნაკალაპოტარია. ათასეული წლების განმავლობაში ალაზანი ხეობაში კალაპოტს იცვლიდა, ხან ხეობის აღმოსავლეთით, დღევანდელ კალაპოტში მოედინებოდა, ხან დასავლეთისკენ ინაცვლებდა. ამიტომაც იყო, რომ ხეობის გაშლილ ადგილებზე არ სახლობდა ძველად ქართული მოსახლეობა და გაღმა-გამოღმა ამაღლებულ და წყალმიუწვდომელ ადგილებზე აშენებდნენ სოფლებს.

ხეობის სათავე მდინარეებში ადრე კალმახი უამრავი იცოდა, სანამ არ დაიწყეს წყლის მოწამვლა და ელექტროდენით მოსპობა. დღესაც, მართალია, ცოტა, მაგრამ კალმახი ალაზანში, მახვალში, ხადოში, ხორეჯოში, ბაწარაში და მუწუს ხევში ბუდობს. თვით ალაზანშიც უამრავი იყო ფიჩხული და მურწა, მაგრამ მინგეჩაურის წყალსაცავის მშენებლობამ და კონდოლის სათავე ნაგებობამ საგრძნობლად შეამცირა თევზი.

1971 წელს სოფ. დუისის ბოლოში აშენდა ალაზნის არხის სათავო ნაგებობა. კომუნისტებმა სისრულეში მოიყვანეს ჯერ

კიდევ XX ს. 40-იანი წლების მოსახლეობის ოცნება მდინარე ალაზნის კახეთისა და შირაქის ველების მიწების მოსარწყავად გამოყენებაზე. დუისის დასავლეთით, სკოლის უკან ხელით გათხრილი ორი მეტრის სიღრმის არხიც არსებობდა, ბაბურისა და ბალთაგორის გორების კალთებზე გეოლოგები ორმოებს თხრიდნენ და ნიადაგის სინჯს იღებდნენ. მახსოვს, იმ პერიოდში, არხის შესახებ პოპულარული ლექსის სტრიქონები:

„შენ, ალაზანო, სად მიხვალ,
შენ ჭკვაზე აღარ გატარებ,
პანკისის თავში ჩაგკეტავ,
მატანზე გამოგატარებ.“

ამჯერად, გეგმა სისრულეში მოიყვანეს: დუისის ბოლოდან, აღმოსავლეთით მღვიმის გორის ძირიდან არხი გაიყვანეს ხეობის დასავლეთით; საკობიანოსა და ბაყილოვნის აღმოსავლეთით, ურანის ქედის განშტოების ფერდობების ძირში სამხრეთისკენ წაიყვანეს; ბაყილოვანში 800 მ. გვირაბი გაჭრეს; გადაჭრეს კურტანაძეულის ხევი; სოფელ მატნის ჩრდილო-დასავლეთის გორშიც გვირაბი გაჭრეს; გადაჭრეს ილტოს ხეობა, ილტოს წყალიც შეიერთეს და ახმეტის სამხრეთით ცივ-გომბორის კალთებს გაუყვნენ; გავიდნენ სოფელ ჩუმლაყთან, ბარჯის ხევთან. გეგმით ამ არხს უნდა უზრუნველყო კახეთის, შირაქის ველის 114 000 ჰექტარი მიწის მორწყვა.

მდინარე ალაზნის წყალი მოსარწყავად გამოიყენებოდა მხოლოდ ზაფხულ-შემოდგომობით, ისიც გვალვის დროს და დანარჩენ დროს ალაზანი მიედინებოდა ჩვეულებრივ თავის კალაპოტში. მაგრამ ეს ორი წელია, რაც ახმეტასა და ქისტაურს შორის ააშენეს ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც ამუშავებს სარწყავი არხის წყალი. ამიტომ დუისის ქვემოთ სოფ. ზემო ალვანამდე ალაზნის კალაპოტი თითქმის დამშრალია, რაც უარყოფითად, თითქმის კატასტროფულად მოქმედებს თევზის მოძრაობაზე მდინარეში. ფაქტობრივად, ალაზანში თევზი აღარ არის.

ადრე, ჩემს მახსოვრობაში, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ალაზანში უამრავი თევზი იყო. ქისტებს ამ პერიოდში კახელებისგან უკვე შესწავლილი ჰქონდათ (განსაკუთრებით მატნელებისგან) მდინარეში თევზის მოპოვების თითქმის ყველა ხერხი (წყლის დაწყვეტა და ფაცერების დაგება, ბარჯებით ორაგულებზე ნადირობა, მოსმით, ბადითა და ანკესით თევზაობა და სხვ.) და წარმატებით თევზაობდნენ კიდეც. ყოველთვის მიკვირდა, როგორ დახელოვნდნენ ქისტები თევზაობაში, რადგან ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიან რეგიონში, ბარშიც კი, არა თუ წარსულში, დღესაც არ მისდევენ მდინარეებში თევზაობას. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ვიცნობ ჩეჩნეთსა და ინგუშეთს, წლების განმავლობაში მქონია მოსახლეობასთან კონტაქტები, მაგრამ არ შემიმჩნევია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ნადირობის ამ სახეობას მისდევდეს. ამიტომაც არის, რომ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთის მდინარეებში უამრავი, დაუჯერებლად ბევრი კალმახი იყო. ახლა არ ვიცი, რა მდგომარეობაა, მთებში რუსი სამხედროები ჩაბინავდნენ და იქ არავის უშვებენ, მთების პატრონებსაც კი.

მაგრამ პანკისში დიდი და პატარა თევზაობდა. პირადად მინახავს, როგორ დაწყვიტეს ალაზანი (კალაპოტი შეუცვალეს) და ხალაწნის გორის ძირში როგორ დაიჭირეს 12 ორაგული. ეს იყო დაახლოებით 1949-50-იანი წლები, შეიძლება ცოტა ადრეც. ალაზანი მიედინებოდა ხეობის მარცხენა კალაპოტში, ეხეთქებოდა აღნიშნული გორის კლდიან ძირს და ქმნიდა 15-20 მეტრის სიგრძისა და 7-8 მ. სიგანის დიდ მორევს. მას დუისელები „ზემო ცხვირის ძირს“ („მიღაჰ მერჰ იუხიე“) ეძახდნენ. ორი დღე მიმდინარეობდა ალაზნის კალაპოტიდან სხვა კალაპოტში გადაგდება, სათავეში ააგეს ქვის ჯებირები, ბოლოში ჩადგეს ლასტები, რომ თევზი არ გაპარულიყო. მახსოვს დუისელი სადულ დუიშვილი, მეტსახელად „ჯღაი“, წელამდე იდგა წყალში და ქვის ჯებირს ბელტით „აპირკეთებდა“, რომ წყალი სულ დამწყდარიყო. ჯებირის ძირში ბელტს ამაგრებდა, ამისათვის ხშირად უწევდა ჩაყვინთვა. მაღლა კი მუხლს ურტყამდა და ქვის ჯებირზე ბელტებს აწებებდა.

მეთევზეებმა ბევრი იშრომეს და გარჯა დაუფასდათ კიდეც – თევზი ბევრი შეხვდათ. მკლავის სიმსხო ფიჩხულებს ქვების სროლით ხოცავდნენ და წყლიდან რიყეზე ყრიდნენ. თითქმის მთელი სოფელი იქ იყო. მეთევზეები ბავშვებს გვიშლიდნენ თევზის ჭერას, მაგრამ უშედეგოდ, მთელი მდინარის გაყოლებაზე ხომ ვერ დადგებოდნენ. კაცმა რომ თქვას, დიდად არც ირჯებოდნენ, რადგან მთელი ყურადღება მორევისკენ იყო მიმართული, სადაც დიდი გნიასი იდგა, ეტყობა, არავინ ელოდა, რომ მორევში ორაგულები დარჩებოდნენ. ან კი იყვნენ თუ არა საერთოდ ალაზანში ორაგულები, ისინი ხომ ქვირითის დასაყრელად აღმა მიეშურებიან და მერე კი ზღვისკენ ეშვებიან. ამჯერად, გაუგებარი მიზეზების გამო, ამ მორევში აღმოჩნდნენ. საოცარი სურათი იყო: ხალხის ყიჟინისა და წყალში კეტების ცემის ხმაურზე ორაგულები ჯგუფურად აღმა მიცურავდნენ. ისე სწრაფად, რომ წყლის ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა, მათ უკან ისეთი კვალი რჩებოდა, როგორც მოტორიანი ნავის შემდეგ. ერთი სიტყვით, მოტორიანი ნავი რომ გაიქროლებს წყალზე, გვერდით ტალღებს რომ წარმოშობს და უკან წყლის ჭავლი მიჰყვება, სწორედ ასეთ სურათს ქმნიდა ერთად გაქანებული ორაგულები, რომელთაც ბელადი უძღოდა წინ.

ერთი ახალგაზრდა აღმა მცურავ ორაგულს ზურგზე მოახტა და, წარმოიდგინეთ, რამდენიმე მეტრზე მხედარივით აჯდა ზედ. ორაგულებს გასაქცევი არ ჰქონდათ, მორევის თავში ისე დაპატარავებულიყო დაწყვეტილი მდინარე, რომ როგორც კი მორევიდან ახტებოდა, ფართხალს იწყებდა და მაშინვე იჭერდნენ კიდეც მეთევზეები.

12 ორაგული დაიჭირეს, თანაც ისეთი დიდები იყვნენ, ყველა გაკვირვებული იყო.

დუისელმა ბესო ხანგოშვილმა, საშუალო ტანის ახალგაზრდამ, ორაგულს ლაყუჩებში გაუყარა ქამარი, მარყუჟით შეკრა და აიკიდა ზურგზე. ორაგულს თავი მეთევზის კისერთან ჰქონდა და კუდი ძირს, მიწაზე მისთრევდა. ასე სვენებ-სვენებით წავიდნენ სოფლისკენ.

ორაგულს ბარჯებითაც იჭერდნენ მეთევზეები. ამ ხერხით თევზაობა წარმატებული იყო შემოდგომის წვიმიან პერიოდში, როცა ალაზანი ადიდდებოდა, მღვრიე, თითქმის გაშავებული მოქუხდა მთებიდან. ამ დროს ქვირითის დასაყრელად კასპიის ზღვიდან ამოსული ორაგული ცუდ დღეში იყო, ლაყუჩები შლამით ევსებოდა, წმინდა წყალს ეძებდა და ღონემიხდილი მდინარის ნაპირს ეტანებოდა. ამ დროს მეთევზე ბარჯით (ხარიხაზე მიმაგრებული ჰქონდა ანკესის მაგვარი ჩანგალი) მიჰყვებოდა მდინარის ნაპირზე, ჩუმად მიეპარებოდა ორაგულს, გამოჰკრავდა ბარჯს და რიყეზე ამოაგდებდა. წყალდიდობისას, ღონემიხდილ ორაგულებს სწრაფი ცურვა აღარ შეეძლოთ და ბავშვებიც კი იჭერდნენ ხოლმე.

თევზს ძირითადად ალაზნის ტოტების დაწყვეტითა და ფაცერის დაგებით იჭერდნენ. მოხუცები ყვებოდნენ, რომ ქისტების პირველად პანკისში დასახლების პერიოდში (მე-19 ს. 20-30-იან წწ.) ალაზანი ვიწრო კალაპოტში მოედინებოდა, გარშემო ატეხილი ჭალა იყო, მუხის, თელისა და წიფლის ტყეებით გარშემორტყმული. ამბობდნენ, მარდი ახალგაზრდა მდინარეს გადაახტებოდა კიდეც. მერე და მერე დაიწყეს ტყის გაჩეხვა, ადიდებული ალაზანიც მიდგა-მოდგა და გაჩნდა კიდეც რიყე, მერე სოფელ დუისსაც მიადგა და ნაპირები წალეკა. პირადად ჩვენი ეზონაკვეთის პირდაპირ ადრე პაპაჩემის ყოფილი ბაღი იყო, გასაბჭოების შემდეგ ჩამორთმეული. იქ იდგა კაკლები, მსხლისა და პანტის ხეები, სხვადასხვა ჯიშის თუთა. გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში (1960 და 1963 წწ.) ადიდებულმა ალაზანმა ჰექტრამდე მიწა წაიღო და ჩვენი საკარმიდამო ნაკვეთის ყურე-ღობეც ზედ მიაყოლა. ორმეტრიანი სიმაღლის მიწის კედელი 2-3 მეტრის სიგანისა ისე ჩაიქცეოდა წყლის მორევში, რომ მისი დგაფუნის ხმა შუა სოფელში ისმოდა.

ბუნდოვნად მახსოვს, ქვემო ხალაწნის გორის დასასრულთან, რომელსაც დუისელები ქვემო ცხვირის ძირს („იღაჰარ მერჰ იუხიე“) უწოდებდნენ, კლდიდან 50-იოდე მეტრში იდგა ტყის კორომი, რომელსაც იქით და აქეთ ალაზანი ჩაუდიოდა.

ერთი სიტყვით, ალაზანმა კალაპოტი გაიფართოვა და აქეთ-იქით გადად-გადმოდიოდა, ადიდების დროს გაიშლებოდა და მრავალ ტოტად გაშლილი ქვევით მიედინებოდა. ამ დროს მოსმით იჭერდნენ თევზს, შემდეგ, როცა მდინარე დამშვიდდებოდა, გაიწმინდებოდა და ჩვეულებრივ დონეს დაუბრუნდებოდა, მთავარ მდინარეს გამოყოფილი ტოტები რჩებოდა, რომლებიც მცირე თუ დიდი მანძილის შემდეგ კვლავ უერთდებოდა დედა ალაზანს. სწორედ ასეთ ტოტებს წყვეტდნენ მეთევზეები, ბოლოში ფაცერს დააგებდნენ და ასე იჭერდნენ თევზს.

ეს მეთოდი იმდენად იყო გავრცელებული, რომ ზოგიერთი შენაკადი-ტოტი რომელიმე მეთევზეს მისაკუთრებული ჰქონდა. დიახ, მისაკუთრებული, რადგან სხვას უკვე არ ჰქონდა ასეთ წყალში თევზაობის უფლება.

ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მეთევზე იბეი ხანგოშვილი, რომელსაც ერთი ზაფხული ჰქონდა მისაკუთრებული ალაზნის საკმაოდ მოზრდილი ტოტი, რომელსაც „ლუგელას“ ეძახდა. „ლუგელაში“ ბევრი თევზი ბუდობდა, უმთავრესად ღამე, დედა ალაზნიდან საძოვრად შედიოდა თევზის ქარავანი, რომელიც წყლის დაკეტვის შემდეგ მეთევზეთა ნადავლი ხდებოდა. ალაზნის ასეთ განშტოებებში, ღამე, თევზი აღმა შეჰყვება ხოლმე და თუ მეთევზეებმა მომენტი დაიჭირეს და ქარავნის ამ ტოტში ყოფნისას მოასწრეს წყლის გადაკეტვა, ქარავანი მათ ხელშია, ოღონდ უნდა მოასწრონ ფაცერის დაგება, სანამ ქარავანი გაასწრებს. როცა სათავეში მოხდება გადაკეტვა და განშტოებაში წყალი დაიწყებს კლებას, ქარავანი მაშინვე აღმა აცურდება დიდი სისწრაფით, მაგრამ როცა ნახავს, იგრძნობს ინსტიქტით, რომ ჯებირს ვერ გადალახავს, დაღმა დაქანდება. თუ ამ მომენტში ფაცერი დაგებულია ტოტის ალაზნის შესართავთან, თევზი პირდაპირ ფაცერში ხტება. საოცარი სანახავია, როგორი თავგანწირვით ცდილობს თევზი სათავეში ჯებირის გადალახვას, ან ფაცერის წიბო-ჯებირებზე გადახტომას.

თევზი რომ არ გაექცეთ, სწრაფად რომ დაწყვიტონ წყალი და ფაცერის დაგებაც მოასწრონ, დღისით წინასწარ ატარებენ მოსამ-

ზადებელ სამუშაოებს. სათავეში, ქვებისგან და ხრეშისგან, აკეთებენ წყლის დასაკეტ ჯებირს, შემდეგ ბელტით, ხის მწვანე ყლორტებით, ჩადუნითა და სხვა წყალგაუმტარი საშუალებებით ლესავენ ჯებირის წყლის მხარეს. დღეს იყენებენ ცელოფანს, რომელიც სწრაფად და ეფექტურად წყვეტს წყალს. სათავის შუაში, დაახლოებით 2 მეტრის სიგანის მონაკვეთს ღიად სტოვებენ, რათა წყლის დონემ არ დაიწიოს და თევზმა არ იგრძნოს საშიშროება.

ასეთივე წინასწარი სამუშაოები სრულდება ტოტის მთავარ მდინარესთან შეერთების ადგილას. შესართავთან, ჩვეულებრივ, იქმნება ფართო აუზი; რაც უფრო დიდია მდინარის წინააღმდეგობა შენაკადის შეერთების ადგილას, აუზი დიდია. ეს ასევე ხელს უწყობს ქარავნის ალაზნიდან შენაკადში შესვლას. ფაცერის დასაგები ჯებირი უნდა გაკეთდეს აუზის ზემო ყელში, ყველაზე ვიწრო და დაქანებულ ადგილას. დაქანებული მონაკვეთი იმიტომ არის სასურველი ფაცერის დასაგებად, რომ არ დადგეს გუბე, რომელშიც თევზი ჩერდება და არ ჩადის ფაცერში. ამ ჯებირშიც, როგორც სათავის ჯებირში, წიბოებში, რომლებიც დახრილად მიემართებიან ფაცერისკენ ნაპირებიდან, ორივე მხარეს ღიად ტოვებენ 1-2 მეტრის მონაკვეთებს, რათა თევზის ქარავანი ადვილად შევიდეს შენაკადში. ქისტურად მეთევზეები ორივე ჯებირს (სათავის და ბოლოს) „ბატკას“ ეძახიან. ფაცერის „ბატკა“ წინა მხრიდან ქვიშით უნდა გამაგრდეს, რათა წყალმა გაჟონოს და არ მოხდეს დიდი აუზის შექმნა.

თევზის ქარავანი გვიან ღამით იწყებს ალაზნის ტოტებში გასვლას, ამიტომ წყალი უნდა გადაიკეტოს სადღაც ღამის 12-1 საათზე. სასურველია, ოთხი მეთევზე ან სამი მაინც მონაწილეობდეს წყლის გადაკეტვაში. ორი სათავეში მიდის წყლის დასაკეტად, ორი კიდევ ფაცერის დასაგებად. თუ ტოტი მოკლეა, მაშინ სწრაფად უნდა მოხდეს ფაცერის დაგება, რათა თევზმა არ მიასწროს მდინარეში დაბრუნება. თუ ტოტი გრძელია, მაშინ სათავის გადაკეტვის შემდეგ სწრაფად წამოვლენ ბოლოსკენ („ხი წოგუნიე“ – წყლის კუდისკენ) და მიეხმარებიან ფაცერის დაგებაში მეფაცერეებს.

სათავის დაკეტვისთანავე გამოჩნდება, არის თუ არა თევზი წყალში. როგორც ზემოთაც ითქვა, თევზი, უპირველეს ყოვლისა, აღმა მიაწყდება, როგორც კი იგრძნობს წყლის დაკლებას. მიაწყდება თუ არა დაბრკოლებას (მაღალ ბატკას) სწრაფად ბრუნდება ბოლოსკენ. მთავარია სისწრაფე – ფაცერი მზად უნდა იყოს თევზის მისაღებად.

მეთევზეები საქმეს მორჩებიან, წაიხემსებენ, დაილოცებიან და სახლიდან წამოღებული ნაბდებით დაწვებიან დასაძინებლად. თან ფხიზლობენ, ჯებირი არ გაირღვეს სათავეში ან ფაცერთან. თუ თევზი ბლომად არის, გავსებული ფაცერიდან ამოჰყავთ, იქვე წყლის პირას პატარა გუბეს აწყობენ და მასში უშვებენ, რომ მეორე დღეს მართლა „ცოცხალი“ თევზი ჰყავდეთ.

სწორედ ამ პრინციპით იყო აწყობილი იბეის „ლუგელა“. მასზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ტიპური იყო პანკისისათვის და იმიტომაც, რომ ამ წყალში ყოველთვის იყო თევზი. ყოველ პარასკევ საღამოს წყვეტდა „ლუგელას“ იბეი და უამრავ თევზს იჭერდა, ამხანაგებიც ჰყავდა, თავის სურვილის მიხედვით იამხანაგებდა მეთევზეებს. დილით თევზს ინაწილებდნენ მახამღაზის კაკლებქვეშ. სანამ სათავე ჯებირს გახსნიდნენ, ჩვენ, ბავშვებს გვაძლევდნენ უფლებას, ხელაობით (შიშველი ხელებით) დაგვეჭირა თევზი.

კარგად მახსოვს, როცა მეთევზეები ნადავლს ინაწილებდნენ, მწვანეზე ცალკე ყრიდნენ თევზის ერთ სახეობას, რომელსაც „გოლას“ ეძახდნენ. ეს იყო საჩვენებელი თითისხელა თევზი, რომელსაც არავინ ჭამდა და კატებისა თუ ძაღლების ულუფა ხდებოდა. პირველად სწორედ იბეიმ მოხარშა ეს თევზი, სხვებმაც დააგემოვნეს და აღმოჩნდა, რომ საკმაოდ გემრიელი თევზი იყო. მას გამოშიგვნა არ სჭირდებოდა, ყელთან ჰქონდა პატარა ჯირკვალი, მოხარშვის შემდეგ ამოაცლიდი და გოლას პირდაპირ გადაუშვებდი პირში. არც ფხების გარჩევა იყო საჭირო, ერთი სიტყვით, ძალიან პრაქტიკული თევზი არის.

ალაზანმა უეცარი ადიდება იცის. მთაში კოკისპირული წვიმა კმარა, რომ ორიოდე საათში ნიაღვარი მოასკდეს ბარს. მეთევზე, რომელიც ღამეს ათევს, ფხიზლად უნდა იყოს, რომ ავდარმა არ მოასწროს და მთელი ნამუშევარი, თევზი და ფაცერიც წყალმა არ წაიღოს.

ერთხელ, წინუბნის ბოლოში ალაზანს კალაპოტი შევუცვალეთ. რამდენიმე მეთევზე (რუბენა, იბა, სოლცა, ხიზირა და სხვ.) მთელი დღე ვშრომობდით, ურმით ვეზიდებოდით ბელტს, უზარმაზარი ქვებით ავაგეთ თითქმის ერთი მეტრი სიმაღლის ჯებირი და საღამოსთვის მოვრჩით სამუშაოს. ფაცერის ახლოს ცეცხლი გავაჩაღეთ, ფაცერში პირველი მერცხალი თევზიც მოვხარშეთ, ჟიპიტაურიც დავაყოლეთ და დაღლილ-დაქანცულები დავწექით დასაძინებლად.

ყარაულად იბა დავაყენეთ. მოღრუბლული ცა იყო, ჩრდილოეთით მოქუფრული სპეროზა ავად გამოიყურებოდა, მოსალოდნელ ავდარს ვგრძნობდით, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო. სადღაც შუაღამისას დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ. გამეღვიძა, თავი გამოვყავი ნაბდიდან, მაგრამ მაშინვე წამოვიხურე ნაბდის კალთა, რომ იტყვიან, თითქოს ჯამიდან იღვრებოდა წყალი, ისე ძლიერად წვიმდა. ძილი გაქრა, ამხანაგებიც შეშფოთდნენ, მაგრამ წყლის ადიდებას არ ველოდით. შუა ზაფხული იყო, ალაზანმა გაზაფხულზე და შემოდგომაზე იცის ხოლმე ადიდება.

მაგრამ წყლის ძლიერმა ხმაურმა ფეხზე წამოგვყარა. ალაზანი გაცოფებული მოდიოდა, საშინელი ხმაური, ღრიალი და ხრიალი ისმოდა. მთიდან მოვარდნილ ნიაღვარს ალაზანი კალაპოტიდან ამოეგდო, ზევიდან წამოღებულ უზარმაზარ ქვებს ხათქა-ხუთქი გაჰქონდა, ერთმანეთზე ახეთქებდა და ატრიალებდა. ღამე, უკუნ სიბნელეში, კუპრივით გაშავებული მდინარე თითქოს კენტავრზე ამხედრებულიყო, ქაფს ყრიდა და დაბლა, ბარისკენ მიაქანებდა.

ფაცერზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ადიდებულ წყალს გაერღვია მთელი დღის განმავლობაში რუდუნებით აშენებული სათავო ჯებირი და წაელეკა. ჩვენს თავზე უნდა გვეზრუნა. კიდევ

კარგი, ამაღლებულ ადგილზე ვიყავით დაბანაკებული, სანამ წყალი ამოაღწევდა, ბარგი-ბარხანა ავიკიდეთ და ბრმად წავედით გორებისკენ, მაღლა ბექზე მოვთავსდით და დაველოდეთ გათენებას. დილით ხელმოცარულები დავბრუნდით სოფელში.

ჩვენი სახლი ალაზნის პირას იდგა, ისე ახლოს მდინარესთან, რომ 1961 და 1963 წლების წყალდიდობის დროს ხეხილის ბაღი წაიღო წყალმა. ეს ბაღი საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოგვართვა, ღობის გარეთ იყო და სოფლის ახალგაზრდების ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილი იყო. მოვარდნილი წყალი მაყურებლის თვალწინ ორმეტრიანი სიმაღლის ბექს ძირში გამოთხრიდა და მოწყვეტილი მიწის უზარმაზარი მასა აბობოქრებულ მდინარეში მოადენდა ხოლმე ზღართანს. შემდეგ კაკლის, მსხლისა და თუთის ხეები წაიღო და ღობე-ყორეც გაიყოლა თან. ასე რომ, მაშინ ალაზანი ჩვენი სახლიდან რაღაც 50 მეტრში მიედინებოდა.

ბავშვობიდან ახლოს ვიცნობდი მდინარეს, ჩემს ამხანაგებთან ერთად, რომ იტყვიან, წყალში ვიზრდებოდი. მთელ დღეებს რიყეზე ვატარებდით, დიდი დრო თევზაობაში გადიოდა, ამ საქმეში კარგად გავიწაფეთ.

მდინარის პატარა ტოტებში თევზს ხელაობით ვიჭერდით. აღმა-დაღმა დავყვებოდით დაწყვეტილ ტოტს, ქვების ქვეშ ფრთხილად შევყოფდით ხელებს და ქვის ქვეშ შემალულ თევზებს ვიჭერდით. ასეთი ხელაობის დროს საჭიროა ფრთხილი, ნელი მოძრაობა, რომ თევზი არ დაფრთხეს. ნელი შეხება არც ისე აფრთხობს ქვის ქვეშ მწოლ თევზს, მოზრდილი უფრო ფრთხილია.

ბავშვებმა მრავალი ხერხი ვიცოდით თევზის ჭერისა. წყალში ვცნობდით, რომელი ქვის ქვეშ იქნებოდა თევზი შემალული. უფრო ვარჩევდით ბრტყელ ქვებს, წყლიდან ან ნაპირიდან ვიღებდით საკმაოდ მოზრდილ ქვას და ზევიდან მთელი ძალით ვურტყამდით შეგულებულ ქვას. თუ ქვის ქვეშ თევზი იყო, დარტყმის შედეგად რეტიანდებოდა, წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებოდა და ავკრეფდით.

თუ პატარა თევზების ქარავანი დაცურავდა წყალში, გარედან ქვებს ვუშენდით და ვხოცავდით. წარმატებას მხოლოდ მარჯვემსროლელი აღწევდა. ზოგი ისე იყო დახელოვნებული ქვის სროლაში, რომ სწრაფად მცურავ თევზსაც კი ახვედრებდა. თუ დაწყვეტილი წყლის მორევში თევზს შევნიშნავდით, მაშინ თოხებით, კეტებით ვამღვრევდით წყალს, თევზი ნაპირისკენ იწევდა სუფთა წყლისკენ, იქ კი ქვებით შეიარაღებული ბიჭები იდგნენ დადარაჯებულნი.

თევზი ჩემს ბავშვობაში ბევრი იყო. შეიძლება ისეთ პატარა წყალშიც კი წაწყდომოდი თევზს, სადაც მხოლოდ ბაყაყები ბუდობდნენ. ერთხელ, მე და ჩემმა მეგობარმა ლადო მარგოშვილმა გაკვეთილების შემდეგ ალაზნის პატარა ტოტი დავწყვიტეთ. მის დაწყვეტას დიდი შრომა შევალიეთ, არხი გავჭერით და ისე გადავაგდეთ კალაპოტიდან, ფაცერიც დავაგეთ. მგარამ ვერაფერი დავიჭირეთ. ფაციფუცში სიბნელეც შემოგვეპარა და სახლისკენ გამოვწიეთ, მეორე დღისთვის გადავდეთ თევზაობა. ზედ სოფლის პირას წყარო გამოდიოდა, პატარა რუ მიჰყვებოდა სოფლის გასწვრივ და ქვემოთ უერთდებოდა მდინარეს, წყაროდან რამდენიმე მეტრის ქვემოთ გუბეს ქმნიდა და როგორც კი მივადექით, წყალში რაღაც გაცურდა და ააგორა ტალღები. ასეთი ტალღის შექმნა მხოლოდ საკმაოდ მოზრდილ თევზს შეეძლო, მაგრამ ამ წყაროს წყლის ნაკადულში დიდი თევზის არსებობა წარმოუდგენელ იყო.

ახლოს მივედით, გავყევით ნაპირს და შევნიშნეთ, რომ წყალში ერთადერთი თევზი დაცურავდა, დიდი ჭანარი, რომელიც, ეტყობა, ქვემოდან ამოჰყვა რუს და ათიოდე ნაბიჯის სიგრძისა და 5 ნაბიჯის სიგანის აუზში მოხვდა.

– სასწრაფოდ გადავკეტოთ გასასვლელი, – ვუთხარი ლადოს და ქვემოთ გავქანდი. უცბად მოვუყარე თავი ყველაფერს, რაც ხელთ მომხვდა – ქვა, ღორღი, ფუჩეჩი და სხვ. გადავკეტეთ გუბიდან ქვემოთა გასასვლელი. ზემოთ წყაროს თავი ისედაც გადაკეტილი იყო, ახლა მთავარი იყო თევზის დაჭერა.

თითქმის დაბნელდა, მაგრამ მთების ციალი, მოწმენდილი ლურჯი ცის ანარეკლი საშუალებას გვაძლევდა, თვალი გვედევნებინა თევზისთვის. ჭანარმა იგრძნო საფრთხე, თვალის დახამხამებაში მოიარა გუბე, მაგრამ ვერსად მიაგნო სამალავს და აღმა-დაღმა დაცურავდა, წრეს აკეთებდა.

– ფრთხილად იყავი, წყალი არ აამღვრიო, თორემ დაგვემალება, – მაფრთხილებს ლადო. ორივე ჩავდექით წყალში და ქვემოდან შევყევით წყალს, გვინდა, ჭანარი აღმა შევაგდოთ წყაროს თავთხელზე და დავიჭიროთ.

უცბად თევზი გაქრა. წყლის ზედაპირის ტალღისებურ მოძრაობაზე შევნიშნეთ, რომ ნაპირთან გაჩერდა, მაგრამ არ ჩანდა, სად დაიმალა, დასამალი ადგილი არც იყო, გაოცებულები ვიდექით და დაძაბულად ვათვალიერებდით წყლის ფსკერს. რაღაც ბუშტულები შევნიშნე, ყურადღებით დავაკვირდი და დავინახე ჭანარის ზურგის სილუეტი, რომელიც სილასთან იყო შეხამებული და მხოლოდ ძლივს შესამჩნევი ზურგის რხევაზე მივხვდი, რომ თევზი სილაში იყო დამალული. ადრეც შევსწრებივარ თევზის ამგვარ ეშმაკობას. ნელა მივეპარე, ფრთხილად, ძალზე ფრთხილად ორივე ხელი შევაცურე წყალში და უცბად დავწვდი შუა წელში.

როცა ხელებით დავწვდი, მაშინღა ვიგრძენი ჭანარის სიდიდე და მისი სიძლიერე. ისეთი მძლავრი იყო პირველი გაფრთხიალება, რომ მთელი ტანით გამწია წინ და წყალში მოვადინე ზღართანი. მაგრამ თევზისთვის ხელები არ გამიშვია, ამ დროს ლადოც ეცა თევზს და ორივემ ნაპირზე ვისროლეთ. სწრაფად ამოვხტით წყლიდან და ვეტაკეთ ჭანარს, რომელიც ხტოდა და წყლისკენ ინსტიქტურად იწევდა. ლადომ ძლივს დაიჭირა, ასწია და დაახეთქა მწვანეზე. ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორა, სანამ ჭანარი არ „დამშვიდდა“.

დიდი თევზი იყო. ამ სიდიდის თევზი არასოდეს დაგვეჭირა. აღფრთოვანებისგან ვხტოდით და ვყვიროდით. ალბათ, შეუცნობლად წინაპრების საბრძოლო სიმღერის ინტერპრეტაციას ვასრულებდით, გამარჯვებას ვზეიმობდით. გვქონდა კიდეც სა-

ამაყო, ამ ღლაპებმა ამ სიდიდის თევზი დავიჭირეთ და მერე სად, ზედ სახლთან, სასმელი წყაროს წყალში.

შემდეგში ხშირად ვზვერავდით ბიჭები წყაროს რუს, მაგრამ ბაყაყების გარდა არაფერი გვინახავს. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, ასე მცირე წყალში დიდი თევზი დაგვეჭიროს. თუმცა იმ პერიოდში, როგორც ითქვა, უამრავი თევზი იყო, ყველა მოყვარულს შეეძლო სავახშმოდ საკმარისი თევზი მიეტანა სახლში.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თევზის ხარშვის ხელოვნებას. თუ თევზს ხარშვისას დააკლდა მარილი, ან მეტი მოუვიდა, ან ბოლომდე არ მოიხარშა და ან ნორმას გადააჭარბა, კარგავს თავის თვისებას და გემოს ვერ ჩაატან. ყველა მეთევზემ როდი იცის ხარშვა, თუმცა მრავალი წელი მისდევს მეთევზეობას და დიდი პრაქტიკაც გააჩნია.

დუისის შუა უბნის პირდაპირ ალაზანი ორ ტოტად იყოფოდა. ერთხელ მარცხენა ტოტი გადმოვაგდეთ მარჯვენა ტოტში და მოვემზადეთ ღამის სათევად, რადგან შევნიშნეთ, რომ დაწყვეტილ წყალში საკმაოდ ბევრი თევზი მოძრაობდა. ჩვენ ვერ შევძელით წყლის კარგად დაწყვეტა, ამიტომ თევზი ფაცრისკენ, ტოტის კუდისკენ არ დაიძრა. მაგრამ ვიცოდით, რომ შუაღამის შემდეგ თევზი მოძრაობას დაიწყებდა ქვევითკენ და ფაცერში აღმოჩნდებოდა. ამიტომ მოვემზადეთ ღამის სათევად; სახლიდან პური და საუზმეული წავიღეთ, ქვაბიც გავიყოლეთ თევზის მოსახარშად და ერთი ოცლიტრიანი ბოცა ხილის არაყიც გავიყოლეთ. 7-8 კაცი ვიყავით, მეგობრები და კარგი პურის ჭამას ვაპირებდით.

თევზის მოხარშვა ვეტერანმა მონადირემ და მეთევზემ ფიდო მარგოშვილმა (ბეისარ ფიდო) იკისრა. დანარჩენებმა სუფრის გაშლა დავიწყეთ, სკამების მაგივრობას დიდი რიყის ქვები გვიწევდა, ცელოფანზე სახლიდან წამოღებული პური, ყველი, ცივად მოხარშული ქათამი, ნაირ-ნაირი წნილი გავშალეთ.

უცბად თვალი მოვკარი, რომ ფიდომ თევზიან ქვაბში მარილიანი შეკვრა თითქმის მთლიანად ჩაცალა.

– რას შვრები, ფეოდორ, ეგ მარილი მთელ ხარს ეყოფა!

– შენ ნუ მასწავლი, მე თევზებთან ვარ გაზრდილი და კარგად ვიცი, რასაც ვაკეთებ.

– თევზებთან რას ისწავლიდი, მათებურად დუმილიც კი ვერ გისწავლია კაცს, – თქვა ელიზბარმა, ზედმეტსახელად „ძიამ“ და გაიცინა.

– კაცო, თქვენ ნუ ნერვიულობთ, თქვენს საქმეს მიხედეთ, ჩემი საქმისა მე ვიცი. ერთი ეგ ჭიქა მომაწოდეთ, ალაზნის თევზები უნდა დავლოცო, – თქვა ფიდომ.

– ფიდო, ალაზნის თევზის დალოცვა გვმართებს და დავლოცავთ კიდეც, მაგრამ გეუბნები, თუ ეს თევზი დაამლაშე, არ გადაგვირჩები, – სერიოზულად უთხრა სადღეგრძელოს სათქმელად ქვაბთან წამომართულ ფიდოს ჰამზათმა.

– ადამის შვილებო, სად ხართ გაზრდილები, ქიზიყში ხომ არ გაიზარდეთ, წყლისა და თევზისა რომ არ იცით. ტონა მარილი რომ ჩაყაროთ ამ ქვაბში, თევზი მხოლოდ იმდენს მიიღებს, რაც საჭიროა. დაიხსომეთ ეს კარგად და დაუჯერეთ უფროსს, ღლაპებო.

– ფეოდორ, შენ ამბობ, წყალში თევზებთან გავიზარდეო. შეიძლება ეს ასეც იყოს, ყველანი ამ რიყეზე ვართ გაზრდილები, მაგრამ ერთი ისიც გაიხსენე, თუ რა უთქვამთ წინაპრებს: თაგვი მთელი სიცოცხლე წისქვილში ცხოვრობს, მაგრამ მეწისქვილე არ გამხდარა, – ვუთხარი უფროს მეგობარს და ჭიქა მივუჭახუნე.

თევზი მოიხარშა, ყველანი ვეცით წინ ცელოფანზე დაყრილ მურწას და ფიჩხულს და პირისკენ გავაქანეთ, მაგრამ არც ერთს არ გადაუყლაპავს, ისეთი მლაშე იყო, მისი შეჭმა შეუძლებელი აღმოჩნდა. ფიდო ქვაბიდან იღებდა თევზს და ჩამოვარდნილმა სიჩუმემ სუფრისკენ გამოახედა. ჩვენს სახეებზე ამოიკითხა ყველაფერი, ამოიღო მოზრდილი მურწა და პირში იტაკა, სცადა გადაეყლაპა, მაგრამ სახე დაემანჭა და გადმოაფურთხა, გაოგნებული შემოგვყურებდა.

– ეს ოხერი მურწა რაღაც სხვა ჯიშისაა, ეტყობა, ძალიან ყვარებია მარილი, მარილიანი ზღვიდან უნდა იყო გადმოხვეწილი, – დაცინვით ვთქვი.

– რაო, არ თქვა ეხლა, ფიდოს ზედმეტი მარილი მოუვიდაო. რა, ჩვენებურ თევზებს ვერ ცნობს თუ? – წაიქილიკა ლაბაზმა (ლაბომ).

– არა, მარილი აქ არაფერ შუაშია, წყალი იქნებოდა მარილიანი. გამიგონია, რაღაც მომენტში ალაზანს მთებიდან მარილი ჩამოჰყვება, ისეთი მლაშეა წყალი, რომ მაგ დროს დაჭერილ თევზს მარილი არ სჭირდებაო.

ბიჭები ქილიკობდნენ, მაგრამ ყველას ეტყობოდა გაბრაზება, ფიდოც გრძნობდა ამას და ცალყბად იღიმებოდა. ის ჩვენში ყველაზე უფროსი იყო და არასაკადრისს არავინ ეტყოდა, უბრალოდ, იუმორით იქარვებდნენ ბოღმას.

ფიდომ წყალი გამოცვალა, ალაზნის ცივ წყალში გამოავლო თევზები, მაგრამ მარილი ისე იყო გამჯდარი, რომ ამან ვერ უშველა.

– ფეოდორ, თუ კი ვირწმუნებთ შენს მოსაზრებას, რომ თევზი საჭიროზე მეტ მარილს ვერ იღებს, მაშინ ლოგიკურად შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება: მიღებულ მარილს ვერ შეელევა დამლაშებული თევზი და მოდი, თავი დაანებე უსარგებლო პროცედურას, – ვეუბნები ძმაკაცს, რომელიც იხტიბარს არ იტეხდა და ცდილობდა, წამხდარი საქმის გამოსწორებას.

– მოდი, დაჯექი სუფრაზე. შენი ბედი, რომ ყველაზე უფროსი ხარ აქ, თორემ შენ მიერ დამლაშებულ თევზს კი არ უნდა ვავლებდეთ წყალში, არამედ შენ უნდა ყვინთავდე ალაზანში. – ბოღმით თქვა ელდარმა და არყით სავსე ჩაის ჭიქა ერთი ყლუპით გადაუშვა ხახაში.

თევზი ადრე ხევის წყლებშიც ბუდობდა. მიხვეულ-მოხვეული ხევები, ნიაღვრებისგან ბევრგან ჩაღრმავებულები, გუბეებს ქმნიდა და ხევის წყალში არცთუ მოზრდილი თევზები პატარა ქარავნებად ცხოვრობდნენ. ასეთი წყლის აუზები საკმაოდ ღრმა იყო და ხელაობით თევზის დაჭერა ძნელი იყო. იყო ისეთი აუზებიც, სადაც ხერხდებოდა ხევის წყლის კალაპოტის შეცვლა. ამას შემდეგნაირად ვახერხებდით: გვერდით, აუზის პარალელურად ვჭრიდით არხს, აუზის თავში, ჩვეულებრივ, ვა-

კეთებდით ქვის ჯებირს და როგორც ალაზნის ტოტის დაკეტ-ვისას, ისე ვწყვეტდით ხევის წყალს, ავარიდებდით აუზს და ბოლოში კვლავ უერთდებოდა მთავარ კალაპოტს. აქ ფაცერის დაგებას აზრი არ ჰქონდა, იმდენი წყალი არ იყო, ფაცერში გა-ევლო, გუბეც ღრმა იყო ხოლმე.

როცა სათავეში წყალს წმინდად გადავკეტავდით, ვედროე-ბით იწყებოდა გუბიდან წყლის გადმოღვრა. ეს შრომატევადი სამუშაო იყო, ზოგჯერ, თუ სათავეში წმინდად არ იყო გადაკე-ტილი წყალი, უსარგებლო იყო შრომაც, რადგან გუბე კვლავ ივსებოდა წყლით.

შემდეგ იწყებოდა გუბის ამღვრევა, რათა თევზის დარეტია-ნებისთვის მიგვეღწია. ამისათვის სხვადასხვა საშუალებას ვიყე-ნებდით. მაგალითად, თუ ქურაში გამომწვარ საამშენებლო კირს ვიშოვიდით, ვხსნიდით წყალში, შემდეგ თოხებით და კე-ტებით ვამღვრევდით გუბეს და თევზიც იწყებდა ზედაპირზე ამოხტომას და „ცეკვას“. მეთევზეები წყალში იდგნენ, იჭერ-დნენ მოწამლულ თევზს და იქვე მახლობლად გაკეთებულ ორ-მოში ყრიდნენ, რომელიც წმინდა წყლით იყო სავსე. მოკლე ხანში თევზი „გონს მოდიოდა“.

თუ ისეთი პერიოდი იყო, როცა მწვანე კაკალი საკმაოდ გამ-ხსვილებული იყო, მაგრამ ჯერ ქერქი არ ჰქონდა გამაგრებული, ვკრეფდით, გუბის თავში ქვებით ვჭყლეტდით და მორევში ვყრი-დით. წვენიც, თავისთავად, მორევში ჩადიოდა, შემდეგ იწყებოდა „დღვების“ პროცესი და თევზებიც „თვრებოდნენ“. ეს ეფექტური საშუალება იყო თევზის დაჭერისა და მას ხშირად მივმართავდით.

არსებობდა კიდევ ერთი საშუალებაც, რომელიც ასევე დიდ შრომას მოითხოვდა მეთევზისგან. სოფელ დუისის სამხრეთით, ალაზნის მარცხენა მხარეს, მღვიმეში ალაზნის სანაპირო ტყის ზოლში ხარობდა ხის ჯიში, რომელსაც „ტიეფს“ ვეძახდით. მისი ფოთოლი შეიცავდა ისეთ ნივთიერებას, რომელიც თევზს ეფე-ქტურად „ათრობდა“, ოღონდ ძალზე შრომატევადი იყო მისი დამუშავება. ჯერ ერთი, საკმაოდ დიდი მანძილიდან უნდა მოგვეზიდა ამ ხის ტოტებისგან შეკრული კონები, შემდეგ ხის

კეტებით უნდა დაგვემუშავებინა თევზიანი გუბის ნაპირზე, სანამ მწვანე წვენს არ გაუშვებდა წყლისკენ, შემდეგ ვყრიდით წყალში და იწყებოდა წყლის „დღვება“.

როგორც დავინახეთ, ხევის წყალში თევზის ჭერა დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული, თანაც ხევის თევზი არ იყო გემრიელი მდინარის თევზივით. მაგრამ ჩვენთვის, ყმაწვილებისთვის, რომლებიც მთელ დროს ბუნებაში ატარებდნენ, თევზი, როგორც საჭმელი, დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა. ჩვენთვის მთავარი იყო თევზის მონადირება, თევზაობა.

თევზი მაშინ თითქმის ყველგან იყო. დუისის თავში, ალაზნიდან არცთუ მოშორებით, ე. წ. „კვეშ ქოოჩ“ (კოშკების თავში), სადაც ჯერ „რაგატკებითა“ და მშვილდისრით შეიარაღებულები, შემდეგ უკვე მოზრდილები ცეცხლსასროლი თოფებით დავდევდით ფრინველებს, მოწყობილი იყო წყლის სახერხი ქარხანა. ქარხანასთან ხშირად ვტრიალებდით ყმაწვილები. ყურადღებით ვიყავით, არ გამოგვრჩენოდა, თუკი ქარხნის მამოძრავებელ წყალს გადაკეტავდნენ. ამ წყალს ქარხნის წყალს („ქარხან ხი“) ეძახდნენ და მის ნაკალაპოტარს დღესაც ასე ეძახიან. ეს წყალი ჯოყოლოს ბოლოში ალაზნიდან იყო გადმოგდებული და სადღაც სოფლის ბოლოში უერთდებოდა ალაზანს.

ამ წყალში თევზი ბლომად იყო, რადგან მუდმივად მიედინებოდა და არავინ წყვეტდა თევზის დასაჭერად, მექარხნეები ამის უფლებას არავის აძლევდნენ. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამ წყალს ღრმად გაეჭრა კალაპოტი, რომელიც ძალზე ვიწრო იყო, მასზე თავისუფლად ვხტებოდით და არცთუ ისე მრავლად იყო შიგ ქვები, რომ თევზს დაებუდებინა. მაგრამ ამ წყალში თევზი იყო და ისინი კალაპოტის გვერდებში გამოჭრილ „ღვიმეებში“ ბუდობდნენ, ვიწრო ხვრელებში, სადაც ხელი თავისუფლად ეტეოდა.

კარგად მახსოვს, ქარხნის წყლის გადაკეტვის დროს როგორ ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ ამ არხში ბავშვები, მაგრამ ყველას როდი სწყალობდა ბედი. ქარხანასთან ახლოს ცხოვრობდა ელთი ხანგოშვილი, რომელიც ხელაობით თევზაობაში დახელოვნებული იყო. ელთი წყალში ჩადგებოდა, ხელს შე-

ყოფდა ხვრელში, მტკაველის სიგრძე ულვაშიან მურწას გამოიტანდა და ნაპირზე ისროდა, ჩვენ მარტო აკრეფა გვევალებოდა, ელთი მოკლე მონაკვეთში 2-3 კილოგრამამდე თევზს იჭერდა.

ერთი რამ ყოველთვის მაინტერესებდა, ეს ხვრელები თევზების ნახელავი იყო თუ წყლის ნამუშევარი. ვფიქრობ, უფრო წყლის მიერ უნდა ყოფილიყო გამოთხრილი, მაგრამ ეჭვს ის გარემოება ბადებდა, რომ ხვრელები წყლის დინების ვერტიკალურად იყო წარმოშობილი. კი, გასაგებია, რომ წყალს დიდი ძალა აქვს, ქვასაც კი ღრნის, ხალხური სიმღერაც ხომ ამბობს:

„გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა – წყალთა დენამა“.

ქარხნის სამხრეთით, ორასიოდე მეტრის დაშორებით იყო წყარო, რომელსაც „მეშთიეს“ წყაროს ეძახდნენ. სავარაუდოდ, ვინმე მეშთიეს ექნებოდა ეს წყარო გამოყვანილი. უფრო სწორად, გარშემო ჯაგნარს გაასუფთავებდა და წყაროს სათავეს გაწმენდდა, წყაროსთან მისასვლელ ბილიკს გაიყვანდა და ა. შ. პირველ ხანებში, პანკისში ქისტების დასახლების პერიოდში, ხეობა ტყით, ჭალებითა და ეწერით იყო დაფარული. წყაროს მიგნება-გასუფთავება და ხალხისათვის მისაწვდომად გადაქცევა, დიდ სამადლო საქმედ ითვლებოდა.

ამ წყაროს აღმოსავლეთით, საკმაოდ დიდ ფართობზე მდებარეობდა მოზრდილი გუბეებით, შამბითა და წყალმცენარეებით დაფარული ჭაობი. ამ ადგილას ბუდობდა ნაფოტა თევზი, რომელიც მრავლად იყო. ეს თევზი ძალიან ფრთხილი, სწრაფად მოძრავი იყო და მისი დაჭერა დიდ ხელოვნებას მოითხოვდა მეთევზისგან. ელთის ამ საქმეშიც დიდი გამოცდილება ჰქონდა, მუხლებამდე ჭაობში იდგა და მცენარეებში ხელით იჭერდა ნაფოტას.

ანკესით თევზაობა ფართოდ იყო გავრცელებული პანკისში. ანკესით უმთავრესად კალმახს იჭერდნენ. კალმახი მთის წყლებში ბუდობს, მას ცივი წყალი უყვარს. ზევით, მთებისკენ, მდინა-

რეების კალაპოტი ვიწროვდება, უზარმაზარ ლოდებზე მოეხეთქება წყალი და მცირე მორევებს ქმნის. აქ შეუძლებელია კალაპოტის შეცვლა, ბადის ხმარებაც რთულია და ძირითადად ანკესი გამოიყენება. მართალია, ბაწარის კარიდან გარკვეულ მანძილზე შეიძლება ბადის სროლაც, მაგრამ პანკისში თევზაობის ეს სახეობა მაინცდამაინც პოპულარული არაა, სულ სხვაა ანკესით თევზაობა, რომელსაც ბევრი მისდევს. არსებობენ ანკესით თევზაობის პროფესიონალები, მოყვარულებიც საკმაოდ მრავლად არიან. პროფესიონალები წიფლოვანის, მახვალის, ხადორის, ხორაჯოს, ბაწარის და მუწუხევის წყლებში თევზაობენ.

ანკესით მოთევზავეს დიდი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს. გინახავთ, ალბათ, ზღვისა და მდინარის ნაპირებზე საათობით მჯდომი მეთევზე, ერთ ადგილას მიშტერებული, გაფაციცებით მომლოდინე, როდის შეირხევა წყლის ზედაპირზე ტივტივა. ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ მშვიდი ნერვების პატრონს ძალუძს. ტელევიზორში მინახავს, დიდ მდინარეებში როგორ იჭერენ 4-5 კილოგრამიან თევზებს და მერე უშვებენ უკან წყალში. აქ საქმე ნადავლთან კი არა გვაქვს, არამედ აზარტთან. ამ მეთევზეს თევზი საჭმელად კი არ აინტერესებს, არამედ მისი დაჭერით იღებს მთელ სიამოვნებას. კაცია და გუნება.

მთის მდინარეებში ანკესით თევზაობა რამდენადმე განსხვავებულია ზემოთ აღწერილისაგან. აქ საათობით კი არ ზიხარ ერთ ადგილას, არამედ დაამუშავებ ერთ ადგილს, მორევის ნაპირს და ინაცვლებ მდინარის სათავისაკენ, ანკესიც წყალში ჩაშვების შემდეგ უძრავად კი არ არის გაჩერებული, მას ტივტივაც არ ახლავს, მცირე ზომის ტყვია მაგრდება ანკესის ზემოთ, რომ ანკესი საჭირო სიღრმეზე ჩაიტანოს. მეთევზე მქუხარე მდინარის ნაპირზე, მორევების სანაპიროზე, სადაც წყალი მდორედ მიედინება პატარა ჩანჩქერების ფსკერთან და ა. შ. ატარებს ნელ-ნელა ანკესს, ასე ვთქვათ, ანკესს უსვამს წყალში, წყალს ანკესით „ხნავს“.

ანკესით ასეთ მუშაობას გამოცდილება და ხანგრძლივი პრაქტიკა სჭირდება, თანაც კალმახის ბუნების კარგი ცოდნა, რომ

დაიჭირო. კალმახი მუდამ ჩასაფრებულია, მსხვერპლს ელოდება და მზად არის, თავს დაესხას. ის მტაცებელი თევზია, მონადირეა და საკმაოდ ეშმაკიც. ამიტომაც მასზე მონადირე მეთევზეც ეშმაკობას მიმართავს, ისე ეპარება, როგორც მონადირე ნადირს.

მთის მდინარეში კალმახზე მონადირე მეთევზეს სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვა უწევს. ყველა მონაკვეთში მდინარის ნაპირს ვერ აჰყვები, ხშირად მთიდან მოქუხარე წყლის ნაკადის საპირისპიროდ უწევს წყალში ტოპვა, რაც დიდ სიძნელესთან არის დაკაშვირებული. თან შეიძლება ისეთ კლდიან მონაკვეთში მოხვდე, რომ საჭირო ხდება ქარაფებზე გასვლა და შხერების შემოვლა.

ერთი სიტყვით, მეთევზე დიდ ჯაფაში არის, ზოგჯერ სარისკო გადასვლებსაც აკეთებს. შემიმჩნევია, როცა ორი მეთევზე ერთი მდინარის მარცხენა-მარჯვენა ნაპირებს მიჰყვება, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს, სწრაფად მიიწევენ წინ, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი კალმახი მოინადირონ. ხოლო თუ რომელიმემ მოზრდილი კალმახი წამოაგო ანკესს, დაუსტვენს ამხანაგს და აჩვენებს ნადავლს.

კალმახზე თევზაობის დროს, როგორც ზემოთაც ვთქვი, ანკესს გამორჩეულად ატარებენ წყალში. თანაც კი არ ელოდებიან, როდის გადაყლაპავს თევზი ჭიანად ანკესს, არამედ როგორც კი იგრძნობენ თევზის ანკესთან შეხებას, ეგრევე გამოჰკრავენ და კალმახს რამდენიმე მეტრზე გადაისვრიან. ხშირად ანკესი თავის არეში კი არა, მუცელზე გამოუკრავთ და ისე ამოუგდიათ წყლიდან, ძალიან გამოცდილი უნდა იყოს კალმახზე მონადირე მეთევზე, ინტუიცია ძალზე განვითარებული უნდა ჰქონდეს. ყოველთვის მიკვირდა, როგორ გრძნობს ხელი, რომელიც კალმახთან კონტაქტს ამყარებს 4-5 მეტრიანი ჯოხითა და მასზე მიმაგრებული ცელულოიდის ძაფით. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ელვის უსწრაფესად რეაგირებენ კალმახის ანკესზე ოდნავ შეხებაზე.

ვერაფრით ვერ ავითვისე ანკესით თევზაობის ხელოვნება, საამისოდ ნერვებიც არ მყოფნიდა. ჩემი მეგობრები (ვ. მუთო-

შვილი, ნ. ფარეულიძე, ლ. ხანგოშვილი და სხვ.) გამოცდილი მეთევზეები იყვნენ, ყველანაირად ცდილობდნენ ჩემს გათვითცნობიერებას. თევზაობისას თითქმის ყოველთვის თან ვახლდი, რუდუნებით მიხსნიდნენ, მაგრამ ტყუილად დაშვრნენ, ვერ დადგა ჩემგან ანკესით მოთევზავე. უმეტეს შემთხვევაში საჭურველმტვირთველის როლში გამოვდიოდი.

მაგრამ მიუხედავად ჩემი უნიათობისა ამ სახეობაში, ყოველთვის მიტაცებდა ამ სახის თევზაობა და ვცდილობდი, თან ვხლებოდი მეგობრებს. სახლიდან საგზალი მიგვქონდა, თევზაობის შემდეგ მწვადს შევწვავდით, თევზს მოვხარშავდით და დიდებულ სუფრას ვშლიდით. ბუნებაში ქეიფს რა ჯობია!

ერთ დღეს ოთხნი წავედით სათევზაოდ. ვანია და ნიკო პროფესიონალი მეთევზეები იყვნენ, მე და მუხმადი – მოყვარულები, მოყვარულები ანკესით თევზაობაში, თორემ ფაცერით თევზაობაში საკმაოდ დიდი გამოცდილება გვქონდა. თევზაობა ბაწარის კარიდან დავიწყეთ, ბაწარისა და ტოლოშის წყლის შესართავთან ვანია ბაწარის ხეობას შეჰყვა, ხოლო ნიკო – ტოლოშის ხეობას. დავთქვით, რომ საღამო ხანს, ხუთიდან ექვს საათამდე შევხვდებოდით ბაწარის კართან, საქეიფო ადგილას.

ნიკომ იმარჯვა და 24 კალმახი დაიჭირა, ყველა მცირე ზომისა, ვანიას 6-7 კალმახის მეტი ვერ დაეჭირა, მაგრამ საკმაოდ მოზრდილი თევზები იყო. ნიკო, იუმორის დიდად მოყვარული, მეტოქე მეთევზეს აქილიკებდა, ჩვენ კი, მათი „საჭურველმტვირთველები“, სუფრის სამზადისს შევუდექით. სამწვადე ჩაბასტურმებული გვქონდა, თხილის შამფურები იქვე ტყეში მოვიძიეთ, თევზი გამოვშიგნეთ და მოსახარშად შევდგით ცეცხლზე. მოხარშვის ოსტატები გვყავდნენ, მხოლოდ მე ვიყავი გამონაკლისი.

კარგი სუფრა გაიშალა, მეგობრები სუფრას შემოვუსხედით და წავიდა ქეიფი. მოხარშული თევზი სუფრის შუაში ეყარა, მოზომილად ვჭამდით. საერთოდ, არ მახასიათებს დაკვირვება, ვინ რამდენს სჭამს, მაგრამ ვიცოდი, რომ ნიკო მუცლის დიდი პატივისმცემელი იყო, კარგი სმა-ჭამა უყვარდა. სკოლაში ერ-

თად ვმუშაობდით და მის კაბინეტში (ფიზკულტურას ასწავლიდა) მუდამ იყო ხოლმე საჭმელი და სასუსნავი, ყველა პურმარილისა და პიკნიკის ინიციატორი იყო. ალბათ, ამიტომ იყო, რომ, როცა შევნიშნე, სუფრაზე თევზი სწრაფად კლებულობდა, ნიკოს ტრაპეზობას დავაკვირდი. უკვე ბინდი ეპარებოდა ხეობას, ცეცხლი მოშორებით გვენთო. შევნიშნე, რომ ნიკოია კალმახს თავში წაავლებდა ხელს, გააქანებდა პირში, ტუჩების პარალელურად გაატარებდა და გასუფთავებულ, ცარიელა ხერხემალს და თავს გვერდით მოისვრიდა.

– ბიჭებო, მოგეხსენებათ, კალმახი დესერტია, ის უნდა დაგემოვნო მხოლოდ, ლუარსაბ თათქარიძესავით კი არ უნდა გამოვძღეთ, – ისე, სხვათა შორის ჩავილაპარაკე.

ვანიამ ყურები ცქვიტა. მივხვდი, რომ მიზანში მოვარტყი. ეხლა ლოდინიღა იყო საჭირო და მალე დადგა შედეგიც.

– ბიჭებო, როგორც ამ სუფრის თამადა, ინიციატივით შემოვდივარ. თევზი ცოტა გვაქვს და მუცელი კი ყველას თითო გაგვაჩნია. თუ თქვენ თანახმანი ხართ, მოდით, გავინაწილოთ ეს კალმახი თანაბრად.

მე და მუხმადა დავეთანხმეთ, არც ნიკო წასულა წინააღმდეგი, მაგრამ დამცინავად იღიმებოდა. მივხვდი, რაღაცას გეგმავდა და გადავწყვიტე, ფხიზლად მედევნებინა თვალი. თამადამ თანაბრად გაგვინაწილა თევზი და ქეიფი გავაგრძელეთ. თამადა თანდათან ეშხში შედიოდა, სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდა და მის თეფშზე კალმახიც მცირდებოდა. ნიკო ჩუმად გააპარებდა ხელს ვანიას თეფშისკენ და ამუშავებდა თავის კომბაინს.

– პატივცემულო თამადა, რაღაც არ ეტანები თევზს, გეტყობა, მწვადი უფრო გსიამოვნებს, – ვეუბნები.

– მე შენს რჩევას მივყვები, კალმახს დესერტად ვინახავ.

– სწორია, მაგრამ სადესერტო თევზიც უნდა გქონდეს.

თამადა დააკვირდა თავის თეფშს და მიხვდა ყველაფერს.

– ნიკო, კაცო, კაცი ჭამაშიც უნდა იყოს ზომიერი, შენს მუცელს საშველი არ დაადგა.

– ბიჭოს, ჩემი დაჭერილი თევზის ჭამას მიშლით?

– ეს უკვე შენი თევზი არ არის, ყველა ჩვენგანის თევზია, რაღაც გეშლება, ნიკო, – ჩაერია საუბარში მუხმადა.

ცხადია, საუბარი იუმორით იყო შეზავებული, ნიკო ტოლს არავის უდებდა.

– რა მოგივიდათ, სახლში მაცივარში მტკაველი სიგრძის ცხრა კალმახი მიდევს, გავლაში შევიაროთ და გაჭმევთ, რას მისტირით ამ ლიფსიტებს.

ნიკომ ადრეც ახსენა ეს თევზი, მაგრამ არავის ყურადღება მიუქცევია. მე მაშინვე დავიჭირე ნიკოს წამოსროლილი ფრაზა და განვაცხადე:

– შენთან სახლში შემოსვლით არ შეგაწუხებთ, თანაც ნასვამები ვართ. წამო, ნიკოია ბაბა, ჩავირბინთო მანქანით შენთან და წამოვიღოთ ეგ შენი სანაქებო კალმახი. კაცმა რომ თქვას, სირცხვილია, თევზის მეფე კალმახს რომ მაცივარში ინახავ. თანაც საძრახისია, როცა მეთევზე მარტო ძღება თევზით. ნახე, რას ამბობს ხალხი ამაზე:

„სურვილი გახელებულა,
უნდა ჩავიდე წყალზედა,
დავხელო თეთრი კალმახი,
წითელ წინწკლებით ტანზედა,
დავჯდე და მარტომ შევჭამო,
ლამაზი ქალის ჯავრზედა!“

– შენც ლამაზ ქალზე განაწყენებული ხომ არა ხარ, ნიკო ბატონო?

პასუხს არ დავლოდებივარ, წამოვდექი და მანქანისკენ წავედი. ნიკოც წამოხტა და გვერდით მომიჯდა. იქვე, სოფელ ბირკიანის თავში ცხოვრობდა, რაღაც ორ კილომეტრში ბაწარის კარიდან, უცბად ჩავედით და თევზით დავბრუნდით.

რაღაც ოც წუთში მოხარშული მოზრდილი კალმახები გვეწყო წინ და ქეიფსაც მეტი ეშხი მიეცა. მაცივრის კალმახის ამბავი სასიამოვნო მოგონებად გვექცა და ხშირად ვახსენებდით

თევზაობის დროს, მაგრამ ნიკო მის შემდეგ ასეთ ანკესზე არ წამოგებულა, როცა თევზი ჰქონდა სახლში, გვეუბნეოდა:

– წამოდით ჩემთან, კალმახს გაჭმევთ, რას დაპრონიალობთ წაღმა-უკუღმა ხევებში, თქვენი დაჭერილი კალმახი არ მინახავსო.

როგორც ზემოთაც ვთქვი, პანკისის მდინარეებში კალმახი ბევრი იყო. გასული საუკუნის მიწურულს ალაზანი ადიდდა და წიფლოვანის ხეობაში დიდძალი შეშა გამოირიყა. იმდენად ბევრი იყო ხე-ხერგილები, რომ ერთ ადგილას შეიძლებოდა სატვირთო მანქანის დატვირთვა. გადავწყვიტეთ, წიფლოვანიდან წამოგველო შეშა, სადაც ჯოყოლოელები გამალებით მუშაობდნენ და შეშას ეზიდებოდნენ საზამთროდ. მე შევუერთდი შალიკო მუთოშვილსა და მუსილონ გუმაშვილს, რომლებიც მაღაზიაში მუშაობდნენ.

საღამოს მანქანას ველოდით, როცა ალაზნის ტოტს ჩავყევით შესართავისკენ. მგონი, პირველად შალიკომ შენიშნა ფაცერი. მივედით ახლოს და რას ვხედავთ: ფაცერი სავსეა კალმახით. თანაც ფაცერი კარგა ხნის დაგებული იყო, ეტყობოდა, პატრონს დაავიწყდა კიდეც. ასეა თუ ისე, თითქმის სავსე იყო მოზრდილი კალმახებით, რომელთაც სიმსუქნისაგან მუცლები გაყვითლებოდათ.

გაიმართა ბჭობა, რა გვექნა ამ თევზისთვის. სხვათა შორის, წინა დღეს, როცა წაბლს ვკრეფდი, ორკაპა წიფლის ძირში შევნიშნე შენიღბული წაბლით სავსე ტომარა, მაგრამ ხელი არ გვიხლია. შეიძლებოდა, პატრონმა ვერ მიაგნო დამალულ წაბლს და უპატრონოდ დარჩა, მაგრამ არ წამოგვიღია: კაცმა იშრომა, შეაგროვა, შეიძლება მიაგნოს და სახლში წაიღოსო. ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, ფაცერში ცოტა დაგვეტოვებინა თევზი და დანარჩენი წამოგველო. თავის გასამართლებელი მიზეზიც მოინახა; მეთევზეს დიდად არ უშრომია, დააგო ფაცერი და მიატოვა. დათვი თუ წააწყდა, მშვენივრად მიირთმევს, არც ფაცერის პატრონს შეხვდება და არც ჩვენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ წაბლისთვისაც შეიძლებდა დათვს მიეგნო და მიერთმია. ასეა თუ ისე, კალმახი წამოვიღეთ და იმ ღამეს მშვენივრად ვივახშმეთ.

თევზისა და ნადირის მტერი ბრაკონიერია. ქიმიური მეცნიერების განვითარებამ, შხამ-ქიმიკატების გამოყენებამ მოსპობის პირას მიიყვანა თევზი. განსაკუთრებით დამღუპველია თევზისთვის ქლორი. ქლორით მოწამლული მდინარე დიდი ხნის განმავლობაში მკვდარია, მასში ისპობა ყველა ცოცხალი არსება, რადგან საკვები არ იშოვება.

ერთხელ მივიღე ამ ბარბაროსობაში მონაწილეობა და დღემდე ვნანობ ამას. სტუდენტობის პერიოდი იყო, ზაფხულში შინ ვიმყოფებოდი და ერთ საღამო ხანს კარზე მომადგა მატნელი მეგობარი. მას ახლდა დუისელი და ორი კიდევ მატნელი, ყველას ვიცნობდი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან.

– სათევზაოდ მივდივართ, სწრაფად გაემზადე, – მითხრა ინსტიტუტის მეგობარმა და მეც სიხარულით დავთანხმდი. „ვოლგა-21“ მარკის ავტომანქანით იყვნენ, ჩავსხედით და მთებისკენ გავწიეთ. როცა ხოხორას ველს („ხოხორაი ათაჰ“) გავცდით, ვეუბნები, რომ დროა დავიწყოთ ბადის სროლა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბადით ვაპირებდით თევზაობას.

– ბადითა და მოსმით ჩვენ დროს არ დავკარგავთ, მოსმა დაგვჭირდება მხოლოდ თევზის ასაკრეფად, – სიცილით მითხრა მეგობარმა.

– დენით ვთევზაობთ? – ვეკითხები ბიჭებს.

– უფრო ეფექტური საშუალებით, ქლორით უცბად დავიჭერთ ბლომად კალმახს, – ამიხსნა დუისელმა.

გაგონილი კი მქონდა, მაგრამ ქლორთან არასდროს მქონია საქმე, ის კი ვიცოდი, რომ შაბიამანს (ბორდოს ხსნარსაც), იყენებდნენ თევზის საწამლავად. თავადაც მითევზავია შაბიამნის გამოყენებით. მართალია, არ მესიამოვნა ამგვარ თევზაობაში მონაწილეობა, მაგრამ არაფერი ვთქვი, სტუმრებს ვერ ვაწყენინებდი.

მანქანა ხორაჯოს წყლის შესართავის ცოტა ქვემოთ, ალაზანში გასასვლელ ფონთან დავაყენეთ. ახსნეს საბარგული, ნახევარზე მეტად გავსებული ტომარა გადმოიღეს, იქვე კეტი

მოჭრეს, ზედ ჩამოკიდეს, ორმა აიკიდა და ფონით გავტოპეთ ალაზანი.

ხორაჯოს წყლის ალაზანთან შესართავში შეგვხვდა ჯოყოლოელი მეთევზე, პროფესიონალი, ანკესით მოთევზავე, რომელიც თევზაობის შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. მეთევზეს ჩანთაში რამდენიმე მოზრდილი კალმახი ედო, მთელი დღის ნამუშევარი.

შეგვხედა თუ არა, ყველაფერს მიხვდა, აიმრიზა, მკაცრად შემოგვხედა და გვითხრა:

– რას აპირებთ, გინდათ ხორაჯოს წყალი მოწამლოთ?! ეს ქლორი ხომ დედაბუდიანად ამოწყვეტს ამ წყალში ყველა სულიერს.

– თევზის მეტი რა არის ამ ხეობებში, ნუ გეშინია, ყველას ხომ ვერ დავხოცავთ.

– მთლიანად ამოწყვეტთ! ეს ქლორი მთელ ალაზანს ეყოფა, არაფრით არ მოგცემთ უფლებას.

– შენ რა, ეგერი ხარ, ან იქნებ დაბეზღებას გვიპირებ. შენც ისეთივე უფლებებით სარგებლობ, როგორც დანარჩენები. ჩვენ აქედან ხელცარიელები არ დავბრუნდებით! – შეუტია დუისელმა მასპინძელმა.

კამათი ჩხუბისკენ მიდიოდა, საჭირო იყო რაღაც კომპრომისის მოძებნა. ცხადია, ჯოყოლოელი მეთევზე ვერაფერს გახდებოდა ოთხ ახალგაზრდასთან, მაგრამ მას შეეძლო გაესაჯაროებინა ბრაკონიერობის ეს შემთხვევა და დავისჯებოდით. ამიტომ დავის მშვიდობიანად მოწესრიგება სჯობდა. მკლავში მოვკიდე ხელი და განზე გავიყვანე:

– მოდი, შევთანხმდეთ. ეს ხალხი ახმეტის ხელისუფლებაში დაახლოებული და თავადაც მილიციაში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე კაცის მიერ არიან გამოგზავნილები. ამ საღამოს თბილისიდან მაღალჩინოსნებს ბანკეტს უწყობენ და კალმახზე გამოგზავნეს. მოდი, შენც გამოგვყევი, პატარა მონაკვეთზე ჩავუშვათ ეს წყეული ქლორი და უცბად მოვრჩეთ ამ საქმეს. არც მე ვიწონებ ამ უმსგავსობას, მაგრამ სტუმრებს ხელცარიელს ვერ გავუშვებთ.

მეთევზე ჩაფიქრდა და ანკესს წამოეგო. მე დაინტერესებული ვიყავი, მისი ამ თევზაობაში, უფრო სწორად, თევზის განადგურებაში ჩაბმაში, რომ მერე წყალი ჩაეგუბებინა პირში.

სწრაფად გავწიეთ წინ. რაღაც ორას-სამას მეტრში ჯოყოლოელი მეთევზე გაჯიქდა და წინ არ გაგვიშვა, თურმე არც ყოფილა საჭირო. მატნელებმა ქლორიანი ტომარა წყალში ჩააგდეს, ფეხებით შედგნენ და მოზელვა დაუწყეს. ისედაც ანკარა წყალი გათეთრდა და აქა-იქ კალმახმა დაიწყო ამოტივტივება. მე გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ ასეთ დიდ წყალში (ხორეჯოს წყალი ორდოლაბიანი წისქვილის საბრუნებელ წყალზე ორჯერ დიდი იყო) ქლორი ვერ მოწამლავდა თევზს, მაგრამ მდინარეს რომ ჩავუყევი, მთლიანად თეთრად იყო გადაპენტილი. ბრაკონიერებმა დავიწყეთ სპეციალურად ბადისგან გაკეთებული ჩოგანბადეებით თევზის ამოღება. ჯოყოლოელი მეთევზე სწრაფად წავიდა წინ, მიხვეულ-მოხვეულ, კოპტის ხეებით დაფარულ ხევს მიეფარა. მე გავეკიდე, დავინტერესდი, რას იზამდა, დავეწიე და შევნიშნე, რომ მოწამლულ თევზებს კრეფდა და ჩანთაში იყრიდა. თანაც ყველას კი არ იღებდა წყლიდან, არამედ მსხვილებს და ასე მიიწევდა ალაზნის შესართავისკენ. დავმშვიდდი, რადგან იგი, მიუხედავად წინააღმდეგობისა, ჩვენი თანამზრახველი, თანამონაწილე გახდა.

ბლომად დავიჭირეთ თევზი, ალბათ, ორ ვედროზე მეტი. მე და დუისელმა ცოტა, ერთი მოსახარში თევზი დავიტოვეთ და მთლიანად გავატანეთ მატნელებს.

მართალია, ეს მოთხრობა დოკუმენტურია, მაგრამ შეგნებულად არ დავასახელე ამ ბრაკონიერობაში მონაწილეთა გვარები და სახელები, რადგან, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობაში მომხდარი ამ ამბის გახმაურება არ მოეწონებოდათ. თუმცა ეს ჩავლილი ამბავია, მდინარეების მოწამვლა კი დღესაც გრძელდება.

კიდევ ერთ, მეთევზისათვის შეუფერებელ ბრაკონიერობაშიც მიმიღია მონაწილეობა და არაერთხელ, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ელექტროდენით თევზის ხოცვა დანაშაულია. მე

ისე ვიცოდი, თითქოს დენით თევზაობისას რაღაც განსაზღვრულ რკალში, ელექტროდენის მოქმედების ველში მოხვედრილი თევზი მხოლოდ რეტიანდებოდა და მოკლე ხანში, თუ მოასწრებდა ველიდან გასვლას, გადარჩებოდა, ამიტომაც იყო, რომ მაინცდამაინც დიდ დანაშაულად არ მიმაჩნდა ასეთი სახის თევზაობა. ავიკიდებდით მანქანის ბატარეას (აკუმულატორს) ზურგჩანთით, დენის გამაძლიერებელ პატარა გენერატორს და ანკესივით ჯოხებს ვუშვებდით წყალში, რომლებზეც მიმაგრებული იყო სადენები. თუ თევზი მოხვდებოდა დენის ველში, ამოტივტივდებოდა ხოლმე. როგორც ანკესით მოთევზავე ირჩევს მდორე, მორევთან შექმნილ პატარა აუზებს, დენით მოთევზავეც ამ პრინციპით მიჰყვება მდინარეს. სწორედ ეს მსგავსებაც მამშვიდებდა, რომ ეს არ იყო ბრაკონიერობა.

მაგრამ მეთევზეებმა, პატიოსანმა მეთევზეებმა ამიხსნეს, რომ ამ სახის თევზაობა დანაშულის ტოლფასი იყო, რამეთუ თევზი, რომელმაც დენის დარტყმა იწვნია თუნდაც მცირედი დოზით, კარგავს ქვირითის დაყრის უნარს. როცა ეს გავიგე, მოვეშვი კიდეც ასეთ თევზაობას.

პანკისში, ახმეტის რაიონში და მეზობელ რაიონებშიც დავდიოდით სათევზაოდ. თიანეთშიც კი ავსულვართ იორში თევზის დასაჭერად. გოგია და ხარება, ტყუპი ძმები, რომლებიც ისე ჰგავდნენ ერთმანეთს სახით, ქცევით, ტანადობით, სიარულით, ლაპარაკის მანერით, რომ საკუთარი დედაც კი ვერ არჩევდა, თავგადაკლული მეთევზეები იყვნენ, უყვარდათ ქეიფი და დროსტარება. გოგია მედოლე იყო, ხარება – მეგარმონე და მათი დაკვრა და სიმღერა ხიბლავდა ადამიანს. ჩემი საუკეთესო მეგობრები იყვნენ, დღედაღამ ერთად ვიყავით, მხოლოდ ჯარი, ციხე თუ სწავლა დაგვაშორებდა ხოლმე ერთმანეთს.

გოგიამ დაიჩემა, – თიანეთში გასტროლებზე ყოფნის დროს თიანელებმა სათევზაოდ წამიყვანეს, იორში ბევრი თევზია და რაღაც ერთ საათში მოსმით თითქმის 4-5 კგ. თევზი დავიჭირეთ და უნდა წავიდეთო. მაშინ ის დუისის კულტურის სახლის

დირექტორი იყო, სატვირთო მანქანა ჰქონდა კულტსახლს, დავსხედით და ავედით თიანეთში.

სიონის წყალსაცავის ზემოთ დავიწყეთ თევზაობა. მოსმის მეთოდმა გამაკვირვა. ალაზანში ჩვენ, ჩვეულებრივ, აღმა მივ-ყვებოდით მდინარეს, თანაც ნელა, ვცდილობდით, თითოეული მონაკვეთი კარგად დაგვემუშავებინა. იორში შესულმა გოგიამ და ხარებამ კი დაღმა, მდინარის მიმართულებით, დაიწყეს მო-სმა და თან სწრაფად გაქანდნენ წინ.

– ჰეი, რას შვრებით, მთლად გაგიჟდით? აღმა აჰყევით მდი-ნარეს, საით მიდის, ვერ ხედავთ? – დავუყვირე ძმებს.

– თიანეთში ხარ, თავად გიჟო, პანკისში ხომ არ გგონია თავი! – დამიყვირა ხარებამ და ასწიეს წყლიდან მოსმა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოსმის ფსკერზე მოფართხალე თევზი დავინახე. მერე დავფიქრდი, მივხვდი, რომ თიანელები მართალნი იყვნენ: იორი წმინდა იყო, ამ დროს თევზი ნაპირს არ ეტანება, როგორც მღვრიე, შლამიანი, ადი-დებული მდინარის დროს. ისიც მართალია, რომ თევზი, ძირი-თადში, აღმა მოძრაობს და როცა საპირისპიროდ დაუსვამ მოს-მას, მეტი შანსია, თევზი მოხვდეს ბადეში. თანაც გამჭვირვალე წყალში თევზი ხედავს საფრთხეს და გარბის, ამიტომ იყო სა-ჭირო სწრაფი მოსმა.

ცხადია, წყალში სირბილი ძნელია, ამიტომ ხშირად ვცვლიდით ერთმანეთს და ერთ საათში ერთ ვედრომდე თევზი დავიჭირეთ. ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით პანკისში. თევზი გოგიასთან მოვხარშეთ და კარგადაც ვიქეიფეთ. შეუდარებელი ამხანაგები და თანამეინახეები იყვნენ ძმები, ყველას ძალიან უყვარდა, მხი-არული, სიცოცხლისუნარიანი, იუმორის გრძნობით დაჯილ-დოებული ბიჭები იყვნენ, რომ იტყვიან, მეგობრების სული და გული. მათმა ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლამ გული დასწყვიტა ხალხს.

როგორც ვთქვი, მეზობელ რაიონებშიც გავდიოდით სათევ-ზაოდ. მითევზავია თელავში, რუსთავში, ხევსურეთში, რესპუბ-ლიკის გარეთაც, ჩეჩნეთში და ინგუშეთში. ერთხელ რუსთავში

ჩავედი ბიძაშვილთან, ექიმ ელდარისთან, რომ იტყვიან „ჟილ-კიან“ მეთევზესთან. ელდარი ბადით თევზაობდა. მითხრა – ხრამულა თევზი უნდა გაჭამოო და მდინარე ხრამულაზე წამიყვანა. კარგა ხანს ვითევზავეთ, მაგრამ რამდენიმე ცალი დავიჭირეთ.

– მთელი დღე ვიწვებოდით მზეზე და რამდენიმე ლიფსიტა დავიჭირეთ. აი, გროზნოში რომ ვიყოთ, ბადის ერთ სროლაზე დავიჭერდით ამდენ თევზს, – გავკენწლე მეგობარი.

– მართლა? ხომ არ მატყუებ? – დაინტერესდა ელდარი.

– ამის შემოწმება არ არის ძნელი, ჩავიდეთ და ვნახოთ, – წავაქეზე მეთევზე.

– ძალიან კარგი. ხვალ შაბათია, დილაადრიან გავდივართ, – მეუბნება აზარტში შესული.

– ძალიან კარგი, თავზე საყრელი თავისუფალი დრო მაქვს-მეთქი, – ვუთხარი სიცილით.

დილაადრიან გავწიეთ გროზნოსკენ და შუადღის შემდეგ გროზნოს მახლობლად ხელოვნურ ზღვასთან ვიყავით. ამ ზღვიდან ჩრდილოეთ მხარეს გაედინებოდა წყალი და პატარა მდინარეს ქმნიდა, წისქვილის წყლის ოდენას.

მანქანა გავაჩერეთ, ბადე ავიღეთ და დავუყევით წყალს. აქა-იქ, მიხვეულ-მოხვეულ ხევში წყალი მცირე ზომის მორევებს ქმნიდა. ელდარმა შეარჩია ერთ-ერთი, შემომხედა და ის-როლა. მისი გამოხედვა ნიშნავდა შემდეგს: ახლავე ვნახავ, სი-მართლეს ამბობდი თუ არაო. მე მშვიდად ვიყავი, რადგან მარცხის შემთხვევაში ჩვენ წავიდოდით მთის მდინარეებში (არგუნი, როშანი, ასა) სათევზაოდ და იქ, ვიცოდი, უამრავი თევზი იყო. ელდარმა ბადეს ამოსწია, სწრაფად ნაპირზე გადმოიტანა და გაშლა დაიწყო. როგორც კი წყლიდან ამოზიდა ბადე, შევნიშნე, რომ მოლოდინი გამიმართლდა: შიგ მტკაველის სიგრძე 16 ცალი ერთი ზომის თევზი იყო. მეთევზე გაოცებული შეჰყურებდა ნადავლს.

– უფროს ძმას დაუჯერე ხოლმე, რაც არ უნდა გითხრას, ეს ქისტური ადათის აქსიომაა. თუმცა შენ ხომ რუსთაველი ხარ, შენ მეტი არც მოგეთხოვება. – დაცინვით ვეუბნები.

გროზნოში ვახშამზე ცოცხალი გვქონდა, მეორე დღეს მდინარე როშნში ვითევზავეთ და დავბრუნდით. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა თევზაობა მითხოში, ჩეჩნეთის მთიან რეგიონში. ჩემს დეიდაშვილს, ლორსა გაურგაშვილს, საკუთარი ცხვარი ჰყავდა ჩეჩნეთში. ზაფხულში მდინარე არგუნის აუზში, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთიანეთში აძოვებდა, ზამთარში თერგის ნაპირებზე ეყენა. ხელგაშლილი მეცხვარე არის, სტუმრისა და ნათესავის მოყვარული და რაკი იცოდა, რომ მთები მიყვარდა, ნადირობა და თევზაობაც მიტაცებდა, მთავაზობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში გასეირნებას.

ერთ ზაფხულს, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ლორსა ჩამოვიდა პანკისში, პურ-მარილზე შევხვდით ერთმანეთს და მითხრა:

– „შიჩი“ (დეიდაშვილო), ხვალ ცხენებით მივემგზავრებით მითხოში (მელხისტაში). ამხანაგიც მახლავს ომალოდან, ბერსა ალხანაშვილი, რომელიც ინგუშეთის მთებში, ღულში მიდის საკუთარ ცხვართან, ხომ არ წამოხვალ, ინადირებ, ითევზავებ და ციხე-კოშკებსაც დაათვალიერებ, ასე რომ გაინტერესებსო.

უცბად გადავწყვიტე გამგზავრება, თანხმობა მივეცი და დილით ზურგჩანთით, მოსასხამში გახვეული ავტომატით მივადექი დეიდაშვილს. ცხენები შეკაზმული ჰყავდა, ბარგი – ხურჯინებივით გადაკვანძული ტომრები – ავკიდეთ ცხენებს, უკან ნაბდები მივამაგრეთ უნაგირებს, მოვასხედით ცხენებს და გავუდექით გზას ომალოსკენ.

ბერსა გველოდებოდა. ადრიდანვე ვიცნობდი, გულთბილი, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი კაცი იყო, სასიამოვნოდ მოსაუბრე და მოქეიფე. არაფრით არ მოგვეშვა, სანამ გაშლილ ტაბლას არ მივუსხედით.

– რა გვაჩქარებს, ყუანახი (კაცებო), მოუთმენლად არავინ მიგველის, ქალაქში ხომ არ მივდივართ, მთები უნდა გადავიაროთ, ბიუროს (იგულისხმება კომუნისტების რაიკომის ბიურო) სხდომაზე ხომ არ ვაგვიანებთ?

თავად ჩეხურ ლუდსა სვამდა, ჩვენ არაყი დავლიეთ და შუადღისთვის ომალოდან გავედით. ალაზანში გავტოპეთ და ალაზნის ნაპირს ავუყევით სოფელ ბირკიანის გასწვრივ. გავცდით ბაწარის კარს, ხოხორას ველს („ხოხორაი ათაჰ“), სოფელ ხადორთან მკვეთრად გავუხვიეთ დასავლეთისკენ და ავყევით ქოჩადლის ხევს.

ცხენები ტაატით მიგვყავდა, ერთმანეთში ვსაუბრობდით, არსად გვეჩქარებოდა, სადაც დაგვიღამდებოდა, იქ დავიდებდით ბინას. წიფლოვანის ჭალის ბოლოს მთიდან მომავალი მგზავრი შეგვხვდა, ჩამოვხტით ცხენებიდან, ლორსამ არყიანი ტიკი გადმოიღო. მე პლასტმასის ჭურჭელი გადმომაწოდა და მითხრა:

– ე, ჩადი ხევში, წყალი ამოიტანე, დაგვჭირდება, სანამ ამოხვალ, თითოს გადაკვრასაც მოვასწრებთო.

ხევი საკმაოდ ღრმა იყო, ჩასასვლელიც დაქანებული, ჩადუნითა და ბუერათი დაფარული. ფეხი სხლტებოდა და ვეცემოდი. სანამ წყალს ამოვიტანდი, ოციოდე წუთი გავიდა და მეც მივუჯექი სახელდახელოდ გაშლილ სუფრას.

საუბრის მანერა შეცვლოდა ბერსას. დაკვირვებით შევხედე და შევატყვე, რომ კარგა შეზარხოშებული იყო. ლორსას შევხედე და თვალით ვანიშნე მის მეგობარზე. ლორსა გადმოიხარა ჩემკენ და მეუბნება:

– სანამ ხევში იყავი, უცბად გამოცალა ორი ბოთლი ლუდი. ხედავ?! დიდი ხანია სასმელს არ სვამს და რა უცბად მოერია.

თავი დავუქნიე, მიგიხვდი-მეთქი. მალევე ავიშალენით, მგზავრი ბარისკენ გაემგზავრა, ჩვენ ქოჩადალისკენ აღმა ავყევით. უცბად, ცოტა მოშორებით კონიაკის ცარიელ ბოთლს მოვკარი თვალი და მივხვდი ბერსას ზარხოშის მიზეზს. ქოჩადალაში ჯოყოლოელებს ბინები საქისტოს ძირში აქვთ მოწყობილი, თავზე გადმოჰყურებთ ცაში აწვდილი საქისტოს მთა, სამხრეთით ტბათანას ქედი მიემართება აღმოსავლეთისკენ. ჩრდილოეთით მის პარალელურად – ლამაზურისა და სუბუქის ქედი. ამიტომ წყლის პირზე სიპის ქვისგან აშენებულ და სიპებით დახურულ ბინებში მალევე ბინდდება.

ჩვენ დიდხანს არ გავჩერებულვართ, ერთ-ერთ ქოხში, სადაც მხოლოდ ქალები, დედა-შვილები იყვნენ, სამ-სამი ჭიქა გადავკარით, ამჯერად მასპინძლები გაგვიმასპინძლდნენ და აღმა ავყევით ლამაზურის ქედს.

მაღლა ავედით თუ არა, უცბად ჩამობნელდა, ჯერ კიდევ ჩანდა სპეროზისა და კუპრაბალინჩოს მთის წვერები. სადღაც შორს იკვეთებოდა საყორნის ქედის გლუვი გაშლილი ცერი, მის მაღლა ბორბალოს მთა კი შავად და ავად გამოიყურებოდა. ლურჯი ცის ციალში მთათა გუმბათები გოლიათებივით ჩანდნენ.

ცხენები საბალახოდ გავუშვით, დავბორკეთ, რომ შორს არ წასულიყვნენ, დაცემულ პატარა მწვანე ტერასაზე შევარჩიეთ დასაწოლი ადგილი, ქვეშ უნაგირის ქეჩები გავშალეთ, სასთუმლად უნაგირები მოვაწყეთ და დასაძინებლად მოვემზადეთ.

მეცხვარე სწრაფად იძინებს, მას ოცნებისათვის არ სცალია, სწრაფად უნდა გამოიძინოს, თორემ არ იცის, რამდენხანს გაგრძელდება მისი ძილი – ან ავდარი დაუფრთხობს ძილს, ან ნადირი მიეტანება ფარას, ან დამფრთხალი ცხვარი აიშლება. ათასი მიზეზი არსებობს, რათა მეცხვარეს ძილი არ აცალოს, ამიტომაც ცდილობს, რომ დაწოლისთანავე დაიძინოს.

ჩემს ამხანაგებს მაშინვე ჩაეძინათ, მე კი ვერაფრით მოვეწყე მოხერხებულად. მთაში ჩემი ერთადერთი და გადაუჭრელი პრობლემა არის ღამის თევა. ვერაფრით ვისწავლე ნაბადში ისე გახვევა, რომ მთელი ტანი დამეფარა, სასთუმალიც პრობლემა იყო ჩემთვის. ერთი სიტყვით, განსაკუთრებით პირველ ღამეებში, სანამ არ შევეჩვეოდი, შამფურივით ვტრიალებდი ხოლმე.

ძილი ამჯერადაც გამიქრა. წამოვჯექი, ცხენები შევათვალიერე, შორიახლოს რომ ძოვდნენ და ცას შევაცქერდი. საოცარია მთაში მოწმენდილი ცა, ბნელ თაღზე ვარსკვლავები კაშკაშებენ, პირდაპირ ბრწყინავენ, თან გეჩვენება, რომ ძალიან ახლოს არიან. დიდი ვარსკვლავების ციაგში პატარა ვარსკვლავების ციმციმი იდუმალ სურათს ქმნის. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ კი რეალურობას სწყდები და იდუმალ სამყაროში გადა-

დიხარ, ხვდები, რომ ღმერთთან ახლოს იმყოფები. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ყოველთვის მიზიდავდა მთაში ყოფნისას ლოცვა, სულიერ სიმშვიდეს მგვრიდა ღამისეული ვედრება.

დილის ხმაურმა გამაღვიძა. ლორსა და ბერსა ცხენებს კაზმავდნენ. ძილი მერეოდა, მაგრამ უზრდელობა იყო ძილი, როცა უმცროსის გასაკეთებელ საქმეს უფროსები აკეთებენ, მაშინვე წამოვხტი, მეცხვარეებს ხელი შევაშველე და გზას დავადექით.

მზე ამოწვერილი იყო და სხივები მთის წვერებისთვის მიეფინა. ხევებში ჯერ კიდევ მკრთალი ბინდი იდგა. ბალახზე ნამის წვეთები მზის სხივებზე წუხანდელი მკრთალი ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ. რკინის მთას მივადექით. აქ იწყებოდა ყველაზე ცუდი მონაკვეთი ბილიკისა, რომელიც კლდეთა წვეტებიან კიდეებზე ზიგზაგებით მიიკლაკნებოდა. ბილიკის ზედაპირი ტრაქტორის სავალი ნაწილის („შალგების“) კბილანებს ჰგავდა, უსწორმასწორო კლდის წაწვეტებულ შვერილებზე გაჭრილ ბილიკს ცხენები ფრთხილად მიჰყვებოდნენ, წაიფორხილებდნენ თუ არა, მთელი ტანით იძაბებოდნენ, მკვეთრ მოძრაობას აკეთებდნენ, ტანს წინ ისროდნენ, ნალები კლდეებზე დარტყმისგან ნაპერწკლებს ყრიდნენ.

ბილიკი ფერდს მიჰყვებოდა. უფსკრულის პირზე, ერთი მოუზომელი ნახტომი და ცხენი ფრიალო კლდეებზე გადაეშვებოდა. ტყუილად არ ერქვა ამ ქედს რკინის მთა, მთლიანად ჟანგისფერი იყო. ამბობდნენ – გეოლოგებმა იმუშავეს აქ და რკინაც აღმოაჩინეს, მისი ამოღება-დამუშავება კი დიდ სიძნელეებთან, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მოგებაზე მეტად ზარალს ნახავდნენ, ამიტომ ამ მადანზე უარი თქვესო.

გავიარეთ ეს სახიფათო მონაკვეთი, უღელტეხილზე ჩრდილოეთით გავედით და მასარის მთისკენ გავწიეთ. მასარაზე, მთის ცერზე არის ვაკე ადგილი, სადაც გამოდის საკმოად მოზრდილი წყარო. ეს მწყემსებისთვის იდეალური ადგილია ალხაჯის (დროებითი სადგომის) მოსაწყობად. ჩვენც აქ დავისვენეთ, ვისაუზმეთ, ცივი, ანკარა წყაროს წყალიც დავაყოლეთ და შე-

სანდობარიც შევსვით მათი, ვისაც ამ მთაზე აუვლ-ჩაუვლია და დღეს ცოცხალი აღარაა.

დიდხანს არ შევჩერებულვართ, დავეშვით დაბლა წიფლოვანის ხევისკენ, გავედით ალაზანში და შევუდექით საყორნე მთის აღმართს, ხევიდან საწყისი აღმართი ძალიან დაკიდებულია და სახიფათოც.

საყორნეს მთა ძალიან მაღალია. ის იწყება ბორბალოს მთიდან, აღმოსავლეთისკენ სპეროზასკენ დაშვებული ქედიდან, სულ მწვანითაა მოსილი და მის დაქანებულ ფერდობს აღმა მივუყვებით. დაახლოებით სამი საათია საჭირო მის თხემამდე მისაღწევად. სადღაც შუა გზაზე, ბილიკის ცოტა მოშორებით, აღმართულია 8 ჯვარი. აქ ჩამოვარდა ალაზნის თავიდან გადმოფრენილი შვეულმფრენი, პილოტი და მეცხვარეები დაიღუპნენ. ფეხზე მდგომებმა მათი შესანდობარი დავლიეთ და გზა განვაგრძეთ.

შუადღისთვის საყორნის ქედზე გავედით. აქედან ჩრდილოეთით გამოჩნდა პირიქითა ალაზანი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ, დაღესტნისკენ მიედინებოდა, ხოლო სამხრეთით ჩანდა პირაქეთა ალაზანი, ჩვენი ალაზანი, რომელიც ასევე აღმოსავლეთისკენ მიიჩქაროდა.

შუადღე იდგა, მზე ზენიტში იყო. ჩვენ გავუყევით საყორნის ქედს, გეზი აღებული გვაქვს უღელტეხილისკენ, რომლის გადავლის შემდეგაც დავეშვებით ხევსურეთისკენ და დავუყვებით ანდაქის წყალს. არ მახსოვს, რომ ეს მონაკვეთი, ბორბალოს მთის ძირში, ავდრის გარეშე გამევლოს. მზიან დღეს უცბად მოიღრუბლება, ჩამობნელდება ირგვლივ, საიდანღაც ქარი ამოვარდება და დააყრის ხოშკაკალას.

სეტყვა ისეთი სისწრაფით დაუშენს, რომ რამდენიმე წუთში თეთრად გადაიპენტება მიდამო. ერთი წივილი, ღრიალი და გრიალი ატყდება, ცხენი ზურგს ქარის მიმართულებით მიაქცევს, თავს ჩაღუნავს და ფეხს არ მოიცვლის, მათრახით ზურგიც რომ აუჭრელო. მადლობა ღმერთს, ეს ქარაშოტი დიდხანს არ გრძლედება, როგორც მოულოდნელად ამოვარდება ხოლმე, ასევე მოულოდნელად ჩადგება.

ჩვენ გავიარეთ უღელტეხილი, ჩავედით დასავლეთით ვიწრო ხეობაში და დავყვით წყლის დინებას. სანამ არჭილოში ჩავიდოდით, ხევსურების საზაფხულო ბინებთან შეგვხვდა ნაცნობი ხევსური ხვთისო, რომელსაც ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა. ამბავი, ხაბარი გავიკითხ-გამოვიკითხეთ, სამ-სამი არაყიც გადავკარით და ხვთისომ გვითხრა:

– ჩადით ბინაში, გზიდან ზევით შენიშნავთ, საღამოს მეც ჩამოვრეკავ ცხვარს, ღამე ჩვენთან გაათენეთ და დილით გაუდგებით გზას.

დავეთანხმეთ და გზა განვაგრძეთ. ბინაში ცხენები ბარგისგან გავათავისუფლეთ და საძოვარზე გავუშვით დაბორკილები. თავად ნაბდები გავშალეთ და წამოვწექით.

დაბინდებული იყო, როცა ხვთისომ გამაღვიძა და ვახშამზე მიმიწვია. ჩემი მეგობრები სუფრას შემოსხდომოდნენ, წინ ხონჩით ხაშლამა ედგათ, რომელსაც ცხელი ორთქლი ასდიოდა, ხვთისოს საკლავი დაეკლა და, მთის წესისა და რიგის მიხედვით მასპინძლობდა სტუმრებს.

მშვენიერი ვახშამი გამოგვივიდა, მთაში ვარსკვლავებით განათებულ ღამეში ქეიფს არაფერი შეედრება, ასეთ დროს წინაპრებთან ახლოს ხარ, გრძნობ ძალუმ კავშირს წარსულთან, გესმის წინაპართა სისხლის ყივილი, ცივილიზაცია უკან იხევს და ბუნების სტიქიაში გათქვეფა გწადია.

დილით ვისაუზმეთ, მადლობა გადავუხადეთ მასპინძელს და გავუდექით გზას. გზაში თუ ვინმე შეგვხვდებოდა, ჩამოვხტებოდით ცხენებიდან, არაყს შევთავაზებდით, ჩამოვსხდებოდით იქვე გზის პირზე, სადღეგრძელოს ვამბობდით, ვადიდებდით მთას და მთიელებს და ა. შ.

მზე დასავლეთისკენ კარგა გადახრილი იყო, როცა ანატორთან ხიდზე გავედით მდინარე არგუნზე და მივადექით ჰალაგოს ქედს. ეს ქედი ჰყოფს საზღვარს ხევსურეთსა და მითხოს შორის, საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის.

ჰალაგოს ხევში გადავედით და ის იყო ჯარეგოსკენ უნდა აგვეღო გეზი, რომ ლორსამ დაიჩემა – გრიშა ალხანაშვილი უნდა ვნახოთ, მაღლა დგას მისი ცხვარიო.

მე ჯარეგოსკენ მეჩქარებოდა, ჩვენი მგზავრობის საბოლოო პუნქტისკენ, მაგრამ ლორსამ ჯიუტად შეაბრუნა ცხენი აღმა. რას ვიზამდით, მივყევით მას.

ბინაში გრიშა დაგვხვდა, სიხარულით შეგვეგება, გარეთ გავშალეთ სუფრა. მოხარშული ხორცი დაგვიდგა, სამწვადეც გამოიტანა, მაგრამ ლორსა არ დაკმაყოფილდა – ამაღამ აქ ვრჩებით, ცხვარი დაკალიო.

– ცხვრის მეტი რა მყავს, ეხლავე მოდგება ფარა თეოზე, ფიქრი ნუ გაქვს, – თქვა გრიშამ. ჩვენ, მე და ბერსა, ვცდილობთ, დავითანხმოთ გაჯიუტებული ლორსა, რათა ჩავიდეთ ჯარეგოში. აქედან ერთი საათის სავალი არ არის, მზის ჩასვლამდე ჩავალ-თო, მაგრამ ჯორზე შემჯდარ მწყემსს ვერაფერი შევასმინეთ.

ის ღამეც ჰალაგოში ქეიფში გავატარეთ. სამი დღე მოვანდო-მეთ ერთი დღის სავალს. მართლაცდა, ლორსას არ იყოს, რა გვეჩ-ქარებოდა, დრო საკმარისი გვქონდა. სილამაზე და სიხალისეც სწორედ იმაში იყო, რომ დრო ბევრი გვქონდა, არსად გვეჩქარებო-და. ჩვენ ხომ მთაში ვიყავით, წინაპართა ნაკვალევს ვთელავდით.

მეორე დღეს მზე კარგა სიმაღლეზე იყო, როცა დავტოვეთ ჰალაგოში გრიშას ბინა და წავედით ჯარეგოსკენ. საკმაოდ და-ქანებულ ფერდს ვიწრო ბილიკი გასდევდა, ხან ხევში მოვე-ქცეოდით, ხან ცერზე და გამოჩნდა კიდეც ჯარეგო:

„ჯარეგას მიდგას სახლ-კარი
ჩემი ციხე და ქავია...“

ჯარეგოს მთა მითხოს წყლის სათავიდან ეშვება აღმოსავლე-თისკენ და არგუნის ხეობაში, ზედ მდინარესთან წყდება. დიდი მთის ჩრდილო ფერდობი ტყით არის დაფარული, სამხრეთი მთლიანად ალპურია, ზედ მდინარე არგუნამდე ტყე არ არის, მდინარესთან კი ციცაბოა, კლდიანი ქარაფები წყლიდან აღმარ-თულა. აქ არგუნი ვიწრო, კლდეებში გაჭრილ კალაპოტში მიხრი-ალებს, ქაფმოგდებული აქეთ-იქით აღმართულ შავ კლდეებს ეხეთქება და მიდამოს აყრუებს ღრიალითა და ზათქით:

„ბნელ ხევზე მოჰყეფს მდინარე
გულამღვრეულის ჯავრითა“.

ეს ჯოყოლა ალხასტაიძის მშობლიური მხარეა, მისი სოფელი ჯარეგო. ჯარეგო მთის შუა წელში, დავაკებულ ზურგზეა გაშენებული. ახლა ფეხზე მხოლოდ არგუნის ხევის მაღლობზე მდგომი საბრძოლო კოშკია, რომელსაც კონუსისებური სახურავი მონგრეული აქვს. ზემოთ, წყაროს წყლის გვერდით მთავარი სოფლის ნანგრევებია შემორჩენილი, სადაც ლორსას დაუბანაკებია. აქ წველიდა ზაფხულში ცხვარს, ბატკანი მაღლა, მთის წვერზე ჰყავდა, ალხაჯში ედგა, შემდეგ ნელ-ნელა აიწევდა გუმბათისკენ, ბატკანს სიმაღლე უყვარს. იქვე მეზობლად მშრალი ცხვარიც ეყენა. ასე რომ ლორსას მთელი ზაფხული მეწველიც, მშრალიც და ბატკანიც ჯარეგოში ჰყავდა.

ბინაში რომ მივედით, მწყემსები სიხარულით შეგვხვდნენ. მართალია, მათი „ხაზეინი“ ლორსა მკაცრი ხასიათის, უკმეხი სიტყვა-პასუხის კაცი არის, მაგრამ ხელგაშლილია, მწყემსებს კარგად ინახავდა, არაფერს აკლებდა, საჭმელ-სასმელი უხვად ჰქონდათ და, რაც მთავარია, უყვარდათ. სიხარულით კი შეგვხვდნენ, მაგრამ რაღაც უხერხულობა იგრძნობოდა.

ბერსა ცხენიდან არც ჩამოსულა, ისე გამოგვემშვიდობა. – ღულში დაგელოდებიო, – მითხრა და გზა გააგრძელა. ის ჯარეგოდან უნდა ჩასულიყო მითხოს ხეობაში; საიდანაც ავიდოდა მელხისტის მთაზე, აღმოსავლეთისკენ გადაივლიდა ქედებს და გადავიდოდა ინგუშეთის მთებში; მერე ჩავიდოდა ღულის ხეობაში, ჩაყვებოდა ხეობას, სადაც დუისელებს ცხვარი ეყენა. მდინარის სათავეში ბექსოლთ ქავთარაშვილი იდგა, უფრო დაბლა თამაზ მარგოშვილი და აბრაგ ხუშპაროვის აულ ღულთან კი ბერსა ალხანაშვილის ცხვარი იდგა. მას დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი და დაეშურა, დაბინდებამდე მიეღწია ბინამდე.

მწყემსებმა უსიამოვნო ამბავი გვამცნეს: ღამე მგლები დასცემოდნენ ცხვრის ფარას, დამფრთხალი ცხვარი გაფანტული-

ყო მთის კალთებზე და მგლებს ეფატრა გზადაგზა. მწყემსები დილიდან აქუჩებდნენ გაფანტულ ცხვარს, ზოგი უკვე მოსულიყო ბინაში, სხვები კი ისევ ეძებდნენ მიმოფანტულ, შეშინებულ, დეკასა და ქუჩში დამალულ ცხვარს.

ჩვენ ჩავერთეთ ცხვრის ძებნაში, დახოცილებიც დავთვალეთ, სულ 29 სული დაეგლიჯა მგელს. საოცარი ის იყო, რომ ერთ ადგილას კი არ ეყარა დახოცილი ცხვარი, არამედ ერთმანეთისგან დაშორებით, მთის სხვადასხვა მხარეს.

– კი, მაგრამ, მთელი ხროვა დაეცა ამ ცხვარს? მე როგორც ვიცი, მთაში ორი თუ სამი მგელი ნადირობს ერთად, – ვეკითხები დეიდაშვილს.

– აქაც სამზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ მარტოხელა მგელს შეუძლია შიშისგან გაგიჟებულ, ისედაც უჭკუო ცხვარი მართოს თავის სურვილის მიხედვით. ჯერ აქ გაჰკრავს ეშვს ცხვარს, უმეტესად ყელში, მერე ნოტოს შეაბრუნებს მისთვის სასურველ მხარეს, მერე იქ დაერევა და ასე შემდეგ, – მიხსნის ლორსა.

– ჯადოქრის ძალა ჰქონია, ოხერს, ეშვები ჯადოსნური ჯოხის როლს ასრულებენ, როგორც ჩანს, მაგრამ ერთი რამ მაკვირვებს, ძაღლები სად ჯანდაბაში იყვნენ, რატომ არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა? – ვეკითხები დროულ მწყემსს.

– ძაღლები ყოველთვის დგანან სადარაჯოზე, ჩვენ, ადამიანები არ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას. ძაღლები ჩიკორას (მწყემსის ზედმეტი სახელია) ჩამოჰყვნენ ბინაში. სალაფავი რომ თეოზე აეტანა და იქ ეჭმია, ალბათ, მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა. ცხვრის ბღავილზე კი გამოეკიდნენ ძაღლები, მაგრამ ყველგან ხომ ვერ მიწვდებოდნენ.

– ძაღლებს იცავს მწყემსი.

საღამოზე სულ 29 სული დავითვალეთ მგელთა ნაომარი. ლორსა მშვიდად შეხვდა ამ ამბავს, ცოტა კი იბობოქრა, არა იმის გამო, რომ ზარალი ნახა, არამედ, ჩვეულების გამო. მან ცხვრის დაკვლა და ვახშმის მომზადება ბრძანა.

მე ჩიკორა მოვიკითხე, ლორსამ შეუკურთხა:

– შიჩი, გაგზავნე კაცი, ჩამორეკოს ჩიკორამ ცხვარი ბინასთან, ამაღამ ერთად ვიქეიფოთ, ცოდოა ახალგაზრდა, განგებ ხომ არ მიუტოვებია ცხვარი, კაცს კი არა, მარტოობა მგელსაც აწუხებს, – ვეუბნები ლორსას.

– კარგი, შენი ხათრით, თორემ მაგას ბინის ახლოს არ გავაჭაჭანებდი. ოჯახი მის იმედზეა, მისი ხელფასის შემყურე, თორემ დავუქვითავდი ცხვარს ხელფასში, როგორც წესია, მაგრამ მისი ოჯახის ცოდვაში ვერ ჩავდგები, მიპატიებია.

ხელი გადავხვიე, ისე მესიამოვნა მისი სულგრძელობა, რომ სიხარული ვერ დავფარე, მეამაყებოდა, რომ ასეთი დიდსულოვანი ადამიანები ვიყავით ქისტები. მაშინვე ვაფრინე მწყემსი ჩიკორასთან, ცხვარი მორეკეს ბინასთან და დარცხვენილი ჩიკორაც გვერდით მოვისვი.

ლორსას ბინა საკმაოდ ფართო იყო, მწყემსების ქოხებთან შედარებით დარბაზი იყო. დაახლოებით 10 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის იქნებოდა. უკანა მხარეს ლატნებისგან ტახტი იყო გაკეთებული, ზედ არყის წნელები იყო გაფენილი და ზედ ეწყო ყველის გუდები, რამდენიმე რიგად დაწყობილი. ჩრდილო მხარეს საწოლი იყო მოწყობილი, მრგვალი მომსხო ხარიხებით შემოფარგლული მთელი კედლის გასწვრივ, ადამიანის სიმაღლის სიგანისა. შიგ ეფინა არყის წვრილი წკნელები, ზედ ქუჩი, ხმელი ბალახი (ქისტურად „ყაჰქ“) ჰქონდა გაშლილი, მაზედ კი ნაბდები, თექა და სასთუმალთან უნაგირები. ერთი სიტყვით, მთის პირობაზე სასახლესავით იყო მორთული, რაც ქოხში შესვლისთანავე თვალში მეცა. ჩემთვის ადგილი შევარჩიე, ტანისამოსი და ნივთები თავთან, ქანის ხეზე ჩამოვკიდე და იქამდე ვფაციფუცობდი, სანამ კმაყოფილი არ დავრჩი ჩემი ქვეშაგებით. ჩემი მთავარი პრობლემა – ღამის სათევი – მოხსნილი იყო.

როგორც აღვნიშნე, ანკესით თევზაობა არ მეხერხებოდა; მელხისტის წყალი ვიწრო კალაპოტში მოედინება და გადასაგდები ადგილი არსად იყო. მართალია, ანკესები, ძაფები და სხვა სათევზაო მოწყობილობა თან მქონდა, ვიმედოვნებდი, რომ ვინმე მეთევზე გამოჩნდებოდა ჩვენებური ან ხევსური. ისიც ვიცოდი,

რომ დაბლა, მითხოს წყლის პირზე ჰქონდათ ქისტ მეცხვარეებს ბინები და იყვნენ თევზაობაში დახელოვნებული მწყემსებიც. მაგალითად, გაგონილი მქონდა, დუისელ საიდ ქავთარაშვილს ბინა ინტერნატთან (გაშლილი ვაკე ადგილი, სადაც მითხოელი ბავშვებისათვის, რომლებიც სხვადასხვა აულებში ცხოვრობდნენ, 1944 წლისათვის ინტერნატის შენობა აუშენეს, მაგრამ მოსწავლეებს არ ეღირსათ იქ ცხოვრება და სწავლა, რადგან თებერვალში აჰყარეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელი მოსახლეობა და შორეული ყაზახეთის უკიდეგანო ველებზე უპატრონოდ დაყარეს), ზედ მელხისტის წყლის პირზე ჰქონდა. ბინის სარქალი, საქმეებს რომ მორჩებოდა, თევზაობდა და კალმახს აშრობდა მზეზე.

ამბობდნენ, 500 ცალი კალმახი გაახმო და სახლში ჩაიტანაო. ხმელი თევზის დიდი მოყვარული ვარ და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება მეფე-თევზის გაშრობა, ის ხომ დაკარგავს ღირსებას-მეთქი. მაგრამ როცა მელხისტაში თევზაობის დროს მოხარშული სიმინდის გორდილასთან ერთად მომართვეს გამხმარი, მოხარშული კალმახი და დავაგემოვნე, მივხვდი, რომ კალმახს ხმელ მდგომარეობაშიც არ დაუკარგავს თავის გამორჩეული გემო.

ისტორიულ საბრძოლო, ნახევარსაბრძოლო და საცხოვრებელი კოშკების, აკლდამებისა და სხვა შემორჩენილი ნანგრევების თვალიერება-შესწავლაში გადიოდა დრო. ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი და ტკბილად მოსაგონარი ხანა. სასაფლაოს დათვალიერებაც კი სიამოვნებას მანიჭებდა, სადაც საფლავის ძეგლები, უზარმაზარი ლოდები და დამუშავებული ქვები, უწარწერო და არაბულ წარწერებიანი ძეგლებზე დაკვირვებაც კი იძლეოდა საშუალებას, მიჰყოლოდი ისტორიულ ეპოქებს.

როცა პანკისში მომიყვნენ, რომ „პარტიზანებს“ ჯარეგოს სასაფლაოს ღობე-ყორეში დაემალათ ღალატით შემორიგებული და დახოცილი ორი აბრაგის გვამი, ვეჭვობდი, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს, მაგრამ როცა დავათვალიერე ერთი მეტრო სიგანის ქვებისგან აგებული ყორე, კოშკების მსგავსი წყობა, მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდნენ.

ხან ცხენით, ხან ფეხით, გააჩნია, რა მანძილზე ვმგზავრობდი, ღამის თევით მივდიოდი თუ საღამოს დავბრუნდებოდი, მოვიარე მითხო. სანახავი კი იმდენი იყო, მთელი ზაფხულიც არ მეყოფოდა. ერთი დღე მოვუნდი იმის დასადგენად, საიდან მოიყვანეს წყალი ჯარეგოელებმა სოფლებში (სამ ადგილას იყვნენ დასახლებულნი, ერთმანეთის გვერდიგვერდ 68 კომლი), წყარო, რომელიც ზემო ჯარეგოში (პირობითად ვუწოდებდი ზემო, შუა და ქვემო ჯარეგას, თორემ თავად მელხისტები და მეზობლებიც ერთ აულად მოიხსენიებენ – ქისტები ჯეარიეს უწოდებენ, ხევსურები – ჯარეგოს), კლდის ძირში გამოდიოდა, საქონლისთვის და სარეცხისათვის არ ეყოფოდათ.

მთის ფერდობზე ნათლად ეტყობოდა არხის ნაკალაპოტარი, რომელიც მაღლა მიემართებოდა. მითხრეს, რომ ამ არხით რამდენიმე კილომეტრის სიშორიდან ჩამოიყვანეს წყალი. მის გაჭრაში ამუშავებდნენ თუშ ტყვეებს, თუმცა რამდენად მართალია ეს, ვერაფერს ვიტყვი. ის კი უდაოა, რომ ქისტები თარეშების დროს იტაცებდნენ ადამიანებს, ატყვევებდნენ გამოსყიდვის მოლოდინში, ხოლო სამხედრო ტყვეებს მონებად აქცევდნენ და ამუშავებდნენ.

მივყევი წყლის არხს (ნაარხალს) 4-5 კილომეტრის მანძილზე სათავემდე და განცვიფრებული ვათვალიერებდი, თუ როგორი საინჟინრო ხელოვნებით იყო დაგეგმილი ეს არხი. სათავემდე რამდენიმე მშრალი ხევი იყო, საკმაოდ ღრმა, მაგრამ ისე ოსტატურად იყო დასერილი არხით ხევები და ფერდობები, რომ ნათლად ჩანდა, რომ წყალი შეუჩერებლივ, ყოველგვარი დაგუბების გარეშე ჩააღწევდა აულებამდე.

ნახევარი საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რაც მელხისტა დაცარიელდა მოსახლეობისაგან, მაგრამ ნათლად ჩანდა სამანები სოფლის გვერდით არსებული სათესი თუ სათიბი ნაკვეთებისა. ყველა თანაბარი ზომისა იყო, ეტყობოდა, სახნავ მიწას, სათიბს თანაბრად ანაწილებდნენ, თანაც კენჭის ყრით, ყოველ წელიწადს ან სამ წელიწადში ერთხელ. ქისტებში უფლებრივი თანასწორობა ხელშეუხებელი იყო.

იღბლად ხეობიდან დუისელი მწყემსი ნოდარ ქავთარაშვილი ამოვიდა, რომელიც, როგორც მითხრეს, პროფესიონალი მეთევზეა. ჩემი პანკისში დაბრუნების დროც მოვიდა და ვთხოვე, ერთად გვეთევზავა. ნოდარის მამასა და მის ბიძას კარგად ვიცნობდი, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. მას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი, მაგრამ ზრდილობიანი, ყოჩაღი და დაუზარებელი ახალგაზრდის სახელი ჰქონდა და დიდად ნასიამოვნები დავრჩი მისი სტუმრობით.

უყოყმანოდ დამეთანხმა და წარმატებულ თევზაობაში დამარწმუნა, თევზი აქ ხომ ბლომად იყო. ხევსურებს, შატილოვნებს ბარიდან ან ქალაქიდან თევზაობის მოყვარული სტუმრად თუ ეწვეოდა, მითხოში ჩაჰყავდათ სათევზაოდ. აქ ბუნება ხელუხლებელი იყო, ბრაკონიერობა არავის სჭირდებოდა, რაღაც ერთ საათში ანკესით თევზაობის მოყვარული უამრავ კალმახს იჭერდა.

დილით ადრე ავდექით. მთის წვერები ნისლში იყო გახვეული, წვიმის მოლოდინში ქარიც კი ჩამდგარიყო. არადა ჯარეგოს მთაში ზევიდან ყოველთვის უბერავს ქარი. მართალია, არც თუ ძლიერი, მაგრამ თითქმის შეუჩერებლივ და ღამით კარგ ამინდშიც ცივა.

სწრაფად დავეშვით ხეობაში. ნახევარი საათის შემდგე ალხაჯებში ჭიაყელების ძებნა დავიწყეთ, მაგრამ სადღაც გამქრალიყვნენ, რამაც გამაღიზიანა.

– არა უჭირს, ნუ ნერვიულობ, თევზის თვალებსაც ეტანება კალმახი, მტაცებელთა ჯიშისაა და მოყვარესაც არ ინდობს. – სიცილით მეუბნება ნოდარი.

– ბედი არ გინდა, სად გაქრენ ეს ოხრები! ერთ სიპს რომ გადააბრუნებდა კაცი, კოლოფს ავსებდა. თუმცა ჩვენი ბრალია, გუშინვე უნდა გვეზრუნა ამაზე, – ბოღმას ვერ ვფარავ.

– ნუ გეშინია, თევზს დავიჭერთ, ხელცარიელს არ გაგიშვებ, – მაიმედებს ნოდარი, – ახლა დავეშვათ წყლის ნაპირ-ნაპირ წყლის კუდისკენ (ე. ი. შესართავისკენ, მითხოს წყალი დასავლეთიდან, აულ მეშიდან მოქუხს და არგუნს უერთდება) და აღმა ამოვყვეთ თევზაობით.

ძუნძულით ჩავყევით მდინარეს. შამბით, დიყითა და დახლართული მცენარეებით იყო ატეხილი მდინარის სამხრეთი ნაპირი, მაგრამ მეთევზეებს შესამჩნევი ბილიკი გაეკვალათ და სიარული გვიადვილდებოდა, მკვდართა ქალაქამდე („წეე ფჰიედ“ – აკლდამა-სასაფლაო) არ ჩავსულვართ, გავამზადეთ ანკესები და წყალს ამოვყევით.

ჭალას ამოვცდით, ის იყო ინტერნატს მოვაღწიეთ კიდეც, რომ წვიმა წამოვიდა. ჭიაყელებიც გაგვითავდა. წვიმის დროს არც თევზი ეკიდება ანკესს. ამასობაში შუადღეც მოვიდა.

– მოდი, შევისვენოთ, წვიმა მალე გადაიღებს, ჯარეგოს ქარი ღრუბლებს ქვევით ერეკება, ჩვენ აქვე ხეებს შევეფაროთ, ვისადილოთ და ავყვეთ აღმა მეშისკენ. აქედან რაც ზევით მივიწევთ, კალმახი მსხვილია, – მეუბნება ნოდარი.

მისი ჩანთა დავათვალიერე და ხასიათი გამომიკეთდა, ამის შემდეგ სულაც რომ ვერაფერი დაგვეჭირა, საკმარისი თევზი გვქონდა: მე ვაკვირდებოდი მის თევზაობას და მიკვირდა, როგორ ოსტატურად ყრიდა წყლიდან მტკაველზე მოგრძო კალმახებს. ერთხელ, როცა ანკესი გაეხლართა, გადავუსწარი, იქნებ კალმახს მიფრთხობს-მეთქი, მაგრამ შედეგი უცვლელი იყო. ამიტომ ჩამოვრჩი, ვიფიქრე, რომ უბრალოდ ხელს ვუშლი თევზაობაში.

მართლაც, საათ-ნახევარში წვიმამ გადაიღო. მაგრამ ნოდარი არ ჩქარობდა, მიზეზი ვკითხე.

– როგორც ჩვენ ვნადირობთ კალმახზე, ისიც ნადირობს საკვებზე. შუა დღისთვის ისვენებს, მხოლოდ საღამო ხანს გამოვა სამალავიდან.

დავიჯერე, რადგან ცოტა ხნის წინ თავად დავრწმუნდი ამაში. ერთი კლდის ძირში მორევს მივადექი, ვიფიქრე, შიგ თევზი იქნებოდა, ისე მდორედ ტრიალებდა ირგვლივ წყალი. გადავაგდე ანკესი, მოვატარე ირგვლივ და გამჭვირვალე წყალში შევნიშნე, როგორ გამოექანა დიდი კალმახი ჭიაყელისკენ. დაძაბული ველოდი, რომ აი, ახლა, აი, ამ წამს ეტაკება-მეთქი, მაგრამ თევზმა მხოლოდ ცხვირი წაჰკრა, როგორც ფრენბურთელი ბურთს შეახებს ხოლმე თითის წვერებს და გვერდზე

გადააწოდებს. ეს რამდენჯერმე განმეორდა, მოთმინებით ველოდი ფინალს, მაგრამ ეს თამაში უკვე გამაღიზიანებელი გახდა და ჩემს ნერვებზე მოქმედებდა. ბოლოს იქამდე მიმიყვანა, რომ გაბრაზებულმა მივანებე თავი.

როცა შესვენებაზე ამხანაგს ყველაფერი მოვუყევი, გულიანად გაიცინა და მითხრა:

– შენი ჭიაყელა რაში სჭირდებოდა, ის უკვე გამაძღარი და თამაშის ხასიათზე იყო დამდგარი.

მეშის საბრძოლო კოშკის წინ მდებარე თეთრი ქვისგან აშენებულ აკლდამებამდე ავყევით მდინარეს თევზაობით. მართლაც, რაც ზევით მივიწევდით, მოზრდილი კალმახი გვხვდებოდა, შეფერილობაც სხვანაირი ჰქონდა: ზურგი შავი და მუცელი ყვითელი.

როცა მზის ჩასვლის შემდეგ დავსხედით და დავითვალეთ, 137 ცალი გამოვიდა; აქედან მე მხოლოდ 16 ცალი დავიჭირე, დანარჩენი ნოდარის ოსტატობის შედეგი იყო.

ის ღამე ვისერგი გაურგაშვილის ბინაში გავატარეთ. ვისერგი, ზედმეტსახელად ფორე, ხანგოშვილების დისშვილი იყო; დიდი პატივისცემით შემხვდა, გამრჯეობით, ჭკუით და გონებით განთქმული დედამისი სოსმი, მამაჩემის ბიძაშვილი იყო. ვისერგი კი, ქისტურ ადათ-წესებზე, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე აღზრდილი კაცი, მტკიცედ მისდევდა მათ და დედულებს პატივისცემით ეპყრობოდა. დედის ძმა მესტუმრაო და ყველანაირად ცდილობდა, ჩემთვის ესიამოვნებინა. ყველაზე უფრო იმით გამახარა, რომ საძილედ კარგად მომაწყო: თავისი საწოლი დამითმო (ქოხის კედელთან 50 სმ. სიმაღლეზე ჰქონდა მოწყობილი საწოლი) და ტკბილად მეძინა.

ვისერგი ბავშვობიდან ცხვარში იყო, ჰყავდა მოზრდილი ფარა საკუთარი ცხვრისა, ჩეჩნეთ-ინგუშეთში თითქმის 20 წელი დადიოდა, მთასა და ბარში უამრავი ნაცნობი ჰყავდა და დიდი პატივისცემით სარგებლობდა. უამრავი ძველებური ამბები იცოდა, ლეგენდები და მითები, ადათ-წესებში ხომ ბრწყინვალედ იყო გარკვეული, კარგი მოსაუბრე იყო და ბევრი რამ გავიგე მითხოზე, მითხოელებზე, მათ კოშკებზე და აკლდამებზე.

მეორე დღეს დავბრუნდი ჯარეგოში. თევზი გამოვშიგნეთ, დავამარილეთ და ფუთიან ვედროში ფენებად ჩავაწყეთ, ფენებს შორის ჭინჭარი გავშალეთ, ზევიდანაც ჭინჭარი დავაფარეთ და ცელოფნით კარგად შევკარით. თევზის პანკისში ჩატანა მქონდა გადაწყვეტილი.

დაბლა ვისერგის ბინაშიც მოვხარშეთ კალმახი, ჯარეგოშიც კალმახზე ვივახშმეთ და ფუთიანი ვედროც პირამდე გავავსეთ. უამრავი კალმახი იყო, რომელიც ერთი დღის განმავლობაში დავიჭირეთ, უფრო სწორად, დაიჭირა ნოდარმა. გაითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ მოვცდით რამდენიმე საათი ჭიაყელების ძებნაში და წვიმის გამო.

კალმახი პანკისში ჩამოვიტანე. გზას ორი დღე მოვუნდით, მაგრამ თევზი „ცოცხალი“ სახით შევინარჩუნეთ. მეგობრებს ვეპატიჟებოდი და ვამაყობდი, როცა მათ განცვიფრებულ სახეებს ვხედავდი. არც იყო საოცარი მათი გაკვირვება – პირიქითა ქისტეთიდან თევზის პანკისში ჩამოტანა სახუმარო საქმე არ იყო. თავის დროზე მეც განცვიფრებული შევყურებდი ჩემს მეგობარ ლაბაზ ხანგოშვილს (ლაბოს), რომელიც მითხოდან ჩამოტანილ კალმახს იღებდა ვედროდან. სწორედ მან მასწავლა, როგორ შემენახა თევზი ისე, რომ გზაში არ გაფუჭებულიყო.

ერთხელ კიდევ მომიწია ჯარეგაში თევზაობა. ამჯერადაც ლორსას გავყევი. მიზანი კი სხვა იყო: ქისტების ისტორიაზე წიგნის დაწერას ვაპირებდი და მაინტერესებდა პანკისელი ქისტების წინაპართა წარსული. მართალია, მოსახლეობა ისტორიულ ქისტეთში (ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიანეთი) არ იყო, მაგრამ კულტურული ძეგლები, მატერიალური წყაროები სახეზე იყო და მათი შესწავლა მქონდა გადაწყვეტილი.

მთელი ქისტეთი მოვიარე, წაკითხული და შესწავლილი მქონდა ყველა ჩემთვის მისაწვდომი წყარო, მქონდა ჩემეული ვერსია: ანტიკურ ხანაში, თითქმის მე-17 საუკუნემდე ვეინახების საერთო სახელწოდება იყო ქისტები, დღესაც ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მეზობლად მოსახლე ქართველები ჩეჩნებსაც და ინგუშებსაც ქისტებს უწოდებენ.

ერთხელ, მზე დასავლეთისკენ კარგად იყო გადახრილი, როცა შატილის მხრიდან მგზავრი გამოჩნდა, რომელმაც გზიდან გადმოუხვია და ბინისკენ გამოემართა. შორიდანვე შევნიშნე, რომ ხევსური უნდა ყოფილიყო. როგორც ქისტებს, ხევსურებსაც ახასიათებთ სიარულის თავისებური მანერა, თავისუფალი ხალხის სიარულის მანერა.

მგზავრი შატილში მცხოვრები ალე შეთეკაური აღმოჩნდა, ხევსურეთში ჩემი პირველი მასპინძელი. რომ იტყვიან, ნაღდი ხევსური, მთის ტრადიციებზე აღზრდილი ვაჟკაცი, თავისი ხალხისა და კუთხის ნამდვილი პატრიოტი. საკუთარ სახლში მუზეუმი ჰქონდა მოწყობილი, სადაც თავმოყრილი იყო ხევსურთა წარსული ცხოვრების მთელი კულტურა: საყოფაცხოვრებო, საბრძოლო, სამკურნალო და სხვ. სახის ნივთები. იმდენად ბევრი ნივთი იყო, ხევსურთა ცხოვრებას ზუსტად ასახავდა. შემდეგ გავიგე, დაუწვეს თურმე მოშურნეებმა. შეიძლება შემთხვევითაც წაეკიდა ცეცხლი, სინამდვილე არ ვიცი, პირადად არ შევხვედრივარ ალეს და არ გვისაუბრია ამ საკითხზე. ერთი რამ კი კარგად ვიცი – ეს დიდი დანაკლისია არა მარტო ალესთვის, არამედ მთლიანად ხევსურებისათვის, ხევსურეთისათვის.

სიხარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს, ჩამოვსხედით, თბილად ვისაუბრეთ, წარსული მოვიგონეთ, გავიხსენეთ შატილში და ხონეში, ათენგენობაზე გატარებული დრო. სტუმარს მოსვლის მიზეზს არ ეკითხებიან, პირველ რიგში უნდა მოემზადო დასახვედრად. ლორსას ვთხოვე, საკლავისთვის მწყემსი გაეგზავნა. ალე მიხვდა, ალბათ გუმანით, ქისტების ადათ-წესებიც კარგად იცოდა, წამოდგა და მითხრა:

– მეტხანს ვერ გავჩერდები. თბილისიდან სტუმრები მყავს, კალმახი მინდა მივართვა. ხომ იცი, ეხლა არეული დროა, სათევზაოდ ვერ წამოვიყვანდი და მარტო წამოვედი. თუ წამომყვები, კარგს იზამ, ამაღამ დაბლა გავათენოთ და დილიდან ვითევზაოთ.

– სტუმრის ნება კანონია. ვისადილოთ და ჩავიდეთ წყალზე, იქ ჩვენი ბიჭები არიან მწყემსებად, მითხოელებთან ერთად წველიან ცხვარს.

სწრაფად ვისადილეთ, ავტომატი ავიღე და გავუდექით გზას. ალეს ნაგანი ჰქონდა. შეთეკაურებს მითხოელებთან ჰქონდათ მტრობა, გასულ წელს მათ მწყემსები დაუხოცეს, რაღაც დავა ჰქონდათ ცხენების ქურდობასთან დაკავშირებით. საქმე ვერ გაარჩიეს, ვერ მორიგდნენ და დაზარალებულმა ხევსურებმა მითხოელთა ცხვარი გარეკეს, თან რუსი მწყემსიც გაიყოლეს, სამაგიეროს გადახდა მითხოელებმაც გადაწყვიტეს, ჯარეგოში მდგომი ხევსურების ცხვრის გარეკვა მოიწადინეს, მაგრამ მწყემსმა ხევსურებმა (ორიდან ერთი შეთეკაური იყო) წინააღმდეგობა გაუწიეს და თავდამსხმელებმა დანებით დახოცეს. მწყემსები კი დახოცეს, მაგრამ ცხვარი ვერ გარეკეს. იმ ღამეს დიდი თოვლი დადო და თოვლში ცხვრის გარეკვა ვერ შეძლეს.

ხეობაში, წყლის პირზე, ინტერნატის ქვემოთ ბინა ედგათ მწყემსებს. საკმაოდ ფართო ბინა იყო. აღმოჩნდა, რომ სტუმრობდნენ ბარიდან ამოსული მელხები (მითხოელები), ცხვარი მათი ნათესავისა და ქისტების, ჩემი ნათესავი დუისელი ეელისა და შუა ხალაწნელი ალაუდინისა იყო. ვერტმფრენით ამოსული სტუმრები გაქსუებული მითხოელები იყვნენ. გამიკვირდა, როცა არ გამოგვეგებნენ, დაივიწყეს ჩვენი ადათი, რომლის შესახებაც ვაჟამ თქვა:

„სტუმრად მოსული უცნობი,
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა...“

არც ჩვენ მიგვიქცევია მათთვის ყურადღება. ქისტები სიხარულით შეგვხვდნენ და ხმელი კალმახით გაგვიმასპინძლდნენ. საღამოს, ცხვარი ბაკში რომ შერეკეს, კამათი ატყდა ჩემი მამიდაშვილის შვილსა და დეიდაშვილის შვილს შორის. მივხვდი, რაშიც იყო საქმე, მივედი და ვუთხარი, რომ საკლავის დაკვლა არ იყო საჭირო, კალმახზე უკეთესს ვერაფერს შემომთავაზებთ-მეთქი. კამათში და ძიძგილაობაში ეელიმ თავისი გაიტანა და ბაკიდან ჭედილა გამოათრია, წამოაქცია და ყელი გამოჭრა. უცბად გაატყავეს და რაღაც საათნახევარში მოხარშული ხორცი წინ დაგვიდგეს.

ვახშმობისას გაირკვა მელხების ჩვენთან უკონტაქტობის მიზეზი – რაღაცაზე დავა მოსვლოდათ ქისტებთან და განაწყენებულები იყვნენ, თუმცა ეს სრულებით არ ამართლებდა მათ საქციელს. არც ჩვენ შეგვიწუხებია ამის გამო დიდად თავი, მით უმეტეს, ხევსური ჩემი სტუმარი იყო, რომელსაც, ვიცი, არ სიამოვნებდა მათთან ურთიერთობა და, მაშასადამე, არც მე უნდა შემეწუხებინა თავი.

დილაადრიან ავდექით და დავუყევით მითხოს წყალს. თევზაობა ალემ მკვდართა ქალაქიდან (წეე ფჰხიედ) დაიწყო. ის ოსტატი იყო თევზაობაში და სანამ შუადღე მოაწევდა, ჩანთა სავსე ჰქონდა კალმახით. მე არ მითევზავია, მხოლოდ ვახლდი, მზად ვიყავი, დამეცვა მისი უსაფრთხოება, თუმცა რაიმე საშიშროება არც ელოდა.

ბინაში არ ავსულვართ, აღმართს ავუყევით ჯარეგოსკენ. აქაური ტყის სილამაზის აღწერა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. არსად არ შევხვედრივარ ისეთ მრავალფეროვან ტყეს, როგორც ჯარეგოს ჩრდილო კალთებზეა გაჭიმული. აქ თითქმის ყველა სახეობის ჯიში ხარობდა: წიფელი, რცხილა, ცაცხვი, არყი, ფიჭვი, იშვიათი თირმა, ჭანჭური, პანტა, მაჟალო, ქლიავი და სხვ.

ჯარეგოში ვისადილეთ, ალე შატილისკენ წავიდა, მე ერთი კვირა კიდევ დავრჩი ჯარეგოში და ხევსურეთის გამოვლით, მშვიდობით დავბრუნდი პანკისში.

ნადირობა ფრთოსნებზე

სოფელ დუისში პირველად ორი კოლმეურნეობა იყო, ზემო უბნის კოლმეურნეობას ეწოდებოდა წითელი პანკისი, ხოლო ქვემო უბნის კოლმეურნეობა ვოროშილოვის სახელობისა იყო. ორივე კოლმეურნეობას სოფლის თავსა და ბოლოში მოწყობილი ჰქონდათ კალოები, იქვე იყო მოსავლის (სიმინდისა და ხორბლის) შესანახი საწყობები.

ეს ორი კოლმეურნეობა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ჩაბმული იყო საბჭოურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვერ ნახავდით დაუმუშავებლად დატოვებულ, სახნავად ვარგის, მიწის პატარა ნაგლეჯსაც კი. ფერდობები იხვნებოდა რამდენიმე უღლიანი (წინ ხარები იყო შებმული, უკან კამეჩები) გუთნით, ისმოდა მეხრეების ომახიანი შეძახილი და გუთნის დედის ხმამაღალი მოწოდება. ერთი სიტყვით, გაზაფხულზე და შემოდგომაზე შრომითი საქმიანობა დუღდა.

აგვისტოში მკა იწყებოდა, კომბაინი და სალეწი გვიან, 50-იან წლების ბოლოს შემოვიდა. მკა ხელით ხდებოდა, გამწკრივდებოდნენ მომკელები ყანის თავში და ხალისიანად მიიწევდნენ წინ. უკან ქალები მისდევდნენ, მომკილს ულოთი (ძნის შესაკრავი პურეული მცენარის ნედლი ღერო) კონებად კრავდნენ და ძნებს დგამდნენ. შემდეგ მარცვალი ურმებით კალოზე მიჰქონდათ, სადაც მლეწავები ელოდნენ. აქაც სპეციალური წრიული კალოები (პურეული ძნის სალეწი) იყო გვერდი გვერდ

გაკეთებული, ხარებშებმულ კევრზე (ნავის ფსკერის მოყვანილობის სქელი და ფართო ფიცარი, რომელსაც დაბლითა პირზე ჩაჭედებული აქვს კენჭები) მეხრე იდგა და კალოზე დაყრილ ძნებზე კევრს ატარებდა. ასე შეძახილებსა და შრომაში ილეწებოდა ხორბალი.

დადქუცმაცებული ძნები – ყანის ჩალა, ბზე (მომკილი პურის უთავთავო ღეროები) ცალკე გაჰქონდათ და ზვინებად დგამდნენ; ხორბალს ცალკე აგროვებდნენ, ანიავებდნენ (ხის ნიჩბებით მაღლა ისროდნენ), შემდეგ მეურმეებს დახურულ ფარდულში გადაჰქონდათ და აშრობდნენ. ეს პროცესი დილიდან საღამომდე გრძელდებოდა და უაღრესად შრომატევადი სამუშაო იყო. როცა სალეწი მანქანები შემოვიდა, მთელი ღამე გრძელდებოდა მომქანცველი, გამომფიტველი შრომა. მახსოვს, მოზარდები ღამითაც მივდიოდით, გვაინტერესებდა ასეთი მანქანების, ნათურით განათებული (სალეწზე მოწყობილი იყო ელექტრო დენის გამომმუშავებელი მექანიზმი) მიდამოს თვალიერება და წავწყდომივართ, დაღლილობისგან იქვე, ზვინის მახლობლად მიგდებულ მძინარე ქალს.

ყველაზე სავალალო ის იყო, რომ ასეთი შრომითა და ჯაფით მოწეული მოსავალი თითქმის მთლიანად სახელმწიფოს მიჰქონდა, გლეხებს მხოლოდ შრომადღეზე მიზერული წონის სიმინდი (შრომადღეზე 200 გ.) ხვდებოდა. ამასაც იმიტომ იძლეოდნენ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ.

დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის საბჭოური მთავრობის უსულგულო დამოკიდებულება თავისი მოქალაქეებისადმი. ხელისუფლება შიმშილით სიკვდილისათვის წირავდა გლეხებს, ოღონდ გეგმა შეესრულებინათ, არაფრად აგდებდნენ მშრომელთა დუხჭირ მდგომარეობას. როდესაც ყანებიდან ხორბლის ძნებს ჩამოზიდავდნენ კალოებზე, მომკილ მინდვრებში რჩებოდა აქა-იქ გაფანტული თავთავები. ბავშვები, ქალები დადიოდნენ და კრეფდნენ თავთავებს, პატარა კონებად კრავდნენ (ქისტურად „ბიეჯილგ“), სახლში ხელით ფშვნიდნენ და ხორბალს არჩევდნენ.

მაგრამ ვინ გაცლიდა თავთავების კრეფას! – მეველე დაძრწოდა ყანებში, მკრეფავებს ლანძღვა-გინებით აძევებდა მინდვრებიდან, მოკრეფილ პურის თავთავებს ართმევდა. ხშირად შევსწრებივარ ასეთ წიოკობას, პატარა ვიყავი და ჩემი უკმაყოფილება მხოლოდ მეველის მიმართ იყო მიმართული. ხოლო შემდეგ, როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ მშრომელთა ასეთი ჩაგვრის მიზეზი სოციალურ წყობაში მდგომარეობდა.

კალოებზე უამრავი ბელურა დაფრინავდა, გუნდ-გუნდად სხდებოდნენ კალოს გარშემო წვრილად დაქუცმაცებულ ბზეში, იქექებოდნენ, მარცვალს კენკავდნენ და ღამე იქვე საბძლებში, სადაც ბზე ინახებოდა, ათევდნენ, ან სიმინდის ჩალის ზვინებში იმალებოდნენ. უამრავი ბელურა იყრიდა კალოებზე თავს, შაშვები და მტრედებიც მოფრინდებოდნენ ხოლმე, გარშემო შოშიებიც გუნდურად დაფრინავდნენ.

სწორედ აქ მოვდიოდით ბავშვები და მოზარდები, ფრთოსნებზე ნადირობის მოტრფიალენი და სანამ თოფებზე გადავიდოდით, ათასნაირი ხერხებით ვიჭერდით ბელურებს. უმთავრესად ჩიტების მახეებს ვიყენებდით, რომელსაც ქისტურად „რეეჭ“ ერქვა. მისი გაკეთება სირთულეს არ წარმოადგენდა, საჭირო იყო თეთრი ცხენის ძუა, რასაც ადვილად ვშოულობდით, რადგან მაშინ ცხენები ბევრი იყო როგორც კოლმეურნეობის გამწევი ძალის, ისე გლეხების კერძო საკუთრების სახითაც.

„რეეჭ“ ორი სახისა იყო: ფიცარზე კეთდებოდა ნაჩვრეტები ლურსმნის საშუალებით, ცხენის კუდის ძუისგან გაკეთებულ მცირე ზომის მარყუჟის ბოლო ტარდებოდა ფიცარზე გაკეთებულ ნაჩვრეტში და წვრილი, წამახვილებული ჩხირით მაგრდებოდა. მარყუჟი ისეთი ზომისა იყო, ბელურას ტანი ვერ გაეტეოდა, თავს რომ შეყოფდა წვრილი ბზის (ქისტურად „ქეგიშ“) ქექვის დროს, კისერზე ან ფეხებზე ჩამოეცმებოდა. ეს მახე კარგად ინიღბებოდა – გარშემო და ზედ ბზეს დავაყრიდით და მარყუჟები დაფარული იყო.

მეორე სახის „რეეჭი“ დაწნულ ბაწარზე კეთდებოდა. თუ ძუა საკმარისი იყო, დაწნულ ძუაში ჩააწნავდნენ ძუის მარყუ-

ჟებს. სიგრძე 50-60 სმ იყო, ბოლოებში პატარა წამახვილებულ სოლებზე მაგრდებოდა. ერთ სოლს მიწაში არჭობდნენ, „რეეჭს“ გაჭიმავდნენ და მეორე სოლის ჩარჭობით დაჭიმული მაგრდებოდა მიწაზე. ამ პრინციპით პარალელურად ხდებოდა რამდენიმე მახის გაბმა. შემდეგ შეინიღბებოდა და პატარა მონადირე სადმე ახლომახლო მოფარებულში ელოდებოდა ჩიტების მარყუჟში გაბმას. დიდი ხნის ლოდინიც არ გვჭირდებოდა, ხან აქ, ხან იქ აფართხალდებოდა გაბმული ჩიტუნა, დანარჩენები აფრინდებოდნენ და შორს როდი მიფრინავდნენ, იქვე გვერდით დაფრინდებოდნენ და მზად იყვნენ, ახალი „შტურმისათვის“ სატყუარაზე.

ბეღურებზე ნადირობის სხვა ხერხებიც არსებობდა. ხაფანგის როლს ასრულებდა წვრილი წკნელისგან დაწნული ლასტი. ლასტს სპეციალურად ვწნავდით, სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან წნელი ჭალებში და ტყის პირებში ბლომად იყო. ვიყენებდით აგრეთვე საოჯახო, შვინდის, პანტისა და ჩირის საშრობად მოწნულ ლასტებსაც. ლასტის ხაფანგის დაგებაც მარტივი პროცესი იყო: სიგანით დახრილ მდგომარეობაში ლასტს ჯოხზე ვაყენებდით. ჯოხი ისეთნაირად იყო შეყენებული ლასტის ქვეშ, რომ მასზე მიბმული ბაწრის გამოკვრის დროს სწრაფად გამოსცლოდა საყრდენი და ლასტი დაეცემოდა მის ქვეშ დაყრილ საკენკზე მოგროვილ ბეღურებზე. მონადირე ახლომახლო მოფარებულში იწვა, ბაწრის ბოლო ეჭირა და ფხიზლად დარაჯობდა. როგორც კი ბეღურები ლასტის ქვეშ მოგროვდებოდნენ, ბაწარს გამოჰკრავდა, ლასტი სწრაფად ეფარებოდა ბეღურებს და ცოტა თუ ბევრი ქვეშ მოჰყვებოდა.

სულ უბრალო ხერხითაც ვიჭერდით ბეღურებს. საღამოს, როცა ბეღურები საბძელში ღამის სათევად დაბინავდებოდნენ, ხის ხშირ წკნელებიან ტოტებით შეიარაღებული პატარა მონადირეები ჩასაფრდებოდნენ იქ, საიდანაც გამოფრინდებოდნენ ჩიტები, ერთი აფრთხობდა ბეღურებს, ხოლო ჩასაფრებულები ხის ტოტებით ხოცავდნენ აფრენილ და დამფრთხალ ჩიტებს.

ასეთ ნადირობას უფროსები და კალოებზე მომუშავე გლეხები არ გვიშლიდნენ, პირიქით, გვეხმარებოდნენ კიდეც, რადგან მათგან თავი ჰქონდათ მობეზრებული და მავნე ჩიტებად მიაჩნდათ. ამ ბელურებს ჩვენთან კრამიტას ეძახდნენ, რადგან კრამიტის სახურავებში ბუდობდნენ. მაშინ პანკისში კრამიტით დახურულ ხის ოდა სახლებს აშენებდა ხალხი და ბელურები, რომლებიც მათ ისედაც მწირ მოსავალს ჰპარავდნენ, არ უყვარდათ.

ბელურა პატარა ზომის, რომ იტყვიან, ერთი ციცქნა ჩიტია, მაგრამ გემრიელი ხორცი აქვს. შამფურზე წამოცმული მწვადის ერთი ნაჭრის ხელაა, თითქოს არაფერი რჩება, თუ ძვლებს გამოაცლი. მაგრამ ბელურა ძვლებიანად (წვრილი ძვლები აქვს) იჭმევა. მწვადად შემწვარი საუკეთესო საჭმელია. მაგრამ ხიბლი ჭამაში კი არ იყო, არამედ ნადირობაში, იმაში თუ როგორ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ჩიტები და პატარა მონადირეები ერთმანეთის მოტყუებაში. ბელურა არ არის სულელი ჩიტუნა, ხშირად დიდ დროს ანდომებდა დაზვერვაში, საკენკს მაშინვე კი არ მივარდებოდა, ჯერ გარშემო დარბოდა, გარემოს ათვალიერებდა და როცა დარწმუნდებოდა უსაფრთხოებაში, მაშინ მივიდოდა საკენკთან. თუ ერთი დაიწყებდა ბზეში ქექვას, მაშინ სხვებიც მოფრინდებოდნენ და ერთ ამბავში იყვნენ.

მერე, როცა თოფებზე გადავედით, საქმე გაიოლდა. განსაკუთრებით ზამთარში იყო წარმატებული მათზე ნადირობა; დატკეპნილ თოვლზე ვყრიდით წვრილ ბზეს, მათში ცოტა ხორბალსაც ვურევდით, დამშეული ჩიტები ჯგუფად იქექებოდნენ, ხშირად მათში შაშვებიც ირეოდნენ. დავახლიდით თოფს და ათობით ჩიტსა ვკლავდით. კალოებზე თოფის გრიალი ხშირად ისმოდა.

მართალია, ფილთა თოფი საუკეთესო საშუალება იყო ფრინველზე სანადიროდ, მაგრამ მას ახლდა ერთი დიდი პრობლემა – ტყვია-წამლის დეფიციტი. ჩვენთვის, მოზარდებისთვის ძნელი იყო ტყვია-წამლის ყიდვა. ჯერ ერთი, საამისო ფული არ გაგვაჩნდა, მეორეც, თელავში თუ თბილისში ჩასვლა და სამო-

ნადირეო მაღაზიის მონახვაც პრობლემა იყო და მესამეც, უწ-ლოვანებს მაღაზიის გამყიდველები ტყვია-წამალს არ აძლე-ვდნენ. ამიტომ ჩვენ ხელი არ აგვიღია მამაპაპურ იარაღზე – მშვილდ-ისარსა და რაგატკაზე (ლაგატკა).

ჩემს სიყმაწვილეში პოპულარული იყო მშვილდ-ისარი, ხში-რად ისრის სროლაში შეჯიბრი იმართებოდა. შემოდგომიდან დაწყებული გაზაფხულამდე საქონლის პატრონები საკარმიდა-მო ნაკვეთში, მოსახერხებელ ადგილზე, გომურთან ახლოს, ნაკელს აგროვებდნენ. საკმაოდ მოზრდილი ბორცვი იქმნებოდა და სწორედ ამ ბორცვის გვერდზე აყენებდნენ ნიშანს – რკალი-სებურად მოხრილ წკნელს არჭობდნენ ბორცვის გასწორებულ გვერდში. ვინც ამ რკალში (ქისტურად „ქოუ“) ისარს მოახვე-დრებდა გამარჯვებულიც ის იყო. მანძილს თანდათან ზრდიდ-ნენ, იყვნენ ჩუბინებიც, რომლებიც 30 მ. სიშორიდან ჯამზე მო-მცრო რკალშიც კი არჭობდნენ ისარს.

სამიზნე რკალში ათავსებდნენ ფრინველის, ქათმის ან მამ-ლის ფრთას, იმ ზომაზე გადაჭრილს, რომელიც გამოიყენებო-და ისრის ფრთად. ვინც მოახვედრებდა ამ ფრთას, სამაგიერო ფრთას იღებდა. თუმცა მოგება დამოკიდებული იყო შეთანხმე-ბაზე, თუ ფრთაზე რა სახის ფსონს ჩავიდოდა პატრონი: რაიმე ნივთს, ისარს თუ ფულს.

გაცხოველებული შეჯიბრი მიმდინარეობდა უბნის ბიჭებს შორის. ხშირად სოფლის სხვა უბნებიდანაც მოდიოდნენ მოზარდები და მაშინ შეჯიბრი ფართო მასშტაბს იძენდა. სწო-რედ ასეთ შეჯიბრების დროს ხდებოდა ყმაწვილების დახელო-ვნება მშვილდ-ისრის ხმარებაში, ისრის ზუსტ სროლაში და მერე ჩიტებზე წარმატებულ ნადირობაში. სანადირო ისრებიც სხვა-დასხვა სახისა იყო: წვრილ ჩიტებზე სანადიროდ წვრილ და მო-კლე ისრებს ვხმარობდით, შაშვებზე და გვრიტებზე სანადიროდ უფრო მსხვილი და გრძელი ისრები გამოიყენებოდა. ერთ-ერთი გავრცელებული სახე ისრისა იყო ე. წ. „გოჟანა“. ამ სახის ისარს წვერში გვირგვინი ჰქონდა წვრილი მავთულისგან გაკეთებული, წამახვილებული წამონაზარდებით ეკლიან გვირგვინს ჰგავდა.

ფრინველს თუ ასცდებოდა გოჟანა ისარი და ოდნავ მაინც შეეხებოდა გვირგვინი, დაიჭრებოდა და მსროლელის ნადავლად იქცეოდა.

ასევე პოპულარული იყო რაგატკა, რომელსაც „ლაგადკას“ ვეძახდით. მისი დამზადება სირთულეს არ წარმოადგენდა: ორკაპა ჯოხი, რეზინის ლენტები, ტყავის ბუდე კენჭისთვის და იარაღი მზად იყო. ორკაპა საჭირო ჯოხს, იარაღის ტარს ტყეში წაუსვლელადაც, ჭალებში ან ხევის პირებში ვნახულობდით, სასურველი იყო შინდის ხისა. ადვილიც არ იყო „ლაგატკის“ საჭირო ტარის მონახვა, რადგან უნდა შეგვერჩია გამძლე, საჩვენებელი თითის სიმსხო ორკაპა, თანაც ეს ორკაპა უნდა იყოს ოვალური, რომ დამიზნების დროს კარგად ჩანდეს ფრინველი და კენჭიც თავისუფლად გაიტყორცნოს მასში. პრობლემა რეზინის სანტიმეტრ-სანტიმეტრნახევრის სიფართოვისა და 15-20 სმ. სიგრძის ლენტების შოვნა იყო. რეზინის ლენტები უნდა იყოს რბილი, მოზიდვის დროს საკმაოდ დრეკადი. ასეთი რეზინა თელაველ ვაჭარს ამოჰქონდა სოფელში და კვერცხებში გვაძლევდა. „ლაგატკის“ დადებითი ის იყო, რომ ვაზნები – კენჭები ბლომად იშოვებოდა რიყეზე. ჯიბეებს ვავსებდით ტყვია-კენჭებით და ვესროდით ჩიტებს. ზოგიერთი ისეთი დახელოვნებული იყო „ლაგატკის“ სროლაში, რომ ნადავლი ფრინველით ბრუნდებოდა სახლში. მაგალითად, უფროსი ასაკის მგეობარი მყავდა, ფიდო მარგოშვილი, რომელიც საოცარი სიზუსტით ისროდა კენჭებს „ლაგატკით“. მახსოვს, ერთხელ მეზობლის ეზოში ჩავსაფრდით ბლის ძირში, რომელზეც შაშვები სხდებოდნენ ხოლმე მწიფე ბლის საჭმელად. ფიდო ბალზე ავიდა, ერთ დიდ ტოტზე მოკალათდა, კარგად შეინიღბა და ლოდინი დაიწყო. რაღაც ორიოდე საათში 15 შაშვი და ერთი გვრიტი ჩამოაგდო. ასეთ წარმატებისთვის მცირეკალიბრიანი შაშხანით („გეკო“) თუ მიმიღწევია შემდგომში, ისიც მაშინ, როცა დიდი თოვლი მოვიდოდა და შაშვები ტყიდან სოფელში მოფრინდებოდნენ საკვებისათვის.

დიდი ბარბაროსობა იყო ფრინველის ასეთ დროს დახოცვა. შაშვებმა, რომელთაც არ შეეძლოთ დიდთოვლობის გამო ტყეში

საკვების მოპოვება, სოფელს, ადამიანებს მოაშურეს, ჩვენ კი დახმარების ნაცვლად მათ უწმოყალოდ ვხოცავდით და დიდ ცოდვასაც ჩავდიოდით.

მაგრამ სინანული გვიან მოდის, ჩადენილის გამოსწორება შეუძლებელია, თუმცა ვცდილობთ, და ეს სწორიც არის, ხელი შევუშალოთ მომავალ თაობას მსგავსი ქმედების ჩადენისათვის. მაგალითად, ნებას არ ვაძლევ არავის, ჩემიანსაც და სხვასაც, თოფი ესროლოს ჩემს საკარმიდამო ნაკვეთში შაშვებს და სხვა ფრინველს. საკარმიდამო ნაკვეთი საკმაოდ დიდი გვაქვს, მოშენებულია ხეხილის ბაღი და ფრინველიც ირევა. ვისმენ შაშვების ჭახჭახს, მათ ტკბილ გალობას და გული მეთანაღრება, რომ ახალგაზრდობაში მათ ასე გულცივად ვხოცავდი და სინანული მიპყრობს. ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“, ვიხსენებ ამ ანდაზას და ცოტა შეღავათს ვგრძნობ ხოლმე.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ბევრი ფრინველი იყო პანკისის ხეობაში. გაზაფხულზე მოფრინდება სხვადასხვა სახის ფრინველი, გადამფრენი: იხვი, ბატი, იშვიათად გედები და წეროები. მათ მოჰყვებოდნენ ქედნები, გვრიტები, შოშიები, გულყვითელა შაშვები, ფუტკარჭამიები, ტოროლები, მწყერი, ტყის ქათმები, ჩხართვები, ოფოფი და სხვ. ზამთარში ფრინველი ცოტა იყო, უმთავრესად წვრილი (ბელურები) ჩიტები, შაშვები, კაჭკაჭები და სხვ.

მიუხედავად ფრინველის ნაკლებობისა, ზამთარი მაინც გვიყვარდა მონადირე ყმაწვილებს, თოფებს გადავიკიდებდით, ორიდე ვაზნას მოვიხელთებდით თუ არა, ტყეს მივცემდით თავს. საღამომდე ვბოტავდით თოვლში, ზოგჯერ წელამდე ღრმა თოვლს მივარღვევდით. საღამოს დავეშვებოდით სოფლისკენ, უმეტეს შემთხვევაში ხელცარიელნი, მაგრამ მაინც კმაყოფილნი და, წარმოიდგინეთ, ამაყნიც. ჩვენ ხომ სანადიროდ ვიყავით, მერე რა, თუ ხელმოცარულნი ვბრუნდებოდით, ყოველთვის წარმატებით ხომ არ სრულდება ნადირობა.

ზამთარი იდგა, მე-9 კლასში ვსწავლობდით მე და დაუდა. გაკვეთილების შემდეგ, როცა ვისადილეთ, გადავიკიდეთ „ცენ-

ტრალკა“ თოფები, თანასოფლელი ვახტანგის მიერ ნახელავი პატარა ხანჯლები დავიკიდეთ წელზე, ჯიბეებში მჭადი და ყველის ნაჭრები ჩავიდეთ და წავედით ბალთაგორისკენ. დაუდას მამას, ხილდიხაროელ სადულას, სოფელ კაკლიანის ბოლოში, დაბალ გორის გასწვრივ, კაკლიანის ხევის პირზე ედგა ორსართულიანი სახლი. მშრომელი კაცი იყო სადულა, ეზოში ხეხილი ჰქონდა გაშენებული. ასევე, დაბალ გორის ჩრდილო ფერდობის ტყეში გარეულ ვაშლებზე (მაჟალო) და მსხლებზე (პანტა) ჰქონდა დამყნობილი სხვადასხვა ჯიში და პატრონობდა. ზაფხულში ხშირად ვიყავი ხოლმე დაუდასთან იქ, ხილს ვჭამდით და გვრიტებზე ვნადირობდით.

ამჯერადაც ხევ-ხევ ავყევით ბონიშქაში (ვაკე), ავედით სახლში, უბეები გავივსეთ ხილით და ავუყევით ბალთაგორას. ზუროსგორიდან დაშვებულ ურანის ქედს აღმოსავლეთით, სოფელ კაკლიანის თავში, გამოეყოფა დაქანებული ქედი და შუბლით წყდება სოფ. ჯოყოლოსთან. ამ ქედიდან სამხრეთით პარალელურად ხელის მტევნის თითებივით ეშვება გორები. იმ გორას, რომელიც ძააძი გომურთან წყდება, მომიჯნავე გორასთან ერთად ქმნის ქამრის ბალთის შთაბეჭდილებას და აქედან წარმოდგება კიდეც მისი სახელწოდება „ბალთაგორა“.

ქისტები ბალთაგორას საყდრის ქედსაც („საღდარ დუყ“) ეძახიან, რადგან ამ გორის შუა წელში, ცერზე დგას ორსართულიანი, მრგვალგუმბათიანი კოშკი, რომელსაც ერთადერთი სარკმელი აქვს სამხრეთით, ხეობის მხარეს. კოშკი აშენებულია კირის დუღაბით და საოცარია, კირის დუღაბის რა ტექნოლოგიას ფლობდნენ მისი ამშენებელი ოსტატები, რომ დღესაც, მრავალი საუკუნის შემდეგ (ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ IX-X სს. ძეგლი უნდა იყოს) ურყევად დგას და ერთი ბზარიც კი არ გასჩენია. კოშკის პირველი სართული, საკმაოდ მაღალი, ოთხკუთხედია, მეორე სართული მომრგვალებული და სახურავი გუმბათის ფორმითაა გამოყვანილი. ერთ დუისელს, იბრაიმ მარგოშვილს, უცდია მასში შეღწევა და სამხრეთ-დასავლეთის წიბო გამოუნგრევია და კაცის შესაძრომი ხვრელი გამო-

უნგრევია. ეტყობა, ძალიან უწვალნია, რადგან პატარა, მომცრო ნატეხებად დაუშლია კედელი.

ამ კოშკის ქვემოთ იდგა პატარა ნიშა, სადაც ბოლო დრომდე ამოდიოდნენ ჯოყოლოელი ქისტები და დღეობას იხდიდნენ, ამ ადგილს ქისტები „წიუს“ (ადრე ქისტების სალოცავი კერპი) უწოდებენ. ამ ნიშის გასწვრივ არის ნანგრევები, ღვინის დასაწური საწნახელები, ღვინის ქვევრები. ეს ადგილი ტყით არის დაფარული, ქისტები არასოდეს ჭრიან სალოცავის ახლომახლო ტყეს, წკნელსაც კი არ მოჭრიან. დიდ პატივს მიაგებენ იმ სალოცავებს, რომელთაც თაყვანს სცემდა მათ მოსვლამდე ამ ადგილებში მცხოვრები ხალხი. სავარაუდოა, რომ ამ ხალხმა ბედის უკუღმართობის გამო დატოვა ძველად მჭიდროდ დასახლებული პანკისი.

საწნახელის გაყოლებაზე, მის ახლომახლო ხეებზე გასულია ველური შავი ყურძენი, რომელიც გამოირჩევა სიტკბოთი. შემოდგომაზე დაუდას მეთაურობით ყმაწვილები მივდიოდით ხოლმე იქ და ყურძენს ვჭამდით. ხეებზე ძვრომაში დაუდა დახელოვნებული იყო, მაიმუნივით დაცოცავდა ხის ტოტებზე და ყურძენს კრეფდა.

პანკისში ადრე, იმ პერიოდში, რომელსაც აღვწერ, ბლომად იდგა კაკლის ასწლოვანი უზარმაზარი, მაღალი ხეები, თითქმის ხეობის ყველა კუთხე-კუნჭულში ხარობდა ეს ბარაქიანი კაკლის ჯიში. მოსახლეობა შემოდგომით გადიოდა მინდვრებში, ბერტყავდა გრძელი ხარიხებით და შინ მიჰქონდა. დაუდა დიდი ოსტატი იყო ამ საქმეში, კაკლის განშტოებულ, განზე გასულ ტოტებზე ისე დადიოდა, როგორც რკინის ბაგირზე ჯამბაზი.

ერთხელ, „ბონიშქაში“ (ბევრი კაკლის ხე იდგა დაუდას სახლის წინ სოფლისკენ გაშლილ ვაკეზე და ხევის პირებზე) დაუდა უზარმაზარ, ხშირტოტებიან გაბარჯგულ კაკლის ხეს კენწეროში მოქცეოდა და კაკალს კრეფდა. უცბად ტოტი, რომელზეც დაუდა გადიოდა, მისი სიმძიმის გამო მოტყდა. დაუდა ძირს დაეშვა, ტოტიდან ტოტზე ეცემოდა და ისე ვარდებოდა ძირს. პერანგის უბე მოეშალა და მოკრეფილი კაკლები ხრიალით ძირს წამოვიდა. დაუდა თავბრუდამხვევი ტრიალით ძირს მო-

დიოდა და თან კაკლის ძირში მოფუსფუსე ბავშვებს უყვირო-და: „ჩემი კაკლები არ აიღოთ!“ მიწიდან რამდენიმე მეტრის მაღლა ერთ-ერთ ტოტს დაებღაუჭა და თავი შეიმაგრა. მერე ძირს ჩამოხტა, ცალი ხელით ნატკენ, დაბეჟილ ადგილებს ისინ-ჯავდა და ცალითაც მიმოფანტულ კაკალს კრეფდა.

ბალთაგორას ცერ-ცერ ავყევით მაღლა. ნადირთან (კურღდელი ან შველი) შეხვედრა უფრო ხევში ან ფერდობზე იყო მოსალოდნელი, მაგრამ დიდთოვლობის გამო გორის ცერზე სიარული ვირჩიეთ. თოვლი მუხლს ზემოთ იყო, თანაც მსხვილ ფანტელებად ბარდნიდა. ბუჩქები და მომცრო ხეები (კუნელი, თხილი, შვინდი, მაჟალო, პანტა) მთლიანად თოვლით იყო გადაპენტილი. მაღალი ხეების ქვეშ სიარული უფრო გვი-ადვილდებოდა და მალე ავედით კიდეც თხემზე, მერე აღ-მოსავლეთისკენ ავიღეთ გეზი და ურანის ქედისკენ გავწიეთ.

სრული სიჩუმე იდგა, აქა-იქ ჩხიკვი თუ დაიჩხავლებდა. ერთმანეთს ორიოდე სიტყვას თუ გადავუგდებდით, თან ვაკვი-რდებოდით თოვლზე კვალს, მაგრამ უშედეგოდ. კვალი თუნდაც ყოფილიყო, ისე ბარდნიდა, რომ მაშინვე ამოავსებდა.

საათნახევრის სიარულის შემდეგ შევჩერდი და დაუდს ვუთხარი: ტყუილად ვირჯებით, ასეთ ამინდში ნადირიც თავის ბუნაგში ბრუნდება, ჩვენც, ვფიქრობ, სოფელში დაბრუნება გვირჩევნია.

– რა, დაიღალე? დავისვენოთ, პურიც ვჭამოთ და ცოტათი კიდევ ავიწიოთ მაღლა.

– არ ღირს, დაუდ, ოთხი საათია (თან ვაჩვენებ უფროსი ძმის ნაჩუქარ მაჯის საათს, „12“ ციფრი წითლად რომ იყო აღ-ნიშნული. მაჯის საათი მაშინ იშვიათობა იყო და ამით დიდად ვამაყობდი), თუ კიდევ მაღლა შევყევით ქედს, დავიღლებით, ბევრ დროს დავკარგავთ გზაში და დაგვიღამდება.

დაუდა დამეთანხმა, თოვლში ჩავჯექით, მჭადი და ყველი გავინაწილეთ და უხმოდ შევუდექით ჭამას. წყალი არ გვქონ-და თან, მაგრამ ეს არც გვიგრძვნია, გზაში, როცა პირი გვი-შრებოდა, თოვლს ვიდებდით პირში და წყურვილს ვიკლავდით.

წახემსების შემდეგ დაბლა დავეშვით. ჩვენს ნაკვალევს გამოვყევით, სიარული თავქვე და გაკვალულ თოვლში გაგვიადვილდა და „ძაძიი გომურში“ მალევე ჩამოვედით. აქაც ძველი ნანგრევები დაგვხვდა, აქა-იქ მიმოფანტული ქვები ეყარა. სავარაუდოა, რომ ადრე აქ სოფელი იყო, ხოლო მაღლა კოშკი სათვალთვალო უნდა ყოფილიყო. საშიშროების შემთხვევაში ყარაულის განგაშზე მოსახლეობა კოშკში იხიზნებოდა.

დროული ხალხი ყვებოდა, რომ ამ კოშკის ცოტა ქვემოთ იდგა კიდევ ერთი კოშკი, არსებულის ტყუპის ცალი, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მისი კვალიც კი არ აჩნდა მიდამოს.

ბალთაგორის ძირში, სამხრეთით, ნასოფლარის წინ კაკლიანის ხევამდე გაშლილი ვაკე იყო, ეწერი, ჯაგნარით, გვიმნარითა და სხვადასხვა ჯიშის ბუჩქნარით მოფენილი. აღმოსავლეთით, მთელ გაყოლებაზე წისქვილის წყალი ჩაუდიოდა, კაკლიანის ხევთან უხვევდა და დუისის თავში მდგომ და სოფლის გაყოლებაზე არსებულ კიდევ სამ წისქვილს ატრიალებდა. მე და დაუდამ ეწერში ვიტრიალეთ, მაგრამ ვერაფერს წავაწყდით, არც ფრთოსნისა და არც ოთხფეხის ჭაჭანი არ იყო. გადავწყვიტეთ, პირდაპირ გადაგვეჭრა მინდვრები და გავსულიყავით დუისსა და ჯოყოლოს შორის მდებარე მინდორზე, რომელიც აგრეთვე წარმოადგენდა ეწერს, შვინდითა და ზღმარტლით სავსე ჯაგნარს.

წისქვილის წყალი საკმაოდ მოდიდებული იყო, ვერსად მოვნახეთ გადასასვლელი, სოფელთან დაბრუნება და ცალფეხა ხიდზე გადასვლაც არ გვინდოდა, დიდ დროს დავკარგავდით. დაუდა ერთ ადგილას გაჩერდა, წყლის კალაპოტი აქ ფართო იყო, დაახლოებით 3,5-4 მეტრის სიგანისა. მეორე მხარეს, ზედ წყლის პირზე იდგა ახალგაზრდა კაკლის ხე და ერთი ქვემოთა ტოტი გადმოშვერილი იყო აქეთა ნაპირისკენ ხიდივით. ოღონდ „ხიდი“ იყო მაღლა, დაკიდული. დაუდამ შემომხედა და მხიარულად მითხრა:

– აი, ხიდიც, ღმერთი ჩვენკენაა.

სანამ ვუპასუხებდი, ისკუპა ნაპირიდან, ორივე ხელით ჩამოეკიდა, მერე, როგორც ორძელზე, ხელების მონაცვლეობით დაკიდული ტანი გადაიტანა მეორე ნაპირზე და ჩახტა მიწაზე.

ეს ძალიან იოლად, ძალდაუტანებლად გააკეთა, მაგრამ მე ვჭოჭმანობდი, ვეჭვობდი, შევძლებდი თუ არა დაუდას მანევრით გადასვლას მეორე ნაპირზე. დაუდა იქიდან მაქეზებს, ხან იქით ეცემა, ხან აქეთ, საერთოდ, ერთ ადგილზე დგომა უჭირდა, მოძრავი კაცია, სიარულის დროსაც წინ გავარდებოდა ხოლმე და მერე იცდიდა, სანამ ამხანაგები დაეწეოდნენ.

– კაცო, ხასოა, გადმოხტი და ჩამოეკიდე, იოლია, ნუ გეშინია, ხომ დაინახე, როგორ ადვილად გადმოვედი.

– შენსავით მაიმუნივით ცოცვა არ მეხერხება, ტყის კაცი კი არ ვარ, ტარზანი ხომ არ გგონივარ? – ვუარობ.

მაშინ დაუდამ ისკუპა, ტოტს ჩამოეკიდა და იმავე მეთოდით ჩემთან გადმოვიდა, მერე ისევ იმავე „გზით“ კვლავ გავიდა გაღმა, თან ჩემი თოფიც გაიტანა. სხვა გზა არ მქონდა, ვახსენე ღმერთი, ავხტი და ორივე ხელით ჩამოვეკიდე კაკლის ტოტზე. როცა მარჯვენა ხელი წინ წავწიე და ტოტს დავებღაუჭე და მარცხენაც მოვუნაცვლე, მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ხის ტოტი სველი იყო, აქა-იქ თოვლიც შერჩენოდა ზედ და ხის კანიც სლიპინა იყო. თანაც მეგობრის მსგავსად დიდი ხელებიც არ მქონდა და ტანი ავიქნიე წინ წაწევის მიზნით, ვიფიქრე, ფეხებიც ტოტზე შემომეჭდო ჯვარედინად. ვიგრძენი, როგორ ჩამოცურდა ქარქაშიდან ხანჯალი და წყალში ჩავარდა. მინდოდა გამერკვია, რა ადგილას ჩავარდა წყალში, მაგრამ სველ ხეზე ხელები დამისხლტა და პირდაპირ ზურგით შუა წყალში მოვადინე ზღართანი. სწრაფად ამოვყავი თავი წყლიდან, ძლივს წამოვდექი და ნაპირისკენ გავტოპე. ნაპირზე ასვლაში წამქეზებელიც მომეხმარა და მთლად გალუმპულმა ტანი ავითრიე. წყალი წურწურით ჩამომდიოდა, ვცადე, ტანსაცმელი გამეწურა, მაგრამ ვინ გაცალა.

– შენ ადგილზე იხტუნავე, მე ახლავე ხანჯალს ამოვიღებ, – მითხრა დაუდმა. მაგრამ წყალში კი არ შევიდა, ტოტზე კვლავ ხელებით ჩამოეკიდა, იმ ადგილამდე მიცოცდა, სადაც ხანჯალი ჩავარდა, შემდეგ ფეხებით თავქვე დაეკიდა, წყალში ხელები მოაფათურა, ხანჯალი ამოიღო, პირში გაიჩარა და უკან, ნაპირზე გადმოვიდა.

– აბა, ჩქარა, სირბილით სოფლისკენ, თორემ გაცივდები და ავად გახდები, – მითხრა დაუდმა და წინ გაიჭრა. მართალიც იყო, გაკაჟებული ორგანიზმით ვერ დავიკვეხნიდი, სუსტი აგებულებისა ვიყავი, მაგრამ მუხლი კარგი მქონდა და სირბილში ტოლებში გამოვირჩეოდი.

ასე სირბილით ჩავედით სოფელში, დაუდა თავის სახლთან გამომემშვიდობა, ხვალ სკოლაში შევხვდებითო და მე შინ გავიქეცი.

ასე დამთავრდა ჩვენი იმ დღის უიღბლო ნადირობა.

როგორც აღვნიშნე, თოფით ნადირობამ ძალზე გამიტაცა, დამთავრდა უძველესი დროიდან მომდინარე პრიმიტიული იარაღით ფრინველების დევნა, ხელმოცარვის ხშირი შემთხვევებით განცდილი უკმაყოფილება და სინანული. რა თქმა უნდა, თოფით ნადირობის დროსაც ბევრჯერ განმიცდია მიზანში აცდენისა და შეცდომის გამო უვნებლად წასული ფრინველის თუ ნადირის გამო გამოწვეული სინანულის გრძნობა, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს მონადირემ, რომ ყოველთვის იღბლიანად ვერ ინადირებს.

პირველი იღბლიანი ნადირობა, თუკი შეიძლება ჭილყვავის თოფით ხიდან ჩამოგდებას ნადირობა ეწოდოს, კარგად დამამახსოვრდა და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე გამყვა. ფრინველთა გადაფრენის დროს პანკისის ხეობაში თავს იყრიდა დიდძალი ჭილყვავების გუნდები. ქისტები მათ შავ ყვავებს („ეერჯ ყეიგიშ“) ეძახიან და ზოგიერთები ჭამდნენ კიდეც. უფროსები, მეტ-ნაკლებად რელიგიაში ჩახედულები, ამბობდნენ, თუ ფრინველს ნისკარტი სწორი აქვს (მტაცებელ ფრინველებს ნისკარტი, ჩვეულებრივ, მოკაუჭებული აქვთ), მისი ხორცი იჭმევაო.

ეს ფრინველები დიდ გუნდებად სოფელში შემოფრინდებოდნენ, განსაკუთრებით საღამო ხანს, სხდებოდნენ კაკლის ხეებზე და ემზადებოდნენ ღამის სათევად. როგორც ითქვა, პანკისის ხეობაში კაკალი ძალიან ბევრი იყო, სოფლებში თითქმის ყველა ეზოში უზარმაზარი ასწლოვანი კაკლის ხე იდგა, მინდვრებში და ტყის პირებზე ხომ უთვალავი იყო. რაღაც 10-15 წლის წინ, უფრო ადრეც დაიწყო კაკლის მორების დამზადე-

ბის კამპანია, ხალხი ჯერ მინდვრებსა და ტყეს შეესია და გაჩეხა ეს უნიკალური, მაღალხარისხოვანი ნაყოფის მომცემი ხეები. როცა გარეთ გაანადგურეს, თავიანთ კარმიდამოში მდგომი ხეებიც გაჩეხეს. დღეს იშვიათად ნახავთ კაკლის ბებერ ხეს მხოლოდ ახალგაზრდა ხეები გადაურჩა ბარბაროსულ ჩეხვას, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მერქანი არ იყიდება.

მეც, შეიძლება ითქვას, მათ მარაქაში ჩავითვლები, რადგან გავანადგურე კაკლების კორომი, რომელიც პაპაჩემის დარგული იყო. მთელი სოფლის ახალგაზრდობა აქ იყრიდა თავს და ამ კაკლების ქვეშ (ხუთი უზარმაზარი ასწლოვანი ხე წრიულად იდგა ჩვენი საკარმიდამო ნაკვეთის მიჯნაზე) თამაშობდა. უხუცესები საქვეყნო საქმის გარჩევის დროს სჯა-ბაასს აქ, კაკლების ჩრდილში მართავდნენ. ერთი სიტყვით, ეს კორომი მთელ ხეობაში ცნობილი იყო, მაჰამღეზის კაკლებქვეშ შევიკრიბოთო, – აცხადებდნენ მოხუცები დავის გარჩევის დროს.

პირველი კაკალი მეზობლის გულისთვის მოვჭერით. მეზობელმა ნათესავმა, რომელმაც სახლის აშენება გადაწყვიტა, გვითხრა, რომ კაკალი უშლიდა და გვთხოვა, მოგვეჭრა. დავთანხმდით, ახალმშენებარე ოჯახს უარი არ ეთქმოდა, მეორე კაკლის ხის მოჭრა მოგვიწია ელექტროდენის გაყვანასთან დაკავშირებით. უარი არც ამ შემთხვევაში ითქმოდა, რადგან სოფელს ელექტრობა სჭირდებოდა, მესამე კაკალმაც ასევე ხელი შეუშალა მოგვარე სხვა მეზობელს, მასაც ნაკვეთს უჩრდილავდა და მოვჭერით. მეოთხე კაკლის ხემ ახლა თავად მე შემიშალა ხელი სახლის მშენებლობაში და წავაქციეთ. დარჩა ერთი ხე, ცად აწვდილი, რადგან შუაში იდგა და სიმაღლეში წავიდა. ქარმა მას მოგლიჯა ერთი ტოტი და პირველი მეზობლის ფარდულის სახურავს დაეცა, იძულებული გავხდი, ისიც მომეჭრა. ასე დასრულდა ეს ბარბაროსული კამპანია კაკლის ხეების წინააღმდეგ.

ჩემს უფროს ძმას ორლულიანი თოფი ჰქონდა, ხანდახან მაძლევდა უფლებას, მესარგებლა მისით, რამდენჯერმე ნიშანშიც ვისროლე, უკვე ვიცოდი, როგორ უნდა დამეტენა და როგორ უნდა ამომეღო ნიშანში სამიზნე.

როგორც ვთქვი, ყვავების გუნდი კაკლებზე სხდებოდა, მაგრამ მაშინვე გავარდებოდა თოფი და ყვავები ერთი ხიდან მეორეზე გადაფრინდებოდნენ, მერე თოფი იქაც იგრიალებდა და დაღამებამდე ფრინველებს მოსვენება არ ჰქონდათ, ერთი ხიდან მეორეზე, მეორედან – მესამეზე, მესამედან – მეოთხეზე და ა.შ. სულ გადაფრენაში იყვნენ.

ყვავები ჩვენს კაკლის კორომსაც ხშირად სტუმრობდნენ. ერთ საღამოსაც დაუკითხავად ავიღე თოფი, ერთი ვაზნა ჩავდე თოფის მარჯვენა ლულაში, თივის საბძელთან ჩავსაფრდი და დავიწყე ლოდინი. მალე მოფრინდნენ ყვავები და კაკლის ხის კენწეროზე დაფრინდნენ. მოკუზული გავყევი ქვის ყორეს, მივედი კაკლის ძირში და თოფი აღვმართე. მაგრამ თოფის კონდახის მხარზე მიბჯენა და წესის მიხედვით სროლა ვერ შევძელი, პატარა ვიყავი, მე-5 კლასის მოსწავლე და მკლავებში საკმარისი ძალა არ მქონდა, ამიტომ კონდახი მარჯვენა იღლიაში მოვიქციე, თოფის გასახსნელი ცხვირთან ახლოს მივიტანე, დავუმიზნე და სასხლეტს გამოვკარი. გასროლის შემდეგ უკუცემის შედეგად ძლიერი დარტყმა ვიგემე, ცხვირში რაღაც მწველი სითბოც ვიგრძენი, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან დავინახე, თუ როგორ წამოვიდა ტოტებზე ხეთქებით შავი ფრინველი და ღობის იქით კაკლის ხის ძირში დაეცა. დაცემის ხმაც კი გარკვევით მომესმა. ერთი სიხარულის კიჟინა კი აღმომხდა, სწრაფად გადავევლე ყორეს და ავიტაცე მოფართხალე ფრინველი და უკან გადმოვევლე ღობეს.

თოფის ხმაზე და ჩემს ყვირილზე დედაჩემი ჩემკენ წამოვიდა და რომ დამინახა, კივილი მორთო. მე გამიკვირდა და როცა მითხრა, დაჭრილი ხარო, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ცხვირიდან სისხლი მომდიოდა. თურმე ცხვირის ორივე ნესტოდან სისხლი მომჩქეფდა, მთელი ცხვირ-პირი და მკერდი სისხლით მქონდა მოსვრილი. დედა დავამშვიდე, ეს ხომ უმნიშვნელო რამე იყო, ხელში თოფით მოპოვებული პირველი ნანადირევი მეჭირა.

იმ დღიდან თოფი გახდა ჩემი უახლოესი მეგობარი და ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი მოვდივართ დღემდე.

შუათანა ძმას ჰყავდა სტუდენტობის მეგობარი ზემო ალვანიდან, წოვა თუში ზურაბ ყიზილაშვილი, რომელსაც საკუთარი ქოხი, ფიცრული ოთახი ჰქონდა ტაბათანში. გასული საუკუნის 50-იან წლებში თუშების საზაფხულო მთა ტაბათანაში სოფელი იყო გაშენებული, იმერული სტილით ნაშენები ხის სახლები, გვერდიგვერდ იდგა ვაკე ადგილას. იქვე, ტყეში ხელით ხერხავდნენ ფიცრებს, კოჭებს, სწრაფილებს, ლამფას, ამოჰქონდათ და დგამდნენ კოხტა ქოხებს. ზოგი ოროთახიანი იყო, შუაზე გადატიხრული, ცალკე შესასვლელებით. ეტყობა, ძმები ან ახლო ნათესავები აშენებდნენ ამგვარ სახლებს, რათა ახლოს ყოფილიყვნენ. დახურული იყო ასევე დახერხილი ლამფებით. ქისტები ქოხებს ქვისგან (ყორესავით) აშენებდნენ, სიპი ქვით ან ყავრით ხურავდნენ.

ტბათანის ქოხების სიხშირე და სიკოხტავე მეტყველებდა, რომ მათი პატრონები შეძლებული ხალხი იყო. ასეც იყო, იმ დროში თუშებს ბევრი ცხვარი ჰყავდათ, მომჭირნეობით აგროვებდნენ სიმდიდრეს.

ტბათანა თუშების საზაფხულო აგარაკის ფუნქციას ასრულებდა. ისინი, ვინც მეწველ ძროხებს ინახავდნენ, გაზაფხულზე ადიოდნენ მთაში, გვიან შემოდგომამდე რჩებოდნენ და ყველს, ერბოს და ხაჭოს ამზადებდნენ. მერე შემოდგომით ალვანში ჩაჰქონდათ და ყიდდნენ. ზაფხულში, განსაკუთრებით აგვისტოში, მოაწყდებოდნენ დამსვენებლები, ნაბდის კარვებს დგამდნენ ქოხებთან ახლოს, გარშემო გორაკებზე და სოფელი სოკოებით მოფენილ მინდორს ჰგავდა, წვიმის შემდეგ მწვანე მდელოზე რომ ამოიყრება ხოლმე სოკო.

ერთი რამ მიკვირდა ყოველთვის: ამ მოაგარაკეებში ბევრი იყო დაავადებული ფილტვებით, ჭლექიანიაო, ამბობდნენ ჭორიკანა ქალები და ხალხი უფრთხოდა კიდეც. არა და შეხედვით მშვენიერი ახალგაზრდები იყვნენ, განსაკუთრებით ქალიშვილები იყვნენ ლამაზები. ეტყობა, ამ მთას გამაჯანსაღებელი კლიმატი და ჯანსაღი ჰაერი ჰქონდა, ასე რომ ეტანებოდა ავადმყოფი.

ოთხი გაზაფხული გაატარა ჩვენმა ოჯახმა ტბათანაში, ზურაბმა დაგვითმო თავის ბინა და ოთხი ზაფხული შეხმატკბილებულად ვიცხოვრეთ თუშებთან ერთად. ტბათანაში გატარებული დღეები, ჩემი სიყმაწვილე, დაუვიწყარი და ტკბილი მოსაგონარია დღესაც. მალე ავითვისე წოვური, ეს არც წარმოადგენდა სირთულეს, რადგან ძალიან ჰგავს ქისტურს, მცირედი განსხვავებაა და ამ განსხვავებასაც ქმნის წოვურში შესული, თუშურად შეცვლილი ქართული სიტყვები. პირველივე ზაფხულში სრულად ავითვისე წოვური, რაც განაპირობა წოვა ბავშვებთან ურთიერთობამ, დღედაღამ ერთად ვიყავით, ერთად ვთამაშობდით, ერთად დავდიოდით მოცვზე, სოკოზე, სასრიალოდ, მეზობელ მთებში სტუმრად და ა. შ.

ძალიან კარგი დრო იყო, მთაში ყოველგვარი პრობლემები დავიწყებულია, მთელი თავისუფალი დრო (ბავშვებს ხომ თავისუფალი დრო თავზე საყრელად გვქონდა) გართობაში იხარჯებოდა. არც ახალგაზრდებს ჰქონდათ საქმე, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მხიარულად გაეტარებინათ დღეები, სულ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ გაერთოთ თავი, ათასნაირ თამაშობებს იგონებდნენ, ცეკვა-თამაში ხომ ყოველთვის და ყოველ დროს, განსაკუთრებით საღამოს იყო გაჩაღებული. სწორედ აქ ვისწავლე ცეკვა, რომელიც შემდეგ გროზნოში სწავლის დროს დაიხვეწა.

მთაში წამოსვლის წინ უფროსმა ძმამ თოფი მისახსოვრა, მამამ თავისი ხანჯლის ტარების უფლებაც მომცა. ტბათანაში ოჯახის უფროსი გავხდი, დედისა და დების დამცველი და ამით ვამაყობდი კიდეც. იარაღის ქონამ თუშ ბავშვებში დიდი ავტორიტეტი შემძინა, უფროსი ახალგაზრდებიც პატივისცემით მეპყრობოდნენ. მახსოვს, არსენამ, გვარი არ მახსოვს, ციგა გამიკეთა, რომელიც საუკეთესო იყო მთელი ტბათანის ყმაწვილების ციგებში.

მკითხველს, ვინც არ ყოფილა ტბათანაში და იქაური ციგაობა არ უნახავს, გაუკვირდება, ზაფხულში ციგაობას რა უნდაო. დიახ, შუა ზაფხულში ვსრიალებდით ციგებით, გორის თხემიდან (გორები კი ტბათანაში ბევრია) დაქანებულ ფერდობებზე ვეშვებოდით და ძირში, „ჭყირტლებით“ (მცენარეა, რომელიც საქონლის ნად-

გომებში ამოდის ხოლმე) მოფენილ ვაკეში კარგა მანძილზე ვიჭ-რებოდით. ციგით ვსრიალებდით წვიმიან ამინდებში. ციგაც გან-სხვავდებოდა თოვლზე სასრიალო ციგისგან. ტყის პირებზე, ალპური ზონის დასაწყისში ხარობდა ერთი ჯიშის ხე, „ქორაფი“, რომელსაც ქისტები „ყაჰგ“-ს ეძახიან, ადვილად ეცლება ქერქი და სლიპინა, სასრიალოდ გლუვი ზედაპირი აქვს მერქანს. დაახლოე-ბით მაჯის სიმსხო, შეიძლება უფრო სქელიც იყოს, ორ პარა-ლელურ მერქანზე ფიცრებს გარდიგარდმო ვაჭედებდით, დასაჯ-დომი ადგილის წინ ფიცრებს ზემოდან ვაჭედებდით ასევე გარდი-გარდმო მკლავის სიმსხო მერქანს, რომელიც ციგის სიგანეზე გრძელი იყო იმდენად, რომ გვერდებიდან ხელის ჩასაჭიდი სახ-ელურები ჰქონოდა. საცურავ მერქანს წინ ქვემოდან ზევით მრგვალად ვთლიდით, რომ მიწას არ შეხებოდა. თუ რქისებურად მოხრილ მერქანს ვიშოვიდით, საუცხოო ციგა კეთდებოდა.

ტბათანაში ბალახი მაღალი არ იზრდება, 5-7 სმ სიმაღლის წვიმით დასველებულ ბალახზე დაქანებულ ფერდობზე ციგა დიდი სისწრაფით მიქროდა ქვევით. ტბათანის მთელი ბავშვები და მოზარდები იკრიბებოდნენ გორების ფერდობებზე, დიდი მხიარულება და ჟრიამული იდგა, მოზრდილი ბიჭებიც კი იღებდნენ მონაწილეობას შეჯიბრში.

კარგ ამინდში ფრინველზე სანადიროდ დავდიოდი, თან მახლდნენ ხოლმე შურდულით შეიარაღებული ამხანაგები და მთელი დღე დავეხეტებოდით კლდიან ხევებში, ტყის პირებზე, ხანდახან ღრმად შევდიოდით ტყეში, სოფ. ტოლოშომდეც კი ჩავსულვართ, რომელიც ტოლოშის ქედის ბოლოში იყო: იმ პერიოდში იქ სამი თუ ოთხი კომლი ცხოვრობდა.

ფრინველი ძალიან ცოტა არის პანკისის ხეობის სათავე მთებ-ში. უმთავრესად აქ გვხვდება წვრილი ჩიტები: ჭრელფრთიანი მეცოციები გრძელი, წვრილი ნისკარტით, წითელქუდა მთიულები, რომლებიც ხევის ნაშალებში ამოსულ ბუჩქებში ბინადრობენ, მთის ყვითელი ბოლოქანქარები. ღორღიან ადგილებში ბინადრობს მე-ღორღია, ხოლო ქვიან ტერასებზე – წითელგულა ბოლოცეცხლა. იშვიათად გვხვდება მთის როჭო, ჩხართვი, კოდალა.

წვრილ ფრინვლეზე, ცხადია, თოფით ვერ ინადირებ, მოხვედრილი ერთი საფანტიც კი გლეჯდა ერთ ციცქნა ჩიტს. მათზე შურდულით ვნადირობდით, თოფს კი ტყეში მცხოვრებ ფრინველს ვესროდი, როგორებიცაა ჩხართვი, ჩხიკვი, კოდალა. კოდალაზე ვაზნის დახარჯვა მენანებოდა, რადგან დაჭრილი ისე მიეკვროდა წიფელს, რომ მისი ჩამოვარდნის ლოდინში დიდ დროს ვკარგავდით.

იყო ისეთი ფრინველებიც, რომელთა დახოცვაც მონადირეს არ ეკადრებოდა. გამოცდილი მონადირეებისგან შეგონებული ვიყავი, რომ მონადირე ფრინველის დახოცვა, თუ ის ზიანს არ გაყენებს, არ შეიძლება. მაგალითად, მთის არწივი, ბერკუტი, ორბი, მებატკნიე, ქორი, შევარდენი და სხვ. ისედაც, თუნდაც სურვილი გქონოდა ასეთი ფრინველის მონადირებისა, ძნელი იყო ახლოს მისვლა და მოკვლა. ხშირად მისროლია თოფი ქარიყლაპიასთვის, რომელიც ჰაერში ერთ ადგილზე ჩერდებოდა ფრთების ქნევით, როგორც შვეულმფრენი დგას ხოლმე, მაგრამ არასდროს მომიხვედრებია. ახლაც კი მახსოვს მწყემსი თუშის ნამღერი ხალხური ლექსის სტროფი ალალ ქორზე:

„ათას უგულო მეომარს,
გულადი ორი სჯობია.
არამ მწყერს, ხოხობ-კაკაბსა,
ალალი ქორი ჯობია.“

სწორედ ტბათანიდან დაიწყო ჩემი სიყვარული მთებისადმი, მთა გახდა ჩემი სიყვარულის ობიექტი. თუკი ზაფხულში ერთი კვირით მაინც ვერ მოვხვდებოდი მთაში, ის წელი დაკარგულად მიმაჩნდა, ეს წელი ჩემი ცხოვრებიდან ვარდებოდა.

მძიმე ტრავმის შემდეგ, როცა თბილისში ხერხემლის ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს (ხერხემლის ოთხი ბლოკი და ცხრა ნეკნი მქონდა გატეხილი) პალატაში გონს რომ მოვედი, პირველი კითხვა მივეცი ექიმს:

– ექიმო, მთაში წანწალი მიყვარდა, შევძლებ კი მომავალში მთაში სიარულს?

– მოიცა, თუ ძმა ხარ, ნეტავ ასფალტზე გავიაროთ, – დაუფიქრებლად მიპასუხა მან.

გულში რაღაც ჩამწყდა, მივხვდი, რომ ჩემი მდგომარეობა მძიმე იყო. მერე გავიგე, რომ სანდრო ექიმი ჩემი სიცოცხლისთვის იბრძოდა და ღვთის შეწევნით, შეძლო კიდეც ჩემი გადარჩენა.

დარჩა ჩემთვის მთა მიუწვდომელ ოცნებად, დიდი ძალისხმევის შემდეგ ფეხზე დავდექი, სიარული მხოლოდ ყავარჯნებით შემიძლია, წარსულში დარჩა კლდეებზე ცოცვა. ამ მოგონებების დაწერაც სწორედ მთების, ბუნების სიყვარულმა გადამაწყვეტინა. უნდა გამოვტყდე, რომ ყოველივე ამას ვწერ ჩემი სიამოვნებისათვის, მე ხომ მხოლოდ წარსულით ვცხოვრობ. ინვალიდობა და სიბერე უბედურებაა, არც აწმყო გახარებს და არც მომავალს უყურებ იმედით.

„შენ ჭონადირე იქნები“

გასული საუკუნის 60-იანი წლებია, ჩემი სტუდენტობის პერიოდი. ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ვარ. არაფრით დაკავებული, ვეძებ საშუალებას მთაში წასასვლელად, მაგრამ ყველა ჩემი მონადირე მეგობარი, ჩემდა სამწუხაროდ, თავიანთი პროფესიული საქმიანობით აღმოჩნდა დაკავებული. გადავწყვიტე, მარტო წავსულიყავი დიდგვერდში, იქ ლაბო მეგულებოდა, მეურნეობის ცხვარში იყო და ვიმედოვნებდი, რომ შევხვდებოდი და ერთად ვინადირებდით.

ვიღაცამ მითხრა, – რამაზ ქავთარაშვილი, მეურნეობის ცხვრის ბრიგადირი, ცხენებით არის ჩამოსული და ხვალ მიემგზავრებაო დიდგვერდში. ძალიან გამიხარდა, სამგზავრო ბარგს მათ გავატანდი, თუ საშუალება ექნებოდა, ცხენსაც გამომიყოფდა სამგზავროდ, ახლოს ვიცნობდი და კარგი ურთიერთობა გვქონდა. მივაკითხე, თანხმობა მითხრა და მეც სამზადისს შევუდექი.

უპირველეს ყოვლისა, ისეთი თოფი მჭირდებოდა, რომელიც შორს ისროდა. საფანტიანი სანადირო თოფები მუჟაზე (სალოკზე) სანადიროდ, სახუნდარიდან სასროლად გამოდგებოდა, მე კი არ ვაპირებდი მარტო ჯდომას ეხში, ძალიან მოსაწყენი და მოსაბეზრებელია სახუნდარაში ბეჭებში მოხრილი ან წამოწოლილი მდგომარეობაში საათობით ლოდინი. საღამო ხანს ომალოში ავედი და ჯორჯიკა ტოხოსაშვილს გამოვართვი

თოფი, გრძელი რუსული შაშხანა, ათიოდე ვაზნა სიძემ, ვასია გორნაკაშვილმა მომცა და კმაყოფილი დავბრუნდი დუისში.

– ცხენები დატვირთული მეყოლება, მწყემსებისათვის სურსათი მიმაქვს, ფეხით მოგიწევსო წამოსვლა, – წინასწარ გამაფრთხილა რამაზმა. ამაზეც მადლობელი ვიყავი, თბილი ტანსაცმელი, სასმელი, სანოვაგე ზურგჩანთაში მოვათავსე და ჩავიტანე რამაზის სახლში. ის სახლში არ დამხვდა, დავიბარე, რომ დილაადრიანად გავუდგებოდი გზას, ნელა ვივლიდი და დაველოდებოდი ხორაჯოში ან ჩხათანაში.

მართლაც, დილით მეზობელმა მოტოციკლით ამიყვანა ხოხორას ნაბინავარამდე („ხოხორაი ათაჰხ“), ფონი მოვნახე, გავედი გაღმა და დავადექი ჩხათანას გზას. ნელა, ტაატით მივდიოდი. გოგირდის წყაროსთან, ხორაჯოს მისადგომებთან დავისვენე, გოგირდიანი, ცუდი გემოვნების წყალი დავლიე, რადგან ყველა ამბობდა, ორგანიზმისთვის მარგებელიაო. ისე ავყევი ხორაჯოს გზას, სოფელში არ ავსულვარ, ქვემოდან, კაკლების ველიდან შემოვუარე და ჩხათანისკენ გავწიე. გვიმრიანის ველზე გავედი, საიდანაც იწყებოდა, უფრო სწორად, მთავრდებოდა „გაბედას ქედი“, ყველაზე გრძელი ქედი პანკისის მთებს შორის.

მზე მაღლა იწევდა, ცხენები არ ჩანდა, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მადარდებდა, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ მთაში წასასვლელად მზადება დიდხანს გრძელდებოდა და ხანდახან შუადღისთვის თუ მოახერხებდნენ სოფლიდან გასვლას. მწყემსები, საერთოდ, ყველანაირად აყოვნებდნენ მთაში ასვლას და მძიმე შრომაში ჩაბმას, ბარი ერჩივნათ, ქეიფი და გართობა.

ჩხათანაც გამოჩნდა. აქ ომალოელები ამოდიოდნენ ზაფხულობით და საქონელი ამოჰყავდათ, კარგი საძოვრები და გასადევარი ჰქონდა ამ ხუტორს, მთა ჭიქაურამდეც ადიოდნენ ძროხები. ზოგიერთი ბალახს თიბავდა, საზამთროდ მოიმარაგებდა ხოლმე და აქ აზამთრებდა საქონელს.

სოფელში არ შევედი, გვერდით გამვლელ ბილიკს დავადექი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რამაზი მალე დამეწეოდა.

უკვე შუადღე ახლოვდებოდა. ერთმა ქალმა შემნიშნა, მგონი, ლაბოს სიდედრი იყო, კეთილი და სტუმართმოყვარე. დამიძახა:

– მგზავრო, ჩამოდი, დაისვენე, პური ჭამე და ისე გააგრძელე გზა.

– დიდი მადლობა, მშიერი არა ვარ. უკან ამხანაგები მომყვებიან, მალე დამეწევიან, არ მინდა, ამცდნენ.

არადა ვტყუოდი – ჯერ ერთი, მომშივდა, დილით მსუბუქად წავისაუზმე; მეორეც, ამხანაგები სად და როდის დამეწეოდნენ, ან კი, საერთოდ, დღეს წამოვიდნენ თუ არა მთისკენ, დანამდვილებით არ ვიცოდი. მაგრამ მაინც გავაგრძელე გზა, სტუმრობაზე უარი ვთქვი, რის გამოც მერე მაგრად ვინანე.

ჭიქაურის ხევის წყალზე ხიდი იდო, ზედ გავიარე და გაშლილ ველზე გავედი. აღმა შევხედე, ტყე ახლოს იყო, ტყის პირზე ცივი წყარო გადმოსჩქეფდა. წყაროსთან ავედი, დავისვენე, დავიხარე და დავეწაფე. ზომიერად ცივი წყალი იყო, მაგრამ მშიერ კუჭზე არც თუ სასიამოვნო შეგრძნება იყო, თითქოს ცარიელ გუდაში ჩამისხეს წყალი.

ნახევარი საათი მაინც ვიჯექი წყაროს პირზე და გავყურებდი ჩხათანის ხეობას, სოფლის ბოლოს გაჭიმულ ახოს, საიდანაც უნდა გამოჩენილიყვნენ მგზავრები, მაგრამ ლოდინი ამაო იყო. ზანტად წამოვდექი, ძლივს ავითრიე წელი და აღმართს შევუდექი, ნაცნობი ბილიკი იყო, ბევრჯერ მივლია ამ ბილიკზე, სავალად ძნელი არ იყო. ჭიქაურის ქედს აჰყვებოდა ბილიკი, ცერს გარშემო უვლიდა, კლაკნილ ხაზს ქმნიდა, ქედის ერთი ფერდიდან ცერს გადაჭრიდა ხოლმე, მერე აიწევდა ზევით, გამოყვებოდა იმავე ფერდს, მაგრამ უკვე რამდენიმე მეტრით ზევით, გადმოკვეთდა ცერს და მეორე ფერდს დამრეცად აჰყვებოდა, ისევ აიწევდა ზევით, გამოყვებოდა იმავე ფერდს, გადმოვიდოდა ცერზე და ასე მიემართებოდა ზევით. როცა ტყეში, ხეების ჩრდილში მიჰყვები ბილიკს, არც თუ ძნელია სიარული, ალპურ ზონაში ჭირს, როცა მზიანი ამინდია, ოფლში იღვრები, წვიმის დროს კი სველდები.

როგორც იქნა, ავათავე ტყის ზოლი და ავედი ალპურ ზონაზე. აქ ბილიკი თითქმის დაკიდულ ცერს აჰყვებოდა, ნელა მივ-

დიოდი, წინ ვიყურებოდი და საჭმელზე ვფიქრობდი. უცბად ჩხა (ქისტურად კარჩხა) შევნიშნე, ზედ დაკიდებული ცხვრის ტყავით. სწორედ ამ ადგილიდან უხვევდა ბილიკი აღმოსავლეთისკენ და გადიოდა ჭიქაურის ხევში („ჭიქაურ ხორხიე“) და აქ, რაღაც პატარა ვაკეზე, ადრე მაგეი დუიშვილს ქოხი ედგა, რომელსაც „მაგეის ნაჟდარს“ (მაგეის სადგომს) ეძახდნენ.

დღეს იქ ქოხის ნატამალიც არ იყო, მეცხვარეები გაზაფხულზე ადრიანად რომ არეკავდნენ ცხვარს, აქ, ალხაჯზე აჩერებდნენ დროებით. იმედი მომეცა, რომ მეცხვარეები რაღაც საკვებს დატოვებდნენ, თუნდაც ფქვილს. ყველაფერი თან რომ არ ეთრია, მეცხვარეს სხვა ადგილზე გადასვლის დროს სანოვაგის ნაწილი თან მიჰქონდა, ნაწილს ტოვებდა, რომელსაც მაშინ მოაკითხავდა, როცა თან წაღებული გაუთავდებოდა.

იმედმოცემულმა ნაბიჯს ავუჩქარე, სწრაფად ავედი და როგორც კი შევხედე, მივხვდი, რომ მეცხვარეებს დიდი ხნით მიეტოვებინა ეს ალხაჯი. ჩამოვჯექი, დავისვენე და გადავწყვიტე, რომ ლოდინს აზრი არ ჰქონდა, უნდა მევლო სწრაფად შესაძლებლობის ფარგლებში და დაღამებამდე ჩამესწრო დიდგვერდის ხორხის ბინაში. წინ დიდი გზა მედო. ამიტომ დიდხანს არ შევჩერებულვარ მაგეის ნაჟდარში და გზა გავაგრძელე.

ვიწრო ბილიკი დაქანებულ ფერდობზე ხევისკენ მიემართებოდა. სწრაფად მივდიოდი, თან აქეთ-იქით მჟაუნას ვწყვეტდი და ხარბად ვჭამდი. მალე ხევს მივადექი, გავიხედე და კლდის ძირში ასევე მიტოვებული ალხაჯი შევნიშნე. აქაც ჩხა კლდეზე იყო მიყუდებული და ზედ ტყავები ეკიდა. ყველაფერი გადავჩხრიკე, მაგრამ საკვების მსგავსი რამეც კი ვერ აღმოვაჩინე.

ბილიკი ხევს მიჰყვებოდა, წყალს აქეთ-იქით ჭრიდა და ორივე მხარის ფერდობებს მიჰყვებოდა ზევით და ზევით, აქა-იქ დიყის ღეროები შემოკვროდა ბილიკს. დიყის ძირები, ფესვებთან ახლოს, ტკბილია და იჭმევა ხოლმე. მართალია, არ მიყვარდა, მაგრამ ახლა მშიოდა, არჩევანი არ მქონდა, ნორჩ დიყს ამოვგლეჯდი, ძირებს დანით ვასუფთავებდი, ვჭამდი და თან ცივ წყალს ვაყოლებდი.

ცარიელ კუჭზე მცენარეებმა ცუდად იმოქმედეს, გულის რევა დამეწყო, ვცდილობდი, თავი შემეკავებინა და ზლაზვნით მივყვებოდი ბილიკს. ავიარე დიდი, ვეებერთელა კლდის გვერდით, გაშლილი ხევის პირზე გავედი, მარცხნივ გავუხვიე და ავყევი ქედს.

ძალიან გამიჭირდა ამ აღმართის ავლა, მაგრამ ვიცოდი, რომ იქიდან აღმოსავლეთით ძალიან დაქანებულ, ხრიოკ და დაშლილ ფერდობს გადავივლიდი ვიწრო ბილიკით, ყველაზე სახიფათო ადგილს ჩხათანიდან დიდგვერდის ხევამდე და იქიდან მხოლოდ დაღმართზე მომიწევდა სიარული. ამიტომ ძალღონე მოვიკრიბე და ავლიე ეს აღმართიც.

გავედი ქედის ცერზე და ძაღლების ყეფაც მომესმა. მოვიხედე უკან და ვიწრო ხორხის თავში, პატარა ქვაბულში შევნიშნე ცხვრის ალხაჯი. ქვის ყორე წრიულად იყო შეკრული, დასავლეთის მხარეს ჰქონდა შესასვლელი, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლისა იყო. ზედ გადაფენილი იყო დაკეცილი ნაბდები, რომელთაც ზემოდან ჩამოცმული ჰქონდა საწვიმარი მოსასხამები. ყორეს ერთ კუთხეში კერა იყო მოწყობილი.

დიდხანს ვათვალიერე. ძაღლები ყორეს შესასვლელში იდგნენ და მიყურებდნენ, ძლიერი ყეფით ხეობას ახმიანებდნენ. მშიერი კუჭი დაბლა მეწეოდა – ჩავიდეთ, საჭმელი უეჭველად იქნება, აქ ხომ ცხვარი დგასო. გონება კი ჭოჭმანობდა – ვაი თუ იქაც საჭმელი არ აღმოჩნდეს, ეს აღმართი ხომ უფრო მშიერმა და გაღიზიანებულმა ისევ უნდა ამოვლო, შეეშვი, როდის იყო, მარტოხელა მეცხვარეს გამზადებული კერძი ჰქონდეს და ა. შ.

მაგრამ მშიერმა კუჭმა გაიმარჯვა და დაბლა დავეშვი. ძაღლები გააფთრებული ყეფით შემომეგებნენ. ვუყვავებდი, ტკბილი, ალერსიანი სიტყვებით მივმართავდი, ვამუნათებდი, ნამუსზე ვაგდებდი, მასპინძლები სტუმარს ასე როდი ხვდებიან-მეთქი, მაგრამ ძაღლები მტკიცედ იდგნენ პატრონის ქონების სადარაჯოზე.

როცა თოფს მივუშვერდი, განზე გახტებოდნენ, მაგრამ როგორც კი ყორეს შესასვლელისკენ ფეხს გადავდგამდი, ეგრევე მომვარდებოდნენ ხოლმე. ჰაერში სროლა და ვაზნის დახარჯვა

არ მინდოდა. ბოლოს და ბოლოს სხვის სახლში დაუპატიჟებ-ლად შესვლას ვაპირებდი, სხვისი საჭმლის მოპარვას. მე უსა-მართლოდ ვიქცეოდი, ძაღლები სამართლიანად იცავდნენ თა-ვიანთ სახლ-კარს. მაგრამ, როგორც იტყვიან, ზნეობის გზა კუჭზე გადისო. მეც იძულებით მივყევი ამ პრინციპს, ძაღლები მოვატყუე, თითქოს უკან ვბრუნდებოდი, ყორეს გვერდით გა-ვიარე და უცბად გადავევლე ზედ და აღმოვჩნდი შიგნით. გა-ოგნებულმა ძაღლებმა ყეფა შეწყვიტეს, მაგრამ მალე ისევ აყე-ფდნენ, შესასვლელში დადგნენ და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ჩემს მოქმედებას. თანდათან ყეფასაც მოუკლეს, შიგა-დაშიგ ყეფდნენ მოვალეობის ხათრით.

კერიის გვერდით ქვაბი იდგა, სახურავი ავხადე და შიგ მო-ხარშული ხორცი აღმოჩნდა. ნაჭრებს როგორც კი შევხედე, მივხვდი, რომ ბატკნის ხორცი იყო. იქვე გვერდით ხონი შევ-ნიშნე, ზედ ცელოფანი იყო მოხვეული. გავხსენი და მოხარშუ-ლი გორდილა ვნახე, ოღონდ მჭადის ფქვილისა კი არ იყო, რო-გორც წესია, არამედ ხორბლის ფქვილისა. ასეთი გორდილა მძიმეა კუჭისთვის, მაგრამ ამაზე არც მიფიქრია, გამალებულ ჭამას შევუდექი.

მაგრამ რაღაც ყელში არ გადამდიოდა, წეღან მჟაუნასი და დიყის ძირების ჭამამ ცუდად იმოქმედა, თან დაღლილიც ვიყავი და ძალზე მშიერიც, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ როცა ასეთ მეფურ საჭმელს მივაგენი, ჭამა არ მინდოდა. კარგად ვაცნობი-ერებდი, რომ უნდა მეჭამა, თავს ძალა დავატანე და ერთი ნეკ-ნის დიდი ნაჭერი ხორცი და ნახევარი გორდილა შევჭამე. შემდეგ ხორცი და გორდილა ჯიბეებში ჩავიწყე, ქვაბს სახურა-ვი დავახურე, ხონი კვლავ ცელოფანში გავხვიე, თოფს ხელი წამოვავლე და ყორეს გარეთ გადმოვხტი.

როცა პურს ვჭამდი, ძაღლებს გორდილა გადავუგდე, მაგ-რამ ზედაც არ შეხედეს. ბარაქალა, გავიფიქრე ჩემთვის, ძაღ-ლები არც კი უნდა უწოდო პატრონის ასეთ ერთგულ ამხან-აგებს, ბევრ ადამიანზე, თუნდაც ახლა მათ სახლში შეჭრილზე უკეთესად იცავენ ადათ-წესებს.

გამომშვიდობებისას თავი დავუკარი:

– გმადლობთ მასპინძლობისათვის, თქვენს პატრონს მოახსენეთ, რომ მშიერი მგზავრის დაპურებისათვის ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს.

ისინი ყურადღებით მაკვირდებოდნენ, არც მრისხანედ იყეფებოდნენ, ჭკვიანური თვალებით გამომაცილეს და არც გამომკიდებიან.

ახლა უფრო სწრაფად ავიარე აღმართი, ფრთხილად გავიარე სახიფათო მონაკვეთი, უღელტეხილის უნაგირზე გავედი და ჩავხედე გარშემო სალი კლდეებით გარშემორტყმულ, მოსარკულ, გამჭვირვალე ტბას. მაშინვე გაისმა შურთხების ზარის წკრიალივით ყურისწამღები სტვენა და კლდეებს გადაუქროლა შურთხების გუნდმა, ისე სწრაფად გაქრნენ, თვალის შევლებაც კი ვერ მოვასწარი, დარჩა მხოლოდ მათი გაბმული სტვენის მელოდია, რომელიც კლდეებში ეხომ გაიმეორა. გაოცებული ვიდექი და გავცქეროდი ჩრდილო-აღმოსავლეთის მწვერვალთა კლდოვან პლატოს, საითაც გადაიფრინეს ამ უცნაურმა ფრინველებმა. ჩემთვის მათი უცნაურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველთვის, რომელ მხრიდანაც არ უნდა მოვსდგომოდი ტბას, ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდა, რაღაც არაჩვეულებრივად სწრაფად უჩინარდებოდნენ ეს საოცარი ფრინველები.

ტბასთან ჩავედი, ნაპირზე ჩამოვჯექი, პეშვით სახეზე შევისხი ყინულივით ცივი წყალი, ჩავხედე მის სიღრმემდე გამჭვირვალე წყალს. რაც უფრო შუაგულისკენ გადამქონდა მზერა, ფსკერს ვერ წვდებოდა მზის სხივები. სიღრმისკენ წყალი რაღაც მკვრივი, მოლურჯო-მწვანე ხდებოდა.

ტბა მრგვალი ფორმისა იყო, როგორც აღვნიშნე, გარშემო კლდეებით შემოსალტული, ოღონდ აღმოსავლეთით კარი ჰქონდა ტბის დონეზე დაწეული. ღარიდან ნაკადული მიედინებოდა, გადიოდა ღრმა დაღარულ კლდეებში გაჭრილ ხევში, მერე სამხრეთისკენ უხვევდა ეს ხევი, დიდგვერდის ქედებს შუა ჩაივლიდა, სპეროზასა და ხორაჯოს ქედებს შუა, სპეროზასთან იერ-

თებდა დიდი დიდგვერდის წყალს და უკვე მახვალის წყლის სახელწოდებით უერთდებოდა ხადორთან მდ. ალაზანს.

დიდგვერდის ტბა ყველაზე დიდი იყო, რომლებიც კი მინახავს ალაზნისა და ივრის სათავეების მთებში. მაგრამ არც ისე დიდი იყო, რომ მისი გადაცურვა რაიმე სიძნელეს წარმოადგენდეს. სირთულე ის იყო, რომ წყალი ძალიან ცივი იყო, რაც კრუნჩხვების საშიშროებას უქადდა მოცურავეს. ამბობდნენ – უძირო არისო, ეს ჩვეულებრივი ლეგენდა არის, მაგრამ ტბის გადაცურვის მოსურნეს კი აფრთხობდა, თუმცა იმასაც ყვებოდნენ ხანდაზმული მეცხვარეები, რომ დუისელმა გადაცურაო.

ჩემთვის საინტერესო იყო მისი წარმოშობის ისტორია, ამის შესახებ არც ლეგენდა და არც მეცნიერული ახსნა არ მომისმენია, თუმცა ჩემი პირადი მოსაზრება კი ჩამომიყალიბდა. ერთი რამ უბრალო ვიზუალური დაკვირვებით დავადგინე: ტბას გარედან მკვებავი წყარო არ ჰქონდა, არც სიღრმიდან, კერძოდ ფსკერიდან ამოხეთქილი წყალი უნდა კვებავდეს, რადგან გამდინარე წყარო პატარა იყო და ასეთი პატარა წყალი ვერ გაუძლებდა ასეული ტონა სიმძიმის წყლის დაწოლას.

გაზაფხულზე, სამხრეთის ჩრდილის მხარის მთლიანი ფერდობი ზვავით იყო ხოლმე დაფარული და ავდრიანი ზაფხულის დროს ნარჩენები არც კი ქრებოდა ხოლმე. გარშემო, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სალი კლდეების მწვერვალთა რკალი წრეს კრავდა. კლდიანი კალთები ჩაჩეხილი კლდეებითა და ღრმა ვიწრო ღარებით იყო დასერილი, შიგ მზე არ აღწევდა, თოვლისა და ყინულის ჩახერგილი ზვავები კი ლავანგარდებს ქმნიდა, რომლებიც გვიან გაზაფხულამდე არ დნებოდა. ვფიქრობ, ეს ზვავები უნდა კვებავდნენ ტბას. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ გვალვიან ზაფხულში ტბა ორიოდე მეტრით იწევს შუაგულისკენ.

მზე მწვერვალებს ეფარებოდა, დღის უკანასკნელ სხივებზე ნარინჯისფერ კლდეებს სიწითლე შეეპარა, ჩრდილის მხარეს ფოლადისფერ კლდეებს მოშავო ფერი დაედო და გარდამავალ

ფერებში საამური სანახავი ჩანდა. ბუნების ამ ლამაზი სურათებით ტკბობის დრო არ მქონდა და ღორღიანი ბილიკით დაბლა დიდგვერდის ხორხისკენ (ხევისკენ) დავეშვი.

მთაში ასეა – გაიხედავ და გგონია, ხელის გაწვდენაზეა ხევი თუ მთა, ფიქრობ, უცბად დაფარავ გასავლელ მანძილს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ შორს არის და დიდ დროსაც გართმევს მისვლამდე. ვიცოდი, რომ ტბიდან ბათაყას ნაბინავარამდე კაი დიდი მანძილი იყო და სწრაფად დავიწყე ჩასვლა.

მზე უკვე ჩასული იყო, როცა ბათაყას ნაბინავარის ახლოს ჩამდინარე ნაკადულის გვერდით ჩამოვჯექი. ამ ადგილებს ხუთი თითივით ვიცნობდი, ერთი ზაფხული გავატარე აქ მეცხვარეებთან და მთელი მიდამო შესწავლილი მქონდა. ნაკადულის ნაპირებზე ძალიან გემრიელი მთის წიწმატი იზრდებოდა. ნორჩი წიწმატის ყლორტები მოვგლიჯე, ჯიბიდან ხორცის ნაჭერი და გორდილა ამოვიღე, ვჭამდი, წიწმატს ვაყოლებდი და შიმშილი მოვიკალი. ახლა გემოც ჩავატანე საჭმელს, წამოვდექი, აქამდე ჭირად გამხდარი თოფი ავიღე და დაბლა ხორხისკენ (ქისტურად „ჭოჯ“) დავეშვი.

სწრაფად, ძუნძულით ჩავრბოდი, სანამ დაღამდებოდა, დეკაში ჩაღრმავებული ბილიკი უნდა ჩამევლო. სწრაფად ჩავლიე ბექობი, ხევში ჩავედი, წყალში გავედი და ფართო ვაკე ხეობას ჩავყევი. ადამიანების ხმაურმა და ძაღლების ყეფამ მიმახვედრა, რომ ბინას ვუახლოვდებოდი. მალე სიბნელეში ქოხის წინ დანთებული ცეცხლი შევნიშნე, მოქანავე ადამიანების ჩრდილები და ძაღლებმაც ატეხეს ყეფა. ერთ-ერთი მწყემსი ქოხს გამოსცდა, აღმა გამოიხედა, შემნიშნა, ძაღლებს გაუჯავრდა და წინ მომეგება.

– მარშ ვოღილ (თავისუფალს გევლოს), მომესალმა უნუზ ქუშანაშვილი (ბაბარგ იუნუზ), საშუალო ხანს გადაცილებული ბირკიანელი, როგორც მერე გავიგე, სარქალი და შინ მიმიწვია. გამომკითხა, ვისი ვიყავი, მამაჩემს ახლოს იცნობდა და თბილად მოიკითხა, ცეცხლთან ადგილი მიმიჩინა და ამბავი გამომკითხა. კიდევ რამდენიმე მწყემსი იყო, უმთავრესად მწველავე-

ბი, მათი სახელები დამავიწყდა, ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბავია.

ვუამბე ჩემი, მშიერი მგზავრის ამბავი, ისიც მივაყოლე – ბრიგადირს, ეტყობა, ვერ მოუხერხდა დღეისთვის წამოსვლა და ხვალ ამოვა-მეთქი. მწყემსებმა ისე გაიცინეს, მივხვდი, რომ ჩემი ნათქვამი, ხვალ ამოვაო, სარწმუნოდ არ მიიღეს. არც მე გამომიდვია თავი მათ დასაჯერებლად, რამეთუ გამოცდილებიდან ვიცოდი, როგორ აგვიანებდნენ უკან დაბრუნებას ბარად ჩასული ბრიგადირები.

– კაცი მშიერია, სასწრაფოდ ვახშამი აჭამეთ! – თქვა სარქალმა და თავად შეუდგა თადარიგს. უცბად დამიდგეს წინ ჯერ კიდევ კარგად შეუდედებელი ყველი, მეცხვარეები „დელამას“ რომ ეძახდნენ და, რომელიც ძალიან მიყვარდა. ადრე, სიყმაწვილის დროს დიდგვერდში, როგორც ვთქვი, მეცხვარეებთან ერთი ზაფხული მქონდა გატარებული, მერე, სტუდენტობის პერიოდშიც ხშირად მიხდებოდა ნადირობისას მეცხვარეთა ბინაში ყოფნა და კარგად ვიცნობდი მათ ყოფა-ცხოვრებასა და ყველის დამზადების წესსაც.

როცა კასრში ჩასხმული ცხვრის რძე დვრიტას მიცემის შემდეგ იწყებს შედედებას, ამ დროს საუკეთესო საჭმელია, ყოველ შემთხვევაში მე ძალიან მიყვარდა, დელამაში აზელილ ქუმელს კი ვერაფერი შეედრებოდა. საერთოდ, ქუმელს ახალ ყველში ან ხაჭოში ზელდნენ, გუნდებად აკეთებდნენ და მეცხვარეებს საჭმელად თან მიჰქონდათ. შეზელვაც სამგზავრო, სამწყემსო პატარა გუდაში (ციკნის ტყავისგან აკეთებდნენ) ხდებოდა.

ყველაზე გემრიელი ახალი, მარილით შეზავებული ყველის ქუმელში გაზელილი მასა იყო, მას მეცხვარეები „ჩოგის“ ეძახდნენ.

დილით გვიან ავდექი, ვისაუზმე, იუნუზს საბინაო საქმეში ხელი წავაშველე, შეშაც დავუჭერი და კვლავ ნაბადზე წამოვწექი. დურბინდით ყურადღებით შევათვალიერე ნაცნობი ადგილები.

შუადღე გადაცილებული იყო, როცა ჯამიეს ნადგომში („ჯამიე ლეეთინაჩ“) წასასვლელად მოვემზადე. იუნუზმა მითხრა,

რომ ლაბოს პატარა მუჟას ეხი კარგად მოეწყო, ორი ძველი ნაბადი მთელი ზაფხული იქვე ჰქონდა. ასე რომ აქედან 5-6 კმ-ში ნაბდის თრევა არ დამჭირდებოდა. გულში მადლობა გადავუხადე ლაბოს, თუმცა გულნაკლული ვიყავი, რომ ბინაში არ დამხვდა: მშრალ ცხვარში გაემწესებინათ, დიდი დიდგვერდის მთაში აძოვებდა ცხვარს.

თოფი გადავიკიდე, უნუზას მიწოდებული საგზალი გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და ხევისკენ წავედი.

– საღამოს მქონდეს შენი მოლოდინი? – კითხვა დამადევნა სარქალმა.

– არა, ღამეს ეხში გავათენებ, თუ საღამოს ტყუილად ვუდარაჯებ, ბარემ დილითაც დაველოდები ფსიტებს და მერე დავბრუნდები.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კარგ ნადირობას გისურვებ. – დამადევნა კეთილმა კაცმა. ხევში ჩავედი, ლოდებზე ნახტომით გავედი გაღმა ფერდობზე და სამხრეთისკენ მიმავალ ბილიკს დავადექი. ბილიკი დიდგვერდის ქედის, სწორი მზისპირიდან („შეერ ბოსარ“) დაშვებულ სერებს მიჰყვებოდა, მშრალ თუ ნაკადულიან ხევებში ეშვებოდა, შემდეგ სერზე გაივლიდა და ასე აღმართ-დაღმართების გარეშე მიემართებოდა პანკისის მხარეს.

არ მეჩქარებოდა, ვათვალიერებდი დიდი დიდგვერდის მაღალ ქედს, რომელიც სწორედ პატარა მუჟასთან, სადაც ორივე დიდგვერდის წყლები ერთიანდებოდნენ, სპეროზასთან დააწყდებოდა. მთელი ფერდობი, დიდგვერდის ტბის აღმოსავლეთის კალთებიდან დაწყებული, ხელისგულივით მოჩანდა და მელიასაც კი შენიშნავდა კაცი. ამ მთის იქით დიდი დიდგვერდის მთა იყო, რომლის მოპირდაპირე ქედის ბოლო პანკისიდან მრგვლად ჩანდა და ქისტები ასეც უწოდებდნენ – „გოარგ ლამ“ (მრგვალი მთა). მისი სამხრეთის კალთა მთლიანად ჩამოვაკებული და ვეებერთელა ტერიტორიაზე გაშლილი ნაშალი იყო. მაღლა ნაშალი დიდი ქვებისგან შედგებოდა, მოწითალო კლდეთა ნამსხვრევებს ვერცხლისფერი ხავსი მოსდებოდა. წვრილი ნაშალი დასერილი იყო ნადირისა და ცხვრის ბილიკებით.

ის ფერდობები, ჩრდილის მხარე, რომელსაც მივყვებოდი, დეკათი და ქუჩით იყო დაფარული, შიგდაშიგ მწვანე ახოებით მოფენილი ძალიან ლამაზი სანახავი იყო.

„ჯამიეს ნადგომი“ დაცემულ ფერდობს წარმოადგენდა, პატარა ტაფობს, მაგრამ მეცხვარისათვის უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. ტყე იქვე ახლოს, ხელის გაწვდენაზე იყო, იქვე, ბორცვის ძირში კი დიდი წყარო და გასადევარიც საკმარისი ჰქონდა. სამხრეთით ასიოდე მეტრში შეერ ბოსიედან ჩამოჰყვებოდა ქედის სერი, რომლის ცერზე ყოველთვის უბერავდა ნელი ნიავი. აქედან ხელის გულივით იშლებოდა პანკისის ლამაზი ხეობა და ვაჟასი არ იყოს, – „საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა“. პირველად აქ დნებოდა თოვლი და გაზაფხულზე დიდგვერდში ამოსული მეცხვარეები ჯერ აქ ბინავდებოდნენ და მერე ზევით იწევდნენ.

მონადირეები, რომლებიც ჯამიეს ნადგომში ბინავდებოდნენ, თავს არ იწუხებდნენ დაბლა ეხში ჩასვლით, რადგან ასიოდე მეტრის მოშორებით პირდაპირ ბილიკიდან ჩანდა მჟავე წყლის სალოკი. დურბინდით კარგად ჩანდა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც გაარჩევდა გამოცდილი მონადირე მოწითალო ფერის ფსიტტებს, რომლებიც ლოკავდნენ ტინის შავ ადგილებს. რაკი დარწმუნდებოდა, რომ არჩვები სალოკზე იყვნენ, დაეშვებოდნენ დაღმა, ეხის ახლოს კლდიან ბექს ამოეფარებოდნენ და ესროდნენ ნადირს. ასეთ მიპარვას ერთი ნაკლი ჰქონდა: სანამ საჭირო ადგილს მიაღწევდა მონადირე, შეიძლებოდა, ნადირი წასულიყო.

მზის ჩასვლის წინ, როცა მზე ცის კიდურიდან, როგორც ქისტები იტყვიან, ერთი თოკის დიდებაზე არის, ადგილზე უნდა ვყოფილიყავი. ჯერ კიდევ დრო მქონდა, ვაკე ფერდიდან („შეერ ბოსიერ“) დაშვებული ქედის ცერს ჩავყევი. ბილიკი, რომელიც ხევში, ორი დიდგვერდის წყლების შეერთების ადგილს ქვემოთ ეშვებოდა, კვეთდა ხევს და აღმა აჰყვებოდა სპეროზას მთას. ამ ბილიკზე ფეხით მოსიარულეები დადიოდნენ და ბარგიც მხოლოდ ვირებით გადაჰქონდათ, ვინაიდან ცხენისთვის

მეტისმეტად მძიმე სამოძრაო იყო. დიდგვერდიდან ძალზე დაქანებული იყო ქედის ცერი და სპეროზას ქედი ხომ უფრო მეტად იყო ციცაბო. თანაც, რაც ძალზე მაკვირვებდა, მთისთვის დამახასიათებელი მიხვეულ-მოხვეული ბილიკი კი არ ჩაჰყვებოდა ან აჰყვებოდა ქედებს, არამედ პირდაპირ სერებს მისდევდა. მე ასე მგონია, რომ ამის მიზეზი ამ ორ მთას შორის მიმოსვლის იშვიათობა წარმოადგენდა, რამეთუ ჩემს მეხსიერებაში მეცხვარეებს მხოლოდ მშრალი ცხვარი ეყენათ სპეროზას მთაში, იშვიათად ბატკანიც.

სანამ ტყე დაიწყებოდა, ჯამიეს სადგომის წყაროს ქვემოთ, მცირედ დაქანებულ ადგილას ხარობდა დუცი, დიყის მსგავსი მცენარე, რომლის ფოთოლი და ღერო დიდად არ განსხვავდებოდა დიყისგან. ორივეს დაკბილული სამ-სამი დიდი ფოთოლი ჰქონდა და თითქმის ერთნაირი სისქის ღეროები, დაახლოებით 15-20 მმ სისქისა, ზოგ ადგილას მეტიც.

დუცი სასიამოვნო საჭმელი იყო. პირველად ცოტა უგემოვნოდ ეჩვენებოდა კაცს, მაგრამ მერე და მერე ეჩვეოდა და მთის ხილში, ჩემი აზრით, ყველაზე მარგებელიც იყო. მაგალითად, ჭამის შემდეგ დუცის პატარა ულუფაც კი საკმარისი იყო, შიმშილი გეგრძნო. ე. ი. საჭმლის მონელებას ხელს უწყობდა და როგორც მწყემსები ამბობდნენ, – ნაწლავების კოლიტის დროს უებარი საშუალება იყო.

საჭმელად მისი მომზადებაც საინტერესო პროცედურას წარმოადგენდა. ჯერ გადაჭრიდი წვერში, იმ ადგილას, საიდანაც სამ ტოტად იშლებოდა მთავარი ღერო. მერე იწყებოდა მისი გაფცქვნა ისე, როგორც დღეს ბანანს ვფცქვნით, წვერიდან ძირისკენ. ძირი ყველაზე გემრიელია, ეს ღეროს ის ნაწილია, რომელიც მიწაშია. ღეროს ჩაავლებ ხელს, ძლიერად ამოსწევ და ამოგლეჯ მიწიდან. რაღაც 8-10 სმ. მოწითალო-თეთრი ფერის ძირი, რომელიც მიწით იყო დაფარული, ძალზე გემრიელია. წვერში, ჰორიზონტალურად გადაჭრილ ზედაპირს დანით სერავ ერთი-ორი სანტიმეტრის სიგრძეზე, მერე დანის პირს ურტყამ სიბრტყით ზემოდან მანამდე, სანამ ძაფზე ცოტათი

სიმსხო ძარღვები არ გამოჩნდება და ღეროს გვერდებზე არ დაეკიდება. შემდეგ თითოეულ ძარღვს წვერიდან ქვემოთ ეწევი. ძარღვი მაგარია, არ წყდება, ბოლომდე ჭრის ღეროს. ყველა ძარღვს რომ ამგვარად ძირამდე დაიყვან, ხელში შეგრჩება 30-40 სმ სიგრძის ღეროს ზოლები და მათ მიირთმევ. სახალისო პროცედურაა, ერთობა კიდეც კაცი და აგემოვნებს კიდეც. მთაში კაცი უმეტესად უსაქმურია, დრო თავზე საყრელი აქვს, საჭმლის მზადებაც სახალისოა, რა თქმა უნდა, კარგ ამინდში.

რამდენიმე დუცი მოვგლიჯე, ზურგჩანთაში ჩავაწყე და დავუყევი ბილიკს. სასიამოვნო იყო ათასწლოვანი წიფლის ხეებქვეშ სიარული, ნელ ნიავზე ფოთოლთა შრიალი ამშვიდებდა ნერვებს. სადღაც ქედის ტყის ზოლის შუაწელში ბილიკი მარჯვნივ ბურახისკენ უხვევდა, ამას ბილიკიც კი არ ეთქმოდა, ეს იყო იმ ზაფხულს მონადირეთა მიერ სხვადასხვა მცენარეში გაკვალული გზა, რომელიც დაბლა ეშვებოდა და სავალად ძნელი იყო. ქედის ჩრდილოვანი ფერდობი ისე იყო მცენარეებით მოდებული, რომ ვერ არჩევდა თვალი, რა იყო მიწის პირზე. ზოგან დამპალი ხე იყო გახიდული, ზოგან კლდის ნატეხი, მოზრდილი ბასრი სიპები და სხვ. თანაც გადათელილ, დამპალ მცენარეებზე ფეხი მიცურდებოდა და ვეცემოდი. შემდეგ წამოვიდა კოღო, რომლებიც ასეთ ადგილებში მრავლადაა, ასე რომ ტყის ზღაპრული იდილია გაქრა.

ყველაზე მოსაბეზრებელი მუმლია, რომელიც თვალებში, ყურებში, ცხვირის ნესტოებში ძვრებიან და მწარედ ნესტრავენ კაცს.

ჩემთვის ნაცნობი იყო ეს პრობლემები, ხშირად მივლია ამ გზაზე სახუნდარისკენ და მოთმინებით, აუღელვებლად ჩავყევი დაღმართს, თოფი აწეულ მარჯვენაში მეჭირა, რომ დაცემის დროს ქვაზე არ მიხეთქებულიყო.

ხევიდან ასი, ას ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე ტყე დამთავრდა, ბუჩქებიც დაპატარავდა და მალე ჩავედი ბალახით დაფარულ ციცაბო ფერდობზე, სადაც აქა-იქ, ახლო-ახლო აზიდულიყო კლდეები. ფრთხილად მივედი ერთი კლდის უკან, გადავყავი თავი და დავათვალიერე მიდამო. ჩემ პირდაპირ აღმართული იყო ასევე კლდეებითა და მწვანე ახოებით დაფარუ-

ლი მკვეთრად დაშვებული ფერდობი. ამ ქედის ცერის იქით ტყე მოჩანდა, მაღლა ალპური ზონა იწყებოდა. ზუსტად ამ ფერდობიდან ეშვებოდა ხოლმე არჩვი დაბლა სალოკზე და ამ ფერდობით უკან ბრუნდებოდა კიდეც.

მოვათვალიერე თვალსაწიერი, ცოტათი გადავიწიე და ჩავიხედე დაბლა, მუჟა ცარიელი იყო, ნადირი არ ჩანდა, მხოლოდ სალოკი ბრწყინავდა შავად პიტალო კლდის ქვეშ. ისევ მოვათვალიერე გარემო, როცა დავრწმუნდი, რომ არემარე ცარიელი იყო და, რამდენადაც სწრაფად შევძელი თითქმის დაკიდულ ბექზე ჩასვლა, სახუნდარისკენ გავწიე, რომელიც ეხში იყო მოწყობილი.

ეხი წარმოადგენდა ციცაბო, თითქმის ხევზე გადმოკიდებულ ფერდობზე გადმოშვერილ ვეებერთელა კლდეს, რომლის ქვეშ გამოქვაბულივით პატარა ღრმული იყო. სწორ იატაკზე ხმელი ქუჩი ეყარა, ზედ ძველი ნაბადი იყო გაშლილი და კუთხეში მეორე დაკეცილი ნაბადიც იდო ზემოდან დასახურად. წინ, ხევისკენ და ფერდობის სამზირ ადგილზე, არყის ტოტები იყო ვერტიკალურად ჩარჭობილი ისე, რომ ნადირს სახუნდარში მჯდომი მონადირე არ შეემჩნია. ეს ლაბაზას, ფსიტების მტრის, მონადირე ლაბოს მიერ იყო მოწყობილი.

რტოებზე ფოთოლი დამჭკნარიყო. სასწრაფოდ ამოვაძრე დამჭკნარი ტოტები, შევაგროვე, ავიტანე მაღლა და ბუჩქებში დავმალე. მერე მოვნახე ტყეში მდგომი არყის ხე, მონადირის დანით დავჭერი საჭირო ზომის რტოები, წვერები წავუმახვილე და ეხში ჩავიტანე. შემდეგ გულდასმით შემოვღობე სამზირი, შევძვერი საფარში და შესასვლელიც შევნიღბე. ტოტებში ერთ ადგილას ფოთლები მოვაშორე, სამზირი და თოფის ლულის გასაყოფი ხვრელი გავაკეთე და ნაბადზე დავწექი.

ვაზნები ჯიბეებიდან ამოვალაგე, თოფი წინ დავიდე, თავქვეშ ზურგჩანთა დავიდე და დაღლილი ფეხები გავშალე. სიამოვნებით მოვათვალიერე ჩემი „ოთახი“ და ფრიად კმაყოფილი დავრჩი, რადგან ღამის სათევი იდეალურად იყო მოწყობილი. გუნებაში მადლობა შევწირე გამჩენს და ლაბოს, რომელმაც ასე მოხერხებულად მოაწყო ეხი.

მზე სპეროზას წვერს იქით იხრებოდა, არჩვები (ფსიტები) არ ჩანდნენ, დაძაბულად ვიყურებოდი, წესით უკვე უნდა სწვეოდნენ სალოკს, მაგრამ ვიცოდი, რომ შეიძლებოდა, მთელი კვირაც არ გამოჩენილიყვნენ. პირადად იშვიათად მომიკრავს მათთვის თვალი სალოკზე მრავალჯერ ღამის თევის მიუხედავად. ამიტომ მოთმინებით ვიცდიდი, ვიგონებდი მეცხვარეებისა და მონადირეების ნაამბობს, თუ როგორ ხოცავდა ლაბო ამ მუჟაზე უამრავ არჩვს და ხორცს არ აკლებდა მწყემსებს. ხშირად ვტუქსავდი ლაბოს, როცა ყვებოდა, როგორ გადავარდნილა მის მიერ დაჭრილი ფსიტი წყალში და აბობოქრებულ მდინარეს წაუღია. ვუხსნიდი, რომ არ უნდა ესროლო ნადირს, თუ არა ხარ დარწმუნებული, რომ მისი გადაჩეხვის შემდეგაც შეძლებ მის ამოტანას, უაზრო ნადირის ხოცვას ღმერთი არ მოგიწონებს-მეთქი, მაგრამ ლაბო აზარტიანი მონადირე იყო, ხალხური ჯარჯის არ იყოს, შეგონებას არ იღებდა, – „სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი“.

მზე სპეროზას იქით ჩაესვენა, თანდათან სიბნელემ დაისადგურა. გაღმა გორები ბუმბერაზებად აიყუდნენ, ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა. მდინარის ხმაურმა იმატა. მართალია, დღისითაც ისმოდა მისი რიტმული რაკრაკი, მაგრამ ახლა ძალოვნად გაისმა მისი ხმა, რომელიც ღრიალში გადავიდა.

წამოვჯექი, რამდენადაც ეხის სიმაღლე საშუალებას მაძლევდა, ზურგჩანთიდან ცხვრის ახალი ყველი და სიმინდის გორდილა ამოვიღე, წყლის მათარაც მოვიმარჯვე და ვახშმობას შევუდექი. ვახშმობის შემდეგ დესერტად ორი დუციც დავაყოლე, წამოვწექი ნაბადზე და ფიქრს მივეცი თავი.

მთაში მარტოობას არ ვგრძნობდი, მხოლოდ ცუდ ამინდში მიჩნდებოდა ადამიანის სიახლოვის მოთხოვნილება. კარგ ამინდში შემეძლო მთელი კვირა მარტო ვყოფილიყავი, შემომევლო მთები და გორები. ოღონდ ღამის სათევი მქონოდა „რიგიანი“ და არაფერზე ვდარდობდი. მართალია, როცა კლდეზე დაკიდულმა რამდენიმე საშინელი საათი გავატარე, მარტოდ ხეტიალზე ხელი ავიღე.

იმ იმედით, რომ დილით ბედი გამიღიმებდა, ნაბადი დავიფარე (ერთ კალთაზე გვერდულად წვები ისე, რომ თავს ერთ საბეჭურში ჰყოფ, მეორე კალთას მეორე საბეჭურიანად იხურავ და დაბლა ფეხით შემოკეცავ) და საძილედ გავემზადე. ძილიც მალე მოვიდა, ვერც კი გავიგე, მდინარის ხმაურში როგორ ჩამეძინა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ძილში დაგორების საშიშროება არ იყო – ციცაბო ნაპირი კარგად მქონდა არყის ტოტებით გამაგრებული. ისე კი, თუ მოწყდებოდა მონადირე ეხს, 40 მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ ხევში, ვეებერთელა ქვებზე მოქუხარე მდინარეში მოადენდა ზღართანს.

დილით ჯერ კიდევ ბინდი იდგა, როცა გამეღვიძა. წამოვჯექი და ხევისკენ გავიხედე. ხევი და გაღმა ფერდობი სიბნელიდან გამოდიოდა, არემარეს ცრიატი დილის შუქი ეფინებოდა. ჯერ კიდევ ბევრი ეკლდა მზის ამოსვლას, სწორედ ამ დროს იწყებდა ნადირი სალოკზე ჩამოსვლას.

კარგად იყო განათებული, როცა მაღლა, 300-400 მ. დაშორებით, მარტოხელა არჩვი კლდეზე გადმოდგა და დაკვირვებით შეათვალიერა გარემო. გულისფანცქალით ველოდი, რომ დაიძვრებოდა და დაბლა ნახტომებით დაეშვებოდა, როგორც ეს სჩვევიათ ვაცებს. მაგრამ ეს ვაცი რაღაც საეჭვოდ აგვიანებდა, ვიფიქრე, ალბათ, ჯოგი მოჰყვება და ამიტომ ზვერავს-მეთქი ასე დაჟინებით მიდამოს. დანახვით ვერ დამინახავდა, ამაში სრულიად ვიყავი დარწმუნებული, ისე კარგად ვიყავი შენიღბული.

„მაშ, რაშია საქმე, რას დაყუდებულა ეს ოხერი, რატომ არ ეშვება?“ – ტვინს მიბურღავდა მოლოდინი.

თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრს, არჩვი სკუპ-სკუპით დაეშვა დაბლა, ასიოდე მეტრზე დაიწია, კლდის ბექზე შემოდგა და კვლავ დაიწყო მიდამოს თვალიერება – წარმოიდგინეთ, პირდაპირ მე მიყურებდა.

სუნთქვა შემეკრა, დაძაბული ვუყურებდი. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო იმის დაშვებაც კი, თითქოს რაღაც სახიფათო შენიშნა და ამიტომ აყოვნებდა დაშვებას. ისიც გამოვრიცხე, რომ თანამოძმეებს ელოდა, დავრწმუნდი, რომ მარტოხელა ვა-

ცი იყო. ის ახლა ჩემგან სამასიოდე მეტრით იყო დაშორებული. სროლა შეიძლებოდა – მე ხომ რუსული გრძელი შაშხანით ვიყავი შეიარაღებული, მაგრამ თოფის იმედი არ მქონდა. დამავიწყდა მეთქვა მკითხველისთვის, რომ მეცხვარეთა ბინიდან წამოსვლის წინ იუნუზმა მითხრა:

– ძმისწულო, ეს თოფი რაღაც მეცნობა, ვისია?

– ჯორჯიკასია, ომალოელი მონადირისა.

– ჰო, გასაგებია, გასინჯული თუ გაქვს, როგორ მიდის ნიშანში?

– არა, ათიოდე ვაზნაღა მაქვს, ამიტომ დავზოგე ვაზნები.

– უცნობი თოფით არასოდეს წახვიდე სანადიროდ, გასინჯე თოფი, ვაზნებს მე მოგცემ, თუ დაგჭირდა.

ბინიდან გაღმა ფერდობზე, დაახლოებით 100-150 მ. ნაშალზე ქვა შევნიშნე, წამოვწექი, დავუმიზნე და ვესროლე. ქვის მარჯვნივ, ზემოთ მტვერი ავარდა. მეორედ ვესროლე. ამჯერად მარცხნივ და ისევ ზემოთ ავარდა მტვერი.

იუნუზმა მითხრა:

– არ არის სანდო თოფი, ეტყობა, ლულა ბევრი სროლისგან დამუშავებულია, კუთხვილი ხაზია გაცვეთილი. ერთ მხარეს თუ მიაქვს ტყვია, გეცოდინება, ნადირს სად დაუმიზნო, რომ საჭირო ადგილას მოახვედრო. თუ სხვადასხვა მხარეს მიაქვს ტყვია, ათში ერთს თუ მოარტყამ ალალბედზე.

სიმართლეს ამბობდა, მახსოვდა ეს სიტყვები და ველოდი, რომ ვაცი ჩამოსულიყო სალოკზე. აქედან 70 მეტრში მომიხდებოდა სროლა და თუ ვერ მოვახვედრებდი, ფერდობს სანამ აირბენდა, ერთ-ორჯერ მაინც მოვასწრებდი სროლას.

მაგრამ არჩვი, თითქოს რაღაცამ დააფრთხოო, უცბად შეტრიალდა და რამდენიმე ნახტომით გადაეფარა ცერს. გაოგნებული შევყურებდი კლდეს, რომლის თავზეც ასე თავმომწონედ იდგა ყელმოღერებული. თავს ვლანძღავდი, რატომ არ ვესროლე, იქნებ მომეხვედრებინა? მერე თავი დავიმშვიდე, პირველი მერცხალია, მალე სხვები გამოჩნდებიან-მეთქი.

მაგრამ ტყუილად ველოდე. მზე ამოვიდა, საუზმის („მართ“) დრომ მოაწია, შუადღეც დადგა და მეც განბილებული გამოვძვერი საფარიდან, ფეხებში გავიშალე, ეხის უკან გავედი, ცოტაც ვიხტუნავე. შემდეგ ზურგჩანთა ავიკიდე და აღმართს შევუდექი.

ჯამიეს წყაროსთან ხელ-პირი დავიბანე, იქვე მოლზე ჩამოვ-ჯექი და გემრიელად ვისაუზმე, მერე ქედის სერზე გადმოვედი, საიდანაც ხელისგულივით გაშლილი ჩანდა პანკისი, ჩამოვჯექი და მიდამო შევათვალიერე. თან ვფიქრობდი იმაზე, საღამოს კვლავ ჩავსულიყავი ეხში თუ ბინაზე ავსულიყავი ხორხში. გა-დავწყვიტე, რადგან საგზალი მქონდა, ეს ღამეც ეხში გამეტა-რებინა და ხვალ ავიდოდი მეცხვარეებთან. იმასაც ვვარაუდობ-დი, რომ ბარიდან ბრიგადირი რამაზი ამოსული იქნებოდა, ჩემს ბარგს იუნუზი გახსნიდა და, როგორც მას დავუბარე, მწყემ-სებს ბოსტნეულსა და არაყს შესთავაზებდა.

აქედან დიდი მუჟა კარგად მოჩანდა. ის სამხრეთით, მდი-ნარის გამოღმა ნაპირზე მდებარეობდა. ვიცოდი, რომ იქ ეხი არ იყო. მონადირეები აქედან ზვერავდნენ, იყო თუ არა ნადირი სალოკზე. თუკი შენიშნავდნენ, სწრაფად გადაირბენდნენ ფერ-დობზე, გადავიდოდნენ მეორე ქედზე, რომლის ბოლოში ცხვრის ალხაჯი იყო. ჩაივლიდნენ ამ ალხაჯს, გადავიდოდნენ მომდევნო სერის ღარში, ამ ღარით დაეშვებოდნენ დაბლა, გაუ-წონასწორდებოდნენ დიდ მუჟას და იწყებდნენ მიპარვას. მიაღ-წევდნენ ცერს და იქიდან ესროდნენ სალოკზე ჩასულ არჩვებს.

ეხიდან წამოსვლისას გზაში ამოვგლიჯე რამდენიმე ცალი დუცი (ქისტურად „ჰურციშ“), ვიჯექი პანკისიდან მონაბერ ნელ ნიავს სახემიშვერილი, მივირთმევდი მთის ხილს და ვნე-ბივრობდი. შემდეგ ზევით ავიწიე, დეკიან ზოლთან ჟოლო იყო, მცენარეები შავი, წვრილი, ტკბილი მარცვლებით იყო და-ხუნძლული. ტკბილი საჭმელია, ამიტომაც არის, რომ დათუნია ძალიან ეტანება.

ყოველთვის მიკვირდა, როგორ ახერხებს დათვი მაყვლისა და ჟოლოს მარცვლების მოკრეფას და პირში ჩაყრას. ასეთი

დიდი ტანის, მოუხერხებელი ხელ-ფეხის მქონე მხეცს უნდა გაჭირვებოდა, მაგრამ მონადირეებს მოუყოლიათ, თუ როგორ შეექცეოდა ტყის ჟოლოს, რომელიც ბუჩქებზე ისხამს. უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი მოღუნავდა ბუჩქის ტოტს ცალი თათით, მეორე თათით კრეფდა და პირში იყრიდა.

მზე დასავლეთისკენ კარგად იყო დაწეული, როცა სახუნდარისკენ დავეშვი. ამ ღამემაც თითქმის წინა ღამის მსგავსად ჩაიარა. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად ნადირისთვის თვალი არ მომიკრავს. ლოდინისგან გაღიზიანებულმა მზის ამოსვლისთანავე დავტოვე ეხი და ავედი ჯამიეს სადგომში. საგზალი გამომელია და მეცხვარეთა ბინისკენ ავიღე გეზი.

ბინაში მისულს ლაბო დამხვდა, რომელიც სანოვაგისთვის გადმოსულიყო დიდი დიდგვერდიდან, გაეგო ჩემი აქ ყოფნა და განიცდიდა, რომ ჩემ უნახავად უწევდა უკან გაბრუნება. ცხადია, მეც გამიხარდა მისი ნახვა, ჩამოვსხედით და ერთმანეთს ამბები გამოვკითხეთ. ჩემი ნაამბობი გაუკვირდა, ჩემს უიღბლობას დასცინოდა და ყვებოდა, თუ როგორ ჩამოყარა კლდიდან გაზაფხულზე ფსიტები.

– ოთხი ცალი გავაგორე, მხოლოდ ერთი წაიღო წყალმა. ხორცი იმდენი იყო, ორჯერ მომიწია დაბლა ჩასვლა. შენ რა მონადირე ხარ, ორი ღამე ბუსავით ზიხარ ეხში და ერთი ფსიტიც კი არ მოგიკლავს. – მაღიზიანებს ლაბო.

– შენ მონადირე ხომ არ გგონია, ვინც ბევრი ხორცისთვის ირჯება. ხორცი არ არის მთავარი, მთავარი ნადირობის პროცესი გახლავს. თავი ნუ მოგაქვს ბევრი ნადირის ხოცვით, მე ვიცი ირლანდიელი მონადირე ვინმე ჰანტერი, რომელსაც ათასობით სპილო მოუკლავს, – ვცდილობ, გავამართლო ჩემი ხელმოცარულობა.

– ამერიკელმა ლესლი სიმპსონმა ერთ წელიწადში 365 ლომი მოჰკლა, ე.ი. ყოველ დღეზე თითო ლომი მოდის. დანიელმა მონადირემ ლარსენმა 500 სპილო მოკლა. დიახ, ისიც კი წამიკითხავს, ერთმა აფრიკელმა მონადირემ 2000 სპილო მოკლა. როგორია?

ლაბო საღამომდე დარჩა, მზე ჩადიოდა, როცა ბარგი აიკიდა და გზას გაუდგა. ორი კაცის ტვირთი მიჰქონდა, მაგარი

გამძლეობის ახალგაზრდა იყო და სწრაფი მოსიარულე. ბევრ მონადირესთან მივლია მთაში, მაგრამ ლაბოსთან სიარულში ვერავინ მოვიდოდა. ის დიდი დიდგვერდის მაღალ ქედზე უნდა გადასულიყო. ვუყურებდი, როგორ მსუბუქად მიაბიჯებდა ტვირთქვეშ მოხრილი მეგობარი და მეამაყებოდა მისი გამძლეობა და სიმკვირცხლე. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას მისი მხიარული, ადამიანების სიყვარულით სავსე სახე. ის მუდამ მზად იყო, ეკეთებინა სამადლო საქმე, მიხმარებოდა ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, დღეს კი აღარ არის, ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა, ბაწარის კარში მაღალი ბექიდან სატვირთო მანქანა გადავარდა, ძარაზე მდგომი ლაბაზა ქვეშ მოჰყვა და დაიღუპა. იმ დღეს, მამის მეორე ცოლის საფლავის ქვის მოსატანად გაჰყვა ნახევარძმას და დაიღუპა სიცოცხლით სავსე კაცი.

ბარიდან ბრიგადირი ჯერაც არ ამოსულიყო. გადავწყვიტე, დილით გზას გავდგომოდი ბარისკენ. როცა იუნუზმა გაიგო ჩემი განზრახვა, მითხრა:

– ძმისწულო, მონადირე გულს არ უნდა იტეხდეს, წარმატება და წარუმატებლობა ძმები არიან, ხან ასეა, ხან ისე, ორივე ისე უნდა მიიღო, როგორც იღბალი და უიღბლობა.

– საქმე წარუმატებლობაში არაა, ვოშეი, ხელმოცარვა ჩემთვის უცხო კი არ არის, უმეტესწილად ხელმოცარული ვარ, ამას არც ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას, უბრალოდ, არ მინდა, ზედმეტად შეგაწუხოთ.

– მოდი, ასე ვქნათ: ხვალ დილით მე გამოგყვები, მოვიაროთ ჯამიეს ნადგომის არემარე, ღამე ეხში გავათენოთ, დილით კვლავ გადავიდეთ სანადიროდ ხვთისოს ნაბინავრისკენ, ვფიქრობ, რამეს მოვინადირებთ ალაჰის შეწევნით.

საოცრად გამიხარდა ასეთი ყურადღება – მივხვდი, ჩემი ხელცარიელი გაშვება არ უნდოდა. თან მიხაროდა, რომ ასეთ გამოცდილ მონადირესთან ერთად მომიწევდა მთელი ორი დღის გატარება.

დილაადრიანად გავედით, ხევში ჩავედით, წყალგაღმა გავედით და ფერდობებზე მიმავალ ბილიკს დავადექით სამხრეთის-

კენ. ბაბარგ იუნუზი კარგი მოსაუბრე იყო, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში „პარტიზანთა“ რიგებში იყო, ბევრი რამ იცოდა აბრაგების ცხოვრებაზე და საინტერესო თხრობაც ეხერხებოდა.

– ვოშეი, ყოველთვის მიკვირდა, რატომ შედიოდნენ „პარტიზანთა“ რაზმში ქისტები, რატომ დასდევდნენ მოძმე აბრაგებს, რა ჰქონდათ მათთან გასაყოფი? – ვეკითხები უფროსს.

– თითო-ოროლა კაცი თუ მოინახებოდა, რომლებიც იდეის გულისათვის დასდევდნენ აბრაგებს, ზოგიერთმა მიიღო კიდეც საკადრისი საზღაური. უმეტესობას კი აიძულებდა მთავრობა, თანაც მძიმე დრო იყო, ომისა და ომის შემდგომი წლები. შენ არ გახსოვს, სიღატაკე სუფევდა, ხალხს არ შეეძლო თავის გამოკვება, ჭირნახული თითქმის მთლიანად ხელისუფლებას მიჰქონდა. „პარტიზანებს“ ხელფასიც ჰქონდათ, ჯარისკაცის დღის ულუფაც ეძლეოდა, მაგრამ მათი დიდზე დიდი უმეტესობა ყასიდად დადიოდა. პირადად მე მთელი იმ ხნის განმავლობაში აბრაგებისთვის თოფი ყასიდადაც კი არ მისროლია.

ამ საუბარში მივაღწიეთ „შეერ ბოსიედან“ ერთ-ერთ სერზე დაშვებულ პატარა ბორცვს, რომლის თხემზე პატარა მოედანივით სწორი ადგილი იყო. იუნუზი შედგა და მითხრა – აქ მოხდა ერთ-ერთი შეხვედრა პირიქითელ ქისტ აბრაგებთან მათი შემორიგების მიზნით. სურათის გადაღებაზე აჰმად ხუჩბაროვმა უარი თქვა, ის და ჩოქა ამხანაგების უსაფრთხოებას იცავდნენ, ხოლო მე და ორნი კიდევ ორი ომალოელი პარტიზანის სიცოცხლეს ვიცავდით (მართლაც, ოთხი ათეული წლის შემდეგ, როცა ვმუშაობდი წიგნზე „აბრაგები“, წავაწყდი მთაში გადაღებულ სურათს, სადაც აღბეჭდილი იყვნენ აბრაგები და ორი ომალოელი „პარტიზანი“, ამ სურათზე არ არიან აჰმად ხუჩბაროვი, ჩოქა ხოჟაევი და იუნუზ ქუშანაშვილი).

საუზმის დრო იქნებოდა, როცა ჯამიეს ნადგომთან, ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ სერზე ვისხედით და ვისვენებდით. დრო გვქონდა, მხოლოდ დღის ბოლოს ვაპირებდით ეხში ჩასვლას. აუჩქარებლად ვისაუზმეთ, თან ვსაუბრობდით. სწორედ მაშინ მომიყვა იუნუზმა, თუ როგორ გაიგეს, რომ ომალოს თავში,

მუწუს ხევის სათავეში, აბრაგები იდგნენ ბინად, ალხასტ იბის ჯგუფი. როგორ შემოერტყნენ „პარტიზანები“ ქოხს, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ – აბრაგებს გაესწროთ. მერე გაეკიდნენ, ქოჩადლის ხევის თავში შენიშნეს ღრმა თოვლში ლამაზურის უღელტეხილზე მიმავალი აბრაგები (მისი ნაამბობი შემდეგ გამოვიყენე კიდეც ნაშრომში).

რადგან საღამომდე დრო გვქონდა, იუნუზმა მითხრა, რომ ყოველ შემთხვევისათვის დაგვეთვალიერებინა დიდი მუჟის თავზე მდებარე სერები.

– მართალია, ამ დროს ფსიტები ჩრდილში ისვენებენ და ძნელია მათი აღმოჩენა, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ. ნათქვამია, მწოლიარე მგელს მოხეტიალე ტურამ აჯობაო, ვიაროთ ჩვენც, იქნებ რამეს წავაწყდეთ.

წამოვდექით, ზურგჩანთები ავიკიდეთ და სამხრეთის ფერდობზე მიმავალ ბილიკს გავყევით, რომელიც თანდათან დაბლა ეშვებოდა და ტყის პირზე მდებარე ტაფობზე გავედით, სადაც გაზაფხულზე მეცხვარეები ცხვარს აყენებდნენ. შემდეგ ალხაჯის პირდაპირ გავედით, ფრთხილად მივიწევდით წინ, ცერზე ფრთხილად გავდიოდით, ჯერ ვამოწმებდით მოპირდაპირე სერის ფერდობს, მერე ავიწევდით და ფართო ღარს დავზვერავდით და ისე მივიწევდით წინ.

წინ უკვე კლდიანი ხევები შეგვხვდა, აქა-იქ არყისა და სხვა ჯიშის ხეების კორომები გვხვდებოდა. ერთ-ერთი ხის ქვეშ ჩამოვსხედით და გაღმა ფერდობი შევათვალიერეთ, რომელიც პიტალო კლდეების, ტყის ბუჩქნარითა და მწვანე ბალახის ახოების ნაზავს წარმოადგენდა.

ორივენი ყურადღებით ვათვალიერებდით მიდამოს. უცბად იუნუზი მხარზე ხელით შემეხო, შემომხედა და საჩვენებელი თითი გაიშვირა წინ და მითხრა:

– აბა, დააკვირდი, ძმისწულო, აი, ხედავ იმ პიტალო კლდეს, რომლის თავზეც წიფლის ხეები აშოლტილან, კლდის ძირს დავაკვირდი, ჩრდილის მხარეს.

მხედველობა დავძაბე, მთელი ის მონაკვეთი დეტალურად, ნაწილ-ნაწილ დავათვალიერე, მაგრამ სულიერი ვერ შევნიშნე და უფროს ამხანაგს კითხვის თვალით შევხედე.

იუნუზმა გაიღიმა, მხიარულად შემომხედა და წყნარად გამიმეორა:

– ყურადღებით დააკვირდი, უძრავ საგნებს კი ნუ აქცევ დიდ ყურადღებას, შენ ეცადე, შენიშნო, რამე მოძრაობს თუ არა იმ უძრავ სურათზე.

კვლავ ყურადღებით დავაცქერდი (მინიშნებული ადგილი პირდაპირ და 50-იოდე მეტრის დაბლა მდებარეობდა) მონაკვეთს და უცბად მოძრაობა შევნიშნე. დავძაბე მხედველობა და დავინახე, რომ არჩვის ყური მოძრაობდა. ნადირი იწვა, მშვიდად ისვენებდა და დროდადრო ყურის პარტყუნით აბეზარ ბუზებს იგერიებდა.

– დავინახე, ჩრდილში წევს, ნებივრობს, – სიხარული არ დამიფარავს და თოფი მოვიმარჯვე.

– მოიცა, დავიცადოთ, სანამ ადგება. ძალზე ძნელია, მწოლარე ნადირს მოარტყა.

თითქმის ოცი წუთი ველოდეთ, მაგრამ არჩვი არ აპირებდა ადგომას, ეტყობა, ჩვენს მოთმინებას ცდიდა, მე წამდაუწუმ შევხედავდი ამხანაგს, ვნერვიულობდი, არ გაგვექცეს, არ გადაიკარგოს-მეთქი.

იუნუზი ხედავდა ჩემს მოუთმენლობას, მაგრამ მშვიდად იცდიდა, ბოლოს გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ჩემი ნერვიულობისათვის.

– მე ვესვრი. ჯერ ერთი, შენი თოფი სანდო არ არის, მეორეც, ჩემ თოფსაც არ იცნობ, შენ მზად იყავი, თუ ავაცდინე, მაშინვე ესროლე, მეორედ გადატენვას მეც მოვასწრებ და არსად წაგვივა, ნუ გეშინია.

მას კარგი თოფი ჰქონდა, ტყვიამფრქვევის ლულაზე აწყობილი, წელან დასვენების დროს დავათვალიერე და ძალზე მომეწონა, უხმოდ დავეთანხმე და მოვემზადე სროლისათვის.

არჩვი დაახლოებით 300-400 მეტრის დაშორებით იწვა.

გავარდა ბაბარგ იუნუზის თოფი, არჩვი ადგილზევე ახტა თითქმის ერთი მეტრის სიმაღლეზე და კვლავ იმავე ადგილზე მოწყვეტით დაეცა.

– მოხვდა! – დავიყვირე აღტაცებულმა და ფეხზე წამოვხტი.

არჩვი უმალ წამოხტა, მაგრამ მუხლებზე დაეცა, კვლავ წამოხტა და ქვემოთ, ნაშალიან ხევში დიდი ნახტომით გადაეშვა.

– ჩაჰყევი, ესროლე და გაათავე, – მითხრა იუნუზმა.

მე ციცაბო დაღმართზე დავეშვი, ნაშალიან ღარში გადავხტი და თავქვე წავედი. სწრაფად „მივცურავდი“ ნაშალზე, გადავხტებოდი და ნაშალიც თან მომყვებოდა. არჩვი იდგა და ისვენებდა, ვხედავდი, ფერდები როგორ ებერებოდა მძიმე სუნთქვისგან. როგორც კი მივუახლოვდი, ისკუპა და ქვიშასთან ერთად ჩხრიალით დაეშვა ქვევით. მეც უკან მივყევი.

– ესროლე, ნუ მისდევ. – მეძახის იუნუზი. მე კი მენანებოდა სროლისთვის, თან ზედმეტი ტყვიით ხორცის გაფუჭებაც არ მინდოდა და გამალებული მივდევდი უკან.

როგორც იქნა, დავეწიე, დავიჭირე, წამოვაქციე, სამხრეთისკენ, ყიბლისკენ მივაბრუნე და „ბისმილააჰის“ შემდეგ ყელი გამოვჭერი. როცა მაღლა ავიხედე, დავინახე, რომ სროლის ადგილიდან თითქმის 200 მეტრით დაბლა ვიყავით.

იუნუზი ჩამოვიდა, ზურგჩანთები დაბლა დააწყო, თოფები ზედ მიაყუდა და მეუბნება:

– ნადირის დასერვა და გატყავება თუ იცი?

– როგორ არა, გატყავება როგორ არ მეცოდინება, მაგრამ ნადირს თუ განსაკუთრებული წესით ხდიან ტყავს, ეს კი არ ვიცი.

– ხორცი იმავე ტყავით უნდა წავიღოთ, რომელსაც მასარი (ფსიტი) სიცოცხლეში ატარებდა, ისე, ნადირი ჩლიქებიანად უნდა გავატყავოთ, ზურგჩანთის თამასების მაგივრობას სწორედ წინა და უკანა ფეხების ტყავი გაგვიწევს. მომეცი დანა, მე დავსერავ, შენ კი ტყავს გახდი.

მან უკანა ფეხები დასერა, იქვე ახლოს მდგომი არყის ნორჩი ხე გადმოხარა, ერთი ტოტი მოაჭრა და კაუჭი დატოვა, რო-

მელზეც ნადირი უკან ჩატყავებული ფეხით ჩამოვკიდეთ, შემდეგ კი საქმეს შევუდექი.

შინაურ პირუტყვთან შედარებით (ცხვარი, თხა) ნადირის ტყავის გახდა ძნელი საქმეა, რადგან გარეული ცხოველი მარილს არ ჭამს. ადგილიც ძალზე მიუდგომელი იყო და მაგრად გავწვალდი. ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, თვალებში მეღვრებოდა და მიწვავდა, სახელოთი წამდაუწუმ ოფლს ვიწმენდდი და შეუსვენებლივ ვმუშაობდი, მინდოდა, უფროსისთვის მეჩვენებინა, რომ მონადირეობაში ვერკვეოდი. ამხანაგი არ მეხმარებოდა, ხანდახან შენიშვნას მაძლევდა, იჯდა და მშვიდად უცქერდა ჩემს ჯახირს.

ტყავი გავხადე, გამოვფეშხე, შიგნეული გარეთ გამოვყარე, სვავების წილი იყო, ჯიგარს გულის პარკუჭები ავაჭერი, გული დავსერე, სისხლისგან დავცალე, ნაღველა ამოვაჭერი, სამჯერ დავაფურთხე (ასეა წესი) და გადავაგდე. იუნუზმა ჯიგარი გამომართვა, ცელოფანში გაახვია, ზურგჩანთაში ჩადო და თასმებით შეკრა. არჩვის თავიც ზემოდან თასმებით მიამაგრა.

იუნუზის მითითებით, ფეხები სახსრებში გადავხსენით, შევკვეცეთ და კვლავ ტყავში დავაბრუნეთ, წინა და უკანა ფეხების ტყავები ცალ-ცალკე გადავაბით ერთმანეთზე და ზურგჩანთის ფორმა მივეცით. ამხანაგი ტვირთის წამოკიდებაში მომეხმარა.

– შენს ზურგჩანთასაც მე წავიღებ და წინ წავალ. შენ ნელა წამოდი, არ იჩქარო, ხშირად შეისვენე. მოდი, შენს თოფსაც წავიღებ, მომაწოდე, – მითხრა ამხანაგმა.

– არა, რას ამბობ, თოფს თავად წამოვიღებ, შენ იარე, ფიქრი ნუ გაქვს, მე უკან მოგყვები.

ხალისიანად ავყევი ციცაბო აღმართს. ტვირთი მძიმე იყო, 30 კგ-ზე ნაკლები არ იქნებოდა, ერთი კაცისთვის ნორმალური ტვირთი იყო, მაგრამ მოუხერხებლობა ამძიმებდა. რაც უფრო მაღლა მივიწევდი, თანდათან მხრებში მიჭერდა ნედლი და ვიწრო თასმები, თან აღმართი ისეთი ციცაბო იყო, ოთხზე მიწევდა ფორთხვა.

როგორც იქნა, სროლის ადგილს მივაღწიე, დასასვენებლად ჩამოვჯექი და დაბლა ჩავიხედე. უცბად მივხვდი, თუ რატომ მიყვიროდა ძველი მონადირე და სროლას მიბრძანებდა – მან იცოდა, როგორ გამიჭირდებოდა ამ სიმაღლეზე ნანადირევის ამოტანა, ყველგან და ყველაფერში გაუხუნავია ძველთა სიბრძნე: დაუჯერე უფროსს და სწორ გზაზე იდგები.

დაიწყო ჩემი გოლგოთის გზა. ტვირთი თანდათან მძიმდებოდა, მხრებში თასმები მიჭერდა, მთელი ტანი მიკანკალებდა დაძაბვისაგან, ოფლი ისე წურწურით ჩამომდიოდა, სქელი ქურთუკიც კი სველი მქონდა. როცა ალხაჯის სერზე გადმოვდექი, დავინახე ჩემი ამხანაგი, რომელიც ჯამიეს ნადგომის ცერს გადაეფარა, წყენა ვიგრძენი, რომ ასე მარტო დამტოვა. ტვირთის ტარებას მასთან საუბარი გამიადვილებდა. ცხადია, მას ტვირთს არც და ვერც ვაზიდვინებდი, ეს ჩემი ვალი იყო. უფროს-უმცროსის ადათი კარგად ვიცოდი და ვიცავდი კიდეც, მერე შემრცხვა ჩემი უმადურობის, მასაც ხომ საკმაო ტვირთი მიჰქონდა: ჩემი და თავისი ზურგჩანთები, არჩვის ჯიგარი, თავი რქებიანად, თანაც ასაკითაც დიდი იყო, მამაჩემის ხნისა იქნებოდა.

ალხაჯზე დავეშვი, ხევში გავედი და აღმართს შევუდექი. მზე ჩადიოდა, როცა ჯამიეს ნადგომში მივედი, წყაროს პირზე ჩამოვჯექი, ტვირთი ბექს მივაყრდენი და ჩამოვხსენი მხრებიდან. კარგად დავისვენე, ჯიბიდან გორდილა და ცხვრის კალტი (ხაჭო) ამოვიღე, რომელიც უნუზმა გამომშვიდობების დროს ჯიბეში ჩამიდო, გემრიელად შევჭამე და ტვირთი კვლავ ავიკიდე. ძლივს ავითრიე წელი.

როცა გზას დავადექი, ხეობაში ბინდი წვებოდა. აქედან გზა არ იყო რთული, უმნიშვნელო აღმართს მივყვებოდი ფერდობებზე, მაგრამ წინ საკმაოდ გრძელი გზა მედო, 5-6 კმ. ნელა მივდიოდი, ნაცნობი ბილიკი იყო, მრავალჯერ მქონდა დასერილი და თვალდახუჭულიც ვივლიდი. თანაც ნათელი, უმთვარო, მაგრამ კაშკაშა ვარსკვლავებიანი ცის ფონზე ღამე არ იყო ბნელი, მწვანე მდელოზე მუქი ბილიკი იკვეთებოდა.

მაგრამ ტვირთი მძიმდებოდა. რუსული გრძელი შაშხანა მძიმეა, ჭირად გამიხდა, ვნანობდი, რატომ არ დავანებე იუნუზს მისი წაღება-მეთქი, მაგრამ ისიც ვიცოდი, მეგობრებს რომ გაეგოთ, მასხრად ამიგდებდნენ. ლაბო და ელიზბარი ისედაც იუმორით ყვებოდნენ, – ხასოას ბარგს და თოფსაც ჩვენ ვათრევთო. ერთი ისიც კი გავიფიქრე, თოფს აქვე დეკაში დავმალავ და ხვალ წავიღებ-მეთქი, მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს ფიქრიც – სირცხვილით რა უნდა მეთქვა ბინაში, როცა მკითხავდნენ, თოფი რა უყავიო.

ვახშმობა გადაცილებული იყო, როცა ხევიდან ბინამდე ბოლო, მოკლე, მაგრამ ყველაზე ძნელი აღმართი ავლიე და ბინას მივადექი. იუნუზი ქოხის წინ სამფეხა სკამზე იჯდა და მელოდა. წამოდგა, მომეგება, ტვირთი ჩამომხსნა, ჩამოჯექიო, – მითხრა და ხორცი ტყავიდან ამოიღო, რომელიც იქვე ჩხაზე ჩამოკიდა. მერე ქოხში შემიპატიჟა.

– ყაურმა მოგიმზადე, ძალიან გემრიელია, ახალი გორდილაც არის, მოდი, ჭამე, მშიერი იქნები.

– არაფერი მინდა, ვოშეი, არა მშია, მხოლოდ ძილი მინდა, ძალიან დავიღალე.

– კარგი, ქვეშაგებიც მზად არის, მიდი, დაწექი და დაისვენე.

ეგრევე გავიშოტე და მკვდარივით ჩამეძინა. დილით, ქოხის ბინდბუნდში ვიღაც თავზე მადგას და მაღვიძებს. ნაბდის კალთა გადავწიე და წამოვჯექი, იუნუზი ვიცანი.

– ადექი, სანადიროდ მივდივართ, სანამ გათენდება, უნდა გავუდგეთ გზას.

– ახლავე, ამ წუთში. – ვთქვი და წამოვხტი.

მან მხარზე ხელი დამადო, თვალებში შემომხედა, სითბო იგრძნობოდა მის გამოხედვაში და თბილად მითხრა:

– შენ მონადირე იქნები! („ჰო ჩარაჰხ ხირქ ვა“) დაწექი, დაისვენე. დილით მწყემსი მიდის ბარში, მას გაჰყევი, მასარს ის ჩაგიტანს სახლში.

კარგი კაცი იყო, ღმერთმა აცხონოს მისი სული.

სანადირო სპეროზაზე

ერთ-ერთი პურმარილის დროს საუბარი ნადირობაზე ჩამოვარდა. ჩემი მეზობელი, ნათესავი და მეგობარი უსუფ (იუსიი) დუიშვილი ამბობს, რომ მისი უფროსი ძმა, ოსმანი, კოლმეურნეობის ცხვარშია და ცხვარი სპეროზას მთაზე ეყენათ. იგი ყვებოდა, რომ სიცხის დროს ჯიხვები კლდეებიდან ამოდიან მთის წვერზე, სპეროზას გუმბათზე, თხემის ჩაღრმავებულ ადგილას თოვლისა და ყინულის ზვავზე წვებიან გასაგრილებლადო. თხემზე ზვავი მთელი ზაფხულის განმავლობაში არ დნება.

აღგზნებულმა ამბის დაწვრილებით გამოკითხვა დავუწყე.

– შენ, რა, ხომ არ გინდა იქ წასვლა? – მეკითხება უსუბი.

– რატომაც არა. ახლა არდადეგებია, შუა ზაფხული, კარგი ამინდებია და რა გვიშლის ხელს? – ვაღიზიანებ თანამეინახეს.

– აქედან, სპეროზას შუბლა კლდეებზე ჩვენ კი არა, გამოცდილი, პროფესიონალი მონადირენიც ერიდებიან ასვლას. თანაც ბილიკს უნდა იცნობდე. მართალია, შორიდან, ტბათანის, ლამაზურის, იტორისა და კუპრაბალინჩოს გავლით მოხვდებით სპეროზას ალპურ ზონაში, მოქუფრული კლდეების თავზე, უნაგირივით აზიდული ბორცვების რიგი რომ დგას, მაგრამ ძალიან შორია შემოვლითი გზა.

– მერე ვინ გვიშლის შემოვლითი გზით ასვლას, ყველა ამ მთას, რომელიც დაასახელე, ხუთი თითივით ვიცნობ, – დავიტრაბახე.

– ცხენებია საჭირო, ჩარაჰ (მონადირევ), ამ სიშორე გზაზე, აღმართ-დაღმართებში (ამ მთების ხამი არც მე ვარ) ბარგს ვერ ვათრევთ, ცხენებია საჭირო, – მიხსნის უფროსი მეგობარი.

– ცხენები ჩემზე იყოს, უმარს (ძმა მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო) ვეტყვი და მომიგვარებს ამ საქმეს.

უსუბმა დაკვირვებით შემომხედა და ჩემი ენთუზიაზმი მასაც გადაედო:

– ხვალ მივდივართ, მოემზადე.

ცხენები თავმჯდომარის ჩაურევლად ვიშოვე. მითხრეს, ძროხების ფერმის ბრიგადირი სადულა მარგოშვილი მთიდან ჩამოვიდა და ცხენებით ყველი ჩამოიტანაო. იმ ღამესვე ვნახე, ჩემი გასაჭირი ვუთხარი და უყოყმანოდ დამეთანხმა, კარგი კაცი იყო, ნათესავების მოყვარული. სამი დღე ვიქნები სოფელში, მანამდე ჩამოიყვანე ცხენებიო, – მხოლოდ ეს მითხრა. მთავარი საკითხი მოგვარდა, იარაღიც ვიშოვეთ, ნათესავ-მეგობრებს შაშხანები გამოვართვით, თბილი ტანსაცმელი, არაყი, კიტრი, პომიდორი, ხილი შევფუთეთ, ხურჯინები ცხენებს ავკიდეთ და სადღაც შუადღისას დავიძარით ზევით, მთებისკენ.

უსუბი დიდ, საღარა ცხენზე იჯდა. ამ ცხენს კოლია ერქვა, ხანმოთელილი ბებერი ცხენი იყო, მთებში გაზრდილი. ერთი ზნე, თანაც კარგი ზნე სჭირდა, აუჩქარებლად, დინჯად გადადიოდა კლდეზე გაჭრილ ბილიკზე და რაც უნდა ერტყათ, ნაბიჯს არ აუჩქარებდა. მე მომცრო ტანის თეთრი ცხენი შემხვდა, მარდი, ცქვიტი და ძალიან კმაყოფილი ვიყავი მისი სიჩაუქით.

ცხადია, იმ დღეს ჩვენ ადგილამდე კი არა და, შუა გზამდეც ვერ ავაღწევდით, ტბათანაში ან ქოჩადალაში უნდა გაგვეთენებინა ღამე. მართალია, ქოჩადალაში ხადორზე გავლით ხევდახევ სიარული გვერჩივნა, ცხენიდან ჩამოსვლა არც მოგვიწევდა, გზა ხევის პირს მიჰყვება, მაგრამ მე ტბათანა დავიჟინე. მიყვარდა ეს მთა, სიყმაწვილე იქ მქონდა გატარებული. იქ გავლაც კი დიდ სიხარულს მგვრიდა და მოგონებებს მიღვიძებდა, თანაც იქ ქოხები მრავლად იდგა, ნაცნობებიც შეგვხვდებოდა და ღამისთევის პრობლემა არ გვექნებოდა.

ბაწარის ნაკრძალის დასაწყისში, ბაწარისა და ტოლოშის წყლების შესართავიდან იწყებოდა ტბათანისკენ მიმავალი ერთი ბილიკით, რომელიც ტბათანის ქედის, წინაგორის კუდიდან

დაწყებული ქედის ცერს მიჰყვებოდა ტბათანამდე. მეორე გზა ტოლოშის ხევს აჰყვებოდა, შეუდგებოდა ტოლოშის სოფლისკენ ტოლოშის ქედის მზისპირ ფერდს, სოფელს გაივლიდა, თხემზე მოექცეოდა და ცერდაცერ აჰყვებოდა ტბათანამდე. ამ გზით სიარული სჯობდა, რადგან ერთი აღმართის ავლის შემდეგ ქედის ცერი თითქმის ვაკეა და სწორი, აღმართიც შეუმჩნეველი და ცხენს არ უჭირს სიარული.

ჩვენ ტოლოშის გზა ავირჩიეთ და ავყევით ხევს. ფერდის ძირში, წინაგორის ძირიდან ცივი და ანკარა წყარო მოსჩქეფდა. ცხენები ბარგმოუხდელად იქვე საძოვარზე გავუშვით, საჭმელი და სასმელი გადმოვიღეთ, მგზავრის სუფრა გავშალეთ წყლის პირზე.

ის იყო, მთისა და ბარის სადღეგრძელო წამოიწყო უსუბმა, რომ ცხენოსანი მგზავრიც მოგვადგა. წამოვდექით, მგზავრს მივეშველე ცხენიდან ჩამოსვლაში, რომელიც მარდად გადმოევლო უნაგირს, ეტყობოდა, კარგი ცხენოსანი იყო. უთქმელადაც მივხვდი, რომ თუში იყო, ცოტა ნასვამობაც ეტყობოდა, თამამად შემოგვიერთდა, არყიანი ტიკჭორაც გადმოიღო და გვერდზე დაიდო.

ღვინოს უთქვამს, ვისაც ეჩქარება, მე დამაგემოვნოსო და ჩვენც არაყი დავაგემოვნეთ. კარგად შევყევით სმას. თუში, სახელი არ მახსოვს, კარგი მოსაუბრე და ქეიფის მოყვარული აღმოჩნდა. კარგად რომ შევზარხოშდით, ჩვენს თოფებს ალმაცერად გადახედა (იქვე კლდეს მიყუდებული გვქონდა), წამოხტა, უნაგირზე დამაგრებულ ნაბადს ეცა, მოხსნა, გაშალა და შიგნიდან უკონდახო შაშხანა გადმოიღო, ხურჯინიდან ერთი მუჭა ვაზნებიც ამოიღო, სავაზნე კოლოფში ჩააწყო, საკეტი დააჩხაკუნა და ტოლოშის ხევი აახმიანა თოფის გრიალით. კარგი ხმა აქვს „ვინტოვკას“, სასიამოვნო, გრძელი და მჭახე გრიალი მოჰყვება. კიდევ ერთიც ისროლა თუშმა და სუფრაზე დაჯდა, მოკლე შაშხანა გვერდზე დაიდო.

ნებართვა ვთხოვე, ავიღე, ყურადღებით შევათვალიერე და გაოცებულმა ლულის დასაწყისში, მაღლა შევნიშნე შედუღებული ნაწიბურები. მაშინვე მივხვდი, რომ სასკოლო, სასწავლო შაშხანა იყო, სწორედ ისეთი, რომლის მოპარვასაც მე და დაუდა ვაპირებდით მოსწავლეობის დროს. ჩვენ გეგმაში გვქონდა,

ნაჩვრეტი ბაბეტის ტყვიით ამოგვევსო და ზედ სალტე გადა-გვეჭდო, მაშინ რკინის შემდუღებელ აპარატზე მოსმენილიც არ გვქონდა პანკისში. ჩვენს თანამეინახეს კი ნაჩვრეტი ელექტრო-შემდუღებლით („სვარკით“) ამოევსო.

თოფი ზევით ავიშვირე, მარცხენა ხელით ლულა დავიჭირე, მარჯვენით სასხლეტს გამოვკარი და თოფმაც იგრიალა, ექო აჰყვა ტოლოშის ხეობას და მინავლდა. ნეკა თითზე წვა ვიგრძენი, დავ-ხედე და ლურჯი წერტილები შევნიშნე. ხელი გადავუსვი, მაგრამ როდი წაიშალა და მივხვდი, რომ თოფის წამალი იყო, კანში ღრმად შესული, რომელიც წლების განმავლობაში მეტყობოდა.

თოფი პატრონს გადავაწოდე და ვუთხარი, რომ შემდუღებელი კარგი ოსტატი არ ყოფილა, ნაბურღი კარგად არ შეუსვია-მეთქი.

მან დაკვირვებით შემომხედა, შეეტყო, რომ მიხვდა, რომ ვიცოდი ვინტოვკის წარმომავლობა და წოვურად მითხრა (მას დასაწყისიდანვე წოვურად ველაპარაკებოდი):

– მეორედ შევადუღებინე. ალაზნის თავშიღა შევნიშნე, რომ დამწვარ წამალს მაღლა ისროდა, ამის გულისთვის ჩამოვედი მთიდან, მეორედ შევადუღებინე, ხედავ, მაგ „ფჰხერინ კაწს“ (ძაღლის ლეკვს – წოვურად) კვლავ ცუდად გაუკეთებია, – ბრა-ზით წამოიძახა მან.

კარგად შევყევით სმას, მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრი-ლიყო: ავბარგდით, შევსხედით ცხენებზე და ხევის მეორე მხარეს გავედით. მე და უსუფი როგორც კი დაკიდულ აღმართს შევეკი-დეთ, ცხენებიდან ჩამოვედით, თუში კი კივილით მიერეკებოდა თა-ვის წაბლას. თუში ცხენიდან არ ჩამოვა არც აღმართში, არც დაღ-მართში, არც წვეტიან, დაკბილულ კლდეებზე გამავალ სახიფათო ბილიკზე სიარულის დროს. მან არ იცის ცხენის დანდობა.

გზაზე დაგვიღამდა. ძლივს მივაღწიეთ ტბათანის მისადგომებ-თან, ტყის პირზე, ტაფთან (ტყეში არსებული ახო) მდგომ ჯო-ყოლოელ მეძროხეებთან. მათ გულთბილად მიგვიღეს, ერბო-ხაჭო („კალდეეთ“) გაგვიკეთეს, ახალი ყველიც მოგვაშველეს და გემრი-ელად ვივახშმეთ. ვახშამს არაყიც დავაყოლეთ და დავიძინეთ. ძი-ლის წინ შევთანხმდით, კუპრაბალინჩომდე ერთად ვივლიდით,

იქიდან თუში გზას გააგრძელებდა ალაზნის თავისკენ, სადაც ცხვარი ეყენათ, ხოლო ჩვენ აღმოსავლეთისკენ გავუხვევდით და სპეროზაზე გავიდოდით, სპეროზას გზას ის მიგვასწავლიდა.

დილით აღმოჩნდა, რომ თუში გათენებისთანავე გამგზავრებულიყო. უსუბი გაბრაზდა, გამოუმშვიდობებლად რატომ წავიდაო. მერე მე მომიბრუნდა და მეუბნება:

– ხასოა, ფიცხი ხასიათი გაქვს, ხომ არაფერი აწყენინე?

– არა, რა უნდა მეწყენინებინა, ჩვენ ისე დავმეგობრდით, ძმებად გაფიცვას მთავაზობდა.

– მაშ, ასე რატომ მოგვექცა? – არ ცხრებოდა უსუბი.

– სწორად მოიქცა, – სიცილით ვეუბნები, – ჩვენთან რომ გაეგრძელებინა მგზავრობა, მაგ ტიკს დავუცარიელებდით. მას ხომ ამხანაგები ელოდებიან და გადაწყვიტა, ნახევარი ტიკი არაყი მაინც მიეტანა მათთვის. ჩვენც ხომ ჩვენი არაყი დავ-ზოგეთ, ჩვენც ხომ გვინდა, მასპინძელ მწყემსებს დავალევინოთ.

ჩემი ამხანაგი დაშოშმინდა, ცხელი რძე დავლიეთ, ცხენები შევკაზმეთ და „ილარკუჭის“ გორის ფერდობს ავუყევით ტბა-თანისკენ. სოფელი გავიარეთ, ქოხების წინ მსხდომ ქალებს მივესალმეთ, ცხენი გავაჩერე, ჩამოვხტი, ხურჯინი გავხსენი, მსხალი და ვაშლი ამოვიღე, ბავშვებს დავუძახე და დავურიგე. კიტრი და პომიდორიც მივეცი, ქალებსაც გაუნაწილეთ-მეთქი. კარგად მახსოვდა, როგორ ველოდით ტბათანაში ცხოვრების დროს მგზავრებს, დადარაჯებულნი ვიყურებოდით „ჯაჯალ ტაფისკენ“, წინაგორის ყველაზე მაღალი ბორცვისკენ, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ტბათანა, ზუროს გორი, მთათა მწვერვალი საქისტო, ლამაზური და სუბუქი.

– ჰანეე, მგზავრ იაღ (წოვურად, აი, მგზავრი მოდის) დაიყვირებდა ის, ვინც პირველად დაინახავდა მგზავრს და მოუთმენლად ველოდით, როდის მოაღწევდა მგზავრები სოფლამდე.

ვიცოდით, რომ მგზავრი, გამვლელი თუ ტბათანაში მომსვლელი, ბარიდან გამოიყოლებდა ხილს და ხელცარიელს არ დაგვტოვებდა. დაუწერელი კანონია მთისა; მგზავრის დაპურება, პურ-მარილის გაყოფა, ურთიერთდახმარება და სხვ.

დიდი დღესასწაული იყო ტბათანას მოაგარაკეებისათვის ალაზნის თავიდან მწყემსების მგზავრობა ბარისკენ. მათ კოლმეურნეობის ყველი ჩამოჰქონდათ მთიდან, საღამოს აღწევდნენ ტბათანამდე, ღამეს იქ ათენებდნენ, დილით ყველი ჩაჰქონდათ ბირკიანში, იქ კარგად დათვრებოდნენ და საღამოს ტბათანას მოაღწევდნენ. ღამეს ქეიფში ატარებდნენ, დილით კი ალაზნის სათავისკენ გაუყვებოდნენ. ჩვენთვის, ბავშვებისთვის, ყმაწვილებისთვის სანუკვარი დრო იყო მათი ბარიდან ამოსვლა. ზემო ალვანიდან ამ დღეს მოაგარაკეებისათვის მანქანით ამოჰქონდათ პროდუქტი, ხილი და სხვ. ბირკიანში აბარებდნენ მწყემსებს და მათ კი ტბათანაში ამოჰქონდათ.

გავიარეთ ტბათანა ამ ტკბილ მოგონებებში და დავეშვით ქოჩადლისკენ, სადაც დუისელებს და ჯოყოლოელებს ქოხები ჰქონდათ და ძროხებს წველიდნენ. აქ დიდხანს არ შევჩერებულვართ – წინ დიდი გზა გვედო და შევუდექით ლამაზურის მთის აღმართს, უღელტეხილზე გადავედით, დავეშვით იტორზე და ჩავედით წიფლოვანის ხევში, ალაზანში გავედით და ავყევით კუპრაბალინჩოს მთის კალთებს. როგორც კი ტყეს ავცდით და ალპურ ზონაში ავედით, შემოგვხვდა მგზავრი, რომელიც უსუბის ძმა ოსმანი აღმოჩნდა.

სიხარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ ერთურთი, აქეთურ-იქითური ამბები, ცხენებს ბარგი ჩამოვხსენით და იქვე სახელდახელოდ სუფრა გავშალეთ. თურმე ოსმანი საკვებისთვის მიდიოდა საქისტოში, სადაც ბრიგადირი ყადირა ხანგოშვილი იდგა და ემზადებოდა ბატკნის საპარსად.

დიდხანს არ შევყოვნებულვართ, რამდენიმე ჭიქა არაყი გადავკარით. ოსმანს დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი, ჩვენ კი თითქმის ადგილზე ვიყავით, მაგრამ საკმაოდ ხიფათიანი მონაკვეთი გვედო წინ, თუ მოკლეზე დავაპირებდით ოსმანის ცხვრის ალხაჯთან მისვლას. ოსმანმა გვასწავლა, თუ როგორ გვევლო უხიფათო გზით სპეროზის სათავემდე: ჯერ უნდა ავსულიყავით კუპრაბალინჩოს მწვერვალზე, მერე გეზი აგვეღო აღმოსავლეთისკენ და სპეროზას თხემიდან დაბლა დავეშვებო-

დით ქვაბულისკენ, სადაც ცხვრის სადგომი – ალხაჯი იყო. იქ დაგვხვდებოდა ჩვენი სოფლელი მწყემსი ბისი გუმაშვილი.

აღმართს ავყევით. ძნელი, დამღლელი გზა იყო, მკვეთრად დაქანებულ ცერს მივყვებოდით. მარჯვნივ სპეროზის კალთებზე ცხვარი შევნიშნეთ და იუსიიმ ფერდობზე გადაუხვია.

– ძალიან დამრეცი ფერდობია, ცხვრის ბილიკიც კი არ ეტყობა, ცხენებს გაუჭირდება. – ვეუბნები ამხანაგს.

– არაფერია, უარეს ადგილებზეც გვივლია, აბა, კოლია, (ცხენის სახელი) გავწიოთ წინ!

მივყევი. ფერდობი თანდათან ციცაბო ხდებოდა, ბებერი კოლია ფრთხილად მიიწევდა წინ, უკანა ფეხები როცა დაუცურდებოდა, შეჩერდებოდა, დაისვენებდა და ფრთხილად მოინაცვლებდა ფეხებს. გამოცდილი ცხენი იყო, ჭკვიანი, მთებში დაბერებული და აშკარად უკმაყოფილო იყო მხედრის არჩეული გზისა.

ფერდობი ისეთი ციცაბო გახდა, ცხენებს ვერ მოვაბრუნებდით. კოლია შეჩერდებოდა, მოათვალიერებდა მიდამოს და თავად ირჩევდა გასასვლელს. ამიტომ ცხენები თავისუფლად მივუშვით, ჩვენზე უკეთ იღებდნენ გეზს.

როცა კვლავ გამოჩნდა ცხვარი, მეცხვარე დავინახეთ, რომელიც რაღაცას ყვიროდა და მოსასხამს გვიქნევდა, რაღაცას გვანიშნებდა, ჩვენ მის სიხარულს (მგზავრის გამოჩენა მთაში მწყემსისთვის უდიდესი სიხარულია) მივაწერეთ. ბოლო მცირე მონაკვეთის გავლას დიდი დრო მოვუნდით, ცხენები ოფლში იწურებოდნენ, მთელი ტანით კანკალებდნენ, როცა ცერზე გავედით და პატარა გაშლილ მინდორზე აღმოვჩნდით.

ბისის გადავეხვიეთ, მივიკითხ-მოვიკითხეთ, ბარის ხაბარი (ამბები) გავაცანით.

– კენთიი (ბიჭებო), რამ გაგაგიჟათ, ასეთ ფერდობზე როგორ წამოიყვანეთ ცხენები, ვირებითაც კი არ წამოვსულვართ არასდროს. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ უვნებლად გადმოიყვანეთ ცხენები. რამდენს განიშნებდით, მაღლა ასულიყავით, თქვენ კი ჯიქურ წამოხვედით, – გვსაყვედურობს მწყემსი.

– რას ამბობ, მშვენიერი სავალი იყო, ხასოა არ მომეშვა, თორემ ცხენიდან არც კი ჩამოვიდოდი, – იცინის იუსიი.

ჩამოვსხედით. ცხენებს ერთხელაც არ დაუხრიათ თავი მოსაძოვად, ისე იყვნენ არაქათგამოცლილები დატვირთვისაგან კი არა, შიშისგან. ამას მაშინვე მივხვდი, როცა ბისის შევხედე, რომელიც მღელვარებისგან ჯერაც არ დამშვიდებულიყო. ჩვენ, თავს რომ მთის შვილებად ვთვლიდით, ქალაქელებივით უგუნურად შევეკიდეთ დაკიდულ ფერდობს. ძაღლებიც კი, ვეება ნაგაზები არ გვიყეფდნენ, ალბათ პატივი დაგვდეს ასეთი „მამაცური“ გადასვლისთვის.

მწყემსს არაყი დავალევინეთ. ეს საქმე ჩვენ ორივეს კარგად გვეხერხებოდა. ბისიმ მიგვასწავლა, როგორ ავსულიყავით ალხაჯამდე. მზის ჩასვლას ბევრი არ უკლდა, მალე თავადაც მოაყენებდა ცხვარს თეოზე.

მაღლა ავედით. ალხაჯი, ცხვრის სადგომი სპეროზას მწვერვალის დაბლა ქვაბულში მოეწყოთ, საიდანაც საკმაოდ დიდი წყარო გადმოსჩქეფდა და დიდგვერდის მხარეს დაქანებულ ფერდობზე გაჭრილ ხევში ეშვებოდა. იქვე, წყაროს გვერდით, ქვების ყორე იყო შეკრული, სადაც მწყემსები საკვების მწირ მარაგს ინახავენ. ყორე სანახევროდ სიპი ქვებით არის გადახურული, რომ ფქვილი წვიმამ არ გააფუჭოს.

ძალიან ლამაზი ადგილი იყო, თითქოს ეს ტაფობი ადამიანის ხელით ყოფილიყო გაკეთებული, ისე იყო მორგებული ადამიანის სადგომისთვის. ტაფობს დაახლოებით 500 $მ^2$ ფართობი ეჭირა, გარშემო მწვანე ბორცვების გალავანი ერტყმოდა, მხოლოდ, როგორც ვთქვი, აღმოსავლეთით ვიწრო ხევი გაეჭრა წყალს.

მზე ჩადიოდა. მისი უკანასკნელი სხივები მთის წვერებს ანათებდა. აღმოსავლეთით მოჩანდა დიდი დიდგვერდი, ხორაჯოსა და ნაქერალას მთების მწვერვალები. სამხრეთით, სპეროზას წინ ალპური ზონის გორების თხემები ქმნიდა ერთიან მძივს, გორებს შორის უნაგირები კი ტეხილი ხაზით ნარნარად ეშვებოდა დაბლა კლდეებისკენ და განუმეორებელ სურათს ქმნიდა. ტეხილი ცერები ფრიალო კი არ იყო, ისეთ გაშლილ ველებად ეშვებოდა, მხედარი ცხენს თავისუფლად გააჭენებდა. ალპური მწვანე ბალახით, ნაირ-ნაირი ყვავილებით აჭრელებული, სწორი და დამრეცი ფერდობები ზვიადად აღმართული რუხი, ფოლადისფერ ჩამოხერგილ

კლდეებთან წყდებოდა, სადაც ქვების გორახები ქაოტურად არის მიყრილ-მოყრილი. ცოტა ქვემოთ ამაყად აღმართული ფრიალო კლდეებია. კლდეთა წვეტიან მწვერვალებს შორის ბალახით მოფენილი ქვიანი ტერასებია, აქა-იქ კლდეთა კბილები შორიდან ისე გამოიყურება, რომ ერთი შეხედვით ციხესიმაგრეთა კომპლექსს, ქისტურ წოწოლა საბრძოლო კოშკებს ჰგავდნენ. სპეროზას წინა ხედი, მთლიანად კლდეებისგან შემდგარი, უხილავი ოსტატის მიერ არის შექმნილი და ადამიანს თავის უსუსურობას აგრძნობინებს.

ისეთი მკაცრი, მრისხანე შეხედულება აქვს სპეროზას სამხრეთკლდიან ხედს. სულაც არ მიკვირს, რომ ხალხმა სწორედ ეს მთა მიიჩნია ლეგენდარული ამირანის უკანასკნელ სამყოფელად. ლეგენდა ამირანის სპეროზას კლდეზე მიჯაჭვის შესახებ ძველად ქისტებში იყო გავრცელებული. დუისელი მჭედელი ცოსკარ (ცუაციგ) დუიშვილი ბავშვებს ხშირად გვიყვებოდა ამირანის ლეგენდა-მითს; ამბის მოყოლის ბოლო ეტაპზე კი ხელს გაიშვერდა სპეროზას მთისკენ და გვეტყოდა:

– აი, იქ, სპეროზას კლდეებშია ამირანი მიჯაჭვული და თუ გათავისუფლდა, ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას ბოლოს მოუღებს.

სხვათა შორის, მჭედელმა ბევრი ზღაპარი იცოდა, ბავშვები უყვარდა და ყოველთვის მის სამჭედლოში ვტრიალებდით, საბერველს რიგრიგობით „ვაკაჩავებდით“ და უჩვეულო ამბებს ვისმენდით. მის მიერ მოყოლილი მითი ამირანზე ბევრ ეპიზოდში განსხვავდებოდა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ვარიანტებისაგან. მაგალითად, როცა ამირანმა გაჭრა შავი ვეშაპის მუცელი და გარეთ გამოვიდა, ძმებმა ბადრმა და უსუბიმ სიცილი დააყარეს, რადგან ამირანს თმა-წვერი მთლიანად დასცვენოდა: ვეშაპის კუჭში სიმჟავემ ბალანი მოსპო.

– შენ ახლა იმ ბავშვს ჰგავხარ, მამაჩვენმა პირველად რომ მოგიყვანა სახლში, – ეუბნებოდნენ მელოტ და ქოსა ამირანს ძმები.

მაგრამ ამირანს ერთმა დედაბერმა წყარო ასწავლა, რომელიც კლდის ძირში გადმოდიოდა და ირ-გვლივ ისეთი ოხშივარი იდგა, რომ წყაროსთან მისვლა ყველას ეშინოდა. ამირანმა ამ ცხელ წყალში იბანავა და თმა და წვერი ამოუვიდა.

ამ ლეგენდის (სპეროზას მთაზე ამირანის მიჯაჭვის) შესახებ წერს ქისტების მემატიანე მათე ალბუთაშვილიც: „ხალხში დღესაც დარჩენილია თქმულება, მითომ ამ მთებში იყო დაბმული და დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ქუხდეს ხანდახან. ალბათ, ამავე თქმულების მიზეზით – მთას წინიდან შუბლში ერთი გამოწეული რუივით სერი ჩამოსდევს და ამ სერს ხალხი ამირანის კუჭს ეძახის“.

პანკისის ხეობას სპეროზა გადაჰყურებს, აქედან მთელი ხეობის სიგრძეზე ხელისგულივით გაშლილა მწვანე ხეებში ჩაფლული სოფლები, სახნავ-სათესი მინდვრები, პურისა და სიმინდის ყანებით გარშემორტყმული. შორს მატანი და ახმეტა მოჩანს, გარშემო ტყიანი ქედებით გარშემორტყმული პანკისი საამო საცქერალია. უნებურად მახსენდება დიადი ვაჟა, რომელიც ბუნების შვილი იყო და შეტრფოდა მას:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

სპეროზას მწვერვალიდან დავცქეროდი სიცხის ბუღში გახვეულ მშობლიურ პანკისს – დასავლეთით შორს გაჭიმულა სპეროზა, მერე იწყება საყორნეს მთა, რომლის იქით ბორბალოა. წყალთა გამყოფი მწვერვალი შავად გამოიყურება. ჩრდილოეთით მოჩანდა სახარეს მთა და იმის იქით მწვერვალთა რიგი.

ამ სიმაღლიდან წინ იშლებოდა სათავე მთების იშვიათი პეიზაჟი ცადაწვდენილი მწვერვალებით, ღრმა ხევებითა და ვერცხლისფრად მბზინავი დიდი და პატარა მდინარეებით.

„სპეროზა ცამდე აწვდილი,
ხორაჯო თავის წყლებითა,
აქეთ საქისტო, რკინის მთა,
ხევები წიფლოვანისა,
ბორბალო მაღლით დაჰყურებს,
სათავე ალაზანისა“.

რამაზ გუმაშვილი

ბისიმ ცხვარი მოაყენა ალხაჯზე. პირველ რიგში, ძაღლებს დაუდგა სალაფავი და შემდეგ ჩვენ მოგვხედა. იქვე, ყინულივით ცივი წყლის ქვეშ ხორცის შესანახი (სიპი ქვებისგან ყუთის მაგვარი რამ მოეწყო, ზედ სიპით გადახურული, რომელზეც წყალი მიედინებოდა), ბუნებრივი მაცივარი მოეწყო. უცბად დეკის შეშით ცეცხლი გააჩაღა, დეკის შამფურებზე მწვადი ააგო და შეწვა. დეკაზე შემწვარი მწვადი უგემრიელესია, დეკამ ბოლი არ იცის, მწვადი ალზე იწვება და თავისებურ გემოს იძენს.

მთაში უცბად ღამდება, განსაკუთრებული, სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. აქ არ ისმის ადამიანების გადაძახილ-გადმოძახილი, მანქანების მოძრაობით გამოწვეული ხმაური, ბავშვების ჟრიამული, ჩიტების გალობა, საქონლის ბღავილი და სხვა, რაც დამახასიათებელია ბარის სოფლებისათვის. მთაში ღამით სიჩუმეს მხოლოდ ძაღლების ყეფა, მწყემსის სტვენა და კივილი არღვევს, თოფის გრიალი ნადირის დასაფრთხობად თუღა გაისმის, ისიც იშვიათად. თუ კარგი ამინდია, ცა მოწმენდილია და ვარსკვლავები კაშკაშებენ, იდილიური გარემოა. სხვათა შორის, მთაში ვარსკვლავები მკვეთრად კაშკაშებენ, უფრო ახლოს გეჩვენება და ეს სინამდვილეში ასეც არის, 2-3 ათასი მეტრით უახლოვდები მათ, როცა მთათა მწვერვალებზე იმყოფები. ერთი რამ ცხადია, რომ მთაში ღამე რაღაც იდუმალებით არის სავსე, ღმერთთან უფრო ახლოსა ხარ, მთელი შინაგანი არსით გრძნობ უზენაესს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვგრძნობდი უფალთან სიახლოვეს მთაში მარტო ყოფნის დროს.

ხოლო წყნარ, მთვარიან ღამეს მთაში ქეიფს არაფერი შეედრება. სანამ მწვადებს ვუტრიალებდით, ბისიმ ყელი გამოსჭრა ბატკანს, უცბად გააძრო ტყავი, გამოფეშხა და ჩხაზე ჩამოჰკიდა, შიგნეული (ჯიგარის გარდა) კი ძაღლებს გადაუყარა. ღვიძლი დიდ ნაჭრებად დაჭრა და ცეცხლს შემოუწყო, სამწვადე ცალკე ააჭრა, ხორცი სახსრებში გადახსნა და წინასწარ ცეცხლზე ჩამოკიდებულ ქვაბში ჩაყარა, რომელშიც წყალი უკვე დუღდა. ამ სამუშაოს ისე ასრულებდა, რომ სუფრაზე თანამეინახეობასაც გვიწევდა.

გვიანობამდე ვისხედით ცეცხლის გარშემო. ათას რამეს ვიხსენებდით, ბარისა და მთის ამბებს ვყვებოდით. რა თქმა უნდა, ჩემი და ჩემი ამხანაგების ინტერესი ნადირი და სანადირო ადგილები იყო. ბისიმ ისეთი რამეები მოყვა, რომ ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა. მწყემსის თქმით, მაღლა, მწვერვალის თხემის ქვემოთ ქვაბულში მოზრდილი თოვლის ზვავი იდო, ის ზაფხულში არ დნებოდა და შუადღისას, სიცხის დროს ჯიხვების ჯოგი ამოდიოდა. ჯიხვები გასაგრილებლად ზედ წვებოდნენ. მათ ასეთ გაგრილებას ბევრჯერ შევსწრებივარო, ხოლო როცა დაფრთხებიან და გაიქცევიან, ერთ სანახაობად ღირსო.

– დაბლა, ქვიან ტერასებზე, რუხ-მგლისფერ და ჟანგისფერ კლდეებში ჯიხვი და ფსიტი ბუდობს. როცა წვეტიან კლდეებზე გარბის ჯიხვი, საოცარი სანახავია. კლდის ფხაზე, დანის პირივით ვიწრო ქიმზე ისე გარბიან, როგორც მინდორზე, კლდის ვიწრო ღარებზე გადასახტომად წაწვეტებულ კლდის ქიმზე რქას მოსდებს და ისე გადააფრინდება. რქებს ისე იყენებს, როგორც ადამიანი ხელებს, – ყვება მეცხვარე. ჩვენც აღფრთოვანებულები ვუსმენთ, წარმატებულ ნადირობაში ეჭვი არ გვეპარება.

„ჯიხვების განავალი კლდე,
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოლი არ გაეკიდება,
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა,
რა კარგი წაეკიდება“.

ხალხური

ძაღლების ყეფამ და ცხვრის ბღავილმა გამაღვიძა. დილის რიჟრაჟი იდგა. თეოზე მძინარე მეცხვარემ ნაბდის კალთა გადასწია, თავი გამოყო და მძინარე თვალებით შეათვალიერა აშლილი ცხვარი. შემდეგ მარდად წამოხტა, ერთი შეუკურთხა ბღავილით ფერდობს შეფენილ ცხვარს („შუ დეე დოყიი დახაშ!“ – პატრონის ცხედარსაც გაჰყოლიხართ), ფაციფუცით გაუმზა-

და ძაღლებს სალაფავი, გუდაში პური, პომიდორი და კიტრი ჩააწყო და მომიბრუნდა:

– მე წავედი, საღამოს შევხვდებით. თქვენ თავად გაისარჯეთ, საუზმე მიირთვით და საქმეს მიხედეთ.

– ფიქრი ნუ გაქვს, თავს მივხედავთ, მთის ხამები არ ვართ, – ვუთხარი მასპინძელს.

მთაში ასვლის შემდეგ ჩემი პირველი საზრუნავი საწოლი ადგილის მოწყობაა. მე მეცხვარის ბარგთან, ქვის ყორეში მოვიწყე ქვეშაგები (უნაგირის თექალთო, ძველი ნაბადი და გადასაფარებლად საწვიმარგადაფარებული ნაბადი). მიუხედავად ამისა ძალიან ცუდად მეძინა, სიცივისგან ვძაგძაგებდი. სპეროზა ცივი მთაა, მაგრამ ჩემს ამხანაგს მოღიაღებულ ნაბადში ისე ტკბილად ეძინა, თითქოს სახლში ლოგინში ენებივროს. სპორტსმენი, მოჭიდავე იყო და ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა.

ყინულივით ცივ წყალში ხელ-პირი დავიბანე და უცბად გამოვფხიზლდი. ცეცხლის დანთებას დიდი დრო მოვუნდი, მაშინ ჯერ კიდევ მაკლდა მონადირის გამოცდილება, ცეცხლზე ხორციანი ქვაბი ჩამოვკიდე და შემდეგ იუსიი გავაღვიძე.

– ადექ, ვოშა (ძმაო), შუადღე მოვიდა, შენ აქ აგარაკზე ხარ ამოსული თუ სანადიროდ.

– რა გვეჩქარება, ლექციაზე გაგვიანდება თუ რა, – ნამძინარევი ხმით მითხრა, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა, – კარგ დროს გამაღვიძე.

სწრაფად ვისაუზმეთ და ჭამის დროს ნადირობის გეგმაც შევადგინეთ: შუადღემდე ჯიხვებს უნდა ჩავსაფრებოდით სპეროზის სამხრეთ კლდიან კალთებთან. თუ ნადირი მწვერვალისკენ წამოვიდოდა, ადვილად მოვინადირებდით, ხოლო ჯიხვები თუ სხვა მხრიდან ავიდოდნენ ზვავზე გასაგრილებლად, მაშინ მაღლა ავიდოდით და მივეპარებოდით.

ეს გეგმა შეესაბამებოდა მეცხვარის მონაყოლს, ხოლო წარმატება ღმერთის ნებასა და იღბალზე იყო დამოკიდებული. ჩვენ არ ვიცნობდით ამ მთას, პირველად ვიყავით და ჯიხვების

თუ ფსიტების მოძრაობის ბილიკებიც არ ვიცოდით, მაგრამ იმედით ვიყავით აღსავსე.

მზე ჯერ არ ამოსულიყო, დილის ნამი ბალახზე ბრწყინავდა და ზედ ფეხი გვიცურდებოდა, როცა დაბლა ვეშვებოდით. ფერდობი დაქანებული არ იყო, უნაგირი ვაკედ ეშვებოდა კეხამდე და არ იყო ძნელი სასიარულო.

კლდეებამდე ჩავყევით, აქედან იწყებოდა ფლატეები და მათ ქვემოთ ტერასები, ქარაფზე ბექის კეხზე სიარული გაჭირდა. ჭიუხებზე, მშრალ ხევ-ღარებზე, კლდეებზე, ფრიალო ტინზე აღმა ფოფხვა შედარებით ადვილია, ვიდრე მათზე დაშვება. თუ ბილიკი არ არის, ფეხის ტერფის მოსაკიდებლად ნაპრალები უნდა ეძებო, თანაც ბრმად, რადგან ვერ ხედავ, სად შეიძლება ფეხის მოკიდება. სახით კლდისკენ ხარ მიბრუნებული, მთელი ტანით ეკვრები ფლატეს.

მზეც ამოვიდა. ჯერ მთის წვერებს სტყორცნა სხივები, შავად შესუდრული მთათა წვერები გაანათა, რომლებიც ლაჟვარდისფერ ცის ფონზე ზვიადად გამოიყურებოდნენ. კლდიანი, წაწვეტებული ქიმის ორივე მხარეს ჩავსაფრდით. ქვეშ საწვიმარი გავფინე და მოხერხებულად მოვეწყე.

მთაში საწვიმარი თან უნდა იქონიო, როგორი კარგი ამინდიც არ უნდა იდგეს, უცბად იცის ამინდმა შეცვლა. კაშკაშა მზიან დღეს, როცა ცის ტატნობზე ღრუბლის ნატამალიც არაა, უცბად, წუთებში მოიქუფრება ცა, ხევებიდან ნისლი წამოვა, დაიჭექებს სადღაც, გრიალით დაიგრგვინებს მთიდან მთაზე და წამოვა წვიმა. თანაც ნელი, ჟუჟუნა კი არა, უცბად მოხეთქავს, კოკისპირულად დაასხამს და მალევე გადაიღებს ხოლმე.

მონადირისთვის ყველაზე დამღლელი ლოდინია. თუ კი დარწმუნებული ხარ, რომ აუცილებლად გამოჩნდება ნადირი, ესვრი და შეიგრძნობ ამ მომენტის ნეტარებას, მოსათმენია გულისწამღები ლოდინი. მაგრამ ამის გარანტია არ არსებობს, მზად უნდა იყოს მონადირე წარმატებისთვისაც და ხელმოცარვისთვისაც, მე არ მქონდა საამისო გამოცდილება, მტკიცე ნებისყოფა, სიდინჯე და მონადირისთვის აუცილებელი ჩვევები, მაგრამ განსაკუ-

თრებულად მიყვარდა ბუნება, მის თვალიერებაში, მის აღქმაში საათობით შემეძლო ჯდომა.

შუადღე ისე მოახლოვდა, სულიერისთვის არ მოგვიკრავს თვალი, გარდა ცაში მოლივლივე არწივისა, რომელიც წრეს აკეთებდა სპეროზას წვერზე, გულდასმით ათვალიერებდა მიდამოს და პერიოდულად კიოდა.

იუსიი გადმოვიდა ჩემთან, მითხრა, აქ ლოდინს აზრი არ აქვს, ავიდეთ მაღლა, ზვავს მივეპაროთ, იქნებ სხვა გზით, სხვა მხრიდან ავიდნენო.

შევუდექით აღმართს, ნელა მივიწევდით წინ. წინა დღის მგზავრობისგან ბარძაყების კუნთები მტკიოდა, ასე იცის უცაბედმა სიარულმა მთაში, მაგრამ მხნედ ვგრძნობდი თავს, მზე დასავლეთისაკენ იყო გადახრილი, როცა მწვერვალს მივუახლოვდით.

ნელა ვუახლოვდებოდით მწვერვალის ცოტა ქვემოთ, აღმოსავლეთით ბორცვებით გარშემორტყმულ პატარა ქვაბულს, რომელზეც თოვლისა და ყინულის დიდი მასა იდო. მიპარვა სირთულეს არ წარმოადგენდა, ქვაბული გარშემორტყმული იყო წრიული ბორცვების რკალით, მაგრამ მწვერვალისკენ ზვავი ფერდობზე შეფენილი იყო და კარგად ჩანდა. ზვავის ეს ნაწილი, რომელსაც ფოფხვისას ვხედავდით, სუფთა იყო და სწორედ ამან დამაეჭვა.

ჯიხვებს, არჩვებს ჰყავთ თავიანთი წინამძღოლი, რომელიც საძოვარზე ყოფნის დროს თუ დასვენებისას, ცალკე, შემაღლებულ ადგილზე დგას, საიდანაც კარგად ჩანს მთელი მიდამო, ფხიზლად დარაჯობს და იცავს ჯოგის უსაფრთხოებას. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ჯოგი თოვლის ზვავზე ასე უდარდელად ვერ დაისვენებდა და მართალიც აღმოვჩნდი – თოვლის ზვავი ცარიელი იყო, სულიერი არ ჭაჭანებდა.

როცა დავეშვით ქვაბულში და ზვავზე გავედით, დათვალიერების შემდეგ მივხვდით, რომ მეცხვარე სიმართლეს ამბობდა. აქა-იქ ეყარა მუქი ყავისფერი ბეწვები, ეტყობოდა, გაზაფხულზე, ბალანის ცვენის დროსაც წოლილიყვნენ ჯიხვები თოვ-

ლიან ზვავზე, ნაკელის კურკებიც ეყარა, არცთუ ძველი, შესამ-ჩნევი იყო, რომ ჯიხვები აქ ხშირად ისვენებდნენ.

მიდამო მოვათვალიერეთ. ჩრდილოეთით ფლატე ხევი ჩას-დევდა, ძალიან ღრმა და კლდიანი. გადავწყვიტეთ, ეს ხევი დაგვეთვალიერებინა, აქა-იქ ბალახიანი ტერასები და დაკიდუ-ლი ქარაფები ჩანდა, ჯიხვების საყვარელი საძოვარი. გალმა, მთის კალთებზე ცხვარი იყო შეფენილი, ახლომახლო მეცხვა-რეთა ბინას ვერ მოვკარი თვალი და მივხვდი, რომ მშრალი ცხვრის ფარა იყო.

დღის მეორე ნახევარში ნადირი ისვენებს. წევს სადმე კლდის ძირში, მოჩრდილებულში და მშვიდად იცოხნება. ამი-ტომ ეს პერიოდი ყველაზე ცუდია ნადირობისთვის, მაგრამ ჩვენ დრო გვქონდა, უფსკრულის პირზე სათვალთვალო ადგ-ილი მოვნახეთ და თითოეული მონაკვეთის დაზვერვა დავი-წყეთ.

შეუიარაღებელი თვალით დურბინდის გარეშე ასეთი დაზ-ვერვა ძალზე დამღლელია. მხოლოდ პროფესიონალი მონადირე თუ აღმოაჩენს ბუნებასთან, არსებულ რელიეფთან შეხამებულ ნადირს. სწორედ ასეთი დაზვერვა არის ნადირის აღმოჩენის უპირველესი ფაქტორი. დურბინდით უნდა მოხდეს დეტალური დათვალიერება ნადირის სამყოფი სავარაუდო მიდამოსი. გარე-მო პატარ-პატარა მონაკვეთებად (ხევი, ღარი, ფერდობი, ბორ-ცვი, ბექის კეხი, კლდის ფხა, ჭიუხი, მწვერვალის კალთები და სხვ.) დაიყოფა და თითოეული მონაკვეთი დაკვირვებით, და-წვრილებით უნდა დათვალიერდეს. ნადირი ძლიერ არის შეხამე-ბული გარემოსთან, მისი გარჩევა გამოცდილ თვალს თუ შეუძ-ლია, მაგრამ მოთმინება იმარჯვებს, არჩვი გაინძრევა, ან ყუ-რებს შეატოკებს, ბუზი შეაწუხებს და ფეხს გაიქნევს და ა. შ.

როცა აღმოაჩენ მას, უნდა დასახო გეგმა. უპირველეს ყოვ-ლისა, უნდა დაადგინო, საიდან ქრის ქარი, რომელი მხრიდან არის მოსახერხებელი მიპარვა, დაფრთხობის შემდეგ საით გა-იქცევა და ა. შ. ასევე, მონადირე უნდა იცნობდეს ნადირის ხა-სიათს, ჩვევებს. ერთი რამ არასოდეს უნდა დაივიწყოს: ნადირი

და ბუნება ერთიანია, შერწყმულია. ამიტომ ბუნებაშიც კარგად უნდა ერკვეოდეს.

ყველაფერი ეს თანდათან, წლებმა და გამოცდილებამ მოიტანა, თორემ მაშინ, სპეროზაზე ნადირობის დროს, მე და ჩემი ამხანაგიც გამოუცდელები ვიყავით, ინსტიქტურად ვმოქმედებდით. ყველა მთიელი ბუნებრივად მონადირეა, წინაპრების გენებია მათში და მამა-პაპათა ცხოვრების გამოძახილი სისხლში უზით.

ამაოდ დავშვრით. ჩვენ დურბინდი არ გაგვაჩნდა, თვალების დაღლამდე, სანამ წრეებმა არ დაიწყეს ტრიალი თვალწინ, ვაკვირდებოდით გარემოს, მაგრამ ნადირის ნიშანწყალიც არ შეგვინიშნავს.

ამასობაში მზეც ჩავიდა. უკანასკნელმა სხივებმა მთათა მწვერვალები გაანათა. მე ვიჯექი ბექის ფლატეზე და ვტკბებოდი ბუნების სილამაზით. არცთუ ისე მადარდებდა, რომ ხელმოცარულები დავბრუნებოდით ცხვრის სადგომში. მთავარი ჩემთვის მთაში ხეტიალი იყო, ნადირობის პროცესი, ხოლო ნადირის მოკვლა არ იყო ჩემი თვითმიზანი. ნადირისთვის სროლა კი დიდ ბედნიერებას მანიჭებდა, აცდენა დიდ სინანულსაც იწვევდა ჩემში, მაგრამ ხორცის მოპოვება არ წარმოადგენდა ჩემთვის აუცილებლობას. ცხადია, თუ გამიმართლებდა, არც ამაზე ვამბობდი უარს.

ადგილზე როცა მივედით, ჩვენმა მასპინძელმაც მოაყენა ცხვარი. უნადავლოდ რომ დაგვინახა, აშკარად შეცბუნდა, ეტყობოდა, დარწმუნებული ყო წარმატებაში. როცა მოვუყევით განვლილი დღის შესახებ, დაგვაიმედა:

– დღეს არა, ხვალ უეჭველად მოკლავთ. თითქმის ყოველდღე ვხედავ მათ, ლამის ცხვარს შემოერიონ და შეიძლება მათი მწყემსვაც მომიწიოს-მეთქი, – მიფიქრია.

– იციან, რომ „ჩარაჰს“ (მონადირეს) უნდა მოერიდონ, სულელები კი არ არიან, მწყემსი და „ჩარაჰი“ ვერ გაარჩიონ, – იცინის იუსიი.

– რა თქმა უნდა, თოფის ლულას ვერ გაეხახუნებიან, მაგრამ ჩვენ თავად გავუტუსავთ წვერებს ტყვიის ალით, – დავიქადნე.

ვახშმობის შემდეგ იუსიიმ მეორე დღის ნადირობის გეგმა შეადგინა. სპეროზას აღმოსავლეთი კალთები ზედ მახვალის წყალთან აწყდებოდა. მახვალის წყალი ჰყოფდა სპეროზას და დიდგვერდის მთებს. სწორედ დიდგვერდის სამხრეთ-დასავლეთის კალთა სპეროზას პირდაპირ ეშვებოდა მახვალის ხევში. იქ, დაახლოებით 30-50 მეტრზე წყლის დონიდან, იყო სალოკი, რომელსაც დიდგვერდის „დიდ მუჟას“ ეძახდნენ. ამ სალოკზე ნადირი სპეროზადან დაშვებული ქედის ცერს ჩამოჰყვებოდა, წყალში გამოტოპავდა და ამოდიოდა სალოკზე. ცხადია, დიდგვერდიდან, მისი კლდიანი სამხრეთის კლდოვანი ფერდობებიდანაც მოდიოდნენ არჩვები მუჟაზე.

დიდგვერდს ორივე ვიცნობდით, მე ერთი ზაფხულიც მქონდა იქ გატარებული, სანადიროდაც გვივლია. იუსიის გეგმა ასეთი იყო: უნდა ჩავყოლოდით სალოკის მოპირდაპირე ქედს, სალოკის პირდაპირ უნდა ჩავსაფრებოდით და გვესროლა წყალგაღმა ნადირისთვის, რომელიც ჯოგებად მოდიოდა ხოლმე მლაშე წყლის დასაგემოვნებლად.

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, როცა ბისიმ გაგვაღვიძა. ხორცი გაეცხელებინა, ცხელი წვენი ჯამებით დაგვიდგა წინ, გემრიელად წავიხემსეთ, ცხელი წვენი დავაყოლეთ და შევთბით. თოფებს წამოვავლეთ ხელი, საგზალიც ჩავიდეთ ზურგჩანთაში და დაბლა დავეშვით.

ბალახიან ციცაბო დაღმართზე დაშვებაც ძალზე ძნელია. ათჯერ უფრო იოლია აღმა ფორთხვა, ბალახს ეჭიდები და ოთხით მიიწევ მაღლა, მაგრამ დაშვებისას ფეხი გიცურდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბალახი დილის ნამით არის დასველებული. თუმცა არც სიმშრალეშია სანდო, ფეხი მშრალ ბალახზეც ცურდება. თუ მეცხვარის ჯოხი გაქვს, დაშვება გაიოლებულია: მარცხენა ხელი ჯოხის თავთან გაქვს ჩაკიდებული და მარცხენა მკერდთან გიჭირავს, მარჯვენა ხელს ჯოხის შუაში ჩასჭიდებ და მარჯვენა თეძოსთან მიბრჯნით დაიჭერ, ჯოხის ბოლოს მიწაზე აბჯენ და ეშვები დაბლა. ამ მდგომარეობით წონასწორობასაც იცავ და ჯოხის საშუალებით ამუხრუჭებ კიდეც დაღმართზე ჩაქანებულ სხეულს.

ამ ხერხით სწრაფად დავეშვით ქვევით. ალპური ზონა დამთავრდა და შევედით ასწლოვანი წიფლებით ატეხილ ტყეში. აქ დაშვება გაადვილდა, პირდაპირ ცერს მიჰყვებოდა ნადირის ბილიკი და სწრაფად ჩავედით სათანადო ადგილამდე.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. სათვალთვალო ადგილი შევარჩიეთ, კარგად შევინიღბეთ და დავიწყეთ ლოდინი. ისეთნაირად ვისხედით საფარში, რომ შეგვეძლო მთელი მიდამო შეგვეთვალიერებინა უბრალოდ თავის მოძრაობით. სიფრთხილე იყო საჭირო, შეიძლებოდა სპეროზადან სალოკზე მომავალი არჩვები ზურგიდან მოგვდგომოდნენ.

თეორიულად ყველაფერ სწორად იყო დაგეგმილი. იუსი უფროსი იყო და მის გეგმას უყოყმანოდ ვემორჩილებოდი, მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცოდი: ნადირი არც ისეთი სულელი იყო, კისერი აელოკა ჩვენთვის, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ზოგჯერ განცვიფრებაში მოვყავდი მათ სიბრიყვეს.

ლოდინში სამხრობამ მოაწია. კოღო ძალიან გვაწუხებდა. ხევის პირებზე ბუერას, დიყს, გვიმრასა და სხვა მცენარეებს უტეხი ჯუნგლი შეექმნათ, აქედან კოღო შემოგვესია და გაგვაწამა, განსაკუთრებით მუმლი მიწუხებდა გულს, შეუმჩნევლად რომ ეწებებოდა სხეულს. როგორც კი ხელს გავიქნევდი მათ მოსაგერიებლად, ამხანაგი უკმაყოფილოდ შემომხედავდა, მანიშნებდა, წყნარად ვმჯდარიყავი. ეს არც ისე ადვილი იყო, უკვე ყურადღებაც მომიდუნდა, ნაკბენები მექავებოდა და მოთმინებაც დავკარგე.

– ეტყობა, ამ ოხრებს დღეს გამოსასვლელი დღე აქვთ და სხვა მთაზე გადავიდნენ სტუმრად თანამოძმეებთან. ტყუილად ვყურყუტებთ აქ, ვოშა, ავიდეთ ნიავზე, მოვშორდეთ ამ სისხლისმსმელებს, – მეტი ვერ მოვითმინე.

ჩემს სიტყვებზე ამხანაგმა რაღაც ჩაიბურტყუნა, მაგრამ სახეზე აშკარად დაეტყო შვება, წამოდგა, ჩახმახი დაუშვა და გადმოვიდა ჩემთან.

– ერთი აზრი მომივიდა, მოდი, გადავიდეთ დიდგვერდში, იქ პატარა მუჟაზე ჩავსაფრდეთ, ადრე ვაცი არჩვი მომიკლავს იქ.

ეს სპეროზა დაწყევლილი მთაა, ხომ ხედავ, ჯიხვი კი არა და არჩვიც არ შეგვინიშნავს.

– მართალი ხარ. თუ მიაქციე ყურადღება, არცერთ დაახიგს (შურთხს) არ დაურეკია. სადაც ჯიხვია, იქ მისი გუშაგი შურთხიც არის, ზარს შემოჰკრავს და აფრთხილებს მეგობრებს. რაც შეეხება დიდგვერდში გადასვლას, ვერ მოვასწრებთ უკან დაბრუნებას, ღამე იქ უნდა გავათენოთ. ჯერ ერთი, მსუბუქად გვაცვია, ღამე გავიყინებით, „ჯამოს ნადგომში“ ცხვარი არ შეგვინიშნავს, რომ მეცხვარეებთან თავი შევაფაროთ. მეორეც, საგზალიც საკმარისი არა გვაქვს, ჩემი აზრით, ამჯერად მხოლოდ სპეროზათი უნდა დავკმაყოფილდეთ.

იუსიი ჩუმად იჯდა, წონიდა ჩემს ნათქვამს და ბოლოს დამეთანხმა.

– კარგი, სხვა დროისთვის ავიდეთ დიდგვერდში. ახლა ვისამხროთ და ორ პარალელურ ქედს ავყვეთ ჩვენს „ბინამდე“, საღამოს ადგილზე ვიქნებით.

საგზალი ამოვალაგეთ, ზეზეულად შევჭამეთ, კოლო მოსვენებას არ გვაძლევდა, თოფებს წამოვავლეთ ხელი და ავყევით აღმართს. მე ხევს გაღმა გავედი და პარალელურ ქედს შევუდექი. როგორც კი ტყეს ავცდი და ალპურ ზონას მივადექი, პრობლემაც გაჩნდა. მთებში ნავალი ვიყავი, მოვლილი მქონდა დიდი და პატარა დიდგვერდი, ხორაჯო, ჭიქაური, საქისტო და მისი ყველა განშტოება (ლუკუანი, ღორღიანი, საყვავის გორი, ზუროს გორი, ტბათანა, ლამაზური და სხვ.), მაგრამ ასეთ დამრეც, დაკიდებულ დაღმართს არ შევსწრებივარ. პირველად ყურადღება არც მივაქციე, დინჯად ავყევი აღმართს, მაგრამ თანდათან გამიჭირდა სიარული, ხელების მოშველიებაც დამჭირდა და გაკვირვებული წელში გავიმართე. ავხედე აღმართს და კინაღამ უკან ზურგით გადავვარდი, ზედ ცხვირწინ, რაღაც მკლავის სიგრძეზე, მაღალი ბალახითა და ნაირ-ნაირი ყვავილებით მოფენილი ძალზე დამრეცი ფერდობი აღიმართა. ფრთხილად მიმოვიხედე, ვიფიქრე, ცერზე გადავალ-მეთქი, მაგრამ არც იქ ჩანდა უკეთესი სავალი.

რას ვიზამდი, ოთხით ავუყევი აღმართს, ძალზე დაქანებული იყო, ალბათ, 60-70% მაინც იქნებოდა, მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო. ვებღაუჭებოდი ბალახს, ცხვირით ვისუნთქავდი, თითქმის ვეხებოდი ყვავილებს და აღმა მივყვებოდი ნელა, ფრთხილად, კუს ნაბიჯებით.

საოცარია, როგორ აძოვებენ ცხვარს ასეთ ადგილებში მეცხვარეები. აქედან თუ მოწყდებოდა (დაგორდებოდა) ადამიანი, პირდაპირ თვალუწვდენელ ხევში გადაიჩეხებოდა. ადამიანი ქვასავით გორდება, ინსტიქტურად თავს მუხლებში შეჰყოფს და ისე მიგორავს ქვევით, როგორც აგორებული ქვა. მაქვს ამის გამოცდილება, თავად ვიწვნიე ტბათანაში.

ოფლში გახვითქულმა, შიშისგან და დაძაბვისგან არაქათგამოცლილმა ძლივს ავივაკე და პირაღმა გავიშხლართე. დიდხანს ვიწექი, ადგომის თავი არ მქონდა, ვუყურებდი, როგორ ნელ-ნელა იპარებოდა ბინდი, მთების წვერები შავით მოსილი ბუმბერაზებივით გამოიყურებოდა. ახლაღა მივხვდი, რომ ამ ქედის ამოვლას დღის მეორე ნახევარი მოვუნდი.

ძაღლების ყეფა და ადამიანის შეძახილი მომესმა. აქამდე ვერ გავიაზრე, სად უნდა გამეთენებინა ღამე. მთელი ჩემი გონება დაკავებული იყო უსაფრთხოებით. ჩვენი ალხაჯი შორს იყო, იქითა ქედის თავში. მე აქეთა ქედზე ვიყავი. ჩვენი ალხაჯის პირდაპირ, ჩვენ შორის დიდი და ღრმა ხევი იყო, გადასვლა მხოლოდ მაღლა, ხევის სათავეზე შეიძლებოდა, ამას კი დიდი დრო სჭირდებოდა, ღამე მას ვერცერთ შემთხვევაში ვერ გავივლიდი, სადმე გადავიჩეხებოდი.

ვიწექი და ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, რომ ცხვრის ბღავილიც გავიგონე და წამოვჯექი. ჩემგან ცოტა ზემოთ და ჩრდილოეთით ალხაჯი შევნიშნე, მეცხვარე ცხვარს თეოზე აქუჩებდა. გამახსენდა ბისოს ნათქვამი, გაღმა თუშების ცხვარი დგასო და შვებით ამოვისუნთქე.

გაღმიდან უსუფის ყვირილიც მომესმა, გამწარებული მეძახდა. შევეხმიანე, აქ ვარ, ღამეს აქ გავათენებ-მეთქი. მთაში ხმა შორს მიდის. დიდ სიმაღლეზე ჰაერი გაიშვიათებულია, სრული სიჩუმეა და ხმა შორს მიდის.

უკვე დაბინდდა, როცა ალხაჯს მივაღწიე. ძაღლები, ბომ-ბორა, ვეებერთელა ნაგაზები ყეფით გამოექანნენ. როგორც კი თოფს მივუშვერდი, გვერდზე გახტებოდნენ ხოლმე, მაგრამ გარს მივლიდნენ, ჯერ ზვერავდნენ, მივხვდი, თავდასხმას არ მიპირებდნენ. ჩავჯექი, თოფი მუხლებზე დავდე და მწყემსს დავუყვირე, რომელიც გაშეშებული იდგა.

– რას უდგეხარ, მომაშორე ეს ძაღლები, სტუმარს ასე ხვდებიან თქვენში? – დავუძახე დაბნეულ მწყემსს.

მწყემსი გამოერკვა, ახლავეო, გამოიქცა, ძაღლები დატუქსა და შორიახლოს დადგა.

შევხედე და გაოცებული დავრჩი მისი ახალგაზრდობით. 14-15 წლისა იქნებოდა, უწვერული, ჯერ კიდევ ბავშვი.

გამარჯობა ვუთხარი, ნაწყენი ვიყავი, თავის დროზე რომ არ გამოიქცა მოსაშველებლად, მაგრამ რომ შევხედე მის დაბ-ნეულ სახეს, წყენა გაქრა. მივხვდი, შეშინებული იყო თოფ-ხან-ჯლიანი უცხო კაცის დანახვით.

– მონადირე ვარ (თავი მოვიწონე მონადირეობით), გზა და-მებნა და ამაღამ უნდა მიმასპინძლო.

– კი, ძია (რომელი ძია, 22 წლისა ვიყავი), წამოდი, ძალიან მიხარია თქვენთან შეხვედრა, – აშკარად დაეტყო ბიჭს სიხარუ-ლი, ძაღლები კვლავ დატუქსა და წინ გამიძღვა.

სწრაფად დატრიალდა, ცეცხლი დაანთო, ცხვარში შევარდა და მივხვდი, რომ საკლავის დაკვლა უნდოდა.

– არა, ცხვარი არ დაკლა, დიდი მადლობა, ძალიან დაღლი-ლი ვარ, გორდილა და კალტი გექნება, ამაღამ ვიკმაროთ, – საჩქაროდ ვუთხარი და არ დავანებე საკლავის დაკვლა.

– ხორცი კი მაქვს, ახალი, გუშინ საგორავი მოხვდა და ორივე ფეხი მოტეხა, – მითხრა მწყემსმა და ჭყირტლებისკენ გაქანდა.

დავინტერესდი და თან გავყევი. მან ერთ ადგილას სიპი ქვა გვერდზე მიაგდო, ზედ დაფარებული ბუერას ფოთლები მიყარ-მოყარა და ჭინჭარში გახვეული გატყავებული ბატკანი ამოი-ღო. პატარა ორმოც და ორმოს გვერდებიც ჭინჭრით იყო მო-ფენილი. ეს გახლდათ თუშის მაცივარი.

ხორცი ახალი იყო. ბიჭმა არ დამანება მიხმარება, ცეცხლის გვერდით ნაბადი გამიშალა, – დაღლილი ხარ, წამოწექიო და ცეცხლივით დატრიალდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემი სტუმრობით ძალიან იყო გახარებული.

მისმა გულითადმა მიღებამ მეც გამახარა, კარგ გუნებაზე დავდექი და გამოკითხვა დავუწყე. გაგონილით გაკვირვებული დავრჩი: მშრალ ცხვარში ყოფილა, ბინა მეზობელ მთაზე (მგონი, სახარე უწოდა), ჰქონიათ. თითქმის ორი თვეა, ბინაში არ ყოფილა და არც ვინმე მოსულა მასთან. როცა ფქვილი და ძაღლების სალაფავისთვის ღერღილი გაუთავდებოდა – ცხვარს სახარეს მთისკენ გარეკავდა, გაღმა გასძახებდა, საკვები მომიტანეთო და ბინიდან გადმოჰქონდათ საჭირო სურსათი. ისიც მაშინ მოჰქონდათ ალხაჯზე, როცა ბიჭი ცხვარში იყო, სამალავში დააბინავებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

მძიმეა მეცხვარეობა, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე ძნელი პროფესია არის. მირჩევნია მთელი დღე შახტში ვიმუშაო, ყველაზე მძიმე სამუშაო შევასრულო, ოღონდ ცხვარში ნუ გამიშვებ. საღამოს ხომ სახლში მიხვალ, დასველებულიც ტანსაცმელს გამოიცვლი, დაიბან, ლოგინში დაწვები და დაიძინებ. ცხვარში, განსაკუთრებით მთაში, ხშირად წვიმა კვირაობით გრძელდება. საღამოს ცხვარს რომ სადგომში დააყენებს მეცხვარე, ძაღლებს უნდა აჭამოს, თავად გორდილათი და ხაჭოთი ივახშმოს, სველი სველ ნაბადში გაეხვიოს და თეოზე სველ მიწაზე უნდა დაწვეს. თანაც ვერ დაიძინებს – მართალია, ნაბადში კარგად გახვეული, ტანის სითბოს ოხშივარში გათბება კიდეც, მაგრამ ძილს ვინ აცლის, ნადირი ეპარება, ძაღლები ნადირს ეტანებიან და ამ გნიასში უნდა წამოხტეს, ყვირილითა და კივილით უნდა მიეხმაროს ერთგულ ძაღლებს.

ვიცნობ მათ ყოფა-ცხოვრებას, მთაში ნადირობის დროს ყოველთვის მეცხვარეებს მივაკითხავდით ხოლმე, ისინი იყვნენ ჩვენი მასპინძლები. ერთხელ, ერთი მეცხვარე მებატკნე ბინაში მოვიდა, ფეხთ გაიხადა და ფეხის თითებში მატლი შევნიშნე. დიახ, ცოცხალი მატლი, როგორიც აყროლებულ ხორცს დაეხ-

ვევა ხოლმე. თვეობით ფეხთგაუხდელობამ, სისველემ და სხვ. არაჰიგიენურმა პირობებმა გააჩინა მატლი.

ქისტებში იტყვიან: ორი კაცი საუბრობს, „ფილოსოფოსობს“ და ერთი ეკითხება მეორეს.

– საინტერესოა, უფრო მეტი რომლები იქნებიან, ცოცხლები თუ მკვდრები?

– თუ მკვდრებს მეცხვარეებსაც მივუმატებთ, ჩემი აზრით, მკვდრები ცოცხლებს გადააჭარბებენ. – უპასუხა მეორემ.

დიახ, მწარე სიცოცხლე აქვთ მეცხვარეებს, მაგრამ ცხვარი ბარაქიანია, ბარაქა შემოაქვს ოჯახში. მართალია, მეცხვარე, მართლაც ტანჯვისთვის არის გაჩენილი, მაგრამ მისი ოჯახი კარგად, შეძლებულად ცხოვრობს. კარგი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ცხვრის პატრონს აქვს. თუმცა მწყემსებსაც სოლიდურ თანხას უხდიან და არც მათი ოჯახები ცხოვრობენ ღარიბულად. ჩვენ ვსაუბრობთ არა საბჭოურ პერიოდზე, არამედ მის შემდგომ პერიოდზე. კოლმეურნეობის დროს მეცხვარის ხელფასი უმნიშვნელო იყო, მწყემსად ის მიდიოდა, ვისაც საკუთარი ცხვარი ჰყავდა.

ჩემი მასპინძელი თავს მევლებოდა. როცა ვივახშმეთ და ცეცხლის პირზე ნაბადში გავეხვიე დასაძინებლად, თუშის ბიჭი გვერდზე მომიჯდა და მორიდებით მეუბნება:

– ძია, ზღაპრები თუ იცი?

– როგორ არ ვიცი, ზღაპრების მეტი რა მისწავლია ბავშვობაში. – ვეუბნები დაინტერესებული.

– იქნებ მომიყვე რომელიმე, – კვლავ მორიდებით მეუბნება, – მართალია, დაღლილი ხარ, თუ გეძინება, ნუ შეწუხდები.

– არა, ძილი არ მინდა, ძილი ბარშიც მეყოფა, ამ ვარსკვლავების ცქერასა და ლაჟვარდოვან სივრცეში ატყორცნილი მთათა მწვერვალების ყურებას რა სჯობია. მე მეგონა, სპეროზას უკანა მხარეც კლდიანი, ქუში იქნებოდა, როგორც წინა ხედი.

მოვემზადე, ვაჟას სიტყვებით, „გმირთა დიდების სადიდებლად დავეღირე“. „იმ მთაზე, სპეროზის შუბლა კლდეებში ძველად, უხსოვარ დროში ღმერთმა გმირი ამირანი მიაჯაჭვა, რადგან

გაბედა და უფალს, რომელმაც ჩვეულებრივ ადამიანზე აღმატებული ღონე უბოძა, შეებრძოლა ...“ – დავიწყე ამირანის მითის მოყოლა. მწყემსი ბიჭი ნაბადში წამოჯდა და პირდაპირ ყლაპავდა ჩემს სიტყვებს. მეც გამიტაცა თხრობამ, ასეთი მსმენელი არასდროს მყოლია, თხრობაში დეკლამაციას ვიყენებდი და ერთადერთ მსმენელამდე კარგად მიმქონდა გმირთა თავგადასავალი.

თხრობაში ჩამეძინა. დილით როცა გამეღვიძა, ცხვარი აშლილი და ფერდობზე შეფენილი დამხვდა. საოცრად ლამაზი იყო გაშლილი ფარა მთის ფერდობზე, კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. ჩემი მასპინძელი ცეცხლთან ტრიალებდა და მწვადებს სწვავდა.

საუზმის დროს მითხრა, რომ გორის გაღმა კიდევ იდგა ერთი ფარა, მწყემსი კი დუისელი ილიაზი არისო. მე ვერ მივხვდი, ვინ იქნებოდა, მაგრამ ამ დროს ჩემი ამხანაგიც გამოჩნდა, რომელიც გამალებული მოდიოდა. ეტყობოდა, ჩემზე დარდობდა, როგორ მოვეწყე ღამე ბინად. იუსიიც შემოგვიერთდა, ხოლო ილიაზის შესახებ, რომელიც ჩვენი ახლობელი აღმოჩნდა, უკვე იცოდა ბისოსგან.

მასპინძელს გამოვემშვიდობეთ და გავწიეთ ილიაზის ალხაჯისკენ. გორს გადავცდით თუ არა, ცხვარი დავინახეთ და იქითკენ გავწიეთ. ძაღლებმა შეგვნიშნეს და ყეფა ატეხეს. სადღაც ქვემოდან მეცხვარის კივილი გაისმა და მალე გამოჩნდა კიდეც. ჩვენ ჩამოვსხედით, დაველოდეთ და როცა მოგვიახლოვდა, გვიცნო და სიხარული ვერ დაფარა.

– მარშ ბოღილბაშ, ვეჟარიი (ქისტური მისალმება – თავისუფლებს გევლოთ, ძმებო), აქ საიდან გაჩნდით?

– შენს ძებნაში მთელი სპეროზა შემოვიარეთ, აქ სად დამალულხარ? – კითხვითვე უპასუხა იუსიიმ. ილიაზს შეკრთომა შევნიშნე და დავამშვიდე:

– ნუ გეშინია, შინ მშვიდობაა, სანადიროდ ვართ ამოსულები.

მიკითხ-მოკითხვის შემდეგ ილიაზმა გვითხრა, რომ დაბლა, სახარე მთის მოპირდაპირე მხარეში ჯიხვები ბუდობენ, ხშირად

მაღლა ალპურ ზონაში ამოდიან და ისე შეეჩვივნენ ცხვარს, ძაღლებიც კი ეტანებიანო.

სასწრაფოდ გავეშურეთ მითითებული ადგილისაკენ, სამზირი მოვნახეთ და დავათვალიერეთ წვეტიანი კლდეებით დაკბილული მონაკვეთი. სწორედ ჯიხვების საყვარელი ადგილები იყო, ფლატე კლდეებს შორის ნაპრალები და ღარები უხვად იყო, დაკიდულ ფლატეებს შორის ტერასები მუქ-მწვანე ბალახით იყო დაფარული. თითქმის ერთი საათი ვათვალიერებდით, მაგრამ სულიერი ნიშნის მქონე ვერ შევნიშნეთ. გადავწყვიტეთ, ცოტა კიდევ დავშვებულიყავით, ქვემოდან უფრო კარგად შევათვალიერებდით მიდამოს. დაშვებას კიდევ ერთ საათს მოვუნდით, მარცხნივ გავუხვიეთ და ერთ დაკიდებულ ფოლადისფერ კლდეზე მოხერხებულად მოვთავსდით.

ამ დროს ზარივით დაიწკრიალა სადღაც კლდეებში. ისეთი ძლიერი ხმა იყო, რომ მთელი კლდიანი მიდამო გადაიარა და სადღაც შორს მიწყდა.

– დაახიგიშ (შურთხები) არიან, მაშასადამე, აქ მართლაც არიან ჯიხვები, – ჩუმად მეუბნება იუსიი.

– კი, მართალია, შურთხები არიან, მაგრამ რახან მათ აღმოგვაჩინეს, ჯიხვები გაფრთხილებულნი არიან და ჩვენ მათ თვალსაც კი ვერ მოვკრავთ, – დანანებით ვთქვი მე.

– პირიქით, დაფრთხებიან და მათ ადგილსამყოფელს შევიტყობთ, შორს ვერ წავლენ, აქ არავის უნადირია წელს და მშვიდად იქნებიან, – დაბეჯითებით მპასუხობს ამხანაგი.

არაფერი ვუთხარი, მაგრამ დიდგვერდში ნადირობის დროს პროფესიონალ მონადირეებს ჩემთვის უთქვამთ: თუ დაახიგებმა წკრიალა კაკანით გააყრუეს კლდეები, სხვაგან გადადი სანადიროდ, იქ შენ ჯიხვებს ვერ მოჰკრავ თვალსო.

მართლაც, მთელი საათნახევარი ვათვალიერებდით მიდამოს მონაკვეთ-მონაკვეთ, მგარამ თვალიც კი არ მოგვიკრავს რამესთვის, თუ არ ჩავთვლით მეღორღიე გულწითელა ჩიტებს, რომლებიც კლდის ნაპრალებში დახტოდნენ. იუსიის დიდი ნებისყოფა ჰქონდა, შეეძლო, საათის განმავლობაში გაუნძრევლად

მჯდარიყო და ეთვალიერებინა კლდეები, რომლებიც იმის კვალობაზე, თუ საიდან ანათებდა მზე და ჩრდილი რომელი მხრიდან ეცემოდა, სხვადასხვა ფერს იძენდა: ხან რუხი, მგლისფერი ედო, ხან ჟანგის ფერს იძენდნენ, ხანაც შავად იქუფრებოდნენ.

ბოლოს მივანებეთ თავი ერთი და იგივე კლდეთა მასივის თვალიერებას. მზე სპეროზას მწვერვალს მოეფარა და უნდა გვეჩქარა, რომ დაღამებამდე ბინაში ავსულიყავით. გზაში ილიაზს გავუარეთ. ის დაინტერესდა, როდის ვაპირებდით ბარში დაბრუნებას.

– ხვალ აუცილებლად სახლში უნდა ვიყოთ, ცხენები სამი დღით გვათხოვა ბრიგადირმა, ვერ გადავაცდენთ დანიშნულ დროს, სიტყვას ვერ გავტეხ. – ვუთხარი ილიაზს, იუსიიმაც თავის დაქნევით დაადასტურა ჩემი სიტყვები.

– კარგი, ხვალ დილით თქვენს ალხაჯისკენ გადმოვრეკავ ფარას და იქ დაგემშვიდობებით, – თქვა ილიაზმა, – რაღაც მაქვს სახლში გასატანებელი.

საღამოს დიდხანს ვიჯექით ცეცხლის პირას, მწვადს შევექცეოდით, არაყს ვსვამდით, ვტკბებოდით ღამის სიმყუდროვით და ვარსკვლავების სიკაშკაშით, რომლებიც ისე ახლოს ჩანდნენ, თითქოს ხელის გაწვდენით შეეხებოდი. სხვისი რა ვთქვა, მე კი ვტკბებოდი ამ სიწყნარით, რაც მხოლოდ მთისთვის არის დამახასიათებელი; წყაროს ნაკადულის რაკრაკით, რაც მკვეთრად ისმოდა სამარისებურ სიჩუმეში; გაღმა ალხაჯიდან ბომბორა ძაღლის ბოხი ყეფითა და შექეიფიანებული ბისის კივილით, ძაღლებს რომ აქეზებდა. ხანდახან შეზარხოშებული ჩემი ამხანაგი ჰაერში რომ შაშხანას გაისვრიდა და მის ჭახანს კი გორები იმეორებდნენ, დიდ აღტაცებაში მოვყავდი.

მეორე დღეს გამოვემგზავრეთ, მართალია, ნადირი არ მოგვიკლავს, მაგრამ მთლად ხელცარიელებიც როდი წამოვედით: ილიაზმა და ბისომ ცხვრის ხორცი გამოგვატანეს.

კარავი „ჯამიეს ნადგომში“

ერთნაირი მისწრაფებები, შეხედულებები და გატაცება აახლოებს ადამიანებს და, უმეტეს შემთხვევებში, მეგობრებიც ხდებიან. სოფ. ომალოს მკვიდრი უსუბ (სოსო) გორნაკაშვილთან ნათესაობაც (მძახლები ვართ, ჩემი და მის ძმას ჰყავდა ცოლად) მაკავშირებდა და მთის სიყვარულმა, ნადირობით გატაცებამ და სხვა იდეური მოსაზრებების თანხვედრამ მეგობრებად გვაქცია.

სოსოს მთა ძალიან უყვარს. იგი თბილისში მუშაობდა ბავშვთა საავადმყოფოში ქირურგად, შვებულებას ზაფხულში იღებდა და უეჭველად ნაქერალაში ადიოდა, სადაც ქოხი აიშენა. თბილისშიც ვნახულობდი, ყოველთვის ნადირობაზე გვქონდა საუბარი, ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც ენადირა და მოსაყოლიც ბევრი გვქონდა ერთმანეთისთვის.

ერთხელაც, გასული საუკუნის 70-იან წლებში, გადავწყვიტეთ, ერთად გვენადირა. სოსომ შვებულება აიღო, ჩამოვიდა სოფელში, დამიკავშირდა და შევხვდით. პურმარილის დროს დეტალურად განვიხილეთ მომავალი ნადირობის გეგმა. რადგან დიდგვერდის მთას კარგად ვიცნობდი, დავიყოლიე, წავსულიყავით იქ, „ჯამიეს ნადგომში“ დავბინავდებოდით, ორივე მუჟას (სალოკის) სახუნდარებში დაველოდებოდით არჩვების მოსვლას დილა-საღამოთი და, სხვა დროს, დოუთას და ხვთისოს ნადგომებშიც ვინადირებდით.

სოსო ხელმსუბუქად როდი დადიოდა სანადიროდ – მთელი მოწყობილობა დაჰქონდა თან: კარავი, საძილე ტომრები, ზედადგარები, ქვაბები, ჩაის სადუღი ჩაიდანი და შამფურებიც კი. აბა, ამხელა ტვირთს ზურგით ვერ ვათრევდით, წინასწარ გამაფრთხილა, – შენთვის ცხენი იშოვე, მე იმდენი ტვირთი მაქვს, შენსას ვერ ავკიდებო.

რას ვიზამდი, მის უკან ფეხით ხომ ვერ ვიჩანჩალებდი, მივდექ-მოვდექი და ცხენი ვიშოვე, ავკიდე საძილე ტომარა, თბილი, გამოსაცვლელი ტანსაცმელი, საგზალი, სასმელი და ავედი ომალოში.

სოსო მზად დამხვდა, კარგი ჯანიანი ცხენი ჰყავდა შეკაზმული და ჩემი ტანმორჩილი ცხენი რომ დაინახა, სიცილად არ ეყო.

– კაცო, ეს ცხენი გზაში რომ დაგივარდეს, ამაში ეჭვიც არ მეპარება, ჩემს ცხენს ხომ ვერ ავკიდებთ. სხვა ცხენი ვერ იშოვე? აქედანვე ალაზნის პირზე უნდა ჩავიდეთ და ისე ავყვეთ ხადორისკენ. მე ამ გაქუცულ ცხენის გვერდით სოფელში ვერ გავივლი, თანასოფლელების სასაცილო ვერ გავხდები.

– შენ რა იცი ცხენის ფასი, ქალაქელო, არ გინახია, მსუქანი, ზორბა ახალგაზრდა მთაში მგზავრობისას როგორ დამდგარა გაქირი ვირივით, არაქათგამოცლილი ამხანაგების სათრევი რომ გამხდარა, გამხდარი, თხელი კაცი კი დაუღლელად დადის. ასეა ცხენის ამბავიც, – იხტიბარს არ ვიტეხ, თორემ მეც მეეჭვებოდა ჩემი რაშის გამძლეობა.

სოსო მოაჯდა თავის ულაყს, თამაშ-თამაშით მიჰყავდა, თოხარიკზეც გადადიოდა, ამაყად იჯდა ცხენზე. მე ნელა, აუჩქარებლად მივყვებოდი, ვიცოდი, წინ გრძელი და ძნელი გზა გვედო, არ მინდოდა ცხენის დატვირთვა.

სოფ. ხორაჯოს გვერდი ავუარეთ და ჩხათანას მივუახლოვდით. აქ ზაფხულობით ომალოელები ამოდიოდნენ და საქონელიც ამოჰყავდათ. გზაზე გადაგვიდგა ვისური ალხანაშვილი, ჩვენი ხნის ახალგაზრდა და არაფრით არ დაგვანება გზის გაგრძელება, – დაისვენეთ, ისადილეთ და ისე წადითო.

უცბად მოამზადეს ხაჭო-ერბო, გამხმარი ხაჭო და გამხმარი, მოხარშული ხორციც დაგვიდგეს წინ. სოსომ სტაცა ხელი ხორცის ნაჭერს, – ალბათ მასარისაარ (არჩვის), – უთხრა ვისურის. მანაც დაუდასტურა, ღიმილით შემომხედა და მივხვდი, რომ სახლიდან ამოტანილი შინაური თხის ხორცი იყო.

საუბარში ვისურიმაც მოიწადინა ჩვენთან ერთად წამოსვლა, გაგვიხარდა და სიამოვნებით დავთანხმდით. მაშინვე გავარდა იქვე მდელოზე პალოზე დაბმული ცხენისკენ, მოიყვანა, შეკაზმა, თოფი, თურქული კარაბინი გადაიკიდა და სამივენი გავუდექით გზას.

ჭიქაურის ქედის კლაკნილ ბილიკს შევეკიდეთ. სოსო წინ მიგვიძღვოდა, ყინჩად იჯდა ცხენზე, ირონიულად გადმოგვხედავდა ორივეს. არც ვისურის ცხენი იყო მაინცდამაინც კარგი აღნაგობის, მაგრამ შევატყე, რომ მთაში ნატარები და გამოჯეკილი ცხენი იყო.

თითქმის შუა გზას ავცდით, ვხედავ, სოსოს ცხენი ხშირად ჩერდება დასასვენებლად, გაოფლიანდა ძლიერ, მძიმედ სუნთქავს, მხედარი ამას არაფრად აგდებს, შესვენებას არ აცლის და მიერეკება. ამ ტემპით თუ გააგრძელა, ვიცი, ცხენი ვერ გაუძლებს.

– სოსოია, ბიძიკო, დაასვენე ეგ შენი რაში, თორემ მალე ფეხით მოგიწევს სიარული და თანაც აღვირის ქაჩვა. საკმაოდ მძიმე ხარ, გირჩევ, ჩამოხვიდე და აღვირით წაიყვანო.

– რას ამბობ, რომელი დიდი ბარგი ამას ჰკიდია. მე მინახავს, აქეთ-იქით ორ-ორი გუდა ჰკიდია ცხენს და ზედ წამოსკუპებულ თუშს კივილითა და მათრახის ცემით მიჰყავს დაკიდულ აღმართზე.

– მართალს გეუბნება, ნელა ატარე ეგ ცხენი, არ არის მთაში სიარულს ნაჩვევი, ვიცნობ, – მხარს მიჭერს ვისური.

სოსო ჯიქურ მიიწევს წინ, ცხენი ხშირად ჩერდება, წკეპლაც არ შველის უკვე. ერთ-ერთი ასეთი შესვენების დროს დავკივლე და გვერდი ავუქციე სოსოს და წინ გავედი, ვისურიც მე მომყვა. გადმოვხედე მეგობარს და წავუმღერე:

„მთაში წასვლა მას უხარის
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო“.

ავათავეთ ტყის ზოლი, ალპურ ზონაში ავედით, მაგეის ნადგომთან ფერდობზე გაკვალულ ბილიკს გავყევით და გავედით ჭიქაურის ხევში („ჭიქაურ ხორხიე“) და ცხენები დავასვენეთ, სადაც თავადაც ჩამოვსხედით.

გზა განვაგრძეთ ხორხში ამავალ ბილიკზე. ბილიკი წყლის ორივე ნაპირს მიჰყვებოდა, ზოგან ტიტველ კლდეებზე გადიოდა. ერთგან ჩემმა ცხენმა წაიფორხილა და უკანა ფეხებზე ჩაიკეცა, მაგრამ მკვირცხლად გასწორდა და წავიდა წინ. ამის მეტი რა უნდოდა სოსოს, სიხარულისგან ერთი დაჰკივლა: „ჰა, ჰაიტ! რა ბედაურია!“

მაღლა ტაფობის იქით, პატარა ქვაბულში მეცხვარეთა ალხაჯია, საიდანაც ბილიკი მარცხნივ უხვევდა პატარა დიდგვერდისკენ, ხოლო პირდაპირ მიდიოდა დიდ დიდგვერდში. ჩვენ მარცხნივ, დასავლეთისკენ გავუხვიეთ და ჩხათანისკენ დაშვებული ქედის ცერისკენ ავიწიეთ. პატარა აღმართი ავიარეთ, ცერზე გავედით, კლდიან და ნაშალიან ფერდობზე გაჭრილ ბილიკს დავადექით. ეს ბილიკი ძალზე ვიწრო იყო, წაწვეტებული, დაფშვნილი და კლდეებზე გაჭრილი. ნაშალისგან ბილიკი ზოგან არც ჩანდა, სახიფათო გასასვლელი მონაკვეთია და ფრთხილად გავიარეთ. სოსო თავის ცხენით შუაში ჩავიყენეთ, ასეთ ბილიკებზე სასიარულოდ ხამად იყო მისი ცხენი. თანაც ერთი არასწორი მოძრაობა და ცხენი უფსკრულში გადაიჩეხებოდა. ამ ადგილზე ბევრი ტრაგიკული შემთხვევა მომხდარა.

მშვიდობიანად გავიარეთ, უღელტეხილზე გავედით და ტბისკენ დავეშვით, რომელიც კლდეების მარწუხებში იყო მოქცეული და ცისფრად ლივლივებდა. როგორც კი უნაგირზე გამოვჩნდით, მარჯვნივ, ტბიდან აღმართულ კლდეთა მწვერვალებზე გადაიფრინა შურთხების გუნდმა. ჩვენ სიშორის გამო არც დაგვინახავს მთის ეს საოცარი ფრინველი, რომელიც ისე შეხამებულია მუქ, რუხ და ქორისფერ კლდეების ფერებში, რომ

ძნელად შესამჩნევია. თანაც მაღლა კი არ აფრინდებიან ხოლმე, თითქმის კლდეებს ეკვრიან და კლდეთა მუქ ჩრდილებში იკარგებიან, მაგრამ მათი გაბმული, წკრიალა, ზარისებრი სტვენა კლდეებს მიჰყვება და იცი, საით გაფრინდნენ მთის მომცრო ტანის ინდაურები.

ტბასთან ჩამოვსხედით, ტბის გრილი წყალი სახეზე შევისხით და ოფლი მოვიწმინდეთ. ტბას გავსცქეროდით და ვტკბებოდით ცისფერი წყლის ცქერით, რომელიც ისეთი სუფთა და კამკამა იყო, ნაპირიდან რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ფსკერი ნათლად ჩანდა. ფსკერი ლოდებით იყო მოფენილი, არანაირი მცენარეულობა და ცოცხალი არსება არ ჩანდა ამ ტბაში.

ცხენები სადავეებით დავიჭირეთ და თავქვე დავეშვით. ღორღიანი ბილიკი კლდეებს შორის მიჰყვებოდა და სიარული უჭირდა ცხენსაც და ჩვენც, ამიტომ, როგორც კი კლდეთა ტერასებზე ან კიდევ ფილაქანზე მიწის თხელ ბალახიან ფენას შევნიშნავდით, ბილიკიდან გადავდიოდით და რბილ სავალს მივყვებოდით.

ბათაყას ნაბინავართან ნაკადული გადავჭერით. მე ცხენი ვისურის გადავეცი, ცოტა მაღლა ავედი და ნაკადულის პირზე ნორჩი წიწმატის კრეფა დავიწყე.

– რას შვრები, მწვანილის მეტი რა გვაქვს, – მაჩქარებს სოსო.

– ასეთი მწვანილი არა გვაქვს, ეს ეკოლოგიურად სუფთა მწვანილია, გაიგე, ქალაქელო?

– ეგ არის, ეკოლოგიურად სუფთა საჭმელს არ ვიკლებთ, მაშ!

– როცა საშუალება გეძლევა, უნდა გამოიყენო. იქით გასვლა მეზარება, თორემ მთის ნიორს (შუეფიშ) დავკრეფდი. გიჭამია კი, ქალაქელო?

სოსომ გზა განაგრძო, მას მიჰყვა ვისურიც. მეც დავუჩქარე, საკმაოდ მოზრდილი კონა ჯიბეში ჩავიდე და ამხანაგებს გავყევი. აქედან ბილიკი დაბლა ციცაბო გორას ჩაჰყვებოდა, რომელიც შუა წელიდან დეკით იყო დაფარული. ბილიკი დეკიანს ჭრიდა და მიხვეულ-მოხვეული დაბლა მიიკლაკნებოდა.

დეკიანი ჩავიარეთ და ჩავედით არც თუ ფართო ხეობაში. ფართოს იმ გაგებით ვამბობ, რომ მთებში ხეობები, ჩვეულებრივ ვიწროა, აქეთ-იქითა მთების ფერდობები პირდაპირ წყალში ეშვება. ამ ადგილს დიდგვერდის ხორხს ეძახდნენ და ერთი მონაკვეთი, სადაც მეცხვარეები და მეძროხეები იდგნენ, 100-150 მ. სიგანისა და თითქმის მთლიანად ჭყირტლებით იყო დაფარული. საერთოდ, ეს მცენარე, არცთუ მაღალი და დიდფოთლებიანი, იქ ხარობს ხოლმე, სადაც მწყემსები საქონელს აყენებენ. ამ ხევს ქისტები „ჭოჯს“ (ჩაღრმავებულ ხევს) უწოდებენ, ხოლო მწყემსების ბინას – „ჭოჯ ნაჟდარს“.

ქვემოთ გამოჩნდა სიპის ქვებით აშენებული მოზრდილი ქოხი, რომელიც რუბეროიდით იყო გადახურული. წინ ცეცხლი ენთო, ბოლი მაღლა ცისკენ მიიწევდა. ძაღლები გამოქანდნენ, მეცხვარული ვეებერთელა ნაგაზები იყვნენ და ყეფით გვიტევდნენ. ჩვენ ცხენებზე ვისხედით და უშიშრად მივიწევდით წინ. მყეფრები გვერდზე და უკან ყეფით მოგვდევდნენ.

ქოხის წინ ორი მეცხვარე იდგა და ჩვენ გვიყურებდნენ. როგორც კი მივუახლოვდით, წინ მოგვეგებნენ, ქისტურად მოგვესალმნენ – „მარშ ვოღილვ“ – ერთ-ერთი ჩემს ცხენს აღვირში წვდა და ჩამოსვლა შემომთავაზა. როგორც კი ფეხი გავითავისუფლე უზანგიდან, მარჯვენა მხრიდან უნაგირის კეხს სწვდა, რათა ჩემს სიმძიმეს უნაგირი არ გადაექაჩა.

ჩვენ საბოლოო პუნქტისკენ, ჯამიეს ნადგომისკენ გვეჩქარებოდა, ცხენებისთვის ბარგის ჩამოხსნა არ დავანებეთ, თუმცა გულთბილად გვეპატიჟებოდნენ, – საჭმელი ჭამეთ და მერე გაემგზავრებითო. ნაბდები ვთხოვეთ მწყემსებს, დუისელები იყვნენ, კარგი ნაცნობები, რამაზ ქავთარაშვილის ბრიგადის წევრები და ნაბდები გამოგვიტანეს. სოსომ არყიანი ჭურჭელი, პატარა „კანისტრა“ ამოიღო ხურჯინიდან და მწყემსებს დაუტოვა.

აქედან 4-5 კმ. იქნებოდა „ჯამიეს ნადგომამდე“ და იქვე იყო პატარა და დიდი მუჟაც. გზა მიუყვებოდა პატარა დიდგვერდის ქედის – „შეერ ბოსიედან“ დაქანებულ პარალელურ სერებს, ბილიკი ფერდობებს მიუყვებოდა, პატარ-პატარა მშრალ და ნაკადუ-

ლებიან ხევებს სჭრიდა და სავალად ადვილი იყო. როგორც კი დაბლა ხევში ჩავედით, ცხენებზე შევსხედით, წყალში გავედით და მდინარის გასწვრივ მარცხენა ნაპირს ჩავყევით.

მზე ჯერ კიდევ მაღლა იყო, ქისტურად ერთი თოკის სიგრძის სიმაღლეზე. ადგილზე რომ მივედით, მაშინვე ღამის სათევად მომზადებას შევუდექით. სოსოს დიდი კარავი წამოეღო, რომელსაც თავისი საყრდენები ჰქონდა, ასე რომ დიდი დრო არ დაგვიკარგავს მის დასადგმელად. კარგი, სწორი ადგილი შევარჩიეთ კარვისთვის, ისეთი, წვიმის დროს წყალი რომ არ შემოსულიყო.

ბარგი კარავში შევიტანეთ, ცხენები იქვე, საძოვარზე, გრძელი თოკებით დავაბით, თავისუფლად ვერ გავუშვებდით, შეიძლება ღამე ბარში ჩასულიყვნენ. თან ამის საჭიროებაც არ იყო, ბალახი თითქმის მუხლამდე იყო.

„ჯამიეს ნადგომი“ ყველაზე კარგი ადგილი იყო საცხოვრებელი პირობების მიხედვით. წყარო იქვე, ორიოდე მეტრის დაბლა გადმოჩქეფდა, ტყე იქვე, ხელის გაწვდენაზე იყო, ორივე მუჟა (სალოკი) დიდი და პატარა აქვე იყო – პატარა პირდაპირ ჩვენ ქვემოთ, ხევს გაღმა, შავი კლდის ძირში იყო, დიდი კი სამხრეთით, უფრო მოშორებით, ისიც ხევში, წყლის გამოღმა. სანადირო ადგილებიც სამხრეთით იყო გაშლილი, კლდიანი ფერდობები ბალახიანი ტერასებით არჩვების საყვარელი საძოვარი იყო.

სოსო სააგარაკოდ წამოსულიყო. რა არ წამოეღო თან: ქვაბები (დიდი და პატარა), ჩაის ჭურჭელი („ჩაინიკი“), შამფურები, სამფეხა დასაკეცი ზედადგარი, ტაფა, ჭურჭელი და კი-დევ ბევრი რამ, რაც მინდორში პიკნიკზე გასული თანამშრომლებს მიაქვთ ხოლმე.

სანამ დაღამდებოდა, მე და ვისურიმ კარავში დასაძინებელი ადგილის მოწყობა გადავწყვიტეთ. სოსოს ვკითხეთ, – როგორც კარავის ე. ი. სახლის პატრონს, სად ერჩია დაძინება.

– მე ქალაქშიც მეყოფა დახუთულ ოთახში ძილი, მთაში იმიტომ კი არ ამოვედი, რომ კარავში თაგვივით შევძვრე.

– შენ მართლა ქალაქში ხომ არ გგონია თავი, აქ ცივა, ძმაო, შენი საძილე ტომარა ვერ გიშველის.

– პირველად კი არ ვარ მთაში, მე ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში მინადირია, ვაცებიც მიხოცია და ღია ცისქვეშაც მძინებია.

– ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთები ჩვენებურ მთებს არ ჰგავს, იქ თბილია ჰაერი, ზამთარში ერთი-ორი დღეც კი არ ჩერდება თოვლი, მაშინვე დნება. – საუბარში ჩაერია ვისური.

– კარავი თქვენთვის დამითმია, იგორავეთ, როგორც გესიამოვნოთ. გორნაკაშვილი მთაში მხოლოდ ღია ცის ქვეშ იძინებს, როცა კარგი ამინდია, – ამაყად განაცხადა სოსომ.

შეშის ამოტანა დაღამებამდე მოვასწარით. ადგილზეც დაგვხვდა, ადრეულ გაზაფხულზე მეცხვარეები აქ აძოვებენ ცხვარს, რადგან შედარებით თბილა. აქედან ცოტა ზემოთ, დაბლა ხევში ნასახლარია, ქვის დაშლილი ყორე ხევიდან ხუთიოდე მეტრის ზევით კლდის ძირში ახლაც არის. მდინარიდან 20-მეტრამდე მაღლა, კლდის ძირში, ზვავისგან უსაფრთხო ადგილს საცხოვრებელი ბინის ნაშთები ეტყობოდა – მობინადრეს კლდეში თაროები მოეწყო, ჭრაქის დასადგმელი ადგილიც კი ეტყობოდა, კლდის ნაპრალი მჭვარტლით იყო დაფარული. ძველი მეცხვარეები ყვებოდნენ, რომ ერთ თუშს, გადმოხვეწილს მთათუშეთიდან აქ შვიდი ზამთარი გაუტარებია. ის რაღაც ცუდი საქმის გამო თემმა მთათუშეთიდან გამოაძევა, აქ დაბინავდა და შვიდი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. მეცხვარეთა გადმოცემით, წყლის პირზე ქერის საფქვავი წისქვილის დოლაბებიც ეყარა, რომლებიც მერე ადიდებულმა წყალმა წალეკა. ეტყობა, ქერს თესავდა და ქერის პურს აცხობდა. ქერის პური ბავშვობაში მეც მიჭამია, ქისტები „მუხს“ უწოდებდნენ. ცხადია, ზაფხულში აქ ყოფნა სასიამოვნო იყო, არც გაზაფხულზე და შემოდგომაზე გაჭირდებოდა ცხოვრება, მაგრამ ზამთარს, დიდთოვლიან და ყინვიან ხანგრძლივ ზამთარს როგორ გაუძლო, ყოველთვის მიკვირდა. საქონელი ჰყოლია, სხვა საჭიროების საგნები თუ საკვები, ალბათ, ზაფხულში ბარიდან ამოჰქონდა, აქედან უკანა ფშავში და ხევსურეთში გადავიდოდა, უფრო ახლოს ახმეტა და თიანეთი იყო, პანკისი ხომ ხელის გაშვერაზე მდებარეობდა.

დიდი ცეცხლი გავაჩაღეთ, სანოვაგე ამოვალაგეთ და ცეცხლის შუქზე ვახშმობას შევუდექით. კარგ გუნებაზე ვიყავით, მშვენივრად მოვეწყვეთ, სურსათ-სანოვაგე და სასმელიც გვქონდა, წარმატებული ნადირობის იმედიც და ხალისიანად ვიყავით. მე კარგად ვიცნობდი ამ მთას, სანადირო ადგილებს და ნადირის გეზიც შესწავლილი მქონდა. აქ ძირითადად არჩვი ბუდობდა, მთიელები ფსიტს რომ ეძახიან, ქისტები კი მასარს. ჯიხვი უფრო სპეროზაზე, აქედან ხევს გაღმა აყუდებულ მთაზე ბინადრობდა და ჩვენგან აღმოსავლეთით, ხვთისოს ნაბინავარის იქით, ხევს გაღმა კლდიანშიც. დიდგვერდის სალოკზე (დიდი და პატარა მუჟა) ჯიხვი არასდროს მინახავს.

მეორე დღის სამოქმედო გეგმაც შევიმუშავეთ. დილით, უთენია ჩავიდოდით პატარა მუჟაზე, რომელიც ჩვენ პირდაპირ, ხევს გაღმა, წყლიდან სამიოდე მეტრის დაშორებით შავი კლდის ძირში მდებარეობდა. იქ, სახუნდარში, კლდის ქვეშ, პატარა ეხში ჩავსაფრდებოდით. თუ სალოკზე მოვიდოდა ნადირი, ხომ კარგი, არადა მაღლა ამოვიდოდით და სამხრეთით, დიდი სალოკის მხარეს გავიდოდით მიდამოს დასაზვერად. ჯამიეს ნადგომის სამხრეთით, მაღლიდან დაშვებული ქედის ცერიდან ჩანდა დიდი სალოკი და თუ ზედ არჩვებს შევნიშნავდით, მაშინვე ქვემოთ დავეშვებოდით.

ერთი სიტყვით, ისეთ ადგილას ვიყავით დაბანაკებულნი, უკეთესს ვერც ინატრებდა მონადირე. რაც მთავარია, კარავი გვქონდა, კარგი თავშესაფარი უამინდობის დროს, შეგვეძლო ყველა მხარეს გვენადირა, არჩევანი გვქონდა.

მთელი დღის ნამგზავრები ძალიან დაღლილები ვიყავით და დასვენება არ გვაწყენდა. სოსოს თანასოფლელი ვისური სასიამოვნო ამხანაგი იყო, მაგრამ სასმელს ძალიან ეტანებოდა. სოსოს არ უყვარდა გადამეტებული სმა, მე ქეიფი მიყვარდა, მაგრამ მიყოლებით სმა მეჯავრებოდა – მივდევდი პრინციპს, რომ სმა და დროსტარება კარგია, მაგრამ უზომოდ დალევა, ძილი და კვლავ დალევა ლოთობის საწყისად მიმაჩნდა.

სოსომ დაამთავრა ვახშმობა და დასაწოლად მზადებას შეუდგა. მე და ვისური (მისი ხათრით შევრჩი სუფრას) განვაგ-

რძეთ ვახშმობა და თან თვალს ვადევნებდით ამხანაგს, რომელიც მთელი სერიოზულობით ამზადებდა ქვეშაგებს. ჯერ ნაბადი გაშალა, მერე ვეებერთელა საძილე ტომარა ამოიღო, ნაბადზე გაფინა, შიგნიდან დაკეცილი ზეწარი და ჩიხოლი, სუფთა, ქათქათა თეთრეული ამოიღო და საძილე ტომარაში გაფინა. მერე ტანსაცმლის გახდა დაიწყო, საცვლებიანმა წაივარჯიშა და საძილე ტომარაში შეძვრა. ზეწარში და ჩიხოლში ჩაძვრომა ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მოთმინებით ირჯებოდა. მან იცოდა, რომ დაცინვით ვუყურებდით და ძალიან ცდილობდა, ეჩვენებინა ჩვენთვის, რომ ამას ადრეც აკეთებდა და ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სუფრა ავალაგეთ, ცეცხლს დიდი კუნძი მივუმარჯვე, რომ გათენებამდე არ ჩამქრალიყო, შევედით კარავში და დავწექით. ვისური მთაში ნავალი ახალგაზრდა იყო, ცხვარ-ძროხას მწყემსავდა. ნაბადში გაეხვია და ეგრევე ჩაეძინა. მეც მოხერხებულად მოვეწყე, ხვალინდელი ნადირობის გეგმის დეტალებს ვარჩევდი ფიქრებში და ჩამეძინა.

სადღაც შუაღამისას გარედან ხმაურმა გამაღვიძა. მივაყურადე – სოსოს ხველა და თეთრეულის შარიშური მომესმა. წამოვჯექი, კარვის კალთა გადავწიე და მისკენ გავიხედე. უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავები ისე კაშკაშებდნენ და ისე ახლოს ჩანდნენ, რომ განათებული ცის ფონზე მიდამო გარკვევით ჩანდა. სოსო საძილე ტომარაში წამომჯდარიყო და სპორტულ ქურთუკს იცვამდა.

– შემოდი კარავში, რას ჯიუტობ, ხომ გცივა? – ვეუბნები მეგობარს.

– არა, სიცივე კი არ მაწუხებს, ეს ახალი თეთრეული მეხამუშება და ამიტომ ვიცვამ, – იხტიბარს არ იტეხს სოსო.

– ღამე მშვიდობისა, მშვიდ ძილს გისურვებ. – დაცინვით ვუთხარი და კარვის კალთა დავუშვი.

ფხიზელი ძილი ვიცი. ხშირად მეღვიძებოდა და მთელი ღამე სოსოს ბუბუნი მესმოდა. ცხადია, პირველი სოსო იყო, რომელიც ყველაზე ადრე ადგა, კარავში შემოიხედა და დაიყვირა:

– ადექით, ძილისგუდებო, მზემ ამოსვლა არ დაგასწროთ, თქვენც იტყვით, მონადირეები ვართო.

გარეთ გამოვედით. ჯერ კიდევ ბინდბუნდი იდგა, მაგრამ სოსოს ცეცხლიც გაეჩაღებინა და ზედ ჩაიდანიც შემოედგა. მაშინვე მივხვდი, რომ სიცივემ წამოახტუნა მონადირე, სახეზე ეტყობოდა, რომ ვერ გამოეძინა.

– როგორ გეძინა, „ჩარაჰ“ (მონადირე), კარგ სიზმრებსაც ნახავდი სუფთა ჰაერზე.

– რა სიზმარი, რის სიზმარი, მაგრად ციოდა, შამფურივით ვტრიალებდი საძილე ტომარაში, – გამოტყდა ექიმი.

– მერე, რატომ არ შემოხვედი კარავში. ხომ გითხარით ქისტურადაც და ქართულადაც, რომ ქალაქელი ვერ შეეგუებოდი აქაურ სიცივეს.

– რას ამბობ, სიტყვას არ გავტეხდი. ვთქვი – გარეთ დავიძინებ-მეთქი და დავიძინე კიდეც, მე სიტყვის კაცი ვარ.

– ხომ იცი ამის ამბავი, თუ ერთი თქვა, არ გადათქვამს. ბოლო წლებში აზიზი გახდა, კომფორტს არის შეჩვეული. რაიკომის მდივნის სიძეობა (სოსოს ადიგენის რაიკომის მდივნის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად) ნუ გგონია ხუმრობაო, – თვალს ვუკრავ ვისურის.

ჩაი ზეზეულად დავლიეთ, კარვის კალთა დავამაგრეთ, თოფები გადავიკიდეთ და ფერდობს დაცერებით გავუყევით. ქედის ცერს ჩაჰყვებოდა ბილიკი, რომელიც სპეროზის მთისკენ მიემართებოდა. ამ ბილიკით ზურგით ან ვირით გადაჰქონდათ ბარგი სპეროზაზე საძოვრად გადაყვანილ მშრალი ცხვრის მწყემსებს. ადრიანი დილა იყო, ბალახზე ნამი იდო და მუქი ნაკვალევი რჩებოდა.

ბილიკი ტყეში შევიდა, სადაც უფრო ბნელოდა. იქაურობას ხშირფოთლიანი, მაღლა ატყორცნილი, საუკუნოვანი წიფლის ხეების გაბარჯღული გუმბათები აბნელებდა. 300-350 მეტრის ჩავლის შემდეგ მარჯვნივ გადავუხვიეთ და წელამდე მაღალ ბურახში მოგვიხდა გზის გაკვლევა. ამ ტყიან ფერდობზე თითქმის ყველა მცენარეს მოეყარა თავი: შხერი, მაყვალი, ბუსუსებიანი გვიმრა, ბუერა და კიდევ სხვადასხვა დაბალი მცე-

ნარე ერთმანეთში გადახლართულიყო და ძლიერ წინაღობას ქმნიდა. დაბლა, ძირში მცენარეები დამპალი იყო და სისველეზე ფეხი გვიცურდებოდა, დაბლა ვეცემოდით, მსუსხავი გვიმრის ღეროები კი სახეს გვიშუშხავდა. მცენარეებში არ ჩანდა დიდი ხნის წაქცეული ხეებისა და ტოტების დამპალი ნარჩენები, ფეხს წამოვკრავდით თუ არა, ეგრევე ყირაზე გადავდიოდით.

როგორც იქნა, მივაღწიეთ სახუნდარ ეხს. ეტყობოდა, წელს აქ მონადირე იშვიათად ჩამოდიოდა. ადრე აქ მცენარეებში ბილიკი იყო გაკვალული, ეხი კარგად მოწყობილი, სახუნდარიც შენიღბული. უპირველეს ყოვლისა, კლდეს ამოფარებულებმა გაღმა ფერდობი შევათვალიერეთ. არაფერი შეგვინიშნავს, ცოტათი წინ ჩავიწიეთ და სალოკი ადგილი დავათვალიერეთ, რომელიც ხევის ბინდბუნდში ისედაც შავად მოჩანდა. სიცარიელეს დაესადგურებინა ირგვლივ, მხოლოდ მდინარის ხუილი ისმოდა. მაღლა მთის წვერები ნისლში გახვეულიყო. ნისლი ხევებიდან თანდათან იკრიფებოდა და მთების წვერებისკენ მიიწევდა. ეს კარგი ამინდის ნიშანი იყო.

სწრაფად შემოვუარეთ კლდეს, მის უკან არყის („ლამან დაქ“) ტოტები მოვამტვრიეთ, ეხში მოვთავსდით და წინა ხედი შევნიღბეთ. ეხი სამი კაცისთვის ვიწრო იყო, მხოლოდ წელში მოხრილებს შეგვეძლო ჯდომა, სივიწროვის გამო ვერ წამოვწვებოდით. დიდი ხნით წელში მოხრილი ჯდომა კი ძალზე დამღლელია.

ხეობასა და მოპირდაპირე ფერდობს თანდათან სინათლე მოეფინა. დაბლა ხევის პირებზე დილის ცვრისაგან კლდის წითელი ნაშალი გაშავებულიყო, როგორც ეს ხდება ხოლმე წვიმის დროს. მდინარის ხმაური აქ ძლიერად ისმოდა, სხვა მხრივ სრული სიჩუმე იდგა.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. მთის წვერებს მზის სხივები მოეფინა, ნელ-ნელა ფერდობებიც გაასხივოსნა. ხევის სიღრმეში მზე შუადღისას თუ ჩააღწევდა, იქ ყოველთვის სიგრილე იყო, ნელი ნიავი ჰქროდა ზევიდან. ჩუმად ვსაუბრობდით, ფხიზლად ვიყავით, გაფაციცებით შევცქეროდით მოპირდაპირე მთის კლდიან და ტერასებიან ფერდობს, საიდანაც უნდა ჩამო-

სულიყვნენ არჩვები სალოკზე. მათი ნავალი ბილიკები შიგადაშიგ ნაშალზე ცხადად ეტყობოდა.

მზე გაღმა მთის გუმბათიდან ამოიწვერა. კოღოემმაც გაიღვიძეს და ეხში შემალულებს მოგვაგნეს. პატარა ტოტებს ვიქნევდით, ვიგერიებდით სისხლისმსმელებს და მოთმინებით ვიცდიდით, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი და სამივენი ერთ აზრზე დავდექით – აზრი არ ჰქონდა მეტხანს აქ ჯდომას. მოსასვლელი აქამდეც უნდა მოსულიყო სალოკზე.

ეხიდან გამოვედით და აღმართს შევუდექით. აღმა სიარული უფრო იოლი იყო, მცენარეებს ვებღაუჭებოდით და ისე მივიწევდით წინ. ბილიკზე გავედით, ტანსაცმელი ჩამოვიბერტყეთ და დასასვენებლად ჩამოვსხედით. პირველი ვისური წამოდგა და აღმართს აუყვა, თან დაიჩივლა, – მომშივდაო. ჩვენც წამოვდექით, დილანდელი ენთუზიაზმი არ იგრძნობოდა, მაგრამ მხნედ მივაბიჯებდით. ხელმოცარულობა თან სდევს მონადირეს, ამას შეგუებული უნდა იყოს ყველა, ვინც კი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს.

გადასახედზე ჩამოვსხედით და სამხრეთის კალთები მოვათვალიერეთ. არც დიდ მუჟაზე ჩანდა არჩვი. სერზე ჯდომა სახალისო იყო, ქვემოდან ნელი და ზომიერი ნიავი უბერავდა. პანკისის ხეობა ხელისგულივით იყო გადაშლილი, სიმინდისა და პურის ყანებსაც კი ვარჩევდით. ვისხედით გრილი ნიავისთვის შუბლმიშვერილები და ჩვენი ლამაზი კუთხით ვტკბებოდით.

შუადღე იყო, როცა კარავთან დავბრუნდით. გზაში დუცები მოვგლიჯეთ, წყაროს წინ დავაგუბეთ და შიგ ჩავაწყეთ, რომ არ გამშრალიყო, ნაწილი კარავში წამოვიღეთ. კარავში ცხელოდა, მზე მაგრად აცხუნებდა. იქვე დაბლა არყის ხშირ და წვრილფოთლებიანი ტოტები დავჭერით, ამოვიტანეთ და კარვის გვერდებზე ავაყუდეთ, ზემოდანაც დავაფარეთ და მთლიანად შევფუთეთ, რომ შიგნით სიგრილე ყოფილიყო.

სადილზე გადავწყვიტეთ, მაღლიდან დაგვეზვერა სალოკი. თუ იქ ნადირი იქნებოდა, სწრაფად ჩავსულიყავი და ეხის გვერდით კლდიდან გვესროლა. ჩვენი კარვიდან 100-150 მეტრის დაშორებით ჩრდილოეთ მხრიდან ჩანდა მუჟაც და არჩვე-

ბიც გამოჩნდებოდნენ, თუკი სალოკზე იქნებოდნენ. ჯამიეს ნადგომში დაბინავებულ მეცხვარეებში მონადირე თუ ერია, ისიც ამგვარად ნადირობდა. მართლაც, ღამეს ეხში მაშინ ათევდნენ და მეც ხშირად გამითენებია, როცა მაღლა ხორხის ბინიდან ჩამოვდიოდით ხოლმე. დღეში 10 კმ-ის წინ და უკან გავლა დამღლელი იყო და ამიტომ მონადირეს ეხში ერჩია გათენება. ჩვენ კარგად ვიყავით მოწყობილები, ხევში ჩასვლა და ამოსვლა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ეხში ღამისთევის აუცილებლობა არ არსებობდა.

სადილობის შემდეგ ცოტა წავუძინეთ, მთაში შუადღის ძილი მიღებულია, რაც, ასე ვთქვათ, ერთგვარი ტრადიციაც არის. ვფიქრობ, ეს უფრო უსაქმურობით არის გამოწვეული. ბინაში მყოფი მეცხვარეები ყველის ამოყვანის შემდეგ თავისუფლები არიან, პურს ერთი-ორი დღის საკმარისს გამოაცხობენ, შეშაც ერთი-ორი კვირის სამყოფი მოტანილი აქვთ და დანარჩენი დრო თავისუფლები არიან. თუმცა სარქალს ათასი საქმე აქვს: ყველს ამოიყვანს, შრატს გაათბობს, ხაჭოს გამოხდის, ძაღლებს სალაფავს მოუმზადებს, ყველის ჩასადებ გუდებს გააკეთებს და ა. შ.

საღამო ხანს ორივე მუჟას რიგრიგობით ვათვალიერებდით, მაგრამ ნადირის ჭაჭანება არ იყო – თითქოს აიყარნენ და გადაიხვეწნენო. დოქტორი ნერვიულობდა, ხშირად მახსენებდა:

– აკი ამბობდი, ფსიტები ჯოგებად დადიან დიდგვერდში, სროლა შეგეძლოს, სამიზნე არ მოგაკლდებაო?

– კი, იყვნენ, მაგრამ გადაიხვეწნენ. ალბათ, გაიგეს ნადირთმჭლეტი მონადირის ამოსვლა, ხომ იცი, ძლიერი ინტუიცია ახასიათებთ, გაიგეს და მოკურცხლეს კიდეც. – ხუმრობით ვპასუხობ.

– ჯერ ადრეა გულის გატეხა, დღეს ხომ პირველი დღეა, - ამშვიდებს თანასოფლელს ვისურიც.

– ორიოდე წლის წინ ხუთი დღე ვთელავდი ამ მიდამოებს, ხუთი ღამე გავათენე ეხში, მაგრამ ვერაფერი მოვინადირე. მეოთხე საღამოს ალიოშა და შოთა მესტუმრნენ, გამოცდილი მონადირეები. დღეს ჩვენ რომ ვიყავით, იმის გვერდით არის

ვიწრო ეხი, სადაც, როგორც უმცროსს, მე მომიწია გადასვლა ღამის სათევად. ზედ ქარაფზე ეკიდა ეხი, გადაბრუნებისაც კი მეშინოდა, 20-30 მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ წყალში მოვადენდი ბრაგვანს და ძვალ-რბილი არ შემრჩებოდა. ის ღამე არასოდეს დამავიწყდება, თეთრად გავათენე, თუმცა მდინარე მთელი ღამე ნანას მიმღეროდა. ასეა, ძმაო, ქისტური ანდაზა გაგონილი გექნება: მეთევზეს შარვლის უბე სველი უნდა ჰქონდესო. ბევრი ოფლი უნდა ღვარო, მასარი რომ მოინადირო, – ვამხნევებ მეგობარს.

საღამოს, ვახშმობის შემდეგ, სოსომ თავისი ავლადიდება (ქვეშაგები) კარავში გაშალა, ჩემი და ვისურის დაცინვას ყურადღება არ მიაქცია და მშვიდად მოეწყო დასაძინებლად. ძილის წინ მეორე დღის სამოქმედო გეგმა შევადგინეთ. გადავწყვიტეთ, დილაადრიან ავმდგარიყავით და, როგორც დღეს, რიგრიგობით გვეთვალიერებინა მუჟები და თუ არჩვები სალოკზე არ მოვიდოდნენ, მზის ამოსვლის შემდეგ გავსულიყავით სამხრეთ კალთებზე, მოგვეარა მთის სამხრეთის კალთები და მახვალის ხეობის ზემო წელში დაშვებული ქედები. ერთმანეთს ღამე მშვიდობისა ვუსურვეთ და დავიძინეთ.

დილაადრიან ვისურიმ გაგვაღვიძა, მას უკვე მოესწრო არყის გადაკვრა და კარგ ხასიათზე იყო. ცეცხლიც გაეჩაღებინა, ჩაიდანიც შემოედგა და სუფრაც გაეწყო. მე და სოსო წყაროზე გავედით, ხელ-პირი დავიბანეთ და მე კარავთან დავბრუნდი, არ დაველოდე ექიმს, რომელიც მარტო კბილების წმენდას 10-15 წუთს მაინც მოუნდებოდა.

სწრაფად ვისაუზმეთ და სადარაჯოზე განვლაგდით. მე პატარა სალოკის დასაზვერად წავედი, ომალოელები კი დიდი მუჟის სათვალთვალოდ სერისკენ გაემართნენ, ერთმანეთს კარგად ვხედავდით. თუ რომელიმე მხარე აღმოაჩენდა ნადირს სალოკზე, გადავძახებდით ერთმანეთს და დავეშვებოდით ხევისკენ. დიდ სალოკამდე მანძილი დიდი იყო, 20-25 წუთი დასჭირდებოდა, პატარა მუჟამდე სირბილით 10-15 წუთში ჩავიდოდა ფეხმარდი მონადირე.

ამჯერადაც ტყუილად მოვცდით, არჩვებმა არც ახლა ინ-დომეს მჟავე წყლის დაგემოვნება. მზეც ამოვიდა, ლოდინით გაბეზრებულებმა ერთდროულად დავტოვეთ საგუშაგოები და კარვისკენ წამოვედით. ვისურის ზურგჩანთაში საგზალი ჩავდეთ, ჯიბეებში ვაზნები ჩავიწყეთ და ღამინდელი გეგმის თანახმად სამხრეთისკენ გავემართეთ. ჩემი მცირეკალიბრიანი შაშხანა „გეკო“ სოსომ დაისაკუთრა, მე მისი „მც“-ს სისტემის თვითმტენი 12 კალიბრიანი თოფი ავიკიდე. ვისურის თავისი თურქული კარაბინი ჰქონდა მხოლოდ 5 ვაზნით. ამგვარად შეაიარაღებულებმა დავტოვეთ კარავი და სამხრეთით გავწიეთ. წინ მე მივდიოდი, კარგად ვიცნობდი ამ ადგილებს, ხშირად მივლია მარტოს და ლაბოსთან ერთადაც. ამ მხარეს მოვინადირეთ ვაცი უნუზამ და მე, უფრო სწორად, ბაბარგ უნუზამ, ძველმა მონადირემ მოკლა არჩვი.

დაბლა ჩავედით, ხევს გავცდით, ცხვრის ალხაჯის ზემოდან ქედის სერებს გავყევით. სოსო უფრო მაღლა ავიდა და ჩვენს პარალელურად წამოვიდა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ფრთხილად მივიწევდით წინ. როგორც კი სერზე ავიდოდით, გავხედავდით მოპირდაპირე გორის ფერდობს, დავათვალიერე-ბდით თვალთახედვის არეს და შემდეგ ასევე ფრთხილად გადა-ვიდოდით სერზე, ხევსგამოღმა ფერდობს და ხევს ვამოწმე-ბდით. ხევები მშრალი იყო, ვიწრო, არცთუ ღრმა და სწრაფად გადავდიოდით. ასე გაგრძელდა ახალ-ახალი საძოვრების და-თვალიერება.

ბოლოს ერთ-ერთ სერზე ჩამოვსხედით და სიგარეტი გავა-ბოლეთ. ჩუმად ვისხედით და ვისვენებდით. უცებ სტვენა გაის-მა, კვლავ მიყოლებით წყვეტილად დაისტვინა. ორივემ ვიფი-ქრეთ, რომ სოსო გვისტვენდა, ჩვენს ადგილსამყოფელს ეძებს-თქო – გავიფიქრეთ. ვისური წამოდგა, შეხმიანებას აპირებდა, რომ ქორივით დაგვაცხრა აქოჩრილი ექიმი.

კისრისტეხით ჩამორბოდა ჩვენკენ, შორიდან ჩახლეჩილი ხმით დაიხრიალა: „მასარები!“ მაშინვე წამოვხტი და უმალ მივხ-დი, რომ სოსო კი არა, არჩვები უსტვენდნენ რქების ძირებში

არსებული სასტვენი ნახვრეტებიდან. ისინი ხომ საშიშროების დროს სტვენით აძლევენ ნიშანს ერთმანეთს.

წინ სოსო და უკან ჩვენ სირბილით ავიარეთ გორა. სერის თხემზე სოსომ ჩაიმუხლა, ხელის უკან გამოშვერით შეგვაჩერა და ცერს იქით გადაიხედა. ჩვენც მივუახლოვდით და სირბილისგან აქოშინებულები წამოვწექით, გადავიხედეთ და არჩვების ჯოგი შევნიშნეთ.

ორ გორას შორის დაცემული ტაფობი იყო და ამ ადგილას შეჯგუფებული უამრავი არჩვი ტრიალებდა. სწორედ იმ მომენტში მივედით, როცა მეთაურმა გაარღვია შეჯგუფებული წრე და დასავლეთის კლდიანი ფერდობისკენ გაქანდა. არჩვებზე მონადირეებმა იციან, რომ საშიშროების დროს გაშლილი ჯოგი უცბად ერთ ადგილას შეგროვდება, სტვენით უხმობენ ერთმანეთს, ელოდებიან, სანამ ერთი, ალბათ მეთაური, არ მიიღებს გადაწყვეტილებას, საით გაიქცეს და მერე კისრისტეხით მიჰყვება მთელი ჯოგი. აქვე უნდა შევნიშნო, რომ არჩვი (ფსიტი) უაღრესად ცნობისმოყვარე ნადირია და მისთვის უცნობ არსებას ინტერესით აკვირდება, ცდილობს, გაარკვიოს, რამდენად საშიშია მისთვის უცხო ობიექტი. ჩვენ რომ მივედით, სწორედ ასეთი გარემოება დაგვხვდა.

ცხადია, ყურებას არ დავუწყებდით და თოფები სასროლად მივმართეთ, მაგრამ პანიკაში მყოფი ქალაქელი რისხვად დამატყდა:

– შენ არ ესროლო, ტყუილად დააფრთხობ, ვისურიმ ესროლოს კარაბინი! ვისურიმ ესროლოს!

მე ყურადღება არ მივაქციე, დამცველი გადავხსენი და დავუმიზნე. როგორც ვთქვი, მე „მც“- სისტემის 12 ყალიბიანი თვითმტენი გლუვლულიანი თოფი მქონდა. 4 ვაზნა სავაზნე კოლოფში თავსდებოდა, ერთიც ლულაში იდო, სულ 5 ვაზნის სროლას მოვასწრებდი წამებში. თანაც პირველი სამი ვაზნა მსხვილი საფანტით („კარტეჩით“) იყო დატენილი, ბოლო ორი – მსხვილი ტყვიით („ჟაკანით“), რომლებიც დათვისთვის იყო გამიზნული. ერთი სიტყვით, იდეალურ პოზიციაში ვიყავი: სანამ

არჩვები შორს გაიქცეოდნენ, კარტეჩი მიაღწევდა, შემდეგ ჟაკანი დაეწეოდა.

მაგრამ ვინ გაცალა სროლა. პანიკაში მყოფი სოსო თოფზე მეცა და დაიხავლა:

– არ ესროლო!

შევხედე და უხმოდ მოვაცილე სასხლეტს თითი. გვერდით ვისურის თოფმა დაიჩხაკუნა, მაგრამ არ გავარდა, ახლა მას შევხედე. მან სწრაფად გახსნა საკეტი, გადმოაგდო აუფეთქებელი ვაზნა და ახალი შეაცურა ლულაში, დააცემინა, მაგრამ არც ის გავარდა. ამჯერად ვაზნა არ გადმოუგდია. ჩახმახის ნემსა გადმოსწია და კვლავ დააცემინა, მაგრამ არც ამჯერად გაისმა გასროლის ხმა. მაშინ გახსნა საკეტი და ახალი ვაზნა შეაცურა, დაუმიზნა და ისროლა.

არჩვები ნელა გადადიოდნენ კლდეებზე. უკვე საკმაოდ შორს იყვნენ, ჩემი საფანტიანი თოფი არჩვებამდე უკვე ვერ მიიტანდა ტყვიას. სოსოს მივუბრუნდი გაბრაზებული და ვუყვირი:

– შენ რატომ არ ისვრი?

მას მცირეკალიბრიანი შაშხანა (გეკო) ჰქონდა, ერთსასროლიანი, აქამდე ორ-სამჯერ მაინც მოასწრებდა გასროლას. ამასობაში ვისურის თოფის გავარდნის შემდეგ არჩვებმა მოკურცხლეს, კლდეებზე ისე მიფრინავდნენ, როგორც ბოლოქანქარა ჩიტები. ვისურიმ კიდევ ორჯერ ესროლა, მაგრამ არჩვების რბოლის რიტმი არ შენელებულა და ამასობაში უკანასკნელი არჩვიც სერს იქით ჩაეფარა.

გაშტერებული ვისხედით, ერთმანეთს შევყურებდით. სოსოს ისეთი სახე ჰქონდა, სიცილი ვერ შევიკავე, სიცილმა ისედაც დაძაბული ნერვები დააწყვიტა და აფეთქდა კიდეც:

– რისთვის წამოხვედით, სიგარეტის მოწევას დაბლა, სოფელშიც მოახერხებდით. ჩამომისხდნენ აქ, თითქოს სოფლის ბირჟაზე იყვნენ და გაბოლება დამიწყეს. თქვენც იტყვით, მონადირეები ვართო. სირცხვილი, დიდი სირცხვილი! ღმერთმა ცხვირწინ მოგვირეკა მასარები და ასე გავუშვით თქვენი უნიათობით.

ვისური დარცხვენილი იჯდა და თავის თოფს დაჰყურებდა, შემდეგ ყალბი ორი ვაზნა მოძებნა ბალახებში და თვალიერება დაუწყო. მე ჯერ ვისურის მივუბრუნდი:

– რას უყურებ დოათაღ (მეგობარო), მუგუზალიც რომ დაადო, არ გავარდება, აფსუს, როგორ გაუმტყუნა ამ ვაზნებმა დოქტორს იმედები.

შემდეგ ჯერ კიდევ მოგუზგუზე სოსოს მივუბრუნდი.

– შენ რას მორბოდი ჩვენთან? წააწყდი ჯოგს, დაგეხალა თოფი! როგორც შეშინებული ბავშვი მირბის დედასთან, ისე ჩამოგრიალდი. ან კიდევ რატომ იჯექი აქ და ვისურის შესცქეროდი, დაგავიწყდა, რომ თოფი გეჭირა ხელში, თუ „ლაგატკა“ გეგონა? ან მე რატომ შემიშალე ხელი სროლაში, წამში ერთ ლიტრა საფანტს დავაყრიდი.

– თქვენი ბრალია, ფხიზლად რომ ყოფილიყავით, ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებდი. მე რატომ არ გამომყევით, ხომ გამოჩნდა, ვის აქვს ინტუიცია, ვინ იცის ნადირის გეზი.

– კარგით ეხლა, რაც იყო, იყო, მოდი, გავყვეთ ფსიტებს, იქნებ შორს არც კი წავიდნენ, – გვაშოშმინებს ვისური.

წამოვხტით და გავყევით სირბილით კლდიანი ფერდობისკენ, საითაც მიეფარნენ არჩვები. ხევისკენ სწრაფად ჩავირბინეთ, გავედით კლდიან ფერდობზე. აქ სავალად ძნელი ადგილები შეგვხვდა, ნადირის სავალი ბილიკები ქარაფებთან წყდებოდა, ისინი კლდეებზე გადაახტებოდნენ ხოლმე და ჩვენ კი ბობღვა გვიწევდა. სანამ სერს მივაღწევდით, რომლის იქით გადაიკარგა ჯოგი, დიდი დრო გავიდა, როცა ოფლში გაღვრილებმა მივაღწიეთ კლდით დაფარულ კლაკნილ ცერს და გადავიხედეთ, ქარაფი კლდეების, ხავსით დაფარული დიდი ქვების ნაშალის მეტი ვერაფერი დავინახეთ. დიდხანს ვათვალიერებდით, მაგრამ ჯოგის ნაკვალევიც კი არ შეგვინიშნავს.

ჩამოვსხედით. ჩუმად ვისხედით და ვისვენებდით, ვიგონებდით ჯოგთან შეხვედრას, სინანულის გრძნობას დაეთრგუნა ჩვენი ნებისყოფა. სამივენი, დარწმუნებული ვარ, თავის მოქმედებაში გამართლებას ვეძებდით, მაგრამ სამივენი ვტყუოდით.

უსუბიმ (სოსომ) ერთბაშად რამდენიმე შეცდომა დაუშვა: ჯერ ერთი, როგორც კი დაინახა ჯოგი, რომელიც მის დანახვაზე შეჯგუფდა, სროლა უნდა დაეწყო, რამდენჯერმე მოასწრებდა გასროლას, მიუხედავად იმისა, რომ „გეკო“ ერთსასროლიანი იყო; მეორეც, ჩემთვის არ უნდა დაეშალა სროლა, ჩემთან ერთად თავადაც უნდა დაეწყო სროლა; მესამეც, მას შორს წასული არჩვებისთვისაც შეეძლო სროლა, 250 მეტრზე ჩემი „გეკო“ ზუსტად არტყამდა.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მიუხედავად სოსოს პროტესტისა, სროლა უნდა დამეწყო. რატომ დავემორჩილე? რას ვკარგავდი, მოვახვედრებდი, ხომ კარგი, ავაცდენდი და გულში ხინჯად არ ჩამყვებოდა, რომ მესროლა, ხომ მოვახვედრებდი-მეთქი.

ვისურის შეცდომა იმაში იყო, რომ ვაზნები ვერ შეინახა კარგად, დაანესტიანა და შედეგიც შესაბამისი დადგა, თუმცა მას ის გარემოება ამართლებდა, რომ თოფიც და ვაზნებიც, ალბათ, პირველი მსოფლიო ომის დროისა იყო, შეიძლება უფრო გვიანდელი პერიოდისაც ყოფილიყო, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი.

ასეა თუ ისე, ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავით. უფროსი მე ვიყავი და სიტუაციის განმუხტვა მევალებოდა, ამიტომ წამოვდექი და შევძახე:

– აბა, კანთი (ბიჭებო), არ მოიწყინოთ, მთავარია, რომ შევხვდით ორდღიანი ძებნის შემდეგ მასარებს. ეს კარგია, ისიც უნდა გვესმოდეს, რომ მთაში ნადირს იმდენი შანსი აქვს გადარჩენისა, რამდენიც მონადირეს მისი მოკვლისა, ორმოცდაათი ორმოცდაათზე. ხომ მოვიხელთეთ და შევებრძოლეთ, აუცილებელი კი არ არის, ხორცი მოვიპოვოთ. გინახავთ თქვენ ნადირის ხოცვით გამდიდრებული მონადირე? არა, ვერც ნახავთ, ანდაზაც ამბობს:

„არ აშენდა ქურდის სახლი და არც მონადირისა,
უფრო ადრე დაიქცა მეთევზე-მებადურისა“.

ჩვენ ხომ ხორცისთვის არ ვნადირობთ, თუ მოვინადირეთ, ხორციც ხომ მეგობრებს, ძმაბიჭებს უნდა ვაჭამოთ. ხალხური ლექსიც კარგად ამბობს ამის შესახებ:

„რაად კარგია კაი ყმა,
რაის კარგისა მქნელია?
წავალის, მაჰკლავს ნადირსა,
ჭალაში მწვადის მწველია,
დააძღებს ამხანაგებსა,
თავად მშიერა მგელია“.

მოეწონათ ბიჭებს ჩემი სიტყვები, ლექსმაც აშკარად გუნება გამოუკეთა დაბოლმილ დოქტორს. ცოტა გუნებაზე მოსულებმა კიდევ ერთხელ მოვათვალიერეთ გარემო. ორი გასროლით დამფრთხალი ჯოგი შორს რომ წავიდოდა, ამაზე ყველანი შევთანხმდით და უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ. ოღონდ უფრო მაღლა ავედით და დეკიანის ზონის ქვემოთ გამოვყევით დაქანებულ სერებს. რადგან სოსო მაღლა წააწყდა ჯოგს, ვვარაუდობდით, რომ არჩვები მთის წვერების საძოვარზე იქნებოდნენ. თუმცა, თეორიულად დღის ამ პერიოდში, როცა მზე დასავლეთისკენ არის გადახრილი და ცხელა, ნადირი ჩრდილს აფარებს თავს.

ნელ-ნელა, ხევებისა და ფერდობების დეტალური დათვალიერებით ვბრუნდებოდით ბანაკისკენ. მეღორღია, ქვიდან ქვაზე მხტომი ჩიტების გარდა არაფერი შეგვინიშნავს. დეკის ძირებში შავი მოცვი ბევრი იყო, პირის ჩატკბარუნებას ვასწრებდით, ჩაისთვის თავშავა და მოცვიც გამოვიყოლეთ. ერთ-ერთ ხევში, კლდის ხავსიან ნაშალში წითელ ჟოლოს წავაწყდით, დათვის საყვარელ საქმელს და ისიც დავაგემოვნეთ. მითელილ-მოთელილ ბუჩქებს ეტყობოდა, რომ დათვი ესტუმრა, ნაკვალევი ძველი იყო.

მზე სპეროზას მწვერვალს უახლოვდებოდა, როცა სამზერ სერზე ამოვედით. ჩამოვსხედით, ნელ სიოზე ოფლი შევიმშრალეთ, დიდ მუჟას დავაკვირდით, მაგრამ ცარიელი იყო. ჩავყურებდით ჩვენს საყვარელ პანკისს და მისი სიმშვენიერით ვტკბებოდით. მზის ჩასვლის წინ ავიშალენით, ვისური სერს ჩაჰყვა – დუცებს მოვგლეჯო. მე და სოსო კარვისკენ წამოვედით, კარავს ჩავუარეთ, ფერდობზე დავიწიეთ და პატარა მუჟა დავათვალიერეთ. იქაც სიცარიელიე სუფევდა. ძალიან მიკვირდა, რომ სალოკზე არჩვები არ მოდიოდნენ, აგვისტოს ბოლო

დღეები იდგა, ცხელოდა, ამ დროს, ჩვეულებრივ, არჩვი მჟავე წყალს ეტანება. ამჯერად პირიქით ხდებოდა, მასარები სადღაც გადაიხვეწნენ, ყოველ შემთხვევაში, სალოკზე უარი თქვეს. ეს ამბავი არ მომწონდა – არა იმიტომ, რომ მათი დახოცვა მწყუროდა, არა, უბრალოდ, ეს ქალაქელი ბავშვების ქირურგი წამდაუწუმ მახსენებდა: სად არის შენი ფსიტები, ბარში რომ მეუბნებოდი, ფარებად დადიან სალოკზეო.

საღამოს ცეცხლი დავანთეთ, ჩაი მოვადულეთ, სუფრა გავშალეთ, შემორჩენილი არაყიც დავიდგით და ვახშმობას შევუდექით. არსად გვეჩქარებოდა, დრო ბევრი გვქონდა, ვბაასობდით და არაყს ვსვამდით. რა თქმა უნდა, საუბრის თემა არჩვებთან ჩვენი დღევანდელი შეხვედრა იყო, იუმორის ობიექტი კი პანიკაში ჩავარდნილი სოსო და მისი დაბნეულობა იყო. არც ის გვრჩებოდა ვალში, განსაკუთრებით აქილიკებდა ვისურის და მის თოფს.

– ჩემი მტერი ყოფილა შენი თოფის იმედზე, ვისური, სწორად გითხრა ამ მასწავლებელმა: მუგუზალიც რომ დაადო, არ გავარდებაო. ყუენახ, ასეთი ღალატიანი თოფით როგორ დადიხარ ჩხათანაში, დათვების სამშობლოში.

– ჩემს თოფს რას უყურებდი, შაშხანა გეჭირა ხელში, შენისთანა მსროლელი მასარას თავს, მართალია, პატარაა, მაგრამ ვერ ააცდენდი. რას ჩამორბოდი, ნადირი იქვე ცხვირწინ არ გყავდა? რატომ არ ესროლე?

– ჰო, აღმა-დაღმა სირბილის მაგიერ შეჯგუფებულ მასარებისთვის რომ დაეშინა თოფი, ეხლა ჩვენ მწვადებს შევექცეოდით და არა გამხმარ ძეხვსა თუ გამომშრალ ყველს. აფსუს, რა დიდთავიან ხახვს შევექცევით, მწვადზე დასაჭრელად წამოღებულ ხახვს. – მხარი ავუბი ვისურის.

– რა თქმა უნდა, მწვადი არ იქნება, როცა თქვენისთანა ვაი მონადირეებს გადაეყრება კაცი. მე ინგუშეთის მთებში ვაცი გავაგორე, მისი ყიზილბაშური ხმალივით მოღუნული რქა ხუთნახევარი მტკაველის სიგრძისა იყო, – ამაყად ამბობს სოსო.

– ჰეი, „მარჯა!“ (ვაშა, ყოჩაღ). ხაწეს ეხში რომ ბებერი ბერხენი ჯიხვი მოვკალი, მის კლდეებზე ხახუნით წვერმოცვე-

თილ რქაში ლიტრანახევარი ღვინო ჩადიოდა, დეკეულის სიმ-სხო იყო. ამისთვის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში კი არ მიხე-ტიალია, ხაწეს ეხთან წავაქციე.

– დიდი ამბავი, ზურო, ზედმეტსახელად ბაჩხალა, მოყვარუ-ლი მონადირე, ყვებოდა, რომ ერთხელ მან და მამის ძმადნაფიცის შვილმა, თელაველმა ღუდუშაურმა და მისმა ამხანაგმა ჯიხვი მოკლეს, ნახევარი ამოიტანეს და მეორე ნახევრის ამოსატანად ჩასულებს დათვი შეეფეთათ ბელთან ერთად, ისინიც დახოცეს. მეორე დღეს კი იმავე მონაკვეთში ორი არჩვიც მოინადირეს.

გავიხსენეთ მონადირეთა თავგადასავლების მთელი სერია. მონადირეებმა თავგადასავლების ცოტა გაბუქება იციან, მაგრამ ბნელ ღამეში, ცეცხლის პირზე შემომსხდარი სამი მონადირე რომანტიკულ გარემოს ზემოქმედების ქვეშ ვიყავით და ვბაქიბუქობდით. გამახსენდა ერთი სურათი, არ მახსოვს, ვისი დახატული იყო, მგონი რუსი მხატვრის ნამუშევარია. ამ სურათზეც ცეცხლს შემოსხდომოდა სამი მონადირე, ერთი გაცხოველებულად უყვებოდა რაღაცას, დანარჩენი ორი პირდაღებული უსმენდა. ისე ხატოვნად გამოეხატა მხატვარს მონადირეთა ემოციური თხრობა, რომ გეგონებოდა, შენ წინ სხედან და საუბრობენო.

ხასიათზე მოსულმა სოსომ სადღეგრძელო ითხოვა:

– მოდით, კანთი, მგელს გაუმარჯოს, მშიერ მგელს გაუმარ-ჯოს, დღეში ასობით კილომეტრს რომ გარბის საშოვარზე, შეიძლება რამდენიმე დღე ირბინოს, მაგრამ ბოლოს მაინც გამოჰ-კრავს ეშვს ნადირს ან შინაურ ცხოველს და შიმშილს დაიოკებს. ჩვენც მგლები ვართ, მოდი, მშიერ მგელს გაუმარჯოს!

– მაგრამ, მგელსაც ჰყავს მეტოქე, რომელსაც ეგრე ადვი-ლად ვერ გამოჰკრავს ეშვს. აი, რას ამბობს ხალხი:

„ვეფხი წევს გილანის ჭალას,
მგელი ვერ ჩაუხდებაო,
თუ იმას მგელი ჩაუხდა,
ვეფხიც იქ დაუხდებაო!“

კარგ ხასიათზე დავიძინეთ. გვიან გამეღვიძა, კარავში სიგრილე და ბინდბუნდი იდგა. მარტო ვიყავი. ამხანაგებს, ეტყობა, ადრე გაეღვიძათ და სამზერზე წავიდნენ-მეთქი, გავიფიქრე და გარეთ გამოვედი. სოსო წყაროსთან იდგა და ვარჯიშობდა. მეც იქით წავედი. წყაროსთან მივედი და ვისურიც დავინახე, რომელსაც ცხენი მოჰყავდა საბელით. როცა მოგვიახლოვდა, ვკითხე:

– რას აპირებ, ვისური, „ჰუ დაგდა ჰუან“ (რა გიდევს გულში)?

– ჩხათანაში უნდა დავბრუნდე, საქონელსაც ხომ მიხედვა უნდა, ბებრების ანაბარა დავტოვე. თანაც ტყვიებიც არა მაქვს, ვერაფერში გამოგადგებით.

– რა უჭირს, ერთად წამოვედით, ერთად წავიდეთ, ერთიორი დღე კიდევ მოვიცადოთ, იქნებ რამე მოვინადიროთ.

– გაუშვი თავის ნებაზე, ჩვენსავით შვებულებაში კი არ არის, მას თავისი საქმე აწუხებს, ხოლო თუ რამე მოვინადირეთ, წილს არ დაგიკარგავთ. – თქვა სოსომ.

– მართალი ხარ, წილს არ დავუკარგავთ, მაგრამ შევეჩვიე და მენანება, რომ მიდის – ვუპასუხე და ხელ-პირის დაბანას შევუდექი.

საუზმის შემდეგ ვისურიმ ცხენი შეკაზმა, მოაჯდა და ხეობას აჰყვა, დავრჩით მე და სოსო. ჩვენ მარტოობა არ გვიგრძნია მისი წასვლით, ორივეს მთა გვიყვარდა და აქ ყოფნა არ მოგვწყინდებოდა, ერთი თვეც რომ დავრჩენილიყავით.

დღე დღეს მისდევდა, რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა, სალოკების დაზვერვა და საგუშაგოზე ყოფნა ჩვევად გვექცა, შუადღის ძილიც დღის რეჟიმში სტაბილურად ჩაჯდა, არჩვები არ შეგვინიშნავს. ამ დღეებში „ჯამიეს ნადგომის“ რეგიონი დეტალურად შევისწავლეთ, მაგრამ ყველაფერი ილბალზეა დამოკიდებული.

თვალი არ მოგვიკრავს ფსიტების მოწითალო სხეულისთვის, ლამაზად მოხრილი რქებიანი პატარა თავებისთვის. გაღმა სპეროზაზე ერთხელ ჯოგი შევნიშნეთ, მაშინაც მხოლოდ შორიდან დაკვირვებით შემოვიფარგლეთ, სანამ ჯოგამდე მივაღწევდით, დაბინდდებოდა კიდეც.

გავიდა ექვსი დღე. სანოვაგე შემოგველია, პური კი გვქონდა, მთელი თონის ჩაკვრა წამოვიღეთ. აყრის დრო იყო, ამაზე ფიქრი არ გვინდოდა, მაგრამ გამგზავრების დრო დადგა.

– უსუბ, მოდი, ხვალ „ხვთისოს ნაბინავარში“ გადავიდეთ, ცხენებით წავიდეთ, ნაბდები გავიყოლოთ და ღამე იქ გავათენოთ. გამიგია, რომ იქ დათვი იცის, დილა-საღამოს ტყიდან ამოდის, ეს ერთიც ვცადოთ ბედი, ამჯერად ტყის მეფეს ჩავუსაფრდეთ, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს.

– არა მგონია, ბედმა გაგვიღიმოს, ვინ ოხერ-ტიალი შეგვხვდა გზაზე, რომ ასე დათარსულები ვართ. კარგი, ვცადოთ ერთხელაც და მერე სახლისკენ გავუტიოთ.

მზე კარგად იყო ცაზე აწეული, როცა ცხენებზე შევსხედით და ხვთისოს ნაბინავრისკენ გავწიეთ. ჯერ ხორხში მიმავალ ბილიკსა და შემდეგ შეერ ბოსიესკენ ამავალ ქედს ავყევით. აქ ბილიკი მიხვეულ-მოხვეული იყო, საკმაოდ დამრეც გორას მიჰყვებოდა და დოუთას ნაჟდართან ადიოდა. ბილიკი გადარეცხილი იყო, ამ ბილიკს იშვიათად იყენებდნენ, რადგან დოუთას ნაბინავარში უკვე კარგა ხანია, მეცხვარეები ცხვარს არ აყენებდნენ. შეშით მომარაგება ჭირდა, სხვა მხრივაც არ იყო მოსახერხებელი.

ნელა მივიწევდით მაღლა, არ გვეჩქარებოდა, ცხენები თავის ნებაზე გვყავდა მიშვებული. ჩემი მორჩილი ცხენი ხშირად ჩერდებოდა, ისვენებდა, ტანმორჩილობის მიუხედავად, გამძლე და ღონიერი გამოდგა. სოსოს ვეება ცხენი ოფლში იყო გაღვრილი, დასვენებაც ხანგრძლივი სჭირდებოდა და მხედარს დეკის წკეპლის ხშირი ხმარება უწევდა.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა კიდეც, როცა შეერ ბოსიეს ვაკე თხემზე გავედით. მართლაც, შეერ (სწორი) იყო ამ ქედის სამხრეთი კალთები და გრძელი ფართო ცერიც. ყმაწვილობაში, 1953 თუ 1954 წელს ბათაყას ბინაში მეცხვარეებთან ვისვენებდი ერთი ზაფხული და ამ ვაკეზე თანატოლებთან ერთად ვაჭენებდით უფროსებისგან ფარულად სახედრებს. მაშინ სახედრები ბევრი ჰყავდა ცხვრის ბრიგადებს, ჯამიეს ნადგომიდან ვირებით ვეზიდებოდით შეშას, დღეში ერთ გზას ძლივს ვასწრებდით.

ვაკეზე ცხენები საბალახოდ გავუშვით, ნაბდები მწვანეზე გავშალეთ და წამოვწექით. გადაწყვეტილი გვქონდა, საღამო ხანს ჩავსულიყვით ხვთისოს ნაბინავარში, რომელიც ჩვენს პირდაპირ ქვემოთ, ტყიდან ცოტა მოშორებით, აქედან დაშვებული გორის დაცემულ ადგილას მდებარეობდა. საკმაოდ შორს იყო ქედის თხემიდან, ჯობდა, ადრევე ჩასვლა და ღამისთევისთვის მომზადება.

სოსო რაღაცნაირად ფეხს ითრევდა, არც მე ვჩქარობდი და როცა მითხრა, რომ აზრი არ ჰქონდა იქ ჩასვლასა და ღია ცის ქვეშ ღამის გათენებას, მაინცდამიანც არ მწყენია. კარავში გორაობით ისე ვიყავით განებივრებულები, რომ მეცხვარულ-მონადირული ცხოვრება არ გვხიბლავდა.

უკან დაბრუნება და მეორე დილისთვის ბარში გამგზავრება გადავწყვიტეთ. ცხენები სადავით წავიყვანეთ, დოუთას ნაბინავრისკენ გეზი ავიღეთ და ნელა დავიწყეთ დაშვება. გზაზე შავი მოცვით მოფენილი მდელო შემხვდა, ღეროებს ისეთი მბრწყინავი, დიდი, შავი და ხშირი მარცვლები ესხა, რომ გვერდს ვერ ავუვლიდით. ვჭამდით მოცვს, თან ღეროებიანად ვგლეჯდით, კონებად ვკრავდით და უნაგირზე თასმებით ვკიდებდით სახლში წასაღებად. მზე ჩადიოდა, როცა ჩავედით ჩვენი კარვისკენ მიმავალ ბილიკზე. აქ ბილიკი ფერდობს სწორ ხაზად მიჰყვებოდა. შევსხედით ცხენებზე და ტაატით გავწიეთ ბინისკენ. წინ სოსო მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი, თან ნელ-ნელა ვაკვირდებოდი, როგორ გაქრა სიწითლე მთების მწვერვალებზე და ხევებში როგორ წვებოდა ბინდი.

ბინამდე რაღაც 300 მეტრამდე რჩებოდა, როცა სოსომ ცხენი მკვეთრად შეაჩერა, შემობრუნდა ჩემკენ, ხელი გადმოიშვირა და მითხრა:

– ერთი ეგ „გეკო“ მომაწოდე.

– რად გინდა, რა მოხდა?

მან უხმოდ გაიშვირა ხელი ზემოთკენ. დაახლოებით 50-60 მეტრში, ჩვენ ზემოთ ფერდობზე დეკიანი იწყებოდა. გადმოშვერილ დეკიანში მიყუჟულიყო ცხვრის ნოტო. დავაკვირდი და მივხვდი, რომ სამი თუ ოთხი ბატკანი იყო, უკვე თოხლად

ითვლებოდა. ეტყობა, ცხვარს მოწყდა, მეცხვარემ კი ვერ შენიშნა და ფარა ბინისკენ წაიყვანა.

– მომაწოდე შენ „გეკო“, აქედან ვესვრი და აქვე ჩამოგორდება, ცხენიდან ჩამოსვლაც არ დამჭირდება, დავწვდები და ავიყვან. რაკი მასარის მწვადი არ გვეღირსა, ბატკნის მწვადითაც გავალთ იოლას.

– რას ამბობ, ეს ხომ იმ ბინის ცხვარია, ნაბდები რომ წამოვიღეთ. ანდა, ვისიც გინდა იყოს, მნიშვნელობა არ აქვს, ვერ ვიქურდებთ.

– კაცო, ამ ცხვარს ამაღამ მგელი მიაგნებს და გაწყვეტს. ერთი ცხვარი მაინც ჩვენ დაგვრჩეს, არ სჯობია. როგორ, მე მშიერი ვეგდო აქ და მგელმა ცხვარი ხეთქოს, სადაა სამართალი?!

– შენ ხომ მგელი ხარ, – შევახსენე წუხანდელი, – მოგენადირა არჩვები, მეცხვარის საკუთრებას რას ერჩი?

გადავიხარე და სოსოს ცხენს გავაზე თოფის ლულა დავკარი. მოულოდნელობისგან ცხენი წინ გადახტა, კინაღამ მხედარი ჩამოაგდო და თოხარიკით გასწია ბილიკზე. მეც მივყევი და ჩემთვის მეცინებოდა მეგობრის უკმაყოფილო ბუზღუნზე.

ვახშამი უბრად დაიწყო. პური, ხახვი, ნიორი და გმხმარი ყველის ნაჭერი – ეს იყო ჩვენი ვახშამი. სოსომ ხახვის წითელი თავი ისროლა ჩემკენ:

– ჰა, ხახვი მიირთვი, არ გინდოდა მწვადი, ხომ? მაშ ხახვით გახვალ იოლას, მასწავლებელო.

– ერთი რამ ყოველთვის მაინტერესებდა, ლაზარევიჩ (ლაზარევიჩით მივმართავდი ხოლმე მეგობარს, როცა ვეხუმრებოდით ერთმანეთს), როგორ მოხდა, რომ საუკუნე ნახევრის ცივილიზებული ცხოვრების მიუხედავად მეკობრული გენები ვერ დავკარგეთ ქისტებმა. რატომ არის, რომ სხვისი საკუთრების ხელყოფას ვერ გადავეჩვიეთ?

– ეს სხვისი საკუთრება არაა, ეს კოლმეურნეობის საკუთრებაა. თუ პარტიას დავუჯერებთ, შენი, ჩემი, ხალხის საკუთრებაა.

– ჰაი, მარჯა! გამოსავალის მონახვაც ამას ჰქვია. მართლაც, ხელოსანი დოქს სახელურს საითაც უნდა, იქ მიუბამს.

გასაგებია, შენ სხვისი საკუთრების ხელყოფას არ აპირებდი. მაგრამ ერთი ესეც მითხარი: იყო თუ არა ის ნოტო ჩვენი მასპინძლის ცხვრის ანასხლეტი?

– მე აქ მასპინძელი არ მყავს, საკუთარ სახლში ვარ.

– მაგრამ ნაბდები მწყემსებს გამოვართვით, მათ საძოვრებზე, მათ სამფლობელოში ვართ და, მაშასადამე, მათ სტუმრებადაც ვითვლებით.

– მაშინ რატომ ჰყავთ სტუმრები მშივრები? – გამარჯვებული იერით დამაშტერდა მეგობარი.

დისკუსია შევწყვიტე, ჯიუტი კაცი იყო ხილდიხაროელი, თუ ერთი დაიჟინა, ვერ გადაათქმევინებდი. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, თავისი სიმართლე მასაც ჰქონდა.

დილით მეცხვარის ყვირილმა და სტვენამ, ცხვრის ბღავილმა გამაღვიძა. გარეთ გამოვედი. ხმაურზე სოსოც წამოხტა და გამომყვა. ჩვენი კარავის მაღლა ფერდობზე გაშლილი ცხვარი ძოვით მიიწევდა სამხრეთისკენ. მეცხვარემ გეზი მისცა ფარას და ჩვენკენ ჩამოვიდა, მოგვიახლოვდა, ქართულად მოგვესალმა და ზურგიდან ცხვრის ტყავში გახვეული შეკვრა დადო. სისხლიან ტყავს რომ დავხედე, მივხვდი, დაკლული ცხვარი საკუთარ ტყავში გაეხვია. მეცხვარე მეზობელი სოფ. ქვემო ხალაწნელი ოსი სიმი აღმოჩნდა, ჩემი მეგობრის ძმა.

– ეს თოხლი ხალაწნელმა იდრიზ ცათიაშვილმა გამომატანა, ბიჭებს ჩაუტანე, მშივრები იქნებიანო.

– მან საიდან იცოდა, რომ ვერაფერი მოვინადირეთ? – გაკვირვება ვერ დამალა სოსომ.

– ვისურიმ ბინაში შემოიარა, როცა შინ ბრუნდებოდა და მოჰყვა თქვენს ამბავს. მე გუშინ აქეთ ვაძოვებდი ცხვარს, შემოვიხედე თქვენს კარავში, თქვენი ქვაბ-ჭურჭელიც შევათვალიერე და მივხვდი თქვენს სიღარიბეს, – გაიცინა სიმიმ. – დღესაც აქეთ წამოვედი, გუშინ ნოტო დამრჩა, უნდა მომენახა.

ყველაფერს მივხვდი: მთაში არ არსებობს შენი და ჩემი, ყველას აქვს უფლება, ბინაშიც შეიხედოს, სურსათ-სანოვაგეც დაათვალიეროს და თუ სჭირდება, აიღოს კიდეც, ეს მთის დაუწერელი კანონია.

მადლობა გადავუხადეთ და ვთხოვეთ – ჩამომჯდარიყო. უცბად მწვადს შევწვავდით, მაგრამ უარი გვითხრა – ცხვარს უნდა გავყვეო და წავიდა.

სოსოს შევხედე. განზე იცქირებოდა, თვალს მარიდებდა. მე კი გამარჯვებულის სახით შევცქეროდი, მერე დამტკბარი ხმით მივმართე:

– სოსოია, ბაბა, როგორ გუნებაზე დადგებოდი, რომ ეს კაცი, რომელმაც დღეს 4-5 კილომეტრზე დაკლული ცხვარი ზურგით მოგიტანა, მისი ცხვრის ხორცით გავსებულ ქვაბს მიმჯდარს რომ დაგადგებოდა თავს? რა გუნებაზე დადგებოდი, ჰა?

– მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე არ მოხდა.

– ჰოო, უნდა დაუჯერო უფროსს, ვოშა, უნდა დაუჯერო ჭკვიან ხალხს და შეცდომას არ დაუშვებ, – დამრიგებლური, მაგრამ ხუმრობანარევი კილოთი ვუთხარი მეგობარს, – აბა, ახლა ნუ დგეხარ, ცეცხლი გააჩაღე, მთელი დღე მწვადები უნდა ვწვათ. ბარაქალა, იდრიზ, ღმერთმა ეს ერთი ჩვენთვის დაკლული ცხვარი ათასად გიქციოს.

ხორცი ჩხაზე ჩამოვკიდეთ, რბილი ნაჭრები ავაჭერით და მწვადები შევწვით. არაყი არ გვქონდა, მაგრამ ცივ წყალს ვაყოლებდით და გემრიელად მივირთმევდით. მერე ძვლიანი ხორცი ძველქისტურად სახსარში გადავხსენით და დიდი ნაჭრებით ჩავყარეთ ქვაბში. სახლში დაბრუნება გადაიდო, მეორე დღისთვის გადავწყვიტეთ შინ წასვლა. ორდღიანი „სუხოი პაიოკზე“ ყოფნა უნდა აგვენაზღაურებინა. იმდენი მწვადი ვჭამეთ, რომ დასვენება აუცილებელი იყო. ნაბდები გამოვიტანეთ, გარეთ მწვანეზე გავშალეთ და ზედ წამოვგორდით.

შუადღისას წვნიანი ხორცი გვქონდა. სოსო კარგი მზარეული იყო: ხახვი და ნიორი ჯერ კიდევ გვქონდა, საიდანღაც წიწმატიც გააჩინა, მგონი, წყაროს ნაკადულის ნაპირებზე დაკრიფა და ჩინებული წვნიანი გამოვიდა. გამხმარ პურს წვენში ვალბობდით და შესანიშნავად ვისადილეთ. საღამოს კვლავ მწვადი შევწვით, ცხელი ჩაი დავაყოლეთ, კარგა ხანს ვილაქლაქეთ და ფრიად კმაყოფილებმა დავიძინეთ.

დილით შევკაზმეთ ცხენები, კარავი დავშალეთ, ბარგი შევკარით, გაცხელებული წვენ-ხორცით ვისიამოვნეთ, შევსხედით ცხენებზე და ხორხისკენ მიმავალ ბილიკს დავადექით. ხორხის ბინაში მწყემსები დიდ ფაციფუცში იყვნენ, ზოგი ბაკებში ცხვარს აცალკევებდა, ზოგიც ბარგს კრავდა. აგვისტოს მიწურული იყო, ცხვრის წველა შეწყვიტეს, ბინა იშლებოდა. ალბათ, სარქალიღა დარჩებოდა ბინაში, სანამ ყველს გაისტუმრებდა ბარისკენ.

სოსოს ვუთხარი, ნაბდები ჩამოეხსნა ცხენებიდან და ბინაში შეეტანა. მე ისევ ცხენზე ვიჯექი, როცა ბინიდან გამოვიდა ჩემი ნათესავი. როგორც კი ძამბექი ვიცანი, მისკენ გავემართე, სალმის შემდეგ იდრიზა მოვიკითხე, მადლობა უნდა გადამეხადა ყურადღებისთვის. ძამბექმა მითხრა, ცხვარს გაჰყვაო დიდი დიდგვერდისკენ და მოპირდაპირედ აღმართულ მთისკენ მიმითითა, სადაც გაშლილი ფარა აღმა ძოვნით მიიწევდა, მერე გადმომიგდო, ახლავე მოვალო და ქოხს უკან მიეფარა. მალე გამოჩნდა, თან წელზე თასმით დაკიდებულ დანას ბალახით წმენდდა. მომიახლოვდა და მითხრა:

– ქოხის უკან ყელგამოჭრილი ცხვარი დევს, მე არ მცალია, რომ გავატყავო, ცხვარს უნდა გავყვე.

– რას ამბობ, სახლისკენ გზას ვადგავართ, რა დროს ცხვარია! – შევიცხადე მე.

– რაც გინდა, ის უყავი, მე ჩემი საქმე გავაკეთე, – თქვა ძამბექმა, ქოხში შებრუნდა, ბარგი გარეთ გამოიტანა, ზურგზე აიკიდა, ჯოხს ხელი წამოავლო და ფერდობს აუყვა.

ჩვენ უცბად გავატყავეთ ჭედილა, შუაზე სიგრძივ ჩავჭერით ორ ნაჭრად კუდუსუნიდან კისრის ჩათვლით, თითო ნაჭერი ზურგჩანთებში მოვათავსეთ, ავკიდეთ ცხენებს, შევსხედით, გამოვემშვიდობეთ მეცხვარეებს და გზას გავუდექით.

კარგა მანძილზე რომ გავშორდით ბინას, ცხენი შევაჩერე და მეგობარს ვკითხე:

– როგორ გუნებაზე დადგებოდი, ლაზარევიჩ, ამათი ცხვარი რომ მოგვეპარა და ამ პატივისცემას ნახავდი?

– რა გამიჭირე საქმე, რას გადამეკიდე, კაცო. მართლა რომ ჩამედინა განზრახული, ხომ მომკლავდი კიდეც! – მითხრა, ცხენს წკეპლა გადაჰკრა და წინ გავარდა.

ჩხათანაში ვისურისთან შევიარეთ, ხორცი დავუტოვეთ და გზა განვაგრძეთ. ხორაჯოს წყალთან, გოგირდის წყაროს სიახლოვეს ცხენები ბალახზე მივუშვით, დიდი ცეცხლი დავანთეთ, თხილის შამფურები გავთალეთ, მონადირული მწვადები ავაგეთ და შევწვით. იმდენი ვჭამეთ, ამერიკელი ინდიელები და აფრიკელი ზანგები გამახსენდა, რომლებიც, როცა მომენტი ჩაუვარდებოდათ ხელში, ერთ ჭამაზე ორი-სამი დღის სამყოფ ხორცს სჭამდნენ. ეს ამ ქვეყნებში მონადირე ევროპელი მწერლების წიგნებში მქონდა წაკითხული. მათ, ნახევრად მოშიმშილე მომთაბარე ხალხს გაუგებს კაცი, მაგრამ მე და სოსოს, რომლებიც ერთნახევარ-ორ საათში სახლში გაშლილ სუფრას მივუსხდებოდით, რა გვრჯიდა, ასე უზომოდ გვეჭამა მწვადი, ახსნა არა მაქვს.

ვისური ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, მე და სოსო კი ცას შევაბერდით. ხანდახან ვხვდებით ერთმანეთს, ხან ქალაქში, ხან სოფელში, როცა დოქტორი ლხინსა და ჭირში ეწვევა სოფელს და ყოველთვის ტკბილად ვიგონებთ მთაში ერთად გატარებულ კვირას.

– ბიჭო, რა მწვადები ვჭამეთ ხორაჯოში, ჰა? – გაბრწყინებული სახით მეუბნება ხოლმე.

– ჰოო, მაგარი ჭამა იყო, მაგ სიგრძე შამფურები და იმ სიმსხო მწვადის ნაჭრები არ მინახავს – ვპასუხობ და მერე მე ვეკითხები:

– ის როგორ იყო, საძილე ტომარაში საცვლებიანი რომ შეძვერი, გარეთ დაიძინე და მთელი ღამე ბაბანებდი?

– მაგრამ ხომ არ შემოვედი კარავში, პრინციპის საქმე იყო! – ამაყობს ლაზარევიჩი.

ასეა ეს! – ბებერი კაცი ცდილობს ბებრულ უხალისო დღეებს ახალგაზრდობის გახსენებით სილამაზე შემატოს, მაგრამ ამაო არის ეს ყველაფერი. როცა იმ ქვეყნად წავლენ შენი სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის მეგობრები, ცხოვრების გემო იკარგება.

სანადიროდ ჯუჭრაბალიჩოზე

თბილისში მეგობარი მყავდა, ჯემალ ჯაღიაშვილი, მთებში ხეტიალის მოყვარული, რომელიც კარგად იცნობდა ხევსურეთს, ხევსა და მთათუშეთს. მთების სიყვარულმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მეცნიერი კაცი იყო, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უაღრესად წესიერი, პატიოსანი, კულტურული ახალგაზრდა, სანდო ამხანაგი, ნათესავების მოყვარული.

პანკისის მთებში ნამყოფი არ იყო, აინტერესებდა პანკისური ბუნება, დედა ქისტი ჰყავდა და დედეულებს დიდ პატივს სცემდა. პანკისში დავპატიჟე – მთებში ავიდეთ, მთებს მივესალმებით და ვინადირებთ კიდეც-მეთქი. შემპირდა, ჩამოვალო და ერთ ზაფხულის დღეს მეწვია, სიტყვის კაცი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იგი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან.

ნადირობის დროს, მთებში მგზავრობისას და, საერთოდ, ყველაზე კარგად სახლის გარეთ შეიცნობა მეგობარი, ამხანაგი, მათი სანდოობა. ყველას ხასიათით ვერც შეეწყობი, მით უმეტეს ისეთ ადამიანს, რომელიც კაცში ყოველთვის უარყოფითს ეძებს. ხოლო უარყოფითის გარეშე, ჩემი აზრით, არც არავინ არსებობს. კაცმა დადებითი უნდა ეძებოს ადამიანში და თუ დადებითი სჭარბობს, ნეგატიურის დაჩრდილვა სირთულეს არ წარმოადგენს. ქისტური ანდაზა გვარიგებს: „მეგობარში უარყოფითის ძებნა არ დაიწყო, თორემ დაკარგავ მეგობარს!“. სწორედ ნადირობის დროს წარმოჩინდება პარტნიორის შინა-

განი ბუნება, ერთმანეთს კარგად გაიცნობენ და თუ ხასიათებში თანხვედრა მოხდა, განუყრელი მეგობრები ხდებიან.

ასეთი მეგობრები მყავდნენ ლაბაზ (ლაბო) ხანგოშვილი და ელიზბარ მარგოშვილი. ჩვენ თანასოფლელები ვიყავით და ხშირად დავდიოდით ერთად სანადიროდ, ჭირსა და ლხინში. ორივე ჩემზე უმცროსი იყო. ქისტური ადათის მიხედვით, ისინი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მეპყრობოდნენ.

ჯემალის ჩამოსვლისთანავე, ცხადია, მაშინვე მეგობრებს შევეხმიანე. ლაბო სახლში არ აღმოჩნდა, დიდგვერდის მთაში ცხვრის პარსვაში ეხმარებოდა მეცხვარეებს. მეც დიდგვერდში ვაპირებდი სტუმრის სანადიროდ წაყვანას და გამიხარდა კიდეც, რომ ლაბო იქ დაგვხვდებოდა.

მაგრამ ელიზბარმა, რომელიც მაშინვე დამეთანხმა წამოსვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეს მოცდებოდა (სტომატოლოგია და ყოველთვის კლიენტების რიგი იდგა მის კარზე), გეგმა შემიცვალა.

– დღეს ჩემთან იყო კოლმეურნეობის ცხვრის ბრიგადირი სოლცა მარგოშვილი, რომელიც კბილის ტკივილმა მომაყენა კარზე. საუბარს შევყევით და მითხრა, რომ ცხვარი უყენია კუპრაბალინჩოს მთაზე – ბინიდან არცთუ შორს, ლეკთ ვაკის დაბლა არის მუჟა (სალოკი). ლეკთ ვაკის მოპირდაპირე ქედის ცერზე ყოველთვის ვხედავ, როგორ ჩადიან მუჟაზე დაწილაკებით ფსიტებიო.

– ვიცი კუპრაბალინჩო. სპეროზაზე ყოფნის დროს კარგად დავათვალიერე ის მთა, მაგრამ იქ ნადირი არ შემინიშნავს და არც რელიეფია იქ ისეთი, რომ არჩვებმა საბინადროდ შეარჩიონ.

– შენ კუპრაბალინჩოს აღმოსავლეთის, სპეროზას მოპირდაპირე ფერდობს იცნობ, საუბარი კი დასავლეთის მხარეზეა. დარწმუნებით მითხრა, ნადირი ბლომად არისო. თანაც სოლცა ცხენებით არის ჩამოსული, ხვალ უკან მიემგზავრება და ჩვენც დავემგზავრებით. დაბარებულივით შემხვდა ეგ კაცი, ცხენებისთვის ჯახირი არ დაგვჭირდება, – დაბეჯითებით მიხსნის მეგობარი.

– კარგი, წავალ, მოვემზადები, სოლცასაც ვნახავ, შევათანხმებ ყველაფერს. ჰო, მართლა, სასმელი გვჭირდება, ჭაჭის არაყი უნდა ვიშოვოთ, ჩვენს ჟიპიტაურს მთაში არ აქვს გასავალი.

– მოიცა, მე უფრო კარგი ვარიანტი მაქვს: ახმეტაში ჩავიდეთ, აფთიაქარი თენგიზი ვნახოთ, ოქროს კაცია, სამედიცინო სპირტს მოგვცემს, მწყემსები დავაგემოვნოთ ცივილიზებული სასმელით, – სიცილით მეუბნება ელიზბარი.

– მაშინ ახლავე ჩავიდეთ, საქმეს ნუ გადავდებთ, სოლცასთანაც შევათანხმოთ მგზავრობა, – ავჩქარდი მე.

ბრიგადირი ვნახეთ და ვთხოვეთ მასპინძლობა. სოლცა სიხარულით დაგვეთანხმა. ახმეტის საავადმყოფოს აფთიაქში თენგიზ ბორჩაშვილი დაგვხვდა – გამორჩეულად წესიერი, ხელგაშლილი, კულტურული, თავისი ხალხისმოყვარე კაცი. როცა გაიგო, რისთვის ვიყავით გარჯილები, გვკითხა – რამდენი გინდათო. როცა ელიზბარმა უთხრა – ორი ლიტრა მაინც გვინდაო, გაუკვირდა – ამდენი სპირტი რისთვის გჭირდებათო. ჩვენს ახსნას არც კი დაუცადა, საწყობში გავიდა და სამლიტრიანი მინის ჭურჭლით გამოგვიტანა სპირტი. ღმერთმა აცხონოს მისი სული, დიდებული პიროვნება იყო.

მშრალად გამოყვანილი ძეხვიც გამოვიყოლეთ და დავბრუნდით სახლში. იმ დღესვე თოფები, ვაზნები, თბილი ჩასაცმელი და საგზალი მოვამზადეთ, საღამო ერთად გავატარეთ, ზომიერად მოვილხინეთ, ქეიფს არ შევყევით, რადგან მეორე დღეს საკმაოდ რთული მგზავრობა გველოდა.

როცა მთაში ვაპირებდით ასვლას, ყოველთვის შევთანხმდებოდით, რომ დილით ადრე გავიდოდით სოფლიდან, მაგრამ არ მახსოვს, რომ როდისმე დათქმულ დროზე გავსულიყავით. განსაკუთრებით მაშინ ვგვიანდებოდით, როცა მგზავრობა მწყემსებთან ერთად გვიწევდა. მწყემსს არსად ეჩქარება, მისთვის დრო არაა განსაზღვრული, მთავარია, დანიშნულ ადგილამდე დაღამებამდე მივიდეს. თუ გზაში დაუღამდა, არც ამაზე დაღონდება, რადგან დაჩვეულია ღია ცის ქვეშ ღამის თევას – არც ავდარი აშინებს, წვიმა და თოვლი ხომ მისი მუდმივი თანამგზავრია.

მზე კარგა ამოსული იყო, როდესაც დუისიდან გავედით. ნაბდებსა და საწვიმარებში გახვეული იარაღი დამალული გვქონდა, მაგრამ სოფლების განაპირას სიარული ვირჩიეთ, უფრო დაზღვეული ვიქნებოდით. ბრიგადირის სახლის პირდაპირ ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე გავედით და ავყევით ალაზნის ნაპირს ჩრდილოეთით, მთებისკენ.

ხადორთან აღმოსავლეთით გავუხვიეთ და ავყევით ქოჩადლის ხევს. ქოჩადლის ქოხების მისადგომებამდე სატყეოს მიერ გაყვანილი სამანქანო გზა იყო, აღმართი არ არის და ტაატით მივდიოდით. აქეთურ-იქითურზე საუბარში ლამაზურის მისადგომებთან ავედით. აქ ჯოყოლოელების რამდენიმე ქოხი იდგა. ზაფხულში აჰყავდათ საქონელი, წველიდნენ, რძეს დღვებდნენ და ერბოს და ხაჭოს ამზადებდნენ.

ქოჩადალა ხევის თავში, საქისტოს, ტბათანისა და ლამაზურის რკალისებურად განლაგებული ქედების ძირში ქვაბულშია მოქცეული. ვერაფერი სააგარაკო ადგილია, საკუთარი საძოვარიც პატარაა, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, მაგრამ საქონელი გადის საქისტოს, ლამაზურისა და ტბათანის დაქანებულ ფერდობებზე და, ამ საძოვრებით, იოლად გადის.

სათავო ქოხში, საიდანაც გზა ლამაზურის ფერდობისკენ იწყებოდა, შევისვენეთ. ჯოყოლოელი ტასო მოგვეგება, გულთბილად მიგვიღო, სწრაფად მოამზადა ერბო-ხაჭო, ახალი ყველიც დაგვიჭრა და, წარმოიდგინეთ, ჟიპიტაურითაც (ხილის არაყი) გაგვიმასპინძლდა.

მასპინძლობისთვის მადლობა გადავუხადეთ და ავჩქარდით – დაღამებამდე უნდა მიგვეღწია კუპრაბალინჩომდე, წინ კი დიდი გზა გვედო. წინა პატარა ლამაზურის, მართლაც, ლამაზ მზისპირა ფერდობებს ავუყევით, ბილიკი კლაკნილად მიჰყვებოდა აღმართს, ცხენები გზისპირა ბალახს ეტანებოდნენ და ხშირად ვუჯავრდებოდით.

ავედით ლამაზურ-სუბუქის კეხზე, გოხიანი, ქაოტურად მიყრილ-მოყრილი უზარმაზარი ლოდების გორი მარჯვნივ მოვიტოვეთ და ქედის უნაგირზე გადავედით. ეს ერთგვარი წყალ-

გამყოფი ქედია. მარცხნივ ლამაზურის პატარა მდინარე და ნაკადულები ჩრდილოეთით წიფლოვანის ხევში ეშვება და ალაზანს უერთდება, მარჯვნივ სამხრეთით ნაკადულები ქოჩადლის ხევში ჩაედინება და ხადორთან ასევე ალაზანს უერთდება.

აქედან თვალწარმტაცი სურათი იშლება. ჩრდილო-დასავლეთით ბუმბერაზი ბორბალოა აღმართული, მისი გუმბათი წვიმისა და ქარისგან, თოვლისა და ყინულისგან ჩამორეცხილი, ნისლის ბურუსშია გახვეული. აღმოსავლეთით მწვანით მოსილი ქედი სპეროზას მიადგება, სადაც სურათი მკვეთრად იცვლება – მწვანე ხალიჩას მკაცრი, ჭიუხის ქარაფი სალი კლდეები, ცაში აზიდული მარჯნისფერი კლდეების დანივით ვიწრო ფხები ენაცვლება. დასავლეთით აზიდულა საქისტო, სამხრეთით ბორცვებიანი და ვაკედ აღმოსავლეთისკენ გაზიდული ტბათანა; აღმოსავლეთით დიდგვერდი, ხორაჯო და ნაქერალა ქმნიან ქედის მწვერვალების რიგს, რომელიც ერთიან მწვერვალთა მძივად ეშვება სამხრეთისკენ ტყით შემოსილი შავი ქედით, რომელიც ბახტრიონთან წყდება, ხოლო საქისტოს მწვერვალიდან დაშვებული ზუროსგორის ქედი დიდ და პატარა ურთანეულით პანკისს მარჯვნივ ჩაჰყვება და ასევე ტყით დაფარული ზედ კურტანაძეულთან, სოფელ მატანის თავში მთავრდება.

დიდ ანუ უკანა ლამაზურის ხევში ჩავედით, წისქვილის წყალზე უფრო მოზრდილ ლამაზურის მდინარეში გავედით და ფერდობზე ჩრდილოეთისკენ მიმავალ ბილიკს გავყევით, რომელმაც იტორზე, ლამაზურის ქედიდან ჩრდილოეთისკენ დაშვებულ გორაზე გაგვიყვანა. ეს ქედი დაბლა წიფლოვანის ხევში ეშვება, ტყის ზოლიდან ორასიოდე მეტრის ზემოთ ვაკე ადგილია, სადაც შევისვენეთ.

დავიწყეთ წიფლოვანის ხევისკენ ალაზანზე დაშვება. ბილიკი ქედის ცერს ჩაჰყვება, მიხვეულ-მოხვეულად, ცად ატყორცნილი, აშოლტილი წიფლის ხეებს შორის. თითქმის ერთი სიმაღლისა და ერთი დიამეტრის შუბივით სწორი ხეები, ერთმა-

ნეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული, ადამიანის მიერ დაგეგმილ და დარგულ ხეებს ჰგვანან.

– ვოშა, ნახე, როგორი ტყეა, ცოდო არ არის, რომ მიუწვდომელია ადამიანისთვის, – სინანულით მეუბნება ელიზბარი.

– პირიქით, ძალიან კარგია, რომ ადამიანისთვის მიუწვდომელია, თორემ ასე ვერ დატკბებოდი ამ სიმშვენიერით, – ვპასუხობ.

– მართალია, სადაც ადამიანი მიწვდა, იქ ბუნება განადგურდა და ნადგურდება დღესაც. იმიტომაც მიყვარს მთებში სიარული, რომ აქ ბუნება ხელუხლებელია, – ჩაერია საუბარში ჯემალი.

მსხვილი კენჭებით მთლიანად დაფარული ბილიკი ძნელი სავალი იყო. განსაკუთრებით ცხენებს უჭირდათ, ფეხს ვერ იკიდებდნენ, ფეხქვეშ კენჭები უგორდებოდათ და ძლივს იცავდნენ წონასწორობას.

– სოლცა, რატომ არ მიხედავთ ამ გზას? – ეკითხება ელიზბარი სოლცას.

– მე რა, საგზაოდან ხომ არა ვარ, აქ გზები ვაკეთო, – სიცილით პასუხობს ბრიგადირი.

– რა შუაშია საგზაო. მე ვიცი, რომ ადრე ერთ სულ ცხვარს აძლევდნენ მუშას განსაზღვრულ მონაკვეთზე გზის გაწმენდაში. მიეცით ხალხს გასამრჯელო და გაწმენდს, – არა ცხრება ელიზბარი.

– შენ თუ მოკიდებ ამ საქმეს ხელს, ძმაო! სხვის პირში ფათურსა და კბილების დაძრობას, მგონი, სჯობია, გაწმინდო მთებში ბილიკები. ცხვარიც გეყოლება და სამადლო საქმეც იქნება, – ვქილიკობ.

– მე კი მგონია, მტკივანი კბილის ამოღებასა და მკურნალობაზე დიდი სამადლო საქმე არ არსებობს. თანაც სახლში ვარ, არც მაწვიმს და არც მათოვს, მშვენივრად ვაკეთებ ფულს, – ამბობს ელიზბარი.

როგორც იქნა, ჩავაღწიეთ მდინარემდე, ცხენებზე შევსხედით, გავედით ალაზანში და ავყევით კუპრაბალინჩოს სერს. მკვეთრი აღმართი იყო, მაგრამ ცხენებიდან არ ჩამოვსულ-

ვართ. კენჭოვანი ბილიკით დაბლა დაშვების დროს დაძაბულობისგან წვივისა და ბარძაყის კუნთები გვტკიოდა.

ჯემალს შეეცოდა ცხენი, ჩამოვიდა და წინ მიმავლებს დაგვიყვირა:

– ჩამოდით ცხენებიდან, არ გეცოდებათ, თუშები ხომ არ ხართ, აღმართ-დაღმართში უნაგირზე ამოსულებივით რომ სხედან.

– ძალიან ჭკვიანი ხალხია თუშები, რა, ცხენებს საკუთარი თავი არ ურჩევნიათ? – კვლავ ქილიკობს ელიზბარი.

კუპრაბალინჩო ნისლში გახვეული დაგვხვდა. საერთოდ, ნისლიანი მთა რომ არის, ტბათანიდან კარგად ჩანს. წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი გარშემო მთებს და ეს მთა, უმეტეს შემთხვევაში, ჩაშავებული, ქუშ ღრუბლებში იყო გახვეული. სახელიც, ალბათ, აქედან დაერქვა – კუპრივითაა ხოლმე ჩაშავებული. ამ ნისლიან მთაზე ტბათანაში, მახსოვს, მღეროდნენ თუშის ქალები:

„კუპრაბალინჩოს სერებო,
ჩაშავებულნო ნისლითა...“

მზე ჩასული იყო, მთებს ბინდი ნელ-ნელა ეპარებოდა, როცა ბინას მივაღწიეთ. ბინა ზედ ცერზე, პატარა დავაკებულ ადგილზე დაედგათ. ქოხის უკან ცხვარი თეოზე დგებოდა, როცა ბინას მივადექით. ძაღლები ყეფით გამოექანნენ, მაგრამ პატრონი იცნეს, მიყუჩდნენ, უკანა ფეხებზე ჩამოსხდნენ და ცნობისმოყვარეობით დაგვიწყეს ყურება.

ზემოდან მეცხვარე ჩამოვიდა, მოგვესალმა, სათითაოდ გადაგვეხვია, აშკარად ეტყობოდა სიხარული. დუმასტურელი ოსი იყო, გაიოზი, კარგად ვიცნობდი. მის სოფელში მასწავლებლად ვმუშაობდი, პატარა სოფელია და ყველას ვიცნობდი. რაც შეეხება გაიოზს, მას პატარაობიდან ვიცნობდი, კარგი მოჭიდავე იყო და ხშირად ჩამოდიოდა სოფელ დუისში საჭიდაოდ. ჩემს ყმაწვილობაში და ახალგაზრდობაშიც დუისში ყოველ კვირას

იმართებოდა ჭიდაობა. მოჭიდავეები პანკისის ყველა სოფლიდან მოდიოდნენ და ერთმანეთს ერკინებოდნენ.

– გაიოზ, საპატიო სტუმრები გვყავს, მასპინძელი შენ ხარ და აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, – უთხრა ბრიგადირმა თავის მწყემსს.

– ფიქრი ნუ გაქვს, სტუმრის დახვედრა არ გვესწავლება, – თქვა გაიოზმა, – ბრიგადირო, იმ ყოჩს, შენი ბარში გამგზავრებამდეც რომ კოჭლობდა, ბინის ახლოს ვტოვებ, ფარაში არ ვუშვებ, ჩამორჩება ხოლმე და მისი თრევა მიხდება, ახლავე ყელს გამოვჭრი.

– აბა, აბა, თქვენი ავადმყოფი, ხეიბარი ცხვარი ვის სჭირდება, ვიცი მე თქვენი ძუნწობის ამბავი, – თუთაშხიას სტილზე გადავიდა კბილის ოსტატი, – ამ თბილისელი კაცის სალაპარაკო არ გაგვხადოთ.

– ნუ ჩქარობ, ჯერ ნახე საქონელი, – უპასუხა გაიოზმა და ხევისკენ წავიდა, მალევე გამოჩნდა მხრებზე შემოგდებული ვეებერთელა ცხვრით და ელიზბარის წინ დაახეთქა. ჩვენ მუშტრის თვალით შევათვალიერეთ ცხვარი – ყოჩი სიმსუქნისაგან ტყავში ვერ ეტეოდა და წუნია სტომატოლოგმაც კი ვერ გამოუნახა ნაკლი.

ვახშმის მზადებაში ჩვენც მივეშველეთ მეცხვარეს – ერთმა წყალი მოარბენინა, მეორემ შეშა დაჩეხა, მესამემ ხორცი დაჭრა და საქმეც წინ წავიდა. სანამ ხორცი იხარშებოდა, მწვადიც ავაგეთ შამფურებზე, სუფრაც ხელად გაიშალა. ახალი ყველი, ბარიდან ამოტანილი მწვანილი, კიტრი, პომიდორი, ძეხვეული ამშვენებს მეცხვარულ სუფრას.

ელიზბარმა სპირტი წყალში გააზავა, ჩამოასხა პატარა ყანწში და სახურავზე წვიმის წვეთებმაც გაიხმაურა. მონადირემ ყურები დაცქვიტა, წამოიწია, ცეცხლის შუქს მოშორდა, გარეთ გაიხედა და სახე დაემანჭა:

– ვიცოდი, გუმანით ვგრძნობდი, რომ წეღანდელი შავი ღრუბლები ავდარს მოიტანდა, არ მომეწონა ეს მთა, სახელს, ასეთ უცნაურს, ხალხი ტყუილად კი არ შეარქმევდა.

– მოიცა, ენამ არ გიყივლოს, მართლა, წვიმები არ გაგრძელდეს. მთაში პირველად ხომ არ ხარ, მთამ ასე იცის, დღეს დარია, ხვალ ავდარი, დღეში ხუთჯერ იცვლის გუნებას ლამაზი ქალივით, – გავეხუმრე მეგობარს. არ მინდა, გუნება გაუფუჭდეს და ჩემი სიტყვების დასადასტურებლად მეცხვარეს მივუბრუნდი, – სოლცა, ეს მთაც ხომ დანარჩენების მსგავსია ამ მხრივ?

– თუ ერთი დაიწყო, მთელი კვირა გრძელდება ხოლმე. აქ მეცხვარე თვის განმავლობაში ორიოდე დღე თუ არის დაუსვეელებელი. ავდარიანი მთაა, რომ მცოდნოდა, არაფრით არ დავდგებოდი აქ.

ელიზბარმა დაცინვით შემომხედა, ადღეგრძელა კუპრაბალინჩო, ადგილის დედა, ალაჰს კარგი ნადირობა შესთხოვა და ყანწი გამოცალა. როცა ჯერი გაიოზზე მიდგა, სასტიკი უარი განაცხადა:

– ექიმებმა ამიკრძალეს, ღვინო და არაყი არ დალიოო, ძალიან ცუდად ვხდები.

– აბა, ლუდს აქ ვერ მოგიტან. ის მაინც თუ იცი, როგორ ეთქვა ოსს მასპინძლისთვის, როცა ჰკითხა – ღვინოს დალევ თუ არაყსო? ლუდსაც დავლევო!

– გაიოზ, შენ ექიმებმა აგიკრძალეს ღვინისა და არყის დალევა, ეს კი სპირტია! სამედიცინო სპირტი, რომელსაც წამლად ხმარობენ ექიმები. მიდი, დალიე, დარწმუნებული ვარ, უკეთესად იქნები, – ვაქეზებ მე.

– ჰა, აიღე და დალიე! შენმა მზემ, დაჩვეული ხარ ასეთ სამეფო სასმელს. სულადის ოსურ არაყზე ხარ გაზრდილი და აქ, ამ მიყრუებულ მთაში სამედიცინო სპირტს მიწუნებ, – აწვება ელიზბარი.

– ელიზბარ, ხასო, დაანებეთ თავი, ნუ აძალებთ, ამ კაცმა თავად იცის, რა მოუხდება და რა არა, – საუბარში ჩაერია ჯემალი.

– აი, ჭკვიანი კაცი, მართალს ამბობს, – მხარი დაუჭირა სოლცამ, – გაიოზს, მართლაც, არ უხდება სასმელი. ნუ დაა-

ლევინებთ, ავად გახდება და მთელი კვირა მარტოს მომიხდება ცხვრის მოვლა.

– ამ ქალაქელმა რა იცის აქაური ცხოვრებისა, მეცხვარე და არაყზე უარს ამბობდეს, არ გამიგონია და დალევით რომ კაცი ავად ხდებოდეს, არც ესაა ჩემთვის გასაგები. შეიძლება, კაცმა ცუდი პახმელიაობა იცოდეს, ეს გასაგებია. ბრიგადირს არაფერი დაუშავდება, სანამ გაიოზი პახმელიიდან გამოვა, ცხვარს რომ მიხედოს, ისედაც ხომ უნდა წავიდეს ცხვარში ჩვენი ნადირობის დროს, გაიოზმა ჩვენ უნდა გაგვიწიოს მეგზურობა, – თავისაზე დგას ელიზბარი.

მეც აქტიურად დავუჭირე მხარი და გაიოზმაც ხათრი არ გაგვიტეხა, თანაც დაიმედებულმა, რომ სპირტი ავადმყოფ კუჭს არ გაუღიზიანებდა, ყანწი გამოცალა.

გარეთ წვიმამ უკვე მაგრად დაუშვა. გუნება გაგვიფუჭდა და სმას მივეძალეთ. ხაშლამა და მწვადი, ლოთები რომ იტყვიან – ოხრად იყო. სპირტმა, საერთოდ მაგარმა არაყმა, შეტყუება იცის და დიდხანს შევყევით სმას.

დილით გვიან გავიღვიძეთ. სოლცას ცხვარი დილაადრიან აეშალა და საძოვარზე გაერეკა. გარეთ გამოვედი, არემარე ნისლში იყო გახვეული, ჟინჟლავდა. ერთი სიტყვით სანადიროდ ყველაზე უარესი ამინდი იდგა. ისეთი პირი არ უჩანდა, მალე რომ გამოიდარებდა. დაბლა ხევებიდან ყომრალი ღრუბლები მაღლა მოიწევდა, ხანდახან მთის ფერდობების ან ქედების ცერებს თუ მწვერვალებს გამოაჩენდა და მომდევნო ნაკადი კი ისევ ბურუსში ხვევდა.

ღრუბლიანი, ბურუსიანი, ჩამოქუფრული ამინდი იდგა. ვიდექი და ვუცქეროდი, თუ როგორ ერეკებოდა ნელი ნიავი ჯანღს აღმა, მთების მწვერვალებისკენ და იქ იბუდებდა. ასეთ წვიმიან ამინდში შეიძლება ერთი კვირაც კი არ მოჰკრა თვალი მთის წვერებს. უნებურად გამახსენდა გაბრიელ ჯაბუშანური, „აბრაგის ნატვრაში“ რომ ამბობს:

„აგერა გაღმა ის ნისლი, ქარმა რომ გამააქცია,
აღმა რომ მოერეკება და შესვენებას არ აცლის...“

მაგრამ ახლა აბრაგის ხასიათზე არ ვიყავი, ქოხისკენ შემოვბრუნდი და შევძახე:

– ჰეი, ძილისგუდებო, გაიღვიძეთ და გამოიხედეთ კარში, მონადირენო, ჩარაჰნო, ლოთებო, ფოთებო, ჯიხვების ჯოგი გვიტევს.

გაიღვიძეს, ზლაზვნით წამოდგნენ, გაიზმორნენ, „პახმელიის“ სიფათებით გამოლაგდნენ ქოხის წინ და ყველაფერს მიხვდნენ.

– ხომ გითხარით! როგორც კი შევხედე, არ მომეწონა ეს ოხერი მთა, რომ ამოვედით, კუპრივით იყო ჩაშავებული, თავის სახელს ამართლებდა. მოდით, ახლა ხელ-პირი დავიბანოთ, კარგად ვისაუზმოთ და სახლისკენ გავწიოთ, – განაცხადა დოქტორმა.

სწორედ ამის მეშინოდა. ვიცნობდი რა მის ხასიათს, არ უყვარდა მთაში დიდხანს დარჩენა, მაქსიმუმი ორი-სამი ღამე გაეთენებინა. დავუწყე დამშვიდება:

– რა, მთას არ იცნობ?! დღეს ავდარია, ხვალ დარი; უფრო მეტიც, დღეში რამდენჯერმე იცვლება ამინდი, ეს მთის კანონია. პირველ ნაწილში გეთანხმები, კარგად ვისაუზმოთ და ამასობაში, ვფიქრობ, ამინდიც გამოიცვლება, ხომ ხედავ, ქარი კინწისკვრით როგორ ერეკება ნისლს მთის წვერისკენ. ეს კარგი ამინდის ნიშანია, დაუჯერე უფროსს.

უფროსის პატივისცემა იცოდა ელიზბარმა, ზრდილი ჯეელი იყო.

– კი ბატონოო, – მითხრა და წყაროსკენ წავიდა. კი ვიცოდი, რომ ამ ყომრალი, ქუში ღრუბლებისგან კარგი ამინდი მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ გული მწყდებოდა, რომ ქალაქელ სტუმარს ჯეროვნად ვერ ვცემდი პატივს.

ცხადია, საუზმეს სპირტიც დავაყოლეთ. ეს აუცილებელი იყო, რადგან გაიოზი ჩიოდა – კუჭი მტკივაო. საუზმე კარგა ხანს გაგვიგრძელდა, ხშირად რომელიმე გარეთ გადიოდა და ამინდის შესახებ გვაწვდიდა ცნობას. ბოლოს ჯემალმა გვაცნობა, რომ დაბლა ნისლი არ იყო, მხოლოდ მთის წვერები ჩაუბნელებიაო.

ჩვენთვის მთავარი იყო ხევები და ტყის პირები. ხევის ძირში, ალაზნისა და მაჟურის ხევის შესართავში მდებარეობდა მუჟა, მლაშე წყლის ჟონვის ადგილი, არჩვებისა და ჯიხვების სალოკი ადგილი, სადაც უნდა გვენადირა. მე და ელიზბარი არ ვიცნობდით ამ ადგილებს, გაიოზი კი ნამყოფი იყო და ის გაგვიწევდა მეგზურობას. ჩვენგან მარჯვნივ, დაბლა იყო ვაკე ადგილი, რომელსაც ლეკთ ვაკეს ეძახდნენ. მის ქვემოთ იწყებოდა ტყის ზოლი და დასავლეთით, ტყით დაფარული ქედით, ხევამდე ჩასდევდა. როგორც გაიოზმა აგვიხსნა, ამ ქედის ცერს უნდა ჩავყოლოდით ხევისკენ, მუჟა (სალოკი) მდებარეობდა გაღმა მთის ფედობის ძირში და სალოკზე ჩამოსული ნადირისთვის ტყიდან უნდა გვესროლა. ეს ფრიად მოსახერხებელი ადგილი იყო ჩასაფრებისათვის, ლეკთ ვაკიდან დურბინდით დაზვერვა და ტყით მიპარვა ადვილი იყო, თუ მონადირეს ჩასვლა და სახუნდარში ჯდომა ეზარებოდა.

სპირტისგან დოპინგმიღებულები ენთუზიაზმით მოვემზადეთ და დაბლა დავეშვით. ლეკთ ვაკემდე ციცაბო დაღმართი იყო, მაგრამ დაკლაკნილი ბილიკი ჩასდევდა. ეტყობოდა, დაბლა მეცხვარეები ცხვარს აყენებდნენ, სხვანაირად ასეთი ბილიკი არ იქნებოდა, თანაც კარგად იყო გაკვალული მწვანედ გაშლილ მინდორზე.

დაღმართი ჩავიარეთ, გავედით ლეკთ ვაკეში და დაბლა ტყისკენ ცერად გავყევით. გაიოზმა გვითხრა, რომ ამ ვაკის მაღლა, მთის წვერისკენ კლდეებით მოფენილ ფერდობებზე ხშირად ვხედავდი ფსიტების ჯოგსო. ახლა ის ადგილები ბურუსში იყო გახვეული.

ტყეში ქედის ცერზე ბილიკი ეშვებოდა ხევისკენ. აქ ფერდობი დამრეცი არ იყო, ხშირი, ცადაწვდილი წიფლის ხეებს ისეთი სწორი, ტოტების გარეშე აეშოლტათ ტანი, ხშირ ფიჭვნარს მოგაგონებდათ. ძალიან ლამაზი ტყე იყო, სიამოვნებდა კაცს ცქერა თითქმის ერთნაირი სიშორით დაშორებული, ერთი ზომის სიმსხო და სიმაღლის ხეების ცქერა, რომელთაც მაღლა, სადღაც ცაში ქოლგებივით გაეშალათ ტოტები. მთაში, პანკი-

სის მთებში წიფლის ტყეები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, უცხო ტყეც კი ნაცნობი გგონია.

წვიმა კვლავ წამოვიდა. ვიცოდით, რომ აზრი არ ჰქონდა დაბლა ჩასვლას, მაგრამ გზას მაინც განვაგრძობდით. როცა ხევს ასიოდე მეტრით დავუახლოვდით, ხევგაღმა, კლდის ძირში გამოჩნდა ორიოდე საჟენის (4 მეტრი) სიგრძის შავი ზოლი, რომელიც სველი ჩანდა. მართალია, ირგვლივ ყველაფერი სველი იყო – მიწა, ბალახი, ხის ტოტები, კლდეები, მაგრამ ეს სისველე გამოირჩეოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ნაჟური იყო.

წიფლის ხეების ქვეშ ჩამოვსხედით, ყურადღებით ვაკვირდებოდით მოპირდაპირე ფერდობებს. უფრო სწორად ფერდობების იმ ნაწილს, რომელიც ჯანღით არ იყო დაფარული. აქაც იტურისა და ლამაზურის მწვერვალები ნისლში იყო გახვეული.

დიდხანს არ ვმსხდარვართ სახუნდარში, რადგან ქვევიდან, წიფლოვანის ხევიდან დაწყებული ნისლი ალაზნის ხეობას აღმა მოჰყვებოდა. ცოტაც და, მთლიანად დაფარა ალაზნისა და მაჟურის ხევები. ლოდინს უკვე აზრი არ ჰქონდა, არჩვები წვიმიან ამინდში იშვიათად სტუმრობენ სალოკს, უფრო გვალვიან ამინდში ეტანებიან. ჩვენი უკან დაბრუნება იმანაც დააჩქარა, რომ გაიოზმა ჩივილი დაიწყო, კუჭი ძალზე მაწუხებსო.

უკან გამოვბრუნდით, ამოვცდით ტყის ზოლს, ლეკთ ვაკე გამოივარეთ და კუპრაბალინჩოს ქედის ციცაბო ფერდობს შევუდექით. გაიოზს ტკივილები გაუძლიერდა, კვნესა დაიწყო, გვეუბნებოდა, – აქ დავრჩები, თქვენ წადითო. გზაში როგორ დავტოვებდით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვერ ვუღალატებდით მონადირის მთავარ პრინციპს – ამხანაგი არასოდეს მიატოვო გასაჭირში, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლეც უნდა ჩაადგო საფრთხეში მის გადასარჩენად.

ვამხნევებდით ამხანაგს, მაგრამ შუა აღმართში ვიყავით, როცა გაიოზმა უარი თქვა სიარულზე. მხრებში ამოვუდექით, ვიწრო ბილიკზე ძალზე ძნელი იყო ორისთვის სიარული, რიგ-რიგობით, მონაცვლეობით კუს ნაბიჯით მივიწევდით წინ, მაგრამ მალე გაიოზი ჩაიკეცა და იძულებული გავხდით, დაგვეწვინა.

– ხომ გეუბნებოდით, არ დაალევინოთ-მეთქი! კაცი გეუბნებოდათ, ექიმმა ამიკრძალა სასმელის მიღება, თქვენ კი მიადექით, მიაწექით და ძალად ასვით სპირტი, – უკმაყოფილოდ, შეწუხებული სახით გვითხრა ჯემალმა.

– რა, ძალად ჩავასხით პირში თუ? არ უნდოდა და ნუ დალევდა, თავისი მუცელი თავისი ნება არ იყო? – შეეპასუხა სტომატოლოგი, – სმისგან მთვრალი კაცი მინახავს, ავად გამხდარს პირველად შევესწარი, რაშია საქმე, ვერ ვხვდები.

– ეს ღიჯღიჯი არაფერს გვარგებს. თქვენ ორნი ადით ბინაში, სოლცაც თეოზე მოაყენებდა ცხვარს, ცხენი შეკაზმეთ და ჩამოიყვანეთ, სხვანაირად ამ კაცს ვერ ავიყვანთ ბინაში.

კარგად იყო დაბინდებული, როცა თავად ბრიგადირი ჩამოვიდა ცხენით, გაიოზი კვნესოდა – ვკვდები, ვაიმე დედაო, ჩიოდა საწყალი. ძალზე მეცოდებოდა, მაგრამ ვერაფერს ვშველოდი, თავადაც თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავი და სიცივისგან ვკანკალებდი.

ორივემ ხურჯინივით პირქვე გადავკიდეთ უნაგირზე გაიოზი, აქეთ-იქიდან ამოვუდექით ცხენს და დავიძარით. ცხენი ჭკვიანი გამოდგა, როგორც კი გაიოზის ტანი ცალ მხარეს მკვეთრად გადაიწევდა, ჩერდებოდა და საშუალებას გვაძლევდა, გაგვეწონასწორებინა. ასე ჯახირით მივაღწიეთ ბინას, „ჩამოვხსენით“ გაიოზი უნაგირიდან, ქოხში „შევიტანეთ“ და ნაბადზე დავაწვინეთ. მერე მეორე ნაბადი დავაფარეთ, კარგად შევფუთეთ და ცეცხლს შემოვუსხედით.

ბიჭებს ხაშლამიანი ქვაბი ცეცხლზე შემოედგათ, სამწვადე შამფურებზე აეგოთ და ვახშმის სამზადისში იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ძველებური ხალისი არ იგრძნობოდა, გაიოზის გამუდმებული კვნესა და წამოძახილი – „ვკვდებიო“, გუნებას გვიფუჭებდა, განსაკუთრებით ჯემალს, რომელიც ხშირად დგებოდა და აკითხავდა ავადმყოფს.

მე გზაში გამოვკითხე ბრიგადირს მისი მწყემსის შესახებ და ვიცოდი, რომ სასმელი, ჩვეულებრივ, სწყინდა და რამდენიმე დღე ავადობდა.

– ამიტომ გეუბნებოდით, ნუ დაალევინებთ-მეთქი. ეხლა მის მაგივრად მე უნდა ვიარო ცხვარში, – მითხრა სოლცამ. კეთილი კაცი იყო, უწყინარი, მაინცდამაინც არ წუხდა იმის გამო, რომ ცხვარზეც უნდა ეზრუნა და მწყემსისთვისაც უნდა მოევლო.

ჯემალი მართლა შეშფოთებული იყო, ყველაფერი ეს ძალზე სერიოზულად აღიქვა:

– კაცო, ამ კაცს თუ რამე დაემართა, პასუხისმგებლობა გვეკისრება, ამას ხომ აცნობიერებთ. ძალიან ცუდად არის, რომ მოკვდეს, რა გვეშველება?

– მოკვდება და ერთი ოსით ნაკლები იქნება ამქვეყნად. „მე რა გამგე ვარ ამისა“, – უდარდელად თქვა ელიზბარმა, გაიცინა და თვალი ჩამიკრა.

– რას ლაპარაკობ, სათქმელს უნდა დაუფიქრდე. ამის მამა ოსია, არ მოეწონება. – ქისტურად ვეუბნები თანამეინახეს.

ელიზბარი შეცბა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, ნათქვამს უკან არ წაიღებს, ჯორივით ჯიუტია.

ვახშამმა უგემურად ჩაიარა, ნაბდებში გავეხვიეთ და ცეცხლის პირზე მივწექით. მშვიდი ძილი არ გველოდა თურმე. გაიოზი წამდაუწუმ კვნესოდა, მისი – „ვაიმე, დედა, ვკვდები“ მოსვენების საშუალებას არ გვაძლევდა. მართალია, სოლცამ და ელიზბარმა ძილს მისცეს თავი, მაგრამ ჯემალი ხშირად წამოჯდებოდა, ავადმყოფს ამხნევებდა და მეც მომმართავდა ხოლმე:

– ბიჭო, რამე ვიღონოთ, კვდება ეს კაცი.

– ახლავე, სასწრაფოს დავურეკავ და უმალ გაჩნდებიან ექიმები. დაწექი, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება. – ელიზბარის ტონით ვპასუხობ.

მე არ ვღელავ, რადგან ბრიგადირის მშვიდ რეაგირებაზე დავასკვენი, რომ გაიოზს ასეთი „ავადმყოფობა“ ხშირად შეყრია, მაგრამ ჩემი სტუმრის მოუსვენრობა მეც მიფრთხობს ძილს.

დილით ადრიანად გვაღვიძებს ელიზბარი, ნაბდები გადაგვხადა და ფეხზე წამოგვახტუნა. ვიფიქრე, ხომ არაფერი მოხდა-მეთქი, მაგრამ გაიოზს მშვიდად ეძინა, ხანდახან ძილში წამოიკვნესებდა.

– აბა, ჩარაჰებო, მოემზადეთ, სახლში ვბრუნდებით. მთელი მთა ისეთ ნისლშია გახვეული, ორ მეტრზე არაფერი ჩანს. თანაც ჟინჟლავს, ეს ოხერი წვიმა მთელი კვირა გაგრძელდება, ასეა ეს.

გარეთ გავიხედეთ და დავინახეთ, რომ არემარე რძისფერ ნისლში იყო გახვეული, თანაც ცივი წვიმა ცრიდა. უცხვირპირო ამინდი იდგა. ასეთ ამინდში ქოხში ზიხარ, გძინავს ან კარტს თამაშობ. მაგრამ ყველაფერი ბოლოს და ბოლოს მოგბეზრდება, ერთფეროვნება ყელში ამოდის და დეპრესიაში ვარდები.

ჯემალი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას. მეც გამიხარდა, მაგრამ, როგორც ამ ნადირობის ინიციატორმა, პირის მოსაწმენდად ვთქვი:

– რა გვაჩქარებს, თეატრში ხომ არ გვაგვიანდება ან მთავრობის სხდომაზე ხომ არ ვართ დაბარებულები, ერთი დღეღამეც მოვითმინოთ, იქნებ ამინდი გამოვიდეს.

– ერთი-ორი საათითაც არ დავრჩები, მე მივდივარ, თქვენ თუ გნებავთ, ერთი კვირაც იყურყუტეთ ამ კუპრიან მთაში. სიტყვაზე, ვინ ამიხსნის სიტყვა „ბალინჩოს“ მნიშვნელობას?

– ეს ჩემს მეგობარ სულეიმანს ჰკითხე, მე არა ვარ ტოპონიმების სპეციალისტი. თუმცა ჩემი ახსნაც მაქვს: „კუპრა ბალინჩო“ ასე დავშალოთ: კუპრა ბალინ + ჩო. „კურ“ ქისტურად „კვამლს“ ნიშნავს, „ბალინ“ – იდგა, „ჩო“–„ჩუ“ – შიგ. თუმცა წოვურად უკეთესად იხსნება ეს ტოპონიმი – „კუპრ“ – შავი კვამლი, „ბალინ“ – იდგა, „ჩო“ – შიგ. მართლაც, ეს სახელწოდება ზუსტად ახასიათებს ამ მთას. თუ წასვლა გადაწყვიტეთ, წავსულვართ და ეგ არის.

სასწრაფოდ ვისაუზმეთ, ჩვენი ტანსაცმელი ზურგჩანთებში ჩავაწყეთ, ზურგზე წამოვიკიდეთ, თოფებს ხელი წამოვავლეთ და გარეთ გამოვედით.

– მოიცათ, სად გარბიხართ, ხორცი გავიყოლოთ თან, – თქვა ელიზბარმა და ქოხის დედაბოძზე ჩამოკიდებული ხორცისკენ გაემართა.

– მე ვერ ვათრევ ამ სიშორეზე ზურგით ერთ კილოგრამსაც, – კატეგორიული უარი სტკიცა ჯემალმა.

– არც მე ვარ მებარგული. აქედან ნადირის ხორცსაც კი არ წავიღებდი ზურგით, – მხარი მივეცი ჯემალს.

– თქვენი საქმისა თქვენ იცით, მე კი ხელცარიელი ვერ წავალ აქედან. ერთი რამ დაიმახსოვრეთ ორივემ: თუ ამინდი გამოვიდა და გზაში მწვადი მოისურვეთ, ვერ ეღირსებით, – თქვა კბილის დოქტორმა, ცხვარს ბარკალი და ნეკნი ჩამოაჭრა და ზურგჩანთაში ჩადო. მერე ქოხის კუთხისკენ წავიდა და ნახევარლიტრიანი სპირტიანი ბოთლი წამოიღო.

– რას შვები, კაცო, მთიდან არაყი ბარში უნდა წამოიღო?

– არ გინდათ? ძალიან კარგი, რაზე უნდა გემსახუროთ, თქვენი ბიჭი კი არა ვარ, – თქვა და ქოხში შებრუნდა.

მე პური და ყველი ავიღე გზაში საჭმელად, მწვანილი, კიტრი, პომიდორი და სპირტი მწყემსებს დავუტოვეთ და დავეშვით წიფლოვანის ხევისაკენ.

თავქვე სწრაფად ეშვები, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ტანი თავად მიგაქანებს ქვევით. პირველ ხანებში არაფერს გრძნობ, ხალისით მიდიხარ, ძუნძულზეც გადადიხარ, მაგრამ მერე წვივების უკანა კუნთებსა და ბარძაყების წინა კუნთებში იწყება ტკივილი, რომელიც სიარულში უკვე ხელს გიშლის.

სწრაფად ჩავედით წიფლოვანის ხევში, ალაზანში გატოპვა მოგვიხდა. მდინარე აქ პატარაა, მაგრამ ვიწრო კალაპოტში მოედინება და უზარმაზარ ლოდებზე ღრიალით ეხეთქება, ქაფს აყენებს და საშიში შესახედი არის.

ელიზბარი წინ მიდის, მეც უკან მივყვები. ჯემალს ვუთხარი, ჩვენს გასვლამდე მოეცადა. წყალი ყინულივით ცივია, სიცივისგან ფეხები ბატის ფეხებივით გაგვიწითლდა. ჩვენთვის ეს პრობლემა არაა, ალაზანზე ვართ გაზრდილები და არც მთის ცივი მდინარეებია უცხო.

გაღმა გავედით და ჯემალს დავუძახე, შემოსულიყო. ქალაქელი, ეტყობა, ნერვიულობდა, აღმა-დაღმა დაჰყვებოდა მცირე მონაკვეთზე. ბოლოს სპორტული ფეხსაცმელი, რომელიც ხელში ეჭირა, დაგვანახა, ერთს მოჰკიდა ხელი, მოიქნია და ჩვენსკენ ისროლა. ფეხსაცმელი გამოღმა წყლის ნაპირზე დაეცა,

ელიზბარი მივარდა და ხელი სტაცა, სანამ უკან წყალში გადავარდებოდა. ახლა მეორე ცალი მოიქნია და ისროლა, მაგრამ ნაპირამდე ვერ მოაღწია და მდინარეში ჩავარდა. კი გავქანდით ქვემოთ, გვინდოდა გაგვესწრო და ქვემოდან შევსულიყავით მდინარეში, მაგრამ ისე სწრაფად გააქანა აქოჩრებულმა წყალმა, რომ წყალში შესვლაც კი ვერ მოვასწარით.

ქალაქელი შეცბუნებული იდგა, მაგრამ რას იზამდა, შემოვიდა წყალში და ბორძიკ-ბორძიკით გამოვიდა მეორე ნაპირზე. ჩვენ დადარაჯებულები (ელიზბარი ჩემ ქვემოთ სამიოდე მეტრზე დადგა) ვიდექით – აბა, ფეხსაცმელივით წყალს ხომ არ გავატანდით სტუმარს.

პრობლემის წინაშე დავდექით. წვიმის მომატებაც კი ვერ შევნიშნეთ, ჩავიცვით და ვბჭობდით, როგორ მოვქცეულიყავით.

– ფეხსაცმლის გარეშე ამხელა გზას ვერაფრით გაივლის, თან რამხელა ფეხი ჰქონია, თავად ტანმორჩილია, რა შეუსაბამობაა, – უკმაყოფილებას ვერ ფარავს ელიზბარი.

– ახლა, შენი ფეხსაცმლის გულისთვის, ფეხებს ვერ დავიჭრი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე მთასვლელი ვარ, შენიშნავდი კიდეც, როგორ დავდივარ, – უთხრა ჯემალმა, – თანაც შენს ფეხსაცმელს ვერასდიდებით ვერ ჩავიცვამდი, თუნდაც რომ მომრგებოდა, არ ვარ ის კაცი, ჩემი ჭირი სხვას ავკიდო.

– მე ასეთი რამ არც მიგულისხმია, ჯემალ! შენ სტუმარი ხარ ჩვენი და ჩვენი ვალია, შენ პრობლემები არ შეგექმნას. მე ასეთი იდეა მაქვს: ჩავყვეთ ალაზნის კალაპოტს ნაპირ-ნაპირ, მართალია, ხშირად მოგვიწევს გაღმა-გამოღმა გასვლა-გამოსვლა, მაგრამ გზას ათჯერ მაინც შევიმოკლებთ.

– მეთევზე კაცი ხარ, ვოშა, ალბათ, ისიც გეცოდინება, რომ აქ, ამ სიმაღლეზე კალმახი არ ამოდის. წესით უნდა ყოფილიყო, კალმახს ცივი წყალი უყვარს, გეცოდინება. მაშ, რაშია საქმე, იქნებ ამიხსნა.

– დაბლა, აქედან რა მანძილზე, არ ვიცი, ჩანჩქერია. მეთევზეებს უთქვამთ ჩემთვის, რომ ჩანჩქერი ისეთი მაღალი და შვეულია, კალმახს არ ძალუძს მისი გადალახვა.

– ჰოო, აბა, ბრძენკაცო, თუ კალმახს ვერ გადაულახავს ჩანჩქერი, ჩვენ შევძლებთ ამას? – დაცინვით ვეკითხები.

– ჩვენ ჩანჩქერში კი არ ჩავეშვებით, არამედ შემოვუვლით, ბრძენთა ბრძენო, – არ ჩამორჩა ელიზბარიც.

– კი, მაგრამ შენ ხარ ნამყოფი ჩანჩქერთან? შესაძლებელია მისი შემოვლა და, თუ შესაძლებელია, რამდენ დროს მოვუნდებით ან დანის პირივით ვიწრო კლდის ფხაზე როგორ ივლის ფეხშიშველი კაცი; ან კიდევ, შემოვლის დროს როგორ უნდა ვიაროთ გაუკვალავ ტყეში, სადაც მაყვალი, მსუსხავი ჭინჭარი და სხვა მცენარეები კაცს ფარავს? – არ ვეშვები მეგობარს.

– მართალი ხარ, არ ვიცნობ იმ ადგილებს, იქნებ უკეთესი ვარიანტი შემოგვთავაზო, ვოშეი.

– დიახ, მაქვს უკეთესი ვარიანტი. უნდა ვიაროთ იმ გზით, რომლითაც მოვედით. შორი გზიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო, – უთქვამთ ძველებს.

სამხედრო ქუდი მეხურა, „პანამას“ რომ ეძახიან. მოვიხადე და ჯემალის გავუწოდე, რომელიც გაოცებული მიყურებდა.

– ჩაიცვი, ძმაო, უკეთესი ფეხსაცმელი არ გამაჩნია, თორემ არ დავიშურებდი, – იუმორით ვეუბნები ჯემალს, – ახლა მე ყაჰგს (ქუჩი) მოვიტან, შიგ ჩაიფენ, თოკით („პრეჟი“) კარგად შეფუთავ ფეხს და ნელა ვივლით.

მართლაც, კარგად შევფუთეთ ფეხი, ქალამანივით ამოიცვა პანამა, კოჭთან კარგად შევკარით და გამოვიდა მშვენიერი ფეხსაცმელი.

შევუდექით იტორის ტყიან ქედს. დაქანებული ქედი იყო. მივუყვებოდით წვიმაში კლაკნილ ბილიკს, ვსაუბრობდით ათას რამეზე და ნელა მივიწევდით წინ. წვიმა არცთუ ისე გვაწუხებდა, ხშირი წიფლის ხეების ქოლგებივით გაშლილი ტოტები გვფარავდა. თანაც დასველებული ტანსაცმელი სხეულის სითბოს გარეთ არ ატარებს, ტანზე სველი ტანსაცმელი თბება და სიცივეს არ ვგრძნობდით.

ალპურ ზონაზე ავედით, ლამაზურში გავედით და გოხიანთან რობიზონ გუმაშვილის ქოხში შევისვენეთ. რობის დედა ბაბაზეიმ, როგორც სჩვეოდა, გულთბილად მიგვიღო, სტუმართ-

მოყვარე ქალი იყო და კარგადაც გვიმასპინძლა: ერბო-ხაჭო მოგვიმზადა, ნაკვერჩხლებზე გორდილა გაათბო, თავშავას ჩაი დაგვალევინა და გამოგვისტუმრა.

ქოჩადალაში ჩავედით და გავუყევით გზას ხადორისკენ. ახლა სიარული გაადვილდა, ხევი ვაკედ ეშვებოდა აღმოსავლეთით, მაგრამ ფეხის კუნთებმა დაგვიწყო ტკივილი.

წინ ელიზბარი მიდიოდა, სრულიად არ გრძნობდა დაღლილობას, კარგი მოსიარულეა, დაუღალავი, სწრაფი. ის და ლაბო ყოველთვის მჯობნიდნენ მთაში სიარულში. მათი იუმორის ობიექტი ვიყავი ხოლმე: ხასოას საჭურველმტვირთველები ვართ, მის ბარგსა და თოფს ჩვენ ვეზიდებით სანადიროდ მთებში მგზავრობის დროსო და ა. შ. მძიმე ბარგი, მართლაც, მიჰქონდათ მეგობრებს, უმცროს-უფროსის ეთიკას მტკიცედ იცავდნენ, მაგრამ ჩემი იარაღი ყოველთვის თავად მიტარებია.

გავცდით თუ არა წიფლოვანის ჭალას, კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. იძულებულნი გავხდით, შევჩერებულიყავით და თავი სადმე შეგვეფარებინა. გზიდან ცოტა მოშორებით თხილის დიდი კორომი იდგა და იქ დაველოდეთ წვიმის გადაღებას, მთლიანად ვიყავით დასველებულნი, რომ იტყვიან, ტანსაცმლის ნაკერი ძაფიც კი არ დარჩა მშრალი.

როგორც კი წვიმამ გადაიღო, გადავწყვიტეთ, გაგვეჩაღებინა ცეცხლი და ტანსაცმელი გაგვეშრო, თანაც გვესადილა. მოვაგროვეთ ახლომახლო შეშა, მაგრამ შეშაც ჩვენსავით სველი იყო, ცეცხლის დანთებაც პრობლემა იყო. მონადირეს უნდა შეეძლოს უამინდობაში, წვიმასა და თოვლში ცეცხლის დანთება. ეს ელიზბარმა იტვირთა, მაგრამ გაგვაფრთხილა, რომ მწვადს ვერ ვეღირსებოდით.

– ძმებო, მოგეხსენებათ, ვინც არ შრომობს, ის არც ჭამს. მე გაგაფრთხილეთ, წამოგეღოთ ხორცი, თქვენ კი უარი თქვით. ჰოდა, ახლა მეც უარს გეუბნებით მწვადზე, მე ჩემი წილი წამოვიღე და მოვიხმარ ჩემს გუნებაზე, – განაცხადა მან.

– კაცო, ჯერ ცეცხლი დაგვინთე და გავშრეთ, შენი მწვადის თავი ვის აქვს, – ამბობს ჯემალი და „ქალამანს“ ისინჯავს.

ელიზბარმა ხმელი, დასველებული ხის ტოტი გარედან გათალა, სიმშრალემდე ჩავიდა და წვრილად ჩათალა. შემდეგ ნათალი მოაგროვა, სველი ფოთოლი გადაფხიკა, ქვეშ გათლილი მშრალი ნაფოტები დააწყო, ზედ წვრილები, მასზედ კვლავ მსხვილები და ასანთი მოუკიდა, მალე ბოლი ავარდა და ალის ენებმა დაიწყეს ფარფატი. მონადირე შ. გუმაშვილის ნათქვამი მახსოვდა: თუ შეშა ხმელია, მეჩხერად დააწყეთ, რომ ჰაერმა იმოძრაოს. თუ სველია, ან ნედლი, მიჯრით დააწყეთ, გათბება და ცეცხლი წაეკიდება. ამიტომ ნელ-ნელა, ერთმანეთზე მიწყობით დავაწყეთ ტოტები და ცეცხლიც გაჩაღდა. ალის მატებასთან ერთად შეშას ვუმატებდით და დიდი კოცონი გავაჩაღეთ, წრედ შემოვერტყით და ისეთი ოხშივარი ავარდა ჩვენი ტანსაცმლიდან, თითქმის ვერ ვხედავდით ერთმანეთს.

გავთბით, გამოვცოცხლდით, სიხალისე დაგვიბრუნდა და ხუმრობის ხასიათზე დავდექით. თხილიანში შევედი, დავაძრე მონადირული დანა, ერთი კონა შამფური მოვიტანე და თლა დავიწყე.

– რას შვრები, რისთვის გინდა შამფურები? – მეკითხება მეკბილე კბილების ღრეჭით.

– ნუ გაახურე საქმე, მიდი, ხორცი დაჭერი, მწვადები უნდა შევწვათ.

– მერე რა უნდა დააყოლო, ხომ გითხარი, ცოტა სპირტი გავიყოლოთ, გზაში დაგვჭირდება-მეთქი. შენ კი დაიჩემე, მთიდან სასმელი ბარისკენ როგორ უნდა წავიღოთო, სირცხვილიაო. ოჰ, ეხლა, ამ სიცივეში და სისველეში, გაწუწულ წიწილებს რომ დავემსგავსეთ, როგორ მოგვიხდებოდა, – ამბობდა ელიზბარი და თან ხორცს იღებდა ჩანთიდან.

– ჰო, მართალი ხარ, ახლა ას-ასი გრამი სპირტი მართლა დაგვხატავდა, – სინანული იგრძნობოდა ჯემალის ხმაში.

– კაცო, ელიზბარ, ყოველთვის კი არ უნდა დაუჯერო უფროსს, როცა საქმე სასმელს, ღვთაებრივ სპირტს ეხება, – უკბილოდ ვხუმრობ.

– მერე, ვისიამოვნოთ ამ სასმელით, ვინ გვიშლის, – თქვა ელიზბარმა და ზურგჩანთიდან სპირტიანი ბოთლი ამოიღო.

– აი, კაცი! – ერთად აღმოგვხვდა ორივეს.

მეკბილემ ჩანთიდან პლასტმასის დასაკეცი ჭიქაც ამოიღო, გაშალა, აავსო სასმელით და გამომაწოდა:

– სადღეგრძელო შეგვაწიე, მასწავლებელო.

ჭიქა ჩამოვართვი, ფეხზე ძლივს ავდექი და ზარზეიმით წარმოვთქვი:

– ღმერთო, დიდხანს აცოცხლე ის კაცი, რომელიც მშიერ-მწყურვალ მგზავრს დააპურებს, დასველებულ-გაციებულს გაათბობს, სიმხნევეს შემატებს შეღონებულს.

კარგად მივირთვით მონადირული მწვადები, სამ-სამი ჭიქა შეზავებული სპირტიც გადავკარით, ფერზე მოვედით და დავეშვით ხადორისკენ. მე და ჯემალის გვიჭირდა სიარული: მისი „ქალამანი“ გაცვდა და კენჭებზე სიარული უჭირდა, მე კიდევ ჯარისკაცური ფეხსაცმელი („ბათინკები“) პირველად მეცვა, ასეთ დიდ მანძილზე ფეხით სიარულს არ მოველოდი, თანდათან მომიჭირა და ფეხებზე ბებერები გამიჩინა.

ელიზბარი წინ მიიწევდა, მას ჯემალი მისდევდა და მე კი უკან კოჭლობით მივჩანჩალებდი. როგორც კი სოფელ ბირკიანს მივადექით, ასფალტზე დავჯექი, ფეხსაცმელი გავიხადე, თასმებით ერთმანეთზე გადავაბი, ხურჯინივით გადავიკიდე მხარზე და წინდების ამარა დავადექი გზას. შინნაქსოვი ბაწრის წინდები მეცვა და რბილად მივყვებოდი თბილი ასფალტის საფარზე.

ქოჩადლის ბინებიდან ხადორამდე 10 კმ-ზე მეტი იქნება, სოფელ ხადორიდან დუისამდე 18 კმ-ია. მარტო ვაკეზე 28 კმ გავიარეთ, მთებზე აღმა-დაღმა უფრო მეტ მანძილს გავივლიდით. ღამის 11 საათზე მივაღწიეთ დუისამდე. სახლში ფეხზე რომ გავიხადე, ქუსლზე პალტოს დიდი ღილის ოდენა სისხლჩაქცევა მქონდა და ერთი კვირა კოჭლობით დავდიოდი.

კუპრაბალინჩოში ნადირისთვის თვალი არ მოგვიკრავს, თოფიც კი არ გვისროლია, ისე დავბრუნდით სახლში, მაგრამ დარჩა მოგონება, ტკბილი მოგონება, რომელიც ყველა მონადირულ ნადავლზე ძვირფასია.

ბაკურის ხევში

მუსილონ გუმაშვილს ტბათანაში ქოხი ჰქონდა. ქოჩადალაში მიმავალი ბილიკის ქვემოთ, სადღაც შუა წელში სოფელ ტბათანასა და საქისტოს მთის ძირში მდებარე ტბას შორის, საქისტოტბათანის ქედის ჩრდილო ფერდობზე, ტყის ზოლიდან არცთუ დაშორებით, საკმაოდ ღრმა ხევის ნაპირზე, ტაფობში ედგა ქოხი; წყალს ხევიდან იღებდნენ, რომელიც გვალვის დროს ძლივს მოწანწკარებდა.

ზაფხულობით თავიანთი და ნათესავების საქონელს აძოვებნენ და ბავშვებიც აჰყავდა სააგარაკოდ. ერთ ზაფხულს ამბავი მოვიდა, დათვმა ძროხა დაგლიჯაო. გადავწყვიტეთ, ავსულიყავით ტბათანში და „დაგვესაჯა“ ტყის მეფე. მაშინ არ ჭირდა ტბათანაში მგზავრობა, ზემო ალვანელ თუშებს აგარაკები ჰქონდათ აშენებული და ზაფხულობით ხალხმრავლობა იყო, თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ მოაგარაკენი და სატვირთო მანქანები („შესტები“) თითქმის ყოველდღე მოძრაობდნენ გზაზე.

დათვის მიერ დაგლეჯილი ძროხა ტყის პირზე, ხევში ეგდო. ბინის დიასახლისმა ფეედიმ გვითხრა, რომ ღამე ძაღლი ეტანება ხევისკენ, ეტყობა, დათვი უბრუნდება თავის ნანადირევს, ვახშმობს და მიდისო.

გადავწყვიტეთ, სახუნდარი მოგვეწყო და ღამით ჩავსაფრებოდით ნადირს. ძროხის ლეშთან არ ჩავსულვართ, რომ ადამიანის კვალი, თუნდაც სუნის სახით, არ დაგვეტოვებინა და არ

შეგვეშფოთებინა დათვი. ლეშიდან რაღაც ორმოცდაათ-სამოც მეტრში, ხევის ბექზე იდგა ქორაფის ხე, რომლის ორკაპად გაყოფილ ტოტებზე მოვაწყეთ სახუნდარი ერთი კაცისთვის; ზემოთ, ცოტა მოშორებით, ბექიდან გადმოყუდებული კლდის ქვეშაც მოვაწყეთ სახუნდარი და ბინაში დავბრუნდით.

როგორც კი ბინდი შემოიპარა ხევში, ძაღლი დავაბით ღობეზე, რათა ხელი არ შეეშალა დათვისთვის ტრაპეზში. ისე, შორიდან ყეფა საჭიროც იყო, რომ დათვს რაიმე ცვლილება არ ეგრძნო. დათვი, რა თქმა უნდა, ძაღლს სათვალავში არც აგდებს, მაგრამ „დათო“ (ასე ერქვა მუსილონის ძაღლს) ძალზე გაბედული და ჭკვიანი იყო. როგორც გვითხრეს, – ნადირს ახლო არ ეკარება, რომ არ დატოროს, მაგრამ მოსვენებასაც არ აძლევსო. მუსილონი ხეზე მოეწყო, მე კლდის ქვეშ. „მც“-ს მარკის 12 ყალიბიანი თვითმტენი თოფი მქონდა, ხუთსასროლიანი, იმედიანი იარაღი, რომელსაც ტყვია („ჟაკანი“) 80-100 მ. კარგად მიაქვს, ხოლო მსხვილი საფანტი („კარტეჩი“) – 70 მეტრზე. ასე რომ, იმედიანად მოვთავსდი კლდის ქვეშ დაფენილ ქუჩზე და ლოდინი დავიწყე.

თითქმის შუაღამემდე ველოდით დათვის გამოჩენას. არსაიდან ბაიბურიც კი არ გაგვიგია, ძაღლიც კი არ იყეფებოდა, ხანდახან ზრდილობის გამო თუ გაიღებდა ხმას. ქვევით ხეზე დროგამოშვებით ვხედავდი სიგარეტის ცეცხლს. უკუნი სიბნელე იდგა, ვერ ვარჩევდი ძროხის ლეშს და ამიტომ სმენა მქონდა გამახვილებული. რომ უკეთ გამეგო ხმაური. პირი ღია მქონდა, როგორც მასწავლა მონადირე ალიოშამ, რომელსაც ყმაწვილობაში დავყვებოდით ქვემო ხალაწნის მზისპირ ფერდობებზე აბიბინებულ ყანებში საძოვრად ჩამოსულ კურდღლებზე სანადიროდ. მაშინაც ტყის პირზე, პანტის ხეებზე ვაწყობდით სახუნდარებს და ველოდით ტყიდან ყანებისკენ ხტუნვა-ხტუნვით ჩამომრბენელ კურდღელს.

ლოდინი მომბეზრდა. ის იყო დავაპირე, ამხანაგს შევხმიანებოდი, რომ მან ელექტროფარანი ძროხის ლეშს მიანათა, შემდეგ ირგვლივ მიმოატარა და ხმაურით დაიწყო ხიდან

ჩამოსვლა. შავებით ამოვისუნთქე, არ მიყვარდა სახუნდარში ჯდომა და ლოდინი, საამისო ნებისყოფა არ მყოფნიდა.

მუსილონი ჩემთან ამოვიდა და მითხრა:

– აზრი არ აქვს ლოდინს, თუ მოსასვლელი იყო, აქამდე ათ-ჯერაც ამოვიდოდა. ეტყობა, საშიშროება იყნოსა. თუ ასეა, საერთოდ არ მოეკარება აქაურობას, ძალიან ფრთხილი ნადირია.

– მართალი ხარ, პირველად კი არ ჩავსაფრებივართ დათვს, მაგრამ არასოდეს აღმოჩენილა თოფის ნიშანზე. დიდი ოხერი ვინმეა, მასზე მხოლოდ ძაღლებით ნადირობისას შეიძლება წარმატებას მიაღწიო, მე კი არასოდეს მინადირია ძაღლებით.

საერთოდაც, არ მიყვარდა დათვზე ნადირობა, ყმაწვილობაში ტბათანაში დათვთან პირველი შეხვედრის დროს შევირცხვინე თავი და ეს უსიამოვნო გრძნობა სიბერემდე გამომყვა.

ამოვედით ბინაში, ჩუმად შევედით ქოხში და დასაძინებლად მოვეწყვეთ.

მუსილონის ვაჟი ქუჩუკი შეგვეხმიანა, ეტყობა, არ ეძინა, გველოდა, ვუთხარით ჩვენი მარცხის შესახებ, მან კი გვითხრა:

– აქ ტყუილად დროს დავკარგავთ, რამდენიმე დღის უკან ვალერა იყო აქ, ფშაველი მონადირე, თხები ლამაზურში გადაიყვანა. ის ამბობდა, კუპრაბალინჩოს ქვევით, მაჟურის ხევის ალაზნის ხევთან შესართავის ახლოს არის მუჟა (სალოკი), სადაც წელს მჟავე წყალზე ფსიტები ჯოგებად მოდიანო.

– ვიცნობ მაგ ადგილებს, ვარ ერთხელ ნამყოფი, ცუდი ამინდი დადგა და წამოვედით. ავდრიანი მთა არის კუპრაბალინჩო, იშვიათად თუ გამოიდარებს ხოლმე. სიყმაწვილეში ოთხი ზაფხული მაქვს გატარებული აქ, ტბათანაში, საიდანაც კარგად ჩანს კუპრაბალინჩო და უმეტეს შემთხვევაში ნისლში იყო ხოლმე ჩაძირული და კუპრივით გაშავებული, – ვპასუხობ.

– ახლა კარგი ამინდები დგას, იქნებ გაგვიმართლოს, წავიდეთ, ერთი ღამე დავრჩეთ და მოვბრუნდებით, – ცდილობს ჩვენს დარწმუნებას ახალგაზრდა.

– ახლა დავიძინოთ, დილით მოვიფიქროთ, წავიდეთ თუ არა, – დაასკვნა უფროსმა და ნაბადში გაეხვია.

დილით მზიანი, წყნარი ამინდი იდგა. საქისტოს მთა მედიდურად გადმოჰყურებდა ტბათანას, გამახსენდა სიყმაწვილის პერიოდში თუში ქალიშვილების სიმღერიდან ნაწყვეტი:

„საქისტოს მთაო მაღალო,
სარკეო ტბათანისაო“.
„საქისტოს შვენის ცხვარ-ძროხა,
როგორც ლამაზ ქალს ხალები“.

სპეროზა და კუპრაბალინჩო დილის მზის სხივებზე ელვარებდა, გაღმა ხორაჯოს და დიდგვერდის მწვერვალებიც ზვიადად გამოიყურებოდნენ. იდგნენ ასე ათასწლეულების განმავლობაში და იდგებიან ასე სამყაროს დასასრულამდე, ადამიანის ძახილი ან პირუტყვის ბღავილი თუ არღვევს მათ მყუდროებას.

შევყურებ მთათა სიდიადეს და გულში ხმიანობს ვაჟას სიტყვები:

„მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით?...
რატომ არ მღერით, მთებო?“

გადავწყვიტეთ, ბედი გვეცადა მაჟურის მუჟაზე. სასწრაფოდ ვისაუზმეთ, საგზალი ავიღეთ, თუ რამე თბილი ტანსაცმელი ვნახეთ, ზურგჩანთებში მოვათავსეთ, თოფები გადავიკიდეთ და ქოჩადლისკენ გავწიეთ. ტბის გასწვრივ, ნაშალზე დაბლა ჩადის კლაკნილი ბილიკი, რომელზეც ძუნძულით ჩავყევით.

ამბობენ, რომ ალაზნის თავიდან მომდინარე თუშებს ცხვარი ამ ფერდობის ძირში, ქოჩადლის ხევში დაეყენებინათ ღამის სათევად. ღამე წამოვიდა კოკისპირული წვიმა, მოსწყდა ტბათანის ფერდს მიწის ზვავი და წავიდა დაბლა, ნიაღვარი. ღვარცოფი საშინელი გრიალითა და ღრიალით თავს დაატყდა ფარას და მწყემსებს. არავინ გადარჩენილა, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ქისტი უხუცესები ამბობდნენ, დამხვრჩალი ცხვარი პანკისში ალაზანს მოჰქონდა, ბალღები იჭერდნენ და ნაპირზე ყრიდნენო.

ქოჩადალაში არ შევჩერებულვართ, ლამაზურს ავყევით და გოხიანისკენ გადავედით, სადაც ხევს გაღმა, შემაღლებულ ადგილზე იდგა რობიზონ გუმაშვილის ქოხი. რობი ადგილზე დაგვხვდა, რამაც დიდად გამახარა, რადგან ადრიდანვე ვიცნობდი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. რობი უაღრესად პატიოსანი, წესიერი ახალგაზრდა იყო, ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა ჯოყოლოში, თავის საქმის ერთგული მუშაკი და სოფლის, საერთოდ, ქისტების, დიდი პატრიოტი.

რობისთან საჭმელი ვჭამეთ და გზას გავუდექით. მან გვითხრა, რომ მეორე დღეს, 3 საათზე დაგველოდებოდა ცხენით წიფლოვანის ხევში, თუ მოინადირებთ რამეს, ცხენით წამოგიღებთო. ეს დიდი შეღავათი იქნებოდა, რადგან შორი გზა არის და ზურგით ამხელა მანძილზე ტვირთის ზიდვა სახუმარო საქმე არ იყო.

უღელტეხილზე გავედით, ლამაზური უკან მოვიტოვეთ, ჩავვლეთ იტურის ქედი, ჩავყევით აშოლტილი წიფლებით დაფარულ ფერდობს და ჩავედით ალაზანზე. მუჟასთან რომ მივსულიყავით, უნდა ავსულიყავით კუპრაბალინჩოს მთაზე, შემდეგ გადავიდოდით ლეკთ ვაკეში და იქიდან ჩავდიოდით ისევ ალაზნის ხევში. ე. ი. ვაკეთებდით უზარმაზარ ნახევარწრეს, როცა შეიძლებოდა წრის დიაგონალზე გაგვევლო მდინარის აღმა და ათჯერ მეტად შეგვემოკლებინა გზა, თანაც ვივლიდით არა აღმართ-დაღმართ, არამედ ვაკე ხევში უმნიშვნელო აღმართით.

მაგრამ იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა – არავინ იყო ამ ხევზე ნამგზავრი და არ ვიცოდით, წინ რა დაგვხვდებოდა. ვიმსჯელეთ ამაზე და გადავწყვიტეთ, გაგვერისკა და ავყოლოდით მდინარეს. თუ კი წინაღობა შეგვხვდებოდა, ავიწევდით მაღლა და ლეკთ ვაკეზე გავიდოდით. სამივეს რეზინის ჩექმები გვეცვა და ალაზანზე გაღმა-გამოღმა გასვლა სირთულეს არ წარმოადგენდა, მდინარე არცთუ დიდი იყო და ალაგ-ალაგ თავთხელზე მოედინებოდა.

წინ მივიწევდით, ჯერჯერობით რაიმე დაბრკოლება არ შეგვხვედრია და დიდი ენთუზიაზმით მივდიოდით. უცბად წინ

აგვიფრინდა დიდი ფრინველი, მწვანე და შავი ფერებით აჭრელებული და ვიაზრე, რომ გარეული ბატი იყო. თოფის გადმოხსნაც კი ვერ მოვასწარი, რომ მდინარეს აჰყვა და მოსახვევს მიეფარა.

გაოცებული დავრჩით. ამ გვიან ზაფხულში ბატს რა უნდოდა ამ ხეობაში. საინტერესოა, რით იკვებებოდა, აქ ხომ თევზი არ ხარობს, ქვემოთ ჩანჩქერია და იმის აქეთ თევზი ვერ აღწევდა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ გადაფრენის დროს ეს ბატი ჩამორჩა გუნდს, შესაძლებელია, რაღაც შეემთხვა, ჩარჩა ამ ხევში, გამომჯობინდა და ვერ გაიკვლია გზა; ან თბილი ქვეყნებისკენ გადამფრენ ფრინველებს ელოდა. მათ ხომ აქვთ ინსტიქტი, იციან, როგორ უნდა მოიქცნენ; ან კიდევ ისიც შესაძლებელია, რომ ფრთა დაიზიანა და არ შეეძლო დიდ სიმაღლესა და დიდ მანძილზე ფრენა.

ალაზანს აღმა, აღმოსავლეთისკენ ავყევით, სიარული არ ჭირდა, ხევი ვაკედ იყო გაშლილი. როცა მდინარე მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს კლდიან ნაპირზე მოედინებოდა და გზას გვიკეტავდა, მეორე მხარეზე გავდიოდით და ასე მივიწევდით წინ. წინ მე მივდიოდი, „მც“ სისტემის საფანტიანი თვითმტენი თოფი მქონდა და ფხიზლად ვიყავი, ველოდი, რომ ბატი შორს არ გადაფრინდებოდა და მზად ვიყავი სასროლად.

ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა, გუმანით ვგრძნობდი, დაბრკოლება გადაგვეღობებოდა, რადგან კუპრაბალინჩოსა და იტორის ქედების დამრეცი კალთები თანდათან ავიწროებდა ხევს. ბოლოს მივადექით კიდეც ისეთ ვიწრო კალაპოტს. ფრიალოდ დაშვებულ კლდეებს ალაზანი კალაპოტში მოექცია, მოშავო, ფოლადისფერ კლდეებში არხი გაეჭრა მდინარეს. წყალში აღმა ვერ ავიდოდით, სწრაფ დინებას, ქაფმოდებული რომ მოღრიალებდა დიდი სიჩქარით, ვერ დავძლევდით.

სადღაც ლეკთა ვაკის პირდაპირ უნდა ვყოფილიყავით, ვიწრო და ტყით შემოსილი ციცაბო კლდიანი კალთები ორიენტირების საშუალებას არ გვაძლევდა, მაღლა მხოლოდ ცა მოჩანდა, ისიც ცრიატი ღრუბლებით იფარებოდა.

ჩამოვსხედით, ჩექმები გავიხადეთ, წყალი გადმოვაქციეთ, წინდები და შარვლის ტოტები გავწურეთ და ისევ ჩავიცვით. ეს სისველე არ გვაწუხებდა, მწყემსისა და მონადირის განუყრელი თანამგზავრია. ჩვენ ვბჭობდით იმაზე, თუ რა გვექნა. ორი გზა გვქონდა: ერთი, უფრო მშვიდობიანი – უკან დაბრუნება კუპრაბალონჩოს ბილიკამდე, ასვლა მეცხვარეების ნაბინავრებამდე, იქიდან ლეკთ ვაკეში დაშვება და მაჟურის მუჟაზე ჩასვლა; მეორე – ციცაბო აღმართით ლეკთა ვაკეში ასვლა და იქიდან კვლავ ხევში დაშვება.

ჩვენგან ამ მუჟაზე ნამყოფი მარტო მე ვიყავი, ისიც მხოლოდ კუპრაბალინჩოს მთიდან. როგორც ჩემს ამხანაგებს, ისე მეც არ მქონდა წარმოდგენა, თუ რა გველოდა წინ, თუ აღმართს შევეჭიდებოდით, მაგრამ გავრისკეთ და მეორე, მოკლე გზა ავირჩიეთ. ასეთი გადაწყვეტილების, არცთუ ჭკვიანურის (ნათქვამია, შორიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო) არჩევა განაპირობა იმანაც, რომ დღე იწურებოდა, უკან რომ გავბრუნებულვიყავით, შემოგვაღამდებოდა სადღაც გზაში.

კლდიანი ციცაბო ავვლეთ, გადმოშვერილ კლდეებს, მაღალ ბალახებსა თუ ბუერას ღეროებს ვეჭიდებოდით, წინ მივიწევდით და ასე მივადექით დეკიანს. სწორედ აქ დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წამება. ასეთ ციცაბო ფერდობებზე დეკა დაქანებისკენ იზრდება, მიწაზე დაფენილი ეშვება დაბლა, მერე წვერებში იმართება და მაღლა იწევს. დეკას თავთავებს, ღეროს წვერში ხელს ჰკიდებ, აიწევი და მკერდზე შუბებივით გებჯინება ღეროები. ერთი სიტყვით, წინაღობიანი სანგარივით არის, როცა სანგრის წინ წამახვილებული ხის სარებია ხოლმე ჩარჭობილი და დახრილად წინ გადმოშვერილი.

დეკიანში ხელის თითებივით მიჯრით იყო წინ წამოწეული ღეროები და მკერდზე გვებჯინებოდა, ძალიან გვიჭირდა აღმა სიარული. სხვათა შორის, იოლია ასეთ დეკიანზე დაშვება, პირდაპირ ზედ ჩასრიალდები, თუ რა თქმა უნდა, დაკბილულკლდიანი არ არის ფერდობი.

ერთი სიტყვით, გავწვალდით და გავიტანჯენით, თან დიდი დროც დავკარგეთ აღმართის ავლაში. ისიც გვადარდებდა, სად,

რა ადგილას ავიდოდით. შვებით ამოვისუნთქე, როცა ალპურ ზონაში ავედით და ვიცანი ვაკე, რომელსაც, არ ვიცი, რატომ ეძახდნენ „ლეკთ ვაკეს“. ალბათ, კახეთზე თავდასხმის დროს, პირიქითა ალაზანს მთათუშეთის გამოვლით ამოჰყვებოდნენ ლეკები, კუპრაბალინჩოს ჩამოჰყვებოდნენ და აქ ისვენებდნენ ივრის სათავეებში გასასვლელად. ან სულაც, ზაფხულობით აქ აძოვებდნენ ცხვარს ე. წ. ლეკიანობის დროს.

ქისტების პანკისში ჩამოსახლების შემდეგ მოხდა რამდენიმე შეტაკება და ლეკებმა ხელი აიღეს პანკისის დერეფნით კახეთზე თავდასხმებზე. სავარაუდოა, რომ დაღესტნელებმა სწორედ ზემოთ აღნიშნული მარშრუტი შეარჩიეს ქართლში სათარეშოდ. ამ ფიქრებმა, არ ვიცი რატომ, გამახსენა ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ძალიან მიყვარდა:

„ღრუბელო, მიდეგ და მოდეგ,
პირს ნუ დამალავ მზისასა,
ცოლს ნურას შაეხუმრები,
თავს უკეთესის ყმისასა.
თორ გზაში შემოგეყრების,
სულს შამოგაბნევს მგლისასა,
გასწავლის ომის გახდასა,
ამომღერებას ხმლისასა,
არგონებულში გიჩვენებს,
ფხას თეთრის ფრანგულისასა“.

კარგად დავისვენეთ, ცოტა წავიხემსეთ, გადავჭერით ლეკთ ვაკე და ტყისკენ დავეშვით. ტყეში ცერზე ჩადიოდა ბილიკი ცამდე აშოლტილ წიფლის ხეებს შორის. სწრაფი ძუნძულით ჩავვლეთ ტყიანი ფერდობი და ჩავედით მაჟურის ხევში. ცოტა ქვემოთ მაჟურის წყალი უერთდებოდა ალაზნის ხევს, ხოლო ხევს გაღმა ჩანდა კლდეების ძირში, შავ ნიადაგზე ნაჟური, რომელსაც ეტანება ჯიხვი და არჩვი.

მზე დიდი ხნის ჩასული არ იყო, მაგრამ ხევებს ბინდი თანდათან ეფინებოდა. ყომრალმა ღრუბლებმაც დაბლა ჩა-

მოიწიეს და ჟინჟღვლა დაიწყო. საჭირო იყო სასწრაფოდ, სანამ წვიმა გაძლიერდებოდა, ღამის სათევი მოგვეწყო. იქვე, ხევის პირას კლდის ძირში მოვაწყეთ ფარდულის მაგვარი თავშესაფარი. ნაჯახით მოვჭერით ნორჩი ხეებისგან ხარიხები, კლდეზე დახრილად მივაყუდეთ და ზედ ცელოფანი გადავაფარეთ. გვერდებზე და კლდის თავზე სიპი ქვები დავაწყეთ, ტოტები გადავაფარეთ, რომ ქარს არ მოეგლიჯა ცელოფანი.

თითქმის მოვამთავრეთ კიდეც თავშესაფრის აშენება, რომ ზემოდან, ბილიკის მხარეს, ლაპარაკი შემოგვესმა. მალე გამოჩნდა კიდეც ორი მგზავრი, ზურგჩანთები ეკიდათ და თოფები კი ხელში ეჭირათ. მივხვდით, რომ მონადირეები იყვნენ და ისინიც სახუნდარიდან აპირებდნენ ნადირობას.

როგორც კი მოგვიახლოვდნენ, ვიცანით, ფშაველი მონადირეები იყვნენ, ვალერი და ხვთისო. გულთბილად მივესალმეთ ერთმანეთს, მივიწვიეთ „ქოხში“, კარგად მოვკალათდით და ერთმანეთს „ხაბარი“ გამოვკითხეთ.

შემოსასვლელში ცეცხლი დავანთეთ, ხევის პირას, რკალად შემოვერტყენით და სანოვაგე ამოვალაგეთ. ვალერიმ გვითხრა – იტორზე ფსიტი მოვკალით, ძალიან გაგვიმართლაო. ხორცი დაემუშავებინათ და ზურგჩანთებში ჰქონდათ. ერთ-ერთი ზურგჩანთის ჯიბე გახსნა ხვთისომ და იქიდან ცელოფანში გახვეული შიგნეულის ნაჭრები (ელენთა, ღვიძლის ნაჭერი, თირკმელი) ამოიღო. ნახევარი კილოგრამიც არ იქნებოდა, დაჭრეს სამწვადედ და იქვე მოჭრილ შამფურებზე ააგეს. ხუთ კაცს ორი შამფური რას გვეყოფოდა, მაგრამ ვერ მოვთხოვდით მეტს, თუ თავად არ მოისურვებდნენ: ჩვენ ნადირობის პროცესში და არც გატყავების დროს შევსწრებივართ, რომ წილი მოგვეთხოვა ან მასპინძლობა დაგვეძალებინა.

ხვთისოს ცალლულიანი ფილთა თოფი ჰქონდა. გამიკვირდა, ასეთი თოფი რომ წამოეღო მთებში სანადიროდ, აქ ხომ ფრინველი იშვიათობაა და ამიტომ ვკითხე:

– ძმობილო, აქ ფრინველი, კაკაბი ან შურთხი თუ იცის?

– არა, რაზე მეკითხები?

– ვიფიქრე, ეს ფილთა თოფი ფრინველზე სანადიროდ თუ წამოიღო-მეთქი. – თან კლდეზე მიყუდებულ „ცენტრალკაზე“ მივუთითე.

ფშაველმა გაიცინა, თოფი აიღო, მომაწოდა და მითხრა:

– ფსიტი ამ თოფით მოვკალი, დაახლოებით 300 მ. დაშორებით იყო ჩემგან.

გაკვირვებით შევხედე და თოფი გამოვართვი. როგორც კი ხელი მოვკიდე, მაშინვე მივხვდი, რომ ჩვეულებრივი ფილთა თოფი არ იყო, ძალიან მძიმე მეჩვენა. დაეჭვებულმა მაშინვე გავხსენი და საკეტს ჩავხედე. ლულაში შაშხანის ტყვია იდო. შევატრიალე, ლულის ბოლოში ჩავხედე, ფილთა თოფის ლულიდან შაშხანის ლულა მიყურებდა.

ყველაფერს მივხვდი: ფილთა თოფის ლულაში ჩაპრესილი იყო რუსული შაშხანის ლულა, გარსაცავი ფილთა თოფის ლულა შაშხანის ლულაზე ორი თითის დადებაზე მოკლე იყო და გარედან არ ჩანდა. კარგად რომ დავაკვირდი, გვერდზე, გარე ლულიდან ჩახრახნილი იყო ჭიკარტი („შურუფი“), რითაც ხდებოდა სამიზნეს დარეგულირება. თუ ხელში არ აიღებდა კაცი თოფს, იფიქრებდა, რომ ჩვეულებრივი საფანტიანი ფილთა თოფი იყო, რომლითაც ბავშვებიც კი ნადირობდნენ ფრინველებზე.

– მაგარია, ძალიან მაგარი! მართლაც, მაგარი მონადირეები ხართ ფშავლები, ამას მოფიქრება არ უნდა? – აღფრთოვანება ვერ დავმალე და უმალ დავივიწყე ამ მონადირეთა ძუნწობა ხორცის გამო.

გარეთ წვიმდა, რაც ხასიათს გვიფუჭებდა, შევნიშნე, რომ ავდრიანი ადგილია და ვფიქრობ, ხვალ ნადირობაც არ შედგება-მეთქი. ნუ გეშინია, გამოიდარებსო – დამაიმედეს ამხანაგებმა და მოვკალათდით დასაძინებლად. ხუთნი ვიყავით ამ ერთი ბეწო საფარქვეშ, ამიტომ მჭიდროდ მივეტმასნენით ერთმანეთს, რომ ერთმანეთის სხეულით გავმთბარიყავით.

დიდხანს არ დამეძინა. ვფიქრობდი ხვალინდელ დღეზე, სახუნდარის მოწყობას ვგეგმავდი და ფშავლის თოფი გონებიდან

არ მშორდებოდა. ვოცნებობდი, როგორმე ასეთი თოფი ამეწყო, თანაც ვითვლიდი, რომ უკეთესი იქნებოდა ტყვიამფრქვევის ლულის გაჩარხვა და ჩაპრესვა ფილთა თოფის ლულაში. მართალია, უფრო მძიმე იქნებოდა, მაგრამ „რეგულოვკა“ გარედან არ დასჭირდებოდა.

თან ვფიქრობდი ხვთისოს მონაყოლზე, თუ როგორ იქცეოდა მანძილის შესაბამისად სამიზნის გათვლისას, მას ხომ თოფზე საამისო „შკალა“ არ ჰქონდა.

მან მითხრა, რომ მთაში, გაიშვიათებულ ჰაერში წინააღმდეგობა ტყვიისადმი ნაკლებია, ტრაექტორია გაშლილია და ტყვია შორს მიდის. ჩვეულებრივ, ტყვია მიზანს ზემოთ ხვდება და ნიშანიც დაბლა უნდა აიღო. ცხადია, თოფი უნდა გამოსცადო, 10-15 ვაზნა უნდა დახარჯო მინიმუმ, სანამ დაადგენ, როგორ, რომელ მხარეს მიაქვს თოფს ტყვია.

ქუში დილა გათენდა, ხევებში ნისლი იყო ჩამოწოლილი, მართალია, არ წვიმდა, მაგრამ ღრუბლები ისეთი შავი ფერისა იყო, ჩამოქუფრული, რომ გამოდარებას პირი არ უჩანდა. ასეთ ამინდში სალოკზე ნადირი იშვიათად მოდის, უფრო ტყის პირებზე ძოვს.

ჩვენ ვისხედით, ვბაასობდით და ველოდით, როდის აიკრიფებოდა ნისლი ხევებიდან მთის წვერებისაკენ. ქუში, ჩამოქუფრული ამინდი იყო, თითქოს არც წვიმდა, მაგრამ ხუთიოდე წუთში ტანსაცმელს სისველე გადაეკვრებოდა, რაღაც ჩუმად, უხილავად ჟინჟღლავდა.

ჩვენ ვნერვიულობდით, ფშავლები კი მშვიდად იყვნენ, ავდარს სულაც არ განიცდიდნენ. გამახსენდა ხელაშვილის ლექსი „მთაზე მაღალზე“, ფშავლების პოეტური ბუნება ვიცოდი და წავუმღერე:

„მთებს შემოვხედე მაღლებსა,
წვერები დასთეთრებია,
ადე და, ნისლო, მთას წადი,
რა თავზე მებურებია,
ფშავისაც გადასავალი
არ დამითოვო გზებია“.

გადავწყვიტეთ, მასარის ქედის ჩრდილო კალთების დათვალიერება. ადგილზე დარჩებოდნენ მუსილიონი და ხვთისო, ისინი დააკვირდებოდნენ სალოკს, ეწვეოდნენ თუ არა მუჟას არჩვები. მე, ვალერი და ქუჩუკი გავყევით ალაზნის ხევს, 500-ოდე მეტრის ავლის შემდეგ გადმოვედით სერზე და გავყევით ფერდობებს. ერთ სერს გავივლიდით, მეორე სერზე ფრთხილად ავიდოდით და ვათვალიერებდით მომდევნო სერის ფერდობებს.

ხანდახან ნიავი წამოუბერავდა და ნისლს გადარეკავდა, რაღაც მომენტში თვალწინ გადაიშლებოდა წვიმისგან მბრწყინავი მწვანე ბალახიანი ფერდობები, მაგრამ ცოტა ხანში კვლავ ბურუსში იკარგებოდა. ერთ-ერთი ასეთი, ვთქვათ ასე, ნათელი კადრის დროს დავინახეთ გაღმა სერის ფერდობზე მარტოხელა ვაცი, დიდი ტანისა იყო, 30 კგ. ნაკლები არ იქნებოდა. ჩვენ ჩავიჩოქეთ, ჩავიკუზეთ, რომ ნადირს არ შეემჩნია ჩვენი ახლოს ყოფნა. შეუძლებელი იყო შეუმჩნევლად მიპარვა. ვალერი, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი, გამოცდილი მონადირე, გარემოს ათვალიერებდა, მისაპარ გზებს ეძებდა.

უცბად ხევიდან წამოსულმა ნიავმა ნისლი წამოიღო და ჩვენს შორის, არჩვსა და მასზე მონადირეებს შორის გაუმჭვირვალე ფარდა ჩამოაფარა. ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იყო და ვალერიმ გვანიშნა, ჩუმად დავძრულიყავით. სიფრთხილით დავეშვით სერებს შორის ღრმულში. როგორც კი ცერზე გავედით, ნიავმა კვლავ წამოუბერა, ნისლი სერის თხემისკენ გააქანა და გამოჩნდა ფერდობი, სადაც ვაცი შევნიშნეთ. მაგრამ არჩვი გამქრალიყო, გაკვირვებული ვუყურებდით წინ გაშლილ მთის ფერდობს, მაგრამ ნადირის კვალიც კი არ ჩანდა. დანახვით ვერ დაგვინახავდა, ვერც ხმაურს გაიგონებდა, რადგან ძალიან ფრთხილად ვმოძრაობდით. ეტყობა, ადამიანის სუნი იკრა და გადაიკარგა.

წინ წავედით, სერიდან სერზე გადავდიოდით, ქედის ცერებს ავყვებოდით, ხან დაბლა ვიწევდით, მაგრამ მეტად თვალი არ მოგვიკრავს ნადირისთვის. თან ამ ბნელი და ნათელი კადრების ცვლილებაც ნერვებზე მოქმედებდა, ასეთ ამინდში ნადირობაც არ იყო მიზანშეწონილი, ისე ვირჯებოდით, თითქოს ვალს ვიხდიდით.

– ვალერი, უკან გავბრუნდეთ, აზრი არ აქვს ჩვენს ასეთ უმიზნო, შემთხვევის იმედით სიარულს. თან წიფლოვანში ცხენით რობი გველოდება, სამი საათისათვის იქ უნდა ვიყოთ.

– კარგი, დავბრუნდეთ, აქედან მაჟურის ხევში ჩავიდეთ, ხევის მეტი ნაწილი ზვავით არის დაფარული, ზვავებზე სიარული უფრო ადვილია და უცბად ჩავალთ „ბინამდე“.

დავეშვით ცერდაცერ. ხშირად ფეხი გვიცურდებოდა სველ ბალახზე, ვეცემოდით, უმთავრესად მე და ქუჩუკი, ვალერი ჯოხს ეყრდნობოდა, რომელიც განუყრელად თან ჰქონდა და „მიცურავდა“ ქვევითკენ. მაჟურის ხევის ნაპირი ციცაბო, ჩამოშლილი, კლდეებიანი იყო და ცოტა შევყოვნდით, სანამ ზვავამდე ჩავაღწევდით.

ზვავზე სიარული ადვილი იყო, ზედ მიწის, ხისა და კლდის ნაფშვენები ეყარა და ფეხი არ გვიცურდებოდა, ხევიც არ იყო ძალზე დაქანებული და ძუნძულით ჩავდიოდით დაბლა. ვალერიმ გაგვაფრთხილა, რომ ნაპირებზე გვევლო, შუაში თოვლისა და ყინულის ზვავი გათხელებულია და შეიძლება ჩამტყდარიყო.

ერთ ადგილას ზვავის ზედაპირი დაქანებული იყო, ვალერი წინ მიდიოდა და სირბილით ჩაჰყვა ამ მონაკვეთს. მე მას მივდევდი, სირბილის დროს ინერციით შუაგულისკენ, დაწეული ადგილისკენ წავედი და უცბად საშინლად დაიგრიალა, ჩემს ქვეშ ჩაწყდა მთელი ზვავი და ერთად ჩავქანდით უფსკრულში.

დაცემა არც მიგრძნია, ისე ვიყავი დაბნეული და შეშინებული. თანაც ისეთი გრუხუნი იდგა, ხევი ექოს იმეორებდა და პირაღმა წაქცეულმა მაღლა მხოლოდ ცა დავინახე. უმალ ჩატეხილი ზვავის ნაპირზე დავინახე ვალერისა და ქუჩუკის ასევე დაბნეული და შეშინებული სახეები.

– მოშორდით ნაპირს, არ ჩამოწყდეს და თან არ ჩამოგიყოლოთ ამ ტიალმა. მოშორდით ნაპირს! – დავუყვირე გამწარებულმა.

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ საქმეში ხარ? მარცხენა მკლავზე მაწვა ზვავის ვეებერთელა ნატეხი. თან ჩახერგილმა ზვავმა წყალი გადაკეტა და ჩემ ზემოთ დაიწყო დაგუბება. ახლა ზევით ასვლაზე კი არ ვფიქრობდი, არამედ იმაზე, თუ რო-

გორ დამეღწია თავი წყლისთვის. წყალი ან დაგუბდებოდა და დამახრჩობდა, ან დაგუბებული ჩახერგილ ზვავს დაძრავდა ქვევით და ზვავქვეშ ჩამიტანდა.

ეს მეორედ დავდექი საშინელი საფრთხის წინაშე. ერთხელ დიდგვერდის კლდეს ვეკიდე თითქმის ორ საათამდე და უფსკრულში ჩავარდნას ველოდი წუთი წუთზე. ახლაც ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ამჯერად ამხანაგები მახლდნენ და იმედიც მქონდა გადარჩენისა. მაგრამ მაინც იმაზე ვფიქრობდი, დაღუპვის შემთხვევაში როგორ გაუჭირდებოდათ ჩემი წასვენება სახლში, როგორც მაშინ, დიდგვერდის მთაში კლდეზე დაკიდებული ვწუხდი, რანაირად მიპოვიდნენ და ჩაიტანდნენ ცხედარს სოფელში.

საბედნიეროდ, დაგუბებულმა წყალმა ზვავის ნაგლეჯი, რომელი მკლავზე მაწვა, დაძრა და ქვევით წაიღო. მე წამოვჯექი და ნაპირისკენ, დიდ, მაღლიდან ჩამოშვებულ კლდეზე ავიწიე.

მარცხენა გვერდი საშინლად მტკიოდა, ქურთუკი გავხსენი, ზედა ტანსაცმელი ავიწიე და შევათვალიერე ტანი, გაკაწრულიც კი არსად იყო, მაგრამ სუნთქვაში მიშლიდა და მივხვდი, რომ ნეკნებთან მქონდა პრობლემა.

მაღლიდან, 6-7 მეტრის სიმაღლიდან ბიჭები მიყვიროდნენ, მამხნევებდნენ, ეხლავე ამოგიყვანთო. მე უკვე მშვიდად ვიყავი, ხელ-ფეხი საღად მქონდა, ასვლით როგორმე ავიდოდი, ამხანაგებიც მომეხმარებოდნენ.

ვალერიმ თოფებს ღვედები მოხსნა, ერთმანეთს გადააბა და ჩამომაწოდა, მეც კლდეზე მაღლა ავიწიე, ჩამოწოდებულ ღვედს მოვკიდე ხელი და მაღლა ავედი. ამხანაგები სიხარულით შემხვდნენ, ხელი მომკიდეს, ბექის პირზე ამიყვანეს და დამსვეს.

– ხომ არაფერი მოიტეხე, ბიძი, ხომ კარგად ხარ? – მეკითხებოდა ქუჩუკი და გარშემო მივლიდა.

– ხომ გაგაფრთხილე, ნაპირზე იარე-მეთქი, რას მირბოდი შუაგულისკენ. – მსაყვედურობს ვალერი.

– ვინ გაცლიდა ნაპირზე სირბილს, თავად ზვავმა წამიღო შუაგულისკენ, – თავს ვიმართლებ.

ბინაში, ჩვენს სახელდახელოდ გაკეთებულ ქოხში ჩავედით. მთაში ორ ქვას მიადებ ერთმანეთზე, დაეყუდები იქ ერთი-ორი დღე და ბინას ეძახი. მართლაც, რომ ბინაა, ჩვენი შორეული წინაპრები მთებში, ხევებსა და ტყეებში ცხოვრების დროს უკეთესი საცხოვრებელი პირობებით როდი იყვნენ განებივრებულები.

ვალერი და ხვთისო იქ დარჩნენ, გამოდარებას დაველოდებითო. პროფესიონალი მონადირეები იყვნენ, მათ ავდარი, უამინდობა ასე ადვილად ვერ გაუცრუებდა იმედს. ჩვენ გამოვემშვიდობეთ და გზას გავუდექით.

მუსილონმა სასმელი და სანოვაგე, რაც თან მოვიტანეთ, მათ დაუტოვა, ჰუმანური, უაღრესად პატიოსანი, ქველმოქმედი, ღარიბისა და უპოვარის გულშემატკივარი კაცი იყო. ვიცოდი, რომ ჩემს მარცხს ძალზე განიცდიდა და ყველანაირად ვცდილობდი, არ შეენიშნა ჩემი გაჭირვება. არადა, გვერდის ტკივილი ძალზე მიშლიდა სიარულში, განსაკუთრებით ღრმა სუნთქვის დროს. აღმართში ღრმა სუნთქვის გარეშე ვერ ივლი, ჩვენ კი წინ დიდი აღმართი გვედო: ჯერ ლეკთ ვაკეში უნდა ავსულიყავით, მერე კუპრაბალანჩოს მთის სერზე და იქიდან ჩავიდოდით წიფლოვანის ხევში. ამიტომ წინ თავად გაგვიძღვა მუსილონი, ნელა მიდიოდა, რომ როგორმე გაეადვილებინა ჩემთვის მგზავრობა, შემდეგ მითხრა, რომ იცოდა, ნეკნები რომ მქონდა გატეხილი.

ეს გზა ჩემთვის მძიმე იყო, მაგრამ ვცდილობდი, არ მეგრძნობინებინა ამხანაგებისთვის, ჩემი პრობლემები მე უნდა მეზიდა, ჩემი გაუფრთხილებლობით მოხდა ის, რაც მოხდა.

სადღაც შუადღის ოთხი საათისთვის ჩავედით წიფლოვანის ხევში, სადაც რობის დიდი ცეცხლი დაენთო და გველოდა. რომ დაგვინახა, მაშინვე მიხვდა, რომ ხელცარიელები ვიყავით და გაგვეხუმრა:

– მე კი ცეცხლი გავაჩაღე, ვიფიქრე, მწვადებს, მონადირულ მწვადებს შევწვავთ-მეთქი. მაგრამ ვიცოდი რა თქვენი მონადირეობის ამბავი, საჭმელი წამოგიღეთ.

– თუ ღმერთი არ მოგცემს, ვერაფერსაც მიიღებ, „წესია მონადირისა“, ხან მოინადირებ, ხან ხელცარიელი რჩები. მე, მოგეხსენება, მშვიდობიანი მონადირე ვარ, მოყვარული მონადირე, ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, უიღბლოდ მთავრდება კიდეც ჩემი ნადირობა. – ხუმრობით ვპასუხობ რობის.

იტორის აღმართი ცხენზე მჯდომმა ავლიე, ვერაფრით დავარწმუნე ამხანაგები, რომ შემეძლო სიარული. რობის ბინამდე ცხენზე მჯდომმა მივაღწიე, ის ღამე იქ გავათენეთ. მეორე დღეს ქოჩადლის ხევში ჩავედით და ხევს ჩავუყევით ხადორისკენ. ტბათანში არ ავედით, რადგან ხევ-ხევ ვაკეზე სიარული ადვილი იყო, თანაც ვიცოდით, რომ ქოჩადლის ხევში სატყეო მუშაობდა, წიფლის მორებს ეზიდებოდნენ ახმეტაში და მანქანით ჩავიდოდით სახლში.

ჩვენი იმედი გამართლდა, სატყეოს პლატფორმასთან მანქანებს ტვირთავდნენ მორებით, დაველოდეთ და გავყევით სახლამდე.

ნადირობის დროს ამხანაგს დიდი მნიშვნელობა აქვს. მეგობრული ურთიერთობა აუცილებელია მონადირეებს შორის, გაჭირვებაში თანადგომა, დახმარებისათვის მზადყოფნა, სიცოცხლის რისკის ფასადაც კი. ნადირობა, განსაკუთრებით მთაში ნადირობა, მონადირისგან ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს, გამძლეობას, მოთმინებას, დაკვირვების უნარს. ამავე დროს უნდა იცნობდეს სხვადასხვა ნადირის ცხოვრების წესსა და ჩვევებს. უნდა ჰქონდეს სწრაფი რეაქციისა და სწრაფი სროლის უნარი. აუცილებელია, ორიენტირების ჩვევა ახასიათებდეს, უნდა შეეძლოს ობიექტამდე მანძილის გათვლა და მის გასავლელად მიახლოებითი საჭირო დროის განსაზღვრა. და რაც მთავარია, უნდა იყოს ძალზე ფრთხილი, ხიფათში არ უნდა ჩაიგდოს არც თავისი, არც ამხანაგის და არც სხვისი სიცოცხლე.

ჩხათანის შუაზე

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისია. სექტემბრის ბოლო დღეები იდგა, საუცხოო ამინდი იყო, თბილოდა, როგორც ზაფხულში. სწორედ სანადირო სეზონი იყო და მე და ლაბომ გადავწყვიტეთ დიდგვერდში ასვლა. ლაბო ცხვრის პარსვაში უნდა მიხმარებოდა მეცხვარეებს, თან პარტნიორობას გამიწევდა ნადირობაში. მთიდან ამბავი მოდიოდა, რომ ნადირი ძლიერ იყო მომრავლებული და ლაბო დარწმუნებული იყო, იღბლიანი ნადირობა გვექნებოდა, ამიტომ ცხენი ითხოვა ნათესავისგან, ავკიდეთ ბარგი და გავუდექით გზას.

თოფი მარტო მე წავიღე, ჩემი ამხანაგი კრიზისულ მდგომარეობაში იყო, ღამღამობით თეთრწვერა მოხუცი ელანდებოდა, რომელიც ნადირობას უკრძალავდა. მე საკეცკონდახიანი AKC-ის სისტემის ავტომატი მქონდა, ზურგჩანთაში ეტეოდა და პრობლემას არ წარმოადგენდა მისი გადატანა. ისედაც არავინ აკონტროლებდა პანკისს, ხელისუფლება თავად განიცდიდა კრიზისს, ხეობაში კრიმინალი იღვიძებდა და გარედანაც შემოდიოდა.

მზადებაში დიდი დრო გავიდა. ჩვეულებრივ ასე ხდებოდა ხოლმე: დავთქვამდით, დილაადრიანად გავდივარ სახლიდან, მაგრამ თითქმის ყოველთვის გვიან, შუადღემდე ცოტა ადრე თუ გავუდგებოდით ხოლმე გზას. ამჯერადაც მზე ზენიტს უახლოვდებოდა, როცა გზას გავუდექით.

გზას კარგად ვიცნობდით, მრავალჯერ გაგვივლია მთებისკენ სავალი და ამჯერადაც შეყოვნების გარეშე მივდიოდით. შემხვედრ ხალხს არ ვერიდებოდით, ვეუბნებოდით, ხორაჯოში წაბლზე მივდივართო და მივიწევდით წინ. ეს ტყუილი გადიოდა, რადგან წაბლის სეზონი იდგა. ბაწარის კართან თუ ხადორისა და ხორაჯოს გზაზე შემხვედრი მგზავრიც წაბლისთვის იყო სახლიდან გამოსული.

მზე დასავლეთისკენ კარგად იყო გადახრილი, როცა სოფელ ხორაჯოს გავცდით და გვიმრიან მინდორზე („ჩუერიი ათაჰ“) გავედით. აქ ლაბომ გზიდან გადაუხვია და ცალკე მდგომი პანტისკენ წავიდა, ქვეშ დადგა და ხეს დაუწყო თვალიერება. მეც დავინტერესდი, მივედი ხის ქვეშ, მაღლა შევხედე, მაგრამ საინტერესო ვერაფერი შევნიშნე და კითხვის თვალით შევხედე. მან თითით მიმანიშნა ხშირ ტოტებზე, დავაკვირდი და შევნიშნე თითის სიმსხო ფოლადის ბაგირის მარყუჟი, რომელიც პანტის ხის ტანზე იყო მიმაგრებული და ოსტატურად შეფუთული. ყველაფერს მივხვდი, საყვედურით შევხედე მეგობარს და ვუთხარი:

– მონადირე კაცი ხარ და ასეთ რამეს როგორ ჩადიხარ, ეს უმსგავსობაა.

– რატომ, ხაფანგით არ ნადირობენ გარეულ ცხოველებზე? – გაკვირვებით შემომხედა ლაბომ.

– ცხადია, ნადირობენ. მაგრამ ტრამპეადორი ყოველ დილით შემოივლის თავის მიერ დაგებულ ხაფანგებს და თუ გაბმულია ნადირი, მის ტანჯვას წყვეტს. შენ კი, როცა დროს მოიხელთებ, მხოლოდ მაშინ მიაკითხავ. ეს „ტროსი“როდის შეამოწმე? – გულმოსულად ვეკითხები.

– ერთი კვირა იქნება, სახლში როცა ვბრუნდებოდი, მაშინ ვნახე, მაგრამ უყურადღებოდ როდი არის მიტოვებული, ჩხათანიდან ჩამოდიან და ამოწმებენ. – თავის მართლებას ცდილობს ლაბაზა.

– მაშ, კაცო, შენი სიდედრი ჩამოდის და რეგულარულად ამოწმებს. კიდევ კარგი, ამ პანტას იმდენი ნაყოფი არ ასხია,

რომ დათვი დაინტერესდეს მისით. მადლობა ღმერთს, ის არც თუ ისეთი სულელია, რომ ყველა ხეზე მიძვრებოდეს.

გზა განვაგრძეთ, ნადირობის პარტნიორს ვესაუბრებოდი ტრამპეადორებზე. ნადირობაზე ლიტერატურა ბევრი მქონდა წაკითხული, მიყვარდა ამ ჟანრის ნაწარმოებების კითხვა და ბევრი რამ ვიცოდი ნადირზე, მონადირეებსა და, საერთოდ, ნადირობაზე, ასე რომ მოსაყოლი ბევრი მქონდა. ვყვებოდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ტყუილად ვირჯებოდი, რადგან ლაბოს თავისი შეხედულებები და ჩვევები ამ საკითხზე გამომუშავებული ჰქონდა და მათ მისდევდა.

სოფ. ჩხათანასა და გვიმრიან ველს შორის, ერთ ხევში არის მუჟა, მჟავე წყალი და ნადირი ჩამოდის ხოლმე ამ სალოკზე. ლაბოს ცოლეურები ჩხათანაში ადრე გაზაფხულზე ადიოდნენ, საქონელი აჰყავდათ და გვიან შემოდგომამდე რჩებოდნენ. ლაბო მთასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ადრე ცხვარში იყო ხოლმე, ბოლო დროს ტექნიკას მოჰკიდა ხელი, მაგრამ მთასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ცოლეურებთანაც ხშირად ამოდიოდა და ჩხათანას კარგად იცნობდა.

ხშირად მიყვებოდა ჩხათანის მუჟაზე, ბევრი ფსიტი მყავსო მოკლული ამ სალოკზე, ხევგამოღმა საფარიც ჰქონდა მოწყობილი. ერთმანეთთან ახლო მდგომ ორ ტყუპ წიფელთან მოეწყო საფარი, გარდიგარდმო დიდი ხე გაედო თოფის დასადებად, ხოლო უკან დასაწოლად ფართო ადგილი იყო, ხეებზე ტოტები იყო აყუდებული, რომ გაღმა ფერდობიდან სალოკზე ჩამომავალ არჩვებს არ დაენახა ჩასაფრებული მონადირე.

დიდგვერდში მგზავრობისას ხშირად შეგვიხვევია ამ მუჟაზე, უკან დაბრუნების დროსაც, მაგრამ არასოდეს შემინიშნავს აქ ნადირი და როცა ლაბომ შემომთავაზა, შევუხვიოთო, დიდი ენთუზიაზმი არ გამომიხატავს, მაგრამ რადგან თითქმის ზედ გზაზე იყო, უარი არ ვუთხარი. გზიდან ზემოთ ავყევით, თხილის ვეება ბუჩქების კორომი იყო ტყის პირზე, ახლოს თხილების გასწვრივ დიდი ახო იყო, მწვანე ბალახით აბიბინებული. ცხენი თხილის ტოტზე თოკით დავაბით ისე, რომ ძოვა შეძლე-

ბოდა, ავტომატი ზურგჩანთიდან ამოვიღე, გადავტენე, დამ-ცველზე დავაყენე და ლაბოს მივყევი.

ტყის ზოლში შესვლისთანავე ფრთხილად უნდა მივპარული-ყავით საფარამდე. ლაბო მოკუზული მიდიოდა წინ, მე კი გამართულად მივყევი, დარწმუნებული, რომ სალოკზე ნადირი არ იქნებოდა. უცბად ლაბომ ჩაიჩოქა და ხელით ზურგსუკან მანიშნა, ფრთხილად იყავიო. რადგან გამართულად მივყვებო-დი, მე უფრო ადრე შევნიშნე, როგორ მარდად, ცქვიტად, ვეებერთელა ნახტომით ამოხტა ხევიდან არჩვი, კლდიან ბექობს თავში მოექცა, შეჩერდა და ჩვენკენ გამოიხედა. თოფი ხელში მეჭირა, დამცველს ხელი ჩავკარი, მხარზე მოვიგდე და თითქმის დაუმიზნებლად ვესროლე. არჩვი ოთხივე ფეხზე ჩაიკეცა, მაგრამ ელვის უსწრაფესად წამოხტა, თითქოს რაღაც ძალამ ზეატყორცნაო და დიდი ნახტომით ნაშალ ფერდობზე გავარდა. ნაშალი მოწითალო რუხი ფერისა იყო, ზედ ნადირის ნავალი ბილიკები იყო გაკვალული და დაჭრილი არჩვიც ერთ-ერთ ბილიკზე გაიქცა. დაჭრილი რომ იყო, აშკარად ეტყობოდა, რადგან პირველი ნახტომის შემდეგ ნელა გარბოდა. გაქცეულს გავაყოლე თოფი და ვისროდი. არჩვი შეჩერდა.

ამ დროს ელვისუსწრაფესად გაასწრო დედას ციკანმა, ერ-თი წლისა იქნებოდა, უკვე ჩეფიჩი იყო, გრძელი მუქი ბალნით მოსილი. წამით შეჩერდა დედასთან და წინ გავარდა.

– ესროლე, ესროლე, რას უყურებ! – მიყვირის ლაბო. ყუ-რადღებას არ ვაქცევ მის ყვირილს და ვაკვირდები დაჭრილს, რომელიც ნელ-ნელა დაეშვა წინა მუხლებზე.

ტყეში შევარდნილი ციკანი უკან გამოვარდა, მიირბინა დე-დასთან, შეჰკიკინა და კვლავ უკან გაიქცა ტყისკენ.

– რას უყურებ, რა დაგემართა, ესროლე! – კვლავ მიყვირის ლაბო.

მე ავტომატი დამცველზე დავაყენე და დავუშვი. ამხანაგის ყვირილისთვის კვლავ არ მიმიქცევია ყურადღება, გაშტერებუ-ლი მივჩერებოდი იმ ადგილს, სადაც ციკანი მიიმალა. ჩვენ, მე და ლაბო, უკვე საფარის უკან კი არ ვიყავით, არამედ ფერ-

დობზე გავრბოდით გაღმა, ნაშალიანი ფერდობის პარალელურად, როცა გაქცეულ ნადირს ვესროდი.

ჩამოვჯექი. დაჭრილი არჩვი დაეცა და დაბლა ხევში ჩაგორდა. ციკანი ტყის პირზე გამოვიდა, ნაშალზე არ წამოსულა, რახან დედა ვერ შენიშნა და კიკინი დაიწყო.

– უნდა მოკლა, მაინც ნადირის ლუკმა გახდება, ესროლე და გაათავე. – მეუბნება ამხანაგი.

– ის საკმაოდ მოზრდილია, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს. ესენი, ეტყობა, ჯოგს ჩამორჩნენ, ციკანი მალე მონახავს მათ და შეუერთდება, – ვთქვი ჩემთვის და მერე დავაყოლე, – ციკანს კი არადა, დედასაც არ ვესროდი, რომ მცოდნოდა, ციკანი ახლდა.

დაბლა ჩავედით, არჩვს ყელი გამოვჭერით და ლაბო შეუდგა გატყავებას. ისე სწრაფად მუშაობდა, რომ უცბად შემოატყავა. მე ვუყურებდი, ცალყბად ვპასუხობდი და ყური ტყისკენ მქონდა, საიდანაც ხანგამოშვებით მესმოდა ციკნის კიკინი. კიკინი თანდათან ტყის სიღრმიდან, მაღლიდან ისმოდა. ეტყობოდა, ზევით, ალპური ზონისკენ მიიწევდა ციკანი, ვიცოდი, რომ მალე შეუერთდებოდა ჯოგს და დედასაც ორ-სამ დღეში დაივიწყებდა, მაგრამ ნაღველი მაინც მაწვა გულზე.

არჩვი გამოვფეშხეთ, ჯიგარი კვლავ მუცლის ღრუში დავაბრუნეთ, შიგნეული წყალში გადავყარეთ, ხორციც თავის ტყავში დავაბრუნეთ, მაღლა ამოვიტანეთ, ავკიდეთ ცხენს და ჩხათანისკენ წავედით.

– სისულელე მოგივიდა, რომ ციკანი არ მოჰკალი, როგორ გაშლილ ადგილზე იდგა, თითქოს გიწვევდა, აბა, მიდი, მესროლე, თუ ბიჭი ხარო. მერე როგორი ხორცი ექნებოდა, როგორ იყო ჩამრგვალებული, ტყავში ვეღარ ეტეოდა, ეჰა, – გზადაგზა ოხრავდა ლაბო.

– თუ ასე დაგწყვიტა გული მაგ ციკნის სიცოცხლემ, თავად გესროლა, მე ხომ თოფი დაგიდე წინ. რატომ არ ესროლე?

– ჩემი სროლა არ შეიძლება, თავადაც ხომ იცი.

– არც ჩემი სროლა შეიძლებოდა, მე ჩემი პრინციპები მაქვს და შენც კარგად იცი, რომ ხორცი არ არის ჩემთვის თვითმიზანი.

საუბარში მივედით ჩხათანაში. ლაბოს სიმამრ-სიდედრი, აჰ-მადი და ხადიშათი გულთბილად დაგვხვდნენ, სალამ-ქალამის და ხაბარის შემდეგ ცხენი ტვირთისგან გავათავისუფლეთ. რახან საღამო ჩამოდგა და ბუზის საშიშროება არ იყო, არჩვი ტყავიდან ამოვიღეთ და გარეთ კავზე ჩამოვკიდეთ, რათა გამ-შრალიყო. მთაში ხორცს ამგვარად ინახავენ გაფუჭებისგან: დღისით შეფუთულია და გრილ ადგილას ინახავენ, საღამოს გარეთ გამოჰკიდებენ ჰაერზე, რათა ზედაპირი, კანი კარგად გაშრეს. ერთი-ორი ღამის შემდეგ ხორცს ისეთი მკვრივი, მაგ-არი კანი გადაეკვრება, რომ ბუზი ვერაფერს უშვრება. დანით გადასერავ ამ კანს და შიგნით ახალი, ნორჩი ხორცია.

მეცხვარული ყაურმა მოგვიმზადა დიასახლისმა, მონადი-რული მწვადიც შეგვიწვა ლაბომ და კარგად ვივახშმეთ. რა თქმა უნდა, არაყიც დავლიეთ და გვიანობამდე შევრჩით სუ-ფრას. სუფრაზე გადავწყვიტეთ, რომ დიდგვერდში ასვლას აზ-რი არ ჰქონდა, რადგან აჰმადისგან შევიტყვეთ, რომ მეცხვარე-ები ცხვრის გასაპარსად ჭიქაურის ხორხში გადმოსულიყვნენ. თანაც ერთი არჩვი უკვე მოვინადირეთ და დავარწმუნე ამხანა-გი, რომ საკმარისი იყო ორივესთვის.

დილაადრიან ზერელედ ვისაუზმეთ და სახლისკენ წამოვე-დით. მზე ჯერ არ იყო ამოსული, როცა ჩხათანის ბოლო სათიბს გამოვცდით და მუჟას მივუახლოვდით. ლაბო მეუბნება:

– მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ სალოკს, იქნებ კვლავ გაგვიღიმოს ბედმა.

– რას ამბობ, გუშინდელ სისხლიან კვალს ნადირი გამო-ჰყვება?

– რასა ვკარგავთ, არ გვეჩქარება და დიდ დროსაც არ წაგ-ვართმევს, გადავხედოთ, – თავისას არ იშლის ლაბო.

– კარგი, გადავხედოთ, რახან ასე გსურს.

ცხენი იმავე თხილის ბუჩქის ტოტზე მივაბით და ტყისკენ წავედით. ტყეში ლაბო კვლავ მოკუზული წავიდა საფარისკენ. ამჯერად მეც მას მივბაძე და ფრთხილად ჩავედით საფართან. აი, საოცრება, სალოკზე იდგა ვაცი არჩვი, თავი აეწია და ყუ-

რადღებით აკვირდებოდა გარემოს. ხეზე გადავდე ავტომატი და ვესროლე. არჩვი შვეულად ერთ მეტროზე მაღლა ახტა, დაეცა და არც განძრეულა. ეგრევე დავეშვით დაბლა, ყელი გამოვჭერით და ერთმანეთს გადავხედეთ. გაოცებული ვიყავი ასეთი იღბლიანობით, ვინმე მონადირეს რომ მოეყოლა, დავეჭვდებოდი, სიმართლეს ამბობს თუ არაო. მართლაც, უცნაური შემთხვევა იყო: ისე, ყოველ შემთხვევისთვის ჩავხედეთ მუჟას, რომლის არსებობაც ცოტა ვინმემ თუ იცოდა და ორჯერვე მოვინადირეთ თითო არჩვი. კაცმა რომ თქვას, როცა ლაბო მიყვებოდა აქ არჩვებზე ნადირობაზე, ხანდახან გავიფიქრებდი, აზვიადებს-მეთქი.

საოცრება ჯერ წინ მელოდა. ლაბომ ნადირის უკანა ფეხები ჩასერა, ერთი ფეხი ჩაატყავა, სახსართან ჩაჭრა ჩამოსაკიდად, იქვე ნორჩ ხეს ტოტი ჩამოასხიპა, ავწიეთ და უკანა ფეხზე ჩამოვკიდეთ. ლაბო ატყავებდა, მე ვეხმარებოდი და მხიარულად ვსაუბრობდით, რომ ზემოდან ხრიალით წამოვიდა კენჭები. შევხედეთ და გაოცებისგან პირი დავაღეთ. მაღლა კლდის თავზე გადმომდგარი არჩვები ცნობისმოყვარეობით და გაოცებით დაგვცქეროდნენ. მოწინავეთ უკანანი ურქენდნენ, აქაოდა, ან ჩადით სალოკზე, ან გაგვატარეთო.

ლაბომ დანა დააგდო, გვერდზე კლდეზე მიყუდებულ ავტომატს ხელი სტაცა და მომაწოდა დარწმუნებულმა, რომ ეგრევე ავტეხდი სროლას. მაგრამ მე ხელი არ გამიწოდებია იარაღის გამოსართმევად და არჩვების მსგავსად, გაოცებული ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი.

– ჰა, გამომართვი, ესროლე, რას გაშტერებულხარ? – ხელში მაჩეჩებს იარაღს ლაბო.

– რად უნდა ვესროლო, ორნი ვართ, ორი მასარი მოვკალით, მეტი რა საჭიროა.

– კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი, ბედი კარზე მოგვდგომია და ხელსა ჰკრავ.

– თუ გინდა, შენ ისროლე, ხელში არ გიჭირავს? – გაღიზიანებულმა ვუთხარი და გავყურებდი, როგორ გრაციოზულად

მიქროდა მაღლა უკვე დამფრთხალი ჯოგი, – ძმაო, ლაბაზან, მონადირემ არასდროს არ უნდა გამოიჩინოს სიხარბე, ხორცის გულისთვის არ უნდა გაჟლიტოს ნადირი.

ცხადია, მე არ ვამბობ, რომ ნადირობა მხოლოდ სპორტია. დაუშვებელია, ამას ისლამიც გვიკრძალავს, რომ ნადირი ხოცო მხოლოდ სიამოვნებისათვის, ღმერთმა ბუნებაში ყველაფერი ადამიანისთვის შექმნა, მაგრამ ზომიერად უნდა გამოიყენო.

– ეჰ, ცხენი გვყავს, ათიც რომ მოგვეკლა, ზურგით კი არ მოგვიწევდა მათი თრევა. ტყუილია, მასწავლებლისგან მონადირე არ დადგება.

– უმიზნოდ და ხორცის გულისთვის რომ ჟლიტე ნადირი, იმიტომაც დადიხარ ახლა უთოფოდ სანადიროდ და სხვისთვის გიწევს ხვეწნა, მოკალიო მასარი. რა, შენ გინდა, რომ მეც დამეწყოს შენსავით ღამის კოშმარები? – ჩემსას არ ვიშლი მეც.

შემოვატყავეთ ნადირი, ავიტანეთ მაღლა, ავკიდეთ ცხენს და სახლისკენ დავუყევით გზას. ლაბოს ვერ მოენელებინა, ასე რომ გავუშვით ხელიდან კარს მომდგარი ბედი, მაგრამ გზაში დავარწმუნე, რომ ღმერთმა ჩვენ ისედაც დაგვაჯილდოვა, შუა გზიდან მოგვაბრუნა ხორცით დატვირთული ცხენით და არ გაგვაწვალა დიდგვერდის შორი გზითა და ეხში ღამეების თევით.

როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, გამახსენდა ერთი შუა გზაზე შეწყვეტილი სანადიროდ გამგზავრება. მაშინ ლაბო უკვე აღარ იყო ცოცხალი. ერთხელ, პურმარილზე მე და ელიზბარმა გადავწყვიტეთ სანადიროდ დიდგვერდის მთაში ასვლა. კარგად შეზარხოშებულები ვიყავით, როცა მასპინძელს გამოვეთხოვეთ. საღამო იყო, სახლში მისვლა და დაძინება ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა, მაგრამ ელიზბარს ვუთხარი:

– მოდი, ახლავე გავემგზავროთ, – ათ-თერთმეტ საათამდე ხორაჯოში ავალთ, იქ ილიაზ ცათიაშვილთან ღამე გავათენოთ და დილაადრიან შევუდგებით ხორაჯოს ქედს და მოკლეზე, შერ ბოსიეს გავლით ჩავალთ ჯამიეს ნადგომში.

– რა ძალაა, რათ უნდა ვიწვალოთ ღამე სიარულით, დილაადრიან გავუდგებით გზას.

– ვიცი, რას ნიშნავს სოფლიდან დილაადრიანად გასვლა, გვირჩევნია, ღამე წავიდეთ, ავტომატები გვაქვს და ღამით გვირჩევნია სიარული.

ელიზბარს ეს ახირება ჭკუაში არ მოსდიოდა, აშკარად ეტყობოდა, მაგრამ დიდ პატივს მცემდა, დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და დამთანხმდა. შევთანხმდით, რომ მისი სახლის პირდაპირ, სოფლის თავში ალაზნის პირზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

როცა ალაზნის ნაპირს ავყევით მთებისკენ, ჯერ არ იყო შებინდებული. ომალოს დაკიდებულ ხიდზე რომ გავედით და ბექის ძირს ავყევით ქორთა ბუდისკენ („ობოლაი ბონიშქ“), კარგად დაბინდდა. უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ალაზნის წყლის შუქი, რომელიც კარგად იკვეთებოდა ცის ფონზე და ჩრდილოეთიდან ბუმბერაზი მთების ციალზე, გზას დაუბრკოლებლად მივყვებოდით.

ქორთა ბუდესთან მაღლა ავიწიეთ, მდინარე ხეობის მარცხენა კიდეს მოჰყვებოდა. აქ დაიწყო კიდეც ჩვენი წვალება, რადგან ბილიკი, რომელსაც მივყვებოდით, ჯერ ერთი, ვიწრო და ძნელად სავალი იყო; მეორეც, ამ ბილიკით უკვე იშვიათად სარგებლობდნენ პანკისის მცხოვრებლები, რადგან ხორაჯოს წყლის ალაზანთან შესართავამდე ხადორის სამანქანო გზით მგზავრობდნენ, იქიდან ალაზანზე ფონში გადავიდოდნენ გაღმა და აქედანაც სამანქანო გზა მიდიოდა სოფ. ხორაჯომდე; მესამეც, ბნელი ღამე დადგა, უმთვარო, ტყეში ჩამობნელდა და გზას ვერ ვიკვლევდით. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ელექტრო ფარნის წამოღება ორივეს დაგვავიწყდა, მხოლოდ ერთი ასანთი აღმოგვაჩნდა.

წინ ელიზბარი მიდიოდა, როგორც უმცროსი, უფროსს გზას მიკვლევდა. ასანთის შუქზე მივიწევდით წინ, ჩაქრებოდა ღერი და ვჩერდებოდით. ამ ვაი-ვაგლახში გავიარეთ „ჯორის ნაფეხური“, ყველაზე სახიფათო მონაკვეთი. ამ მონაკვეთის გავლაში დიდი დრო დავხარჯეთ, თითქმის საათნახევარი მოვანდომეთ. როცა მივადექით ამ სახიფათო ადგილს, მეგზურს ვეუბნები:

– დათარსული ადგილია ეს ოხერი, ეცადე, „ჯორის ნაფეხურს“ არ დაადგა ფეხი. – სიცილით ვეუბნები მეგზურს.

– რატომ, რა არის ისეთი, ერთი პატარა ღრმულია, ამ ჯოჯოხეთურ სიბნელეში ვერც კი შენიშნავს კაცი.

– რა, არ მოგისმენია ლეგენდა მის შესახებ? მათე წერს ამაზე, ალბუთაშვილი.

ელიზბარი ჩამოჯდა, მეც მივუჯექი გვერდზე და მოვუყევი ლეგენდა, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს ჩაიწერა ქისტმა მემატიანემ:

„გზა მიდის იმისთანა ფერდობზე, ლილასავით ლურჯს სალ კლდე ტინზე, რომ რაც უნდა შეჩვეული თვალი შეხვდეს, მაინც შეშინდება. ერთი უცბად რომ ცხენს ან კაცს ფეხი წაუფორხილდეს, ოცი საჟენის სიმაღლიდან ისე დაეცემა ძირს მდინარე ალაზნის რიყეზე, რომ გზად ბალახსაც ვერ მოხვდეს. აი, ამ გზაზე, ამ სალ კლდე-ტინზე ერთ ადგილას ამოჭრილია ვერშოკნახევარი სიგრძე და ვერშოკის სიგანე, რაშიც, მართლა, ჯორის ერთი ფეხი ჩაეტევა.

ამაზე არსებობს ხალხში შემდეგი ლეგენდა: იესო ქრისტე რომ ქვეყნად დაიარებოდა, სხვათა შორის იმოგზაურა იმ მთებშიც, რომელზეც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი. იქიდან რომ მოდიოდა, ჯორზე იჯდა და ჩონგურს უკრავდა. გზაში აუჩნდა ეშმაკი და ჩამოეკიდა, მაგ დასაკრავის სახელი უნდა მასწავლოო – ქრისტე ყურსაც არ უგდებდა ეშმაკს და ჩონგურის დაკვრას განაგრძობდა. ეშმაკმა რომ თხოვნით ვერაფერი გააწყო, ისევ თავის ხერხს მიმართა: ქრისტეს გზა მოუჭრა, წინ ჩაუსაფრდა და ჯორი დაუფრთხო. ქრისტემ თავის ჯორს შესძახა: „დაიცა, წყეულო, ჩონგური არ გამატეხინოო“.

ამნაირად, ეშმაკმა თავის მიზანს მიაღწია და ის ნაფეხურებიც მაშინ დაჩნდა იქ, კლდესაც, რომელსაც დღეს ხალხი „ჯორის ნაფეხურს“ ეძახის“.

– როგორ, იესო ქრისტე, ქრისტიანები რომ ღმერთად აღიარებენ, ეშმაკმა ასე უბრალოდ მოატყუა? – მეკითხება მეგობარი.

– იესო ქრისტე მხოლოდ მოციქული იყო, უდიდესი მოციქული, რომლეც ღმერთის სიტყვებით ლაპარაკობდა. ადექი ახლა, გზა განვაგრძოთ, ოღონდ ფრთხილად იარე, ეშმაკმა არ გვაჯობოს. – ვუთხარი და ფრთხილად გავწიეთ წინ ასანთის მკრთალ სინათლეზე. შემდგომ მგზავრობის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, ასანთიც გაგვითავდებოდა და გადავწყვიტეთ, დაბლა რიყეზე ჩავსულიყავით და იქ დავლოდებოდით გათენებას.

დაბლა, ტყის პირზე, ვეებერთელა კუნძი ეგდო. მის ძირში ცეცხლი დავანთეთ, იქვე მოჭრილი წიფლის ხმელი ტოტები ეყარა და დიდი კოცონი გავაჩაღეთ. ამ საქმიანობაში, რომელსაც ხალისით ვაკეთებდით, დროც გადიოდა. რომანტიკული ღამე იყო: ირგვლივ უკუნი სიბნელეა, სინათლე მხოლოდ კოცონის ირგვლივაა, რამდენიმე მეტრის იქით კი სრული სიბნელე, თითქოს სინათლესა და სიბნელეს შორის ფარდაა ჩამოფარებული; გაღმა-გამოღმა აღმართულია შავი გორები, გორებს ზემოთ ვარსკვლავები; ალაზანი ბობოქრობს, ხმაურით მიქრის ქვემოთ, არაფრის დარდი არ აქვს, რიტმული სიმღერით მიექანება ბარისკენ, უნებურად ადარებ ვაჟას აღწერილ მდინარეს:

„მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს,
ზედ ასკდებოდა ლოდებსა,
დღესაც ისევე ბოროტობს,
არ იცის, რისთვის ჰგოდებსა“.

ცეცხლის პირზე სახლიდან წამოღებული პურმარილი გავშალეთ. დღის ნაქეიფარი ჯერ კიდევ გვიღიტინებდა ტვინში, რომანტიკული ღამე და ჩვენი რომანტიკული სულიერებაც სიხალისეს გვმატებდა. ელიზბარი, სხვათა შორის, პოეტური ბუნების კაცია, მგონია, ჩუმად ლექსებსაც უნდა წერდეს, მაგრამ ჯერ არ გაუნდია ჩემთვის. ვიცნობ პოეტებს, ბევრი მეგობარი მყავდა სტუდენტობის დროს, ამაყი და თავმოყვარე ხალხია, თავიანთ შემოქმედებით საქმიანობას უახლოეს მეგობარსაც

ძნელად თუ გაანდობენ, ეშინიათ, ვაითუ ვერ გაგვიგონ და დაგვიწუნონო. არადა ყველა ფიქრობს, რომ დიდი პოეტია. ამას, ცხადია, ელიზბარზე როდი ვამბობ, თუმცა...

ერთი სიტყვით, ორნი ვიყავით, მაგრამ ისე ვქეიფობდით, თითქოს დიდ სუფრაზე ვისხედით. ცნობილია, რომ ქეიფში სამი თანამეინახე მაინც უნდა იყოს, ორის კამათის დროს მესამემ უნდა გადაწყვიტოს, ვის მხარესაა სიმართლე. მაგრამ ჩვენ ორს მესამე არ გვჭირდებოდა, რადგან საკამათო არც გვქონია როდისმე, თუნდაც წამოჭრილიყო კამათი, ელიზბარი უფროს-უმცროსის ქისტურ ადათს იცავდა და წყვეტდა დავას, თუმცა ჯიუტად დააყოლებდა: მაინც ჩემს შეხედულებაზე ვრჩებიო.

დასაძინებლად ქვეშსაგები და დასახური არ გაგვაჩნდა და ღამის ფხიზლად გატარებას ვფიქრობდით. შუაღამე გადასული იყო, როცა ძილი მოგვერია. ძილი რომ დაეფრთხო, ელიზბარმა სავაზნე კოლოფში მანათობელი ტყვიები ჩააწყო და სროლა დაიწყო. გვაინტერესებდა, ტოლოშას ქედს თუ გადააცდენდა ტყვიას ავტომატი. ორივეს ახალთახალი ავტომატები გვქონდა, ელიზბარს AKM-ის სისტემის საკეც კონდახიანი, მე კიდევ AKC-ის სისტემის ასევე საკეც კონდახიანი, ორივე ახალთახალი იყო, შავი, პრიალა, საუცხოო სანახავი და დიდად ვამაყობდით კიდეც მსოფლიოში საუკეთესო იარაღის ფლობით. „აკაემს“ ტყვია შავი მთის იქით გადაჰქონდა, საუცხოო სანახავი იყო ბნელ ღამეში მანათობელი ტყვიის კაშკაშა სრბოლა უკუნეთ ღამეში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერს მიუშვებდა და წყვეტილი კაშკაშა ხაზი რომ გადაიჭიმებოდა ტოლოშის ქედზე ცისარტყელასავით.

ძილმა მაინც თავისი ქნა, თვალები გვებლიტებოდა და დაძინება შევთავაზე თანამეინახეს. სუფრა ავალაგეთ, კოცონი გავაღვივეთ, კუნძ-მორს მივეყრდენით და ზეზეულად ჩავიძინეთ. სიცივისგან მალიმალ გვეღვიძებოდა, ბობოქარ ალაზანს მთიდან ცივი ნიავი მოჰქონდა. მართალია, ყურესავით ადგილას ვიყავით შეფარებული, მაგრამ მაინც ციოდა, ვინც გაიღვიძებდა, ცეცხლს ვუკიდებდით და ვიძინებდით.

სისხამ დილით ელიზბარმა გაიღვიძა, გამაღვიძა და მითხრა:

– აბა, მოვუსვათ აქედან, თორემ გავიყინე და ეგ არის, სწრაფად ვიაროთ, გავხურდებით, ჭიქაურში ომალოელი მეცხვარეები დგანან, იქ დავისვენებთ და წავუძინებთ კიდეც.

სწრაფად ავალაგეთ ხარაზული სუფრა, ზურგჩანთები ავიკიდეთ და გადავიკიდეთ ავტომატები. მართალია, „პახმელია“ საშინელი ვიცოდი, მაგრამ ამის წამალი სწრაფი სიარული და ოფლის დენა იყო. ამის გამოცდილება კი მქონდა და სწრაფად გავწიეთ ხორაჯოსკენ.

როცა ხორაჯოს გავცდით, ცის აღმოსავლეთი მხარე წითლად შეიღება. ეს კარგი ამინდის ნიშანი იყო, სტიმული მოგვეცა და ტემპის შეუნელებლად განვაგრძეთ სვლა. მართალია, რაც წინ მივიწევდით, აღმართიც იზრდებოდა, მაგრამ ეს შეუმჩნეველი იყო, ვაკე აღმართი და სიარული არ ჭირდა.

როცა ჩხათანას მივუახლოვდით, ჭიქაურისა და ნაქერალას მთების დამაკავშირებელი ქედი-რკალის იქიდან მზემაც ამოყო თავი. სოფელში არ შევსულვართ, შეუმჩნევლად ავუარეთ გვერდი და ჭიქაურის ქედზე ამავალ ბილიკს მივადექით. პატარა ღრმულში, იმ ადგილას, საიდანაც იწყებოდა აშოლტილი წიფლების ხშირი ტყე, წყარო გადმოსჩქეფდა. ტრადიციულად, ყველა მგზავრი, რომელიც მთაში მიდიოდა, ამ წყაროს პირზე ისვენებდა და სადილობდა. ჩვენც არ დავარღვიეთ ტრადიცია, წყაროს პირზე ჩაემოვსხედით, დავისვენეთ, ოფლი შევიმშრალეთ და მერეღა დავეწაფეთ ცივ ანკარა წყაროს. შემდეგ ამოვალაგეთ წუხანდელი ვახშმის ნარჩენი, ვისაუზმეთ და შევუდექით აღმართს. მართალია, არსად გვეჩქარებოდა, დრო გვქონდა, საღამომდე თავისუფლად ავიდოდით დიდვერდში და ჯამიეს ნადგომშიც დაღამებამდე ჩავიდოდით, მაგრამ ვიფიქრეთ, რომ ჯობდა ჭიქაურის აღმართი აგვევლო, სანამ დაცხებოდა.

დიდგვერდში ბილიკი მაგეის ნადგომის, რომელიც ჭიქაურის ქედის, ტყის ზოლიდან 200 მეტრის ზევით, ალპურ ზონაში ქედის ცერზე მდებარეობდა, აღმოსავლეთისკენ უხვევდა, ჭიქაურის ხორხში – ხევში გადადიოდა და მერე აღმა ხორხს მიჰ-

ყვებოდა. ჩვენ პირდაპირ ქედის ცერს ავყევით და მივადექით მეცხვარეების ბინას.

შუადღე მოახლოებული იყო (ქისტურად „მერთ ხა“), მეცხვარეებს ცხვარი ბაკში შეერეკათ და წველიდნენ. ყველა ბაკში იყო და ჩვენი მისვლა არც შეუნიშნავთ, სანამ თავს არ დავადექით და ხმამაღლა არ მივესალმეთ. სალამი დაგვიბრუნეს, ბრიგადირი, რომელსაც არენდით ჰყავდა მეურნეობის ცხვარი, ომალოელი იყო. სოლიკო ბექაურის ვაჟს, კარგ, ზრდილ, მამასავით ხელგაშლილ ახალგაზრდას, ყველა კარგად ახასიათებდა, ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ ზრდილობიანი ახალგაზრდა რომ იყო, ვიცოდი და პირადად დავრწმუნდი ამაში. მერე ქედში მოჰკლეს სრულიად უდანაშაულო, მთვრალმა, ჭკუასგადასულმა ვიგინდარამ ესროლა. სოფელმა და მთელმა ხეობამ მძიმედ განიცადა გამორჩეული ახალგაზრდა კაცის დაკარგვა. ბექაური საწველი კასრით გამოვიდა ბაკიდან, როგორც მასპინძელს შეეფერება, ქოხში შეგვიპატიჟა, მაგრამ უარი ვთქვით, რადგან შევნიშნეთ, რომ მხოლოდ სამნი იყვნენ მწველავები და ცხვრის წველა კი, ორივემ კარგად ვიცოდით, რა მძიმე სამუშაოც იყო და ამ დროს კაცის მოცდენა არ შეიძლებოდა.

ელიზბარი გადაუდგა და ხელები მიაბჯინა მკერდზე და უკან-უკან დააწევინა ბაკისკენ, მერე შეაბრუნა ბაკში და თან ეუბნება:

– საქმეს მიხედეთ, კანთი, ჩვენ დაბლა წყაროზე ვისაუზმეთ და მშივრები არა ვართ. გზა უნდა განვაგრძოთ, გვინდა, საღამოზე მუჟაზე ჩავიდეთ და ფსიტებს (მასარებს) ჩავუსაფრდეთ.

– ჰოო, გუშინ საღამოს დუისელებიც წავიდნენ დიდგვერდში, ისინიც ამბობდნენ, მუჟაზე მივდივართო.

მე და ელიზბარმა ერთმანეთს გადავხედეთ, ნაღდად არ გვესიამოვნა ეს ამბავი.

– ვინ იყვნენ, ხომ არ იცი? ან რამდენი იყვნენ? – ვეკითხები ბექაურს.

– ორი ვიცანი, დუისელები იყვნენ, დანარჩენი სამს არ შევხვედრივარ.

– მთელი ბრიგადა წასულა და ეგ არის, – უკმაყოფილო ხმით თქვა ელიზბარმა, – ახლა ჩვენც რომ მივემატოთ, მთელი ბატალიონი გამოვა.

– მერა რა მოხდა, მასარებიც ჯოგებად დადიან, რაოდენობაში თანაბარნი იქნებით, ბარი ბარში, – დაცინვით ბაკიდან წამოიძახა წვერიანმა მეცხვარემ, რომელსაც ცხვრის დუმაზე მიედო თავი ლოყით, ორივე ხელში მოექცია ცური, კუმშავდა და წურავდა, რძე ჩხრიალით ჩადიოდა კასრში.

– აბა, ჩვენ წავალთ, ღმერთმა ბარაქა ნუ მოგაკლოთ. – ვთქვი, ჩხაზე ჩამოკიდებული ჩვენი ავტომატები ჩამოვხსენი, ელიზბარს თავისი მივაწოდე, ზურგჩანთა მხრებზე მოვიგდე და წასასვლელად მოვემზადე.

– ელიზბარ, არაყი ჩამოუსხი ბიჭებს.

– არა, დიდი მადლობა. გუშინ ბარიდან ამოვედი და სასმელიც ბლომად ამოვიტანე. ერთ საათში მოვრჩებით, საკლავს დაგიკლავთ და ვიქეიფოთ, სიტყვაზე არ ვამბობ, დამიჯერეთ, – კვლავ გადაგვიდგა ბექაური.

– ვიცი, რომ სიმართლეს ამბობ, დაუსწრებლად გიცნობ, მამაშენსაც კარგად ვიცნობდი, შენს ბიძებსაც, დარწმუნებული ვარ, მათი გენები ხელგაშლილობისა და სტუმართმოყვარეობისა გამოგყვებოდა. ამჯერად ნუ დაგვაყოვნებ, დიდი მადლობა.

ჩუმად გავიარეთ ფერდობი ცხვრის ნავალ ბილიკზე და გავედით ხორხში. დიდ, უზარმაზარ კლდეს რომ შემოვუარეთ და ბილიკზე დავდექით, ელიზბარი შეჩერდა და მეუბნება:

– ვოშეი, აზრი არ აქვს ახლა ჩვენს დიდგვერდში წასვლას. ჯერ ერთი, ეგ ახალბედა მონადირეები იქ ნადირს დააფრთხობდნენ, მეორეც, ამდენი ხალხი სად მოვთავსდებით, ეხში კი არა, ბინაშიც ვერ დავეტევით.

– ხომ გაგიგია, სადაც ნახირი, იქ ბებიას ხბოცო, ჩვენ ორნი იქ რამეს ვერ შევცვლით დაწოლა-ადგომის კუთხით, არც ვისმე დავაწვებით ზურგზე, არავის პრობლემებს არ შევუქმნით, – ვცდილობ დავარწმუნო მეგობარი, არ მინდა შუა გზიდან დაბრუნება.

მაგრამ თუ ელიზბარმა ერთი აიხირა, ძნელი იყო მისი გადარწმუნება. თანაც ვგრძნობდი, რომ მართალი იყო, აზრი არ ჰქონდა გზის გაგრძელებას. უწადინოდ დავეთანხმე და გამოვბრუნდით უკან. მეცხვარეების ბინაში არ დავბრუნებულვართ, არ გვინდოდა, მოგვესმინა ომალოელების იუმორი, ბილიკს ჩავყევით, მერე დასავლეთისკენ გამოვყევით ბილიკს მაგეის ნადგომისკენ.

ზედ გზაზე შევნიშნეთ მკვდარი ცხვარი. გავცდით და მეორე გდია გზის ქვემოთ, მივიხედ-მოვიხედეთ და ერთმანეთისგან დაშორებით ყრია მკვდარი ცხვრები, თანაც ძალიან გამხდრები, შიგადაშიგ მატყლგაცვენილი. მივხვდით, რომ მგლების ნახელავი იყო, ეტყობა, მთელი ხროვა დაეცა ცხვარს, ნოტობად გაიტაცა და უმოწყალოდ გაჟლიტა.

– ჰოო, ახლა კი მივხვდი, რატომ იყვნენ ომალოელები ასე უხასიათოდ, – მომიბრუნდა ელიზბარი.

– დიახ, მეც გამიკვირდა, ასე იოლად რომ შეელივნენ სტუმრებს, ომალოელთა სტუმართმოყვარეობას არ ჰგავდა. – ვთქვი მეც.

დილით ამოვლილი გზა შუადღის შემდეგ ჩავლიეთ, ჩავიარეთ ჩხათანა, ჩხათანას მუჟაზეც ჩავხედეთ, მაგრამ სუფთა იყო. გავიარეთ ხორაჯო, ხოხორას ნაბინავარი, ობოლას ველი, ქორთა ბუდესთან შევჩერდით დასასვენებლად. ბექის პირზე, ხეთა ჩრდილში, წყაროს პირზე ჩამოვსხედით, დარჩენილი საგზალი ამოვალაგეთ ზურგჩანთებიდან, იქვე მოლზე გავაწყეთ სუფრა და ჭაჭის ორნახადი არყის ბოთლიც მივაშველეთ. ხეებს შორის კარგად ჩანდა ბაწარის კარი, ბაწარის წყლის ალაზანთან შესართავის ქვემოთ მწვანე ბექობზე სუფრა გაეშალათ მოქეიფეებს და ლხინობდნენ. დიდ მხიარულებაში იყვნენ, გარმონს მედოლეც აყოლებდა რიტმულად და ერთი დიმპიტაური-დამპიტაური იდგა.

გავყურებდით მოქეიფეებს და ჩვენი ღარიბული, სამგზავრო სუფრა უფრო ხარაზულად გამოიყურებოდა. თანაც ვერ ვიყავით გუნებაზე შეწყვეტილი ნადირობის გამო, თუმცა ნადირო-

ბა არც კი დაგვიწყია, უბრალოდ, სანადიროდ მგზავრობა შევწყვიტეთ. ამაში, ცხადია, ელიზბარს ვადანაშაულებდი, ალბათ, ისიც გრძნობდა ამას და ავად იცქირებოდა გაღმა მოქეიფეებისაკენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენთვის უცხო ადამიანების მხიარულება რომ აღიზიანებდა, ცხადი იყო.

– ხედავ, რა ამბავში არიან. ჩვენ აქ ჯარისკაცის ულუფაზე ვართ, ესენი კი მწვადებზე ღრეობენ, სადაა სამართალი? – აღშფოთებულია ჩემი თანამეინახე.

– ჩვენსას ხომ არ ჭამენ და სვამენ. მე და შენ ვაკლებთ ქეიფს თუ რა? თუ ქეიფი გვინდა, ხვალ შეგვიძლია ამოვიდეთ და ბუნებაში გავატაროთ დრო, რა პრობლემაა, მოეშვი იქითკენ ყურებას, ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ, – ვამუნათებ მეგობარს.

ერთ სადღეგრძელოს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და მალე არაყმა თავში შეგვიღიტინა. მზე ურან-ზუროს გორის ტყიან ქედს იქით გადაეფარა, ის იყო, დროებით დამთავრებისა უნდა დამელია, რომ ელიზბარმა უცბად ავტომატს წამოავლო ხელი, დამცველი დაუშვა და მოქეიფეების თავზე მიუშვა ჯერი. ეს ისე სწრაფად გააკეთა, რომ რამის თქმა ან ხელის შეშლა ვერ მოვასწარი. მოცეკვავეები და წრედ შემოკრული ახალგაზრდები უცბად გაწვნენ მიწაზე, ვინ სადაც მოხვდა, იქვე გაგორდა.

ელიზბარმა სიცილი ატეხა. ისე სასაცილო იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო და ხულიგნური გამოხტომის გამო ძალიან გავბრაზდი, მეც სიცილი ამივარდა. მაგრამ მაინც ვუთხარი საყვედური:

– ასე არ შეიძლება, იმ ასაკში არა ვართ, რომ ასეთი ხუმრობის უფლება მივცეთ თავს. სირცხვილია, ვინმემ რომ გაიგოს.

– არა, ნახე როგორ გაწვნენ ერთი ჯერის გამო. დარწმუნებული ვარ, ვაჟკაცობასა და გმირობაზე ბევრს იტყოდნენ და მამაცთა სადღეგრძელოსაც ასწევდნენ, – კვლავ იცინის ელიზბარი.

– მათ ადგილზე ჩვენც გავწვებოდით, შეიძლება ჩირგვებიც მოგვენახა დასამალად. იცი შენ, რა დროა, ყველა მამაძაღლსა და ოხერს ავტომატი უჭირავს და აკეთებს იმას, რაც მოეპრი-

ანება. მით უმეტეს აქ, ტყეში, როცა არავინ ხედავს დანაშაულის ჩამდენს, – სინანულით ვთქვი, სწრაფად ავალაგეთ სუფრის ნარჩენები, ზურგჩანთებში მოვათავსეთ, ავტომატები გადავიკიდეთ და გავწიეთ სახლისკენ. წინ მივდიოდი სწრაფი ნაბიჯით, ელიზბარმა დამადევნა:

– რას მირბიხარ, არავინ მოგვდევს.

– არ მინდა, მართლა ვინმემ გვნახოს და ეს უსაქციელობა შეიტყოს, ხალხში თავი არ გამოგვეყოფა, – ცოტა ხნის შემდეგ დავამატე, – შენი ამბავი რომ ვიცი, არავის მოუყვე ამის შესახებ.

მაგრამ დოქტორი რას გაჩერდებოდა, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მისთვის დამახასიათებელი იუმორით ყვებოდა ჩვენი სანადიროდ მგზავრობის შეწყვეტის შესახებ და, რა თქმა უნდა, მოქეიფეების ეპიზოდსაც არ გამოტოვებდა ხოლმე.

ეს ორი ეპიზოდი მონადირეობისა, უდაოდ, ძალზე განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში წარმატება მართლაც კარგი იყო, მეორე შემთხვევაში – სრული კრახი. მაგრამ ერთი რამით ემსგავსებიან ერთმანეთს: ორივე შემთხვევაში საბოლოო პუნქტი დიდგვერდის მთა და ჯამიეს ნაბინავარი იყო, მაგრამ ორივეჯერ ვერ მივედით დანიშნულების ადგილამდე.

„ჩუში სისხლი ბლაბლი იყოს“

1988 წელი. ოთხმა მონადირემ პირობა შევკარით, მთა დიდგვერდში სანადიროდ წავსულიყავით. ჩვენში პროფესიონალი მონადირე ლაბაზ ხანგოშვილი იყო, მე, ელიზბარი და ფიდო მარგოშვილები მოყვარული მონადირეები ვიყავით. ჩვენში ყველაზე უფროსი ფიდო იყო, დიდი გამოცდილება ჰქონდა ფრინველზე ნადირობაში, ბარში კურდღელზეც ენადირა, მაგრამ მთაში ნადირობის გამოცდილება არ ჰქონდა.

ლაბოს ამ პერიოდში კრიზისი ჰქონდა – ღამე თეთრწვერიანი მოხუცი ესიზმრებოდა, რომელიც ტუქსავდა ნადირის ჟლეტის გამო. ეს გამოცხადებები თანდათან მკაცრ ხასიათს იძენდა და ბოლოს ერთი და იგივე მუქარით მთავრდებოდა – მოხუცი დიდი სასჯელით ემუქრებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლაბო იძულებული გახდა, შეპირებოდა, დღეის შემდეგ ნადირს თოფს არ ვესვრიო. და ამ შეთანხმებას ასრულებდა კიდეც. დარწმუნებული ვიყავი, რომ სიმართლეს ყვებოდა, რადგან ვიცოდი, როგორი თავგადადებული მონადირეც იყო და როგორ გაუჭირდებოდა ნადირობაზე უარის თქმა. ამიტომ იყო, რომ უიარაღოდ დადიოდა მთაში, ხშირად ერთად გვინადირია, მხოლოდ მე ვისროდი, უმეტეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ვაცდენდი, რადგან ყოველთვის ვჩქარობდი, მოთმინების უნარი ვერ გამოვიმუშავე.

მე რუსული შაშხანა მქონდა, ახმეტელმა მეგობარმა, მონადირე ვაჟა კუბლაშვილმა მათხოვა. მითხრა: ტყვიამფრქვევის

ლულაზეა აწყობილი, ჯერ არ მომეცა შემთხვევა, რომ შემე-მოწმებინა, თავად გამოსცადე და გაარკვიე, რამდენად ზუსტად ისვრისო. ელიზბარს „ბერდენკისა და შაშხანის“ შეჯვარებული ნიმუში წამოეღო, ხევსურ მეგობარს, საკობიანოელ ონისე გიგაურს ეჩუქებინა მისთვის.

უცნაური თოფი იყო. ბერდენკა ერთსასროლიანი თოფია, ონისეს თუ ხელოსანს რუსული შაშხანის სავაზნე კოლოფი მოერგო და ხუთსასროლიანი გაეხადა. რადგან ბერდენკას ვაზ-ნები არ იშოვებოდა, ცხადია, არც მასრები იყო დასატენად, ამიტომ შაშხანის ვაზნები გაესროლათ ბერდენკათი და მასრე-ბიც გაიბერა. სწორედ ეს გაბერილი მასრები დაეტენათ „კონ-სტუქტორებს“, ბერდენკას ყალიბის მსხვილი და გრძელი ტყვი-ები ჩამოესხათ და მოერგოთ შაშხანა-ბერდენკას მასრებისათ-ვის. ერთი სიტყვით, უცნაური ვაზნები იყო, მაგრამ ვიზუა-ლურად ლამაზად გამოიყურებოდა.

ფიდოს, ჩვეულებრივ, მცირეკალიბრიანი შაშხანა („გეკო“) ჰქონდა, რომლითაც ფრინველზე ნადირობდა და ის წამოეღო. მსხვილ ნადირზე სანადიროდ ეს იარაღი კარგია, თუ ზუსტად მოარტყამ მოწყვლად ორგანოზე, თავში ან გულში. სხეულის სხვა ნაწილში მოხვედრისას ნადირი შორს მიდის, სანამ სისხ-ლისგან არ დაიცლება, თანაც სისხლი გარეთ კი არ გამოდის, არამედ შიგნით გროვდება და ნადირი სისხლიან კვალს არ ტო-ვებს, რომ მონადირე მიჰყვეს და აღმოაჩინოს. ასეთ შემთხვე-ვაში ნადირი უჩინარდება და საბოლოოდ მაინც კვდება, მაგრამ მონადირე ხელცარიელი რჩება, მონადირის ასეთი „უიღბლობა“ თითქმის დანაშაულს უტოლდება.

ლაბომ ცხენი ითხოვა, ავკიდეთ ჩვენი ბარგი და გავუდექით გზას. დუისიდან ალაზნის ნაპირს ავყევით, მე, ელიზბარი და ფიდო დაკიდულ ხიდზე გადავედით, ომალოს მაღალი ბექობის ძირს ავყევით და შევუერთდით ლაბოს, რომელმაც ქორთა ბუ-დის ქვემოთ გადმოკვეთა ალაზანი. ერთად ავყევით ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ნაქერალას ქედის ფერდობებზე აღმა ამავალ ბილიკს.

ხორაჯოს წყლისა და ალაზნის შესართავთან აღმოსავლეთისკენ შევუხვიეთ და დავადექით ხორაჯოს სოფლისკენ მიმავალ გზას. სოფელში არ შევსულვართ, ქვემოდან ავუარეთ და დავადექით ჩხათანის ბილიკს. როცა გვიმრიან ველზე გავედით, გადავწყვიტეთ, დაგვესვენა, გვესადილა და თოფებიც გაგვესინჯა. ეს აუცილებელი იყო, რამეთუ მე და ელიზბარს არასოდეს გვესროლა ჩვენს ხელთ არსებული თოფებით. მონადირის პირველი წესით უნდა გამოსცადო თოფი ნიშანში სროლით, სანამ ნადირობას შეუდგები.

ცხენს ბარგი მოვხსენით და საძოვარზე გავუშვით, საგზალი ამოვალაგეთ და სადილს შევუდექით. ცხადია, მთაში არყის გარეშე ვერ წავიდოდით, სამ-სამი ჭიქაც დავაყოლეთ სადილს და კარგ გუნებაზე დავასრულეთ სმა-ჭამა.

– აბა, ელიზბარაო, მაიმარჯვე შენი ხირიმი, – გავეხუმრე მეგობარს, – ვნახოთ, რას წარმოადგენს ჩვენი მაჟარები (ქისტურად კაჟიანი თოფი).

– ძაან ბრწყინავს შენი ახალი „ვინტოვკა“, მაგრამ გაგონილი გექნება, მუქთა ბერდენკას ტყვიაც კარგიაო. აბა, ჯერ შენ ესროლე აი, იმ დიდ ქვას, ტყის დასაწყისში რომ აღმართულა. – თქვა ეს და ხელი გაიშვირა ასე 300-350 მ. დაშორებით ბექზე მდებარე ხავსიან კლდეზე.

– ხედავ, რახან მუქთად ჩაიგდო ხელში, თურმე „ბერდანკა-ვინტოვკა“ კარგიც უნდა იყოს, – ირონიით ამბობს ლაბო.

– რა, არ იცით, მუქთად ნაშოვნი ყოველთვის ტკბილი რომ არის. – წაკენწლა ფიდომაც.

– ჰო, რა თქმა უნდა, მუქთას ხარ შენ დაჩვეული, მოპარული ხორცის გემო შენზე მეტს ვის უფრო ეცოდინება, – სარკაზმს არ იშურებს დოქტორიც.

მე მეგობრების ხუმრობას ყურს ვუგდებ, ვიცინი და თან მოსახერხებელ ადგილს ვეძებ თოფის სასროლად. პატარა სიპის ქვა მოვნახე ზედ თოფის დასადებად, მწვანეზე დავწექი, სამიზნე შკალა სამასზე დავაყენე და ვისროლე. შაშხანის სასიამოვნო, მჭახე, მუსიკის აკორდივით ხმამ ხეობები მოიარა, მაგ-

რამ სანამ თოფის ხმა ხევებს მოივლიდა, პირველად ტყვიის ქვაზე მოხვედრის ხმა გაისმა და ბოლიც ავარდა. გადავტენე და მეორეც მივუშვი. ისევ ავარდა ქვაზე ბოლი. ჯერ ექოს ხეობები არ მოევლო, რომ წამოვვარდი და შევძახე:

„გამასტყვრა მუცალის თოფი, –
კლდის პირი დაიშლებოდა...“

არც ელიზბარი ჩამომრჩა, ვაჟას ლექსით გამომეპასუხა:

„რაკი სრევაზე მიდგება,
ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა...“

და ჩემი ადგილი დაიკავა. გავარდა „ბერდენკა-ვინტოვკა“, მაგრამ ხმა არც ბერდენკასი იყო და არც ვინტოვკისა, უფრო „ცენტრალკას“ ხმას ჰგავდა, რაღაც სუსტი, ხრინწიანი იყო. მაგრამ ეს არაფერი, ქვაზე არც ბოლი ავარდნილა და არც მოხვედრის ნიშანი იყო. მეორეც ესროლა ელიზბარმა, შემდეგ წამოდგა და ქვისკენ წავედით.

ტყუილად გავისარჯეთ, არც ქვაზე, არც ახლომახლო მიწაზე „ბერდენკა-ვინტოვკის“ ტყვიის მოხვედრის ნიშანწყალი არ იყო. კარგა ხანს ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ. ელიზბარს ხასიათი წაუხდა, თან ჩვენც არ ვაკლებდით დაცინვას. როგორც ვთქვი, ბერდენკას ტყვიებს ლითონის გარსაცავი არ ჰქონდა, ქვას რომ მოხვედროდა, მუქ-ვერცხლისფერ ლაქას დატოვებდა.

– ვოშა, როდის ყოფილა, მუქთად, იაფად ნაყიდი ხარისხიანი გამომდგარა. მაგრამ რა შენი ბრალია, ნათქვამია, ნაჩუქარ ცხენს კბილები არ ესინჯებაო. გული არ გაიტეხო, გამიგია, ზოგიერთი თოფი ნიშანში არ მიდის, მაგრამ ცოცხალ სამიზნეს ვერ ააცდენსო.

– რა მუქთა, რის მუქთა. მეგობარს სანაცვლოდ ნაგანი ვაჩუქე, შავად მბზინავი ნაგანი. – ბრაზობს დოქტორი.

– იქით პერანგი, აქეთ პერანგი („და ქოაჩ, სა ქოაჩ“), ასეა მთის კანონი, – დაამშვიდა ფიდომ.

გზა განვაგრძეთ. მზე ტოლოშის ქედისკენ იწურებოდა. ელიზბარს აშკარად შეეტყო, რომ ხასიათი გაუფუჭდა. მე ვიცოდი, რომ იარაღი ძალიან უყვარდა, თუ რითმე ამაყობდა, ეს იარაღი იყო და დღევანდელ მარცხს მწარედ განიცდიდა, ამიტომ გადავწყვიტე, როგორმე გამომეკეთებინა ჩვენი მეგობრის გუნება და როცა ჩხათანის მისადგომებთან ხევს მივადექით, მონადირეებს შევძახე:

– კენთი (ბიჭებო), მოდით, ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ეს ნაჯვარი თოფი, ახლა ახლოდან ვისროლოთ, რაღაც ეჭვი მაქვს.

შევდექით. ცხენი ლაბოს ეჭირა, მე სამიზნე მოვნახე, 50-ოდე მეტრის დაშორებით მდგომი წიფელი და ელიზბარს ვუთხარი:

– ესროლე, ქვევით მდელოზე ძნელი იყო ტყვიის მოხვედრის ადგილის პოვნა, აქ არ გაგვიჭირდება.

ელიზბარმა მხარზე მოიგდო თოფი და ისროლა. არც ახლა გაგვიგია მიზანში მოხვედრის ხმა. როცა ტყვია მაგარ სამიზნეს ხვდება, ხმა მკვეთრად ისმის, გამოცდილი მონადირე ნადირისთვის მოხვედრის დროს გამოცემულ ხმასაც კი შეიცნობს. ფიდო წინ გავარდა, ხეს დააკვირდა, შემობრუნდა, ხელები გაშალა და ჩამოგვძახა:

– ამ ხეს ტყვია არ მოხვედრია, სუფთაა, როგორც... უხამსი რაღაც დააყოლა.

– მიდექი გვერდზე, გაიწიე განზე – დავუძახე, – მეორედაც ისროლოს.

– ფეხს არ მოვიცვლი, ისროლოს, რამდენიც უნდა, – გაჯიუტდა ფიდო.

– კაცო, შენ წერას ხომ არ აუტანიხარ, გაიწიე განზე, მეორედ უნდა ისროლოს.

– ფეხს არ მოვიცვლი. თუ მაგ თოფიდან გასროლილი ტყვია მომკლავს, ჩემი სისხლი ალალი იყოს, – ჯიუტობს ხუმარა.

ელიზბარი შოკირებულია, თან მეგობრები სიცილისგან იჭაჭებიან, ამჯერად მეც ვერ ვიკავებ თავს, სიცილი ამივარდა.

ელიზბარი იხტიბარს არ იტეხს, გამოსავალს ეძებს და იპოვა კიდეც.

– არ ვისვრი. ამას რომ მოხვდეს და მოკვდეს, იტყვიან, კაცი მოკლაო და სისხლი დამედება. ჩემი თეიფის ძმაა („თეიფან ვოშ“), სისხლს არ იძიებენ, მაგრამ კაცის სისხლის საფასურის გადახდა მომიწევს, – ირონიულად განაცხადა, თოფი გადაიკიდა და ჩხათანის გზას დაადგა.

სიცილ-სიცილით ჩვენც გავყევით და ავედით ჩხათანაში, სადაც გულთბილად დაგვხვდნენ ლაბოს სიმამრ-სიდედრი. ღამე იქ უნდა გაგვეთენებინა და მეორე დღეს ავიდოდით დიდგვერდის ქედზე. ცხენს ტვირთი ჩამოვხსენით, საძოვარზე გაიყვანა ლაბომ და მინდორზე პალოთი დააბა. იქვე სიპით ნაშენი სახლის გვერდით რუ მოჩხრიალებდა, ხელ-პირის დასაბანად ღარი იყო გაკეთებული, ხელ-პირი დავიბანეთ და აქა-იქ ჩამოვსხედით, ვისვენებდით და ვსაუბრობდით.

მე და ელიზბარი წყლის პირზე ვისხედით. ის მომიბრუნდა და მითხრა, თან განზე იცქირებოდა:

– მე ხვალ დილით დავბრუნდები სახლში, ასეთი თოფით სანადიროდ ვერ წამოვალ. შენ ნუ გეწყინება, მაგრამ ამათ ტაკიმასხარობას ვერ გავუძლებ.

– მე გზაში ბევრი ვიფიქრე შენს თოფზე, ყველაფერი წესრიგში აქვს, პრობლემა ვაზნებშია; ამ ტყვიებს, რომელთაც ლითონის გარსაცავი არ აქვთ და საკმაოდ მასიურია, შესაბამისი რაოდენობის თოფის წამალი უნდა, რომ აფეთქების ძალამ შორს გასტყორცნოს. ვინტოვკის მასრა პატარაა ბერდენკას მასრასთან შედარებით და ამიტომ საჭირო მოცულობის წამალს ვერ იტევს და შესაბამისად ტყვია არათუ ზუსტად ვერ მიაქვს, საჭირო მანძილსაც ვერ ფარავს.

– შეიძლება ასეც არის, მაგრამ ეს პრობლემას არ ხსნის, ნადირი ცხვირწინ როდი დამიდგება, რომ ვესროლო, – თავისას არ იშლის ხასიათწამხდარი მეგობარი.

– ერთი მომეცი შენი ვაზნები, ერთი იდეა მაქვს. – ვუთხარი და ვაზნები კვლავ გულდასმით დავათვალიერე. მერე დანით

დავიწყე ტყვიის დათლა, ერთი მესამედით შევამცირე მისი წონა და წვერი წავუწვეტე, როგორც ვინტოვკის ტყვიას აქვს. ასე დავამზადე ჯერ ორი ვაზნა.

სოფლიდან მოშორებით, ორასიოდე მეტრის დაშორებით იდგა მსხვილი პანტის ხე, ლაბოს დავუძახე და ვუთხარი, ხისთვის პატარა ქერქი ჩამოეთალა, რათა სამიზნე ნიშანი კარგად გამოჩნდეს. იქვე წამოვწექი, დავუმიზნე და ვესროლე „ბერდენკა-ვინტოვკა“. გასროლის ხმამდე გაისმა ყრუ ხმა, რამაც მიმახვედრა, რომ ტყვია მოხვდა ხეს. ლაბო მივიდა ხესთან, დააკვირდა და გადმოგვძახა:

– კარგია, ცოტა მარჯვნივ მოხვდა.

ელიზბარმა თოფი გამომართვა, ქვის ყორეზე დადო, სასროლად მოემზადა, მიმოიხედა გარშემო, ფიდო მონახა და ეუბნება:

– მიდი, დადექი ეხლა ბეისარას ბიჭო, ახლა დაგანახვებ, როგორი სროლა ვიცი.

ფიდომ მხოლოდ გაიცინა და უთხრა:

– ნათქვამი არის, თოფს წელიწადში ეშმაკი ერთხელ ტენის და ზუსტად ხვდება ნიშანში. მაგის ორჯერ გამოცდა არ ივარგებს.

ელიზბარმა გაისროლა და ტყვია ცოტათი აცდა მიზანს. რა თქმა უნდა, თოფის პატრონს გუნება გამოუკეთდა, დანარჩენი ვაზნებიც გადავაკეთეთ და მასპინძელმაც სუფრაზე მიგვიწვია.

მთვარიანი ღამე ჩამოწვა. მთვარე ვერცხლისფრად ანათებდა იქაურობას, მაგრამ ის არ იყო ისეთი კაშკაშა, როგორც გაბედას ქედის დასაწყისში ვიხილე. ჩხათანას გარშემო რკალად შემორტყმული აქვს ტყით დაფარული გორები, რომელთა მაღლივი ნაწილი ალპური ზონით მთავრდება. მათი მწვერვალები თხემით კი არ მთავრდება, არამედ რკალივით არის შეერთებული და შიგადაშიგ ბორცვებითა და მაღალი გუმბათებითაა დაფარული. გარშემო ჩხათანის მთის წვერები იყო განათებული. ჩრდილისა და მზისპირის ფერდობებს მთვარის ნათელი სხვადასხვაგვარად ეფინებოდა და ცისარტყელასავით სხვადასხვა ფერში გადადიოდა, რაც ზღაპრულ იერს აძლევდა გარემოს.

დილით ადრე გავუდექით გზას, ავიარეთ ჭიქაურის ქედი, მაგეის ნადგომთან მარცხნივ ფერდობს გავყევით, შემდეგ ჭიქაურის ხორხს ავყევით და დიდგვერდის ქედზე გავედით. დიდგვერდის ტბასთან არ ჩავსულვართ, გავყევით ხორაჯოს მთის თხემზე რკალივით გამავალ ქედის ცერს, მარჯვნივ, ჩრდილოეთით დაბლა ტბას ვხედავდით, მარცხნივ, სამხრეთით ხორაჯოს მთის კალთებს. მარცხნივ დავიწიეთ და ჩავედით შეერ ბოსიეზე (სწორ ფერდობზე), გაშლილ ვაკეზე დავინახეთ მწყემსები და მათკენ გავემართენით.

შუადღე იყო, ყველანი კარგ ხასიათზე ვიყავით, დროულად მივაღწიეთ დათქმულ ადგილამდე. მართალია, ელიზბარი ვერ იყო ჩვეულებისამებრ იუმორის ხასიათზე, ბიჭები თოფის ამბავს ახსენებდნენ, ხუმრობას არ იშლიდნენ. ფიდოც, რომელიც თავისი მსუბუქი იუმორით გამოირჩეოდა, ამჯერად ვერ იყო გუნებაზე, გზაში დაიღალა, ასაკითაც ჩვენზე საგრძნობლად დიდი იყო, თანაც ინვალიდობაც (ახალგაზრდობაში ცულით გაეჭრა ფეხი, წესიერად ვერ უმკურნალეს და კოჭლობდა) უშლიდა ხელს და ხშირად ჩიოდა, მთაში სიარული ჩემთვის ნამეტნავად გვიანიაო.

მეცხვარეები ჩვენი სოფლელები აღმოჩნდნენ, ცხვარი ქვემოთ, ხვთისოს ნაბინავარის გვერდზე, ხევს გამოღმა ეყენათ. გაგვიხარდა, რადგან ჩვენ ხვთისოს ნაბინავარში ვაპირებდით სადგომის მოწყობას. ეს ადგილები ცნობილია დათვის სიმრავლით, ამიტომ მწყემსები აქ ბინად („ნაჟდარ“) დადგომას ერიდებოდნენ. აქვე აღმოსავლეთ მხარეს სალოცავის ქედამდის („წეე დუყ“) ფერდობები კლდიანი იყო, სადაც ჯიხვი და არჩვი ბუდობდა.

შევთანხმდით, რომ ფიდო ცხენით ჩავიდოდა ხვთისოს ნაბინავარში, შეშასაც მოამზადებდა და სარებსა თუ ხარიხებს ცხენით ტყიდან ამოიტანდა, საფარს მოაწყობდა და ცელოფნით გადახურავდა, სადაც, წვიმის შემთხვევაში, თავს შევაფარებდით. ისედაც ცა თუ არ დაგყურებს, იმდენად არ ცივა ხოლმე.

ფიდო მწყემსებთან დავტოვეთ, ჩვენ სამნი: ლაბო, ელიზბარი და მე წავედით დასავლეთისკენ, საიდანაც იწყებოდა კლდიანი

მონაკვეთი. სწორედ იქ, საიდანაც ქარაფები იწყებოდა, ნაკადული გადმოჩქეფდა და დაბლა რაკრაკით მიჰქროდა. ნაკადული ვეებერთელა კლდის ძირიდან იყო ამოხეთქილი, გვერდით კლდის ლოდები ისე ეწყო, თითქოს სასადილო მაგიდა მოუწყვიათო, გარშემო მდელო იყო, ნაკადულების ნაპირებზე ამოხეთქილი იყო წიწმატი, ნორჩი ღეროები გიზიდავდნენ საჭმელად.

ჩამოვსხედით, ხელზე წამოღებული საგზალი ამოვიღეთ და სადილობას შევუდექით. პურს ძეხვსა და ყველს ვატანდით, წყალს ვაყოლებდით და ნედლ, იქვე წყლის ნაპირზე მოწყვეტილ ნორჩ წიწმატს ვაგემოვნებდით. დავამთავრეთ სადილობა და ის იყო, აშლას ვაპირებდით, რომ ელიზბარმა განზე გაიხედა და თქვა:

– კენთი, არ დამემდუროთ, სახლში უნდა დავბრუნდე.

ჩვენ პირი დავაღეთ მოულოდნელობისგან, მე და ლაბომ ერთმანეთს გადავხედეთ, აშკარად დაგვეტყო წყენა. ელიზბარი დაელოდა ჩვენს რეაქციას და რახან არაფერი გვითქვამს, თავად განაგრძო:

– მხოლოდ წეღან გამახსენდა, რომ ამაღამ აუცილებლად უნდა შევხვდე კაცს, ისეთი საქმეა, გადადება არ ივარგებს და რაც მთავარია, სიტყვას ვერ გავტეხ, არ ვათქმევინებ, სიტყვის კაცი არ ყოფილაო.

– რაღა ახლა, აქ, როცა ამხელა მანძილი გამოვიარეთ, გაგახსენდა იმ შეხვედრის შესახებ, მოდი, ზღაპრებს ნუ ყვები, პირდაპირ თქვი, შინ მინდა-თქო, ცოლთან შეხვედრა მეჩქარებაო, – გაექილიკა ლაბო.

– ვიცი ამის ხასიათი, ერთ ღამეს თუ გაათენებს სახლის გარეთ, მეორე ღამეს სახლში უნდა დაბრუნდეს, ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ძლებდა დედიკოს და მამიკოს გარეშე ჯარში, სტუდენტობისას, ალბათ, უმეტეს ხანს სახლში იყო, – გავკენწლე მეც, აშკარად გაბრაზებულმა, – თანაც სანამ ჩხათანამდე ჩახვალ, დაგიღამდება კიდეც.

– მე გაბედას ქედით დავეშვები, ხორაჯოს ხევში სატყეო დგას, „სახალხო“ (მუშების) მანქანა დაბინდებისას გადის პლატფორმიდან და მივუსწრებ.

– ხედავ, ყველაფერი მოუფიქრებია, არ არის ეს კაცი სანდო ამხანაგი, მხოლოდ კბილების დაძრობაშია სანდო ოსტატი, – თქვა ლაბომ და მერე მე მომიბრუნდა, – რას ველოლიავებით, წავიდეს, საითაც უნდა.

ლაბო და ელიზბარი თანატოლები და უახლოესი მეგობრები იყვნენ და თავისუფლად ხუმრობდნენ კიდეც. მე მათზე უფროსი ვიყავი. კარგად ვიცოდი, რომ ორივე დიდ პატივს მცემდა და ჩემი სიტყვა გადამწყვეტი იქნებოდა, მაგრამ უფროსს დაფიქრებული საუბარი მართებდა და ვუთხარი:

– მოიცა, ლაბაზან, იქნებ კაცს რა საქმე აქვს, მე და შენ ხომ არ ვიცით, რამდენად სერიოზულია საქმე, – მერე მივუბრუნდი მეგობარს, – თუ გადაწყვიტე წასვლა, ნუ აყოვნებ, ხედავ, მზე დასავლეთისკენ საგრძნობლად გადაიხარა, დაღამებამდე ჩაასწრებ, თუ სწრაფად ივლი.

ელიზბარმა ზურგჩანთა მხრებზე გადაიკიდა, თოფს წამოავლო ხელი, გამოგვემშვიდობა და სწრაფი ნაბიჯით აჰყვა ხორაჯოს მთისკენ გაწვდილ ქედს. ორივენი სინანულით შევცქეროდით ამხანაგს, სანამ უზარმაზარ კლდეს არ მიეფარა. რას ვიზამდით, თოფს ხელი წამოვავლე და კლდიან ფერდობს გავყევით აღმოსავლეთისკენ.

– ხედავ, ზურგჩანთა იმიტომ არ დატოვა ბარგთან, რადგან წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი სახლისკენ მოკურცხვლა. თუ ასე მოიქცეოდა, რატომ წამოვიდა?! ჩვენ ხომ დავთქვით, 3-4 დღე მაინც დავრჩებოდით. აქ თუ ვერ დავხოცავდით ნადირს, ჯამიეს ნადგომში გადავინაცვლებდით, არასწორად მოიქცა, არასწორად.

– ასეთი ხასიათი აქვს, ამის შესახებ ორივემ კარგად ვიცით. მეგობრობის ერთ-ერთი პრინციპი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეგობრის უხასიათობაც უნდა მიიღო. ცხადია, უნდა ეცადო, რომ გამოასწოროს ნაკლი, მაგრამ თუ ვერ მოერია თავს, ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის. ერთი რამ კარგად დაიხსომე, ლაბაზ: მეგობარში, არა თუ მეგობარში, ადამიანში უნდა ეძებო კარგი, დადებითი, თორემ ნაკლს ყოველთვის აღმოვაჩენთ ერთმანეთში. ელიზბარის ხასიათის ასეთი გამოხატ-

ულება ნაკლად არ ჩაითვლება, ეს, უბრალოდ, ახირებაა, მართალია, უსიამოვნო, მაგრამ სერიოზული არაფერია.

კლდეებში ნელა მივდიოდით, ყურადღებით ვაკვირდებოდით გარემოს, თითოეულ მონაკვეთს გულდასმით ვამუშავებდით და ნელა მივიწევდით წინ. ერთგან, კლდეებს შორის საკმაოდ მოზრდილ ქვაბულს მივადექით. გარშემო ახორგილ კლდეებს შორის ოაზისივით იყო, ლამაზი, მაგრამ მკაცრი შესახედაობის. ლაბომ მითხრა, რომ აქ ერთ ზაფხულს ერთ ომალოელ მეცხვარეს ედგა საწველი ცხვარიო. ძალიან გამიკვირდა, ხშირად დავფიქრებულვარ, ძველად ცხვარ-ძროხას როგორ გაჭირვებით ინახავდა მოსახლეობა. თავად მოსახლეობა ხომ ცოტა იყო, ჩემი ბავშვობის პერიოდშიც კი სამი ათასი ქისტი თუ იქნებოდა პანკისში, მაგრამ ორივე დიდგვერდში, ჭიქაურში, ნაქერალაში და სხვაგან ბევრი საქონლის სადგომები („ნაჟდარ“) იყო და მთელ ზაფხულს მთაში ატარებდნენ მესაქონლეები, მათ ემატებოდნენ მოაგარაკენი. დღეს მთაში მხოლოდ ფერმერები მიდიან, ისინი კი ძალზე ცოტანი არიან.

მზე სპეროზისკენ დახრილი იყო, როცა უცბად ცხვირწინ ხმაურით წამოხტა ვაცი არჩვი (ფსიტი) და კლდეებზე დიდი და გრძელი ნახტომებით გაიქცა აღმა, კლდიანი გორის ცერზე შედგა და გადმოგვხედა. ასეთი ჩვევა აქვს არჩვს, უცნაური, მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვებით აღმოვაჩინე, რომ საფრთხის, ადამიანის დანახვისთანავე გაიქცევა, რამდენიმე ნახტომს აკეთებს, შეჩერდება და ინტერესით უყურებს უჩვეულო ცხოველს. თუ ჩაკუზული, ან ჩაცუცქულია ადამიანი, უფრო ხანგრძლივად ჩერდება, ცდილობს გაარკვიოს, რასთან აქვს საქმე. თუ ფეხზე დგას, უმალ იგრძნობს საფრთხეს და მოკურცხლავს. ერთი რამ უნდა იცოდეს მონადირემ – იმ მდგომარეობაში უნდა გაშეშდეს, რა პოზაშიც დაინახა არჩვმა.

ეს ვაციც გორის ცერზე შედგა და გადმოგვხედა, ფერდით იდგა ჩვენკენ, კლდეებს შორის მუქ-წითელ ფერად ნათლად გამოკვეთილი. სროლისთვის იდეალურ პოზაში იდგა, თოფი მზად მქონდა, შევმართე და ელვისუსწრაფესად ვესროლე. სა-

ნამ არჩვი გადაეშვებოდა ცერს იქით, გადავტენე და სასხლეტს გამოვკარი, მაგრამ არ გავარდა. სანამ გავიგებდი, რა მოხდა, ნადირი კლდეებს იქით გაუჩინარდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვახვედრე. ლაბომ თავი გააქნია და აჰყვა კლდეებს, ხოლო მე საკეტი გავხსენი, რათა ახალი ვაზნა შემეცურებინა ლულაში. მეგონა, ვაზნამ მიღალატა-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სიჩქარეში ჩახმახი ბოლომდე არ გადამიხსნია და ისე დავკეტე, რომ ცარიელი მასრაც კი არ გადმომიგდია გარეთ.

ყოველთვის ვჩქაროობ ხოლმე, როცა ნადირს შევნიშნავ, ვერ ვასწრებ დამიზნებას, ისე ვესვრი და ამიტომაც ხელცარიელი ვრჩები. ახალი ვაზნა შევაცურე ლულაში, ჩახმახი ჩავკეტე და ლაბოს გამოვეკიდე. სანამ ცერამდე მივაღწევდი, შევნიშნე, რომ ჩემი ამხანაგი იდგა და ათვალიერებდა ცერის იქითა მხარეს. გულმა რეჩხი მიყო, ნადირს რომ მოხვედროდა და გადავარდნილი ყოფილიყო იქითა მხარეს, როგორც მე ვვარაუდობდი, ლაბო უკვე დაშვებული იქნებოდა იქითა მხარეს, რათა არჩვისთვის ყელი გამოეჭრა.

აქოშინებული ავედი თხემზე და გადავხედე. მთელი მიდამო კლდეებით იყო დაფარული, მთელი ფერდობი ღრმა, ზოგიც ოდნავ ჩაწეული ვიწრო და ფართო ღარებით იყო დასერილი. ნადირის კვალიც კი არსად ჩანდა. ძნელიც იყო დაჭრილი, გაქცეული ნადირის დანახვა, რადგან მთელი თვალსაწიერი სალი კლდეებით, ხრიოკი, ფხიანი ფლატეებით იყო დაღარული. ერთმანეთის მიყოლებით აწოწილი ქისტური საბრძოლო კოშკებივით იდგნენ რუხი, მარჯნისფერი კლდეები, რომლებიც უსწორმასწოროდ, ქაოტურად აზიდულიყვნენ იისფერ ცაში.

გულდაწყვეტილი გავცქეროდი კლდეებს შორის ქუჩით დაფარულ მიწის ნაგლეჯებს, თვალისთვის შესამჩნევ კლდეებში გაჭრილი ღარებს, დაკიდებულ, წაქცევაზე გადაწოლილ ვეება ლოდებს, მაგრამ არჩვის მომრგვალო, მოწითალო-მოშავო სხეულისთვის თვალი არ მომიკრავს. არადა, როცა გორის თხემისკენ მივბობღავდი, დარწმუნებული ვიყავი, კლდის იქით გაშხლართულ ნადირს დავინახავდი.

დავიწყეთ კლდეებზე ფოფხვა, ხან მაღლა მივიწევდით, ხან დაბლა ჩავდიოდით. ამჯერად თავქვე მეტ დროს ვხარჯავდით, რადგან პიტალო კლდეების ღარში ჩასვლა დიდ სირთულეს წარმოადგენს. ზოგიერთი ღარი მიხვეულ-მოხვეულია და არასოდეს იცი, მოსახვევს იქით რა გელოდება: სწრაფი დაქანება თუ უფსკრული.

თითქმის საათ-ნახევარი ვიბობღიალეთ კლდეებში, მაგრამ ნადირისთვის თვალი არ მოგვიკრავს, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, უკვალოდ გაქრა. კი მივხვდი, რომ ავაცდინე, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი, თანაც ლაბოზე ვიყავი გაბრაზებული: მას რომ თოფი ჰქონოდა, არჩვი არ წაგვივიდოდა. კაცმა რომ თქვას, ჩემი ბრალი იყო, ავჩქარდი და დაუმიზნებლად ვესროლე, ასევე სიჩქარისგან თოფის საკეტი ბოლომდე ვერ გავხსენი და მორიგი ვაზნა ვერ შევაცურე ლულაში.

კლდეებში რომ არ დაგვღამებოდა, უკან გამოვბრუნდით და კლდეებს როცა გამოვაღწიეთ, მზეც მიეფარა სპეროზის მთას. შეერ ბოსიეს ფერდ-ფერდ გავწიეთ ხვთისოს ნაბინავრისკენ. როცა მივუახლოვდით, ჯერ კიდევ კარგად ჩანდა ხვთისოს ნადგომის დაცემული ადგილი, მაგრამ არც ცხენი შეგვინიშნავს, არც ფიდო და არც საფარის რაიმე ნიშანწყალი.

ჩვენ წინ ალხაჯი შევნიშნეთ, ნაცნობი მეცხვარეები, წელან რომ შეგხვდნენ, ცხვარს თეოზე აყენებდნენ. მივედით, მწყემსებმა აყეფებული ძაღლები დააშოშმინეს და ჩვენს შესახვედრად წამოვიდნენ.

– ბეისარ კანთ სად არის, რაღაც ვერ ვხედავ ახლომახლო? – შეეკითხა ლაბო.

– ფიდო მაშინვე გაბრუნდა სახლში, როგორც კი თქვენ ხევში გადახვედით.

– როგორ თუ წავიდა, ხუმრობთ? – გაკვირვება ვერ დავფარე.

– როცა შევთავაზე დაბლა ჩასვლა და დახმარება საფარის მოწყობაზე, უარი მითხრა, ახლავე უნდა გავბრუნდე, დაღამებამდე ჩხათანაში უნდა ჩავიდეო.

– კი, მაგრამ რატომ, რამ გააგიჟა, რატომ არ გაგვაგებინა, ეს ხომ ღალატია? – ბრაზს ვერ ვიკავებ.

– ახლა რომ დაბლა ჩავყვე ამ სერს, მერე როგორ უნდა ამოვიარო ეს ციცაბო დაღმართი, მე იქ ჩამსვლელი არა ვარო, მხოლოდ ეს თქვა, შეაბრუნა ცხენი და გასწია.

– ბარგი სადღაა? – ამის თქმაღა შეძლო გაღიზიანებულმა ლაბომ.

– არაფერი დაუტოვებია, – მშრალად გვიპასუხა მეორე მეცხვარემ. აშკარად ეტყობოდა, ისიც გაოცებული იყო ჩვენი ამხანაგის ასეთი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებით.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. ჯერ ელიზბარის მიერ, რბილად რომ ვთქვათ, ამხანაგების უპატივცემულობით ვიყავით უკმაყოფილონი, რომ ფიდომ, ჩვენში ყველაზე უფროსმა, რომელსაც ერთგულებაზე მაგალითი უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის, მთაში მიგვატოვა უსაგზლოდ და დასახურის გარეშე. ეს ნამდვილი ღალატი იყო, ისე ვიყავი გაცეცხლებული, იმ მომენტში რომ შემძლებოდა დაწევა, უფროს-უმცროსის ადათს დავარღვევდი და მაგრად გავლანძღავდი.

– აკი ვამბობდი, აკი ვამბობდი, არ წამოიყვანოთ ეს ბებერი, ყველა ნადირი ცხრა მთას იქით გადაიხვეწება-მეთქი. – ცოფებსა ყრიდა ლაბო.

ამასობაში დაბინდდა კიდეც. მთაში სწრაფად ბინდდება, კუპრივით შავი ღამე ჩამოწვა. მწყემსებს ალხაჯის მაღლა ერთი მაღალი კლდის ძირში მოეწყოთ თავშესაფარი. თავშესაფარი არც ეთქმოდა, მხოლოდ საკვები ჰქონდათ აქ დაბინავებული, თავად თეოზე ეძინათ.

ლაბომ ცეცხლი დაანთო, ჯიბიდან წეღან სამხრობისას შემორჩენილი ყველი და პური ამოიღო, მეცხვარეებმა გორდილა და კალტიც მოგვაშველეს, უგემურად ვივახშმეთ და დასაძინებლად მოვემზადეთ. მე ერთი დაგლეჯილი ნაბადი შემხვდა, ლაბო მოსასხამში გაეხვია და ჩვენ ორნი კლდის ძირში მივწექით, ორი მწყემი ცხვართან ჩავიდა თეოზე.

„იატაკი“ (კლდის ძირი) დამრეცი იყო, ვერაფრით ვიმაგრებდი თავს. ისედაც ამღვრეულ გუნებაზე ვიყავი, მერე, როგორც კი ჩამთვლემდა, დაბლა ვცურდებოდი და მაშინვე ვფხიზლდებოდი. ამხანაგების ღალატს დაემატა მეცხვარეების უგერგილო მასპინძლობაც. მთელი ღამე მაწუხებდა, რომ ასეთი ზარზეიმით მოწყობილი ნადირობა როგორ ჩაგვეფუშა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, ღამე თეთრად გავათენე. დილით ადრე გავიღვიძე და შურით გადავხედე ლაბოს, რომელიც არხეინად ხვრინავდა, მოსასხამი აჩოჩებოდა და თავქვეშ მოქცეოდა, ბალიშის მაგივრობას უწევდა და შიშველ მიწაზე ისე ეძინა, თითქოს სახლში ფუმფულა ლოგინში წოლილა.

დაბლა თეოს ჩავხედე. ცხვარი აყრილიყო და აღმოსავლეთით ფერდობზე შეფენილიყო. თეოზე ვეებერთელა ცხვარი ეგდო, აქეთ-იქით თავს ადგნენ მწყემსები და დასცქეროდნენ. რაღაც მენიშნა, ხელი გავიწვდინე, მხარში მოვკიდე ლაბოს და შევანჯღრიე. ლაბომ გაიღვიძა და მაშინვე წამოჯდა და შემომხედა. უსიტყვოდ მივუთითე ქვემოთ. ჩახედა თუ არა თეოს, ყველაფერს მიხვდა, წამოხტა, ლაბადა იქით მიაგდო და ჩასძახა:

– ჰეი, ყუანახი (ვაჟკაცებო), რას უყურებთ, ვედრება წარმოთქვით, იქნებ გააცოცხლოთ!

მის ხმაში დაუფარავმა დაცინვამ გაიჟღერა, მეც ბრიყვულად ვიღიმებოდი და თავის კანტურით ვადასტურებდი ამხანაგის რჩევას.

არ ვიცი, ჩვენი მასპინძლები ჩაწვდნენ თუ არა დაცინვას, ჩვენ არ დავლოდებივართ მათ რეაქციას, თოფი გადავიკიდე და ავყევი აღმართს. ლაბო კლდის ძირში რაღაცას ფათურობდა, მივხვდი, რომ საგზალს (გორდილას და ხაჭოს) იმარაგებდა. მეცხვარეებმა ამოგვძახეს რაღაცა, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, ყველაფერი გუშინდლიდან ისე ცუდად აეწყო, რომ გუნება-განწყობა მომეშხამა და ლამის დეპრესია დამეწყოს.

ლაბო მალევე დამეწია, რას ვერ დამეწეოდა, სწრაფი და დაუღალავი სიარული იცოდა. ჩემგან განსხვავებით მხიარულ ხა-

სიათზე იყო, უგუნებობის არაფერი ეტყობოდა, ოპტიმისტი კაცი იყო, სიცოცხლისუნარიანი, უბოროტო, მხიარული.

– ნახე, როგორ გადაუხადა ალაჰმა მეცხვარეებს, დაენანათ ჩვენთვის საკლავის დაკვლა? – ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა და საუკეთესო ყოჩი გაუგუდა.

– მართალი ხარ, სტუმარ-მასპინძლობის ადათი დაარღვიეს და დასაჯა კიდეც ღმერთმა. ალბათ, ის ცხვარი დაიხრჩო ღამით, რომელიც სტუმარ-მასპინძლობის ადათით ჩვენთვის უნდა დაეკლათ, – მხარი ავუბი მეც, – მაგრამ ისიც არ დაივიწყო, რომ არც ჩვენ, სტუმრები აღმოვჩნდით სათანადო სიმაღლეზე: ფიდომ სასმელი და ბოსტნეული არ დაუტოვა მწყემსებს, ასე რომ, ბარი-ბარში ვართ.

ამხანაგების წასვლით ჩაშლილი ნადირობის წყენამაც თანდათან გამიარა და ელიზბარისა და ფიდოს ქილიკით ხალისიანად გავეშურეთ ჩხათანისკენ. ვიცოდით, რომ ფიდოს გაქცევის წინ დაეგდო; ჩხათანაში დაველოდებიო.

კაცმა რომ თქვას, ნადირობა შედგა: მე ხომ ვნახე არჩვი, ვესროლე კიდეც. თუ ვერ მოვინადირე, არც ესაა უბედურება, უვალოდ ხომ მაინც არ დავრჩი, ვაჟასი არ იყოს:

„მეც მონადირე გახლავარ,
დღეს კი ვეხეტე უბრალოდ.
– წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ?“

მე და ლაბო იმავე მარშრუტით, წინა დღეს რომ გამოვიარეთ, დავბრუნდით უკან. ჩხათანაში გვიანი საუზმის დროს („მერთ ხენ“) ვიყავით და პირველი, ვინც დავინახეთ, ფიდო იყო, რომელიც სახლის წინ ტახტზე უდარდელად წამოწოლილი იწვა. როგორც კი დაგვინახა, წამოხტა, წინ მოგვეგება, მოგვესალმა და ისე იქცეოდა, თითქოს ეს წუთია, რაც დავშორდით.

ლაბო მიეტია, თუმცა უფროს-უმცროსის ზღვარს იცავდა, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდა, ისე იყო გაბრაზებული:

– რას მორბოდი, რატომ მიგვატოვე საგზლის გარეშე? მთლად დალაგებული არ არისო, ამბობდნენ შენზე, მაგრამ ასე ცუდად თუ იყო საქმე, არ ვიცოდი, მერე მე მომიბრუნდა, – შენ თუ გაგიგია ასეთი რამე?

– ერთი რამ მტკიცედ მჯეროდა, რაც უფროსებისგან გამიგია: ჭკუა უფროსებს მოეკითხებაო. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ბეისარ ფიდოს (ფიდო ბეისარას ძეს) არ ეხება, ან ეხება მხოლოდ საწინააღმდეგო გაგებით, მე მხოლოდ ერთს ვისურვებდი: ნეტავ, ღმერთმა 10 წუთით ერთი ასაკისანი გაგვხადოს.

ფიდო უშფოთველი, ღიმილნარევი დაცინვით გვიყურებდა, მშვიდად ისმენდა ჩვენს საყვედურებს და სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად. მერე უცბად აღშფოთდა და აქეთ შემოგვიტია:

– რას მიედ-მოედებით, გიჟი ხომ არ გგონივართ, იმ დასაკარგავში ჩასასვლელად მთელი დღე მოვუნდებოდი, მერე ამოსვლა არ მინდოდა ხეიბარ კაცს? მეყო, რაც თქვენს უგუნურ ჭკუაზე ვიარე, ჩემს ჭკუაზე გავიარე და ღამე მშვენივრად გავათენე. რაც შეეხება საგზალს, მეცხვარეები იქ არ იყვნენ? ცხრა მთას იქით გადამთიელებთან ხომ არ იყავით, ჩვენი ქისტები იყვნენ მასპინძლები.

ისე ლაპარაკობდა, არავითარ სინანულს არ გრძნობდა, თან ისეთი მიამიტი მიმიკა გამოსახა, რომ უნებურად გამეცინა, ლაბოსაც გაეცინა, ფიდოც აგვყვა და დაძაბულობაც განიმუხტა. შემდეგ მოგვიყვა, თუ როგორ გაუჭირდა სიარული.

– კაცს თურმე სიბერეში სჭირდება ჭკუა, ახალგაზრდობაში ფეხებითაც იოლას გადიხარ. რა მრჯიდა, რაზე მოვდიოდი მთაში, მართალნი ყოფილან უხუცესები, რომელთაგანაც გამიგია: ხანდაზმული კაცი ახალგაზრდასავით ტლინკაობას რომ დაიწყებს, საცოდავად გამოიყურებაო.

– ვინ რა თქვა, არ ვიცი მე. ერთი კი კარგად ვიცი: დღეის შემდეგ ჩემთან მთაში ვერავინ დაგინახავს, – ბოღმა ჯერ კიდევ დუღდა ჩემში.

– არ შეწუხდე, მამაძაღლი ვიყო, დღეის შემდეგ თუ ვინმემ მიხილოს მთის გზაზე დამდგარი, – ამას ფიციც მოაყოლა ფი-

დომ. ჩხათანაში პური ვჭამეთ და ასე შუადღისთვის თავქვე ხორაჯოსკენ დავეშვით. გზაში ჩხათანის მუჟაზე (სალოკზე) შევიარეთ, მივეპარეთ, მაგრამ არაფერი შეგვინიშნავს და გზა განვაგრძეთ.

ხორაჯო გავიარეთ და ფარსმანის ხევის შესართავს მივაღწიეთ, რომ აქეთკენ მომავალი ელიზბარი შევნიშნეთ. ჩამოვსხედით და დაველოდეთ, გაგვიკვირდა, რატომ მობრუნდა უკან მთიდან გამოქცეული მონადირე.

ახლოს არც იყო მოსული, რომ ფიდომ სალმის მაგივრად ჰკითხა:

– ხომ მშვიდობაა?

ელიზბარი მოგვესალმა, ყველას გადაგვეხვია და ფიდოს მიუბრუნდა:

– რომელ მშვიდობაზე მეკითხები? როცა შენ სახლში არა ხარ, თქვენთან მშვიდობა სუფევს.

– საით გაგიწევია, ელიზბარაო? ალბათ, გაიგე, რომ ჯიხვი გავაგორე, თოფის ხმას გაიგონებდი, მიხვდებოდი, რომ ჩემისთანა ჩუბინი ტყვიას არ ააცდენდა, – ვეხუმრები მეგობარს.

– წილი უნდა ჯეელს, იმიტომ ამოვარდა ბარიდან, – დაცინვას არ აკლებს ლაბო.

მეც ავყევი, ვაჟას ლექსით ვადასტურებ ნათქვამს:

„ნუ სწუხხარ, საზრდო შენთვისაც
დღეს უფალს გაუჩენია.
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულს ჯიხვშია“.

გულიანი სიცილი ამივარდა, მეგობრებიც ამყვნენ, ელიზბარიც მიხვდა ყველაფერს და ლექსად მიპასუხა:

„ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია...
წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,
თავს არა ვკადრებ იმასა“.

მერე მოგვიყვა: გუშინ საღამოს სატყეოს სახალხო მანქანას ჩამოვუსწარი, თხილის წკნელები მოვჭერი, შიგ თოფი ჩავდე და ერთიან კონად შევკარი ისე, რომ იარაღი არ ჩანდა, შევაგდე მანქანის ძარაში და ისე ჩავედი სოფელში. დღეს დილით გზაზე ვიყავი გამოსული და მილიციონერთა დიდი მოძრაობა შევნიშნე, თანაც ბირკიანისკენ მოძრაობდნენ. ვიფიქრე, ვინმემ ხომ არ დაგვასმინა-მეთქი და წამოვედი თქვენს გასაფრთხილებლად. ჩვენც ჩვენი თავგადასავალი ვუამბეთ, შეზავებული იუმორით გავანეიტრალეთ წყენა და ხალისით გამოვემგზავრეთ სახლისკენ.

მართალია, ნადირობიდან ხელცარიელები დავბრუნდით, მაგრამ ამ ორი დღის განმალვობაში იმდენი კურიოზული ამბავი შეგვემთხვა, რომ ამდენი წლის შემდეგაც თვალწინ მიდგას ყოველივე. რა დამავიწყებს ფიდოს ხის გვერდით მკერდწამოწეულ დგომასა და მის დამცინავ ხმას – ისროლეთ, თუ მაგ თოფის ტყვიით მოვკვდი, ჩემი სისხლი ალალი იყოს; ან კიდევ ელიზბარის სიბრაზისგან გაწითლებულ სახეს; ან რა დამავიწყებს ორ მეცხვარეს, რომლებიც თეოზე დამხრჩვალ ცხვარს ედგნენ თავზე და დაჰყურებდნენ, ან ლაბოს დამცინავ ხმას: დოა, დოა დიე! (ვედრება, ვედრება თქვით).

ბადრი მთვარე

სამადა ცათიაშვილი, ბირკიანელი მონადირე, სოფ. შუა ხალაწანში შემხვდა, დავილაპარაკეთ და შევთანხმდით, მეორე დღეს სანადიროდ ავსულიყავით ხორაჯოს მთაზე. ამ მთის ძირში მდებარეობდა სოფ. ხორაჯო, სადაც სახლი – აგარაკი ჰქონდა სამადას, თვითონ სოფ. ბირკიანში ცხოვრობდა, ზაფხულობით დასასვენებლად, წაბლზე ან სანადიროდ ადიოდა ხოლმე. გადავწყვიტეთ, რომ მეორე დღეს, დღის მეორე ნახევარში ავიდოდით ხორაჯოში, ღამეს იქ გავათენებდით და გათენებისთანავე შევუდგებოდით ხორაჯოს ქედს.

მეორე დღეს, შუადღის ლოცვის შემდეგ მანქანით ავედი სამადასთან, მანქანა ეზოში დავაყენეთ, თოფები და ზურგჩანთები ავიკიდეთ, ალაზნის ნაპირზე გავედით, გავყევით აკაციების ნაპირს, მუწუხევის წყლის ალაზანთან შესართავის ზემოთ ალაზანში გავტოპეთ და ალაზნის მარცხენა სანაპიროს ჩრდილოეთისაკენ ავუყევით.

შემოდგომა იდგა, ოქტომბრის დასაწყისი. თბილი, მზიანი დარი სწორედ ნადირობის სეზონისთვის შესაფერისი იყო. არჩვებს უკვე შეცვლილი აქვთ ბეწვის ფერი, წითურის ნაცვლად მოშავო წაბ-ლისფერი გადაჰკრავთ, საკმაოდ მსუქანი იცის ამ დროს.

ომალოდან ხორაჯოსკენ მიმავალ ბილიკს გავყევით, ავიწიეთ ქორთა ბუდის ნასოფლარზე, აქა-იქ შემორჩენილი წაბლი

ვჭამეთ, კაკალიც დავიგემოვნეთ და გზა განვაგრძეთ. დასანანი იყო, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ცათიაშვილების და ქუშანაშვილების თითო-ოროლა კომლმა დატოვა აქაურობა. ისინი ბირკიანსა და ძიბახევში დამკვიდრდნენ. არადა ძალიან კარგი, ლამაზი ადგილმდებარეობაა, კურორტივით არის პანკისის ხეობის სათავეში. ცხადია, მიუდგომელი, ცენტრალურ გზას მოწყვეტილი იყო, ელექტროდენსა და სხვა საყოფაცხოვრებო სიახლეებს მოკლებული, მიწაც მიზერული ჰქონდათ, უმთავრესად მესაქონლეობას მისდევდნენ.

გავიარეთ „ჯორის ნაფეხური“, რომელიც მდებარეობს ხოხორას ნაბინავარის ქვემოთ, კლდიან ბორცვზე. ფრიალო კლდეზე გადის ბილიკი და ზედ ბილიკზე, კლდეზე არის პატარა ორმო, ჯამის ფორმის მოყვანილობის, ჯორის ფეხის ფლოქვი რომ თავისუფლად მოთავსდება. საინტერესო ის არის, რატომ მიექცა ამ ადგილს ასეთი განსაკუთრებული ყურადღება. გადმოცემით, ადრე, მლოცველები კახეთიდან სალოცავად ამოდიოდნენ სალოცავის ქედზე, ხორაჯოს წყლის ალაზნის შესართავთან არსებულ სალოცავში სალოცავად. დღეს, სადაც სალოცავის ქედი დააწყდება აღნიშნულ ადგილას, ასიოდე მეტრის ზევით, ქედის ცერზე არის პატარა ვაკე ადგილი, სადაც ქაოტურად მიმოფანტული ქვები აწყვია და შუაგულში შეინიშნება ნაგებობის მაგვარი. სწორედ აქ ამოდიოდნენ კახეთიდან და, როგორც ძველები ამბობდნენ, ქართლიდანაც სალოცავად. ალბათ, ეს იმ ხალხის შთამომავლები იქნებოდნენ, რომელთა წინაპრებიც აქ, პანკისში ცხოვრობდნენ და საქართველოს ძნელბედობის ჟამს, ლეკიანობის დროს აიყარნენ და გადასახლდნენ უფრო უსაფრთხო ადგილას.

ეს მლოცველები, როცა მიჰყვებოდნენ ჩვენ მიერ აღწერილ ბილიკს, „ჯორის ნაფეხურთან“ შეისვენებდნენ, „ნაფეხურს“ ღვინით აავსებდნენ, პურს გვერდით ადებდნენ, სანთელს აანთებდნენ და გზას განაგრძობდნენ. უკან მობრუნების დროს ამ ღვინოს დალევდნენ, დაილოცებოდნენ, პურს გატეხდნენ და შინ მიემგზავრებოდნენ. ამის შესახებ მათე ალბუთაშვილიც

წერს: „მართლაც, ხალხი რაღაც სასოებით უყურებს ამ ამოჩვრეტილ კედლებს. საზოგადოდ, ეგრე მგზავრი ფეხს არასოდეს არ ადგამს ამ ადგილას, ხოლო სალოცავად მიმავალი კახეთის ხალხი რომ გაივლის, თითოეული მათგანი აავსებს ამ ამოჭრილს ტინს ღვინით, დაილოცება, დაეწაფება და მოსწრუტავს. მერე ისევ აავსებს, ზედ ერთ შოთ პურს დადებს და ისე წავა“.

გავიარეთ ხოხორას ველი („ხოხორაი ათაჰხ“), ავყევით ხორაჯოს ხევს, გავედით წყლის მეორე ნაპირზე და მივადექით გოგირდის წყალს. სამადა წყაროს პირზე ჩამოჯდა, იქვე მდგომი ფიალა მძაფრი სუნის მქონე წყლით აავსო და შემომთავაზა. უარი ვუთხარი, მადლობა გადავუხადე, წყალი პირველად უფროსმა უნდა შესვას, მეორედ მოწოდებული ფიალა გამოვართვი და ცოტა მოვსვი, უსიამოვნო სუნთან ერთად გემოც არ უვარგოდა, დავიმანჭე, მორჩენილი წყალი გადავღვარე და ვუთხარი:

– მიკვირს, სამად, როგორა სვამთ ასეთ უგემურ წყალს?

– შენ რა იცი ამისი ფასი, იცი, როგორი მარგებელია ორგანიზმისთვის?

– კერძოდ, რა სარგებლობა მოაქვს, რისი მკურნალია? – არ ვეშვები ამხანაგს.

ცოტა ჩაფიქრდა, გაუჭირდა, დაესახელებინა მისი სამკურნალო თვისებები და მერე მოკლედ მოჭრა:

– ყველაფრის მკურნალია, ეს ყველამ იცის, აქ ადრე ამოდიოდნენ, კვირაობით მკურნალობდნენ ნიკრესის ქარებს და ა. შ.

– გასაგებია, აბაზანებს თუ მიიღებ, რევმატიზმს, იშიაზს და სხვა მის მონათესავე დაავადებებს მოუხდება, დალევა სხვა საკითხია, თუმცა შეიძლება, ნაწლავების დაავადებას უშველოს კიდეც, – ვეთანხმები სამადას, – საინტერესოა, თუ ასეთი მარგებელია, სახლში რატომ არავის მიაქვს?

– სცადეს, მაგრამ სანამ ჩააღწევს სახლამდე, თავის თვისებებს ჰკარგავს, ჩვეულებრივ წყლად იქცევა ხოლმე.

საღამო ხანს ავედით ხორაჯოში. სამადას აგარაკი სოფლის შესასვლელში ედგა, კარები და ფანჯრები გავაღეთ, გავანიავეთ, თუნუქის ღუმელი ავანთეთ და ოთახში სითბო დატრი-

ალდა. ამასობაში დაღამდა კიდეც, ვივახშმეთ და არაყიც დავაყოლეთ. არყის გარეშე მთაში მონადირე იშვიათად მიდის. ხვალინდელი დღის გეგმაც შევადგინეთ: სამადა აჰყვებოდა ხორაჯოს ქედს, რომელიც სოფლიდან იწყებოდა, უფრო სწორად სოფელთან მთავრდებოდა, ხოლო მე გზას გავაგრძელებდი, სოფ. ჩხათანას გავლით ჭიქაურში ავიდოდი და გადავიდოდი ხორაჯოსკენ გაბედას ქედზე და იქ ჰასანის ნაბინავართან შევხვდებოდი სამადას, რომელიც ასევე ხორაჯოს ქედიდან აქ გადმოვიდოდა. დავთქვით, რომ დაახლოებით დღის 3-4 საათზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

დილით ჯერ კიდევ ბინდბუნდი იდგა, როცა ხმაურზე გამეღვიძა. მასპინძელი ღუმელთან ფუსფუსებდა, ჩაიდანი თუხთუხებდა. სწრაფად წამოვდექი, ჩაცმაზე დრო არ დამიკარგავს, რადგან ტანსაცმლიანად მეძინა, გვერდით ჩამომდინარე ნაკადულზე ხელ-პირი დავიბანე და შემოვბრუნდი.

სახელდახელოდ ვისაუზმეთ, თავშავას ჩაიც დავაყოლეთ, ზურგჩანთებში მხოლოდ საგზალი ჩავიდეთ, თოფებს ხელი დავავლეთ, მხრებზე მოვიგდეთ, ერთურთს გადავუგდეთ ცნობილი ქისტური ფრაზა: „გუდ და ვეი დუეღნ დელეჰ“ (შევხვდებით, თუ გვიწერია) და გზას გავუდექით. სამადა ქედს შეეკიდა, მე კი ჩხათანისკენ წავედი სწრაფი ნაბიჯებით.

სამადა ნელა დადიოდა, მე ასეთი სიარულის მანერა მომწონდა, რადგან მონადირე არ უნდა ჩქარობდეს, ზედმეტად არ უნდა იტვირთავდეს თავს, რამეთუ უცბად თუ დასჭირდა სწრაფი სიარული ან სირბილი, ენერგია უნდა ჰქონდეს დაზოგილი. და კიდევ, ნელი სიარულის დროს ასწრებ გარემოზე დაკვირვებას, ნადირს შორიდან ამჩნევ, მისაპარი ადგილის მოსაძებნად დრო გყოფნის და ასე შემდეგ. ამჯერად მე დიდი მანძილი მქონდა გასავლელი, დიდი წრე უნდა შემომერტყა: ჯერ უნდა ავსულიყავი ჩხათანაში, მართალია, აღმართი არ იყო, მაგრამ მაინც ზევით და ზევით იწევდა ვაკე, თან ხევების გადალახვაც მიწევდა. შემდეგ ჭიქაურში უნდა ავსულიყავი ჭიქაურის ქედზე ამავალი ბილიკით, მერე გადავიდოდი ჭიქაურის ხორხში, იქიდან

გაშლილი, მაგრამ ღრმა ხევი უნდა გამევლო ფერდ და ფერდ და გავიდოდი გაბედას ქედის ცერზე, ჰასანის ნაჟდართან.

ჭიქაურის აღმართზე შევყოვნდი, დიდი ხანი იყო, ფეხით არ მევლო და ქედის ავლას საკმაო დრო მოვანდომე. გავიარე ჭიქაურის ხორხი, გავედი ჩხათანის ქედზე და გადავხედე ხორაჯოს მთას. აქ, კლდეების ქვემოთ, მოკლე ნაშალზე, ქვიშნარი ჟოლოთი იყო მოფენილი. ჟოლო (წითელი მაყვალი, მთიელები ქუმელას ეძახიან, ქისტები – „წიე ქომურ“, რაც აგრეთვე წითელ მაყვალს ნიშნავს) სასიამოვნო საჭმელია და კარგა ხანს შევყოვნდი ჭამაში გართული.

უცბად გაბედას მხრიდან თოფი გავარდა, შაშხანის მჭახე, გაბმულმა ჭექამ ხევხუვები გადმოიარა. გავვარდი თხემზე. გავარდა მეორე, მესამე, მეოთხე. გადავხედე ქედის კალთებს, მაგრამ სულიერი ვერ დავინახე – არც კაცი და არც ნადირი. პატარა შეყოვნების შემდეგ მეხუთეჯერ დაიქუხა შაშხანამ და ყველაფერი მიწყნარდა.

დაძაბული გავცქეროდი ხორაჯოს მთის კალთებს და უცბად გაბედას ქედის ცერდაცერ ჩამომავალი ამხანაგი შევნიშნე. არცთუ ჩქარობდა, ჩამოიარა ასიოდე მეტრი, გადაუხვია ხორაჯოს ქედისკენ და სერს იქით ჩაეფარა. რადგან არ ჩქარობდა, ვიფიქრე, გააგორა ფსიტი-მეთქი და სწრაფად გავწიე იქითკენ. ჩემი ანგარიშით, სანამ გაატყავებდა, გამოფეშხავდა, ერთი საათი გავიდოდა და მეც მივუსწრებდი.

მაგრამ შევცდი, დრო და მანძილი ვერ გამოვთვალე, რაც მონადირისთვის აუცილებელია. ადრეც ბევრჯერ გადამისერავს ეს გაშლილი ხევი, თან პირდაპირ, აღმართ-დაღმართის გარეშე სიარული ადვილი იყო, ცხვრისა და ნადირის ბილიკებით დასერილი იყო ჩრდილისა და მზისპირის ფერდობები, მაგრამ სხვა დაბრკოლების წინაშე აღმოვჩნდი. ამ ბოლო წლებში მეცხვარეები ხორაჯოს მთაში იშვიათად აყენებდნენ ცხვარს, არც მოსახლეობას ამოჰყავდა საქონელი ზაფხულობით, რადგან ძალზე დაკიდებული მთა იყო და საქონელი ხშირად გორდებოდა და ზარალობდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ მეცხვარეთა ნაწილმა, რომელთაც საკუთარი

ფარები ჰყავდათ, თიანეთის მთებში, უფრო ვაკე და ზომიერი კლიმატის მქონე საძოვრებზე დაიწყეს სიარული. ხორაჯოს მთებში უკვე მაღალი ბალახი იზრდებოდა. ზევიდან გადმოკიდებული ბალახით დაიფარა ბილიკები და მხოლოდ ბალახით დაფარულ ფერდობზე ცოტათი ჩაღრმავებული, ძლივს შესამჩნევი ვიწრო ზოლით თუ მიხვდებოდი, სად გადიოდა ბილიკი.

სიარული ჭირდა, დაწოლილ, გამხმარ (ოქტომბერი იდგა) ბალახზე ფეხი ცურდებოდა, ვეცემოდი და დამრეც ფერდობზე ქვევით ვცურდებოდი. ეს ძალიან ხშირად მეორდებოდა და ნელა მივიწევდი წინ. ჩაფიქრებული ერთი საათის ნაცვლად, ალბათ, ორი საათი მოვანდომე. არაქათგამოცლილმა ჰასანის ნაბინავარს ძლივს მივაღწიე, პირაღმა დავწექი და კარგად დავისვენე.

როცა წამოვდექი და ცერს იქით გადავხედე, სამადა ვერ დავინახე, ცოტა დავიწიე, ვიწრო ხევიც შევათვალიერე, მაგრამ უშედეგოდ. ახლა მაღლა ავედი, კარგად დავათვალიერე ფერდის თავში ამართული ბორცვები, ბორცვის თხემები, გორის გუმბათიდან ჩამოშვებული ღრმა ხრამები, მაგრამ ნადირს ვინ ჩივის, კაცი არ ჩანდა არსად.

ვიფიქრე, შეიძლება სალოცავის ქედს იქით გადავიდა, ალბათ, არჩვების ჯოგს უკან გაჰყვა, რადგან სროლის დროს გაიქცნენ იქითკენ, ვერ მოახვედრა და უკან გაჰყვა-მეთქი. ცერზე მხარ-თეძოზე წამოვწექი, პირით დასავლეთისკენ და ვათვალიერებდი სალოცავის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებს.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, მთის წვერებს მიუახლოვდა, ცოტაც და ჩავიდოდა კიდეც. მეტხანს დაყოვნება არ ივარგებდა, ხალვათად ვიყავი ჩაცმული, ჯარისკაცის ხაკის საზაფხულო ქურთუკი და პერანგი მეცვა, ოქტომბერში კი არა, შუა ზაფხულშიც ამ მთაში ძალზე ციოდა. ვიფიქრე, რომ ხელმოცარული მონადირე, ნოსტალგიაში გადავარდნილი, სოფლისკენ დაეშვა. თანაც, შეიძლებოდა, მასაც ეფიქრა, – რადგან დავაგვიანე, ადრევე გადმოვიდა, ვერ დავხვდი და წავიდაო.

თანაც ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც სამადას თანასოფლელმა მომიყვა. თურმე სამადა და იუსიი, პროფესიონალი

მონადირე, სანადიროდ ავიდნენ სალოცავი ქედის დასავლეთის კლდიან ფერდობებზე სანადიროდ, სადაც არჩვები და ჯიხვები ბუდობდნენ. ღამე ხაწეს ეხში გაათენეს და დილით გავიდნენ სანადიროდ, მაგრამ სხვადასხვა მხარეს გაემართნენ და დათქვეს, რომ საღამოს ეხში შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დღის მეორე ნახევარში წვიმა წამოვიდა, აცივდა კიდეც, სამადა ეხში დაბრუნდა, ცეცხლი დაანთო და ამხანაგს ლოდინი დაუწყო. იუსიი არ ჩანდა. სამადამ საჭმელი ჭამა, ნაბადზე წამოწვა და ჩათვლიმა კიდეც.

როცა გამოეღვიძა, საღამოს ბინდი წვებოდა. ახლა კი მოუსვენრობა დაეტყო, გარეთ გამოვიდა, პატარა აღმართი სწრაფად აირბინა, გორის ცერზე მოექცა და მიდამო შეათვალიერა. აქედან კარგად ჩანდა დიდგვერდის ქედის სამხრეთი კალთები და სალოცავი ქედის დასავლეთის კლდიანი, ქვიანი ფლატეები, ჩაკიდებული ღელეები, ქუჩით დაფარული, ფოლადისფერი, ყავისფერი და ლურჯი ღორღი, ხავსის ვერცხლისფერი ლაქებით მოფენილი სიპები, ცად ატყორცნილი წითელი და მოლურჯო ფერის წაწვეტებული კლდეები, მაგრამ ამხანაგს თვალი ვერ მოჰკრა. ბინდმა მოიცვა არემარე და კვლავ ეხს დაუბრუნდა.

მთელი ღამე ამაოდ ელოდა სამადა ამხანაგს, გარეთ გადაუღებლად წვიმდა. შეშფოთებული სამადა ფიქრობდა, თუ სად შეაფარა იუსიმ თავი ავდარს, თან ავი ფიქრები უმღრევდა გუნებას, ასეთ დროს კაცი ყოველთვის ცუდზე ფიქრობს.

როგორც კი გათენდა, თოფს წამოავლო ხელი, ზურგჩანთა აიკიდა და ამხანაგის მოსაძებნად წავიდა. დიდხანს იხეტიალა კლდე-ღრეებში, ეძახდა, თოფს ისროდა, მაგრამ ამხანაგს ვერსად მიაკვლია. უკან ბრუნდებოდა, როცა ერთ პატარა ღრმულში ბუერას, დიყისა და გვიმრების ბურანში მწოლარე იუსის მოჰკრა თვალი. სწრაფად ჩასრიალდა ბექობზე, მივიდა და რას ხედავს – კაცი უგონოდ არის. ეცადა, გონს მოეყვანა, დიყის ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წყალი აპკურა, მაგრამ მონადირე უგრძნობი იყო გარემოსადმი.

მაღლა ამოათრია სამადამ ამხანაგი, მდელოზე, უფრო მშრალ ადგილზე ამოიყვანა და პირაღმა დააწვინა. გვერდით ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა, როგორ მოქცეულიყო. მარტო არათუ ეხში, სადმე მოფარებულ ადგილზე გადაყვანასაც ვერ შეძლებდა, სახლში ჩაყვანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იყო ერთადერთი გზა – სწრაფად უნდა ჩასულიყო სოფელში და მაშველი ხალხი ამოეყვანა.

რაც რამ ტანსაცმელი ჰქონდა, გადააფარა, კარგად შეახვია. მართალია, წვიმა შეწყდა, გამოდარების პირი უჩანდა ამინდს, მაგრამ მთელი ღამე წვიმაში გდებისგან იუსიი ისე იყო გაყინული, ცხედარს ჰგავდაო, – ყვებოდა შემდეგ სამადა. პური და ყველი გულზე დაადო, თუ გონს მოვიდა, შეჭამს, ძალა მიეცემა და ეხამდე მივაო.

სწორი გადაწყვეტილება იყო, გვერდით ჯდომა და ლოდინი არაფრის მომცემი იქნებოდა. სამადამ სწრაფად იარა, სოფელში განგაში ატეხა. ახალგაზრდები სასწრაფოდ მოემზადნენ და გასამგზავრებლად მზად იყვნენ, მაგრამ აქ ერთი გაუგებრობა მოხდა: სამადამ უარი თქვა მეგზურობაზე, დაღლილი ვარ და ვერ შევძლებ მგზავრობასო. უდავოდ, დაღლილ-დაქანცული იქნებოდა, დილიდან ჯერ ეძება ამხანაგი, მერე თითქმის სირბილით დაფარა ამხელა მანძილი და გაუჭირდებოდა კვლავ მთაში ასვლა, მაგრამ მისი უარი მაინც გაუგებარი აღმოჩნდა თანასოფლელებისათვის. რას იზამდნენ, დეტალურად გამოჰკითხეს თანასოფლელის, ნათესავის ადგილსამყოფელი და სწრაფად გაუდგნენ გზას.

მზემ დააცხუნა, სადღაც შუადღისთვის იუსიი გონს მოვიდა და ცოტა პური მოლოღნა. შეუძლოდ იყო, ძალ-ღონე მოიკრიბა, ცერზე ამოვიდა, დაჰყვა უნაგირამდე, დაუხვია სამხრეთით და ეხში ჩავიდა, ცეცხლი დაანთო, ტანსაცმელი გაიშრო და ამ დროს ძახილი და თოფის ხმაც მოესმა. გამოეხმაურა, საპასუხოდ ისროლა კიდეც, ეგონა, სამადა ეძებდა და განცვიფრებული დარჩა, როცა თანასოფლელთა მთელი ბრიგადა მივიდა ეხში.

შემდეგში, როცა სამადას უხსენებდნენ, იუსიი თავს გაიქ-ნევდა, იუმორით შეუკურთხავდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ამხანაგის მოქმედებით უკმაყოფილო იყო. არც სოფელში იყვნენ მისი ამ საქციელის გამართლების მოსურნენი, მაგრამ პრინციპში, სამადას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უბრალოდ ერთ რამეში შეცდა: უნდა გაჰყოლოდა თანასფლელებს ამხანა-გის დასახმარებლად, უნდა ევლო, სანამ შეძლებდა სიარულს. მონადირეთა საღვთო კანონია – არ უნდა მიატოვო ამხანაგი გასაჭირში! ამ პრინციპით სჯიდნენ კიდეც სამადას, ხოლო მის გამამართლებელ მიზეზებს არ იძიებდნენ.

გამახსენდა ეს ამბავი და ვიფიქრე, რომ სამადა ხორაჯოში ჩავიდოდა. ავდექი, ავტომატი ავიღე, უკანასკნელად მოვავლე მთის სერებს თვალი და ამხანაგის ნაცვლად მარტოხელა არჩვი შევნიშნე ზევით, ჩემგან ექვსას-შვიდასი მეტრის დაშორებით. პირით მთის წვერისკენ იყო მიქცეული და მშვიდი ძოვით აღმართზე გადაადგილდებოდა.

თავში მაშინვე ავტომატურად დაისახა მიპარვის გეგმა. მარჯვნივ ხევს უნდა ავყოლოდი, ზემოდან მოვექცეოდი და ერ-თი უზარმაზარი კლდის ქიმიდან შეიძლებოდა სროლა. თუმცა, მაშინვე ამოქმედდა ასევე შემაკავებელი ფაქტორიც: რამდენ ხანს მოვუნდებოდი მიპარვას? მზე ჩადიოდა, დროში ვიწვებო-დი. ამიტომ ავტომატის სამიზნე 700 მ. დავაყენე, დამცველი – ერთჯერად სროლაზე და დავცხე. ვიცოდი, რომ ძალიან პატა-რა შანსი იყო, რომ ზურგით მდგომი ნადირისთვის მომერტყა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

პირველ გასროლაზე არჩვმა მხოლოდ თავი ასწია, მიაყურადა, ხოლო მეორე ტყვია გვერდით კლდეს რომ მოხვდა და ასხლე-ტილმა ტყვიამ წუილით გაიქროლა, იკადრა გაქცევა. თან ამ დროს თოფის ხმამაც მიაღწია კლდეებამდე, ეხომ მოიარა ხევები. ელვის სისწრაფით ფარავდა მანძილს არჩვი, მეც დაუმიზნებლად, სწრაფად ვისროდი, სანამ ქედის ცერს არ გადაეფარა ნადირი.

მივხვდი, რომ ვერ მოვარტყი არჩვს, დაჭრის შემთხვევაში მკვეთრად შემობრუნდებოდა და დაბლა დაქანდებოდა. მანამდე

მუდამ აღმა მიქრის, ძალიან ბევრჯერ შევსწრებივარ არჩვის ასეთ ქცევას.

რას ვიზამდი, გაწბილებული ვიდექი, გავყურებდი იმ ადგილს, სადაც ნადირი მიეფარა ჩემს თვალთაგან, ავტომატი დამცველზე დავაყენე და დაბლა დავეშვი, აქ უკვე საქმე არ მქონდა, თან მზეც გორებს ეფარებოდა.

გაბედას ქედის ალპური ზონა სწრაფად ჩავიარე, შევედი ტყით დაფარულ ზონაში და პრობლემაც გაჩნდა. ცამდე აზიდული ხელის თითებივით სუფთა, ტოტების გარეშე აშოლტილი წიფლის ხეების ქვეშ სიარული სასიამოვნო იყო, თანაც საუკუნეების წინ გაჭრილი მოქმედი ბილიკიც აადვილებდა მგზავრობას, მაგრამ ახლა შემოდგომა იდგა, ფოთოლი დაცვენილი იყო და ხეების ქვეშ ჭრელ ხალიჩასავით ეფინა. მართალია, ამ ხალიჩაზე სიარული, ფოთლების შარაშურიც კი სასიამოვნო იყო, მაგრამ ფოთოლი ბილიკს მთლიანად ფარავდა, მხოლოდ ძლივს შესამჩნევი, ჩადაბლებული ზოლი კლაკნილი ხაზივით ჩასდევდა ქედის ცერს.

მე იმედი მქონდა, რომ მთვარიან ღამეს ვივლიდი და ამიტომაც შევყოვნდი მთაში აქამდე, ვფიქრობდი, რომ ბუჩქის მოცვის დაგემოვნებასაც მოვასწრებდი, რომელიც აქ, ტყეში ბლომად იყო, მაგრამ მივხვდი, რომ უნდა მეჩქარა, სანამ ძლიერ დაბინდდებოდა, უნდა მომესწრო გვიმრიან ველზე („ჩუერიი ათაჰხ“) ჩასვლა.

სწრაფი სვლით, რომელიც ხშირად ინერციით ძუნძულსა და ხანდახან სირბილშიც გადადიოდა, დაშვება დავიწყე. ხშირად ფეხი მიცურდებოდა, ვეცემოდი, მაგრამ დაშვების ტემპი არ შემინელებია. იმავდროულად ჯოხს ვებჯინებოდი, ვიცოდი, როგორ უნდა გამომეყენებინა, მქონდა ამის პრაქტიკა და ძალიან მშველოდა.

სიბნელე თანდათან მოიწევდა ქვემოდან, მაგრამ ცა იყო საკმაოდ ნათელი, თანაც ფოთოლგაცვენილი ხეები უკვე აღარ უშლიდნენ სინათლეს, ჩაეღწია ხეთა ძირებამდე. საერთოდ, მთაში უცბად იცის დაბნელება და როცა უკვე მივაღწიე გვიმ-

რიან ველს, სიბნელემ მოიცვა არემარე. აქ უკვე მაღალი წიფ-ლის ხეები კი არ იდგა, არამედ მორჩილი რცხილის ხშირტოტე-ბიანი, თითქმის ბუჩქების მაგვარი ზოლი იყო.

ნელა მივიკვლევდი გზას, ნაცნობი ადგილები იყო და დი-დად არ გამჭირვებია სიარული, თანაც აქ ფერდობი დიდად არ იყო დაქანებული. უცბად, რაღაცნაირად ჩრდილოეთის ციალი-ვით განათდა იქაურობა. ჯერ ცა განათდა, შემდეგ ეს ნათელი დედამიწამდეც ჩამოვიდა. სწრაფად ჩავვლე დარჩენილი მონაკ-ვეთი, ტყის პირზე გავედი, ჩამოვჯექი, თვალი მოვავლე ცას, ნათელი აღმოსავლეთ ცის კიდურიდან იწყებოდა.

ყურადღებით დავაკვირდი, რაღაც საოცარი ნათება იყო, ჩხათანის თავზე არაჩვეულებრივად განათდა ცა. ის ადგილი, საიდანაც ნათება ამოდიოდა, ნაქერალასა და ჭიქაურს შორის ქედის ცერიდან მოდიოდა. მივხვდი, რომ მთვარე ამოდიოდა, რადგან სავსე მთვარის დისკის ზოლი გამოჩნდა ცის თაღის კი-დურზე.

გაოცებული და მოხიბლული ვუყურებდი უჩვეულო მოვლე-ნას. პირველად არ შევსწრებივარ მთვარის ამოსვლას. აქაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც, რუსეთშიც, ციმბირის ტაიგაშიც, რუსეთის ჩრდილო პოლარულ მხარეშიც მინახავს მთვარის ამოსვლა, მაგრამ ასეთ სილამაზეს არ მოვსწრებივარ. აქ მთვარის ამოსვლის წინ, თითქოს მოსამზადებელი წინაპირო-ბები იქმნებაო, ისე განათდა მთვარის სავალი ზოლი, რაღაც სხვანაირი ნათებით, აღწერაც კი ველარ ძალმიძს, ისეთი უცნა-ური ნათება იყო.

მთვარე ნელა ამოდიოდა. არა, არცთუ ნელა ამოდიოდა, ვუ-ყურებდი და ვხედავდი, როგორ ამოყო წვერი ქედს იქიდან, მერე წამოვიდა და წამოვიდა, თითქმის მთლიანად დაფარა ქედის ბორცვებს შორის არე, აიწია და ვეებერთელა, ვერცხლისფერი ნათებით გადმოხედა ჩხათანისა და ხორაჯოს ხეობას.

ვიმეორებ, არაჩვეულებრივი სანახაობა იყო, განუმეორებე-ლი მოვლენა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასე იყო. მანამდე და მას შემდეგაც არ მინახავს ასეთი სილამაზე და ისე დამა-

მახსოვრდა ეს მთვარე, რომ დღესაც კი თვალწინ მიდგას ეს სურათი. ვერ გადმოვცემ იმ შთაბეჭდილებას სრულად, ვგრძნობ, რომ უფერულად გამოიყურება ჩემი აღწერა, ვნანობ, რომ შევეხე ამ ამბავს, რადგან ვერ შევძელი დამეხატა ვერც სურათი და ვერც ჩემი გრძნობები. მაშინ კი, როცა ვუყურებდი მთვარის ამოსვლას, გალაკტიონი გამახსენდა, სრულად გავიგე მისი ლექსის „მთაწმინდის მთვარე“ სიდიადე. ალბათ, სწორედ ასეთ მთვარეს უყურებდა პოეტი, როცა ქმნიდა შედევრს. მრავალი წელი ვასწავლიდი ბავშვებს სკოლაში გ. ტაბიძის ამ ლექსს და მხოლოდ ახლა ჩავწვდი პოეტის სულიერ აღფრთოვანებას:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!“

არცკი მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექი ამ სილამაზით აღფრთოვანებული. როცა წამოვდექი, მთვარე ერთი თოკის („ცა ქორც“) დადებაზე იყო ამოსული, მიდამო კი დღესავით განათებული. მშვიდად დავადექი ხორაჯოსკენ მიმავალ ბილიკს. ფიქრებით შორეულ წარსულში გადავინაცვლე, პირველყოფილი ადამიანების ფსიქოლოგია გავიაზრე და მთვარის კულტიც გასაგები გახდა.

როცა სოფელს მივუახლოვდი, დავინახე სამადა, რომელიც სახლის წინ ბოლთას სცემდა. შორიდანვე ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა ჩემს დაგვიანებაზე. სიმართლე უნდა ითქვას, სულაც არ მენაღვლებოდა მისი მოუსვენრობა და წუხილი, არ უნდა წამოსულიყო მთიდან, უნდა დამლოდებოდა.

სიხარულით შემხვდა, მისაყვედურა:

– სადა ხარ, კაცო, რატომ დაიგვიანე, რას მანერვიულებ, კინაღამ შენს საძებრად წამოვედი?

– რაღაც არ უნდა იყო ამხანაგის ბედ-იღბლით დაინტერესებული, მის გამო რომ წუხდე, ასე თავქუდმოგლეჯილი არ გა-

მოიქცეოდი სახლისკენ, – წყენას არ ვმალავ მეც. – მგონია, რომ ეს გამოქცევა ჩვევად გადაგექცა.

– კაცო, ჩვენ ხომ დავთქვით, შუადღისთვის ჰასანის ნაბინავარში შევხვდებოდით. მე კი დიდხანს გელოდე. მზე ჩასვლაზე იყო, როცა წამოვედი, ვიფიქრე, ადრე მოვიდა დათქმულ დროზე და რახან არ დავხვდი, წავიდა-მეთქი. – თავს იმართლებს სამადა.

– მე ამხანაგებს ესე უყურადღებოდ არ ვტოვებ! – ცივად ვუთხარი. მართალია, ჩემზე უფროსი იყო და უკმეხი საუბარი უზრდელობა იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ სიძედ მეკუთვნოდა, ჩემი მამიდაშვილის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად და ამიტომ მივეცი თავს ასეთი ლაპარაკის უფლება.

სახლში შევედით, ღუმელში ცეცხლი დავანთეთ, ვახშამი მოვამზადეთ და სუფრას მივუსხედით. არაყი გვქონდა, დავლიეთ, ლაპარაკის საღერღელიც აიშალა და სამადა მოჰყვა თავისი და იუსიის თავგადასავალს ხაწეს ეხში. მივხვდი, რომ ჩემმა წეღანდელმა რეპლიკამ გაკენწლა და სურდა, აეხსნა ჩემთვის, რომ მაშინ სხვა გზა არ ჰქონდა.

ერთმანეთს იმ დღის თავგადასავალი მოვუყევით, ხელმოცარვის მიზეზებიც მოვიძიეთ. სამადას თქმით, ძალიან არ გაუმართლა იმ დღეს.

– როგრც კი ხორაჯოს ქედით მაღლა, ალპურ ზონაში გავედი, იქაურობა კარგად დავათვალიერე, ვერაფერი შევნიშნე, ხევი გადმოვჭერი და გაბედას ქედზე გადმოვედი. შემდეგ ავყევი ქედს და აღმოსავლეთ ფერდობს რომ გადავხედე, ფსიტი შევნიშნე და მივეპარე. არ იყო შორს, დაახლოებით სამასი მეტრი იქნებოდა, როცა სროლა დავიწყე. პირველი სროლის შემდეგ ათიოდე მეტრზე ავარდა და შეჩერდა წამით. მეორედ ვესროლე, მაგრამ მეორეჯერაც ავაცდინე. ახლა კი ტყვიასავით გავარდა წინ ნადირი და მეც ვესროდი, მაგრამ ისე წავიდა, ვითომც არაფერი. ძალიან გავნერვიულდი, ასეთი მარცხი იშვიათად მქონია, 700 მ, მანძილზეც კი მომირტყამს ტყვია, ხომ იცი, როგორი ზუსტი თოფი მაქვს.

ვიცნობდი მის თოფს, ტყვიამფრქვევის ლულაზე იყო აწყობილი. მონაყოლი ჰქონდა, რომ ძმისწულმა, რომელიც სომხეთში ჯარში იყო საბჭოეთის დროს, მოსწერა, რომ ჩამოდი ჩემთან ნაწილში და ტყვიამფრქვევის ლულებს გაგატანო.

მართლაც, ჩავიდა სამხედრო ნაწილში, იქიდან ორი ლულა გამოიტანა ძმისწულმა, სამადამ დიდი ჩემოდანი იყიდა, შიგ ორი ლულა ჩადო, ტანსაცმელი და სხვა რამეებით გაავსო და სახლში ჩამოიტანა, ერთი ლულა ხელოსანს მისცა და მან აუწყო კიდეც კარგი შაშხანა.

– მეც შემხვდა, ალბათ, ის შენი მასარი (არჩვი), მეც ვესროლე რამდენჯერმე, მაგრამ ვერ მოვარტყი, მაგრამ იმედგაცრუების შემდეგ მთვარის ამოსვლის არაჩვეულებრივ სურათს ვუყურე.

– თარსი დღე იყო. ერთი სიტყვით, იღბალზეა ყველაფერი დამოკიდებული. ხან ისეთ ადგილას შეგხვდება ნადირი და კლავ, არაფრით რომ არ ელოდები. მაგალითად, ერთხელ მე და ომალოელი ორი მონადირე ხაწეს ეხში მივდიოდით. გვიან გავედით, ხორაჯოს ქედზე ტყეში მოგვიწია ღამის გათენება. ერთი უზარმაზარი წიფლის ქვეშ საძინებელი მოვაწყეთ, მოსასხამებში გავეხვიეთ, ერთმანეთს მივეკარით და დავიძინეთ.

რაღაც არ მეძინებოდა, ათას რამეზე ვფიქრობდი. ამხანაგებს ჩაეძინათ და ზომიერი ხვრინვა ამოუშვეს. უეცრად რაღაც ბურტყუნის მაგვარი ხმა მომესმა, ნელი ფაჩუნიც გავიგონე, მოსასხამის კალთა ავწიე ხელით, გავიხედე და გაოცებისგან გავშეშდი. ჩემ პირდაპირ, რაღაც ათიოდე მეტრში, დათვი იდგა და ყურადღებით გვაკვირდებოდა. გონს მოვედი, ნელა გადმოვაცურე მოსასხამიდან შაშხანა და მივმართე. საკეტის გადაკეტვის ხმაურზე დათვი გასაქცევად შებრუნდა და თოფმაც იგრიალა. დათვი მოწყვეტით დაეცა, თურმე ტყვიას შიგ გულში გაევლო.

დამფრთხალი მონადირეები წამოცვივდნენ, – რას ისვრი ამ შუაღამესო, გამიჯავრდნენ, მე უხმოდ მივუთითე ბნელ საგანზე, წიფლის ძირას რომ ეგდო.

ფრთხილად, მომარჯვებული თოფებით მივუახლოვდით. დათვი უსულოდ ეგდო, ღამე ვერ გავატყავებდით. ყელი გამოვ-

ჭერით, წიფლის ქვეშ მოვათრიეთ და ჯერ კიდევ მის თბილ ტანს მიწოლილებმა გავათენეთ.

უჩვეულო ამბავი იყო. ვიცოდი, რომ მონადირეებმა გაზვიადება იციან, მაგრამ ისიც მესმოდა, რომ ასეთი კურიოზული ამბებიც ხდებოდა.

ერთ-ერთი ნადირობის დროს, როცა ღამე კოცონის გარშემო ვისხედით და სამონადირეო თავგადასავლებს ვუყვებოდით ერთმანეთს, ელიზბარ მარგოშვილი მოგვიყვა, თუ როგორ მოჰკლეს ბაწარის ხეობაში უზარმაზარი დათვი.

საკობიანოელი პავლე ბიბინაშვილი განთქმული პროფესიონალი მონადირე იყო, მას არც ჯოყოლოელი აიუფ აჭიშვილი ჩამორჩებოდა, ერთხელაც შეთანხმდნენ, სანადიროდ წასულიყვნენ ბაწარაში. პავლე და აიუფი ნაკრძალის მცველები იყვნენ, სამსახურის კარაბინები ჰქონდათ, ხუთსასროლიანი შაშხანები. ოთხნი გავიდნენ დილაუთენია ნაკრძალის სახლიდან და აღმა შეჰყვნენ ხეობას.

ორ ჯგუფად გაიყვნენ. პავლე და რობი, აიუფის ძმა სწრაფად აჰყვნენ მდინარეს, – ღრმად შევალთ ხეობაში, ურანის ძირში ფსიტებზე ვინადირებთო. ელიზბარი და აიუფი ძიბახევის ქედის ჩრდილო ფერდობებს, ბაწარის ხეობის სამხრეთ კალთებს აჰყვნენ, დათვზე აპირებდნენ ნადირობას. პავლემ თავისი კარაბინი ელიზბარს დაუთმო, თავად მისი ორლულიანი თოფი გაიყოლა.

ნოემბრის ბოლო დღეები იყო, საგრძნობლად ციოდა, ხანდახან ცივი, წვრილი თოვლი სახეში აყრიდა, მაგრამ მალე გადაიღებდა ხოლმე. ჩახრამებული, კლდიანი ხევები და ციცაბო ცერები მოიარეს, მაგრად გაისარჯნენ მონადირეები, მაგრამ არაფერი შეხვედრიათ. სადღაც შუადღისას მაღლა, ხევის სათავეში თოფი გავარდა, მერე მეორედ გავარდა და ხეობაში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

– ჩემი თოფის ხმაა, პავლე ისვრის, – ეუბნება ელიზბარი ამხანაგს.

– პავლე უშედეგოდ არ გაისვრის თოფს, უეჭველად მოკლავდა ნადირს, – დარწმუნებით თქვა აიუფმა.

მონადირეები გაღმა გავიდნენ და წინაგორის ფერდობები მოიარეს, მაგრად გაწვალდნენ და საღამო ხანს ნაკრძალის სახლისკენ აიღეს გეზი. ნელა მიდიოდნენ, ფხიზლად იყვნენ, ერთგან დათვის ნაკვალევს წააწყდნენ. ამასობაში სახლსაც მიუახლოვდნენ, რაღაც 150-200 მეტრი თუ აშორებდათ. იმედი გადაიწურეს და ხევის პირზე ჩამოსხდნენ დასასვენებლად. აიუფი ფერდობზე ჩამოჯდა და სამხრეთისკენ იყურებოდა. ელიზბარი წაქცეულ წიფელზე ჩამოჯდა, კარაბინი მუხლებზე დაიდო, ლულა ზევითკენ ჰქონდა მიშვერილი, სახე კი ამხანაგისკენ ჰქონდა მიქცეული, მაგრამ დაბლაც და მაღლაც იცქირებოდა ისე, ყოველ შემთხვევისთვის, უფრო ჩვეულების გამო ათვალიერებდა მიდამოს, ნადირის გამოჩენის იმედი სულაც არ ჰქონდა.

უცბად ნელი ხმაური მოესმა, თითქოს ნიავმა დაუბერა და ხის ძირში სველი ფოთლები ააშრიალა, აიხედა და გაშრა. უზარმაზარი, სამწლიანი მოზვერისხელა დათვი უხმაუროდ მიდიოდა ფერდობზე, საოცარი ის იყო, როგორ უხმაუროდ და მშვიდად მოძრაობდა ვეებერთელა ნადირი. ელიზბარმა სწრაფად გადასწია დამცველი, დაუმიზნა და ესროლა, დათვი 30-40 მეტრით იქნებოდა დაშორებული. გაისმა საშინელი ღრიალი, რომელმაც მთელი ხეობა აახმიანა. აიუფი ელვისუსწრაფესად წამოიჭრა, შემართა კარაბინი და სანამ დათვი ხევში გადაეშვებოდა, ესროლა. სროლის ხმას ჯერ კიდევ არ შემოევლო ხევები, რომ სწრაფად აირბინა ფერდობი (მაღალი კაცი იყო, სწრაფი, მთასვლელი და გამოცდილი მონადირე) და ხევში გადაიხედა, უმალ მასთან გაჩნდა ელიზბარიც და დაინახა ღრმა ხრამში პირაღმა ჩაჩეხილი დათვი. ის მაშინვე დაიძრა დათვისკენ, თან ქარქაშიდან სამონადირეო დანა ამოიღო ყელის გამოსაჭრელად, მაგრამ ამხანაგმა მხარში ხელი ჩაავლო და შეაჩერა:

– მოიცა, ჯერ კიდევ ცოცხალია.

– ცოცხალი არა, ჩვენი მტერი იყოს მაგის მდგომარეობაში, ხედავ, ფეხსაც კი არ ატოკებს.

– წინა ტორების ბრჭყალებს შეხედე, ხედავ, როგორ მომუჭულია, ახლა ნახავ, როგორ გაიშლება.

აიუფმა თოფი შემართა, დაუმიზნა და თავში ესროლა. დათვი ერთი მძლავრად შეტოკდა, შემდეგ დაიძაგრა და ტორები გაშალა.

– ეხლა შეგიძლია ჩახვიდე და ყელი გამოსჭრა, ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე, თუ დაჭრილ დათვს თათების ბრჭყალები მომუჭული აქვს, ცოცხალია, ეშმაკობს, თავს იმკვდარუნებს.

როცა ყელის გამოსაჭრელად დაიხარა, ელიზბარი განაცვიფრა ყელის გარშემო მოთეთრო-სერმა ზოლებმა, რომლებიც მკერდსა და ყელს წრიულად ეკვრებოდა. ასეთ ზოლიან დათვს ყელ-ქედანას ეძახიან.

დათვი მართლაც უზარმაზარი ტანისა იყო. ელიზბარის ნასროლს ორივე ბეჭი გაეხვრიტა. როცა გაჭრეს და გამოშიგნეს, კანზე დადებულმა ქონმა მრავლის მნახველი აიუფიც კი გააკვირვა – ქონი მთელ მუცელს ოთხი თითის სისქის ზოლად მოჰფენოდა.

– ეტყობა, საზამთრო ძილისთვის ემზადებოდა ტყის მეფე, მაგრამ წანწალს შეეწირა, – სიცილით თქვა აიუფმა.

დათვს დაღლილი მონადირეები ვერ გაატყავებდნენ, ხორცის წამოღებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მარტო ღვიძლი ამოჭრეს, ორ ზურგჩანთაში ძლივს ჩაეტია, ტოტები და გვიმრები დააყარეს და ნაკრძალის სახლისკენ დაიძრნენ.

სახლში პავლე და რობი დახვდნენ, ფსიტი მოეკლათ და მწვადებზე არაყს აყოლებდნენ.

– რაო, ვერაფერი მოინადირეთ, ვოჟებო? რას ესროდით? – იკითხა პავლემ.

ელიზბარმა უსიტყვოდ ამოიღო ზურგჩანთიდან ღვიძლის ნაჭერი. პავლემ შეხედა და პირი დააღო.

– აბა, ფშაველი მონადირეც რომ გაიკვირვებს დათვის სიდიდეზე, რამხელა უნდა ყოფილიყო, ბიჭებო! – დაასრულა თხრობა ელიზბარმა, – მერე დაამატა, რომ მეორე დღეს სამი ცხენით ავიდნენ ბაწარაში, ერთ ცხენს ტყავი აჰკიდეს, რომელმაც აიუფის 20 კვმ ოთახი მთლიანად დაფარა. ხორცი ორმა ცხენმა ძლივს ჩამოიტანა სახლამდე.

დიახ, ყველაფერი იღბალზეა დამოკიდებული. მე და სამადა ხელცარიელები დავბრუნდით ნადირობიდან. ჩემთვის ეს

სიახლე არ იყო და უიღბლობას დიდად არც შევუწუხებივარ. თანაც ბადრი მთვარის ამოსვლის სურათმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ამ დღის ყველა უსიამოვნება დაფარა.

შარცოხელა ვაცი

მზიანი შემოდგომა იდგა. სექტემბრის მიწურული იყო, მაგრამ ისეთი თბილი დღეები დაიჭირა, შუა ზაფხულშიც ვერ ინატრებდა კაცი უკეთესს ამინდს. სწორედ მთაში ნადირობის სეზონი დაიწყო, ნადირი ამ დროს მსუქანია, დამწიფებული ბალახით იკვებება, ჯერ კიდევ ალპურ ზონაში ბინადრობს.

მე და ლაბო ამჯერად დილაადრიანად გავუდექით გზას. თან ანკესებიც გავიყოლეთ, ვიფიქრეთ, ხორაჯოს წყლის შენაკადებში გვეთევზავა, ღამე ჩხათანაში გავჩერდებოდით და მეორე დღეს დიდგვერდის მთაში ავიდოდით. ვიცოდით, რომ „ჯამიეს ნადგომში“ დუისელი მეცხვარეები იდგნენ, დღე-დღეზე აპირებდნენ ხორაჯოს მთაში გადმოსვლას და ამიტომაც დავეშურეთ მთაში ასვლას.

ხორაჯოს წყალს ავყევით, ანკესები თხილის თხელ და გრძელ სწორ ხარიხებზე ავაწყვეთ და ნელა მივიწევდით. კალმახი ანკესს არ ეკიდებოდა. თითქმის ნახევარი კილომეტრი შევყევით ხეობას და ერთხელაც არ წამოუკრავს პირი ანკესზე წამოგებული ჭიისთვის. ვივარაუდეთ, რომ წყალი მოწამლული იქნებოდა ბრაკონიერების მიერ, წამოვკრიფეთ ანკესები და წავედით ჩხათანისკენ.

გვიმრიანი მინდორის იქით ღრმა ხევი იყო, რომელშიც მოედინება ხორაჯოს მთიდან წისქვილის წყლისოდენა მდინარე, მუდამ სუფთა და ანკარა. ხორაჯოს წყალთან, შესართავიდან,

აღმა ავუყევით მდინარეს. რაღაც ათ მეტრში ლაბომ მკვეთრად აიქნია ხარიხა და თვალი მოვკარი, თუ როგორ გაიელვა კალმახის თეთრმა ვერცხლისფერმა მუცელმა ჰაერში, გადაევლო წყალს და ნაპირზე მოადინა ზღართანი. მეთევზემ მოფართხალე თევზი გაათავისუფლა ანკესისგან, სიპზე დაჰკრა და გაფარჩხული ჯიბეში ჩაიდო.

ხალისიანად ავყევით პატარა მდინარეს. რაღაც საათ-ნახევარში 7 ცალი მტკაველის სიგრძე კალმახი დაიჭირა ლაბომ, ჩემს ანკესს ერთიც კი არ წამოგებია. არ ვიცი, რის ბრალი იყო, უბრალოდ არ მიმართლებდა, თუ არ ვიცოდი ანკესით თევზაობა. მგონი, უფრო ვერ ვფლობდი ამ სახის თევზაობის ხელოვნებას, ნერვებიც არ მყოფნიდა და, რაც გადამწყვეტია ყველა სახის ნადირობაში, მალე მბეზრდებოდა ამ სახის თევზაობა.

მაღლა ამოვედით და შეუთანხმებლად ორივენი გავემართეთ ჩხათანის მუჟასკენ (სალოკისკენ), რადგან ყოველთვის ასეა ეს: ერთხელ თუ გაგიმართლა, იმედოვნებ, რომ მეორედაც შეხვდები ნადირს. ნელა ჩავეპარეთ ხევისკენ, სახუნდარში ჩავხოხდით და ფრთხილად ჩავხედეთ ხევის მოპირდაპირე კლდის ძირში, მაგრამ ვერაფერი შევნიშნეთ. კარგა ხანი დავყავით, ნელა ვსაუბრობდით და გაღმა ქედის ნაშალზე არჩვების გაკვალულ ბილიკებს ვათვალიერებდით. ტყიდან გამოსული არჩვები ამ ბილიკებით ჩამოდიოდნენ მჟავე წყალზე და ამავე ბილიკებით ბრუნდებოდნენ უკან.

როცა ძველ ბილიკებზე ნადირი მოძრაობს, ჩამოშლილი ნაშალი ყვითლად, გამორჩეულად ატყვია ხოლმე წვიმისგან გარეცხილ ქვიშაზე. რადგან დიდი ხანია, არ ეწვიმა ამ არემარეში, ნადირის ნაკვალევი შესამჩნევი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაიმე ნიშანი ამ ბილიკებზე მოძრაობისა არ შეგვინიშნავს. აშკარა იყო, რომ ამ მუჟაზე კარგა ხანია, არჩვები არ ჩამოდიოდნენ, აქ ლოდინს აზრი არ ჰქონდა. წამოვდექით, მაღლა ავედით და ტყიდან მინდორზე, ახოებზე გამოვედით და ჩხათანისკენ გავწიეთ.

ჩხათანის სათიბ ახოებს მივყვებოდით, ლაბომ მანიშნა და ტყიდან ცოტა მოშორებით მდგომ დიდ ველურ მსხალზე, პანტაზე მიმითითა.

– წამოდი, დავათვალიეროთ, დათვი ხშირად სტუმრობს ხოლმე. ადრე მასზე მახე მოვაწყვე, დათვი გაბმულიყო, მე ვერ მივაკითხე დროზე, მთაში მომიწია ასვლა და ერთი კვირის შემდეგ როცა მოვინახულე, შორიდან მძორის სუნი მეცა და მივხვდი, რომ დათვი გაბმულიყო, დამხრჩვალი აყროლებულიყო კიდეც.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, „ტროსის“ დაგებას მოეშვი, ყველაზე ბინძური ხერხია ნადირობისა! აბა, რას ჰგავს ეს, ნადირი წამებით მოკვდა, შენ კი არც ხორცი გამოიყენე და არც ტყავი, – აღშფოთებული ვიყავი და თითქმის ვყვიროდი.

– იმის შემდეგ არც დამიგია „ტროსი“, ეს შარშან მოხდა. მახსოვდა შენი შეგონება, ხოლო ამ შემთხვევამ საბოლოოდ ამაღებინა ხელი ასეთ ნადირობაზე.

მივუახლოვდით პანტას. როგორც ვთქვი, სექტემბრის ბოლო დღეები იდგა, ხეთა ფოთლებს ფერი შეცვლოდა, მთელი ტყის ნაპირები ერთმანეთში არეული მწვანე, წითელი და ყვითელი ფერებით იყო მოქარგული. პანტის ფოთლებიც მუქი მწვანე და წითელი ფერებით აჭრელებულიყო. ნაყოფიც სხვადასხვა ფერისა იყო: გადამწიფებული მოშავო-მუქად შეფერილი, მწიფე ყვითლად გამოიყურებოდა, ხოლო მკვახე პანტა მწვანე-ბალახისფერი იყო.

როცა დავაკვირდი, შევნიშნე, რომ დახუნძლული ტოტები დაბლა იყო დახრილი, მათში ბევრი გადატეხილი შიგნითა მხარეს და ნაყოფისგან დაცლილი. კიდევ უფრო დავაკვირდი და შევამჩნიე, რომ ზოგი რამდენიმე დღით ადრე იყო მომტვრეული, ზოგიც ახლად დამტვრეულად გამოიყურებოდა.

ლაბოს შევხედე კითხვის თვალით. მან თავი დამიქნია დასტურის ნიშნად, ხესთან მივიდა, დააკვირდა და ხელით მანიშნა, ახლოს მივსულიყავი. მივედი ხესთან, თვალი გავაყოლე ხის ტანს და ქერქზე ნაკაწრები შევნიშნე. დიდი მიხვედრა არ იყო საჭირო, რომ დათვის ტორების ბრჭყალების ნაკვალევი იყო.

დაბლა ხის ნაყოფი ბლომად ეყარა. მწიფე, გადამწიფებული და დამპალი პანტა ერთმანეთში იყო არეული. მიწაზე აშკარად

ეტყობოდა დათუნიას ნაკვალევი, აშკარად ჩანდა, რომ ის ხშირად სტუმრობდა პანტას.

– ლაბაზან, ამაღამ უნდა ჩავუსაფრდეთ ტყის მეფეს, ვნახოთ, რომელი უფრო მარჯვე ვართ ნადირობაში. „ტროსის“ დაგება და სახლში მიმალვა არაა მონადირისთვის საკადრისი. პირისპირ დავდგეთ, როცა ორივეს თანაბარი შანსები გვექნება: თოფებით შეიარაღებულ მონადირეებსა და ღმერთის მიერ ეშმაკობით, ინტუიციით, გამძლეობითა და გულადობით დაჯილდოებულ ნადირს.

– ძალიან კარგი, ავიდეთ ჩხათანაში, თევზი შევწვათ, პური ვჭამოთ და საღმოზე ჩამოვიდეთ. ახლავე შევარჩიოთ ადგილები საფარისთვის, რომ დაღამებისთანავე უხმაუროდ მოვეწყოთ.

ლაბოს ლაბაზანს ვეძახდით ხუმრობით, ერთი პირიქითა ქისტეთში მცხოვრები მოთარეშე ბელადის, ჭებერლოელი ლაბაზანის სახელთან დაკავშირებით, რომლის ტრაგიკულ სიკვდილზე იუმორისტული თქმულება არსებობს.

თურმე ლაბაზანმა შეკრიბა ჭებერლოელი ვაჟკაცები და დაღესტნისკენ გასწია სათარეშოდ. ერთგან, ძალზე სახიფათო გადასასვლელზე, უფსკრულის პირზე გაჭრილ ბილიკზე მხედრები, ჩვეულებრივ, ჩამოქვეითდებოდნენ და ბედაურები სადავით გადაჰყავდათ სახიფათო მონაკვეთზე. ლაბაზანმა მათრახი ჰკრა ბედაურს და ქარაფზე შეაგდო ცხენი.

– ლაბაზან, ჩამოქვეითდი, საშიშია, არ გადაიჩეხო! – დაუყვირეს მოთარეშეებმა.

– გამოუშვით ბედაურები! („დოი დახქეით!“) – გადმოსძახა ამხანაგებს ლაბაზანმა. მათრახისგან გაგიჟებული ბედაური კი კლდეებზე გაფრინდა. უცბად ქვეშ კლდის ნაშალი მოსწყდა, ცხენ-კაცი უფსკრულში გადაიჩეხა და თვალთაგან გაუჩინარდა.

ჭებერლოელები ჩაჰყურებდნენ დაბლა უფსკრულში, მაგრამ მტვრის ბუღში ვერაფერი დაინახეს, აგორებული ქვების გრიალისა და ქვიშის ჩხრიალის გარდა ვერაფერი მოისმინეს. ასაკით უფროსმა ერთ ახალგაზრდას უთხრა:

– ყალი (ჭებერლოელთა დიალექტზე ნიშნავს ახალგაზრდას), ჩადი დაბლა და გაიგე, ცოცხალია თუ არა ლაბაზანი.

ახალგაზრდა ჭიუხებს ჩაჰყვა, მიაგნო კლდეებში ჩაჩეხილ ლაბაზანსა და მის ბედაურს. მაღლიდან უყვირიან:

– ყალი, როგორ არის ლაბაზანი, დაჭრილია?

– კი, სისხლის ერთი-ორი წვეთია ცხვირიდან გამონადენი.

– სხვა რა სჭირს, სერიოზული ხომ არაფერია?

– არაფერი, მხოლოდ ხერხემალი აქვს დამსხვრეული, კისერიც მოტეხილია.

– ყალი, ხომ არ მოკვდა? („ვალამ ცა ვალინ“)

– ღმერთმანი, მოკვდა კიდეც („დეერ ვალა მა ვალინ“).

ქისტურ ენაზე ეს ანეკდოტი დიდი იუმორით არის შეზავებული და დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმ პერიოდში, როცა მეგობრები ლაბაზას ლაბაზანს ვეძახდით. მას ეს სულაც არ სწყინდა, იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული.

მიდამო მოვათვალიერეთ. სათიბში პანტა იდგა, 20-30 მეტრს ზემოთ ტყიანი გორი იწყებოდა, აღმოსავლეთით გვიმრით მოფენილი ვიწრო ზოლი ზედ ხევის პირზე, თხილისა და რცხილის მაღალ ბუჩქებთან წყდებოდა. სამხრეთით 60-70 მეტრით დაბლა გრძელი მწკრივი გასდევდა სათიბ ახოს თხილის მსხვილი ბუჩქებისა, რომლებიც ზოგან ერთმანეთისგან 10-15 მეტრით იყო დაშორებული, ზოგან კი ისე ახლოს იდგნენ, მათი ტოტები ერთმანეთში გადახლართულიყო.

დათვი ან ზემოდან, ტყიდან ჩამოვიდოდა პანტასთან, ან ხევიდან ამოვიდოდა. უფრო მოსალოდნელი იყო ხევის მხრიდან მოსვლა, რადგან გვიმრებში ბილიკის მაგვარი მიხვეულ-მოხვეული, ზიგზაგისებური სავალი ჩანდა. შევთანხმდით, რომ ხევის ნაპირიდან ოციოდე მეტრით და პანტიდან 50-60 მ. დაშორებით მდგარ დიდ, მრავალტოტიან ბუჩქთან მე ჩავსაფრდებოდი, ხოლო ჩემ გასწვრივ, რაღაც 20-30 მეტრში ასევე თხილის ბუჩქის ძირას ლაბო ჩასაფრდებოდა. ბლომად მოვაგროვე ხმელი გვიმრები, მოვიტანე და ბუჩქის ძირას გავფინე, რომ კარგად მოვწყობილიყავი ღამის სათევად. ლაბო ამისთვის არ გარჯილა, ისე იყო შეგუებული ღია ცისქვეშ ღამის თევას, რომ მგონი სახლში, ლოგინში კარგად ვერც ისვენებდა.

ყველაფერი გავთვალეთ, რომელ კუთხითაც უნდა წასულიყო დათვი პანტისკენ. ჩვენ ერთდროული სროლის შემთხვევაშიც ერთმანეთს ხელს არ შევუშლიდით და დაზღვეული ვიქნებოდით შემთხვევითობისგან, უსაფრთხოება ყოველმხრივ იყო დაცული.

ავედით ჩხათანაში. ლაბოს სიმამრი ომალოში აღმოჩნდა ჩასული, სამაგიეროდ სიდედრი ხადი გულთბილად დაგვხვდა და საჭმლის მზადებას შეუდგა. ლაბომ თევზები ამოალაგა ქურთუკის ჯიბეებიდან, გამოწელა, კარგად გამორეცხა ნაკადულში, რომელიც იქვე, ქოხის გვერდით ჩამოდიოდა. შემდეგ მონახა ბრტყელი, სწორი და თხელი სიპის ფილაქანი, კარგად გარეცხა და ცეცხლზე კეცივით შედგა. როცა კარგად გაცხელდა, კალმახი მწკრივად დაალაგა სიპზე, ხანგამოშვებით აბრუნებდა და ისე შეწვა. 10-15 წუთში თევზები ისე შეიბრაწნენ, სულ წითლად ელვარებდნენ.

სუფრას შემოვუსხედით. ლაბომ არაყიც შემოდგა, მაგრამ გვერდზე გადავდგი, რადგან ღამე სიფხიზლე გვმართებდა. კარგად დავნაყრდით, ჩამოვსხედით რუს პირზე ყორეზე და ვტკბებოდით ბუნების სილამაზით.

ლაბომ მითხრა, – ეხლავე მოვალო და ჭიქაურის მხარეს ტყისკენ წავიდა. გავყურებდი, სანამ ტყეს არ შეერია. არ მიკითხავს, თუ სად მიდიოდა, რადგან მივხვდი, რომ სიმამრის შენახული შაშხანის მოსატანად წავიდა. აჰმადი როცა ჩხათანიდან რამდენიმე ხნით მიდიოდა, თოფს სამალავში ინახავდა.

სანამ ლაბო დაბრუნდებოდა, ზურგჩანთიდან საკეცკონდახიანი ავტომატი ამოვიღე. ჩემი ავტომატი უნგრული ვარიანტისა იყო, ჩემი დისშვილის, დათო გორნაკაშვილის ნაჩუქარი. რკინის კონდახი გვერდზე ეკეცებოდა, სასხლეტის უკან არსებული სახელურის გარდა, მარცხენა ხელისთვის სახელური წინაც ჰქონდა, გაზის კამერის ქვეშ. ძალიან მოსახერხებელი იყო, მხარზე მიბჯენის გარეშეც შეძლებოდა სწრაფ სიტუაციაში სროლა, ორივე ხელით მტკიცედ კავდებოდა. კიდევ ერთი კარგი თვისება გააჩნდა: ისროდა სამ ვარიანტში: ერთჯერად,

სამჯერად და ჯერით. ზურგჩანთიდან ამოვიღე ელექტროფარანი და გაზის კამერაზე რეზინის ლენტით მივამაგრე, რომ ღამით სროლის დროს სამიზნე ობიექტი გამენათებინა.

მოვრჩი კიდეც მზადებას და ზემოდან ლაბოც გამოჩნდა ტილოში გახვეული თოფით. გვერდით ჩამომიჯდა, მოხსნა შაშხანაზე შემოხვეული ტილო, საკეტი გახსნა, გახედა ლულაში, სავაზნე კოლოფში ვაზნები ჩააწყო და ყორეზე მიაყუდა.

მზე იმ დღის უკანასკნელ სხივებს უგზავნიდა ჭიქაურისა და ნაქერალას მთის წვერებს, როცა ჩხათანიდან გავედით და ახოებს გავყევით დანიშნული ადგილისაკენ. ხევიდან რომ ამოვედით და ახოზე გავედით, სადაც პანტა იდგა, უკვე საღამოს ბინდბუნდი დგებოდა. უხმოდ გავემართეთ ჩვენ ჩვენი ადგილისკენ, შევედით თხილის ბუჩქის ქვეშ, სადაც უკვე სიბნელეს დაესადგურებინა. უხმაუროდ მოვკალათდით ადგილებზე, ბუჩქის ქვეშ ერთმანეთს ვერც ვხედავდით, მაგრამ თითოეულმა ვიცოდით, სად იჯდა მეორე.

მოხერხებულად მოვკალათდი. ხმელ გვიმრებზე ვიჯექი და ზურგით თხილის ბუჩქის ძირს ვეყრდნობოდი. ვიცოდი, რომ ერთ ადგილას ფეხებგაშლილი ან მოკეცილი დიდხანს ჯდომა ძნელი იყო, ამიტომ შემაღლებული ადგილი მქონდა შერჩეული, რომ ფეხების გაშლა და აკეცვა მოსახერხებელი ყოფილიყო.

როგორც მთაში ხდება ხოლმე, უცბად ჩამობნელდა. ფრინველების ჟივჟივიც თანდათან მიწყნარდა. მთის ტყეებში, ვგულისხმობ პანკისის ხეობის სათავე ტყის მასივებს, ფრინველი ძალიან ცოტა არის, შაშვის, კაჭკაჭის, ჩხიკვის, ჩხართვისა და წიფლის ჩიტების გარდა სხვა ფრინველი არ ბუდობს. მაღლა, ალპურ ზონაში, შურთხი გვხვდება, იშვიათად კაკაბი. ამიტომ როგორც კი დაბნელდება, ტყეში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. მდუმარებას ხანდახან აქა-იქ შაშვის ჭახჭახი და კაჭკაჭის ჩხავილი არღვევს. ბარის ტყეებში ფრინველთა კონცერტი თითქმის შუაღამემდე გრძელდება, ყველა ფრინველი თავისებურად გალობს, თითქოს ხმათა ქაოსია, მაგრამ თუ ყურადღებით მოუსმენს კაცი, შენიშნავს მწყობრ მელოდიას.

ფრინველთა ასეთი გალობა მონადირეს არწმუნებს, რომ ირგვლივ ნადირი არ მოძრაობს. როგორც კი გამოჩნდება სიახლოვეს ნადირი, განსაკუთრებით მტაცებელი მხეცი, მაშინვე საგანგაშო ნოტები გაჟღერდება ხოლმე მათ აწყობილ სიმღერაში. ასევე, როცა ყველა მიჩუმებულია, ღამის მოსვენებაში არიან, მტაცებელის გამოჩენისთანავე ერთ განგაშს ასტეხენ და მონადირეც გაფრთხილებულია.

როგორც კი სიბნელე ჩამოწვა, ფრინველები დადუმდნენ და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მალე ცაზე ვარსკვლავები აციაფდნენ, ცის ნათელ ფონზე ტყის ზოლი გამოიკვეთა, თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს და შიშველი ახოც შესამჩნევი გახდა. რაც მთავარია, ახოში მარტო მდგარი პანტის ხე კარგად ჩანდა, მაგრამ გაბარჯღული და ნაყოფით დატვირთული ტოტების გამო ქვეშ ბნელოდა. დაკვირვებით ვიცქირებოდი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ დათვის შენიშვნა შესაძლებელი იქნებოდა მის მიერ გამოწვეული ხმაურის შედეგად, მაგრამ ისიც ვიცოდი, როგორ უხმაუროდ მოძრაობდა.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. საფარში მჯდომ მონადირეს ჰგონია, რომ დრო სვლას ანელებს, გარემოს მიმართ გრძნობები ძალზეა გამძაფრებული, ნერვები დაძაბული და ხშირად საათზე იყურება. ამ დროს სჯობია, მოგონებებს მისცეს თავი, ოღონდ ისე, რომ სიფხიზლე არ მოუდუნდეს. როცა საფარში მჯდომს გააჩნია ფანტაზიის უნარი, უყვარს ბუნება თუ მასზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გაკეთებაც ძალუძს, ლოდინი არც თუ ისე ძნელი ხდება. უბრალო გაფაჩუნებაც კი აფხიზლებს მონადირეს, რომელიც სმენას ამახვილებს, ცდილობს, გაარკვიოს, რა მოძრაობს, რა მიმართულებით, კურდღელია თუ კვერნა? თუ უბრალოდ თაგვმა გაირბინა? თხილის ბუჩქებში თაგვი რომ ბუდობს, სიახლე არ არის, შეიძლება ფეხზეც აგაცოცდეს.

ერთ ადგილზე ჯდომა დამღლელია, ფეხები ბუჟდება, აუცილებელი ხდება პოზის შეცვლა, ფეხების გაშლა ან მოკეცვა. ეს სიფრთხილით უნდა გაკეთდეს, ხმაურის გარეშე. როგორც მე და ლაბო ვაკვირდებით პანტის ხეს და მის გარშემო ადგილს,

ასევე აკვირდება დათუნიაც, რომელიც ზვერავს მიდამოს, მხედველობას ყნოსვას ახმარებს და მხოლოდ მაშინ მიუახლოვდება, როცა დარწმუნებულია უსაფრთხოებაში.

ჩემი ვარაუდით, ვახშმობა დიდი ხნის გადასული იქნებოდა, როცა აღმოსავლეთით, ჭიქაურის ქედიდან დაწყებული, ნაქერალას ქედამდე გაჭიმული, რკალისებური ქედის ცერზე ნათება დაიწყო. ჯერ ქედის უკან ცის გუმბათის საყრდენი განათდა, შემდეგ თანდათან მაღლა წამოვიდა ნათება და ცის სფეროს აღმოსავლეთი გაანათა, მერე და მერე მთვარის წვერმა ამოყო თავი ქედზე. ძალიან ლამაზი იყო მთვარის ამოსვლა, მაგრამ მისით ტკბობას ხელს მიშლიდა ჩემი სათვალთვალო ობიექტისადმი ყურადღება. მართალია, ხშირად მოვწყვეტდი ხოლმე თვალს მთვარის ამოსვლას, მაგრამ ეს პროცესი მთლიანობაში არ გამომპარვია და მასზე დაკვირვება დათვის ლოდინს მიადვილებდა.

10-20 წუთში მთვარემ გაანათა იქაურობა. ახლა უკვე ნათლად გამოჩნდა მიდამო და თვალთვალი გაადვილდა. უპირველეს ყოვლისა, დეტალურად დავათვალიერე პანტის ხე, რომელიც მთვარის სინათლეზე ვერცხლისფრად შეფერადდა, ნელ ნიავზე მწვანე და მოწითალო ფოთლების ლივლივი ვერცხლისფერ ფონზე ხეს ჯადოსნურ იერს აძლევდა. ისე კარგად ჩანდა ხე, რომ მასზე დათვს კი არა, ძერასაც შეამჩნევდა მონადირის მახვილი თვალი.

მთვარის შუქზე ლოდინი ასატანი გახდა. სადღაც შაშვმა გაიფრთხიალა, მას ჩხიკვიც გამოეხმაურა, ალბათ, ერთმანეთს მიულოცეს მთვარის ამოსვლა. ორიოდე წუთში ტყემ თითქოს გაიღვიძა, მაგრამ მალე ისევ ძილს მისცა თავი, კვლავ მდუმარებამ დაისადგურა ირგვლივ.

დიდხანს ვიჯექი გაუნძრევლად. ჩემი ბუჩქის პარალელურ ბუჩქის ძირში ლაბოს სილუეტს ვარჩევდი, უძრავად იჯდა, ინდიელი მონადირის მოთმინებით უცდიდა დათვს. უკვე მოთმინების ძაფი მიწყდებოდა, ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ლოდინს აზრი არ ჰქონდა, დათვი არ აპირებდა ამაღამ პანტის სტუმრობას, მან ახალი საკვები აღმოაჩინა, ან ჩვენ აღმოგვაჩინა.

მართალია, ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გაეგო ჩვენი იქ ყოფნა. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ტყის მეფე ეშმაკი მხეცი იყო. ეტყობა, მისთვის ცნობილი მეთოდებით იგრძნო საშიშროება, ინტუიციით მიხვდა, რაც ელოდა. ინტუიცია კი ნადირს ძალზე განვითარებული აქვს.

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა შევნიშნე, როგორ წამოდგა ლაბო, მუხლებში გაიშალა, დაბუჟული ფეხები აამოძრავა, ჩემკენ გამოიხედა და დახშული ხმით დაიძახა:

– მოვდივარ.

მეც წამოვდექი, შვებით ამოვისუნთქე, მოსაბეზრებელ ლოდინს ბოლო მოეღო. კარგად ჩავწვდი ამხანაგის ნებისყოფას, რომელმაც ჩემი გულისთვის გაათენა ღამე უხერხულ მდგომარეობაში. მე ისიც ვიცოდი, თოფს არ ესროდა ნადირს, ტაბუს მდგომარეობაში იყო. თოფი იმიტომ წამოიღო და თავადაც იმიტომ გამომყვა სახუნდარში, დაეცვა ჩემი უსაფრთხოება. დათვთან შეხვედრა არ იყო უსაფრთხო. თუნდაც სახუნდარიდან გესროლა, დაზღვეული არ ხარ, როგორ მოიქცევა დაჭრილი. არც ის იცი, რომელი მხრიდან მოგიახლოვდება, ძალიან ეშმაკი ცხოველია.

კიდევ ერთხელ შევათვალიერეთ პანტის ხე და ჩხათანისკენ გავწიეთ. სიარული არ ჭირდა, მთვარის შუქზე ბილიკი ნათლად ჩანდა, ერთ საათში სოფელში ვიყავით. გარეთ, ფარდულის ქვეშ მოწნული ტახტი გაეკეთებინა ბინის პატრონს, ზედ ქვეშაგები ეფინა და ნაბადი იყო გადაფარებული. ყურადღება არ მიმიქცევია, ლაბო სად დაიძინებდა, მას სადმე მოკუნტულსაც შეეძლო მშვიდი ძილი. ნაბადი დავიფარე, პირაღმა დავწექი და ფეხები გავშალე მთელ სიგრძეზე; ხელები თავქვეშ, კეფაზე შემოვიწყე და მთვარის შუქით განათებულ ნაქერალას მთას შევაცქერდი. ვერც კი გავიგე, როგორ ჩამეძინა. დილით საქონლის ბღავილზე რომ გამეღვიძა, იმავე პოზაში ვიწექი, ხელები დამბუჟებოდა. გვერდი ვიცვალე, მესმოდა, ჩვენი დიასახლისი წველის დროს როგორ ეფერებოდა საქონელს და რძის ჩხრიალში კვლავ ჩამეძინა.

მეორედ როცა გავიღვიძე, შუადღე მოახლოებული იყო. ლაბო დილიდანვე ფეხზე ყოფილა, უძილობას შეჩვეული კაცი იყო. მეცხვარეს, საერთოდ, ცოტა სძინავს, რადგან ღამე თეოზე ფხიზლად ყოფნა უწევს: ცხვარს ხან ნადირი უტევს, ხან აიშლება ხოლმე და დამფრთხალი გარბის. როცა ავდარი კვირაობით გრძელდება, სველი ტანსაცმლით სველ ნაბადში გახვეულს მშვიდი ძილი როდი აქვს. ჩვენ სწრაფად ვისაუზმეთ და დიდგვერდისაკენ გავწიეთ.

დიდგვერდში საცხენოსნო მარშრუტით ავედით: მთა ჭიქაური – ჭიქაურის ხორხი – დიდგვერდის ტბა – ბათიგ ნაჟდარ (ბათაკას ბინა) – ჭოჭ ნაჟდარ (ხორხის ბინა) – ჯამიეს ნადგომი. ბათიგას ნაბინავარი კლდიანი ფერდობის ძირში, შეერ ბოსიეს ქედის ჩრდილო ფერდობის დასაწყისში მდებარეობდა, ხოლო ხორხის ბინა – მის დაბლა, დიდ ხევში. ხორხში, როგორც გადმოგვცემენ, ადრე, ქისტების პანკისში გადმოსახლებისას ლეკები ცხვარს აძოვებდნენ, რომლებთანაც ქისტებს მოუხდათ შეტაკება. ქისტებმა ლეკები გააძევეს ამ მთებიდან და თავად დამკვიდრდნენ. ლეკების ალაზნისა და მახვალის სათავე აუზებში ყოფნაზე მიუთითებს ისეთი ტოპონიმებიც, როგორიცაა: „ლეკუანი“, „ლეკთ ვაკე“, „თათრის ნაბინავარი“ და სხვ.

ჯამიეს ნადგომში დუისელი ძმები ქავთარაშვილები იდგნენ. ახალგაზრდებს მეურნეობის ცხვრის ერთი ფარა იჯარით ჰყავდა აღებული და პატარა დიდგვერდში გაატარეს ზაფხული. დიდი ქოხი ჰქონდათ, გულთბილად მიგვიღეს, საკლავი დაკლეს და გაგვიმასპინძლდნენ. მე სუფრაზე დიდხანს არ დავრჩი, ვიცოდი, დილით ადრე ადგომა გამიჭირდებოდა და ამიტომ ყველის შესანახ ქოხში გავედი, ნაბადში გავეხვიე და დავიძინე.

დილაუთენია ავდექი. ბიჭებს ეძინათ, ეტყობოდათ, გვიან ღამემდე შეჰყვნენ ქეიფს. არავინ გამიღვიძებია, ჯერ კიდევ აულაგებელი სუფრიდან ავიღე პური და ყველის ნაჭერი, ჯიბეში ჩავიდე, ავტომატი გადავიკიდე და ნაცნობი სერისკენ გავწიე. წყაროზე ხელ-პირი დავიბანე, გზადაგზა რამდენიმე დუცი მოვგლიჯე, ერთი გავფცქვენი, ძარღვებისაგან გავათავისუფლე და ჭამა-ჭამით გავაგრძელე გზა.

სათვალთვალო სერზე დავჯექი და პანკისს ჩავხედე. ხეობა თეთრი ბურუსით იყო მოცული, ყოველ შემთხვევაში, აქედან ასე ჩანდა დილის ნისლში გახვეული. კარგა ხანს ვიჯექი სერზე. დილის სუფთა გრილი ნიავი ქვევიდან უბერავდა, ეს კარგი იყო, თუკი ნადირი შემხვდებოდა შეერ ბოსიედან დაქანებული ქედე-ბის ფერდობებზე, ჩემს სუნს ვერ იგრძნობდნენ.

დეტალურად ვათვალიერებდი დაბლა გაშლილ ადგილებს, სადაც თვალი მიმიწვდებოდა, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი შევნიშნე. ის იყო, ადგომასა და დაშვებას ვაპირებდი ცხვრის ალხაჯისკენ, რომელიც დიდი მუჟის გზაზე მდებარეობდა, რომ მეჩხერი ტყის პირზე რაღაც მოძრაობა შევნიშნე. დავაკვირდი ამ საგანს, შევამჩნიე ნადირის მრგვალი მოყვანილობა. ამ მხა-რეში არჩვები ბუდობდნენ, ჯიხვი აქ არასდროს შემინიშნავს, ისინი გაღმა სპეროზის მიუვალ კლდეებში დადიოდნენ ჯოგე-ბად. როცა დღის სინათლემ იმძლავრა, დავინახე, რომ ჩემ მი-ერ აღმოჩენილმა ნადირმა გადაინაცვლა, ნორჩი ბალახი მოწიწ-კნა, მერე თავი მაღლა ასწია და ირგვლივ მიმოიხედა; კვლავ ჩაღუნა თავი და რომელიღაც ჯიშის ბუჩქს ნორჩი ყლორტი მოსწყვიტა. ახლა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არჩვი (ფსიტი) იყო, მისი ლამაზი მოღუნული პატარა რქები კარგად გავარჩიე. პირველად ფერი მეუცხოვა, მოშავო-მოწითალო ბეწვი გადაჰკ-რავდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ შემოდგომიდან არჩვი ახა-ლი, მოშავო საზამთრო ბეწვით იწყებდა შემოსვას.

ვუყურებდი არჩვის მოძრაობას და გეგმას ვადგენდი, თუ როგორ უნდა მივპარვოდი ნადირს. არჩვი აშკარად სამხრეთის-კენ მოძრაობდა, ამ ტემპით ძოვა-ძოვით თუ განაგრძობდა სვლას, 20-30 წუთი დასჭირდებოდა, სანამ ქედის სერზე გავი-დოდა. რადგან ნიავი სამხრეთიდან უბერავდა, გადავწყვიტე, მაღლა, დეკიანის გასწვრივ გადამესწრო მისთვის, შემდეგ ცერს იქიდან ხევს ჩავყვებოდი იქამდე, სადაც, სავარაუდოდ, უნდა გამოსულიყო არჩვი და იქ ჩავსაფრდებოდი.

სწრაფად დავეშვი დაბლა. აქედან არჩვი ვერ დამინახავდა, ამისათვის ის 90 გრადუსით უნდა შემობრუნებულიყო და აღმა

ფერდობი შეეთვალიერებინა. ამოცანას ისიც მიადვილებდა, რომ როგორც დაკვირვებამ მიჩვენა, არჩვი მარტოხელა ვაცი იყო, ჯოგისგან ცალკე ცხოვრობდა და ამდენად უსაფრთხოებაზე მხოლოდ თავად ზრუნავდა.

ხევში ჩავედი. პატარა რუ მოწანწკარებდა ზემოდან, ბილიკი ზემოდან გადმოკიდებული დეკის ბუჩქების ქვეშ გადიოდა ალხაჯისკენ. ინსტიქტურად შემოვბრუნდი და აღმა ფერდობს შევხედე, გამახსენდა, შარშან ზაფხულში როგორ შევნიშნე მაღლა კლდის ქიმზე გადმომდგარი არჩვი. მაშინ „გეკო“, მცირეყალიბიანი შაშხანა მქონდა; ჩავჯექი, ჯიბიდან ვაზნების კოლოფი ამოვიღე, გავხსენი და გვერდით დავიდგი, რომ შაშხანის გადატენვა სწრაფად შემძლებოდა. არჩვი კლდის ქიმზე იდგა და ინტერესით მათვალიერებდა. ჩამჯდარ-ჩაკუზულს ადამიანის ფიგურად ვერ აღმიქვამდა და დინჯად იდგა. თავში დავუმიზნე და ვესროლე. პატარა თავი აქვს არჩვს, თან მიყურებდა და ვიწრო სახეში 250-300 მეტრში მორტყმა იოლი არ იყო. მოგეხსენებათ, „გეკოს“ გასროლის ხმა დაბალია, შოლტის გატყლაშუნებას გავს. პირველ გასროლაზე თავი გაიქნია მხოლოდ, ალბათ, ტყვიის ზუზუნი აბეზარ ბუზად თუ მიიჩნია. სწრაფად გადავტენე და მეორედ ვესროლე. ამჯერად იკადრა გაქცევა. სწრაფად შებრუნდა და დიდი ნახტომებით აღმართში ავარდა. „გეკო“ გადავტენე და სწრაფი ნახტომებით აღმა მორბენალს ვესროლე. არჩვი მაშინვე 180 გრადუსით შემობრუნდა და ელვის სისწრაფით დაბლა დაეშვა პარალელური ხევისკენ. სანამ ცერს ჩაეფარებოდა, მეოთხედ მოვასწარი სროლა. არჩვი ცერს ჩაეფარა. წამოვხტი და აღმართი ავირბინე, ცერზე გადავდექი და მშრალ ხევს ჩავხედე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვარტყი. ისიც მქონდა გამოცდილი, რომ დამფრთხალი არჩვი მთის წვერისკენ გარბის და დაჭრის შემთხვევაში კი მკვეთრად ცვლის გეზს და დაღმა ეშვება.

დაკვირვებით დავცქეროდი ვიწრო მშრალ ხევს, რომლის ფერდობები ქუჩით იყო მოფენილი. მაღლა ავიხედე, დეკა ჭრელი ხალიჩასავით გადაფენოდა ფერდობებს, აქა-იქ ყვითლად შეფერადებული, მწვანე და ნარინჯის ფერებში გადადიოდა. ამ

დროს არჩვიც ეტანება ხოლმე დეკის ფოთლებს და ეტყობა, ჩემი არჩვიც ღამე შერჩა დეკიანს.

მაგრამ არჩვი არსად ჩანდა, არც სისხლის კვალი შემიმჩნევია. რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ დავჭერი, გადავწყვიტე, ხევს ჩავყოლოდი ტყემდე – იქნებ სადმე ბუჩქებს იყო შეფარებული. ამ ვარაუდს ის გარემოება მიმტკიცებდა, რომ მთის ნადირი არაჩვეულებრივად გამძლეა და საოცრად სიცოცხლისუნარიანი. თუ სასიცოცხლო ორგანო არ დაუზიანდა, დიდ მანძილზე გარბის. თანაც „გეკოს“ ტყვია ნადირის სხეულში ვიწრო ნაჩვრეტს აკეთებს, რომელიც შედედებული სისხლით ან ქონით იკეტება და სისხლის კვალს არ ტოვებს.

ყოველივე ეს გავიაზრე და მარტოხელა ვაცს ჩავყევი ხევში. ქვევით ბალახი, ბუერა და ჭინჭარი მაღლდებოდა, მათ ფოთლებს ვაკვირდებოდი, მაგრამ სისხლი არ შემინიშნავს. შევამჩნიე კი, რომ ზოგან, ორი-სამი მეტრის შუალედებში მცენარეები იყო გადაჭეჭყილი, რაც არჩვის ნახტომებით იყო გამოწვეული. მქონდა რა გამოცდილება, თუ როგორ კამარას აკეთებდა დაჭრილი ნადირი, აზარტში შევედი. ჩავყევი დაქანებულ ხევსს თუ ხშირ ბუჩქებს და ტყეში შევყავი თავი. აქ კი დაიწყო ჩემი წამება: დაღმა დაქანებული ვხტებოდი ბარდებში გახვეულ წაქცეულ და დამპალ ხეთა მორებზე, ვიწრო ხევში ხორად დაყრილ ჩამპალ და აყროლებულ ხელეწილში, წაქცევის დროს სახესა და ხელებს მისუსხავდა ჭინჭარი, ეკალბარდები და ბუსუსებიანი გვიმრები. ოფლში გაღვრილ სახეზე მეწებებოდა ათასი წვრილი, თვალით ძლივს შესამჩნევი, კოღოზე უარესი მუმლი, კოღო ხომ ბღუჯა-ბღუჯად მეხვეოდა. ლეშხისგან (მცენარეთა ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები) წელს ქვემოთ მთლად სველი ვიყავი.

ერთი სიტყვით, ისე გავიტანჯე, რომ არჩვი, საერთოდ, გადამავიწყდა და ახლა იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეღწია თავი ამ ჯოჯოხეთისთვის. უკან აღმართის ავლა გამოვრიცხე, ყველა ეს უბედურება აღმა სიარულის დროს ზედ ცხვირწინ ამესვეტებოდა და თავბედს მაწყევლინებდა. ამიტომ გადავ-

წყვიტე, როგორმე სპეროზასკენ მიმავალ ბილიკზე გავსულიყავი, რომელიც იმ ცერს ჩამოუყვებოდა, ჯამიეს ნადგომიდან რომ იწყებოდა. დიდის ვაი-ვაგლახით მივაღწიე ბილიკამდე, წიფლის ხის ქვეშ ჩრდილში დავისვენე და აღმა შევყევი ქედს.

ყველაფერმა ამან რაღაც წამებში გამიელვა თვალწინ და სწრაფად გავწიე წინ, აქედან არჩვს უკვე ვეღარ ვხედავდი. ალხაჯის თავზე გავიარე, გადავედი ცერს იქით და ფერდობს ჩავყევი. როცა ვივარაუდე, რომ იმ ადგილს ჩავუსწორდი, სადაც მარტოხელა ვაცი ძოვდა, ფერდობს ამოვყევი და ცერის თხემს ფრთხილად მივუახლოვდი, ბალახებში თავი გავყავი და შევათვალიერე მიდამო. ტყე მეჩხერი იყო, შორიდან შევნიშნავდი ნადირს. არჩვი არ ჩანდა, ამას არ შევუწუხებივარ, ვფიქრობდი, რომ ასე მალე ვერც მოასწრებდა ტყიდან გამოსვლას, ის ხომ ნელა მოძრაობდა. ამიტომ დამშვიდებული ვიწექი, აჩქარებულ სუნთქვას ვანელებდი, ავტომატი მომარჯვებული მქონდა და ველოდი ვაცის გამოჩენას.

დრო გადიოდა. ნადირი არ ჩანდა. ძალიან შევშფოთდი – ნუთუ შემნიშნა, ფერდობზე რომ ჩამოვრბოდი? მე ხომ ცალი თვალით ვუყურებდი, ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ. მაშ რა მოხდა, სად გადაიკარგა? იქნებ მიმართულება შეცვალა? ან გაძღა, დაწვა და იცოხნება სადმე ხის ჩრდილში?

ათასი კითხვა მიტრიალებდა თავში. წამოვდექი და ფრთხილად წაკუზულმა გავწიე არჩვის მიმართულებით. ძალიან ნელა მივიწევდი წინ, ველოდი, აი, ეხლა წავაწყდები-მეთქი, ავტომატი სამჯერად სროლაზე მქონდა დაყენებული და მზად ვიყავი სროლისათვის. თითქმის მივაღწიე იმ ადგილამდე, სადაც პირველად შევნიშნე ნადირი. ადგილი ვიცანი, როცა ვაკვირდებოდი არჩვს, გარშემო ხეები და ადგილმდებარეობა დავიმახსოვრე. პირღია ვიდექი, ვათვალიერებდი მიდამოს და უკმაყოფილების გრძნობამ მოიცვა ჩემი არსება. წარმოიდგინეთ, იმ მომენტში თავს მოტყუებულად ვგრძნობდი და გაბრაზებული ვიყავი მარტოხელა ვაცზე, რომელმაც შესახვედრად წამოსვლაც არ ინება და არც ადგილზე დარჩა. ერთი სიტყვით, უარი თქვა

ჩემთან შეხვედრაზე. მერე კი მეცინებოდა ჩემს პრეტენზიაზე, მაგრამ მაშინ, მართლა, გაბრაზებული ვიყავი.

ჩავჯექი და ჩავფიქრდი. ავწონ-დავწონე მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ არჩვმა ჩემზე ადრე გადაჭრა ცერი. მაშინვე წამოვხტი და უკან გამოვიქეცი, გადავედი ცერზე და ხევს გაღმა ცერის ფერდობს ავყევი. ამ ცერს ნელა მივუახლოვდი და ფრთხილად გავხედე გაღმა. ამ ცერის პარალელურად მეორე ქედი ეშვებოდა მაღლიდან, ამ ორივე ცერის ფერდობები დავათვალიერე, არჩვი არ იყო. გადავედი მეორე ცერზე, ფრთხილად დავზვერე. აქაც სიცარიელე იყო. გადავედი მორიგ ცერზე, მაგრამ იქაც არაფერი შემინიშნავს.

მივხვდი, რომ არჩვი დავკარგე, მასთან შეხვედრის იმედი გადამეწურა, მორიგი ცერი კი შევათვალიერე, მაგრამ იქით არც გადამიხედია, ჩამოვჯექი, ავტომატის რკინის კონდახი დავკეცე, დამცველზე დავაყენე და გვერდზე დავდე. იმედგაცრუებული ვიყავი, გადავწყვიტე, უკან გავბრუნებულიყავი. ეს გადაწყვეტილება იმანაც განაპირობა, რომ ტყიდან გამოსვლის დროს უკან მოვიხედე და დავინახე მაღლა ამომავალი მზის სხივებზე სამზერ სერზე სამნი ისხდნენ გვრიტებივით და ქვევით იყურებოდნენ. ვიფიქრე, უკან გავბრუნდები და ლაბოსთან ერთად სალოცავი ქედის („წეე დუყ“) დასავლეთის კლდიან ფერდობებზე გადავიდოდი სანადიროდ.

წამოვდექი და ქედის ცერისკენ წავედი. ვიფიქრე, – სერს ავყვები და ზევიდან გადავალ ჯამიეს ნადგომისკენ-მეთქი. გავედი ცერზე თუ არა, ხევიდან ხრიალით ავარდა არჩვი, პატარა გორის თხემზე მოექცა, შემობრუნდა და შემომხედა. მაშინვე ჩავჯექი, ავტომატი სწრაფად ჩამოვხსენი, ხელის გამოკვრით კონდახი გავშალე, ერთდროულად დამცველიც მოვხსენი და შევმართე ვაცისკენ. მისი მოწყვეტა ადგილიდან და გასროლა ერთდროულად მოხდა. ვაცი არჩვი აღმართზე გაქანდა, მეორედ მივუშვი სამჯერადი. ვაცი მკვეთრად შემობრუნდა და თავქვე დაეშვა. სანამ გორს ჩაეფარებოდა, მესამედაც მოვასწარი სროლა.

სწრაფად ჩავირბინე ცერი, გორის თხემზე მოვექეცი და ხევს ჩავხედე. არჩვი არ ჩანდა. ხევი ვიწრო იყო, პატარა ნაკადული მიჰყვებოდა ხევს, მისი კალაპოტი შავად ჩანდა. სიპი სისველეზე შავდება, წითელმა ნაშალმაც იცის წვიმის დროს გაშავება. ნაკადულის ორივე ნაპირი მცენარეებით იყო მოფენილი. შორს, დაბლა ჩირგვნარი, ბუჩქნარი და ტყე იწყებოდა.

ყველგან, სადაც თვალი მიმიწვდებოდა გარშემო, დეტალურად დავათვალიერე, მაგრამ არჩვის ნიშანწყალი არ იყო. ყველაზე დიდ სინანულს მონადირე მაშინ განიცდის, როცა სამიზნე ახლოა, ნათელია, კარგად უმიზნებ და ვერ მოარტყამ. მე, პირადად, დარდი მიპყრობს. ახლაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვარტყი, აცდენის შემთხვევაში არჩვი ზევით განაგრძობდა სირბილს. მაგრამ ფაქტი სახეზე იყო: არჩვი არც მკვდარი და არც დაჭრილი არსად არ იყო.

დავფიქრდი. იარაღს შევხედე. AKC-ის სისტემის კალაშნიკოვის ავტომატის ყალიბი არის 5,45. ის თითქმის უახლოვდება „გეკოს“ ყალიბს, ანალოგიურ კვალს ტოვებს ცხოველის ტანზე, როგორც „გეკოს“ ტყვია. ვიწრო ხვრელით შედის სხეულში და არც გამოსვლის ადგილს აფართოებს, როგორც სხვა სახის თოფების ტყვია. ამიტომ გავიფიქრე, რომ არჩვი დაჭრილიც შორს წავიდოდა, სანამ სისხლისგან დაიცლებოდა. შარშანდელივით უშედეგოდ მომიწევდა მისი ძებნა, რაც უაზრობა იყო, რადგან შეიძლებოდა, დაჭრილი ვაცი შორს წასულიყო, სადმე მიუვალ და მიუგნებელ ადგილას ჩაწოლილიყო და იწვებოდა მანამდე, სანამ სიკვდილი არ მიეწეოდა; ან მსუბუქად დაჭრის შემთხვევაში გამოჯანმრთელდებოდა. ვიცოდი, რომ მონადირის წესის მიხედვით, უნდა მედევნა დაჭრილი ნადირისთვის და მისი ტანჯვისათვის ბოლო მომეღო, მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, მართლა დავჭერი თუ არა არჩვი. სრულიად შესაძლებელია, ტყვიებმა წინ გაუზუზუნა, ამიტომ მკვეთრად შემობრუნდა და ქვევით დაეშვა. ყველა მხეცი ხომ ერთნაირად არ იქცევა ერთსა და იმავე სიტუაციაში.

შემოვბრუნდი უკან დასაბრუნებლად და სრულიად გაუცნობიერებლად გადავხედე ხევს. უცბად ჩემმა უმიზნო მზერამ რაღაც მოძრაობა დააფიქსირა.

დავაკვირდი და, დავინახე ნაკადულში თავქვე გაშხლართული არჩვი. მან ერთხელ კიდევ უკანასკნელად გაიქნია ფეხი. სწრაფად ჩავირბინე, ჩავსრიალდი ფერდობზე, რქებში ხელი ჩავავლე, თავი ზევით მოვაქციე, სამხრეთისკენ, ყიბლისკენ (წმინდა ქალაქ მექისკენ) შევაბრუნე, სარიტუალო ფორმულა წარმოვთქვი („ბისმილაჰ...“ – სახელითა ალაჰისა) და ყელი გამოვჭერი. კარგა მოსული ვაცი აღმოჩნდა, ჩამრგვალებული, 30-35 კგ. იქნებოდა, მოშავო წაბლისფერი ბეწვით იყო შემოსილი.

არსად მეჩქარებოდა, საუზმის დრო („მერთ ხა“) იქნებოდა. ამიტომ აუჩქარებლად შევუდექი დასერვას და უცბად გამახსენდა სერზე გვრიტებივით ჩამომსხდარი ბიჭები. ისინი, რა თქმა უნდა, სროლის ხმას გაიგონებდნენ, მთაში შორს მიდის ხმა, რადგან ირგვლივ სიჩუმეა, მის გავრცობას არაფერი უშლის ხელს. ვიფიქრე, ისევ იქ იქნებიან, ვანიშნებ, წამოვლენ და მომეხმარებიან გატყავებასა და ზიდვაში-მეთქი.

არჩვს ბუერას ფოთლები მივაყარე, სწრაფად ავედი ცერზე, გავედი მეორე სერზე და გავხედე ჯამიეს ნადგომის ქედის სერს. მხოლოდ ერთი იჯდა და შევატყე, რომ აქეთ იცქირებოდა. ქუდი მოვიხადე და ქნევა დავუწყე, მაგრამ ის უძრავად იჯდა. მაშინ მხრიდან ავტომატი ჩამოვხსენი, ერთჯერადზე დავაყენე და ვისროლე.

ბიჭი წამოხტა და როცა ავტომატის ქნევა დავიწყე, შენიშნა და სირბილით დაეშვა ფერდობზე. მე დავჯექი და დაველოდე, ვხედავდი, როგორ სწრაფად მოდიოდა, ძუნძულით გადმოჭრა ფერდობები და სერს ჩამოეფარა. მე ვიჯექი და ველოდი, ვიცოდი, ზუსტად მომადგებოდა, მწყემსებს ძალიან აქვთ განვითარებული ორიენტაციის უნარი.

მართლაც, მალე გამოჩნდა და აქოშინებულმა მითხრა:

– დათვია, ხომ? ხშირად გვაწუხებს ოხერი!

– არა, მასარია, ბოაგ (ვაცი).

– ეგეც კარგია, სად არის?

წამოვდექი და წინ გავუძეხი. მწყემსი ახალგაზრდა იყო, დუ-ისელი, მაშინვე ეძგერა არჩვს და გატყავება დაუწყო. ისე სწრა-ფად და ქირურგული სიზუსტით სერავდა და აძრობდა ტყავს, რომ შურით შევცქეროდი. აქვე აღვნიშნავ, რომ ნადირის ტყავ-ისგან გათავისუფლება უფრო ძნელია, ვიდრე თხისა ან ცხვრი-სა, რადგან ნადირი მარილს არ იღებს. რაღაც 20-25 წუთში შემოატყავა, გამოშიგნა, ხორცი კვლავ ტყავში ჩააბრუნა, წამოიკიდა და მითხრა:

– შენ თავი წამოიღე, მე წინ წავალ.

ისე სწრაფად მიდიოდა, ძლივს ვეწეოდი და როცა ცხვრის ალხაჯს გავცდით, ჩვენ შორის მანძილი გაიზარდა, ხოლო როდესაც ხევს გავცდით და აღმართს შევუდექით, მას უკვე ვე-ღარ ვხედავდი. მთელ ძალ-ღონეს ვძაბავდი, რომ ძალზე არ ჩა-მოვრჩენილიყავი, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

როცა ბინაში მივედი, მწყემსს არჩვი ქოხში კავზე ჩამოეკი-და და ზედ მარლა შემოეხვია, რომ ბუზი არ დაჯდომოდა. თა-ვად ჩხაზე ჩამოეკიდა ნანადირევის ჯიგარი, იქვე ქვაბი იდგა, ნაჭრებს ჭრიდა და ქვაბში ყრიდა. ყოჩაღი ბიჭი აღმოჩნდა, ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ მამამისს, ცხვრის ბრიგადირ რამაზს კარგად ვიცნობდი – ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე კაცი იყო. ეს მწყემსი მისი უმცროსი ვაჟი იყო, სახელი არ მახსოვს, ზედმეტსახელად „ავარას“ ეძახდნენ, ნაადრევად წავი-და ამ ქვეყნიდან, ავარიაში მოჰყვა და დაიღუპა, ალაჰმა აცხო-ნოს მისი სული.

ლაბო და ბიჭები აღმა ასულან სანადიროდ, დეკიანში შეუ-ნიშნავთ არჩვები. თოფის ხმაც გავიგონეო, – მითხრა მწყემსმა, თან საქმეს განაგრძობდა. მიხმარება ვცადე და ახლოს არ გამი-კარა: შენ დაისვენე, მასპინძელი მე ვარ და ეს საქმეც შენზე უკეთ მეხერხებაო. მართალი იყო, იქვე ცხვრის საწველი კასრი პირქვე დავდე, დავჯექი და ვუყურებდი ხელმარჯვე ახალგაზრდას.

ზევიდან ხმაური მოისმა, ავხედეთ და დავინახე ლაბო და კიდევ ორნი მოდიოდნენ თავქვე, ერთს მხარზე მოკლული ფსი-

ტი მოეგდო და ამაყად მოაბიჯებდა. როცა მოგვიახლოვდნენ, შევნიშნე, რომ დედალი არჩვი მოეკლათ, მსუქანიც არ აღმოჩნდა, როცა ტყავიდან ამოიღეს, შევათვალიერე. ტანითაც მომცრო იყო, მაგრამ გამიხარდა, ხელცარიელები რომ არ დაბრუნდნენ.

მეორე არჩვის შიგნეულიც დაუმატეს და მოამზადეს მეცხვარული ყაურმა. წუხანდელი საკლავის დარჩენილი ხორციც მოხარშეს, სამწვადეც გაამზადეს, სადილის მომზადებაში ყველა მონაწილეობდა ჩემ გარდა. როგორც უფროსს, პატივისცემით მეპყრობოდნენ, ქოხის ჩრდილში ნაბადი გამიშალეს, მეც წამოვწექი და სიამოვნებით ვადევნებდი თვალს მათ საქმიანობას. სასიხარულო ისიც იყო, რომ დილით ბინის უფროსი ცხენებით მოდიოდა ბარში და თანამგზავრები ვიქნებოდით. იქვე შევთანხმდით, როგორც მონადირეთა წესია, ნანადირევს ოთხნი გავიყოფდით: მე და ლაბოს ჩემს მიერ მოკლული არჩვი მოგვაკუთვნეს, თავიანთი მოკლული თავად დაიტოვეს, სამართლიანი გადაწყვეტილება იყო.

მეორე დღეს შეერ ბოსიეს გავლით გავედით გაბედას ქედზე და დავეშვით ხორაჯოსკენ. სანამ დაცხებოდა, ალპური ზონა ჩავიარეთ და ტყეში ჩავედით. სასიამოვნო იყო ტყეში სიარული. ბილიკი წიფლის ხეების ჩრდილში მიიკლაკნებოდა ქვევით და ქვევით, ტყეც ზღაპრულად იყო მორთული შემოდგომის აჭრელებული სამოსით. გაზაფხულზე მთისკენ ხეები გვიან იფოთლება, ვიდრე ბარში. ბარიდან იწყებს ხეები ფოთლით შემოსვას და თანდათანობით ზევით, მთისკენ მიიწევს ეს პროცესი. სამაგიეროდ, შემოდგომაზე ხეთა ფოთლები აჭრელებას მთიდან იწყებს და ქვევით, ბარისკენ მიიწევს. ამიტომ აქ, სექტემბრის მიწურულს, წიფლის ხეებს შეყვითლებული, ჩალისფერი, თამბაქოსფერი, წითელი და სიმწვანე შერჩენილი ფოთლები ასხია. ტყეში შიგადაშიგ მოჩანს წაბლისა და ცაცხვის მუქი, სიყვითლე შეპარული ფოთლები, მზის სხივებზე ნელი ნიავის ქროლვაზე რომ ლაპლაპებენ. მუხის ფოთლები ოქროსფრად ბრწყინავენ, მუდამ მოცახცახე ვერხვის ვერცხლისფერი

ფოთლები თრთიან და იდუმალ იერს ანიჭებენ ტყეს, მაღლა, სწორად ცაში ატყორცნილ ტანწერწეტა წიფლის ხეებს ქვეშ კი თავისებურ ლანდშაფტს ქმნის იელისა და მოცვის ბუჩქები. იელი როცა ყვითლად ყვავის, საუცხოო სანახავია, თუმცა ვერაგი მცენარეა, საქონელს იტყუებს და მისი ფოთლებისა და ყვავილების დაგემოვნების შემდეგ საქონელი აღიგზნება, თვრება და ნახევრად გიჟდება.

ეს იყო ჩემი ბოლო მგზავრობა დიდგვერდში და ბოლო ნადირობაც, რომელიც სამუდამოდ დამრჩა მახსოვრობაში. შემდეგ ქისტმა მეცხვარეებმა თიანეთის მთებში გადაინაცვლეს, სადაც მანქანა მიდის; კლიმატიც რბილია; თოვლიც ადრე შრება და მეცხვარის მძიმე შრომა უფრო გაადვილებულია. ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ნათესავმა ვისერგი ქავთარაშვილმაც ივრის სათავეებში გადაინაცვლა და მეც, ასე ვთქვათ, მას გავყევი ივრის მთებში. იქ გავეცანი აქამდე ჩემთვის უცნობ მთებს და აღმოვაჩინე, რომ იქ ნადირიც ბლომად იყო და სასიარულოდ უფრო მოხერხებული გარემოც.

ზონადიროე დაბაკი

ლაბომ და მე სანადიროდ წასასვლელად დავიწყეთ მზადება და, როგორც ხშირად ხდებოდა, დილაუთენია გამგზავრების ნაცვლად – დუისიდან შუადღეს დავიძარით. მანქანა ძიბახევში, სარელას ეზოში დავაყენეთ და ფეხით გავუდექით გზას ხორაჯოსკენ. ხადორის გზას გავყევით, ხორაჯოს წყლის ალაზანთან შესართავის ქვემოთ ფონი მოვნახეთ, ალაზანში გავედით, ნაპირს ავყევით და შევუდექით ხორაჯოს ხევს.

წინასწარი გეგმის მიხედვით, საღამომდე უნდა ავსულიყავით ხაწეს ეხში, მაგრამ როცა სოფელ ხორაჯოს მივაღწიეთ, მზე დასავლეთისკენ კარგად იყო გადაწეული და მალე გორებს მიეფარებოდა. ლაბოს სურდა, ჩხათანაში ავსულიყავით, ღამე იქ გაგვეთენებინა და ჭიქაურის ხორხის გავლით გადავსულიყავით ხორაჯოს მთაზე, იქიდან კი ხაწეს ეხში გადავიდოდით. ჩემი ზარით, ამ გზით დიდი მანძილის გავლა მოგვიწევდა. რადგანაც ხაწეს ეხში ვაპირებდით ასვლას, სჯობდა, გაბედას ქედს ავყოლოდით და მოკლედ მოგვეჭრა გზა. თუ ჩემი გეგმით ვიხელმძღვანელებდით, ღამე ხორაჯოში უნდა გაგვეთენებინა. მე სამადასთან ერთად ადრეც ვიყავი ნამყოფი ამ ეხში და მაშინაც ღამე ხორაჯოში გავათენეთ; დილით ავყევით ხორაჯოს ქედს; ალპურ ზონაში, სადაც ხორაჯოელებს სათიბი ჰქონდათ, დასავლეთისკენ გადავუხვიეთ; სალოცავი ქედის ცერზე გავედით, ციცაბო, კლდიანი სერები გავიარეთ, ბოლოს,

მახვალის ჩანჩქერისკენ დაშვებულ ქედს ავყევით და ამ ქედის უნაგირს ქვემოთ მდებარე ეხს მივადექით.

ხორაჯოს სათიბები სოფლიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის სიმაღლეზე იყო. გზა ხორაჯოს ქედის ცერს მიჰყვებოდა. გამიკვირდა, რომ ჩვეულებრივ მიხვეულ-მოხვეული ბილიკი კი არ მიჰყვებოდა ცერს, არამედ პირდაპირ ციცაბო აღმართს მიუყვებოდა და თითქმის საურმე გზას უტოლდებოდა სიგანით.

– სამად, ვიცი, ხორაჯოელები, ახაელის ტომის წარმომადგენლები, გვარად ცათიაშვილები თავისებური მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის ხალხი ხართ და, მთაში სიარულის, ბილიკების გაკვალვის მანერაც თავისებური გახასიათებთ თურმე.

– რაზე ამბობ? – მეკითხება ამხანაგი.

– აი, ეს გზა, ჩვენ რომ მივყვებით, მიხვეულ-მოხვეულად რომ გაეყვანათ, უფრო იოლად დავძლევდით ამ აღმართს.

– აბა, გინდა თქვა, რომ ხორაჯოელები შტერები ვყოფილვართ, – გაიცინა სამადამ, – მაგრამ ცდები. ჩვენ ვთიბავდით მაღლა ალპურ ზონაში ბალახს, იქვე ზვინებად ვდგამდით და ზამთარში თოვლზე ვაცურებდით დაბლა ხან ხელით, ხან ცხენებით, ვისაც როგორ მოხვდებოდა, ამიტომ მიხვეულ-მოხვეული გზა არ გამოგვადგებოდა თივის ჩამოსატანად.

მივხვდი, ჩავწვდი ვითარებას, მაგრამ ახლა ჩემი ფიქრი შორეულ წარსულს გადაწვდა, რამაც გამახსენა პირიქითა ქისტეთიდან გადმოხვეწილ ქისტებს როგორ უჭირდათ თავის გატანა, რა მძიმე შრომის ფასად უჯდებოდათ ლუკმაპურის მოპოვება. ცხადია, ასეთ ადგილებში მხოლოდ მესაქონლეობას მისდევდნენ, სახნავ-სათესი, ცოტა იყო და მთის ძირში მიყუჟულ სოფელში, მკაცრი კლიმატის გამო, მოსავალი მოსვლას ვერ ასწრებდა. გამახსენდა ისიც, რომ ჩემს ბავშვობაში არსებობდა სიმინდის ჯიში, რომელიც ადრე მწიფდებოდა და ღეროც დაბალი იზრდებოდა, მას ხორაჯოს სიმინდს („ხუარჯანოი ჰაჯიგ“) ეძახდნენ.

ტყის ზოლს რომ ავცდით, ჩავარდნილ ტაფობს მივადექით, რომელიც მთის მთელ ფერდობზე იყო გაჭიმული. აქ ხარობდა

დუცი, რომელთაც ისეთი მსხვილი და მაღალი ღეროები ჰქონდა, მსგავსი არსად შემხვედრია. ამოვგლიჯეთ რამდენიმე ცალი, ჩამოვსხედით მაღლა კლდის ძირში, შემოვაცალეთ კანი, შემდეგ ძარღვები და შოლტებად დაშლილი ღეროების ჭამას შევუდექით. შემდეგ კიდევ ამოვგლიჯეთ მიწიდან, ფთოლები გავსხიპეთ, კონებად შევკარით, ზურგჩანთებში მოვათავსეთ, რათა ეხში აგვეტანა და იქ გვეჭამა.

ეხის წინ ღრმა ვიწრო ხევი ჩადიოდა მახვალისკენ. აქ სასმელი წყალი ავიღეთ, აღმართს ავყევით და მივადექით ვებერთელა კლდეს, რომელიც 7-8 მეტრით წინ იყო წამოწეული, ხოლო წინიდან 2-3 მეტრის სიმაღლე ჰქონდა. პირდაღებული შევცქეროდი ამ საოცრებას. კლდე ისე წამომართულიყო სივრცეში, რომ ქვეშ შესვლა სახიფათოდ ჩანდა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ეს-ეს არის, ჩამოიქცევაო.

წინ კლდეების ნაშალი ქვებით მშრალად, ყორესავით იყო ამოყვანილი კედელი, რომელიც წრედ ეკვრებოდა კლდეს. ერთი მეტრის სიმაღლისა იქნებოდა, უხეშად ნაგები, მაგრამ მკვიდრად გამოიყურებოდა. აღმოსავლეთის კედელი ფართო იყო და თაროს მოვალეობას ასრულებდა. შუაში კერა იყო მოწყობილი, კლდის ძირში, დასავლეთის მხარეს, ბუნებრივი კლდის ზღუდე იყო შემოსალტული, ზედ ეფინა ნაბდები, საძილე ტომრები და სხვ. ქვეშსაგები. ყორე-თაროზე ელაგა სამზარეულოს ჭურჭელი: ქვაბები, თეფშები, ჩანგლები, ჭიქები, ბოთლები. იქვე ცულიც იყო, ქლიბიც. ერთი სიტყვით, თავი ბარში მეგონა, ეხი საცხოვრებელ ბინას ჰგავდა.

– ვინ ამოიტანა ეს ყველაფერი აქ, ღვთისნიერი კაცი ყოფილა? – ვეკითხები სამადას.

– კოლექტიური ნაშრომია. ყველა მონადირე, ვინც ეხში ათევდა, რაღაც ნივთს ტოვებდა, ზოგიც სპეციალურად ამოჰქონდა, აქ ყველაფერს იშოვი, აგერ მარილიც, ასანთიც, ხედავ, სად დევს?! აქ კაცი არ დაიკარგება, – ამაყად მეუბნება მონადირე.

მე პირველად ვიყავი აქ და ინტერესით ვათვალიერებდი ყველაფერს. ეხში 30-40 კაცი შეაფარებდა თავს თავსხმა წვიმის დროს,

აქედან ხელისგულივით გაშლილად მოჩანდა პანკისის ხეობა, ტყიანი ზოლიც კი ქაოტურად ახორხორავებული გიგანტური ლოდებისგან შედგებოდა, სამხრეთის კალთების ალპური ზოლიც ასევე მწვანედ აბიბინებულ ტერასებად იყო გადაფენილი.

ჩვენ ბარგი ეხში დავტოვეთ. სხვათა შორის, ეს ეხი არ იყო ისეთი საფარი, სადაც ნადირს ელოდებიან, აქ არ იყო არც მჟავე წყალი, სალოკზე რომ მოდიან არჩვები და ჯიხვები. ეს იყო მხოლოდ მონადირეთა თავშესაფარი, ღამის სათევი. აქ მონადირეები ღამეს ათენებდნენ და დღისით ახლომახლო მიდამოებში ნადირობდნენ, შორსაც მიდიოდნენ, ოღონდ იმ სიშორეზე, რომ დაღამებამდე მიესწროთ ეხში მოსვლა.

უნაგირზე ავედით და ჩრდილოეთით გადაიშალა ზღაპრული კლდიანი ფერდობები, მშრალი და ნაკადულებიანი ღრმა ხევები, კლდიანი ნაშალები, რომლებზედაც ნათლად ეტყობოდა ნადირის ნავალი ბილიკები. მარჯვნივ დაქანებული გორები პიტალო კლდეებისგან შედგებოდა, რომლებიც გამოირჩეოდნენ დაკბილული, წვეტიანი, ქაოტურად აღმართული გუმბათებით. ერთი სიტყვით, ჯიხვებისა და არჩვების საბუდარი იყო.

სამადა კლდიან კეხს აუყვა, მე ფერდობებს შევყევი აღმოსავლეთისკენ, მაგრამ ნადირისთვის თვალი არ მომიკრავს. უკვე ეხისკენ ვაპირებდი წასვლას, რომ თოფი გავარდა, შაშხანის ჭახანი ხევებს მოედო, გუგუნით გადაიარა სერები და სადღაც შორს დაიკარგა.

პირველ გასროლას მეორე მოჰყვა, ეხომ ხევები გადაიარა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თოფის ხმა ჩემ ზემოთ, კლდეების იქიდან ისმოდა და მეც იმ მიმართულებით წავედი. სწრაფი სიარული შეუძლებელი იყო, ძლივს ავბობღდი ფიქალო ლოდებზე, ცერზე გავედი და გადავხედე. ჩამავალი მზის შუქზე შევნიშნე აქეთკენ მომავალი სამადა, თოფი მხარზე ეკიდა და როგორც სჩვეოდა, აუჩქარებლად ეშვეოდა დაბლა. მივხვდი, რომ ააცდინა, სიარულში შევატყე, უგერგილოდ მოაბიჯებდა.

როცა მომიახლოვდა, ჩამოჯდა და შემომხედა, სინანულით გააქნია თავი და მითხრა:

– ავაცდინე, ორჯერვე ავაცდინე, რაღაც ოთხას-ხუთას მეტრში იყო, დეკეულას ხელა ჯიხვი იყო, უზარმაზარ რქიანი, ახალბედაც კი მოარტყამდა, მე კი ავაცდინე.

– „წესია მონადირისა“, რას იზამ, ეგ ჯიხვი ჩვენთვის არ ყოფილა დაბადებული, – ვანუგეშებ ძველ, გამოცდილ მონადირეს, მერე თავად შემრცხვა ჩემი მენტორული ტონისა, უმცროსი უფროსს „სიბრძნეს ვაძლევდი“, წამოვდექი, ხელი გავუწოდე, წამოდგომაში მივეხმარე და ეხისკენ წავედით.

ცეცხლი დავანთეთ, სახლიდან წამოღებული ძეხვი შამფურზე ავაგეთ (შამფურები თაროზე ბლომად ეწყო) და შევწვით. ყველი, კიტრი, პომიდორი, მწვანილი და სუფრაც გაიშალა, გაშლილ ნაბდებზე წამოვწექით და ვახშმობას შევუდექით. რა თქმა უნდა, არაყიც გვქონდა, მის გარეშე მთაში ვინ წავა.

სამადა მონადირეთა თავგადასავლებს მიყვებოდა, იცოდა, ვინ სად, როდის მოჰკლა ბერხენი ჯიხვი, დაჭრილი დათვის მსხვერპლი ვინ გახდა და ა. შ. უამრავი რამ იცოდა და ძალიან საინტერესოდ ყვებოდა, თან აკაშკაშებულ პანკისს, მის ქვემოთ მატანსა და, ახმეტას გავყურებდით და ზღაპრულ სიღრმეში ვიძირებოდით.

როგორც კი დაღამდა, სიცივე ვიგრძენი. მერე და მერე სიცივემ მოიმატა. სამადას შევჩივლე, მცივა-მეთქი. მან გაიცინა და მითხრა:

– გათენებისას ნახე სიცივე, ეს ჟურნალია, კინო მერე ნახე.

– კი, მაგრამ გარშემო კლდეები, გაშლილი მხარე ბარისკენაა, რატომ უბერავს იქიდან სიცივე? – მიკვირს მე.

– იქ, ქვემოთ, ბარში კახეთიდან თბილი ნიავი უბერავს, აქ წყალს მოჰყვება, მაღლა ცივ ჰაერსა ხვდება და ხშირად წვიმს, მაგრამ გვალვის დროს ცივი ჰაერი ურტყამს ამ უჟმურ მხარეს, – მიხსნის სამადა.

მისი სიტყვების სიმართლეში იმ ღამეს დავრწმუნდი. მართლაც, საშინლად ციოდა. მადლობა ამხანაგს, რომელმაც ქვეშაგები ცეცხლის პირას მომიწყო და გათენებამდე უკეთებდა შეშას. ისეთი სიცივე იყო, ჯარეგოს მთა გამახსენა პირიქითა ქისტეთში, სადაც ცივი ქარი ძვალ-რბილში მატანდა და მთელი

ღამე თითქმის თვალი არ მომიხუჭავს. აქ ის უპირატესობა იყო, რომ ცა არ დაგყურებდა, ვეებერთელა კლდე სახურავივით იყო გადმოხურული, ცეცხლის სითბოს ზევით არ უშვებდა, მაგრამ მსუსხავი სიცივე ნაბადს და სათბურში ატანდა.

გასულ წელს ჯარეგოში ვიყავი, მითხოს (მელხისტა) ხეობის თავში ჯიხვები მეცხვარეთა ბინამდე ჩამოდიანო, მითხრეს და დეიდაშვილ ლორსას გავყევი, რომელსაც ცხვარი ჯარეგოს მთაში ეყენა. ბატკანი მაღლა, მთის წვერზე იდგა, ბინაში სანოვაგისთვის ჩამოსულ მწყემსს გავყევი. გზაში მწყემსი ეელი ბაღაკაშვილი მიყვებოდა, თუ როგორ ხედავდა დილა-საღამოს ჯიხვების ჯოგს, რომლებიც ხევსურეთისა და მითხოს წყალგამყოფ ქედის მწვერვალის კლდიან ფერდობებზე ბუდობდნენ.

საღამოს ავაღწიეთ ბატკნის ალხაჯს. ეელის თუში ამხანაგი ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა, ისე ხატოვნად აღწერდა ჯიხვების ჯოგის ცხოვრებას, მამალი ჯიხვების შეჯიბრს კლდეებზე, ქარაფებზე ხტომაში, მაღლა ფრიალო წარაფებზე მათ „სპორტულ“ დაშვებას, ორთაბრძოლებს, უზარმაზარი რქებით ჯახანს, რომ პირდაღებული შევცქეროდი და გასუსული ვუსმენდი.

ღამე იმედიანად დავწექი, დილით ვაპირებდი ჯოგის დილის რეჟიმის დარღვევას, მაგრამ გეგმები სიცივემ ჩამიშალა. ჯარეგო ცივი მთა არის, სადაც მუდმივად უბერავს ქარი. დაბლა, სოფ. ჯარეგოს ნასახლარებში ეს ქარი არ არის მაინცდამაინც ცივი, მაგრამ აქ, მაღლა, მთის წვერზე ისეთი მსუსხავი იყო, ძვლების ტვინამდე აღწევდა. მწყემსებმა იცოდნენ ჩემი მტკივნეული დამოკიდებულება საწოლისადმი და შეეცადნენ, რაც შეიძლება კომფორტულად მოეწყოთ ქვეშსაგები და დასახური. ამჯერადაც, მათ სანოვაგის შესანახად მოწყობილ წრიულ ყორეში მომიწყეს საწოლი, ქვეშ თოქალთოები და ძველი ნაბადი გაფინეს, ზემოდანაც ორი ნაბადი დამახურეს, ზედ ბრეზენტი ნაგლეჯიც დამაფარეს, მაგრამ ვერაფრით გავთბი, დილამდე თვალი არ მომიხუჭავს, თეთრად გავათენე ღამე.

დილით, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, გამოვძვერი ნაბდებიდან, ზურგჩანთა ზურგზე მოვიგდე, ავტომატი

მხარზე გადავიკიდე, ჯოხს ხელი წამოვავლე, ერთი კი შევძახე ძაღლების ყეფაზე გამოღვიძებულ მწყემსებს „ნახვამდისო“ და ქვევით დავეშვი.

– საით, კაცო, ჯიხვები ზევით არიან, შენ კი ქვემოთ მიდიხარ, – მეძახის თუში მეცხვარე.

– ღმერთმა მშვიდობა მისცეთ! ამ სიცივესა და გაჭირვებაში გაზრდილ ჯიხვებს თოფს არ ვესვრი, – სიცილით ვპასუხობ.

– კაცო, რა სიცივე, რის სიცივე, რას ამბობ, მთაში პირველად ხომ არა ხარ, – მერე მიუბრუნდა ამხანაგს, – ესეც იტყვის, მონადირე ვარო, რაღა.

ყურადღება არ მიმიქცევია მისი სარკაზმისთვის და თავქვე სწრაფად წავედით. თუმცა გზაში ჩავუფიქრდი თუშის სიტყვებს, მერე გამახსენდა ცხონებული მონადირე იუნუზ ქუშანაშვილი, რომელმაც დიდი ხნის წინ მითხრა, რომ ჩემგან კარგი მონადირე დადგებოდა. შემრცხვა, მაგრამ მაშინ უკან მიბრუნებაზე არც მიფიქრია.

დილით, ჯერ კიდევ სუსხი იდგა, როცა სამადამ გამაღვიძა. სასაუზმოდ დრო არ დაგვიკარგავს და სანადიროდ გავედით. ამჯერად ერთად ავედით უნაგირზე, დეტალურად, მონაკვეთ-მონაკვეთ დურბინდით გავჩხრიკეთ არემარე, მაგრამ სიცარიელე სუფევდა კლდეთა სამეფოში. ავიწიეთ მაღლა კეხზე და დავზვერეთ როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთის კალთები. აქედან კარგად ჩანდა შეერ ბოსიეს ფერდობები, ხვთისოს ნაბინავარის გორი, მაგრამ ნადირის ნიშან-წყალიც კი არსად შეგვინიშნავს.

ავყევით ხორაჯოს მთის წვერამდე მაღლა, დავათვალიერეთ მთელი მიდამო, მაგრამ ვერსად შევნიშნეთ არჩვები. შუადღე მოახლოვდა, დაცხა, ახლა ნადირი ჩრდილებს შეაფარებდა თავს და მხოლოდ საღამოთი გამოვიდოდა საძოვარზე. შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ.

სამხრეთის კალთებს გამოვყევით, ხარებას ნადგომზე, ხარებას ეხზე გამოვიარეთ, გამოვედით ხორაჯოელების სათიბზე, ზურგჩანთები დუცით გავავსეთ და ხორაჯოს მთით დავეშვით სახლისკენ.

სწორედ ზემოთ აღწერილ ეხში მივდიოდით მე და ლაბო სანადიროდ. ღამის გასათევად სოფ. ხორაჯოში შევიარეთ. აქ მხოლოდ ერთი კომლი ცხოვრობდა, ილიაზ ცათიაშვილის ოჯახი, მგონი, ზამთარშიც რჩებოდნენ ხორაჯოში.

ვახშმობის დროს ილიაზმა გვითხრა, რომ თუ წინააღმდეგნი არ ხართ, მეც გამოგყვებითო. სიხარულით მივიღეთ ეს წინადადება, ის გამოცდილი მონადირე იყო, თანაც კარგად იცნობდა ხორაჯოს რეგიონსა და ნადირის გეზს. მე და ლაბო, ძირითადში, დიდგვერდის მთებს ვიცნობდით კარგად, ლაბოს, როგორც იტყვიან, დიდგვერდში ჰქონდა ჭიპი მოჭრილი.

დილაადრიან, ჯერ კიდევ კარგად არც იყო გათენებული, გზას დავადექით. არც კი გვისაუზმია, გვინდოდა, რაც შეიძლება, ადრე ავსულიყავით ალპურ ზონაზე, იქნებ გზაზე წავწყდომოდით ნადირს.

შეუსვენებლივ ვიარეთ, ავედით გაბედას ქედით ხორაჯოში და მივადექით ჰასანის ნაბინავარს. შევათვალიერეთ ქედის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფერდობები, მაგრამ ირგვლივ სიცარიელეს დაესადგურებინა, ცოცხალი არსების ნატამალი არ ჩანდა, თუმცა, მაღლა, მთის წვერზე შევნიშნეთ მეცხვარე, რომელიც ცხვარს მისდევდა. ფარა დიდგვერდისკენ იყო დაშვებული და მწყემსი მხოლოდ უკან დარჩენილი ნოტოს მიერეკებოდა.

ნაბინავარში ავედით. იქ ბარგი-ბარხანა ეწყო, ცხენის უნაგირები, თოქალთოები და სხვ. ჩანდა, მეცხვარეები ახლაღა აიყარნენ და დიდგვერდში, ახალ საძოვარზე გადარეკეს ცხვარი. პირველი საჭიროების ბარგი უკვე გადაიტანეს ახალ სადგომში, მერე დაბრუნდებოდნენ და ამ ბარგსაც გადაზიდავდნენ. იქვე ჩხაზე ნახევარი ბატკანი ეკიდა, ეტყობა, წინა დღეს იყო დაკლული, კანი მშრალი იყო, გამაგრებული, კარგად იყო ხორცი შენახული.

ჩამოვსხედით და ვისაუზმეთ. ლაბომ შუაზე გადაჭრა ხორცი და ნახევარი ზურგჩანთაში მოაქცია.

– ამაღამ გამოგვადგება, ეხში შევწვავთ.

– ჩარაჰი თავად მოიპოვებს ხორცს, სხვისას კი არ ითვისებს, – ვეუბნები ლაბოს.

– როცა ღმერთი გაძლევს, უნდა აიღო, – ამართლებს ლაბოს საქციელს ილიაზი.

– ამ ხორცის პატრონი, ხედავ, ახლაღა მიეფარა ქედის უნაგირს, რა იცი, თავისთვის დაიტოვა ეს ხორცი, თუ ჩვენი მოლოდინი ჰქონდა?

– მთაში გზაზე დატოვებული საკვები მგზავრისაა! – მოკლედ მოჭრა ლაბომ. მე უმცირესობაში აღმოვჩნდი, თანაც კარგად ვიცოდი მთის წესი, ისინი მართლები იყვნენ.

ჩვენ დასავლეთისკენ გავემართეთ. ხევში უნდა ჩავსულიყავით, მერე გადავიდოდით სალოცავი ქედის ალპური გაგრძელების ცერზე და ზევიდან დაქანებული ციცაბო სერების გავლით ავიდოდით ხაწეს ეხში. როგორც კი ხევს გადავხედეთ, შევნიშნეთ მარტოხელა ცხვარი, რომელიც წყლის პირზე მშვიდად ძოვდა. ჯერ ვიფიქრეთ, რომ კოჭლი ცხვარი იყო, ფარას ვერ გაყვებოდა, ამიტომ მეცხვარემ დატოვა, რომელიც ცხვარს დაბინავებდა, მობრუნდებოდა და წაიყვანდა. მაგრამ ჩვენს დანახვაზე ცხვარი დაფრთხა და განზე გახტა, რამდენიმე მეტრი გაირბინა და გაჩერდა. ცხვარი ჯანმრთელი იყო.

– დღეს მართლა გვიმართლებს, ღმერთი საზრდოს გვაძლევს. – სიხარულით წამოიძახა ლაბომ.

– მართლაც, კაი ფეხზე ავდექით დღეს, ხორცი თავად გვივარდება ხელში, – ბანი აუბა ილიაზმა.

– რა თქმა უნდა, ხორცს მუქთად ჩაიგდებ ხელში, თუ იქურდებ, – დაცინვით ვუყურებ პარტნიორებს, – პირადად სანადიროდ ვარ აქ ამოსული და არა საქურდლად. ქურდობა რომ მდომოდა, ამხელა მანძილის გამოვლა არ დამჭირდებოდა, ბარშიც მოინახებოდა საქურდალი.

– რას ამბობ, რა შუაშია ქურდობა, ეს ცხვარი მაინც განწირულია, ამაღამ ის ან დათვის, ან მგლის ლუკმა გახდება, – თავისას არ იშლის ლაბო.

– მე ვფიქრობ, რომ წესიერი კაცის ხელით სიკვდილი ურჩევნია ამ ცხვარს, ვიდრე გაუმაძღარმა მგელმა დაგლიჯოს, – ფილოსოფოსობს ილიაზი.

– მეცხვარე მობრუნდება საღამოს ბარგისთვის, შენიშნავს ჩამორჩენილ ცხვარს და წაიყვანს. მოდით, ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ. კმარა, ხორცი ხომ წამოვიღეთ უნებართვოდ, ახლა ცხვარიც გინდათ მიისაკუთროთ? – ვცდილობ, ხელი ავაღებინო მეგობრებს განზრახვაზე.

მაგრამ შევატყვე, რომ მათ თავიანთი შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხზე და ვერ გადავათქმევინებდი განზრახულს. მათ სჯეროდათ, რომ სწორად იქცეოდნენ, დარწმუნებული ვიყავი, ფიქრობდნენ ჩემზე: ამ მასწავლებელმა რა იცის მთის კანონების შესახებო.

– ერთხელ დიდგვერდში მე და ჩემი ამხანაგი ამგვარ სიტუაციაში მოვხვდით, მაშინ შევძელი, გადამეთქმევინებინა მისთვის განზრახული და დიდ სირცხვილს გადავრჩით. გირჩევთ, თქვენც უარი თქვათ განზრახულზე. თუ არ დაიშლით, იცოდეთ, ამ საქმეში მე თქვენი ამხანაგი არა ვარ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამბავს ყველას მოვუყვები, როცა კი ნადირობაზე ჩამოვარდება საუბარი, – ვთქვი ეს და მაღლა ავედი, ფერდობზე ჩამოვჯექი და ვუყურებდი, როგორ მოიმწყვდიეს ხევში თოვლის ზვავთან ცხვარი, დაიჭირეს, ყელი გამოჭრეს და უცბად გაატყავეს. შემდეგ გამოშიგნეს, კვლავ დააბრუნეს ხორცი ტყავში, ზვავის ქვეშ შედეს, ქვებით ამოქოლეს, ხელები წყალში დაიბანეს, ზურგჩანთები ზურგზე მოიგდეს და გაჰყვნენ ფერდობს ქედის ცერისკენ.

სანამ ისინი ცხვართან ჩავიდოდნენ და დასდევდნენ დასაჭერად, მაღლა ფერდობზე ავედი და შემდეგ აღმართს ავუყევი. ვიფიქრე, მოკლეზე გავიდოდი ცერზე და დავეშვებოდი ეხისკენ. როგორც ვთქვი, ხაწეს ეხში ნამყოფი ვიყავი და ვვარაუდობდი, რომ ასე გავიდოდი ზუსტად იმ ადგილზე, საიდანაც დაბლა ეშვებოდა ქედი, რომელიც ჰყოფდა ჩრდილო და სამხრეთ კლდიან კალთებს. ეს, ასე ვთქვათ, წყალგამყოფი ცერი იყო.

ლაბო და ილიაზი მაგარი მთასვლელები იყვნენ, არჩვების დარად მსუბუქად დადიოდნენ, მე მათ ძლივს ვეწეოდი ხოლმე.

ვფიქრობდი, ისინი ძველი გზით ავიდოდნენ ეხში, შორი გზის გავლა მოუხდებოდათ, მე მოკლედ გადავჭრიდი გზას და ასე ერთდროულად მივიდოდით დანიშნულ ადგილას. დაბლიდან ლაბომ ამომძახა:

– ხასოა, ჩვენ მოვივლით სანადირო ადგილებს და საღამოს ეხში მოვალთ. შენ ნელა იარე და ჩადი, მარა იქით კლდეებს არ შეეკიდო, ძნელი სავალი ჭიუხებია, ფრთხილად იარე.

მე მაღლა მივბობღავდი, უკვე ოთხით მიწევდა სიარული. ერთი კი ვიფიქრე, მოდი, ცერად გავალ ფერდობზე-მეთქი, მაგრამ როგორც კი შევუდექი განზრახვის შესრულებას, უარი ვთქვი – ძალიან დაკიდებული ფერდობი იყო, შიგადაშიგ კლდიანი და თუ მოვწყდებოდი, ზვავამდე ვერაფერი შემაჩერებდა.

როგორც იქნა, ავედი ცერზე, ძლივს მოვნახე დასადჯომი ადგილი – ცერი დანის პირივით ვიწრო იყო და ბალახებში ამოჩრილი წვეტიანი კლდეების წვერები მგლის კბილებივით ახორცილიყო. გადავხედე დაბლა და გაოცებული დავრჩი: ძალიან მაღლა ვიყავი ამოსული, ეხის ქედი 150-200 მეტრით დაბლა იწყებოდა და აღმოსავლეთისკენ ეშვებოდა. ის დეკით იყო დაფარული, შიგდაშიგ ქუჩიანი პატარ-პატარა ახოები იყო ჩრდილო და დასავლეთის კალთებზე. მაგრამ ის ორასი მეტრი, რომელიც ცერზე დაბლა უნდა ჩამევლო, ორივე მხარეს, აღმოსავლეთის და დასავლეთის კალთებზე, კლდიანი იყო და ფრიალო, ძალზე სახიფათოდ დაკიდული. თავიდანვე გამოვრიცხე დასაშვებად. ცერი, როგორც ვთქვი, წაწვეტებული იყო და უსწორმასწორო, კეხი-უნაგირი მეორდებოდა, თანაც მათ შორის მანძილი მცირე იყო. უკან დაბრუნება ვცადე, ვიფიქრე, დაბლა ჩავალ და ამხანაგების კვალს გავყვები-მეთქი, მაგრამ ჩასვლა არ გინდა? ამოსვლით კი ამოვედი, ოთხზე დამდგარი ამოვფორთხდი, მაგრამ ჩასვლა ათჯერ უფრო ძნელი აღმოჩნდა. ერთი მეტრითაც კი ვერ ჩავიწიე, ისეთი ციცაბო იყო. ხმელი ქუჩით დაფარულ ფერდობზე წვეტიანი კლდეები ამოჩრილიყო, ერთი მოწყვეტა და წასული იყო ჩემი საქმე.

დავჯექი, ოფლი შევიმშრალე, ავწონ-დავწონე დაშვების ყველა შესაძლებლობა და ცერი ავირჩიე. მთავარი იყო, წონას-

წორობა დამეცვა, აქეთ ან იქით არ გადავვარდნილიყავი და ნელა მევლო ცერდაცერ. ნელა დავიწყე დაშვება, როგორც ვიჯექი, იმ პოზით დავიწყე ქვევითკენ ჩაჩოჩება. სწორი რომ ყოფილიყო ცერის ზედაპირი, თუნდაც ვიწრო, ჩასრიალდებოდა კაცი, მაგრამ წვეტიანი, შუბის წვერებივით ამოშვერილი კლდეები აბრკოლებდა დაშვებას. ნელა ვმოძრაობდით, უკიდურესად მქონდა დაძაბული ნერვები, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, თვალებში მეღვრებოდა და მიწვავდა, მოწმენდის საშუალებაც კი არ მქონდა, ხელებით ვებღაუჭებოდი კლდეებსა და ქუჩს.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ჩავაღწიე სამშვიდობოს, აღმოსავლეთის, ეხის ქედის დასაწყისში პატარა ვაკე ადგილი იყო, ირგვლივ დეკა შემორტყმული. წამოვწექი, მხარ-მკლავი და ფეხები გავშალე, მაღლა ცას შევცქეროდი და ბედნიერებას განვიცდიდი, რომ უხიფათოდ ჩამოვიარე ეს დაწყევლილი ცერი. უცბად გამახსენდა ერთი ამბავი, რომლის გამოც ბევრი მიცინია სუფრაზე და მივხვდი, რომ სულაც არ ყოფილა სასაცილო.

ჩვენი სოფლელი ექიმი ქალიშვილი გათხოვდა თბილისელ ახალგაზრდაზე, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ცოლეურებთან და ზოგჯერ დიდი ხნითაც რჩებოდა სიმამრის ოჯახში. ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო, კონტაქტიანი, ზრდილი, დაუზარელი. ის მალე დაუახლოვდა ქისტებს, გაიზიარა ჩვენი ადათ-წესები, ბევრი მეგობარი გაიჩინა და მამუკა ჩვენიანად მივიჩნიეთ. პურმარილი ისე არ გაიმართებოდა, მამუკა რომ არ ყოფილიყო მიწვეული, იუმორის მქონე ახალგაზრდამ უამრავი ანეკდოტი იცოდა და სუფრის სული და გული იყო.

ერთხელაც, ზამთარში მონადირეებმა სანადიროდ წაიყვანეს ბაწარაში. დიდთოვლობა იყო, საღამომდე ტყე-ღრეში იხეტიალეს, დაღლილ-დაქანცულებმა ვახშმობისას მოაღწიეს სახლში. ცხადია, ქალაქელი კაცისთვის, რომელიც არ იყო შეჩვეული ასეთ დატვირთვას, არასდროს უვლია გაუტეხავ თოვლში გორებსა და ხევებში, ეს მძიმე შრომა იყო და მამუკას რამდენიმე დღე დასჭირდა ნორმალურ მდგომარეობას რომ დაბრუნებოდა.

და, აი, პირველსავე სუფრაზე, ნადირობის შემდგომ, თამადას სადღეგრძელო სთხოვა და ფეხზე წამომდგარმა მონადირეები ადღეგრძელა. მჭერმეტყველი ახალგაზრდა იყო, სიტყვისათვის ჯიბეების ქექვას არ დაიწყებდა. მან დაახასიათა მონადირის მძიმე შრომა, ხიფათით სავსე მგზავრობა, გაიხსენა (ალბათ მოსმენილი ჰქონდა მონადირეებისგან) ნადირობის დროს დაღუპული მონადირეები და ერთი სიტყვით, ლამის ომის გმირებს გაუტოლა.

მას მერე ყოველ სუფრაზე სვამდა მამუკა მონადირეების სადღეგრძელოს, რასაც მის ახირებად თუ ხუმრობად ვთვლიდით და ვიცინოდით. ახლა, მიწაზე გაშოტილი ვიწექი, ვიგონებდი მამუკას სადღეგრძელოს და ჩემთვის ვამბობდი: „ჭკვიანი კაცი ყოფილა, ღრმად ჩამწვდარა მონადირის ჯაფას. მთელი დღე რომ სიმინდი მეთოხნა, ასე არ დავიღლებოდი, როგორც ეს საათი, საათ-ნახევარი დავიღალე. თანაც ეს ხომ ფუჭი შრომა იყო, ამ წვალებას და ოფლდენას ხომ იოტისოდენა სარგებლობა არ მოუტანია არც ჩემთვის და არც ჩემი ოჯახისთვის. კი, ხასიათს სიმტკიცეს მატებს, ბლომად გამოიყოფა ადრენალინი, დაბრკოლების გადალახვას ეჩვევი, მაგრამ ეს ახალგაზრდისთვისაა კარგი და არა ჩემთვის“.

მზე სპეროზას წვერზე იდგა, როცა ეხის მაღლა უნაგირს მივაღწიე, იქ ჩემი ამხანაგები ისხდნენ და დურბინდით ზვერავდნენ ჩრდილოეთის კლდოვან კალთებს. მათ არც უკითხავთ, რატომ დამაგვიანდა და არც მე ამომილია ხმა ჩემს ხიფათიან მგზავრობაზე.

– სამხრეთის კალთები თითქმის დეტალურად დავამუშავეთ, მაგრამ სიცარიელეა, საოცარია, სად გადაიკარგნენ ეს ფსიტტები, ჯიხვებს ვინ ჩივის, – მომიბრუნდა ლაბო, – მე ჩავალ ეხში, „კანისტრას“ ავიღებ და წყალს ამოვიტან ხევიდან, შეშასაც მოვამარაგებ და ცეცხლს დავანთებ, თქვენ მერე ჩამოდით, სულერთია, აქ ნადირი არ არის, ეტყობა, დიდგვერდისკენ გადაინაცვლეს ჯოგებმა.

– კარგი, შეშას ჩვენც გამოვიყოლებთ, აგერ კლდიან ფერდზე წაქცეულ დაქს (არყს) ვხედავ, ხმელ ტოტებს გამოვიყო-

ლებთ, – ვუთხარი ლაბოს, მერე ილიაზს დურბინდი გამოვართვი და პირველ რიგში, ის დაკბილული ცერი შევათვალიერე, რომელმაც ასე გამამწარა. შემდეგ მზერა გადავიტანე სამხრეთის კალთებზე, თითოეულ მონაკვეთს გულდასმით ვათვალიერებდი. ძალიან დიდი ყურადღება და მახვილი თვალი იყო საჭირო, ბუჩქებითა და მეჩხერი წიფლის ხეებით დაფარულ კლდიან კალთებზე ნადირის შესამჩნევად. მონაცვლეობით ვათვალიერებდით მე და ილიაზი კლდოვან ფერდობებს, შეერ ბოსიესა და ხვთისოს ნაბინავარის მიდამოც მოვათვალიერეთ, მაგრამ სულიერისთვის თვალიც კი არ მოგვიკრავს. ბოლოს მომბეზრდა უშედეგო დაზვერვა, ავტომატი ავიღე, ზურგჩანთა მოხსნილიც არ მქონდა მხრებიდან, ისე წამოვდექი.

– წავედით, ნაყოასთ (ამხანაგო), მეტხანს აქ ყოფნას აზრი არ აქვს, ხვალ უთენია მივდგ-მოვდგეთ, თუ გვიწერია, მოვინადირებთ რამეს. ილიაზმა დურბინდი ბუდეში ჩადო და დავეშვით დაბლა.

ეხიდან ბოლი ამოდიოდა, ყოჩაღი იყო ლაბო, დაუზარებელი, უპრეტენზიო, საუკეთესო ამხანაგი საქმეში, ნადირობაში თუ სმა-ჭამაში. როცა ადგილზე მივედით, დაბლიდან, ხევიდან ამოდიოდა, ქვაბით და „კანისტრით“ წყალი ამოჰქონდა.

როგორც აღვნიშნე, ეხში ყველაფერი იყო, ჭურჭელი, ქვეშაგები, ყველანაირი საყოფაცხოვრებო ნივთები, ნემსი და ძაფიც კი იდო თაროზე. ყველა მონადირე წასვლისას რაღაცას ტოვებდა, კუთხეში რეზინის ჩექმებიც კი ეწყო. ფართო სათავსო ჰქონდა ამ ეხს, დიდებული ხედი იშლებოდა მის წინ, მხოლოდ ღამე ციოდა, ქვემოდან უბერავდა ცივი ნიავი. მართალია, ეს გაეთვალისწინებინა მონადირეებს და წინ სიპი ქვებით ამოეშენებინა ერთი მეტრის სიმაღლის კედელი, მაგრამ მაინც ციოდა. სიცივე ჩემს ამხანაგებს არ აშინებდა, შეჩვეულები იყვნენ, თითქმის მთაში იყვნენ გაზრდილები, ცხვარში ნატარები და მეცხვარეს კი სიცივე როდი აშინებს.

ხორცი გვქონდა, ხორაჯოს მთიდან წამოღებული, რბილი სამწვადე ავჭერით, ძვლიანი ხაშლამად დავკუწეთ (ნაჯახი იქვე

იყო, ქლიბიც კი მოინახა) ქვაბში ჩავყარეთ და ცეცხლზე შემოვდგით. შამფურებიც იყო იქვე კლდეზე მიყუდებული, სამწვადე ავაგეთ და სახლიდან წამოღებული პურმარილი გავშალეთ ცელოფანზე, არაყიც დავდგით და ვახშმობას შევუდექით.

ვინც მთაშია ნამყოფი, ვისაც ბუნებაში პური უჭამია, იცის ის ხიბლი, რაც ასეთ ტრაპეზს ახასიათებს. ეხიდან, როგორც ვთქვი, დიდებული ხედი იშლებოდა: კარგად მოჩანდა გაჩირაღდნებული პანკისი, ქვემოთ მატანი და ახმეტა. ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდა, მთვარე, რომელსაც შევსება ცოტა აკლდა, ვერცხლისფრად ანათებდა, ტყითა და კლდეებით შეზავებულ მთებსა და გორებს ზღაპრულ იერს აძლევდა. ისე შევყევით ტკბილ ქეიფს, რომ დღევანდელი უსიამოვნებანი წარსულს ჩაბარდა, განცდილი შიში დამავიწყდა და არც ის მაღონებდა, რომ ნადირის ხსენება არ იყო ახლომახლო მიდამოში. სადღეგრძელოებს ვამბობდით, ვიხსენებდით მონადირეთა თავგადასავალს, წინაპართა საგმირო საქმეებს და ღამე შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა დროებით შევწყვიტეთ პურის ჭამა, ერთი ნაჭერი ხორცის და ერთი ნაჭერი მწვადის არ დაგვიტოვებია შეუჭმელი. როცა ვთქვი, რომ ძალიან გემრიელი იყო მოხარშული ხორციცა და მწვადიც, ილიაზმა ეშმაკურად გადახედა ლაბოს და თქვა:

– გამიგია, მოპარული საქონლის ხორცი ძალიან გემრიელი არისო.

– ჰო, შენ ეს, ალბათ, გამოცდილი გაქვს, – ვალში არ ვრჩები მეც.

– კი, მეც ვეთანხმები ილიაზს, მუქთა ბერდანის ტყვიაც კარგიაო, მეც გამიგონია, – ქილიკობს ლაბო.

ამ ხუმრობაში მე წინასწარ მოწყობილ „საწოლში“ დავწექი. იცოდა რა ლაბომ ჩემი მცივანობის შესახებ, ძველი ნაბადი დამახურა, გვერდებში მომითბუნა, ცეცხლსაც შეუკეთა და მერეღა დაწვა, მაშინვე ჩაეძინა კიდეც. მე კიდევ დიდხანს არ მომეკიდა ძილი, რომანტიკული ღამე იყო, თან შეზარხოშებულიც

ვიყავი, ისედაც რომანტიკული ბუნებისამ რომანტიკულ გარემოში ოცნებებს მივეცი თავი.

დილით როცა გამეღვიძა, ლაბო და ილიაზი ადგილზე არ დამხვდნენ. გარეთ გამოვედი და მაღლა ავიხედე. მონადირეები ქედის უნაგირზე ისხდნენ და დურბინდით ათვალიერებდნენ მიდამოს. შევეხმიანე. ჩამომძახეს, ნადირი არ ჩანს და მალე ჩამოვალთო. მე ჭურჭელი ავიღე, დაბლა ხევში ჩავედი და წყალი ამოვიტანე, ხელ-პირი დავიბანე და ცეცხლის გაჩაღებას შევუდექი, ნაკვერჩხლები ჯერ კიდევ ღვიოდა. მოსახარში და შესაწვავი არაფერი გვქონდა, მაგრამ გუშინღამ ლაბომ შაქარი აღმოაჩინა, ჩაი საძებნელი არ იყო, იქვე თავშავა ბლომად ყვაოდა, მაღლა დეკიანში მოცვი იყო. თანაც მციოდა, ჩაი მაგრად მოგვიხდებოდა.

მზეც ამოვიდა და ამხანაგებიც ჩამოვიდნენ.

– ვერაფერი შევნიშნეთ, თითქმის მთელი სანახები დავზვერეთ, – მითხრა ლაბომ.

– აქ დარჩენას აზრი არ აქვს. აჯობებს, უკან წავიდეთ, ტყის პირებს გავყვეთ, სამხრეთის ფერდობებსა და სერებს გადავივლით, იქნებ ფსიტებს გადავეყაროთ, – შემოგვთავაზა ილიაზმა.

– ჩვენ რა გვიჭირს, ნანადირევი ხორაჯოს მთასთან გველოდება, ამის საქმე ვერაა კარგად, – სიცილით მიმართა ლაბომ ხორაჯოელს, მერე მე მომიბრუნდა, – წილზე უარს ნუ იტყვი, ჩვენ არ გვენანება შენთვის წილი, მონადირეთა წესს კარგად ვიცნობთ.

– მონადირეთა წესს მეც კარგად ვიცნობ, კენთიი (ბიჭებო), ქურდების წესიც გამიგია და არ მინდა თქვენს საქმეში გავერიო, წესად არ მოგვდევს, – ვაჟას სიტყვებიც მივაშველე ნათქვამს:

„მამით არ მოდის ანდერძი,
პაპით და პაპის-პაპითა...“

ვისაუზმეთ, არომატული ჩაიც დავაყოლეთ. კარგად შევთბი, ხასიათი გამომიკეთდა და ერთად ავედით უნაგირზე. დილის

ნისლი თანდათან იკრიფებოდა მაღლა მთის წვერებისკენ, ნამიც შრებოდა ბალახზე, დილით ნამიან ბალახზე ჩემი ამხანაგების მიერ დატოვებული კვალი ძლივს შესამჩნევი იყო. მზე სამხრეთის კალთებს ანათებდა, მხოლოდ ხევხუვებში იდგა ჩრდილები.

დიდხანს ვისხედით და დურბინდით რიგრიგობით გულდასმით ვათვალიერებდით თითოეულ მონაკვეთს, მაგრამ ვერაფერი ცოცხალის მსგავსი ვერ აღმოვაჩინეთ. საოცარი იყო, თითქოს ყველა სულიერი ამოწყდაო, ჩამკვდარი იყო იქაურობა. მთის ჩიტების წრიპინიც კი არსად ისმოდა და იძულებული გავხდი, გამეზიარებინა ამხანაგების აზრი, რომ ტყუილად ვისხედით აქ. მაგრამ ასე ხელაღებით წასვლაც არ მინდოდა, შეუძლებელი იყო, რომ ჯიხვებს და არჩვებს პირი შეეკრათ და ისე გადახვეწილიყვნენ აქედან. „ეს ყურუმსაღები მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ, „ნანადირევი“ ეგულებათ ხორაჯოში“, – ვფიქრობდი ჩემთვის ამხანაგებზე და მაინც დავყევი მათ სურვილს. წამოვდექი და ვთქვი:

– კარგი, დავიძრათ ახლა. მე დაბლა ბილიკს გამოვყვები, თქვენ კი ზემოთ სერებს გამოყევით, შეიძლება გორებს შუა შევეფეთოთ ნადირს. დრო გვაქვს, ნუ აჩქარდებით, ნელა გავყვეთ და გავჩხრიკოთ ეს მიდამო.

ეხში მე დავბრუნდი, ნაბდები, საძილე ტომრები ყორეზე გადავფინე გასანიავებლად, იქაურობა მივალაგე და ხორაჯოსკენ მიმავალ მონადირის ძლივს შესამჩნევ ბილიკს გავყევი. ნელა ვმოძრაობდი, მაღლა ალპურ ზონასაც ვათვალიერებდი, დაბლა მეჩხერ, კლდეებს შუა აღმართულ წიფლის ხეებს შუაც ვიმზირებოდი, მაგრამ შორიდან კოდალას კაკუნისა და ხიდან ხეზე გადაფრენილი ჩხართვის ჩხავილის გარდა, არც რამე მომისმენია და არც მინახავს. მივყვებოდი ბილიკს და იშვიათად მოვკრავდი ხოლმე თვალს ამხანაგებს, რომლებიც მაშინვე სერს ან კლდეს ჩაეფარებოდნენ, თან სმენად ვიყავი გადაქცეული, იქნებ თოფი გავარდეს-მეთქი, მაგრამ სრულ სიჩუმეში სალოცავი ქედის (წუ დუყ) სერს გადავადექი და გადავხედე ხორაჯოს მთას.

იქაც არაფერი შემინიშნავს, დავჯექი და დავისვენე – დავფიქრდი მონადირის იღბალზე: შეიძლება ნადირი შემოგხვდეს ისეთ ადგილას, სადაც არ ელოდები, ხოლო ნადირის საბუდარში ვერაფერი იხილო. მონადირის დახელოვნებაზე სულაც არ არის ბევრ შემთხვევაში დამოკიდებული წარმატება, დამწყები მონადირე ან პირველად სანადიროდ წასულსაც კი მოუნადირებია არჩვები. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, სანადიროდ მთაში წავიდნენ დუისელები (ახმად ბაღაკაშვილი, თენგიზ და ზაური ხანგოშვილები და, ორი ახმეტელი მეგობარიც გაიყოლეს). ისინი ხორაჯოს მთაში ავიდნენ, მონადირეობისა არაფერი გაეგებოდათ, მგონია, მთაშიც პირველად იყვნენ. წარმოიდგინეთ, გაბედას ქედს ამოჰყვნენ და როგორც კი ჰასანის ნადგომს მოაღწიეს, აღმოსავლეთით მთის ფერდობზე, ახლა მე რომ დავყურებდი, არჩვების (ფსიტების) ჯოგი შენიშნეს, ბარგი დაყარეს, ოთხნი მიეპარნენ და თოფების ბათქა-ბუთქი ატეხეს. ჯოგი გაიქცა, სამი კი ადგილზე დარჩა. შემოატყავეს, დასავლეთის მხარეს ჰასანას ნაბინავრიდან, ხევის პირზე მეცხვარეები იდგნენ და ღამე იქ დარჩნენ. იმ ღამეს მწვადებზე იქეიფეს და დაიძინეს. დილით ოთხნი კვლავ წავიდნენ გუშინდელ „ნაომარ“ ადგილზე და იქვე, არც იქით და არც აქეთ, კვლავ არჩვების ჯოგს წააწყდნენ და ორი მოკლეს. დილა-საღამოს 5 არჩვი მოინადირეს ნადირობაში გაუთვითცნობიერებელმა ახალგაზრდებმა – ბედიც ამას ჰქვია.

მაღლიდან ცერზე ჩამომავალი ამხანაგები შევნიშნე. მე არა ვარ პროფესიონალი მონადირე, ამაზე არც მქონია პრეტენზია, მაგრამ ლაბო და ილიაზი კარგი მონადირეები იყვნენ, ადგილმდებარეობასაც იცნობდნენ, ნადირის გეზიც კარგად იცოდნენ, მაგრამ მთავარი მაინც იღბალია, თუ არ გიწერია, ნადირს კი არა, ჩიტსაც ვერ მოჰკლავ.

ერთად წავედით ხევისკენ. ლაბო და ილიაზი დაბლა ჩავიდნენ, მე პირდაპირ განვაგრძე გზა ფერდობზე. ვიფიქრე მეცხვარის ნაბინავართან გავიდოდი, იქიდან დავეშვებოდი დაბლა, ხევიდან გადმომავალ ბიჭებს შევხდებოდი და ერთად გავაგრ-

ძელებდით გზას. მივდიოდი, თან თვალს ვადევნებდი ამხანაგებს, რომლებიც თოვლის ზვავთან მივიდნენ და იქ, სადაც გუშინ ცხვარი შედეს ბუნებრივ მაცივარში, სადაც ხევის წყალი ზვავქვეშ იკარგებოდა, ქვების გადმოყრა დაიწყეს საცავის გამოსათავისუფლებლად.

რაღაც დიდხანს აყოვნებდნენ, დავეჭვდი და დაკვირვებით დავიწყე ყურება. ლაბომ ხელი შეყო, ტყავისა და მატყლის ბღუჩა გადმოყარა, შეიხედა, ხელიც მოაფათურა, წამოიმართა და ამხანაგს რაღაც უთხრა, ახლა ისიც დაიხარა და შეამოწმა ხვრელი, მერე გაიმართა და თავი გაიქნია.

ყველაფერს მივხვდი: ცხვარი ადგილზე არ იყო, მტაცებელი ნადირის წაღებული იყო, დათვის ან მგლის. ჩემი ზეიმის ჯერი იყო, უნდა ვაღიარო, გახარებული ვიყავი. ამ ამბავმა ჩვენი წარუმატებლობა გადაფარა ჩემთვის, შეცბუნებული ჩემი ამხანაგების ყურება ღირდა ერთ ამბად.

– რაო, კენთიი, რას უდგეხართ, წამოიღეთ თქვენი ნანადირევი და წავიდეთ, რას აგვიანებთ.

– რა წამოვიღოთ, რაც არ არის, – ამომიძახა ლაბომ. მე, ვითომც ვერაფერს ვხვდები, ვეუბნები:

– როგორ თუ არ არის. კარგად დავინახე გუშინ, რომ სწორედ იმ ადგილას შედეთ ცხვარი.

– დიახ, აქ შევინახეთ, მაგრამ ვილაცამ თუ რაღაცამ იფიქრა, ცუდად შეუნახავთო და წაუღია, – სიცილით ამომძახა ილიაზმა.

– კი, მაგრამ რა უსამართლობაა, სხვისი ნანადირევი მიითვისო, ეს ხომ ქურდობაა. მართლა, გამახსენდა ერთი ანდაზა: ქურდის ქურდი ცხონებულიაო. მე თუ მკითხავთ, სასაყვედურო არ უნდა გქონდეთ მაგ ცხონებულთან. ლაბაზან, ვინ ჩაიდენდა ასეთ თავხედობას? – ჩავძახე ლაბოს.

– დათვი, წყეული დათვი. მაგის ტორების ნაკვალევი ნათლად ატყვია, მონადირეა ისიც რაღა, სხვისი ნადავლი წაიღო.

– მერე, შენც ხომ მონადირე ხარ, სხვისი საკუთრება მოინადირე. დათვმა წაიღო ის, რაც შენ არ გეკუთვნოდა, სამართლიანი დათვი ყოფილა, მეცხვარეს კი არ მიუხტა და მოსტაცა

ცხვარი, არამედ ნაქურდალი დააგემოვნა. თუ არ ვცდები, შენ-
გან თუ ილიაზისგან გავიგონე გუშინ, ნაქურდალი უფრო გემ-
რიელი არისო.

ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, მეცხრე ცაზე ვიყავი და მთე-
ლი გზა ხორაჯომდე მეგობრების ქილიკში გავლიე და დაღლი-
ლობა არც კი მიგრძნია.

დაჭრილი დათვის კვალდაკვალ

როგორც კი გავიგე, ვისერგი (ფაცოიჩი) მთიდან ჩამოვიდა ცხენებითო, მაშინვე დავუკავშირდი და ვკითხე, – თუ როდის აპირებდა დაბრუნებას ცხვართან. ფაცოიჩი ბოლო ხანს თიანეთის მთებში დამკვიდრდა, რადგან საძოვარიც მეტი იყო და, რაც მთავარია, მანქანით მისადგომი იყო. პანკისის სათავე მთებში ბარგის ატან-ჩამოტანა, ყველისა და მატყლის ბარში ჩამოტანა, საკვების მთებში ატანა და სხვ. დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამ ყველაფერს ცხენები სჭირდებოდა, რაც დიდ შრომას, დროს და გამწევი ძალის სიმრავლეს მოითხოვს. თიანეთში სამანქანე გზა იორს მიჰყვება და ზედ მთებამდე აღწევს, მაღლა, ივრის სათავეებში თუ დგას ცხვარი, ბინებამდე ბარგს ცხენებით უცბად მიიტანენ.

თუ პანკისიდან გადახვალ მთებით თიანეთის მთებისკენ, არც ისე შორია. თანაც ტბათანაში, ზედ საქისტოს ძირამდე მანქანის გზაა და, იქიდან რამდენიმე საათში ივრის სათავეებს მიაღწევ. ერთი სიტყვით, ძალიან მოსახერხებელია მეცხვარისთვის ივრის მთები, თანაც არცთუ ისე დაქანებული მთებია, საქონლისთვისა უშიშარი და რაც მთავარია, ნადირით მდიდარი მთებია, განსაკუთრებით ბევრია დათვი და არჩვი. დათვი არ მაინტერესებდა, ყველაზე კარგად ვიცნობდი არჩვს, მასზე ნადირობა მიტაცებდა, ინტერესით ვეცნობოდი მის ჩვევებს, ცხოვრებას და ვფიქრობდი, რომ კარგად ვიცნობდი ამ ნადირს.

დილით მზე კარგად იყო ამოსული, როცა დუისიდან გავედით ფაცოიჩი და მე. ცხენებით მსუბუქი ბარგი მიგვქონდა (ხილი, ბოსტნეული, სასმელი, მწყემსებისთვის ტანსაცმელი, სიგარეტი და სხვ.), ორი ცხენისთვის ბარგი არ აგვიკიდია, მხოლოდ საწვიმრები გვქონდა უნაგირს უკან დაკრული. მე საწვიმარში AKM-ის სისტემის კალაშნიკოვის ავტომატი მქონდა გახვეული.

ნელი ჩორთით მივდიოდით, გვერდიგვერდ მივყვებოდით და ვბაასობდით. ფაცოიჩი ჩემზე უფროსი არის, უფროს ძმასავით მიყვარს, ისიც ძალიან დიდ პატივს მცემს, მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს და ხასიათებითაც კარგად შევეწყეთ. მის უფროს ვაჟს ცოლად ჩემი დისწული ჰყავს, ე. ი. მძახლებიცა ვართ, შეძენილი ნათესავები სხვა მხრიდანაც, რაც ქისტებში დაფასებულია. ფაცოიჩი ძველი ყაიდის, ქისტურ ადათ-წესებზე აღზრდილი კაცია და წინაპართა ტრადიციების მტკიცე დამცველი. ამან უფრო მტკიცედ დაგვაახლოვა ერთმანეთთან.

ტბათანაში, საქისტოს მთის აღმოსავლეთ ძირში, ტბის თავში, ტბის მკვებავ ცივ ანკარა წყაროსთან დავისვენეთ, წავიხემსეთ და საქისტო მთის აღმართზე დაკლაკნილ ბილიკს შევუდექით. ლეკუანში მივდიოდით, შეგვეძლო უფრო იოლი, საქისტოს ფერდობზე გამავალი ბილიკით გაგვევლო ზუროსგორი, საყვავის გორი, ღორღიანი და საქისტო მთის სამხრეთის მხრიდან ლეკუანში გადავსულიყავით. ცხენებისთვის ადვილი სავალი იყო ეს ბილიკი, მთელ საქისტოს მთას გვერდზე, ეკვადორის ხაზივით შემოვუვლიდით, მაგრამ შორი იყო. რადგან ცხენები მსუბუქად გვქონდა დატვირთული, მოკლე, მაგრამ აღმართიანი გზა ავირჩიეთ.

აღმართზე ცხენებიდან არ ჩამოვსულვართ, სვენებ-სვენებით მივიწევდით მაღლა, ცის ფონისკენ. როცა კლდიან მონაკვეთს ავცდით, ჩრდილოეთით დუისელი ვისარღის ბინა შევნიშნეთ, მაგრამ გზიდან არ გადაგვიხვევია, გზა განვაგრძეთ.

ავედით საქისტოს მთის ზურგზე გაჭიმულ პატარა ბორცვებიან ვაკეზე, მწვერვალი მხარმარცხნივ ჩამოვიტოვეთ და გზა განვაგრძეთ ჩრდილო-დასავლეთისკენ. ცხენები, აღმართის

შემდეგ, თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ხალისით მიიწევდნენ წინ.

– ფაცოიჩ, ჩემი აზრით, საქისტო ყველა გარშემო არსებულ მთაზე დიდია. მართალია, სიმაღლით ჩამორჩება სხვა მთებს, მაგრამ უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს, – ვეუბნები ვისერგის.

– მართალი ხარ. საქისტო საკვანძო მთა არის. აქედან შეგიძლია ნებისმიერ მთაში, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებშია აღმართული, წახვიდე. აღმოსავლეთით – ტბათანა; სამხრეთით – ზუროსგორი, საყვავის გორი, ღორღიანი, წითური; დასავლეთით – ლეკუანა; ჩრდილოეთით საყორნე, ლამაზური, ქოჩადალა; ეს ის მთებია, რომლებიც საქისტოს განშტოებებია. ახლა ნახე, საით შეიძლება გასწიო აქედან: აღმოსავლეთით – მთათუშეთში, დაღესტანში, პანკისში; სამხრეთით – თიანეთში, უკანა ფშავში; დასავლეთით – ხევსურეთში, ყაზბეგში, ჩრდილოეთით – ჩეჩნეთში, ინგუშეთში. ერთი სიტყვით, აქედან ყველა მხარეში გზა ხსნილია შენთვის, – გაიცინა ფაცოიჩმა და მათრახით წრე შემოხაზა.

საქისტოს წყაროს მივაღწიეთ. ეს წყარო ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცივი წყარო. მართლაც რომ ძალიან ცივი წყალია, ერთ ჭიქას ვერ გამოცლის კაცი სულმოუთქმელად, ისეთი ცივია, კბილებსა ყინავს.

წყაროსთან შორიახლო ბატკანი იყო დაყრილი, იქვე მწვანეზე მწყემსს ეძინა გაშლილ წამოსასხამზე, რომელსაც ცხენების ხმაურზე გაეღვიძა და წამოჯდა. როცა შევხედე, ვიცანი ჩემი მეგობარი ომალოელი ბისანა გუნაშაშვილი (თოიჩი), ჩემი კოლეგა მასწავლებელი. სიხარულისგან ერთი დავიკივლე, სწრაფად ჩამოვხტი ცხენიდან და ასევე სიხარულის შეძახილით ფეხზე წამომხტარ თოიჩს გადავეხვიე. სალამ-ქალამის, ხაბარ-ხუბარის შემდეგ იქვე მოლზე სუფრა გავშალეთ, არყიანი „კანისტრა“ გადმოვიღეთ, მოზრდილი კიტრი შუაზე გადავჭერი, დანით გული ამოვიღე და ჭიქა გამოვიდა.

კარგა ხანს შევყევით სმას. თოიჩის ბატკანი აიყარა და მაღლა კალთებს შეეფინა, ნაწილი ლამაზურის ქედს გადაეფარა და ჩვენი თანამეინახეც წამოდგა, გუდა და საწვიმარ-წამოსასხამი აიღო და წასასვლელად გაემზადა.

– თოიჩ, როგორ უძლებ მებატკნეობას, ეს ხომ ყველაზე ძნელი საქმეა მეცხვარეობაში. რა დროს შენი და ჩემი მებატკნეობაა, ჩვენი ასაკისთვის ეს საკმაოდ მძიმე ტვირთია, – რჩევის ტონით ვეუბნები ბისანას.

– არაფერია, უარესიც მინახავს. ხომ გაგიგონია, ბებრისა რქანიც ეწევიანო. შენი რა გითხრა, მე ჯერ ჯეილად ვგრძნობ თავს (არა და ჩემზე 4-5 წლით იქნებოდა უფროსი), არდადეგებზე მაგ სიცხეში არყის სმას მთის ჰაერზე ყოფნა ვირჩიე, – სიცილით მითხრა თოიჩმა, ძაღლებს დაუსტვინა და ახალგაზრდული ნაბიჯით წავიდა ბატკნის ფარისაკენ, რომლის ბოლო ნოტოც ქედის ცერს ეფარებოდა.

მე და ვისერგიმ ცხენები წინ გავირეკეთ და დაბლა დავეშვით ლეკუანისკენ. დაშვება არცთუ ისე ძნელია, ცხენებს უფრო უჭირთ, ვიდრე ადამიანებს. ლეკუანისკენ დაშვებული საქისტოს ფერდობები არ არის ისეთი დამრეცი, როგორც სამხრეთის კალთებია.

ერთი საათის შემდეგ ბინასაც მივაღწიეთ, ძაღლები ყეფით გამოენთნენ ჩვენკენ, მაგრამ როგორც კი ვისერგის ხმა გაიგონეს, კუდის ქიცინით მოგვიახლოვდნენ და პატრონის ფეხებს გაეხახუნენ.

ბინაში მწყემსები სიხარულით შეგვხვდნენ, შემოგვეხვივნენ, ბარის ამბები გამოგვკითხეს, ვისერგიმ უთხრა სარქალს, ვისერგი გუმაშვილს:

– აბა, სარქალო, გაისარჯე და მასპინძლობა გაგვიწიე, სტუმარი მახლავს, არ შემარცხვინო.

– ფიქრი ნუ გაქვს, საკლავის საშოვნელად სხვაგან წასვლა კი არ მჭირდება, – სიცილით უპასუხა და იქვე მდგომ შავგვრემან, სანდომიანი სახის ახალგაზრდას მიუბრუნდა, – გელა, წადი, კარგი ჭედილა შეარჩიე და დაკალი. აბა, შენ იცი, სწრაფად იმოქმედე.

მე დაკვირვებით შევხედე ახალგაზრდა მწყემსს. სწორედ ის მონადირე იყო, რომელზეც მიყვებოდა ფაცოიჩი. ჩემი მზერა რომ შენიშნა, სარქალმა, რომელმაც იცოდა ჩემი ნადირობის ამბავი, მეუბნება:

– დღეს საღამო ხანს დათვი შევნიშნე გაღმა ტყის პირზე, – თან თითით მიმანიშნა ჩვენ პირდაპირ, ხევის გაღმა დიყიან სერზე, – გელა სასწრაფოდ წავიდა, აქედან ჩვენ დურბინდით ვხედავდით, როგორ ეპარებოდა. დათვმა იგრძნო საფრთხე და ტყისკენ გაიქცა, გელამ ორჯერ თუ სამჯერ ესროლა, მერე დათვიც და ისიც ტყეს შეეფარა. რამდენიმე ხნის შემდეგ გელა დავინახეთ, რომელიც უკან ბრუნდებოდა. ოცი წუთიც არ იქნება, რაც ამოვიდა ბინაში. მოგვიყვა – მოვარტყი, სისხლის ნაშხეფებიც შევნიშნე ბუერას ფოთლებზე, მაგრამ დევნა ვერ გავბედეო.

– სწორადაც მოქცეულა, დაჭრილმა დათვმა ჩასაფრება და მონადირეზე თავდასხმა იცის. გახსოვთ ალბათ, როგორ მოჰკლა ომალოელი მონადირე ლადო წუწაშვილი მის მიერ დაჭრილმა დათვმა. მთელი კვირა ეძებდნენ ომალოელები დაკარგულ მონადირეს, ბოლოს მიაგნეს დათვისა და მონადირის კვალს თოვლზე. დათვის კვალი სისხლიანი იყო და ამით დაასკვნეს, რომ მონადირეს დაეჭრა დათვი და გამოკიდებოდა. იელის ბუჩქების ახლოს გაევლო დათვს, მერე წრე დაერტყა, იმ იელის ბუჩქებში ჩასაფრებული თავს დასხმოდა და მოეკლა, თოვლი მიეყარა ზედ და წასულიყო, – შევახსენე მწყემსებს არცთუ დიდიხნის ამბავი.

ხაშლამაზე და მწვადებზე ვიქეიფეთ. სუფრაზე მე და გელა შევთანხმდით, რომ დილაადრიან გავიდოდით გაღმა და მივყოლოდით დათვის კვალს. გელა დარწმუნებული იყო, რომ დათვი მძიმედ იყო დაჭრილი და შორს ვერ წავიდოდა.

ვისერგის წინასწარ მოეწყო ჩემთვის ქვეშაგები და იმის ფიქრში, როგორი ნადირობა გვექნებოდა მეორე დღისთვის, ჩამეძინა. სიზმარი ვნახე, თითქოს მე და გელა იელის ხშირ ბუჩქნარში მივყვებოდით დათვის კვალს. იელის ფოთლებზე

ჩანდა სისხლის წითელი ლაქები, წინ მივდიოდი და ავტომატის ლულით ვაჩვენებდი გელას სისხლის წვეთებს. უცბად წინ, რაღაც ხუთიოდე მეტრში ჩემს წინ აღიმართა ვეებერთელა დათვი, ბოროტი თვალები შემომანათა და ამ დროს უკან დაიქუხა ამხანაგის თოფმა და ვიგრძენი, თუ როგორ გაიწუილა ტყვიამ ჩემს ყურის ძირში. შეშინებულმა შევყვირე, რას შვრები... და გამეღვიძა კიდეც.

დილის რიჟრაჟი იდგა. ვიწექი და ვიგონებდი სიზმრის დეტალებს. სიზმრის არ მჯერა, მაგრამ მაინც ვიცავ წესს, რომელიც ბავშვობაში გამიგონია: სიზმარი არ უნდა მოჰყვე, განსაკუთრებით ცუდი სიზმარი, თუ არ გინდა, რომ აგიცხადდეს. ამიტომ მაშინვე დავივიწყე კიდეც, გელა გავაღვიძე, ყველი და პური ჯიბეებში ჩავიწყეთ და დავეშვით დაბლა ხევში.

როცა წყალში გავტოპეთ, სიცივისგან ამაკანკალა. სწრაფად ჩავიცვით და გავწიეთ დათვის ნათოფარი ადგილისაკენ. კვალი აშკარად ჩანდა, ნათლად ეტყობოდა, რომ პირველ ხანებში დათვი მირბოდა, აქეთ-იქით მითელ-მოთელილი იყო დიყისა და ბუერას ღეროები. ბუერას ფოთლებზე შესამჩნევად ჩანდა სისხლის ლაქები. აშკარა იყო, დათვს ფერდში მოხვედროდა ტყვია. წინ მე მივდიოდი, უკან გელა მომყვებოდა. როცა ტყეში შევედით, ხედვის არე შემიმცირდა, წინ მხოლოდ ხეები და ბურახი ჩანდა. სისხლის კვალიც თითქმის გაქრა.

უცბად სიზმარი გამახსენდა. შევდექი, გელას ვანიშნე, ახლოს მოსულიყო და ჩავჩურჩულე: „შენ წინ იარე, თუ დათვი ჩასაფრებულია, უკნიდან დაგვესხმის თავს, მე უფრო მომზადებული დავხვდები-მეთქი“. მან თავი დამიქნია და წინ წავიდა.

მართალს ვამბობდი, თავდასხმა უკანა კაცზე მოხდებოდა, ეს ვარაუდი სწორი იყო და ვფიქრობდი, რომ სწორედ ამიტომ მოვიქეცი ასე, მაგრამ ღამე, როცა ვიგონებდი განვლილი დღის მარშრუტს, უცბად გონებაში გამკრა: სიზმარი გამახსენდა, ინსტიქტი ამოქმედდა და ამიტომ წავიმძღვარე წინ ამხანაგი. შემრცხვა, ვიგრძენი, რომ სიბნელეში გავწითლდი სირცხვილისაგან.

სისხლი გაქრა, მაგრამ კვალი ჩანდა და მივყევით. უცბად ტყე დამთავრდა და გავედით მწვანით მოსილ დავაკებულ ადგილზე. მართალია, ბალახი აქ მაღალი იყო, მთელი ფერდობი ჭრელი ყვავილებით იყო მოფენილი, მაგრამ კვალი არსად ჩანდა, აქეთ ვეცით, იქით ვეცით, წინ წავედით, აღმა შევყევით, დაბლა დავეშვით, მაგრამ საქმეში ხარ, თითქოს მიწამ ჩანთქა დაჭრილი დათვი. შუადღემდე შევამოწმეთ მთელი მიდამო, დაუთვალიერებელი მცირე მონაკვეთი, ბექი, ღარი, ბორცვი თუ ხრამი არ დაგვიტოვებია, მაგრამ დათვი კი არა, მცირე ნაკვალევიც კი არ შეგვიმჩნევია.

– სად გაქრა, ეგ ძაღლისშვილი, სად დაიმალა? – დუღდა გელა, – სისხლს ხომ არ ალოკავდა, ასე წმინდად რომ წაშალა კვალი.

– შენი ავტომატი „აკაესია“ (AKC), მცირე, 5,45 ყალიბრის. ჩემი აზრით, ტყვიამ ორივე ფერდში ისე გაიარა, რომ სასიცოცხლო ორგანო არ დაუზიანებია. შენი დათვი, როგორც ჩანს, მსუქანი ყოფილა, ნახვრეტები ქონმა დაფარა და სისხლდენა შეუჩერა, შორს წავიდოდა, სადმე ჩაწვება და ვფიქრობ, ჩაძაღლდება კიდეც. მაგრამ მე და შენ რას გვარგებს მისი ასეთი სიკვდილი, – ბოლმით ვუპასუხე.

ნადირობის დროს წარუმატებლობა უფრო დიდია, ვიდრე იღბლიანობა, ეს ჩემ თავზე გამოცდილი მქონდა და არცთუ დიდად ვიწუხებდი თავს მარცხის გამო. კარგად ვიცოდი, რომ ყველა ნადირობა ნადირის მოპოვებით რომ დამთავრებულიყო, ნადირობაც დასრულდებოდა, რამეთუ სანადირო ობიექტი გაქრებოდა, როგორც გაქრა ბევრი ცხოველის სახეობა დედამიწაზე.

იყო კიდევ ერთი მიზეზიც, რაც დაჭრილი დათვის დევნის ხალისს მიკარგავდა. ეს სიყმაწვილის დროინდელი მოგონება იყო, ყმაწვილს სირცხვილი რომ მაჭამა დათვმა და დღესაც კი თან დამყვება ეს გრძნობა.

იმ ზაფხულს ტბათანაში ვისვენებდით, ორლულიანი თოფი მქონდა და ტყეში ჩიტებს დავდევდი დღენიადაგ. ჩხართვების

დევნამ ისე დამღალა, არაქათი გამომელია, წიფლის ძირში დავისვენე და გავწიე ხევისკენ, სადაც ხრიოკ ნაშალებზე ჟოლო – წითელი მაყვალი (წიე ქომურიშ) მეგულებოდა. ბურახში, გვიმრების, ბუერასა და სხვ. მცენარეებში ძლივს ვიკვლევდი გზას.

წინ რაღაც ხმაური შემომესმა, ვიფიქრე, ამ სიშორეზე ჩამოსულან ძროხები-მეთქი და თამამად გავწიე წინ და რაღაც 3-4 მეტრში დათვი შევნიშნე. პირველად ვერც გავიაზრე, პატარა მოზვერი მეგონა, მაგრამ როცა უკანა ფეხებზე წამოიმართა და შემომხედა, გავშეშდი.

საოცრად გაკვირვებული ჩანდა, ბრიყვულად მოეჭუტა თვალები, ლაშებზე დუჟი ჩამოსდიოდა, რაღაც მცენარის ფესვები გაჩროდა პირში, განცვიფრებისგან პირი ღიად დარჩენოდა. ალბათ, ასეთივე შტერული გამომეტყველება მქონდა მეც, მოულოდნელი შეხვედრით გაოცებული უძრავად ვიდექი, თოფი მხარიღლივ მქონდა გადაკიდებული, ორივე ლულაში ჩიტის საფანტიანი ვაზნები მედო, მაგრამ ასეთი ახლო მანძილზე კარტეჩის როლს შეასრულებდა, მუშტისხელა ხვრელებს გაუკეთებდა დათვს მუცელზე. მაგრამ თოფი რომ მქონდა, არც კი გამხსენებია, მონუსხულივით შევცქეროდი. არ ვიცი, რამდენხანს ვიდექით ერთმანეთს მიშტერებული, ალბათ, რაღაც წამები. მგონი, პირველმა მე ვაქციე ზურგი და თავქუდმოგლეჯით, ხრიგინით მოვკურცხლე დათვის საპირისპირო მხარეს. თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა: „სწრაფად, არ დამეწიოს!“

პირველად უკან რაღაც ხმაური მომესმა, მერე მხოლოდ ჩემ მიერ ატეხილი ლაწა-ლუწი ისმოდა, ხომ არ დამეწია-მეთქი, უკან მოვიხედე ისე, რომ სირბილი არ შემინელებია. დათვი არსად ჩანდა ჩემ უკან, საპირისპირო მხარეს ბურახს ეტყობოდა, როგორ სწრაფად მირბოდა დათუნია.

როგორც ჩანს, ჩვენ ერთდროულად მოვწყდით შეხვედრის ადგილიდან და ორივემ, შიშისგან გონდაკარგულებმა, საპირისპირო მხარეს მოვკურცხლეთ.

ბურახიდან მწვანეზე გამოვედი, ბალახზე ჩამოვჯექი. შიშისა და სირცხვილის ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, ისე ვიყავი

გასავათებული, ძლივს ვსუნთქავდი. შიშის გრძნობა სირცხვილის გრძნობამ დაძლია, საოცარმა სინანულმა შემიპყრო, თავმოყვარეობა შელახული მქონდა, ალბათ, სირცხვილისგან წითლად ვღვიოდი.

სად გაქრა ჩემი მამაცობა, თუშის თანატოლებთან ხომ ვტრაბახობდი – დათვი რომ შემხვდეს, თოფს დავახლი და თუ შემომიტია, ხანჯლით გამოვფატრავ მუცელს-მეთქი (ხანჯალი ყოველთვის წელზე მერტყა)... მე კი პირველივე შეხვედრისთანავე ლაჩრულად პირველმა დავტოვე ბრძოლის ველი. ჩემს თავს ვლანძღავდი: ლაჩარო, მკვეხარავ, დიაცივით გაექეცი დათვს...

ეს გრძნობა, სირცხვილის შეგრძნება დიდხანს დამყვებოდა თან და დათვიც შემჯავრდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ჯოყოლოელმა პროფესიონალმა მონადირემ, შოთა გუმაშვილმა მომიყვა დათვზე ნადირობის დროს თავს გადამხდარი შემთხვევა:

„ქოჩადლის ხევში ვნადირობდით. მე ტბათანიდან დაშვებულ ტყიან ქედებს მივყვებოდი, ამხანაგები კი მოპირდაპირე მხარეს სუბუქის მზისპირა ფერდობებს „ამუშავებდნენ“. უცბად ხევიდან დათვი ამოვარდა და წინ გაქანდა. ვესროლე, მაგრამ ავაცდინე. სწრაფად მივყევი უკან, ოქტომბრის ბოლო დღეები იყო, თოვლი ახალი მოსული იყო და კვალი ნათლად ეტყობოდა, კვალს მივყევი. ამ დროს დათვი ემზადება საზამთრო ძილისთვის, მოუსვენრად დაწანწალებს ტყეში, საკვებს ეძებს, რათა საზამთროდ გასუქდეს და ქონი მოიგდოს. ეს დათვი უცნაურად იქცეოდა, მემალებოდა, რატომღაც არ უნდოდა შორს წასვლა, იელის ბუჩქებში აღმოვაჩინე, ერთ დაიღრინა და გავარდა. ვესროლე და კვლავ ავაცდინე.

ბოლოს ბექობს მივადექით დევნილ-მდევარი და დათვი უცბად გაქრა. მივირბინე, ფრიალო ნაპრალს მივადექი, დაუფიქრებლად ჩავეშვი და ქვაბულში მოწრიალე დათვის პირისპირ აღმოვჩნდი. გარშემო სწორად დაქანებული პიტალო კლდეები დაახლოებით 10-16 კვ. მეტრის პატარა ქვაბულს

ქმნიდა, რომელსაც ერთადერთი გასასვლელი ჰქონდა, რომლითაც ჩავცურდით დათვი და მე.

ჩიხში ვიყავით, გასასვლელთან მე ვიდექი და ვცდილობდი, თავში მესროლა. დათვი აქეთ-იქით დარბოდა, თოფს თავს არიდებდა, ბრდღვინავდა, არ მაძლევდა თავში სროლის საშუალებას.

როგორც იქნა, დავუმიზნე და ვესროლე, ვიცოდი, რომ არ უნდა ამეცდინა, სანამ მეორედ გადავტენიდი თოფს, დაჭრილი შეიძლება მცემოდა. თოფი (ავსტრიული შაშხანა) გავარდა და დათვიც დაეცა. სასხლეტს რომ გამოვკარი თითი, დათვმა თავი შეაბრუნა, ტყვია კისერში მოხვდა და კისრის ხერხემალი გადაუმსხვრია“.

– კი, მაგრამ როგორ არ გეცა, მას ხომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა? – ვეკითხები შოთას.

– დათვს ყოველთვის ეშინია ადამიანის, მით უმეტეს, თუ ის თოფიანია. ის ინსტიქტით ხვდება, რომ თოფი მისთვის ძალიან საშიშია. არ არსებობს ნადირი, რომელიც ადამიანს არ გაურბოდეს.

ჩემი დათვთან პირველი შეხვედრის ამბავი მოვუყევი. მან გაიცინა და მითხრა:

– ასეთი რამ ყველას დაემართება დათვთან პირველი შეხვედრის დროს, ამაზე ნუ წუხხარ. შენ არ უნდა იფიქრო იმაზე, რომ დაგტორავს, კაცი ყოველთვის აჯობებს დათვს, ეს უნდა გწამდეს, მართალია, ბევრი მონადირე შეიწირა, ჩვენთანაც და სხვაგანაც, დათვთან შეტაკებამ, მაგრამ ისინი გაუფრთხილებლობამ დაღუპა.

საუბრის დროს გაიხსენა ბეისარ ჩიტაშვილი, რომელიც პირისპირ შეება გამძვინვარებულ დათვს. ბეისარმა, პროფესიონალმა მონადირემ დაჭრა დათვი, რომელიც ხევში გადაეშვა. მონადირე თან მიჰყვა, სისხლიან კვალს დაადგა და წააწყდა ჩასაფრებულ ნადირს. დათვი, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, ელვისუსწრაფესად თავს დაესხა. ბეისარმა თოფის სროლა ვერ მოასწრო, მძვინვარე დათვმა თათი ჰკრა და გააგდებინა ხელიდან,

უკანა ფეხებზე წამოიმართა და საშინელი ღრიალით შეუტია, მაგრამ ბეისარი არ შეეპუა, ხანჯალი იშიშვლა, თავიდან მოიშვლიპა ბატკნის ქურქისგან შეკერილი ფაფახი და როცა დათვი ღრიალით ეძგერა, ხახაში ფაფახი ჩასჩარა მარცხენა ხელით და მარჯვენათი ხანჯალი აძგერა ფერდში. ხანჯალი შამფურივით დაატრიალა ნადირის სხეულში და, სულთმობრძავი ნადირი და აქოშინებული მონადირე ერთდროულად გადაიქცნენ მიწაზე.

დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ნადირობის ტრფიალი იყო. 1858 წ. დათვზე ნადირობის დროს ნადირს პირისპირ შეეჩეხა. მეორე სროლაზე დაჭრა. დათვი ეცა, თოვლში წააქცია და დატორა. მწერალმა ბეწვის ქუდი ხახაში ჩასჩარა. ამხანაგმა ოსტამკოვმა მოუსწრო და დათვს თავში ესროლა. ლევ ტოლსტოის სახეზე ორი ნაიარევი დარჩა – შუბლზე და თვალთან.

ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივად დათვისა და მონადირის დიალოგი:

„ – დათვო, სთქვი შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
– ვაჟაი სვილის ფერაი ტოტ და ტოტ მეომებოდა;
ვაჟაი ქალისპირაი გორისპირთ ეფარებოდა“.

(ხალხური)

მართალია, გულს მომეფონა მონადირის მონაყოლი, მაგრამ ის უსიამო გრძნობა, რომელიც გამომყვა დათვთან პირველი შეხვედრიდან, დღესაც არ გამქრალა ჩემში და არც როდისმე გამჩენია სურვილი დათვზე ნადირობისა.

ბეისარი იყო „ვაჟაი სვილის ფერაი“, ხოლო მე ვემსგავსებოდი „ვაჟაი ქალისპირაის“, რომელიც დათვს გაექცა, თუმცა ბეისარი გამობრძმედილი ბუმბერაზი აღნაგობის მონადირე იყო, მე კი პირტიტველა ყმაწვილი.

გელას ვეუბნები:

– ძმისწულო, არ ღირს დროის დაკარგვა შენი დათვის დევნით, მას უამრავი დრო ჰქონდა, გაცლოდა ამ ადგილებს. თუ მძიმედ იყო დაჭრილი, მგონია, დაბლა, წყლისკენ ჩავიდოდა.

გამიგონია, დაჭრილს წყურვილი ახრჩობს. მოდი, ჩავიდეთ ხევში, გაღმა გავიდეთ და მოპირდაპირე ხევს ავყვეთ, მერე ჩრდილოეთისკენ გავუხვევთ და ბინაზე გავალთ.

– კარგი, როგორც იტყვი. გაღმა შეიძლება ფსიტებსაც წავაწყდეთ, – დამეთანხმა გელა და წინ ჩამიძღვა.

ორ ფერდობს შუა მშრალი ხევი იყო, ბრტყელი სიპი ქვებით მოფენილი, ეტყობოდა, ძლიერი წვიმის დროს ნიაღვრით ივსებოდა და ღვარცოფად იქცეოდა. ამ ღარით სიარული უფრო იოლი იყო, ვიდრე ფერდობზე, რომელიც გვიმრებით, მსუსხავი ჭინჭრით, ეკლიანი მაყვლითა და სხვა მცენარეებით იყო დაფარული.

ნელა ჩავყევით ხევს, დიყისა და ბუერას მაღალ ღეროებში გზას მივიკვლევდით, ვცდილობდით, არ გვეხმაურა. ტენიან ღარში სიპის ქვები შავად ლივლივებდნენ, ზედ ფეხი გვიცურდებოდა და ხანდახან საჯდომით ვეცემოდით ბრტყელ ლოდებზე.

დიდ ხევში ჩავედით, იორის სათავე წყლის ნაპირებზე შევნიშნე ჟოლოს ნაირსახეობა, წითელი და შავი ფერის მოცვის სიმსხო ნაყოფი. ქისტები ხეზარს ეძახიან. წითელი ნაყოფი მტევნების სახით ჰკიდია ბუჩქებზე, ხოლო შავი ცალკეულ მარცვლებად. გემრიელი მთის ხილია, მე და გელა ავყევით წყლის ნაპირს და სიამოვნებით მივირთმევდით.

გაღმა ხევს ავყევით. უღიმღამო, უსიამოვნო შესახედაობის ხევი იყო. ორივე მხარეზე ფერდობები დიდი სიმაღლიდან ჩამოშლილიყო, არანაირი მცენარე არ ხარობდა ფერდობებზე, მიწის სხვადასხვაფერი ქანებით იყო აჭრელებული. ზოგან მოშავო-ლურჯი ნაშალი იყო, ყოველთვის სველი. ჩვენ ხევის ფსკერს ავყევით აღმა, სიარული არ ჭირდა, ხევის ნაჟური წყალი პატარა იყო, გვალვის დროს, ალბათ, შრებოდა კიდეც.

თითქმის ხევის სათავემდე ავედით, ჩრდილოეთის ფერდზე გავედით და გავწიეთ ბინისაკენ. შუადღისთვის ბინაში ვიყავით, სარქალი და ვისერგი გველოდებოდნენ და, როდესაც სრულიად სხვა მხრიდან მივადექით ბინას, გაუკვირდათ.

– ჩვენ დურბინდით გათვალიერებდით, სანამ ტყეში შეხვიდოდით. რახან დაიგვიანეთ, ვიფიქრეთ, კვალმა შორს გაიტ-

ყუაო. სროლის ხმა რახან არ გაისმა, კი მივხვდით, რომ ვერ მიაგენით დათვს, – გვითხრა სარქალმა.

– ძალიან ჭკვიანი ცხოველია, ძნელია დაჭრილი და დამალული დათვის მიგნება, – უთხრა გელამ, ავტომატ მოიხსნა, ჩემიც აიღო და ქოხში შეიტანა.

ქოხის გარეთ ჩამოვსხედით, სარქალი და გელა დატრიალდნენ, სუფრა გააწყეს და შემოვუსხედით. დაღლილებმა და მშივრებმა მადიანად ვისადილეთ, ჩრდილში ნაბდები გავშალეთ და წამოვწექით დასასვენებლად. დასვენების შემდეგ გელას შევთავაზე ლეკუანის ჩრდილოეთით რკინის მთის კალთების დათვალიერება. ის ხალისით დამეთანხმა, თოფები ავიღეთ და ჩრდილოეთისკენ გავწიეთ.

ცხვრის ბინიდან რაღაც 300-400 მ. ვისერგის ძროხაც ედგა. მათი ბინა უფრო შემაღლებულ, მთის ფერდობზე ერთ დაცემულ, ვაკე ადგილზე იყო აშენებული. იქვე ახლოს ცივი წყარო გადმოჩქეფდა. ბინაში ცოტა ხანს შევყოვნდით, მეძროხეებს გავესაუბრეთ, რუბენამ გვითხრა, რომ გაღმა ხშირად ხედავდა დათვს ორი მოზრდილი ბელით და ჩვენც იქითკენ გავწიეთ.

ლეკუანის ჩრდილო კალთებს გავყევით, ბილიკი ქვემოთ, ხევისკენ ეშვებოდა. ტყის პირზე, ზედ ბილიკთან, განმარტოებით იდგა მაღალი, გაშლილი წიფელი და მის ქვეშ ჩამოვსხედით. თოფები ხეზე მივაყუდეთ, ზურგჩანთები მოვიხსენით და დურბინდით დავიწყეთ გაღმა, რკინის მთიდან დაქანებული ქედების დაზვერვა. თითოეულ მონაკვეთს გულდასმით ვათვალიერებდი, უფრო ჩრდილოვან ადგილებს ვაკვირდებოდი, რადგან ვიცოდი, რომ დღის ამ დროს არჩვები კლდის ჩრდილებში ისვენებენ.

თითქმის მთელი მიდამო მოვათვალიერე, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე – ჩვენს პირდაპირ ღრმა ხევი სათავიდან ბოლომდე კარგად ჩანდა, თვით ის ადგილიც კი, სადაც ეს ხევი უერთდებოდა აღმოსავლეთით, ლამაზურის მწვერვალიდან დაწყებულ ხევს. შეუიარაღებული თვალით შავი ლაქებიც კი ჩანდა ზვავზე. თოვლის ზვავზე ჩვეულებრივ მიწის გორახები, დიდი ქვის ლო-

დები და ხის კუნძები ყრია ხოლმე, ფერდებიდან წამოსული ზვავების ნარჩენები და ამიტომ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

გელამ მანიშნა თეთრად მოქათქათე ზვავზე, რომელიც შუა ხევიდან დაწყებული ვერტიკალურად ეშვებოდა ფუძე ხევზე. დურბინდი მივმართე, ქვევიდან ავყევი და შემდეგ სათავიდან გულდაგულ დავიწყე თვალიერება. ძალიან ფხიზელი დაკვირვებაა საჭირო, რომ ნადირი აღმოაჩინო, რამეთუ ის ბუნებასთან არის შეხამებული, ზოგჯერ ერთარსად არიან ქცეულნი. უცბად რაღაც მოძრაობა შევნიშნე, კარგად დავაკვირდი და დავინახე ბალახიანად მოგლეჯილი დიდი ბელტის გვერდით მწოლარე არჩვი. მარტო იყო, მშვიდად იწვა.

დურბინდი გელას გადავაწოდე და ადგილიც მივანიშნე. მანაც შეათვალიერა და მითხრა, რომ ფსიტია, ვაცი და თანაც კარგა მოზრდილი.

სახელდახელოდ შევადგინეთ გეგმა. გვერდებიდან ვერ მივეპარებოდით, ალპური შიშველი ფერდები ეშვებოდა ორივე მხრიდან, თანაც ნადირი ისე იწვა, რომ მთელი მიდამო მხედველობის არეში მოექცია. გადავწყვიტეთ, დაბლიდან მივპაროდით, თუმცა არ იყო საუკეთესო ვარიანტი.

ზურგჩანთები ხეზე ჩამოვკიდეთ და გამალებით დავეშვით ხევში. ბილიკი დაბლა ეშვებოდა და სწრაფად ჩავედით, ზვავზე გადავიარეთ და მოპირდაპირე ხევის ზვავს ავყევით. მართალია, ზვავი არ იყო დაქანებული, ზედ მიწის გორახები და ბალახბულახი ეყარა და ფეხი არ გვიცურდებოდა, მაგრამ თოვლიან ზვავზე სიარული მაინც ჭირს, მით უმეტეს, როცა მოხრილი, ლამის ოთხით მიდიხარ.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით, გელა ხანდახან თავს ფრთხილად წამოსწევდა, მოათვალიერებდა წინა ხედს და თავის ქნევით მანიშნებდა, ადგილზე არისო. ალბათ, ნახევარი საათი მაინც მივბობღავდით აღმა თოვლიან ზვავზე. მორიგი თავის წამოწევის შემდეგ გელამ მუხლებზე დაიჩოქა და სროლა დაიწყო. მაშინვე წამოვიწიე და ადგილიდან დიდი სისწრაფით მომწყდარ ფსიტს ვესროლე. ერთი, ორი, სამი... მაგრამ ნადირი წა-

მით შეყოვნდა ხევის მარცხენა ქედის ცერზე და მერე სწრაფად გადაევლო.

ნადირისადმი ინტერესი მთლად დავკარგე, როცა ჩემი სროლის ტრაექტორია შევიგრძენი. მე და გელა ერთ ხაზზე ვიყავით, წინ ის იყო, უკან – მე. ის ჩაჩოქილი ისროდა, მე წელში გამართული. რა მოხდებოდა, გელაც რომ წამომხტარიყო? მე ხომ მთელი ყურადღება არჩვზე მქონდა გადატანილი და ამხანაგის არსებობაც კი დავივიწყე. მივხვდი, რომ გაუფრთხილებლად მოვიქეცი, მოსალოდნელი შედეგი გავიაზრე და გუნებაც მომეშხამა.

გელას არაფერი შეუნიშნავს, ნირწამხდარი მომიბრუნდა და მომიგდო:

– წავიდა, ვითომც არაფერი, წავიდა თავისთვის.

– დიდი უზრდელი ვიღაც ყოფილა, რა რჯიდა, რომ ასე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ბარემ მოეცადა და ჩვენს ტყვიებს დალოდებოდა, – ვთქვი ჩემს თავზე გაბრაზებულმა და ავტომატი დამცველზე დავაყენე, გადავიკიდე და დაღმა დავეშვი, ყურადღებაც არ მივაქციე ამხანაგის სიტყვებს, ხომ არ გავეკიდოთო. „ესეც შენი წუხანდელი სიზმარი! მართალია, საპირისპიროდ ახდა, მაგრამ კავშირი ხომ უდავოა“, – ვფიქრობდი ჩემთვის. ერთი რამ მტკიცედ დავიბეჭდე გონებაში – არასოდეს ისროლო წინ მდგომი კაცის თავზე!

წიფლის ქვეშ, სადაც ზურგჩანთები დავტოვეთ, დასასვენებლად ჩამოვსხედით. ჩემი პარტნიორი აქეთ მამშვიდებს:

– აქ ნადირი ბევრია. დღეს, მართალია, ხელი მოგვეცარა, მაგრამ შემდეგში გაგვიმართლებს. მე გამეცინა და ვუთხარი:

– ჩემთვის წარუმატებლობა ნადირობაში ჩვეულებრივი ამბავია, იშვიათად თუ გამიმართლებს ხოლმე, მაგრამ ეს არსებითად არ მოქმედებს ჩემზე, რამეთუ ჩემთვის მთავარია თვით პროცესი ნადირობისა და არა შედეგი.

მაგრამ ამ ეპიზოდმა დაკარგა ხიბლი, ჩემმა გაუფრთხილებელმა სროლამ გუნება მომიშხამა.

შარა მასარის თავზე

დილით რომ გამეღვიძა, გარედან ქართული საუბარი მომესმა, ნაბდის კალთა გადავწიე, წამოვჯექი, რეზინის ჩექმები ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. უცნობს მივესალმე, რომელიც ხალისიანად შემეგება და სიცილით მითხრა:

– აქ რას უზიხარ, რას დასდევ თათრის ტყუილებს, ამოდი მაღლა მასარაზე, არჩვები ჯოგებად დადიან.

– მართლა? დათვებს მეც ვერ ვეწყობი, ჩემი მონადირული სპეციალობა არჩვებია, სიამოვნებით გეწვევი, სად დგეხარ? – ვეკითხები.

– გაღმა ქედის თავში, რკინის მთის განშტოებაა, ქედს იქით გადახვალ და მთა მასარის მწვერვალზე ხარ.

საუზმეზე გეგმა დავსახეთ. თუში მეცხვარე ხალისიანი მოსაუბრე გამოდგა, თანაც კოლეგები აღმოვჩნდით, ფშაველში თუ ლალისყურში ფიზკულტურას ასწავლიდა. სპორტული აღნაგობა ჰქონდა, ფიზიკურად მომზადებული ახალგაზრდა იყო, კარგი მეცხვარე ჩანდა, აბა, თუშს ცხვრისა რა ესწავლება.

შევთანხმდით, რომ მეორე დღეს ვეწვეოდით. მან საჭირო პროდუქტი მოიმარაგა და სუფრას შემოუერთდა, მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებოდა, ცხვარი უპატრონოდ, ძაღლების ამარა ჰყავდა მიტოვებული.

მეორე დილით გავემზადეთ მასარაში წასასვლელად. მდ. იორის ერთ-ერთი სათავის შენაკადს უნდა ავყოლოდით, ვისერ-

გიც ცხენით გამოგვყვა, პროდუქტი უნდა აეტანა მშრალი ცხვრის მწყემსისათვის.

დილაადრიან დავეშვით ხევისკენ. ძალიან ადრე იყო, დილის სუსხი იგრძნობოდა, ბალახზე ცვარი ბრწყინავდა. დაბლა ტყეში სიგრილე იყო, სუსხი სიცივისა გაქრა. აგვისტო იწურებოდა, დეკას სიყვითლე შეეპარა, ძირებში ფოთოლი მწვანედ ხასხასებდა, ხეებზე ფოთლებმაც მთლად არა, მაგრამ ნაწილობრივ სიმწვანე დაკარგა და აჭრელდა, მაღლიდან ისე ჩანდა, როგორც ფერადფერადი ბაწრით ნაქსოვი ხალიჩა.

ხევში სწრაფად ჩავედით, სამხრეთით, კეხის გორისკენ ავიღეთ გეზი. როგორც კი მივაღწიეთ კეხის გორის ძირს, დასავლეთისკენ შევბრუნდით და ავყევით ხევის წყალს. მართალია, ბილიკი არ იყო, მაგრამ ხევს ბრტყელი ძირი ჰქონდა, სიპით დაფარულ ნაპირებზე სიარული არ ჭირდა.

მზე ამოიწვერა კიდეც, როცა ჩრდილოეთისკენ, მასარის მთისკენ ავიღეთ გეზი. მზის სხივებმა ჯერ მთის წვერები გაანათა, შემდეგ თანდათან ხევშიც ჩამოაღწია და სითბოც მოიტანა თან. ჩვენ ნელა შევუდექით აღმართს და საუზმის ხანს („მერთ ხეენ“) მივაღწიეთ ალხაჯს. ცხენს უჭირდა, ვისერგი, მთის ბრწყინვალე მცოდნე, რომელსაც მთელი სიცოცხლე ცხვარში ჰქონდა გატარებული, ცხენს წინ მიუძღოდა, შორიდანვე თვალით ზვერავდა სავალად იოლ ადგილებს და კლაკნილი ხაზით აჰყავდა ცხენი აღმართზე.

მეცხვარე და ცხვარი არ დაგვხვდა ადგილზე, დილიდანვე აიყრებოდნენ სადგომიდან და საღამომდე არც დაბრუნდებოდნენ. ცხენიდან ბარგი ჩამოვხსენით და გზა განვაგრძეთ, ფაცოიჩი იქ დარჩა, რადგან ცხენს მაღლა ვერ ამოიყვანდა.

მზე ზენიტში იდგა, როცა რკალისებური ქედის ცერზე ავედით. ცხელოდა, გაოფლიანებულები ვიყავით, მაგრამ ცერზე ნელი ნიავი ქროდა და ოფლიანი შუბლები მივუშვირეთ, ჩამოვჯექით და დავისვენეთ. ვაკე ცერზე გადავხოხდით და დაბლა ჩავიხედეთ. მასარის მთის ჩრდილო მხარე კლდიანი იყო, მაგრამ შიგადაშიგ ვაკეებიც ჰქონდა. საკმაოდ ფართო ადგილი

რკალისებურად იყო გაშლილი, თანდათან დაბლა იშლებოდა. შორს სიღრმეში წიფლოვანის ხევი ჩანდა და ალაზანი ვერცხლის წვრილი ზოლივით იკლაკნებოდა ვიწრო ხევში. პირდაპირ, ოდნავ მარცხნივ, აღმართულიყო ბორბალოს მწვერვალი, კახეთის ალაზნის, პირიქითა ალაზნისა და ანდაქის წყლის მკვებავი. მწვერვალი ბორბალოსი ქუშად გამოიყურებოდა, კლდეები და ნაშალები სალტედ შემორტყმოდა მის გუმბათს. მრისხანედ გამოიყურებოდა ბორბალო, მისი წვერი ნისლში იყო გახვეული და ნისლიც მოშავო ფერისა იყო. სამაგიეროდ მისგან წამოსული ქედი, რომელიც სპეროზასთან, მახვალის ხევთან წყდებოდა, მწვანით იყო მოსილი. მის იქით, დაბლა ალაზანი მიედინებოდა მთათუშეთისაკენ, მერე დაღესტანს გაივლის და მგონი, ყოუსის სახელით კასპიის ზღვაში ჩაედინება.

ქედების, მთათა წვერების ცქერით ვტკბებოდი, როცა გელა უკან გადმოხოხდა და მითხრა, რომ არჩვების ჯოგი აქვე, დაბლა ფერდობზეა შეფენილიო. მაშინვე გადავხოხდით ცერზე, ქვებს ამოვეფარეთ და ქვევით გადავიხედეთ. გელამ დურბინდი მომაწოდა და ქვემოთ საჩვენებელი თითით მანიშნა ჯოგის ადგილსამყოფელი.

პირველად ვერაფერი შევნიშნე საყურადღებო, მერე ყურადღებით დავაკვირდი და კლდეზე მდგომი ვაცი არჩვი შევნიშნე, რომელიც მიდამოს გადასცქეროდა. მივმართე დურბინდი ამ ვაცის ირგვლივ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯოგი იქნებოდა ამ მონაკვეთში გაფანტული. გაოცებული დავრჩი, როცა შევნიშნე დიდ მონაკვეთზე გაშლილი ჯოგი, რომელიც უდარდელად ძოვდა. მიდამო, მართალია, ქაოტურად გაფანტული კლდეების არეს წარმოადგენდა, მაგრამ უმეტესი ადგილი საძოვარს წარმოადგენდა. როგორც საძოვარი იყო შერეული სახისა, ქვისა და მიწის გაშლილი ერთობლიობა, ისე ფსიტების ჯოგიც გაფანტული იყო ვეებერთელა მონაკვეთზე, ზოგი თითო, ზოგი ორ-ოროლა და სამ-სამი და ასე შემდეგ; ზოგი ძოვდა, ზოგი კლდის ძირში იდგა ან იწვა და ზანტად იცოხნებოდა, მაგრამ ერთობლიობაში ჯოგის სახეს ინარჩუნებდა. ამ მთამ

გაამართლა თავისი სახელწოდება: „მასარ“ ქისტურად არჩვს ნიშნავს.

ძალიან ძნელი იყო მიპარვა, მთელი ფერდობი რკალისებურად იყო გაშლილი, ნახევარმთვარისებურად იყო მოწყობილი. ღია მხარე ჩრდილოეთით, წიფლოვანის ხევისკენ იყო მიქცეული. ყველა მხარე, შესაძლო მიპარვის ადგილი ღია იყო და როგორც შევნიშნე, ჯოგი ისე იყო გაფანტული, რომ ყოველი მხრიდან მთელი მიდამო მათ თვალსაწიერში მოქცეულიყო. რაც მთავარია, გუშაგი არჩვი ისეთ ადგილას იდგა, რომ მთელი მიდამო, მთელი ჯოგი მის თვალწინ იყო გაშლილი.

გეგმა შევადგინეთ. მე ვიცნობდი ფსიტების ერთ გამოკვეთილ ჩვეულებას, რომელიც მრავალწლიანი დაკვირვების დროს თითქმის არ დარღვეულა: სროლის ან დაფრთხობის დროს ფსიტი ყოველთვის აღმა, მწვერვალისკენ მირბის. მხოლოდ ერთ შემთხვევაში იცვლის გეზს: ტყვიის მოხვედრის შემდეგ მკვეთრად შემობრუნდება და დაღმა დაექანება. ვიცოდი რა, რომ დაფრთხობის შემდეგ მაღლა გამოიქცეოდნენ, გელას ვუთხარი, რომ დაბლა ჩასულიყო ჯოგის შეუმჩნევლად და დაეწყო მიპარვა. არჩვები, როგორც კი შენიშნავდნენ, ან სროლის შემდეგ, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, აღმა გამოიქცეოდნენ. ამასობაში მე მწვერვალისკენ ავიწევდი და გამოქცეული ჯოგის წინ აღმოვჩნდებოდი.

გეგმა კარგი იყო, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვიდოდა და წარმატებაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჩემი ამხანაგი შემოვლით დაღმა დაეშვა, მე კი წამოვწექი და დაველოდე, როდის დაიწყებდა მიპარვას. სწორედ აქ დავუშვი შეცდომა. მთაში ნადირობისას მონადირეს უნდა შეეძლოს ორიენტირება და მანძილის გავლის დროის განსაზღვრა. ეს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წარმატებული ნადირობისა. მე ვიმყოფებოდი ქედის ცერზე, რომელიც ეშვებოდა რკინის მთისკენ, ხოლო მასარის თავში, ჩემგან დასავლეთით ბორბალოდან ეშვებოდა ქედი სამხრეთისკენ, კეხისგორის მთის მწვერვალზე ჩაივლიდა უკანა ფშავისკენ. ქედი, რომლის ცერზეც მე ვიმყოფებოდი, პერპენდიკულარივით

ეყრდნობოდა აღნიშნულ ქედს. ჩემი ამოცანა იყო, რომ არჩ-ვების ჯოგს დავხვედროდი პერპენდიკულარის ფუძეზე.

როცა ვიფიქრე, რომ დრო დადგა ჩემი დაძვრისა, ავდექი და აღმართს შევუდექი. მოხრილი მივდიოდი, რომ ჯოგს არ შევე-ნიშნე, მაგრამ ნახევარი გზაც არ მქონდა გავლილი, როცა პირ-ველი არჩვი შევნიშნე, რომელიც ლაღად ამოხტა ბორბალოს ქედის ცერზე. მე გავიქეცი, თუკი შეიძლება სირბილი ეწოდოს აღმართზე ძუნძულს. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს – მე-სამე, მესამეს – მეოთხე და ა. შ. არჩვები დაქანებულ ქედის ცერზე, რიგში ჩამდგრები, გრაციოზული ნახტომებით, ერთი მეორეზე მიყოლებით სამხრეთისკენ მიქროდნენ.

დიდებული სანახავი სურათი გახლდათ, ისე ლამაზად ჩან-დნენ ლურჯი ცის ფონზე, ისე ცქვიტად ეშვებოდნენ ქედზე, გეგონებოდა, ჰაერში მიცურავენო. დედების გვერდით ერთწ-ლიანი ციკნები (ჩეფიჩები) მიკუნტრუშობდნენ, გეგონებოდათ, არენაზე არიან და საჩვენებელ ილეთებს ასრულებენო.

მე ვერა მხედავენ. ჩვენ შორის მანძილი 300-400 მ. იქნებო-და. დრო და მანძილი ვერ გამოვთვალე, ამას მივხვდი და ბო-თესავით ვიდექი. მერე თავის თავზე გაბრაზებულმა სროლა დავიწყე. აჩქარებული ვისროდი, დამიზნების გარეშე. ვხედავ-დი, როგორ აყენებდა ტყვიები ქვიშაზე ბუქს, აქა-იქ მტვერი ავარდებოდა ხოლმე, მაგრამ ვერაფრით ვაიძულე თავი, მშვი-დად, დამიზნებით მესროლა.

ერთ-ერთი ჩეფიჩი, რომლის წინ ტყვია სიპის ქვას მოხვდა და ცხვირწინ სიპის ნამსხვრევები აუფრიალა, რიგიდან გად-მოხტა და ჩემკენ დაღმართზე დაეშვა. მე მისკენ ვისროლე, მაგრამ ტყვიები გარშემო ხვდებოდა, მტვერს აყენებდა და დამფრთხალი ციკანი კვლავ ჯოგისკენ გაქანდა, ამასობაში ჯოგი თვალს მიეფარა, მე კი გამოლენჩებული ვიდექი და გავ-ყურებდი იმ ადგილს, საიდანაც ჯოგი ჩაეფარა.

გაოგნების მარწუხისგან გავთავისუფლდი თუ არა, დაღმა ფერდობზე გავქანდი და სწრაფად გავჩნდი გორის კეხთან, გა-დავიხედე იქით, მაგრამ არჩვები არსად ჩანდნენ. ჩამოვჯექი,

მწარე სინანულმა შემიპყრო, ლანძღვა დავუწყე ჩემს თავს: რას ეგდე, შე უტვინოვ, შე ბოთევ, რატომ თავის დროზე არ აეგდე და არ ახვედი მაღლა, ზედ ცხვირწინ წაგივიდა 30-მდე ფსიტი. შენც იტყვი, მონადირე ვარო, როგორ უნდა შეხედო ამხანაგებს თვალებში...

როცა მიზანში ავაცდენ, ძალიან ცუდ გუნებაზე ვდგები ხოლმე, მნიშვნელობა არ აქვს, ნადირს ვესვრი თუ უბრალოდ რაიმე ნიშანს. სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე მთრგუნავს მიზანში აცდენა. ნადავლს ჩემთვის არცთუ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი იყო თავად ნადირობის პროცესი, მაგრამ მონადირემ იმასაც უნდა გაუწიოს ანგარიში, რომ ამხანაგი გენდობა, რომ მას აქვს ინტერესი ხორცისადმი.

მე ვისროდი AKM-ის სისტემის კალაშნიკოვის ავტომატიდან. ცხადია, ჯერი რომ მიმეშვა, ბევრ არჩვს დავაწვენდი, ეს ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ მე ჩემი შეხედულება მქონდა: ნადირს იმდენი შანსი უნდა ჰქონდეს გადარჩენისა, რამდენიც მონადირეს მისი მოკვლისა. ამიტომ არის, რომ არასოდეს მინადირია ძაღლებით, არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ძაღლებით კოლექტიურ ნადირობაში. ერთხელ ვნახე, როგორ გადაეშვა ალაზანში ძაღლების დევნილი არაქათგამოცლილი შველი, როგორ მძიმედ სუნთქავდა დაღლილ-დაქანცული და როგორი უმწეო იყო.

ოფლში გახვითქული გელა ამოვიდა მაღლა, მძიმედ სუნთქავდა, იმედიანი გამომეტყველება უცბად შეეცვალა, როცა ნირწამხდარი დამინახა.

– რა მოხდა, ვერ მოარტყი ვერც ერთს? – ჯერ კიდევ იმედის თვალით მიყურებდა.

ვერაფერი ვუპასუხე, მხოლოდ ხელები გავასავსავე.

– საით წავიდნენ? – იკითხა ამხანაგმა, როცა ყველაფერს მიხვდა.

მე ისევ ვიჯექი ნაშალზე, წამოუდგომლად ვანიშნე სამხრეთისკენ, კლდიანი ბორცვისკენ. ის საჩქაროდ დაეშვა ცერდაცერ, მეც წამოვდექი და უკან გავყევი ძუნძულით. სწრაფად ჩავედით იმ ადგილას, სადაც ჩაეფარნენ. აქ ქედი ორად იყოფო-

და: ერთი განშტოება ხევსურეთისკენ, ანდაქის ხეობისკენ ეშვებოდა, მეორე უკანა ფშავისკენ. როცა ქედის მწვერვალს შემოვუარეთ ორივემ ორივე მხრიდან, ჩვენ წინ გადაიშალა უკანა ფშავი, ქედისძირს, არცთუ შორს რამდენიმე სახლი ჩანდა, სოფლის სახელწოდება არც ერთმა არ ვიცოდით.

მაგრამ არჩვების კვალიც კი არ ჩანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, ისე გაქრნენ. საოცარი იყო, ისე სწრაფად როგორ გადაიქროლეს გორები, რომ თვალი ვერ მოვკარით. კი, ვიცოდი, რომ სწრაფად, დიდი ნახტომებით კლდეებზე დაფრინავენ, მაგრამ ასეთი გაუჩინარება ვერ წარმომედგინა.

დაბლა ალხაჯიდან ვისერგიმ დაგვიძახა. სროლის ხმა, ცხადია, ესმოდა, მაგრამ ვერ გვხედავდა. ქედს გადმოვდექი და ვაცნობე წარუმატებლობა. წავედიო, ამომძახა და თავქვე წავიდა.

მალე გამიარა მარცხით გამოწვეულმა სინანულმა, მონადირე მზად უნდა იყოს წარუმატებლობისათვის, თუ არ გიწერია, ათ ნაბიჯზეც ვერ მოახვედრებ ტყვიას. ამხანაგი კარგი მყავდა, აქეთ მამხნევებდა, ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია. ჩამოვსხედით, დურბინდით შევათვალიერე მოპირდაპირე ალპური ქედი, რომელიც სამხრეთისკენ ეშვებოდა მასარის მწვერვალიდან. ეს გორა თითქმის მთლიანად დეკით იყო დაფარული, შიგადაშიგ ტერასები ბალახითა და ქუჩით იყო აჭრელებული. ასეთ ადგილებს ეტანება არჩვები, მით უმეტეს, თუ ნაწილობრივ კლდიანიც არის.

მესამე მონაკვეთს ვზვერავდი, რომ თვალი მოვკარი მუქ სხეულს, რომელიც ოდნავ შეირხა. დავაკვირდი და დავრწმუნდი, რომ მარტოხელა ვაცი იყო. დურბინდი გელას გადავაწოდე და ვუთხარი, რომ დაკვირვებოდა ჟანგისფერი პიტალო კლდის ძირს, დეკიანის ზემოთ. მან დურბინდი გამომართვა და ერთიორი წუთის შემდეგ თავი დამიქნია.

გეგმა შევადგინეთ: უნდა ავსულიყავით მაღლა, არჩვის პირდაპირ, შემდეგ დავეშვებოდით დაბლა ხევისკენ, ჩავიდოდით ძირს, სანამ არ აღმოვჩნდებოდით ერთ ხაზზე ჩვენ და ვაცი და, მერე დავიწყებდით სროლას. ორივე პარალელური ქედის ცერე-

ბი საკმაოდ იყო დაშორებული ერთმანეთისგან, მაგრამ ძირში ხომ ხევი ვიწროვდება და მოპირდაპირე ფერდები უახლოვდებიან ერთმანეთს. ვაცი არჩვი მოპირდაპირე ქედის ფერდის შუაწელს ქვევით იმყოფებოდა.

დავიწყეთ ჩასვლა, უფო სწორად ჩაცურება. ნადირი, ძალიან შორსაც რომ იყოს, გამართულად მოსიარულე ადამიანს ადვილად აღმოაჩენს და მაშინვე გარბის. მოხრილ მდგომარეობაში მოძრაობის დროს არ გარბის, მაგრამ მხედველობის არედან არ უშვებს. თავი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მონადირეს მხრებში ჩარგული, რადგან, არ ვიცი რატომ, არჩვები და სხვა გარეული ცხოველიც პირველ რიგში თავს აკვირდება. ალბათ, ინსტიქტით იციან, რომ ადამიანის თავი ძალზე საშიშია მათთვის.

დაღმართში, თანაც ციცაბო დაღმართში თავჩარგული ჩაღუნული სიარული ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა შეუმჩნევლად დაშვება. ამიტომ პირალმა დავწექით, ფეხებით წინ დავიწყეთ ჩასრიალება მაღალ ბალახებში. შეუმჩნევლად გავუპირისპირდით, დურბინდში, ჩამავალი მზის სხივებზე კარგად ჩანდა გაშლილ ადგილზე მდგომი ვაცი. თანაც გვერდულად იდგა, ხანდახან თავს ასწევდა და დაკვირვებით შეათვალიერებდა მიდამოს.

შორს იყო, დაახლოებით 400-450 მეტრი იქნებოდა, შეიძლება მეტიც იყო. სამიზნის შკალაზე 400 მ. დავაყენეთ და ერთდროულად ვესროლეთ. ერთი კი შეხტა ნადირი ადგილზე, მაგრამ არ დაძრულა ადგილიდან. სროლა განვაახლეთ, მაგრამ სამიზნეს კარგად ვერ ვარჩევდით.

მთაში სიბნელე უეცრად მოდის. ხევის სიღრმეში მზის ჩასვლისთანავე ბნელდება, მთის წვერები ცის ლაჟვარდ ფონზე ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანს. სროლისგან შეწუხებულმა არჩვმა დაბლა დაიწია, დეკის ბუჩქის ძირში დადგა, აშკარა იყო, პირველივე სროლის დროს დაიჭრა, თორემ მთის მწვერვალისკენ გავარდებოდა. დურბინდში ვხედავდი, თავჩაღუნული იდგა, ფეხსაც კი არ ინაცვლებდა.

ბინდის გამო სროლა ჭირდა. ავტომატს სავაზნე კოლოფი მოვხსენი, მანათობელი ტყვიები ჩავამატე და სროლა გავაგრძე-

ლე. ვხედავდი, როგორ ხვდებოდა ტყვიები ვაცის გარშემო, მაგრამ არჩვი უვნებელი რჩებოდა. მის ახლოს პატარა კორომი იყო, მანათობელი ტყვიებისგან შეშინებული ამ კორომს შეეფარა.

გელამ ავტომატი გადაიკიდა და ხევისკენ სწრაფად დაეშვა, ლოდებზე გადაირბინა და აღმართს შეუყვა. ფეხმარდი ახალგაზრდა სწრაფად მიიწევდა წინ და ჯერ კიდევ კარგად ვხედავდი, როგორ უახლოვდებოდა კორომს. მერე თვალს მიეფარა და მეც დაბლა ხევში ჩავედი, ლოდზე ჩამოვჯექი და ლოდინი დავიწყე.

უკვე ბნელოდა, როცა გელა დაბრუნდა, დაბრუნდა ხელცარიელი, დაღვრემილი.

– ვერ მიაგენი? – ვეკითხები, თუმცა ვიცი, რომ ვერ აღმოაჩინა.

– ვერა, ვერსად ვნახე, თან დაბნელდა კიდეც.

– შორს ვერ წავიდოდა, მგონი, სადმე ჩაწვებოდა, ნადირმა ჩინებულად იცის შენიღბვა, – ვეუბნები ამხანაგს, – წავიდეთ, მალე მთვარეც ამოვა და გაგვიადვილდება სიარული.

ხევ-ხევ ჩავყევით, ეს ხევი აღმოსავლეთით უხვევდა და მთავარ ხევს უერთდებოდა. გზა არ აგვერეოდა, შეიძლებოდა ღამე სიარული. რა თქმა უნდა, იქვე შეგვეძლო ღამის გათენება, დილით კი მოგვენახა დაჭრილი ვაცი, მაგრამ ჯერ ერთი, ხალვათად გვეცვა და გავცივდებოდით, მეორეც, საჭმელიც არ გვქონდა, მშიერ კაცს კი სიცივე ძვალ-რბილში ატანს.

ბედად მთვარე ამოვიდა და სადღაც ვახშმობის ხანს ავედით ბინაში. მეცხვარეებს მოვუყევით ჩვენი უიღბლო ნადირობის შესახებ.

– ძალიან თარსი დღე შეგხვდათ, – გვეუბნება სარქალი, – თუ იღბალი არ გწყალობს, ტყუილია ყველაფერი.

გავიხსენეთ ხელმოცარვის ბევრი შემთხვევა, შუაღამემდე საუბარში გავატარეთ დრო და დასაძინებლად დავწექით. მაგრამ დიდხანს არ დამეძინა, წინა დღის ყველა წვრილმანი გავიხსენე, გავაანალიზე და ერთ საყურადღებო დასკვნამდე მივედი: აუცილებელია, განსაკუთრებით მთაში, მანძილის აღქმა.

უნდა შეძლო, დაახლოებით მაინც განსაზღვრო, რამდენ ხანს მოუნდები გარკვეული მანძილის გავლას, შემდეგ კი ამ თოფის სამიზნე შკალაზე შესაბამისად აღნიშვნა-დაყენება შეძლო.

მეორე დღეს ვისერგი ბარში ბრუნდებოდა და მეც ვერ დავრჩებოდი მეტხანს. მართალია, დრო მქონდა, მაგრამ ფეხით მომიხდებოდა სახლში დაბრუნება და გადავწყვიტე, ცხენით მემგზავრა. მეორე მიზეზი, რომელმაც განაპირობა ჩემი გამომგზავრება, უნდა გამოვტყდე, იყო მარცხიანი ნადირობა. იმედი დავკარგე, რომ შემდგომი ნადირობა წარმატებული იქნებოდა, მარცხს შევეგუე და გამოვემგზავრე.

გამომგზავრების წინ გელას პირობა ჩამოვართვი, რომ აუცილებლად ასულიყო გუშინდელი, ჩემი ღრმა რწმენით, დაჭრილი არჩვის მოსანახად.

– თუ იმავე ადგილას არის, აუცილებლად მიაგნებ, იქ უკვე ყორნები დასტრიალებენ, ალბათ, თავს. ყოველ შემთხვევაში, ტყის კორომი კარგად დაათვალიერე, სადმე ჩამალული იქნება.

– კარგი, მაგაზე არ იფიქრო, ვიცი, რაც გაწუხებს. თუ მივაგენი, შენ წილს გამოგიგზავნი.

– წილზე არაა საუბარი, შენც კარგად იცი, რამდენად მაინტერესებს ეს. მთავარია, მონადირემ არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი – არ უნდა მიატოვოს სატანჯველად დაჭრილი ნადირი.

როცა ამას ვეუბნებოდი, გელას ჩემი ცხენის აღვირი ეჭირა, მარცხენა ხელით უნაგირის კეხს ჩასჭიდებოდა, რომ ჩემთვის შეჯდომა გაეადვილებინა. ხელის ჩამორთმევით გამოვემშვიდობე ზრდილობიან ახალგაზრდას.

ერთდროული ნადირობა დათვსა და არჩვზე

კვლავ ივრის სათავეებში ვარ, ლეკუანში დგას ფაცოიჩის ცხვარი და მეც ლეკუანში დავიდე ბინა, ჩემი პარტნიორი გელაც ისევ ვისერგისთან არის მწყემსად და სანადიროდ ვემზადებით.

დილით ადრიანად დავეშვით ხევისკენ, ნაცნობ ხე-ხიდზე გავედით და ამჯერად ჩრდილოეთისკენ, რკინის მთიდან დაქანებული ხევ-ხუვებისკენ ავიღეთ გეზი. სწრაფად გავიარეთ თათრის ნაბინავარი, ერთ-ერთი გორის ცერს აევყევით და გავუხვიეთ დაქანებული, დაკბილულკლდეებიანი და ქარაფებიანი ციცაბო ფერდობებისკენ.

შორიდან ეს მთა ჟანგისფერია, მისი ქედის გასწვრივ, მასარის მთისკენ გადის ბილიკი, რომელიც ყველაზე სახიფათო ბილიკია, რომელიც კი შემხვედრია მთაზე. ბილიკი პირდაპირ კლდეთა ფხაზეა გაჭრილი, აქა-იქ ამოშვერილია წვეტებიანი კლდის ნატეხები, რომლებიც რკინის ფარცხის სოლებივით არის წაწვეტებული. როცა ცხენი ამ ბილიკზე გადის, გამოცდილი, მთებში ნატარი ცხენი, ყოველ მეტრზე ჩერდება, აკვირდება ბილიკს და მხოლოდ ამის შემდეგ დგამს წინ ნაბიჯს. თანაც ისე დაძაბულია, მთელი სხეულით ძაგძაგებს. არც გაემტყუნება, ერთი არასწორი მოძრაობა და გადაეშვება დაკბილულ, ციცაბო ფერდობზე და ხევის ძირამდე ვერც შეჩერდება, აგორებული ქვასავით თავდაყირა ჩაგორდება ხევამდე.

ამ მთის მზისპირი, სამხრეთის დახერგილი კალთები წითლად ბრწყინავს მზის სხივებზე, ნამდვილად უნდა იყოს აქ რკინა, ალბათ ამიტომაც ჰქვია „რკინის მთა“. მათე ალბუთაშვილიც, ქისტი მემატიანე, წერს, რომ რუსმა გეოლოგებმა გამოიკვლიეს ეს მთა, დაადგინეს, რომ აქ არის დიდი რაოდენობის რკინის მარაგი, სცადეს კიდეც საზღვარგარეთიდან სპონსორების მოწვევა (მე-19 ს. დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისი) მაგრამ ბიზნესმენების დაინტერესება ვერ შეძლეს. მიზეზი, მ. ალბუთაშვილის გადმოცემით, იყო ის, რომ უგზოობა და ბარიდან სიშორე მომგებიანს ვერ გახდიდა მადნის მოპოვებას.

ჩვენ, მონადირეებს, აქ არ გვაინტერესებდა არც ჟანგისფერი კლდეები და არც რკინა, ჩვენ გვაინტერესებდა ამ მთასავით წითური ფსიტები. საკმაოდ მაღლა ავიწიეთ, გორის ცერზე ჩამოვსხედით და დურბინდით მიდამოს დამუშავება დავიწყეთ. კარგა ხნის თვალიერების შემდეგ ამხანაგმა გადმომაწოდა ოპტიკური სამიზნე და დააყოლა:

– სუფთაა, ნადირის ჭაჭანი არ არის.

– ნადირი უეჭველად იქნება, ისეთი ადგილებია ირგვლივ, ნადირს რომ უყვარს. ცხადია ისიც, რომ არ გამოგვეცხადება და თვალწინ არ დაგვიწყებს კუნტრუშს, აქ ვარ, ჩემო მტრებო, არიქა, მესროლეთო, – ვეხუმრები გელას და თან გულდასმით ვათვალიერებ მიდამოს.

ჩვენგან მარჯვნივ, პარალელურად, სამხრეთისკენ ეშვებოდა ცერი, იმის იქით კიდევ ერთი და ა. შ. ხელის თითებივით მსგავსი გორები ქმნიდა ერთიან წყებას. თითოეული გორის ცერი მომდევნოს უკავშირდებოდა ღრმა მშრალი ხევებითა და ღელე-ღარებით. მე მხოლოდ ცერებს და მზისპირის ფერდობებს ვხედავდი, ჩრდილის მხარე, აღმოსავლეთის ფერდობები უჩინარი იყო. ასევე ვერ ვხედავდი ხევების ფსკერებს, ხედვის არე შეზღუდული იყო.

უკიდურესი აღმოსავლეთის ფერდობებიდან დავიწყე, თითოეულ მონაკვეთს გულდასმით ვათვალიერებდი და აქეთ

მოვიწევდი. თითოეულ მონაკვეთის თვალიერებას დიდხანს ვუნდებოდი, ჯერ ერთი, არსად გვეჩქარებოდა და, მეორეც, მონადირის ერთ-ერთი წესი – გარემოს ყურადღებით დაზვერვა – ამას მოითხოვდა. ჩემი ამხანაგიც მოთმინებით მიცდიდა, იცოდა, რომ არჩვებზე ნადირობაში მეტი გამოცდილება მქონდა, თავად დათვის „სპეციალისტი“ იყო.

იმ გორის, რომელზეც ვისხედით, აღმოსავლეთის ფერდობი ტყით იყო მოსილი. არყის ხეებს შორის ვათვალიერებდი მოპირდაპირე გორის ფერდობებს და უეცრად ცერზე, ჩადაბლებული ვაკის ბექის ძირში შევნიშნე რაღაც მოძრაობა, სრულიად უმნიშვნელო მოძრაობა. მაგრამ უძრაობაში, ოდნავი ნიავიც ქმნის პატარა მოძრაობას, რაც უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. გულდასმით დავაკვირდი და ბექის ჩრდილში მწოლარე არჩვი შევნიშნე, რომელიც ყურების ქნევით იგერიებდა აბეზარ ბუზებს. სწორედ ყურების მოძრაობამ მიიპყრო კიდეც ჩემი ყურადღება.

დურბინდი გადავაწოდე გელას და მივანიშნე, სად უნდა ეძებნა ნადირი. კაი დრო გავიდა, სანამ შენიშნავდა, მერე მანიშნა, ვიპოვეო და თვალიერება დაიწყო.

– ვერანაირად მივუდგებით აქედან, ხელისგულივით არის მის წინ გადაშლილი ხევგამოღმა ადგილი. მართალია, არყიანებში ხევამდე ჩავიპარებით, მაგრამ როგორც ხევს გადავალთ, ზემოდან შეგვნიშნავს, – ვეუბნები გელას.

– ზემოდან რომ ჩავეპაროთ? თუმცა მაშინვე შეგვნიშნავს, – თავადვე უარყო თავის მოსაზრება გელამ, – ვერც ქვემოდან მივეპარებით, რა შესანიშნავი ადგილი შეურჩევია დასასვენებლად, აი, მარჯვნივ ზემოთ კლდის ჩრდილს რომ შეფარებოდა, ხომ ადვილად ჩავეპარებოდით, – საყვედურს ამბობს მეცხვარე მონადირე.

– დიდი თავხედი ვინმეა, სულაც ჩამოსულიყო ლეკუანაში და ჩვენი ბინის წყარო დაელია, ქოხიდან ვესროდით, ამდენ წანწალს აგვარიდებდა, – ამხანაგის საყვედურიანი კილოთი ვამბობ.

ორივეს გაგვეცინა. ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ ერთდროულად გვესროლა ორივეს. საკმაოდ შორს იყო, ალბათ, 500 მ. მაინც იქნებოდა, ჩემი მოსაზრებით. გელა ვარაუდობდა, 600 მეტრს და შკალაც 600 მ. დააყენა, მე 500 მეტრით დავკმაყოფილდი.

გელა მოემზადა სროლისთვის. მე გამახსენდა ძველი მონადირის, ბაბარგ უნუზას (უნუზ ბაბარგას ძის) შეგონება – „დაელოდე, სანამ ნადირი ფეხზე წამოდგება, ძნელია, მწოლიარე ნადირისათვის მოხვედრა“ – და ვეუბნები ამხანაგს:

– დავიცადოთ, ადგება და მერე ვესროლოთ, ფეხზე მდგომს უფრო მოვახვედრებთ, ვიდრე მწოლიარეს.

დრო გადიოდა. არჩვი მშვიდად იწვა, ყურებს აპარტყუნებდა, ბუზებს იგერიებდა და ადგომას არ ჩქარობდა. ეტყობა, დილაადრიანად შეუდგა ძოვას და კარგად გამოძღა კიდეც.

– ეტყობა, ამაღამ აქ აპირებს დარჩენას ეს ოხერი, კი წამოვახტუნებ ახლავე, როგორ არხეინად არის, – ბრაზობს პარტნიორი.

– ძმისწულო, შენს საკარმიდამო ნაკვეთში კი არ არის შემოპარული, არც შენი მოსავალი გაუნადგურებია. ის თავის მამულშია, როცა უნდა, დაწვება, როცა უნდა, ადგება, რას ერჩი? – ვამუნათებ გაბრაზებულ ამხანაგს.

მაგრამ ლოდინმა მეც დამღალა. ჩვენს ნერვიულობას ფსიტი აინუნშიც არ აგდებდა, მშვიდად იცოხნებოდა და აცანცარებდა წვერს. მოთმინების ფიალა აივსო, თოფები მოვიმარჯვეთ, დავითვალე – ერთი, ორი, სამი და, სამზე ორივე თოფი ერთდროულად გავარდა კიდეც.

სამიზნეში შევნიშნე, როგორ ვერტიკალურად ახტა არჩვი და გადაევლო ბექს იქით. ავტომატებიდან ვისროდით, ერთჯერადზე გვეყენა დამცველები, თვითტენის დროს რაღაც წამებში შეიძლება მეორედ სროლა, მაგრამ ისე სწრაფად გაქრა მხედველობიდან არჩვი, რომ გაოგნებულებმა შევხედეთ ერთმანეთს.

– მოვარტყით, სხვანაირად ასე ვერტიკალურად ვერ ახტებოდა მაღლა, – დარწმუნებულია გელა.

– დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, ასეთ ინსტიქტურ მოძრაობას გამოიწვევდა ტყვის ცხვირწინ მოხვედრა, მუცლის ქვეშ მოხვედრაც, რომელიც ტყავს დაუწვავდა, ან მსუბუქი ჭრილობა და კიდევ ათასი ჯანდაბა, – გუნებაგაფუჭებული ვპასუხობ, – ყველა შემთხვევაში უნდა შევამოწმოთ.

მთაში მანძილისა და მისი გავლის დროის განსაზღვრა ჭირს, დიდი გამოცდილება უნდა გქონდეს, ან კარგად უნდა იცნობდე ადგილს, რომ მიახლოებით მაინც გათვალო. გახედავ, თითქოს აქვეა, ხელის გაწვდენაზე, მაგრამ რამდენიმე საათი უნდები დანიშნულ ადგილამდე მისვლას. თუ ხამად არის ადამიანი, ადვილად შეცდება. და თუ არ იცნობ ადგილს, წარმოდგენა არა გაქვს გასასვლელ მონაკვეთზე, არ იცი, რამდენი კლდე-ღრე დაგხვდება წინ, კაცის სიმაღლე ბურახში მოგიწევს გზის გავლა და სხვა, ორი-სამი საათი მაინც უნდა იქონიო თადარიგში.

მე და გელა ფერდობს ჩავყევით, არყიანი დამთავრდა და დეკით მოფენილ ზოლში მოვხვდით. თავქვე დეკაზე სიარული სიძნელეს არ წარმოადგენს, შეიძლება პირაღმა დაწვე და ჩასრიალდე, ან დიდი ნახტომებით დაეშვა თავქვე. მტრისას, როცა აღმა გიწევს სიარული, მაშინ ფერდზე დაღმა დაწოლილი დეკა პირდაპირ მკერდზე გებჯინება, ბუნებრივ წინაღობას გიქმნის და კუს ნაბიჯით უწევს კაცს დეკას ციტადელზე იერიში.

სწრაფად ჩავედით ხევში, ფერდი დამრეცად გადავჭერით, გავედით ცერზე და აღმართს შევუდექით. მივედით იმ ადგილამდე, სადაც არჩვი იწვა, დეტალურად დავათვალიერეთ და სისხლის ნატამალიც კი არ შეგვინიშნავს. გადავდექით ბექზე და გადავხედეთ ჩრდილის მხარეს. იდენტური იყო იმ ფერდისა, რომლის ცერიდანაც ვესროლეთ არჩვს. ე. ი. ნადირს არჩევანი ჰქონდა, სადაც უნდა, იქით გასწევდა. არყიანებში და არყებში ამოსულ დეკაში მის ძებნას აზრი არ ჰქონდა, ეს იმის ტოლფასი იყო, თივაში გვეძებნა ნემსი.

რას ვიზამდით, პირველი მარცხი ხომ არ იყო, ერთმანეთს ორიოდე დასამშვიდებელი არაფრისმთქმელი სიტყვა გადავუგ-

დეთ და თავქვე დავეშვით. ორივემ უთქმელად გადავწყვიტეთ, რომ დღეს ნადირობა დასრულდა.

შუადღისთვის ბინაში ვიყავით, ვისადილეთ, ნაბდებზე წამოვწექით დასასვენებლად.

როცა გამეღვიძა, მზე კარგად იყო გადახრილი დასავლეთისკენ. გელა ქოხის წინ იჯდა და ავტომატს წმენდდა, ჩემი ავტომატიც გაეწმინდა და დიდ ლოდზე იდო. დისშვილის ნაჩუქარი AKC-ის სისტემის უნგრული ვარიანტი გადავცვალე AKM-ზე, სრულიად ახალ ავტომატზე. საკეცკონდახიანი იყო, ზურგჩანთაში ეტეოდა, სამხედრო ქურთუკის ქვეშაც კი იფარებოდა. ძალიან მიყვარდა, საუკეთესო იარაღი იყო. ავტომატის გრძელი და მოხრილი სავაზნე კოლოფი მიწაზე გაწოლილი სროლის ან ქვაზე თუ ბექზე დაყრდნობით სროლისას უხერხულობას ქმნიდა, ამიტომ მეტალის სავაზნე კოლოფი გადავჭერი, 30 ვაზნიანი გადავიყვანე 10 ვაზნიანზე და მოსახერხებელი გავხადე. მართალია, ტყვიების რაოდენობით შემცირდა, მაგრამ დავამზადე 10 ვაზნიანი სამი სავაზნე კოლოფი და 30 ვაზნას გავუტოლე. სამხედრო ქურთუკის ორივე ჯიბეში თითო კოლოფს ჩავიდებდი, ერთს თოფს მოვარგებდი და სრულიად საკმარისი იყო ნადირობის დროს. ომში ხომ არ ვიყავი, მეტი ვაზნები მეთრია და შესანახად მოსახერხებელი კი იყო, პირველი შეხედვით „საიგას“ კარაბინს ჰგავდა, თვალში არ ეცემოდა კაცს.

ლოდზე დადებულ მრწყინავ იარაღს როგორც კი შევხედე, სანადიროდ გამიწია გულმა, ვიგრძენი, რომ დღის ნადირობა არ იყო დამთავრებული.

ამჯერად შორს წასვლას არ ვაპირებდით, ჩვენ ქოხიდან ლეკუანის მთის ჩრდილო კალთებს გავყევით, მთის ფერდობები საქონლისა და ცხვრის ბილიკებით იყო დასერილი, სამასიოდე მეტრის დაშორებით ნაკადული იღებდა სათავეს მრავალ ადგილას, მერე, ცოტა ქვემოთ ერთდებოდა და დაბლა ხევისკენ მიჩხრიალებდა. დაბლა და მოპირდაპირე ხევებს ვიცნობდით, მოვლილი გვქონდა ეს ადგილები, მაგრამ აღმოსავლეთით, რკი-

ნის მთის განშტოება ლამაზურის ქედის მწვერვალისკენ არ ვყოფილვართ და იქითკენ გავწიეთ. რკინის მთიდან დაწყებული სამხრეთით ლეკუანის მთის აღმოსავლეთ ფერდობებამდე გრძელდებოდა ქედის რკალი, რომლის სათავეებიდან ძირს ეშვებოდა სიმეტრიულად განლაგებული ქედები. ისინი პარალელურად ეშვებოდა ერთ ხევში და აღმოსავლეთით უერთდებოდა დიდ ხევს, რომელიც თავის მხრივ სამხრეთით, თიანეთისკენ ეშვებოდა და მდინარე იორს ბარისკენ მიაქანებდა.

გადავიარეთ რამდენიმე ცერი, ჩამოვსხედით და დავზვერეთ მოპირდაპირე ფერდობები და ხევხუვები. შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა ნადირის შემჩნევა, პირდაპირი განზომილებით არცთუ ისე შორს იყო ჩვენკენ ჩამოშვებული მთის დაქანებული, ზოგან კლდიანი, ზოგან ტყის კორომებით და მწვანე ხასხასა ბალახით დაფარული ფერდობები.

ვერაფერი შევნიშნეთ და გზა გავაგრძელეთ. ჩვენ აღმოსავლეთისკენ მივიწევდით, გადავდიოდით ერთი ქედიდან მეორეზე, ცერიდან ცერად ჩავდიოდით ხევში, შემდეგ ასევე ცერად ავდიოდით მომდევნო ქედის ცერზე. ამგვარად, მუდამ ერთ ხაზზე ვიმყოფებოდით, დაბლა-მაღლა კი არ მივიწევდით, პირდაპირ ხაზზე ვიყავით.

ცერზე ფრთხილად გავდიოდით, მოხრილები ყურადღებით ვათვალიერებდით წინა მონაკვეთს და ასე მივიწევდით წინ. რაც უფრო მივიწევდით წინ აღმოსავლეთისკენ, ცერები ვიწრო, კლდიანი და დეკით დაფარული გვხვდებოდა, ტყის ზოლიც მაღლა მოიწევდა.

ბოლო მაღალ ცერზე შევჩერდით, წინ ფართო ტაფობი გადაიშალა, რომლის ქვემოთაც ფერდობები დაბლა ღრმა ხევამდე ხშირი წიფლის ტყით იყო დაფარული. ტაფობი არც კი ეთქმოდა, პატარა ხევების შეერთებას წარმოექმნა ქვაბულის მაგვარი დაბლობი, იმის იქით კვლავ მაღალი ქედი ეშვებოდა ხევისკენ. ამ ქედის აღმოსავლეთით ნაშალები იყო, სავალად საკმაოდ ძნელი.

– აზრი არ აქვს გზის გაგრძელებას, ჩამოვსხდეთ, დავისვენოთ და დავბრუნდეთ ბინაში, – ვუთხარი გელას.

– ძია, შენ დაისვენე, მე იმ ცერზე გავალ და გადავხედავ, ეს ერთი ცერიღა დაგვრჩა და ბარემ მასაც გადავივლი, – მითხრა გელამ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ავტომატი მიწაზე დავდე და პირაღმა წამოვწექი. ცოტა ხნის შემდეგ გვერდზე გადავბრუნდი და ამხანაგისკენ გავიხედე. გელა მოზომილი, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით ნაშალზე გადადიოდა. როცა ნაშალი დაქანდებოდა, სწრაფად აიქნევდა ფეხს, დიდ ნახტომს აკეთებდა და წინ მიიწევდა.

მალე ცერს გადაეფარა. მე წამოვჯექი და უაზროდ, ზარმაცი მზერა მივაპყარი დაბლა გადაშლილ ტყეს. მიუხედავად უმიზნო მზერისა, თვალში მომხვდა ტყის სიმეჩხერე, ხეები ერთმანეთისგან ისე შორს იდგა, რომ ცხადად ვამჩნევდი მწვანე გვიმრებსა და მაყვლის ხშირ ბუჩქებს ხეებს შორის.

უცბად გელამ, რომელიც ცერს იქით გადაეფარა, ყვირილი და სტვენა ატეხა – „რა დაემართა ამ თათარს, ცხვარში ხომ არ ჰგონია თავი“, – გავიფიქრე უკმაყოფილომ. რადგან მას ვერ ვხედავდი, კვლავ უაზრო მზერა მოვავლე დაბლა ჩემ წინ გადაშლილ ტყეს.

უცბად რაღაც მოძრაობა შევნიშნე ტყეში. საოცარია, მაგრამ ზუსტად იმ ადგილას, სადაც ტყე მეჩხერი იყო, რაღაც ამოძრავდა და გვიმრებიდან გამოძვრა მურა დათვი. დაუჯერებელი რამ მოხდა: იქვე მეორე დათვის სილუეტიც დავლანდე. მივხვდი, რომ დათვები ისვენებდნენ და გელას სტვენა-ყვირილმა დააფრთხო, ვერ გაეგოთ, საფრთხე საიდან მოდიოდა და დაბნეულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

სწრაფად ავიტაცე ავტომატი, დამცველი დავწიე, ერთჯერადზე დავაყენე და სროლა დავიწყე. შორს არ იყო, ალბათ 300 მეტრი თუ იქნებოდა, სამიზნე შკალაზე სამას მეტრზე აღნიშვნა არც გამხსენებია, ინტენსიური ცეცხლი გავხსენი.

სროლამ დათვი უფრო დააბნია, მეორეს ვერ ვხედავდი, ეს კი უაზროდ აქეთ-იქით აწყდებოდა და უცბად გაქრა მხედველობის არედან. ვერ გავიგე, საით წავიდა, ვივარაუდე, რომ დაბლა გაიქცა, ქვევით ტყე უფრო ხშირი იყო.

უცბად პარალელური ცერის იქიდან გავარდა თოფი. ერთიმეორეზე მიყოლებით ისროდა ჩემი ამხანაგი. მე მას ვერ ვხედავდი და, ცხადია, ვერც ის მხედავდა და აქეთა ფერდზე, ტყეში მოძრავ დათვსაც ვერაფრით დაინახავდა. „ალბათ, მეორე დათვი იქით გაიქცა და გელას შეეფეთა“, – გავიფიქრე ჩემთვის.

დაძაბული ვუსმენდი და ვიყურებოდი დაბლა, რომ მოულოდნელად დათვი ხევს იქითა ფერდობზე გავარდა და აღმართზე გაიქცა. მე და დათვი პირდაპირ ერთ ხაზზე აღმოვჩნდით. როგორც ზემოთაც შევნიშნე, ორი მოპირდაპირე ფერდობებს შორის მანძილი დიდი არ იყო, კარგი მსროლელი აღმართზე მორბენალ დათვს ვერ ააცდენდა.

მაგრამ ეს დათვი აღმართზე ისე სწრაფად მირბოდა, როგორც შარაზე. საოცარი კი ის იყო, რომ ტყეში საკმაოდ დიდი ჩანდა, აღმართში მორბენალი კი შეკუმშულიყო და დამრგვალებული ბურთივით მიგორავდა აღმა.

მივმართე თოფი და გავხსენი ცეცხლი. ფერდობი მწვანე მინდორივით იყო წინ აღმართული, მაგრამ შიგდაშიგ პიტალო კლდეებით იყო დასერილი. კლდეები კი არ იყო მიწიდან ამოზნექილი, არამედ ბალახზე მაღლა არ იყო ამოწეული, თითქოს მიწის პირზე ჩაუთლიათო, ბრტყლად იყო მიკრული ფერდზე და შიგადაშიგ ნახეთქებში ბალახიც ამოსულიყო. როცა ტყვია წინ კლდეს მოხვდებოდა და მტვერს ადენდა, დათუნია გვერდზე ხტებოდა, მერე კვლავ უბრუნდებოდა აღებულ მიმართულებას და სწრაფად მიიწევდა წინ.

სავაზნე კოლოფი დაიცალა, სწრაფად მოვხსენი და დატენილით შევცვალე. ეს რაღაც წამებში გავაკეთე, ამავე დროს, თვალი არ მომიცილებია ნადირისთვის, რომელიც კვლავ აღმა მიქროდა.

უცბად მარცხნივ ზემოთ დავინახე ტყის კორომი და მივხვდი, საით მიიწევდა კისრისტეხით დათვი. ჩემი ამხანაგი კვლავ ისროდა, მეგონა, მანაც შენიშნა დათვი და ორივე ამ ერთ დათვს ვესვრით-მეთქი, რომ უეცრად მარჯვნივ, დათვისგან არცთუ მოშორებით, გამოჩნდა არჩვი, რომელიც ასევე აღმა მირბოდა. არჩვი ჩემთან უფრო ახლოს იყო და ახლა მას და-

ვუწყე სროლა. ხან აქეთ დათვს, ხან იქით არჩვს ვესროდი, რომლებიც ერთმანეთისგან 50-ოდე მეტრის დაშორებით მიქროდნენ ზევით, დათვი წინ იყო და შევარდა ტყის კორომში.

ახლა ცეცხლი არჩვისკენ მივმართე, მაგრამ ტყის კორომს მხედველობის არედან არ ვუშვებდი. ეს კორომი ფერდობის მარცხენა კალთაზე იყო, იმ ფერდობისა, რომელიც ხევისკენ ეშვებოდა. ეს ხევი მთლიანად თოვლისა და ყინულის ზვავით იყო დაფარული. კორომის გარშემო მწვანე მინდორი იყო და ამ კორომიდან, ჩემი ღრმა რწმენით, კურდღელიც კი ვერ გაიპარებოდა შეუმჩნევლად, არათუ დათვი.

არჩვი პიტალო კლდეზე გაჩერდა, შემდეგ დაბლა დაიწია და პატარა ბუჩქებისგან შემდგარ კორომისკენ ნელა გასწია. არჩვი დაჭრილი იყო, ამაში დარწმუნებული ვიყავი და სროლა შევაჩერე. არჩვმა ძლივს მიაღწია კორომს, არყის მეჩხერ ხეებს შეეფარა და გაჩერდა. ავტომატი გვერდზე დავდე და ბინოკლი მოვიმარჯვე. არჩვი კარგად ჩანდა, მძიმედ სუნთქავდა, ვხედავდი, სუნთქვისას როგორ ებერებოდა ფერდები.

მთელი ყურადღება ახლა ტყის კორომისკენ გადავიტანე, სადაც თავი შეაფარა დათუნიამ. რახან გზა არ გააგრძელა, დავრწმუნდი, რომ დაჭრილი იყო. ამიტომ ფხიზლად ვადევნებდი თვალს, ავტომატი კალთაში მედო და კიდევ გამოვცვალე სავაზნე კოლოფი, დათვი თუ გამოვიდოდა კორომიდან, სასროლად მზად რომ ვყოფილიყავი.

მალე მარჯვნივ ხევზე გავიდა და აღმართს შეუყვა გელაც. მე დავუძახე და ავუხსენი, სად იყო შეფარებული დაჭრილი არჩვი. თავად ორივე კორომს ვზვერავდი, ყურადღება ისე გადამქონდა ერთიდან მეორეზე, რომ ერთიც და მეორეც არ გამეშვა თვალსაწიერიდან.

გელა თანდათან უახლოვდებოდა არჩვს კორომის მეორე მხრიდან, მე ვუხსნიდი, როგორ უნდა მიპარვოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა არჩვს, რომ ძალაგამოლეული იყო და დურბინდში დავინახე, როგორ დაეცა. გელა მიუახლოვდა, ჯერ ავტომატი შემართა, მერე დაუშვა და შევიდა კორომში.

ამ დროს ბინიდან მოვარდა მწყემსის ბიჭი, რომელიც სროლის ხმაზე ვისერგის გამოეგზავნა ამბის გასაგებად.

– ერთი ფსიტი (მთიელები არჩვს ფსიტს ეძახიან) მოკლულია, ხოლო დათვი, აი, იმ პატარა კორომშია მომწყვდეული. შენ დაბრუნდი და ნაჯახი და ორიოდე ტომარა გამოიყოლე ხორცის დასამუშავებლად და წასაღებად, – ამაყად, თავმომწონედ ვუბრძანე ყმაწვილს.

კვლავ გელას მივუბრუნდი, რომელსაც არჩვისთვის ყელი გამოეჭრა და ვუთხარი:

– გელა, დაანებე ფსიტს თავი, მას მერე გავატყავებთ. გადმოდი კორომთან, იქ დათვია შეფარებული, მგონი, დაჭრილი უნდა იყოს. ფრთხილად იყავი, ჩასაფრებული არ იყოს. მე თვალყურს მივადევნებ, თუ დათვი ტყიდან გამოვა, მიგანიშნებ მის ადგილსამყოფელს, როგორც კი ფაცოიჩი მოვა ჩემთან, ის დააკვირდება კორომს და მე ამოვალ შენთან. შენ მხოლოდ გარშემო შემოუარე, ტყეში არ შეხვიდე, სანამ მე არ ამოვალ შენთან.

მაგრამ გელა სულაც არ იყო მშიშარა, კორომს მაღლა მოექცა, კარგად დაათვალიერა და შემოუარა გარშემო. კორომი არ იყო დიდი, რაღაც 150-200 კვ. მეტრი თუ იქნებოდა. ამ დროს ვისერგიც მოვიდა, ამბავი გამომკითხა და როცა ვუთხარი, დათვი გამომწყვდეული გვყავს-მეთქი, გაიცინა და თავი გააქნია.

– ცხვრის საწველ ბაკში გყავს შეგდებული, არა? – ირონიულად მითხრა, – დათვი ზაქი ხომ არ ggონია, გომურში შეაგდო. ეს ისეთი ეშმაკი ნადირია, გამოცდილი მონადირენიც გაუცურებია.

მე დარწმუნებული ვიყავი წარმატებაში, მისი სიტყვები ერთ ყურში შევუშვი და მეორე ყურიდან გავუშვი და დურბინდი უნდა მიმეწოდებინა, რომ ჩემი ამხანაგი კორომში შევიდა. შეშფოთებული წამოვხტი და დავუყვირე:

– არ შეხვიდე ტყეში, სანამ ამოვალ!

მაგრამ გელა ტყეში გაუჩინარდა, ავტომატი ვისერგის მივაწოდე და ცქერად ვიქეცი. ძალზე ვნერვიულობდი, ადგილზე

ვერ ვჩერდებოდი. თუ დათვი დაჭრილი იყო, ძალზე საშიში იყო ბურახმოდებულ კორომში დევნა. შეუწყვეტლივ ვეხმიანებოდი, ამასობაში ბინიდან წამოსული მწყემსიც ავიდა კორომთან. ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ გელა გამოვიდა ტყიდან და გადმოგვძახა, რამე სულიერი არ ჭაჭანებსო ტყეში.

გაოცებული ვიყავი, ვერაფრით წარმომედგინა, ასე გაუჩინარება როგორ შეძლო დათვმა ხელის დადება სიდიდის მეჩხერ ტყეში. მისი ტყეში შესვლის მომენტიდან თვალი არ მომიშორებია ტყის ამ პატარა კუნძულისათვის, რომელსაც ირგვლივ გაშლილი, მწვანე ბალახით დაფარული ფერდობი ეკვროდა. ის ხელისგულივით იყო ჩემ წინ გადაშლილი და, ჩემი აზრით, დათვი ვერანაირად გავიდოდა კორომიდან, რომ არ შემემჩნია. ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა, ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ დათვი ტყიდან არ გასულა.

ვისერგის ვუთხარი:

– ფაცოიჩ, არ არსებობს, რომ დათვი იქ არ იყოს, შენ ყურადღებით იყავი, მე გავალ იქ და ორივე შევამოწმებთ, სადმე ბუნაგში იქნება ჩაწოლილი, დარწმუნებული ვარ.

– ტყუილად იწვალებ, ის იქ არ არის, ადრევე წავიდოდა. დათვი არც ისე სულელია, რომ ასეთ ხაფანგში გაყოს თავი. მან ეს არემარე ხუთი თითივით იცის. კორომში შევარდა იმის გამო, რომ თქვენი თვალთახედვიდან გასულიყო. შესაძლებელია, მაშინვე ტყისა და ბუჩქების გასწვრივ დაბლა ხევში ჩაცურდა. ის ხომ ამ კლდე-ღრეებთან არის შეხამებული, მისი შემჩნევა არც თუ ადვილია, თან მზეც ჩადის, დაგიღამდებათ, სჯობია, მასარი (არჩვი) გაატყავონ და წამოიღონ დაბინდებამდე.

მართალი იყო, იმდენ ხმაურში (გელა ყვიროდა და უსტვენდა გამუდმებით) დათუნია იქ ვერ გაჩერდებოდა, გამეპარა, ნამდვილად გამეპარა. როცა დათვი ტყეში შევარდა, მართალია, მხედველობის არეში მქონდა კორომი და მისი შემოგარენი, მაგრამ ამავე დროს არჩვსაც ვესროდი და ცხადია, სროლის დროს მთელი ყურადღება მისკენ მექნებოდა. ალბათ, დათვი სწორედ ამ დროს გაიპარა კიდეც.

არჩვი გაატყავეს, გამოშიგნეს, თავისავე ტყავში მოაქციეს, წინა და უკანა ფეხების ტყავები გადააბეს და როგორც ზურგჩანთა, ისე მოიკიდეს ზურგზე. ორმა რიგრიგობით ზიდა ბინამდე.

ამჯერად გაგვიმართლა, მაგრამ ნაწილობრივ, რადგან დათვი გაგვექცა, არჩვი სწორედ იქ მოვინადირეთ, სადაც მოლოდინი მაინცდამაინც არ გვქონდა. ასეთია მონადირის ხვედრი: სადაც დარწმუნებული ხარ წარმატებაში, იქ გიცრუვდება იმედი, ხოლო სადაც არ ელოდები, იქ გიმართლებს.

სანადიროდ ბლაჭნის ფაჯში

როგორც კი შევიტყე, რომ ფაცოიჩი მთიდან ჩამოსულა და მალევე აპირებდა უკან დაბრუნებას, სახლში მივაკითხე. ზაფხულში სკოლიდან თავისუფალი ვიყავი და როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა, მთაში ავდიოდი და ვტკბებოდი ბუნების მშვენიერებით, სულიერად ვისვენებდი ბარის ხმაურსა და ათასგვარ საზრუნავს გარიდებული. მთა სულ სხვაა, აქ არ არის დროის შეგრძნება, არსად მიგეჩქარება, არც ვისმე ელოდები, დილიდან საღამომდე ნებივრობაში ხარ. თუ საშუალება მოგეცა, სანადიროდაც გახვალ, მოინადირებ რამეს, ხომ კარგი, ხელმოცარული თუ მობრუნდი, არც ესაა უბედურება.

მთაში, საერთოდ, ნადირობაში ამხანაგი აუცილებელია, არასოდეს იცის მონადირემ, რა სიტუაციაში აღმოჩნდება, საფრთხე მუდამ ახლავს კლდე-ღრეებში, ჭიუხებსა და ქარაფებში მოსიარულეს. შეიძლება ისეთ ადგილას ჩარჩეს, საიდანაც ამხანაგის დროული დახმარების გარეშე შესაძლებელია კატასტროფა მოხდეს. მონადირე ვალდებულია, ისე გაუფრთხილდეს ამხანაგებს, როგორც საკუთარ თავს, დახმარება აღმოუჩინოს საფრთხეში მყოფს და არ მიატოვოს გაჭირვებაში ჩავარდნილი.

პირადად შემემთხვა ისეთი რამ, რის შემდეგაც თითქმის არასოდეს გავსულვარ სანადიროდ მარტო. სტუდენტობის პერიოდში დიდგვერდში ავედი, მეცხვარეები დაბლა ხევში იდგ-

ნენ, იქიდან დავდიოდი მუჟაზე, რაც 3-4 კმ-ით სამხრეთით, ჯამიეს სადგომთან მდებარეობდა. იქვე, დიდი დიდგვერდის წყლისა და პატარა დიდგვერდის წყლის შესართავის ჩრდილოეთით, რაღაც ასიოდე მეტრში, დიდი დიდგვერდის ქედის დასასრულთან, წყლის პირზე იყო სალოკი, რომელსაც პატარა მუჟას ეძახდნენ. ხევს აქეთ აღმართული იყო დიდგვერდის ქედი, რომლის ერთი ცერი სწორი ფერდიდან (ქისტურად „შეერ ბოსიე“) ეშვებოდა სპეროზას მთისკენ და ზედ ორწყალთან წყდებოდა, მჟავე წყლის (სალოკის) პირდაპირ მოწყობილი იყო სახუნდარი, ეხი, სადაც მონადირე საფრდებოდა დილას ან საღამო ხანს და უყურებდა მოპირდაპირე მთის ფერდს, საიდანაც სალოკზე ეშვებოდნენ არჩვები.

სახუნდარი წარმოადგენდა ეხს, გადმოშვერილ კლდეს, რომლის ქვეშ ერთი კაცი თავისუფლად წამოწვებოდა, ორნიც ეტეოდნენ, იმ სიმაღლისა იყო, წამოჯდომა და თოფის სროლა თავისუფლად შეიძლებოდა, დაბლა სალოკამდე 70-80 მეტრი თუ იქნებოდა, სროლა წარმოებდა ზევიდან ქვემოთ, მჟავე წყლის გამონაჟონის ლოკვით გართული ნადირისთვის. მოპირდაპირე მხრიდან ნადირს რომ არ შეემჩნია მონადირე, ეხის წინ ჩასმული იყო არყის მწვანე ტოტები. ამგვარად მონადირე საუკეთესოდ იყო შენიღბული, მარტო მოთმინება და ლოდინი მოეთხოვებოდა.

მეორე სალოკი, დიდი მუჟა მდებარეობდა სამხრეთით, პანკისის ხეობისკენ, სპეროზის მთის პირდაპირ, ხევის გამოღმა, ორი წყლის შესართავის ქვემოთ, ასიოდე მეტრში. იყო თუ არა მასზე ნადირი, შეიძლებოდა დურბინდით დაზვერვა ჯამიეს სადგომიდან ასიოდე მეტრის სამხრეთით ქედის ცერიდან, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა სიცხის პაპანაქებაში გახვეული პანკისის ხეობა.

როგორც კი შენიშნავდა მონადირე დიდ მუჟაზე ნადირს, პირდაპირ გადაკვეთდა შეერ ბოსიედან დაშვებულ ცერებს,

გავიდოდა ვაკე ადგილში, ცხვრის სადგომ ალხაჯში, შემდეგ დაეშვებოდა დაბლა სალოკის პირდაპირ და დაიწყებდა მიპარვას სალოკისკენ. ფეხმარდი მონადირე 20-25 წუთში ასწრებდა ამ მანძილის გავლას და თუ გაუმართლებდა, ფლატე კლდეზე მდგომ არჩვებს დაუწყებდა სროლას. დამფრთხალი არჩვები სამხრეთით კლდეებს შეუყვებოდნენ და სანამ მიეფარებოდნენ კლდიან ცერს, მონადირე ასწრებდა კიდევ რამდენჯერმე სროლას. აქ საჭირო იყო დროის შერჩევა, რათა იმ მომენტში არ ესროლა, როცა დაჭრილი არჩვი პირდაპირ აბობოქრებულ წყალში ვარდებოდა და წყალს მიჰქონდა. ხშირად მონადირე, გატაცებული სროლით, არც ფიქრობდა ასეთ შედეგზე და ხოცავდა ნადირს უაზროდ და უმიზნოდ. ეს დანაშაული იყო, მაგრამ ვინ მოსთხოვდა პასუხს?

ერთ ზაფხულს, სტუდენტობის პერიოდში მარტო ვნადირობდი. ღამეს ეხში ვათენებდი, მეზარებოდა ბინაში ასვლა, დღეში 8-10 კმ-ის გავლა. საღამო ხანს ჩავდიოდი ეხში, დაღამებამდე ველოდი და ვიძინებდი. ეხში ქუჩი იყო დაფენილი, ზედ ნაბადი გაშლილი და არცთუ ცუდად იყო მოწყობილი საწოლი.

დღის დიდ ნაწილს მაღლა ვატარებდი, ხან ხვთისოს ნაბინავარში გადავდიოდი, ხან დიდი მუჟას მაღლა კლდიან სერებზე დავბობღავდი. ერთ-ერთი ასეთი რეიდის დროს მივადექი ღრმა ღელეს, ჩასასვლელი ფლატე კლდეებით იყო მოფენილი, ისეთი, თითქოს ფილებით იყოს მოპირკეთებული ხელოსნის მიერ. საშიში გადასასვლელი იყო, შეიძლებოდა მისი შემოვლა, ოღონდ მაღლა უნდა ავსულიყავი საკმაოდ დიდ სიმაღლეზე და ვიწრო ღარზე გადავიდოდი.

მაგრამ შემოვლა დამეზარა, დაღლილი ვიყავი, მზეც მაგრად აცხუნებდა, ერთხელ კიდევ გადავხედე გასავლელ მონაკვეთს, ვახსენე ღმერთი და გადასვლა დავიწყე. თითქმის შუა გზაზე ვიყავი, როცა წინ ვერც ხელის მოსაკიდი ვნახე და ვერც ფეხის დასადგმელი. ბრმად, ხელის ცეცებით ვეძებდი კლდეში ნახეთქს საიმედო

საჭიდის მოსანახად, ამავე დროს ფეხის მოსაჭიდ ღრმულსაც ვეძებდი. რადგან ვერ ვგრძნობდი ფეხის საყრდენ მყარ ადგილს, ფეხები და მთელი ტანი დაძაბული მქონდა, ვგრძნობდი, ზურგის ღრმულში როგორ ჩაედინებოდა ოფლი და წელთან ქამრისგან შემოჭერილ პერანგში გროვდებოდა. ნელა მივიწევდი წინ და ბოლოს შევჩერდი, მკლავები დამიმძიმდა, მთელი სხეულით ვკანკალებდი და კლდის ტანს მიკრული ვისვენებდი.

„როგორ მოვბრუნდე?“ – საზარელი ფიქრი დასვენების საშუალებას არ მაძლევდა და ტვინს მიხვრეტდა. წინსვლაზე უკვე აღარ ვფიქრობდი, მივხვდი, რომ ვერც უკან გამოვიდოდი, გაჭედილი ვიყავი, კლდეზე ვიყავი მიკრული, მიწებებული. „რამდენ ხანს გავძლებ ასე? რას მოეხეტებოდი ამ კლდე-ღრეში, გდებულიყავი ჯამიეს ცერთან, ნელ ნიავზე გაგრილებულიყავი და გეგორავა მწვანეზე, შე დამპალო“, – ვლანძღავდი ჩემს თავს.

მზე ზენიტში იდგა, უმოწყალოდ აცხუნებდა, კეფას მიბურღავდა. ვგრძნობდი, კეფა როგორ მეწვებოდა, მზე როგორ მიდუღებდა ტვინს. საყელოს აწევაც კი არ შემეძლო.

მზე კარგა გადაიხარა, მე კი ჯვარზე გაკრულივით ვიყავი კლდეზე მიკრული. პირი გამიშრა, მკლავები მომიდუნდა, ბარძაყების კუნთები გამიშეშდა. დიდხანს ვერ შევიკავებდი ასე თავს, ვიფიქრე, რომ მოვწყდები, იქნებ ქვემოთ სადმე ტერასაზე დავეცე-მეთქი, ფრთხილად მოვაბრუნე თავი და დაბლა ჩავიხედე. ისეთი უფსკრული იყო თვალუწვდენელ სიღრმეში, რომ მეორედ არც ჩამიხედავს, შიშის კანკალმა ამიტანა.

ხშირად მომისმენია, ასეთ კრიტიკულ მომენტში, სიკვდილის მოლოდინში მთელი ცხოვრება წინ გაუვლისო ჩქარი კადრების სახით, მაგრამ მე ასეთი რამ არ მიგრძნია. ერთხელ გამიელვა, – როგორ მონახავენ ჩემს ცხედარს, კაცის შვილმა ხომ არ იცის, რა ადგილას ვიმყოფები-მეთქი.

გონება მოვიკრიბე, მივხვდი, რომ უნდა მომეკრიბა მთელი ძალა და მხოლოდ წინ უნდა მემოძრავა. დღესაც არ ვიცი,

როგორ გავედი კლდის ბოლომდე, ის კი ვიცი, ალაჰმა არ გამწირა და მომცა ძალა, თავი დამეღწია საფრთხისთვის. სამშვიდობოს გასული რამდენიმე საათს ვეგდე მიწაზე და უზომო სიხარულს განვიცდიდი, რომ გადავრჩი. იმ დღიდან ერთი რამ ჩავიბეჭდე გონებაში: არასოდეს წახვიდე სანადიროდ ამხანაგის გარეშე!

ვისერგისთან თავი ქუდში მქონდა, ვიცოდი, უფროსი მეგობარი ყველაფერში ხელს გამიმართავდა, თავშესაფარი და საჭმელ-სასმელი არ მომაკლდებოდა და სანადიროდ სანდო ამხანაგიც მეყოლებოდა. ფაცოიჩს მწყემსი ჰყავდა, ყარაჯლელი გელა, რომელსაც ნადირობა უყვარდა და საუკეთესო ამხანაგიც იყო.

ლეკუანამდე ჩვეულებრივი მაშრუტით (წინაგორა-ტბათანა-საქისტო) ვიარეთ და საღამოს უკვე ბინაში ვიყავით. მაშინვე ციკანი დაკლეს და გვიანობამდე ვისხედით სუფრაზე. მწყემსებმა გვითხრეს, რომ წინა საღამოს ძლიერი ქარიშხალი იყო, ცხენები კეხის გორზე მაღლა ცერზე ყოფილან, დამფრთხალან და ერთი დაგორებულა, ციცაბო ფერდზე პატარა ტერასაზე შეჩერებულა და იქ არისო. დაბლა ჩამოყვანა ვერ მოეხერხებინათ მწყემსებს.

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ ფაცოიჩი და მე წავედით ცხენის სანახავად. ხევში ჩავედით, ხე-ხიდით წყალზე გავედით და კეხის გორისკენ გავწიეთ. ბილიკი ტყის პირზე, შუა გორის ფერდზე მიემართებოდა, წიფლის ძირში ფაცოიჩი შედგა და რაღაცას თვალიერება დაუწყო. ახლოს მივედი და ზედ ბილიკზე შევნიშნე თითის სიმსხო მავთულის წნული ბაგირის მარყუჟი. ეს დათვისთვის გამიზნული მახე იყო, მონადირეები და მწყემსები ხშირად მიმართავდნენ ამ ვერაგულ ხერხს ტყის მეფის დასაჭერად. არ მომწონდა ასეთი სახის ნადირობა, რადგან მარყუჟი („ტროსი“) სისტემატურად, პერიოდულად როდი მოწმდება, ხდება ისეც, რომ მარყუჟში გაბმული ნადირი რამდენიმე დღე წვალობს, ან იგუდება, ერთი სიტყვით, წამებაში

არის. გამიგია ისიც, რომ ასეთ მახეში მგელს თათი გადაუღრღნია და ისე გათავისუფლებულა.

– არასწორად მიმაჩნია მხეცის ამ მეთოდით წამება, ხომ შეიძლება, მთელი კვირა იყოს მარყუჟში გაბმული და ვერავინ მიაკითხოს? – უკმაყოფილოდ ვუთხარი ვისერგის.

– მართალი ხარ, შარშან ხევგაღმა მე თვითონ ვნახე მკვდარი დათვი, რომელსაც მარყუჟი წელზე შემორტყმოდა, ირგვლივ მიწა ისე იყო მოთხრილი, ტრაქტორით ნახნავი გეგონებოდა.

– მეც მაგას ვამბობ. ამ სახის მახის, საერთოდ ყველა სახის ხაფანგი უნდა მოწმდებოდეს ყოველდღიურად, რეგულარულად. აქ კი ისეთ ადგილას არის „ტროსი“ დაგებული, სამ-ოთხ დღეში თუ ჩამოვა მწყემსი აქ ბინიდან. დარწმუნებული ვარ, მწყემსების ნახელავია.

– კი, მართალი ხარ. აქედან არცთუ შორს, სადაც ჩვენ ახლა მივდივართ, მშრალი ცხვარი დგას, ჯოყოლოელი მწყემსი მყავს დაქირავებული, თენგიზ გახუტიშვილი, შეიძლება იმანაც დააგო ხაფანგი, ჩიოდა, – დათვი მოსვენებას არ მაძლევსო.

გზა გავაგრძელეთ, კეხის გორის ძირში ხევში გავედით და აღმართს შევუდექით. ერთ საათში ციცაბო მწვანე ფერდობი ავიარეთ და ცხენიც შევნიშნეთ, რომელიც ფეხზე იდგა. ეს იყო პატარა ვაკე ადგილი, 20-30 კვ.მეტრი, ბალახი პირწმინდად მოეძოვა, წრიდან გარეთ გასვლას ვერ ბედავდა, ინსტიქტით გრძნობდა, რომ ძალა არ შესწევდა ციცაბო ფერდობზე მოძრაობისა.

ცხენს შემოვუარე, გარედან არაფერი ეტყობოდა, ფეხები, კისერი, ზურგი და გავა, ჩემი შეხედულებით, ნორმალური იყო და ვიფიქრე, რომ დაგორებისგან არის შეშინებული და ამიტომ ჩარჩა ამ ადგილას-მეთქი. ვისერგის გავუზიარე ჩემი ნაფიქრალი. მან გაიღიმა, ახლოს მივიდა ცხენთან, ზურგზე ხელი გადაუსვა, გავაზე შეაჩერა ხელი და ოდნავ დააწვა. ცხენს ააკანკალა, საცოდავად დაიქნია თავი და ხმადაბლა დაიხვიხვინა.

– ეტყობა, ზევიდან გადმოვარდნის დროს ზურგით დაეცა. გავა აქვს გატეხილი, საეჭვოა, ამას რამე ეშველოს, – დანანებით თქვა ფაცოიჩმა.

დიდებული ულაყი იყო, წითელი ფერის, დამრგვალებული, ფართო მკერდით და პატარა მუცლით. კარგად მოსუქებული-ყო, რომ იტყვიან, ბეწვს თუ ამოაძრობდი, ერბო გადმოდინდებოდა. თანაც ისეთი საცოდავი თვალებით შემოგვყურებდა, სიბრალულით ამევსო გული.

– მოდი, ფრთხილად ჩავიყვანოთ დაბლა, აგერ იმ ვაკეზე და იქ დავტოვოთ. ერთ კვირაში ცოტათი მაინც თუ შეუხორცდა გატეხილი ზურგი, შევეცდებით, ხევში ჩავიყვანოთ. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ნადირი არ წააწყდა და ბოლო არ მოუღო.

დიდი სიფრთხილით შევუდექით ულაყის დაბლა ჩაყვანას. ცხენი ფრთხილად დგამდა ნაბიჯებს. ჩვენ მიერ შერჩეულ გზას ხშირად უქცევდა და თავად პოულობდა უფრო შესაფერის მისაქცევ-მოსაქცევს. სვენებ-სვენებით, ნახევარი საათის განმავლობაში დავიწიეთ დაბლა, ციცაბო ფერდობზე ჩაღრმავებულ, სწორ ადგილზე და შვებით ამოვისუნთქეთ ჩვენც და ცხენმაც. იქვე ფერდობზე გავედი, მონადირის დიდი დანით, როგორც ყანას მკიან, ისე მოვთიბე ბალახი და ცხენის წინ დავყარე. ცხენს დიდი სიხარული არ გამოუხატავს, ყასიდად, თითქოს ხათრს არ მიტეხსო, ნელა დაიწყო ბალახის ჭამა.

მეტი არაფერი შეგვეძლო. გაღმა ფერდობზე ცხვარი იყო გაშლილი. ლამაზი სანახაობა იყო, მწვანე ბალახითა და ნაირნაირი ყვავილებით აჭრელებულ ფერდობზე ცხვარი ისე იყო შეფენილი, როგორც ლურჯ ცაზე კაშკაშა ვარსკვლავები. შიგდაშიგ ცხვრის ბღავილი და ძაღლის ყეფა არღვევდა მყუდროებას. მონუსხულივით ვიჯექი და გავყურებდი წინ გადაშლილ იდილიურ სურათს. ადამიანი აკლდა ამ იდილიას და ისიც გამოჩნდა. ეტყობა, ბალახში იწვა და ისვენებდა, მაგრამ ჩვენ გვათვალიერებდა. როგორც კი მე და ფაცოიჩი დავეშვით

ხევისკენ, ისიც დაიძრა დაბლა. აშკარად ჩანდა, ჩვენთან შეხვედრა ჰქონდა გადაწყვეტილი, ადრევე შეგვნიშნა და ცხვარიც შემოაბრუნა, რათა სულ ხედვის არეში ჰყოლოდა.

ხევის პირზე, ჩვენგან დასავლეთით შევნიშნე ალხაჯი, კლდეზე მზეზე გაფენილი ნაბადი, სანოვაგის შესანახი ქვის ყორე, რომელიც სიპი ქვებით იყო დახურული. ჩვენც იქით ავიღეთ გეზი.

წვერმოშვებული, გამხდარი თენგიზი მაშინვე ვიცანი, მივესალმეთ, მოვიკითხეთ ერთმანეთი და კლდეზე ჩამოვსხედით. ფაცოიჩმა უთხრა მწყემსს, რომ სანოვაგეს საღამოს გადმოუტანდნენ. თენგიზმა უპასუხა, რომ ჯერ არაფერი უჭირს, მხოლოდ ჩექმები გამეხა, წყალი ჩამდისო.

– რა ნომერს ატარებ? – ვკითხე მე, რადგან ვიცოდი, რომ მისმა „ხაზეინმა“ ჩექმები ვერ იშოვა, თელავშიც ყოფილიყო ამისათვის ჩასული.

– 42 ნომერი მაცვია, მეტი ზომისაც რომ იყოს, ვინ ჩივის. კარგ ამინდშიც დილით ჭირხლი დევს და ყოველთვის მისველდება ფეხი, – მითხრა თენგიზმა.

– ერთი ზომის ფეხი გვქონია მე და შენ, გაიხადე ერთი, – თან ჩემი ახალი ჩექმები გავიხადე და წინ დავუყარე, – მე ერთორ დღეში სახლში ჩავალ, ბარში ესენი არც მჭირდება.

თენგიზმა მადლობა მითხრა და სწრაფად ჩაიცვა ახალი ჩექმები, ფეხზე წამოხტა, მიდგა-მოდგა და კმაყოფილი სახით ჩამოჯდა.

ცხენის ამბავიც მოგვიყვა:

– სამი დღეც იქნებოდა, ჩვენი ცხენები აქვე ახლოს ტრიალებდნენ. თვალს ვადევნებდი, მოგეხსენებათ, ცუდი დროა, ხალხი ჩეჩნეთში კეხის გორისა და ბოთანის გავლით გადადიან ხევსურეთში და იქიდან არგუნის ხეობას დაჰყვებიან გროზნოსკენ. არიან ისეთებიც, რომლებიც სიამოვნებით გააყოლებენ ხელს ცხენებს, საჯდომადაც გამოიყენებენ, ჩეჩნეთში გაყიდიან და იხეირებენ

ერო. მოიცა ერთი, მონადირევ, შენ რომ ყოვლად უვნებელ ფსიტებს ხოცავ, რა, უვლი, თუ რა? იქნებ ზამთარში ამოდიხარ აქ და თივას უყრი?

– აბა, შენ ხომ თევზების მოვლაში, მათ კვებაში ატარებ დღეს და ღამეს, ამიტომაც თევზაობ ასე ხშირად, კალმახი არ დაგიტოვებია ხორაჯოსა და მახვალის წყლებში, – სამაგიეროს ვუხდი გახუტაშვილს.

მან გაიცინა, ჯოხს წამოავლო ხელი, – აბა, წავედიო, თქვა და თავქვე დაეშვა. ცხვარი ხევგაღმა, ლეკუანის პირდაპირ აყუდებულ მთის ფერდობზე ჰყავდა გაშლილი.

საღამო ხანს მოვემზადეთ ჩასაფრებისათვის და კეხის-გორისკენ გავწიეთ მე და ფაცოიჩმა.

როდესაც ჩასაფრების ადგილს მივაღწიეთ, მეცხვარე უკვე ალხაჯთან თეოზე აყენებდა ცხვარს. ბინდი თანდათან ეპარებოდა ხევებს, მთის მწვერვალები ჯერ კიდევ იკვეთებოდნენ ბინდბუნდში და დევებივით დასცქეროდნენ მიდამოს.

უცბად ჩამობნელდა, ირგვლივ სიწყნარემ დაისადგურა. ცხენის ლეშიდან დაახლოებით 100 მეტრში ერთ კლდის ძირში მოვაწყე საფარი, ქვეშ ქუჩი გავშალე, ზედ ქურთუკი გავფინე, ნახევრად წამოვწექი, ზურგით კლდეს მივეყრდენი და სიბნელეს მივაშტერდი. თვალი თანდათან მიეჩვია სიბნელეს, ბუნდოვნად ვხედავდი კეხის გორის ბორცვებს, ლოდებს, ბუერას ყლორტებსა და ცხენის ლეშს.

ფაცოიჩი ჩემგან მოშორებით, ზემოთ, მარჯვნივ მომაღლებულ ადგილზე მოკალათდა. როგორ მოეწყვეო, – შემეხმიანა და მიჩუმდა. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა, ხანდახან ცხვრის ხველა თუ გაისმოდა.

ავტომატზე ელექტროფარანი მქონდა მიმაგრებული, შუქი ისე მქონდა დარეგულირებული, რომ სხივები ერთ ვიწრო ფოკუსში იყო მოქცეული და შორს ანათებდა. დათვის მოსვლა ლეშთან ხმაურს გამოიწვევდა და ძაღლებიც ყეფას ატეხდნენ.

კიდეც. გუშინღამ საშინელი ქარი ამოვარდა, ისეთი წვიმა წამოვიდა, თითქოს ჯამიდან იღვრებოდა. საშინელი გრუხუნი და ელვა სერავდა ცას. გაღმიდან ცხენების ჭიხვინი ჩამესმა, მაგრამ ნაბდიდან თავი არ წამომიყვია, წამოდგომას ვინ გაბედავდა, კლდეს ტკიპასავით მივეკარი, რომ ქარს არ გავეტაცე. ცხვარი შექუჩდა, ერთმანეთის დუმებქვეშ თავები შეყვეს და გასუსულები იდგნენ. ძაღლები შეშინებულები წკმუტუნებდნენ, სიელა მეხს აქეთ-იქით სტყორცნიდა, როგორც ცირკის აკრობატი წითელ ლენტებს.

დილით კი მზემ გამოაშუქა და მაღლა ფერდზე მარტოხელა ცხენი შევნიშნე, რომელიც თავჩაქინდრული იდგა. მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. ავედი მასთან, ვცადე, დაბლა ჩამომეყვანა, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი. დაბლა ჩამოვედი, ხევგამოღმა ცერიდან გავძახე და სარქალს ვაუწყე მომხდარი.

თენგიზმა დაიჩივლა, რომ ყოველღამე დათვი ეტანება ცხვარს, მოსვენებას არ აძლევს, ძაღლებსაც არ მოუხუჭავთ თვალიო. ჩვენ შევპირდით, რომ მალე ვეწვეოდით, გამოვემშვიდობეთ და ბინისკენ წამოვედით.

მეორე დღეს ბინიდან გამოსულმა თენგიზი დავინახე, რომელიც კუნძზე იჯდა, ყაურმას ჭამდა და ამბავს ყვებოდა. როგორც კი დამინახა, წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა:

– ცხენი წუხელ დათვმა დაბლა ხევში ჩამოაგდო, კარგად მიაძღა და წავიდა. რამდენიმე ადგილას „ტროსი“ დავუგე, მაგრამ ისეთი მამაძაღლია, ყოველთვის გვერდს უვლის. ხასოა, ამაღამ ჩაუსაფრდით, დარწმუნებული ვარ, კვლავ მოვა მამაძაღლი გასაძღომად და გააგორებ კიდეც.

– აუცილებლად წამოვალ. აი, „ტროსს“ რომ აგებ ბილიკებზე, არ არის მოსაწონი ამბავი. ისიც მითხრეს, თურმე ერთხელ თხა გაბმულა დათვის მაგივრად. დათვი დათვია, მაგრამ ღირსია იმისა, რომ ღირსეულად მოკვდეს.

– ბიჭოს, არ შეიცოდა მამაძაღლი! ცხვარს რომ მტაცებს, რა, მისი საკუთრებაა? მტაცებელია და უნდა მიეზღოს სამაგი-

დათვი ძაღლებსა და მათ გნიასს, საერთოდ, აინუნშიც არ აგ-
დებს, არც კადრულობს მათთვის ყურადღების მიქცევას, თავის
საქმეს ისე აკეთებს, ისინი ვითომც არც ყოფილან. როგორც
ვეებერთელა ნაგაზი არაფრად აგდებს პატარა გოშიების წკავ-
წკავს, ამაყად მიდის და არც კი შეხედავს მათ, ისე დათვიც მა-
მაცი ნაგაზების შეტევას ყურადღებას არ აქცევს, შეიჭრება
ფარაში და იტაცებს ცხვარს. მხოლოდ ადამიანის ეშინია,
მწყემსის ყვირილზე და სტვენაზე გაერიდება ფარას, თუმცა
ხშირად არც მას ეპუება.

თანდათან სიბნელემ მოიცვა არემარე. ირგვლივ უკვე ვერ-
აფერს ვარჩევდი, მხოლოდ ცის ფონზე იკვეთებოდა მთათა
მწვერვალების კონტურები. ასეთ დროს, მარტოობის ჟამს,
მთაში ადამიანს გიტაცებს ფიქრი ცხოვრების არსზე, ამა ქვეყ-
ნის წარმავლობაზე, საიქიო ცხოვრებაზე. მთაში ხარ კაცი
ღმერთთან ახლოს, სრულყოფილად განიცდი მის არსებობას,
ღმერთის თაყვანისცემის მოთხოვნილება გიჩნდება.

ვახშმობის დრო გადასული იყო, როცა ძაღლებმა ყეფა ატე-
ხეს. ქვევით, ხევდახევ ტყისკენ გაქანდნენ. ყეფა ხან ძლიერ-
დებოდა, ხანაც წკავწკავში გადადიოდა. ნათელი იყო, ტყის მე-
ფე ზევით მოიწევდა, ძაღლების ორკესტრიც გვიახლოვდებოდა.

ტანში გამბურძგლა, წამოვჯექი და სმენად ვიქეცი. დაძა-
ბული ვიყურებოდი დაბლა, ვცდილობდი, სიბნელეში გამერკვია
რამე. თოფის დამცველი გავხსენი, მარცხენა ხელის საჩვენებე-
ლი თითი ელექტროფარნის ჩასართველ ღილაკზე მედო, მარ-
ჯვენა ხელისა – სასხლეტზე. ვღელავდი, მაგრამ გონება ფხი-
ზლად მუშაობდა, უნდა მომეცადა, სანამ დათვი ცხენთან არ
მოვიდოდა და არ დაიწყებდა ლეშის ჭამას. ისიც ვიცოდი, რომ
დათვს ხრწნაშეპარული ხორცი უყვარდა და იმედი მქონდა, ნა-
დირობა წარმატებით დამთავრდებოდა. მოთმინებით ვიცდიდი,
ისიც კარგად ვიცოდი, რომ მონადირის მთავარი პრინციპია
აუჩქარებლობა, ნებისყოფა, მოთმინება. სჯობია, მოთმინებით

დაელოდო მომენტს, აუჩქარებლად დაუმიზნო და ესროლო, თუნდაც ააცდინო, არაფერია, მოთმინების ნებისყოფას გამოიმუშავებ შენში.

ახლა სიფრთხილეც იყო საჭირო, რადგან არსებობდა საშიშროება, ძაღლს მოხვედროდა ტყვია. ძაღლი მთაში მწყემსის განუყრელი მეგობარია, მისი თანაშემწე და ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მწყემსი პურის საჭმელად არ დაჯდება, სანამ ძაღლებს სალაფავს არ მოუმზადებს და აჭმევს. წარმოიდგინეთ, როცა ავდარი კვირაობით და მეტხანსაც გრძელდება, თავით-ფეხებამდე დასველებული მეცხვარე, რომელსაც ცეცხლიც კი არ დაუნთია თავსხმა წვიმაში, აუცილებლად მოუმზადებს ძაღლებს სალაფავს და აჭმევს, თავად მშიერი სველი თეოზე მიეგდება, ცხვარს კი ძაღლების იმედად ტოვებს და ნაბადში გახვეულს ტანის სითბოთი ტანისამოსიც უთბება და ჩაეძინება. აბა, ერთგულ ძაღლს რომ მოუკლავ, რა გუნებაზე დადგება, როგორც მამის მკვლელს („და ვიინარგ“), ისე გადაგემტერება.

ძაღლების გნიასი შენელდა, როგორც ადრე, შეხმატკბილებულად აღარ ყეფდნენ. ერთი, რომელსაც ბოხი ხმა ჰქონდა და მთელ არემარეში ომახიანად ისმოდა, შეუწყვეტლივ იყეფებოდა შემტევ ტონზე. მალე წკავწკავიც გაისმა. მივხვდი, რომ დათვი შეჩერდა, უსაფრთხოებას ამოწმებდა და ყეფისგან გაბეზრებული, ხანდახან შეუტევდა ძაღლებს. ცხადია, ძაღლები მას ვერ შეაჩერებდა, მან საფრთხე იყნოსა, ინსტიქტით იგრძნო საშიშროება.

მართლაც, ძაღლების ყეფა თანდათან შორიდან ისმოდა, დათვი, ეტყობა, ტყეში შევიდა, რადგან ყეფა შეწყდა. ვისერგი გადმოვიდა ჩემთან და მითხრა:

– წავიდა მამაძაღლი, მიხვდა, რომ რაღაც ვერ იყო საქმე რიგზე და ვახშმობაზე უარი თქვა.

– კი, მაგრამ როგორ შეიტყო ჩვენი აქ ყოფნა? ტელეფონით ხომ არ შეატყობინეს თანამოძმეებმა საფრთხის შესახებ? – უკბილოდ ვხუმრობ.

– მაგათ თავიანთი ტელეფონი აქვთ, თავში ჩამონტაჟებული და ყველაფერს კარგად გრძნობენ. ის ამაღამ აღარ დაბრუნდება, შეგვიძლია, დავიძინოთ.

ძაღლები ერთიმეორის მიყოლებით დაბრუნდნენ, მათ მოიხადეს თავიანთი მოვალეობა და თეოზე დაბრუნდნენ. მწყემსიც შეეხმიანა და ყველაფერი დადუმდა, ირგვლივ სიჩუმემ, მკვდარმა სიჩუმემ დაისადგურა.

დიდხანს არ ჩამეძინა, გონებაში ავწონ-დავწონე ღამის თავგადასავალი და ერთ რამეში დავრწმუნდი: ბუნებაში ყველაფერი, სულიერი და უსულო ერთმანეთშია გადაჯაჭვული, არსებობს ადამიანისათვის მიუწვდომელი ძალა, რომელიც განაგებს სამყაროს. ვაჟა მართალია, როცა ამბობს:

„ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცენარეთ...“

სულიერი არსებანიც ასეთ ჰარმონიაშია ბუნებასთან, გარდა ადამიანისა, რომელიც ერევა ამ ჰარმონიაში, არღვევს მას და ღმერთის რისხვასაც იწვევს.

დილით ადრე გამაღვიძა ვისერგიმ და წამოვედით ბინისკენ. დავთქვით, რომ მეორე ღამესაც ვუდარაჯებდით დათვს, მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება: ბინაში მშრალი ცხვრიდან მობრუნებული გელა მელოდა და გადავწყვიტეთ ალაზნის თავში გამგზავრება ჯიხვებზე სანადიროდ. ალაზნის თავში, ბორბალოს ძირში ეყენა ფაცოიჩს ბატკანი, მებატკნეები გაგვიწევდნენ მასპინძლობას.

სასწრაფოდ ვისაუზმე. გელამ ცხენების ჯოგი მორეკა ბინაში, ორი ცხენი დავიჭირეთ, სწრაფად შევკაზმეთ და გავუდექით გზას. მოკლე გზა ავირჩიეთ, მთა მასარისკენ ავიღეთ გეზი. ლე-

კუანიდან დაბლა ჩავედით, ცხენებზე შევსხედით, ივრის წყალში გავედით და მოპირდაპირე მთას შევუდექით. ფერდობი სამხრეთისკენ გადავჭერით, ცერზე გავედით და ქედის ცერს ავყევით მასარის მთისკენ. ცერი დავაკებული იყო და ცხენებიდან არ ჩამოვსულვართ, ტაატით მივყვებოდით აღმართს. ხანდახან, როცა ვაკეზე გავდიოდით, სადაც ალხაჯები გვხვდებოდა, ცხენები გვერდიგვერდ მიგვყავდა და ვბაასობდით აქეთურ-იქეთურზე.

ერთ მაღალ ბორცვს შემოვუარეთ, თხემზე მოვექეცით და ბორცვის წინ ვაკეზე დაყრილი ცხვარი შევნიშნეთ. ზედ ბორცვზე მეცხვარე მოსასხამში გახვეულიყო და ტკბილად ეძინა. იდილიური სურათი იყო, მხატვარი უეჭველად აღფრთოვანდებოდა ასეთი პეიზაჟისა და ყოფითი სურათის შეხამებით.

ძაღლების ყეფაზე მეცხვარეს გაეღვიძა და წამოჯდა. ის ჩემი ძველი ნაცნობი თუში, ჩემი კოლეგა-მასწავლებელი აღმოჩნდა. ცხენებიდან ჩამოვხტით, ჩამოვსხედით მდელოზე და ბაასი გავაბით. გელას ვუთხარი:

– ძმისწულო, ის „კანისტრა“ ჩამოხსენი და ამ თუშს მათარა გაუვსე. ჩვენ დრო არა გვაქვს, თანამეინახეობა გავუწიოთ, დაღამებამდე უნდა ავიდეთ ბორბალოზე.

– დიდი მადლობა, ჩამაასხი, თათარო, თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ, ბარაქიანი ყოფილიყოს თქვენი ნადირობა, შეგეწიოთ ადგილის დედა, – წარმატება გვისურვა თუშმა.

კვლავ შევსხედით ცხენებზე. როცა ქედის თხემზე გავედით, წინ უნაგირიანი მომცრო ქედი დაგვხვდა. აქედან ბილიკი არ ეტყობოდა ხშირ ბალახში, ჩამოვქეითდით, ცხენები სადავით წავიყვანეთ, მთის უნაგირზე გავედით და იმ ბილიკისკენ დავეშვით, რკინის მთიდან რომ მოდიოდა და მასარის მთისკენ ფერდობებს რომ ჭრიდა.

მასარის მთისკენ გავწიეთ, წიფლოვანის, ალაზნის ხევისკენ დაშვებულ ქედზე გავედით, სადაც ტერასა იყო გაჭიმული და ფართო ტაფობს ქმნიდა. იქვე გადმოჩქეფდა მოზრდილი ნაკა-

დული, სადაც ცხვრის სადგომი ალხაჯიც მოეწყოთ მეცხვარეებს. დიდებული ადგილი იყო, წინ გადაშლილი შესანიშნავი ხედით, ბორბალოდან დაწყებული ქედი სპეროზისკენ მიემართებოდა, მასარის პირდაპირ ამართული იყო საყორნეს მაღალი მთა, რომელიც უნდა აგვევლო და იმის იქით იწყებოდა პირიქითა ალაზნის ხევი.

ისეთი გულმისასვლელი ადგილმდებარეობა იყო, რომ მგზავრი აქ გაუჩერებლად ვერ გაივლიდა და არც მახსოვს, როდისმე დაუსვენებლად გაგვევლოს ეს ადგილი. ამჯერადაც ცხენებიდან ჩამოვხტით, ისინი ლაგამისგან გავათავისუფლეთ და საძოვარზე მივუშვით. თავადაც ყველსა და პურს გემრიელად შევექეცით, თან მთის ყინულივით ცივ წყალს ვაყოლებდით.

კარგად დავისვენეთ, შემდეგ თავქვე დავეშვით. ბილიკი ნაშალზე ჩაჰყვებოდა ხევისკენ. ნაშალი გამაგრებული იყო, ზედ ბალახ-ბულახი იყო ამოსული და სავალად ძნელი არ იყო, მიუხედავად დამრეცი ფერდობისა. ბილიკი კლაკნილი ხაზით ჩაჰყვებოდა ხევის ფორმის ფართო ღარს, ზედ ტყის პირზე მარცხნივ, ქედის ცერისკენ უხვევდა და უკვე ტყეში მიიკლაკნებოდა.

დაბლა ალაზანზე ჩავედით, ცხენებზე შევსხედით და გაღმა გავედით. ზედ ალაზნიდან ისეთი ციცაბო აღმართი იწყებოდა, რომ ჩამოვედი და ცხენი აღვირით წავიყვანე. ბილიკი დაშლილ კლდეებს შორის იყო გაჭრილი, ძნელი სავალი და სახიფათო. ცხენს უჭირდა, შეისვენებდა და მერე ნახტომებით მიიწევდა წინ, ზურგში მახლიდა თავს და მაიძულებდა, მერბინა დაკიდულ აღმართზე.

ერთ-ერთ კლდეს რომ შემოვუარეთ, ჩავიხედე და დავინახე მკვდარი ცხენი, რომელიც ზურგზე ეგდო და ოთხივე ფეხი მაღლა ჰქონდა აფშეკილი. წაბლისფერი ულაყი იყო, მუცელი გაბერვოდა, რამდენიმე დღის წინ გადაჩეხილი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, კლდეზე ახტა, უკანა ფეხები ჩაეკეცა და ათიოდე მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ ალაზნის პირზე შუბებივით აშვერილ სიპის ქვებზე დაენარცხა.

ალპურ ზონაზე ავედით და საყორნის მთის მწვანედ აბიბინებულ კალთებს ავყევით. ძალიან მაღალი მთა არის, სამი საათი მაინც უნდა ცერამდე ასასვლელად. შუა ადგილას, ბილიკიდან ოდნავ მოშორებით, ჯვრებია აღმართული. აქ თუში მეცხვარეები დაიღუპნენ, ალაზნის თავიდან ყველი შვეულმფრენით ალვანში ჩამოჰქონდათ. გადატვირთვის თუ უამინდობის გამო შვეულმფრენმა ავარია განიცადა და პილოტთან ერთდა ყველანი დაიღუპნენ.

ცხენებიდან ჩამოვედით, არაყი ჩამოვასხით, დაღუპული მწყემსების შესანდობარი დავლიეთ და გზა განვაგრძეთ. გზაში სამი დუისელი შემოგვხვდა, გროზნოდან მოდიოდნენ, დიდხანს არ შეჩერებულან, დაღამებამდე ტბათანაში აპირებდნენ ჩასვლას. მათ გვითხრეს, რომ ბევრნი მოდიოდნენ ჩეჩნეთიდან პანკისელი ქისტები, გზაში შეგხვდებათო.

მე-20 ს. 90-იანი წლები იყო, საქართველოს სამხედრო გზით მგზავრობის დროს მხედრიონელები და სხვა ფორმიანი დამნაშავეები ქისტებს აწვალებდნენ და ამიტომ, ხშირად, მთით მგზავრობდნენ. იყო კიდევ ერთი და, ალბათ, მთავარი მიზეზიც, უკონტროლობის პერიოდი იყო, იარაღისა და ნარკოტიკების მთებზე გადატანა-გადმოტანა უფრო უსაფრთხო იყო და კრიმინალთა უმეტესობა მთის მარშრუტს ირჩევდა.

როგორც კი მაღლა ავედით, უღელტეხილის ბილიკზე აქეთ მომავალი მგზავრების მწკრივი შევნიშნე. გადავწყვიტე, დავლოდებოდი და გროზნოს ამბები გამომეკითხა. ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომის შემდეგ ჩეჩნეთში ქაოსი იყო, კრიმინალმა იმძლავრა, ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად, საველე მეთაურები ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ, მაინტერესებდა, რა სიტუაცია იყო ამჟამად.

გელამ ცხენები საძოვარზე გაუშვა, ჩრდილო ფერდობზე დაიწია, პირიქითა ალაზნის ხეობისკენ ისე, რომ სადაც მე ვი-

ჯექი, იქიდან ცხენები ჩანდა, მაგრამ თავად არ ჩანდა, მხართეძოზე იყო წამოწოლილი. მე მივხვდი, რატომაც მოიქცა ასე, მომეწონა მისი მოსაზრებულობა და თავადაც ქვეშ ქურთუკი გავიშალე და წამოვწექი. ქურთუკის მარჯვენა კალთა გადავაფარე დაკეცილკონდახიან ავტომატს, რომელსაც 10 ვაზნიანი სავაზნე კოლოფი ჰქონდა და დასაფარად იოლი იყო.

მოწინავე ჯგუფი მოგვიახლოვდა. ვიცანი, ჩვენი სოფლელები იყვნენ, მეთაური ჩემი გვარისა აღმოჩნდა. ერთმანეთს ამბები (ხაბარი) გამოვკითხეთ. ბოევიკი იარაღს ყიდულობდა ჩვენთან და გადაჰქონდა ჩეჩნეთში. დაბლა ხევში ცხენი რომ ვნახეთ ჩაჩეხილი, მისი ყოფილა, იარაღთან ერთად ცხენებსაც ყიდულობდნენ, ჩეჩნეთში, იარაღის გადატანის შემდეგ ცხენებსაც ჰყიდდნენ.

მალე დანარჩენებიც მოვიდნენ, პანკისელი ქისტები, ზოგს გზის ფული არ ჰქონდა და ფეხით მოდიოდა, ზოგიერთს ნავთობით აღებული ფული მოჰქონდა და სხვ. რადგან ეჩქარებოდათ, მალე გზას გაუდგნენ, მეც გელას შევუერთდი.

წინ გელა მიდიოდა, ცხენები სადავით მიგვყავდა. ალაზნის თავში ასასვლელად ჯერ ხეობაში უნდა ჩავსულიყავით. საკმაოდ დავაკებული, ფართო ხეობა გადაიშალა თვალწინ, აღმოსავლეთით დიდ მანძილზე ხეობა ხელისგულივით ჩანდა, შემდეგ ჩრდილოეთით უხვევდა და თვალსაწიერიდან იკარგებოდა. სადღაც შუაწელში ფინური სახლები იდგა, ამბობდნენ, იქ ბერები დაყუდებულან, საპატრიარქოსთან რაღაცაზე განხეთქილება მოუვიდათო. იმასაც ამბობდნენ, ჩეჩენ ბოევიკებს ეხმარებიანო.

ამ ხეობაში მე და გელა ნამყოფები არ ვიყავით და გზაც არ ვიცოდით. მართალია, ეს უღელტეხილი მე რამდენჯერმე გამივლია ხევსურეთისკენ და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებისკენ მიმავალს, მაგრამ ალაზნის თავში ნამყოფი არ ვიყავი. ისიც გამიკვირდა, რომ ასეთი კარგი ამინდი იდგა ახლა. რამდენჯერაც გამივლია ამ ქედის ცერზე, ყოველთვის ამინდი აირეოდა და წუთში ხოშკაკალა სეტყვა დაუშვებდა ხოლმე.

– ახლა გზის ძებნის დრო არ გვაქვს, გელა, მოდი პიდაპირ დავეშვათ, არცთუ ციცაბოა ეს ფერდობი, მართალია, აქა-იქ დეკათია დაფარული, მაგრამ, როგორც ხედავ, დეკიანში მწვანე ტერასებია და ამ „ბილიკებით“ ჩავალთ კიდეც ხეობაში.

– პრობლემა არაა, ჩასასვლელს მოვნახავთ, – იმედიანად მითხრა ამხანაგმა.

უცბად ცხენებმა ყურები ცქვიტეს. გელა შეჩერდა და გარშემო მიმოიხედა, ყურადღებით იყურებოდა წინ. სადავე მოვწიე, მაგრამ ჩემმა ცხენმა თავი აიქნია და კინაღამ სადავე გამომგლიჯა. მივხვდი, რაღაც ვერ იყო რიგზე და ავტომატს ინსტიქტურად მხრიდან მოხსნა დავუწყე.

ჩვენ მივუყვებოდით გაშლილ, მწვანე მინდორზე, წვიმებისა და ნიაღვრებისგან ჩაღრმავებული, არცთუ ღრმა ღელის ნაპირს. ღელეს მარჯვენა ნაპირი წითლად ჩანდა, წითელი მიწა დაღარული იყო პატარა ნაკადულებისგან.

უცბად ღელეს ძირიდან ამოხტა ასევე წითელი ფერის არჩვი, ბექის ნაპირზე შედგა და შემოგვხედა, გაკვირვებული გვიცქეროდა. მე ავტომატი მხრიდან ჩამოხსნილი მქონდა და გამომუშავებული ჩვევის შესაბამისად კონდახს ვხსნიდი. AKM-ის სისტემის ავტომატი იყო, რკინის კონდახი ქვეშ ეკეცებოდა. ვიცოდი რა არჩვის ხასიათი, მისი გადამეტებული ცნობისმოყვარეობა, ჩავჯექი. ფეხზე მდგომი ადამიანის დანახვა ნადირს განსაკუთრებით აფრთხობს, ხოლო როცა მოკუზულია ან ჩაჩოქილი, ინტერესით უყურებს, შესაძლებელია, ნადირიც ჰგონია და აკვირდება. მაგრამ ეს ცნობისმოყვარე დაკვირვება დიდხანს არ გრძელდება, რაღაც წამები და ის ადგილიდან მოწყდება ხოლმე.

ეს წამები ვერ გამოვიყენე. საკეცი კონდახის გაშლამ, დამცველიდან მოხსნამ მეტი დრო წაიღო და მხოლოდ ტყვია მივაყოლე ცერიდან გადავლებულ არჩვს. მაშინვე სწრაფად ჩავხტი ღელეში, სწრაფადვე ამოვხტი და ცერზე მოვექეცი, მაგრამ არჩვი გაუჩინარდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ბორბალოდან ჩა-

მოშვებული ქედი აღმოსავლეთისკენ ეშვებოდა, სპეროზასთან, მახვალის ხევში წყდებოდა და როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით მომცრო პარალელურ ქედებს უშვებდა. ეტყობა, დამფრთხალი არჩვი სწრაფად გადაევლო მომდევნო ცერს და დეკიანში მიიმალა.

გაშტერებული ვიდექი და უაზროდ ვიცქირებოდი ირგვლივ. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი მგზავრებთან შეხვედრის ადგილიდან რაღაც 100 მეტრში ნადირს გადავაწყდებოდით, ამიტომ სრულიად მოუმზადებლები შევხვდით ამ შემთხვევას. არადა გამოცდილ მონადირეებს ხშირად უთქვამთ, რომ შეიძლება ნადირს გადააწყდე იქ, სადაც არ ელოდები.

რას ვიზამდით, ხასიათწამხდრებმა გზა გავაგრძელეთ, მაგრამ მალე გუნება გამოგვიკეთდა, რადგან ოთხასიოდე მეტრზე დეკიანში, პატარა მინდორზე მარტოხელა არჩვი დავინახეთ. გელას გადავხედე, იმედმოცემულმა ვუთხარი, კარგი ნადირობა წინ გვიდევს, გზაში გვხვდება ფსიტები, ეს კი იმის ნიშანია, რომ ალაზნის თავში ჯიხვების ჯოგები გველოდება-მეთქი.

ცხენები სადავით დავიჭირე, ჩამოვჯექი და დურბინდი მოვიმარჯვე. გეგმაც შევადგინეთ, თუ როგორ უნდა მიპარვოდა გელა. ის სწრაფად წავიდა არჩვისკენ, მე ვიჯექი და ვაკვირდებოდი არჩვის მოძრაობას. მონადირეს ვერ ვხედავდი, ის ცერს იქით ფერდობს ჩაჰყვა. უცბად არჩვი გაქრა, იქით-აქეთ დავაკვირდი, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე. გავძახე გელას, ფსიტი გაქრა, შენ თუ ხედავ-მეთქი.

არაო, გადმომძახა და ვუთხარი, უკან დაბრუნდი, დაბლა დაიწიე და მეც პირდაპირ ცერს გამოვყვები-მეთქი.

ზედ დეკიანის პირზე შევხვდით ერთმანეთს. ჩასასვლელად მოახერხებელ მონაკვეთებს ვირჩევდით და დაბლა ჩავდიოდით. ხევიდან რაღაც ას მეტრში გაგვიჭირდა, დაღმართი ძალიან ციცაბო გახდა, ცხენები ნაშალზე ცურდებოდნენ, უკანა ფეხებში იკეცებოდნენ და ნაშალს „ცურვით“ მივყვებოდით.

ხეობაში ჩავედით, ცხენებზე შევსხედით და ზევითკენ გავწიეთ. ალაზანი ვაკეზე მდორედ მოედინებოდა, ისეთი გუბეები იდგა, პირდაპირ გიწვევდა ბადის სასროლად, კალმახი აქ ბლომად იყო, ხშირად მსმენია, რომ თბილისიდან შვეულმფრენითაც კი ამოდიოდნენ აქ სათევზაოდ.

ზემოდან მომავალი მგზავრები შევნიშნეთ. მივუახლოვდით. ტურისტები, თბილისელი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ, თითოოროლა მოდიოდნენ, საკმაოდ დაშორებულნი ერთმანეთისგან. პირველნი, ვინც შეგვხვდნენ, ორი გოგონა იყო, ძლივს მოლასლასებდნენ დაღლილობისგან არაქათგამოცლილები. დაგვინახეს თუ არა თოფიანები, შეჩერდნენ, შეშინებულები პირღიად შემოგვცქეროდნენ.

ისეთი სასაცილოები იყვნენ, გამეცინა და ვუთხარი:

– ნუ გეშინიათ, მშვიდობიანი მონადირეები ვართ. კი მაგრამ, რატომ ვაჟები არ გახლავთ, ამ უკაცრიელ ადგილებში მარტო რატომ მგზავრობთ?

– გოგონები დაიღალნენ და მათ ეხმარებიან მგზავრობაში, უკან მოგვდევენ.

– ყოჩაღ, თქვენ ნამდვილი მთასვლელები ხართ, ცოტაც გაისარჯეთ, ამ მოსახვევის იქით ფინური ბინებია და იქ დაისვენებთ.

– ამბობენ, იქ ბერები არიან, იქ ვაპირებთ დაბანაკებას, – იმედიანად არის გოგონა.

გამოვემშვიდობეთ და გზა განვაგრძეთ. თანდათან მივიწევდით წინ. მზე გორებს იქით ჩაეფარა. ჩვენ ალაზნის თავისკენ მივდიოდით, მაღლა მივიწევდით და უკან ვტოვებდით აქა-იქ ამართულ ბორცვებს. ერთ-ერთი ბორცვის გადალახვის შემდეგ მარცხნივ შევნიშნე ტბა, რომელსაც გარშემო გორები შემორტყმოდა, თითქოს წრე შემოუკრავთო.

ლამაზი სანახაობა იყო, ბორცვებით შეკრული ტბა მწვანედ ლივლივებდა. მოცულობით პატარა იყო, ტბათანის ტბაზე პა-

ტარა, დიდგვერდის ტბაზეც კი პატარა, მაგრამ მათგან განსხვავდებოდა ძლიერი სიმწვანით, ან შეიძლება იმიტომაც მეჩვენა მწვანე, რადგან ჩრდილი ადგა და შიგ მწვანე ბორცვები ირეკლებოდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ამ ადგილს თუშები ციცურის ხორხს ეძახდნენ.

ტბაზე და ხორხზე დაკვირვებამ ჩემთვის ერთი გამოცანა ამოხსნა. ყოველთვის მაკვირვებდა, რატომ უწოდებენ ქისტები და წოვათუშები ალაზნის თავს ამბერჩის. სიტყვა-სიტყვით ეს ტოპონიმი ქართულად ასე ითარგმნება: ტბის (გუბის) შესაკრავი. ალაზნის თავი და ამბერჩი ლექსიკურად ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდებიან და ეს განსხვავებული სახელწოდება ვერაფრით ამეხსნა. შევხედე თუ არა ტბას, მივხვდი, საიდან მოდიოდა ქისტური სახელწოდება. ტბა, მართლაც, შეკრული იყო ბორცვებით.

დაახლოებით ვიცოდით, სად იდგა ვისერგის ბატკანი და ხევს მივყვებოდით. ბორბალოს ძირში, ერთ-ერთი ბორცვის ძირას ქოხი შევნიშნეთ და ცხენებს ავუჩქარეთ. ქოხში არავინ დაგვხვდა, მაგრამ ორასიოდე მეტრის ზევით ბატკანი შევნიშნეთ.

– გელა, შენ ცხენებს მიხედე, მე ავალ მებატკნეებთან, ისინი დაღამებამდე არ ჩამოაყენებენ ბატკანს თეოზე, – ვუთხარი ამხანაგს და ზევითკენ გავწიე.

როცა ცხვარს მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ მებატკნე მწყემსები აქეთ-იქით ედგნენ ცხვარს და უშლიდნენ გაშლას, რამეთუ დრო იყო თეოზე ჩამოერეკათ.

ძაღლები ყეფით გამოქანდნენ ჩემკენ. მე ჩავჯექი, ავტომატი მუხლებზე დავიდე და ძაღლებს გავუჯავრდი. ისინი 3-4 მეტრის დაშორებით შეჩერდნენ, ყოველ ჩემს მოძრაობას აკვირდებოდნენ, უფრო ვალის მოხდის მიზნით იყეფებოდნენ, მაინცდამაინც გულით არ ირჯებოდნენ. თანაც პატრონებისგან წაქეზება არ ისმოდა და, ალბათ, ძაღლური გონებით განსაჯეს, რომ სამტროდ არ ვიყავი მისული.

მეცხვარეები გაუნძრევლად იდგნენ, არც ძაღლები დაუწყნარებიათ და შეშფოთებულები მაკვირდებოდნენ. გაკვირვებული ვიყავი ასეთი გულცივი დამოკიდებულებით და უნდა შევხმიანებოდი, რომ უცბად მივხვდი, რაში იყო საქმე. მე სამხედრო ფორმა მეცვა, ხაკის შარვალი და ქურთუკი, პერანგიც ხაკისა იყო და კეპკიანი ქუდიც ხაკის მეხურა. ცხადია, ვერ მიცნეს. ჯერ ერთი, საღამოს ბინდი წვებოდა, მეორეც, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ დუისელი მასწავლებელი ალაზნის თავში მოვხდებოდა. მივხვდი ყველაფერს და სიტუაციის შესაფერისად მოვიქეცი. ავტომატი ავიქნიე და დავუყვირე:

– რას დაყუდებულხართ, ჩქარა ჩამორეკეთ ცხვარი, დროა ამ ცხვარმა პატრონი გამოიცვალოს.

როგორც ზემოთაც ითქვა, ცუდი დრო იყო, ძარცვა და ყაჩაღობა ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, ცხვრის ჩეჩნეთში გატაცების შესახებ ხშირად ისმოდა. ჩემი ყვირილი და ჩაცმულობა სწორედ ბანდიტურ თავდასხმაზე მეტყველებდა, თანაც მათ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა და იმასაც შენიშნავდნენ, რომ ამხანაგიც მახლდა.

მწყემსები ხმას არ იღებდნენ, გაოგნებულები იდგნენ და დაბნეულად მომაშტერეს მზერა. მე ხმა უფრო გავიმკაცრე და მკვახედ შევძახე:

– არ გაინძრევით, შტერებო? ჩამორეკეთ ცხვარი! ეს ძაღლებიც მომაშორეთ, თორემ ახლავე ჯერს მივუშვებ და დავცხრილავ. ჰა, გაინძრევით თუ არა?

ისეთი დაბნეული და შეშინებულები ჩანდნენ, რომ გამეცინა და ქისტურად დავუძახე:

– ყუანახი (ვაჟკაცებო), რამ შეგაშინათ, ან სტუმრებს ასე ხვდებით, ქისტები არა ხართ?

უფროსი, ჯაბრაილი წამოვიდა, თან ამხანაგს უთხრა, ცხვარი ჩამორეკეო, მომიახლოვდა და როცა მიცნო, ძალიან გაუხარდა და გადამეხვია. თავიდანვეც გიცანიო, – მითხრა, განც-

დილი შიშის დამალვა სურდა. თუმცა მის ადგილას მეც შემეშინდებოდა. ამბები გამოვკითხეთ ერთმანეთს, შემდეგ სამივემ ბატკანი თეოზე დავაყენეთ და ქოხთან მივედით, ქოხის წინ კერიაზე გელას ცეცხლი გაეჩაღებინა და ჩვენ გველოდებოდა.

– აბა, სიძევ (ჯაბრაილს ჩემი მამიდაშვილი ჰყავდა ცოლად), ვნახოთ, როგორ დაგვხვდები სტუმრებს. ბატკნისთვის კარგად მოგივლია, სანაქებო ნამატია, ბარაქალა, ალალია შენთვის საკლავი, ოღონდ, შენი საკუთარი ბატკანი დაგვიკალი, – ვეხუმრები სიძეს.

მან ფარისკენ გასწია, თან მეუბნება:

– გუშინ საგორავი მოხვდა ერთ-ერთ საუკეთესო ბატკანს და ყელი გამოვჭერი, მაგრამ, თქვენთვის ახალს დავკლავ.

– მოიცა, შენი მოსატყუებელი აქ არავინაა. შენ რომ ცხვრის დაკვლა გდომოდა, მაშინვე გამოარჩევდი ფარიდან, როგორც კი ალხაჯზე მორეკე. თუ გაქვთ ხორცი, არ არის საჭირო საკლავი, მადლობელი ვარ, – ვეუბნები დარცხვენილ მეცხვარეს.

გელა და ყმაწვილი მებატკნე დატრიალდნენ, მოკლე ხანში ხაშლამიანი ქვაბი ცეცხლზე ეკიდა და შამფურებზე მწვადიც შიშხინებდა, არაყს მარტო მე და ჯაბრაილი ვსვამდით და დიდხანსაც შევყევით. ჭაჭის არაყმა დატკბობა და შეტყუება იცის, რაც მეტსა სვამ, უფრო გიზიდავს. თანაც არ მინდოდა ისე დამემთავრებინა სუფრა, რომ თვეობით მთაში გამოკეტილი მეცხვარისათვის არ მიმეცა საშუალება ამ ერთხელ მაინც დრო გაეტარებინა. თანაც მთაში ჩემი უპირველესი პრობლემა ღამის გათენებაა, ვერაფრით ვახერხებ მწყემსებისა და მონადირეების მსგავსად ძილს. მაგალითად, ლაბო როგორც კი თავს სასთუმალზე მიდებდა, როგორი სიცივეც უნდა ყოფილიყო, წამსვე იძინებდა. მე ღამე უფრო იმიტომ ვსვამდი, რომ ნასვამი უკეთ ვიძინებდი, თუმცა დილით ადგომა და მგზავრობა მიჭირდა.

მე ცეცხლის პირას დავწექი, გელამ წინასწარ მომიწყო ქვე-

შაგები, ჯაბრაილი კი თეოზე წავიდა დასაწოლად. დილით გარეთ რომ გამოვედი, დავინახე, რომ ცხვრამდე ვერ მიეღწია და იქვე ქოხის გვერდით მწვანეზე გაშოტილიყო. ნაბადი ნახევრად ჰქონდა მოხვეული, ფეხები მუხლებს ქვემოთ გარეთ გამოჩროდა. მის ამხანაგს ცხვარი მაღლა ფერდობზე უკვე გაეშალა.

ცხელი წვენი დავლიეთ, ხაშლამაც მივაყოლეთ და გარეთ გამოვედით. წუხელ ჯაბრაილმა აგვიხსნა, საით უნდა წავსულიყავით, ჯიხვების სასიარულო გეზი მიგვასწავლა.

სისხამი დილა იყო. ციოდა, დიდ სიმაღლეზე ვიყავით. ბატკანი, წესისამებრ, თანდათან სიმაღლეზე აჰყავთ მებატკნეებს, მაღლა ბალახი გვიან ამოდის და ამიტომ ბატკანი ხამ ბალახზე ჰყავთ. ჩვენ ბორბალოს ძირში ვიყავით, რაც შეიძლება მაღლა ავიწიეთ, ხევზე გავედით და მწვანე ტერასაზე გავედით, საიდანაც დიდი ნაკადული რამდენიმე ადგილას გადმოჩქეფდა. ეს იყო პირიქითა ალაზნის სათავე. ჩამოვსხედით, წყალი დავლიეთ და დურბინდით დავზვერეთ მიდამო.

ჯაბრაილი იმავე დმგომარეობაში იწვა, როგორც დავტოვეთ, რადგან ვერ შევძელით მისი გაღვიძება. ბატკანი ქოხის დასავლეთით ბორბალოს აღმოსავლეთ ფერდობზე იყო გაშლილი. ჩვენს უკან, ზემოთ ნაშალი იყო, ზედ ნადირის ნავალი ბილიკები აჩნდა. სწორედ ამ ბილიკებით ვაპირებდით უღელტეხილზე გასვლას, საიდანაც დიკლოს ხეობა ეშვებოდა. როგორც გვითხრეს, სწორედ აქ ბინადრობდნენ ჯიხვები და ვაცები.

ნაშალი, რომელზეც უნდა აგვევლო ფერდობი, წვრილი, მუქი და შავი ფერისა იყო, მაღლა კი, საიდანაც ეს ქვიშა იწყებოდა, ჟანგისფერი, ვერცხლისფერი ხავსგადაკრული მსხვილი ნაშალი, რომელთა შუა ბალახი აღმოცენებულიყო. სწორედ ასეთ საძოვარს ეტანება თურმე ჯიხვი.

როგორც ვთქვი, ნაშალი მოძრაობდა, წინ გადადგამდი ნაბიჯს, დაეყრდნობოდი თუ არა მეორე ნაბიჯის გადასადგმელად, ქვიშა დაიძროდა და ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდებოდი. ძალიან ძნელია ხოლმე ასეთ ნაშალზე აღმა სიარული,

არაქათს აცლის ადამიანს დაძაბულობისგან. დიდი ფართობი არ ეკავა ნაშალს, მაგრამ ორ საათზე მეტი მოვანდომეთ და ძლივს ავედით უღელტეხილზე, დაღლილ-დაქანცულები იქვე წამოვწექით. ცუდ მდგომარეობაში ვიყავი, წუხანდელი ქეიფი ჭირად მექცა, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, ყელში მაზიდებდა და ძლივს ვიკავებდი გულის რევას.

დავისვენეთ, გადავდექით ღელეზე და წინ საოცარი სურათი გადაგვეშალა. მთათა მწვერვალები და მწვერვალთა რიგი გაჭიმულიყო მთელ სახედზე. მაგრამ ეს მწვერვალები ჩვეულებრივ მთათა მწვერვალებს კი ჰგავდნენ მოყვანილობით, ფორმით, მაგრამ გარსი სრულიად სხვანაირი იყო. კლდიანი მწვერვალები შავად, ქუშად გამოიყურებოდნენ, დაშლილ-დაღარული, ნაჩეხი ტანი ჰქონდათ, მშრალი ღარები მუქ ყავისფრად ჩანდა, დაკბილული კლდეები, დანის პირივით თხელი ფხა ცერებს აჰყვებოდა, მწვერვალებზე ბალახის ნატამალი არ ჩანდა, მხოლოდ ვიწრო ლავანგარდზე, ტერასებზე, მშრალი ღარების ბექობზე მწვანედ ჩანდა ბალახის ბღუჯები. ერთი სიტყვით, ნაომრებს, ხმლებისგან დაჩეხილებს ჰგავდნენ. მაგრამ მაინც ამაყად იდგნენ, შიშისმომგვრელად გამოიყურებოდნენ, უნებურად გამახსენდა ვაჟა:

„ათასი ვნახე ვაება,
ათასჯერ რისხვა ციდამა:
სეტყვა, მეხი და ქარ-ბუქი,
ყინვა, თოვლ-ჭყაპი ღვთიდამა.
დიდმა დარდმა და ვაებამ
დაგვა ზიანა ვითამა?“

შორს, ჩრდილოეთით მოჩანდა ხილდიხორის მთათა კონტურები, მარჯვნივ შორს დიკლო, მთათუშეთის მთები. მარცხნივ თეთრად მოჩანდა ტებულოს მარად თოვლიანი მწვერვალი. თითქოს ზღაპრულ სამყაროში აღმოვჩნდით, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ადამიანთაგან პირველმა დავდგი ფეხი ამ

მიწაზე, მაგრამ ეს შეგრძნება ასევე სწრაფად გაქრა, როგორც კი ცოტა მოშორებით შევნიშნე ქვებით შემოღობილი მეტრ-ნახევარი სიგრძისა და ერთი მეტრი სიგანის ადგილი. ეს, ალბათ, მონადირემ შემოღობა ქარისგან დასაცავად, ასე მოაწყო ნაუცბათევი ღამის სათევი.

გელამ და მე წინ წავიწიეთ, ღრმა ხევის პირას წამოვწექით და რიგრიგობით დავიწყეთ მიდამოს დამუშავება. უცბად ქვიშის წკრიალი გავიგონე. პირველად ვიფიქრე, სადღაც ქვა მოწყდა-მეთქი ნაპრალიდან, ზერელე დაკვირვებაც კმაროდა იმის დასადგენად, რომ ეს მთები ნელ-ნელა იშლებოდა. მაგრამ ქვიშის წკრიალი ჩხრიალში გადაიზარდა და დურბინდით ჩრდილო აღმოსავლეთით, ხევის სათავეში ამართული მთის ფერდობები შევათვალიერე. ნაშალზე, მწკრივად, ერთიმეორის მიყოლებით, აუჩქარებლად, თითქოს მისეირნობდნენ, ვაცების ჯოგი ნაშალზე გადადიოდა. წინ ამაყად მიაბიჯებდა თურქული მოხრილი ხმლებივით თავზე წამომართული რქებიანი ბებერი ვაცი წვერის ცანცარით. დიდებული სანახავი იყო ჯოგის ბელადი, რომელიც ხანდახან შეჩერდებოდა, დინჯად მოათვალიერებდა გარემოს და ნელა განაგრძობდა გზას. ამ დროს მთელი ჯოგი შეჩერდებოდა ხოლმე, ერთი და ორი წლის თიკნები წინ მდგომებს უკნიდან ურქენდნენ, აქაოდა, გზა მოგვეცითო. პატარების ანცობას დიდები მოთმინებით ითმენდნენ, ფეხს არ მოიცვლიდნენ, სანამ ბელადი არ დაიძვრებოდა.

კარგი სანახავი იყო ჯოგის შეხმატკბილებული, ერთ ოჯახად ქცეული იდილია, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო ამ იდილიის დარღვევა და ჯოგის ერთი-ორი წევრით შემცირება. ირგვლივ არემარე შევათვალიერეთ, გეგმის შედგენა ვცადეთ, მისაპარ ადგილების ძებნა დავუწყეთ, მაგრამ იმედგაცრუება გველოდა: ჯერ ერთი, ძალიან შორს იყო ჯოგი, სანამ ჩვენ თოფის სასროლ მანძილზე მივუახლოვდებოდით, ჯოგი ცხრა მთას იქით იქნებოდა; მეორეც, ისეთი სახიფათო სავალი იყო ქარაფებიანი არემარე, ისეთი დაკიდებული, ფრიალო კლდეებიანი ციცაბო ფერდობები იყო, მთასვლელი თუ შეეკიდებოდა ამ პიტალო

კლდეებს, რომლებიც დასაშლელად და დასაქცევად იყო გამზადებული. ასეთი მრისხანე პიტალო კლდეები, ვერცხლისფერი, ჟანგიანი, ყავისფერი ნაშალები და წვრილი ნაშალებით სავსე ვიწრო ღარები არსად მენახა. ასეთი უსიცოცხლო, ბალახისა და მცენარეების უნახავ მთებს ჯერ არ შევსწრებოდი.

ერთი სიტყვით, დაწყევლილი ადგილი იყო და, ეტყობა, ვაცებმაც აითვალისწუნეს და სხვაგან აპირებდნენ გადაბარგებას. სწორედ, რამდენადაც წარმოუდგენელი უნდა იყოს, ამ ხრიოკი მთის მწვერვალების ძირიდან იღებდა სათავეს პირიქითა ალაზანი, აქეთ-იქითა ხევებიდან იკრებდა ნაკადულებს და მდინარედ ქცეული მიექანებოდა აღმოსავლეთისაკენ, შორს, დიკლომდე კარგად ჩანდა გაშლილი ხეობა, მწვანე ფარდაგით მოსილ ფერდობებს შუა მიიკლაკნებოდა მდინარე დიკლოსკენ. კიდევ ერთი საოცრებაც, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის იყო ისიც, რომ ამ გოროზი, უნაყოფო, უსიცოცხლო და დაღარული (მიხრწნილი ბებრის სახესავით) მთებიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე იწყებოდა აბიბინებული ხევი და ფერდობები. ეს, უდავოდ, წყლის დამსახურება იყო.

ჯოგის გამოდევნებას აზრი არ ჰქონდა, ის უკვე მთის მწვერვალს ჩრდილოეთის მხრიდან მიეფარა. ჩვენ გადავწყვიტეთ, გავყოლოდით ცერს, უკნიდან შემოგვევლო ბორბალოს მწვერვალისთვის, დაგვეთვალიერებინა წყალგამყოფი ქედის იქითა, ხევსურეთისკენ დაქანებული ფერდობები და რკალისებური მარშრუტის შემდეგ ბინაში დავბრუნდებოდით.

ცუდი სავალი იყო. მართალია, არ იყო ციცაბო აღმართი, მაგრამ ისეთი წვეტიანი, დაკბილული კლდეები ქმნიდა ცერს, რომ ძალიან ჭირდა გადაადგილება, თითქოს კლდის სავარცხელზე გვიწევდა სიარული. თან ამინდიც შეიცვალა, უცბად ჩამოიქუფრა, შავი ღრუბლები თითქმის თავზე გვეხურა, ცივი, წვრილი, მსუსხავი წვიმა წამოვიდა. ქურთუკი გავიხადე, ავტომატი ზურგზე ჯვარედინად გადავიკიდე, ზედ ქურთუკი შემოვიცვი და გავწიე წინ. ამჟამად ნადირის დარდი არ მქონდა, მთელ ძალებს ვიკრებდი, რომ გადამელახა ეს სახიფათო მონაკვეთი.

მწვერვალის ძირში ჩრდილოეთით გავუხვიეთ, უღელტეხილზე გავედით და დავიწყეთ უკანა მხრიდან შემოვლა. ავიხედე მაღლა, ძალიან მინდოდა მწვერვალზე ასვლა, მაგრამ არც გაბედულება მყოფნიდა და არც ძალ-ღონე შემწევდა. თან წინაღამინდელი ღრეობის კვალი მთელი დღე დამყვებოდა, პირი მიშრებოდა და გული მერეოდა.

შემოვუარეთ გუმბათს და გაშლილ, სწორ, მაგრამ ლოდებით მოფენილ ვაკე ცერზე გავედით, ჩამოვსხედით და თვალიერება დავუწყეთ ბორბალოს დასავლეთის ფერდობებს, ახლომახლო მთებს. აქაც წყალგამყოფ ქედზე ვისხედით, დასავლეთისკენ მიიკლაკნებოდა ანდაქის წყალი, რომელიც ვიწრო ხეობაში იყო მოქცეული.

ორივე ალაზნის სათავე მწვერვალები და გარშემო მთები გოროზად იდგნენ. „სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირად ერჭობა ისარივით გულმკერდში. არაფერია, ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერი ეგრევ, თუ კლდე და ლოდები კვლავ ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ“, – ალბათ, სწორედ ასეთ მთებს გულისხმობს ვაჟა „მთანი მაღალნში“.

დაზვერვამ შედეგი ვერ გამოიღო, არემარეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, თუ არ ჩავთვლით ცაში ნარნარად მფრინავ ორიოდე მეგბატკნიას, რომელთაც ვეება ფრთები გაეშალათ და წრიულად სერავდნენ ცას. საოცარი იყო ის, რომ არწივები ფრთებს არ ამოძრავებდნენ, მხოლოდ ბოლოებს ხრიდნენ და არეგულირებდნენ მოძრაობას, დიდ წრეს აკეთებდნენ და დიდ მანძილსაც გადიოდნენ უმნიშვნელო ენერგიის დახარჯვით.

პირაღმა დაწოლილი გელა ათვალიერებდა არწივს, რომელიც ჩვენს თავზე წრეს ხაზავდა და ავტომატი დაუმიზნა.

– არ ესროლო, არწივის მოკვლა არ შეიძლება, – ვაფრთხილებ ამხანაგს.

– რატომ? ისიც ხომ იტაცებს ბატკნებს, – მეუბნება გელა და თოფს აყოლებს არწივს.

– სწორედ იმიტომ, რომ ისიც შენსავით მონადირეა. ის კურდღლებზე, კაკბებზე და სხვა მცირე ზომის ნადირზე ნადირობს; როცა უჭირს, ბატკანსაც იტაცებს და რაც მთავარია, ის არწივია, ფრინველთა მეფე და მისთვის სროლა მკრეხელობაა. ეს კარგად დაიხსომე, მეგობარო. იცი, როგორ ახასიათებს არწივს ძველები? არა? მაშ მომისმინე:

„კაი ყმა, მგელი, არწივი –
არც ერთ არ გაიწურთნება!
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა – მამაცობასა,
არწივი – არწივობასა,
მთის ყურეთ ნადირობასა.
მგელი გაივლის მთა ზედა,
ნამ გაბერტყილი დარჩება,
დაიხულუზნებს არწივი,
საჯიხვეებში გაჩნდება,
დასწვდება შუნის თიკანსა,
სადმე სადილად დაჯდება,
გულ-ღვიძლს ხომ შასჭამს თვითონ და
ლეში ყვავ-ყორნებს დარჩება...“

დაბლა დავიწიეთ, ბორცვზე ამართულ ქვაკაცასთან შემოვუხვიეთ და ჩვენი ბინის პირდაპირ აღმოვჩნდით. დურბინდში ჩავხედე, მოვათვალიერე ქოხი და მისი გარემო. მასპინძელს ვეძებდი და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჯაბრაილს მოვკარი თვალი იმავე ადგილას, დილით რომ დავტოვეთ. თითქმის მხარიც კი არ ეცვალა, მხოლოდ ნაბდიდან ფეხები კიდევ უფრო გამოსჩროდა.

პირდაპირ ჩასვლა გაგვიჭირდებოდა, კლდიანი, ძალიან დაკიდებული ფერდობი იყო. მშვიდობიანი გზით რომ გვევლო, სა-

ჭირო იყო კლდიანი მასივის შემოვლა, რაც დიდ დროს წაგვართმევდა. უფრო უარესი კი ის იყო, შუა გზაზე შემოგვიღამდებოდა და ამ სიცივეში როგორ უნდა გაგვეთია ღამე. ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვერისკა და დავიწყეთ ჩასვლა. ძალიან გამიჭირდა, იქ, ქვაკაცასთან წამოვწექი, ოფლიანი ვიყავი და ეტყობა, სიცივემ დამკრა, მაჟრჟოლებდა, მაგრამ ამხანაგისთვის არ მიგრძნობინებია უქეიფობა და გზას განვაგრძობდი. მარცხნივ ვიწრო ღარი შევნიშნე, ორივე ნაპირი ფრიალო კლდის იყო, ისეთი სწორი და პიტალო, თითქოს გალესილიაო. ღარი ნახევარზე მეტი ნაშალით იყო სავსე, წვიმებს ახლომახლო კლდეებიდან ქვიშა ჩამოერეცხა და ამ ღარით დაბლა ჩაჰქონდა გაშლილ ადგილზე, სადაც იშლებოდა და ქმნიდა დიდ ვეებერთელა კალოს.

გადავწყვიტე, ჩავმხტარიყავი ღარში და ღარს ჩავყოლოდი. ცოტა შევყოყმანდი, არ ვიცოდი, როგორი ფსკერი ჰქონდა ღარს. შეიძლება სწორი, სრიალა ფსკერი ჰქონოდა, რაც გამიადვილებდა ჩასვლას, მაგრამ თუ დაკბილული და ქვიშით დაფარული აღმოჩნდებოდა, პრობლემებს შეგვიქმნიდა.

– წავედით! – დავიყვირე და ჩავხტი ღარში ქვიშაზე. ფეხები მაშინვე ქვიშაში ჩამეფლო, მაგრამ ქვეშ მყარი კლდის ფსკერი ვიგრძენი. წავიწიე წინ და ქვიშაც თან მომყვა. ახლა უკვე კი არ მივრბოდი, ქვიშასთან ერთად მივსრიალებდი, თითქოს თოვლში თხილამურებით ვეშვებოდით დაღმართზე. სასიამოვნო დაშვება გახლდათ, სწრაფი და ენერგიის დამზოგავი.

გაშლილ ადგილზე რომ ჩავედით, ნაშალზე ნახტომს ვაკეთებდით, ქვიშაზე დაცემა ტკივილს არ იწვევდა. ისე ვეცემოდით საჯდომზე, როგორც სიგრძეზე ხტომის დროს ნახერხზე. მერე და მერე ქვიშა გამსხვილდა, ნაშალი ღორღად იქცა, დიდი ნამსხვრევეი ხავსით იყო დაფარული, ვერცხლისფერი, ჟანგისფერი და ყვითელი ხავსით. ლოდიდან ლოდზე ვხტებოდით და ასე ჩავედით ვაკემდე.

ბინდდებოდა, როცა ქოხამდე მივაღწიეთ. ჯაბრაილი გავაღვიძეთ, ვუთხარი, – შემოდი, ქოხში დაიძინე, წვიმაში დასველებულხარ, მთელი ღამე ხომ არ იძინებ-მეთქი. ვეხუმრებოდი, ვი-

ფიქრე, რადგან მთელი დღე ეძინა, შეიძლება იფიქროს, ღამე არ გასულაო. ის წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, – ხედავ, დაღამებულაო, – თქვა და ქოხისკენ წავიდა.

მთელი ღამე წვიმდა. ბედი არ გვწყალობდა, არადა ვფიქრობდით, მეორე დღეს აღმოსავლეთისკენ ქედს გავყოლოდი, რომლის სამხრეთის განშტოების ქედები პირიქითა ალაზნის ხეობისკენ ეშვებოდა და დეკითა თუ ქუჩით იყო დაფარული. ქედზე, სადღაც ფინური ბინების პირდაპირ, ჩანდა პატარა ტბა, ისეთი გამჭვირვალე ჩანდა დურბინდში და ისეთი ლამაზი იყო, რომ გადაწყვეტილი მქონდა, ახლოდან მენახა, თანაც ამ ქედის ორივე მხარე, მზისპირი და ჩრდილიანი ისეთი ბუნებრივი ლანდშაფტით იყო დაფარული, არჩევების სასურველი სამფლობელო მგონია.

მაგრამ დილაც ავდრიანი გათენდა, წვიმდა, თანაც ჯანღით იყო დაფარული ხეობა და მთები, ისეთი პირი უჩანდა, მალე არც გამოიდარებდა. სწრაფად ვისაუზმეთ, ცხენები შევკაზმეთ, მოსასხამებში გავეხვიეთ და ლეკუანისკენ გამოვწიეთ.

არც ამჯერად გაგვიმართლა. ასეა: ნადირობისას წარუმატებლობა უფრო მეტია, ვიდრე იღბლიანობა. იღბალით კი ნამდვილად ვერ დავიკვეხებდი და სიმართლე რომ ითქვას, უიღბლობა არც მადარდებდა დიდად.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ნადირობა. შემდეგ საშინელი ტრავმა მივიღე, ერთი წელი პირაღმა ვიწექი, ორი წელი ინვალიდის ეტლში ვიჯექი, დიდი წვალებისა და ბრძოლის შემდეგ შევძელი ფეხზე დადგომა და ყავარჯნებით სიარული. სამუდამოდ გამოვეთხოვე მთებს, მაგრამ ხშირად სიზმარში ვმოგზაურობ ხოლმე მთათა მწვერვალებსა და ხევ-ღორღებში...

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმის მაგიერ 3
იარაღის სიყვარული 11
თევზაობა 36
ნადირობა ფრთოსნებზე 89
„შენ მონადირე იქნები“ 110
სანადიროდ სპეროზაზე 138
კარავი ჯამიეს ნადგომში 165
სანადიროდ კუპრაბალინჩოზე 196
მაჟურის ხევში 218
ჩხათანას მუჟაზე 232
„ჩემი სისხლი ალალი იყოს“ 252
ბადრი მთვარე 271
მარტოხელა ვაცი არჩვი 289
მონადირე დათვი 310
დაჭრილი დათვის კვალდაკვალ 330
მთა მასარის თავზე 345
ერთდროული ნადირობა დათვსა და არჩვზე 355
სანადიროდ ალაზნის თავში 368

ხასო ხანგოშვილი

მონადირის მოგონებები

დოკუმენტური მოთხრობა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ილნარ გორელიშვილი
ნათელა ტალახაძე

თბილისი, 2016